ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

**11**

**1987**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე | № 11 | ნოემბერი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### 70 – დიდი ოქტომბერი – 70


დევი სტურუა — ოქტომბერი, ჩვენი ახლო წარსული გარდაქმნის თვალსაწიერიდან . . . . . . . . 3


### პროზა, პოეზია


ოთარ ჭელიძე — ლექსები . . . . . . . . . 11
თინა დონჟაშვილი — ბონჯაურა. რომანი. გაგრძელება . . . . . . . 15
გურამ ოდიშარია — ლექსები . . . . . . . . 71
ნოდარ ზამანაძე — იყო ერთი დედაბერი. მოთხრობა . . . . . . . 74
მირიან მირნელი — ლექსები . . . . . . . . . 86
სილოვან ნარიმანიძე — მიძინების ღამის სერენადა. ლექსი . . . . . . . . 88
პლატონ ბებია — ბარი. ლექსი. თარგმნა გივი ბერაიამ . . . . . . . . 90
პერ ლაგერკვისტი — სიბილა. მოთხრობა. თარგმნა მანანა მიქელაძემ . . . . . . . 92


### 70 – დიდი ოქტომბერი – 70


მარლენ კორალოვი — გუდაუთა — 1. ვეტერანები... დასასრული. თარგმნა მირონ ხერგიანმა . . . . . . . . . . 119
გიორგი მარგველაშვილი — გალაკტიონი და ბლოკი. დასასრული . . . . . . 134
გრიგოლ რუხაია — ნოჯიხეველი კაცის ამბავი . . . . . . . 147


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


თამაზ ჩხენკელი — ესეისტური ჩანახატები . . . . . . . . . . 155


### 70 – დიდი ოქტომბერი – 70


ელისო ჭიჭიაშვილი — ანატოლ ფრანსი და ოქტომბრის რევოლუცია . . . 166


### წიგნების მიმოხილვა


სოლომონ ხუციშვილი — ორი რეცენზია . . . . . . . . . . . . 173


(იხ. მეორე გვერდი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გოგიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბერი, ჩვენი ახლო წარსული გარდაქმნის თვალსაწიერიდან

წელთა უწყვეტი მარათონი თანდათანობით და გარდუვალად გვაშორებს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს. ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში ფერმკრთალდება, თითქოსდა ჩვეული, ყოფითი ხდება. მივმართავთ რა მათ, არ განვიცდით გამწვავებულ ემოციებს. თვით დაინტერესებულ ჟამთა აღმწერლების თვალწინ ისინი, პოეტის თქმა რომ მოვიშველიოთ, არ „მღელვარებენ, ვით ზღვა — ოკეანე“. ცალკეულ პერიოდებს წილად ხვდათ ხელახალი მსჯავრი და შეფასება შემდგომ თაობათაგან, რომლებსაც აუცილებლად სურთ თავიანთი საკუთარი ვერდიქტი გამოუტანონ ამბებს გარდასულ დღეთა.

მაგრამ არის ისეთი ისტორიული მოვლენებიც, რომლებიც რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო ღრმად, რელიეფურად და შთამბეჭდავად გამოიკვეთებიან. ისინი აფიქრებენ და აღელვებენ შორეულ შთამომავლებს არა ნაკლებად, ვიდრე თანამედროვეებს. ასეთი ეპოქალური მოვლენების მიმართ დრო ასრულებს იმ დიდოსტატის როლს, რომელიც ხვეწს და სრულყოფს თავისი საგნის მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ზნეობრივ წახნაგებს. ეს მოვლენები არ ექვემდებარებიან საარქივო ლეთარგიულ ძილს, ტენდენციურ ხელახალ შეფასებას, ასე ვთქვათ, ზედამხედველობის წესით იმ ზოგიერთი ისტორიკოსისა და ლიტერატორის მიერ, რომლებიც შეიპყრო წმინდა მანიაკალურმა ცდუნებამ — გინდა თუ არა „ხელახლა წაიკითხოს“ ან „სხვაგვარად წაიკითხოს“ ის, რაც ნათლად და გარკვევითაა ამოტვიფრული ისტორიის ფურცლებზე. თავხედური სიცრუის, დეზინფორმაციის, ყველაზე უფრო დახელოვნებული ფალსიფიკაციის მღვრიე ტალღებიც კი უძლური აამღვრიონ ამ დიდი ჭეშმარიტების კრისტალური წყარო.

სწორედ ასეთ მოვლენებს განეკუთვნება მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რაც განახორციელა რუსეთის მუშათა კლასმა ვ.ი. ლენინის მიერ შექმნილი და გამობრძმედილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა მსოფლიოს გარდაქმნას სოციალისტურ საწყისებზე, მძლავრი სული შთაბერა დაჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც საერთაშორისო კოლონიური სისტემის მსხვრევით დაგვირგვინდა. დღევა-

ნდელი სამყარო დინამიურად ვითარდება უმთავრესად ოქტომბრის გავლენით.

ყოფილი რუსეთის იმპერიის მრავალრიცხოვანმა ერებმა და ეროვნებებმა თავიდანვე მხარი მისცეს რუსი პროლეტარიატის ბრძოლას ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლების წინააღმდაგ, ვინაიდან ვ.ი. ლენინის მიერ შემუშავებულ პარტიის პროგრამაში გამოკვეთილად იყო ნათქვამი, რომ გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის პროლეტარიატი განუხრელად უზრუნველყოფს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც რუსეთის შემადგენლობიდან გამოყოფას და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნასაც ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ, განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ, პროლეტარულ ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინარჩუნებდა თავის უდიდეს მნიშვნელობას და ერწყმოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას სოციალური სამართლიანობისათვის.

ერთა თვითგამორკვევა რომ ჩვენი პარტიის პროგრამის ერთ-ერთი პრინციპული შემადგენელი ნაწილი იყო და რეალობას წარმოადგენდა, ამას ნათლად ადასტურებს პოლონეთისა და ფინეთის მაგალითი. თვით იმ ფაქტსაც, რომ ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიული პარტიების (მუსავატელები, დაშნაკები, მენშევიკები) ბლოკმა, მხარის მშრომელების ნებასურვილის წინააღმდეგ, რუსეთს მოსწყვიტა აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, ვ.ი. ლენინი, ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა მომთმენლობით შეხვდნენ. რევოლუციის ბელადი კატეგორიულად ილაშქრებდა თავისი იმ მოწაფეებისა და თანამებრძოლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ძალისმიერი საშუალებით დაემყარებინათ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება.

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა უშუალოდაა დაკავშირებული ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასთან. მენშევიკური საქართველოც კი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო რუსეთის იმპერიის კოლონიურ განაპირა მხარესთან შედარებით. უნდა ითქვას, რომ ქართველი მენშევიკური მთავრობის ანტისაბჭოურმა პოლიტიკამ, დასავლურმა ორიენტაციამ, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციებს, საქართველო უმძიმეს საშინაო და საგარეო კრიზისამდე მიიყვანა. უცხოელი იმპრიალისტები და შინა კონტრრევოლუცია მენშევიკების თანხმობითა და დალოცვით შეეცადნენ გადაექციათ საქართველო და მთელი ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ პლაცდარმად. ინტერვენტები ფეხქვეშ თელავდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ძარცვავდნენ ქვეყანას, ეხმარებოდნენ მენშევიკურ მთავრობას მუშებისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ჩახშობაში. სწორედ ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ძირითადად იმის აუცილებლობა, რომ საბჭოთა რუსეთს სამხედრო დახმარება გაეწია საქართველოს აჯანყებული მშრომელებისათვის სოციალისტური რევოლუციის განხორციელების საქმეში.

მსოფლიოში პირველი უკლასო საზოგადოების აშენების, მისი პირველი ფაზის — სოციალიზმის განხორციელების ლენინურ გეგმაში დიდი ყურადღება დაეთმო რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა ეროვნულ მხარეებს — ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს. 66 წლის წინ ვ. ი. ლენინმა თავის განთქმულ წერილში — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ დასახა ამ მხარის სოციალისტური გარდაქმნის ზუსტი პროგრამა. ვ. ი. ლენინის ეს წერილი მაღალი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ჭეშმარიტად ლენინური ჰუმანიზმის ამაღელვებელი დოკუმენტი, კომუნისტური პარტიის ბრძნუ-

ლი ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცოცხალი განსახიერებაა.

ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მარტს გ. კ. ორჯონიკიძისადმი წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული".

ვლადიმერ ილიას ძე აღნიშნავდა, რომ ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის მიმართ საჭიროა დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა.

ეს დებულებები კიდევ უფრო მეტად არის დაკონკრეტებული და გაღრმავებული ზემოთმოხსენებულ წერილში კავკასიელი კომუნისტებისადმი. ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმებოდა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს და გამოთქვამდა იმედს, რომ „მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში [შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს".

ვლადიმერ ილიას ძე კავკასიელ კომუნისტებს ურჩევდა მხარის აღორძინების მიზნით გამოეყენებინათ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში, ამასთან სთავაზობდა დაეწყოთ „ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას".

ამ წერილში ვ. ი. ლენინი კვლავ მოუწოდებს მხარის ბოლშევიკებს „ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები". ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებით მიაპყრობს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას იმას, რომ მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა მართებს წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. ვ. ი. ლენინი აყენებს ამოცანას იმოქმედონ ფართოდ, მტკიცედ, მოხერხებულად, წინდახედულად, რათა გააუმჯობესონ მუშებისა და გლეხების მდგომარეობა, ჩააბან სამეურნეო მშენებლობაში ინტელიგენცია, და მოუწოდებს „მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა..."

ამრიგად, კავკასიის კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის წერილში ამომწურავი სიღრმით და სიზუსტით არის განსაზღვრული მათი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში სოციალისტური მშენებლობის ურთულეს, დაწყებითს პერიოდში.

ქართველმა ბოლშევიკებმა მართლაც ჭეშმარიტი მომთმენლობა გამოიჩინეს ინტელიგენციის იმ ნაწილის მიმართ, რომელმაც თავიდან არ მიიღო, არ გაითავისა ახალი, საბჭოური წყობილება. ოციანი წლების დასაწყისში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ბევრი გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის წერილები, ლექსები და მოთხრობები, რომლებშიც აშკარად იყო გამოთქმული ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ქართველი კომუნისტები, ლენინის ბრძნული რჩევის შესაბამისად, ცდილობდნენ მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნების მეთოდით ეხელმძღვანელათ. შედეგიც სასურველი აღმოჩნდა. შემოქმედებითი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი ჯერ ლოიალურ პოზიციაზე დადგა ახალი წყობის მიმართ, ხოლო შე-

მდეგ აქტიურ თანამშრომლობაზე გადავიდა.

სამწუხაროდ ,ეს ლენინური ტრადიცია ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მივიწყებას მიეცა, რამაც უდიდესი და აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ჩვენს კულტურას. გაუმართლებელი რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდნენ ისეთი დიდი შემოქმედნი და პატრიოტები, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი...

ვ. ი. ლენინი იყო იმ დიდი დახმარების ინიციატორი, რომელსაც საბჭოთა რუსეთი უწევდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს. წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ფაქტობრივი ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საბჭოთა სახელმწიფო ეროვნულ განაპირა მხარეებს უსახავდა უფრო სწრაფი განვითარების ტემპს, ვიდრე შედარებით დაწინაურებულ რუსეთის ცენტრალურ რაიონებს.

წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის, ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ვ. ი .ლენინი აღნიშნავდა:

„...ინტერნაციონალიზმი მჩაგვრელი ანუ ეგრეთ წოდებული „დიდი ერისა... უნდა მდგომარეობდეს არა მარტო ერების ფორმალური თანასწორობის დაცვაში, არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა იმ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტიურად იქმნება“.

რუსეთის ფედერაცია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს უანგაროდ უზრუნველყოფდა დოტაციით, რითაც თავის წმინდათაწმინდა ინტერნაციონალურ მოვალეობას ასრულებდა. უწინარეს ყოვლისა, ამით ვლინდებოდა ხალხთა ლენინური მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ბიუჯეტის დეფიციტი ძირითადად რუსეთის ფედერაციის ხარჯზე იფარებოდა. მაგალითად, ლენინური გოელროს გეგმის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგების დასაწყებად რუსეთის სფს რესპუბლიკამ გამოჰყო 700 ათასი ოქროს მანეთი, ხოლო მისი მშენებლობის დროს საბჭოთა საქართველო სისტემატურად იღებდა ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას რუსეთისაგან.

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს გადასცა მთელი მოწყობილობა საქსოვი ფაბრიკებისათვის. ამ მოწყობილობის ბაზაზე აშენდა და ამოქმედდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა.

საბჭოთა რუსეთი საქართველოს ეხმარებოდა სამრეწველო საქონლითა და სურსათით. 1921 წლის 7 ივლისს დეპეშაში, რომელიც რუსეთის სფს რესპუბლიკის სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს გაუგზავნა როსტოვში, ვ. ი. ლენინი წერდა: „იმის გამო, რომ საქართველოში მძიმე სასურსათო მდგომარეობაა, წინადადება გეძლევათ, ივლისის მანძილზე, თბილისში, საქართველოს სურსათის სახალხო კომისარიატის მისამართით გაგზავნოთ 100 ათასი ფუთი პური. მიღება და შესრულება დაგვიდასტურეთ“.

ვ. ი. ლენინი და კომუნისტური პარტია ნიადაგ ზრუნავდნენ არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე მხარის ხალხთა კულტურის ყველა დარგის აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა კულტურის დონეთა გათანაბრებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პირველ ღონისძიებებს განეკუთვნება უწიგნურობის ლიკვიდაციის, ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სკოლების ქსელის გაფართოების, რუსეთის ფედერაციის მაგალითისამებრ მათი რეორგანიზაციის ღონისძიებანი; ახალი თეატრების გახსნა და თეატრალური კოლექტივებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა; საგამომცე-

მლო საქმის ნაციონალიზაცია; ჟურნალ-გაზეთების, ბიბლიოთეკების, კლუბების ქსელის გაფართოება და ა. შ.

შთამბეჭდავია საბჭოთა საქართველოს წარმატებანი ეკონომიკის განვითარებაში. ექვსი ათეული წლის მანძილზე საქართველო აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად და ჭეშმარიტად ფანტასტიკური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ.

ამჟამად საქართველოში მოქმედი მრეწველობის სხვადასხვა დარგის 1.400 დიდი და საშუალო საწარმო მხოლოდ ორ დღეში უშვებს უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე საქართველო აწარმოებდა მთელი 1920 წლის მანძილზე. საქართველოს მრეწველობის წამყვანი დარგებია მანგანუმის, ქვანახშირის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ლითონდამუშავება, ელექტროენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, ქიმიური, კვების, მსუბუქი მრეწველობა.

რესპუბლიკის პროდუქცია — ჩარხები, ზუსტი ხელსაწყოები, ელმავლები, ფოლადის მილები, სინთეზური ბოჭკო, წყალქვეშა ფრთიანი კატარღები, ნავთობპროდუქტები, მსუბუქი და კვების მრეწველობის ფართო ასორტიმენტის ნაწარმი საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს 10-–ზე მეტ ქვეყანასა და ჩვენი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს ცვლილებანი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. თუ 1920 წელს საქართველოში სულ 50 ათასამდე მუშა იყო, ახლა რესპუბლიკის მუშათა კლასის რიცხვმა მილიონ ორას ათასს გადააჭარბა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე პროგრესული ცვლილებანი საქართველოს მუშათა კლასის თვისებრივ შემადგენლობაში, კლასისა, რომელიც ღირსეულად ასრულებს საზოგადოების წამყვანი ძალის ფუნქციებს.

დღევანდელი საქართველო [illegible] განვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მხარეა. საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთამბაქოეობა, რომელთაც დიდი ხვედრითი წონა აქვთ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ პროდუქტთა წარმოებაში. საქართველო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია.

საბჭოთა ხელისუფლების 66 წლის მანძილზე ძირეულად შეიცვალა სოფლისა და სოფლის მშრომელთა იერსახე. მართალია, გლეხობის ხვედრითი წონა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ასევე მკვეთრად გაუმჯობესდა მისი თვისებრივი შემადგენლობა. კოლმეურნეთა უმრავლესობას აქვს საშუალო და საშუალო სპეციალური განათლება, განუზომლად გაიზარდა მათი კულტურულ-ტექნიკური დონე.

ეკონომიკის სწრაფ განვითარებას თან ახლდა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის განუხრელი ამაღლება. კომუნისტური პარტია დღენიადაგ ზრუნავდა მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, თანამიმდევრულად იბრძოდა მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო, კომუნალური, სავაჭრო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქართველო დაიფარა სამკურნალო და საკურორტო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საბავშვო ბაგა-ბაღების ხშირი ქსელით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად ლიკვიდირებულია უწიგნურობა. განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლება.

საქართველოში მუშაობს 1.800 საშუალო სკოლა და ტექნიკუმი, 78 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მხრივ. რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში 100 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

1941 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. ახლა საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის სისტემისა და სხვა უწყებათა ორასზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში მუშაობს 23 ათასი მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 1.200 მეცნიერებათა დოქტორი და 8.000 კანდიდატი.

მთელ მსოფლიოში ცნობილია ქართული მათემატიკური, ფიზიოლოგიური, გეოლოგიური, აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ისტორიის სკოლები, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში.

ჭეშმარიტად აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელნიც ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტურია. ქართველ მწერალთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, თეატრალურ მოღვაწეთა, კომპოზიტორთა ბევრ ნაწარმოებს მიენიჭა ლენინური, სახელმწიფო და სხვა საკავშირო და რესპუბლიკური პრემიები, ისინი ფართოდ ცნობილი არიან არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

ამავე დროს, დღევანდელობის სიმაღლიდან, გარდაქმნის თვალსაწიერიდან აშკარად ვხედავთ სერიოზულ ხარვეზებს, მნიშვნელოვან ჩამორჩენას და სავალალო შეცდომებს, რასაც ადგილი ჰქონდა სოციალიზმის აშენების წლებში და ახლო წარსულშიც.

სოციალიზმის უპირატესობანი ვერ ვლინდებოდა სრულად და ყოველმხრივ, ვინაიდან შეზღუდული იყო, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, საბჭოური დემოკრატია, საჯაროობა, ფეხი მოიკიდა ბიუროკრატიზმმა, ცხოვრების სოციალისტური წესისათვის ისეთმა უცხო მოვლენებმა, როგორიცაა სახალხო დოვლათის დატაცება, მექრთამეობა, პროტექციონიზმი, სპეკულაცია, ლოთობა, ნარკომანია და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმებმა დასახეს მთელი ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ძირეული გარდაქმნის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა.

გარდაქმნა — ჭეშმარიტად რევოლუციური პროცესია და ამიტომაც ენათესავება, ესისხლხორცება ოქტომბერს. გარდაქმნის განხორციელება შეუძლებელია თუ არ დაიმსხვრა დამუხრუჭების მექანიზმი, ბიუროკრატიული ბარიერები,ნაირფეროვანი აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობა, ადრე შემუშავებული და გაყინული სტერეოტიპები და შეხედულებები, თუ მილიონობით მშრომელებმა არ გაიხადეს გარდაქმნა თავის ღვიძლ საქმედ. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ჭეშმარიტი დაინტერესების გზით, გამთანაბრებლობის ლიკვიდაციის საფუძველზე. ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად აღნიშნავდა, რომ უკლასო საზოგადოების აშენება ერთი მუჭა კომუნისტი-ენთუზიასტების მეცადინეობით — ეს უტოპიაა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მუდმივად მოქმედი ფაქტორი მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური დაინტერესებაა, რომ ეკონომიკის მართვა ადმინისტრაციული მეთოდებით არ შეიძლება, თუ არ მივიღებთ მხე-

დველობაში უკიდურესად ექსტრემალურ პირობებს.

გარდაქმნის წარმატებული განხორციელების გარანტიაა — ფართო დემოკრატიზმი, ნამდვილი და არა ბუტაფორული საჯაროობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მშრომელი ადამიანი მართლაც იგრძნობს თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად, როცა ის მართლაც ჩაერთვება სახელმწიფოს მართვაში, როცა მას მიეცემა ხელმძღვანელების საქმიანობის ქმედითი კონტროლის რეალური და არა დეკლარაციული უფლება, მაშინ აუცილებლად მივიღებთ სასურველ შედეგს.

გარდაქმნის მძლავრი სუნთქვა განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩვენი პრესის ფურცლებზე და ბოლოდროინდელ მხატვრულ ნაწარმოებებში იგრძნობა. სამართლიანი და ჰუმანურია დავიწყებული სახელებისა და ნაწარმოებების ფართო პოპულარიზაცია.

კანონზომიერია, რომ ჩვენი პუბლიცისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ცდილობენ თვითონაც გაერკვნენ და ჩვენი საზოგადოებაც გაარკვიონ თანამედროვეობისა და ახლო წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებში. ბოლოს და ბოლოს, ეს არის სწორედ ის ჯანსაღი ატმოსფერო, ის სუფთა ჰაერი, ურომლისოდაც დღეს სოციალიზმის არსებობა წარმოუდგენელია.

ხარისხობრივად ახალი ეტაპი იწყება საზოგადოებათმცოდნეობის განვითარებაშიც. ჩვენი პარტიის XXVII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმებმა დასახეს რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა — გადაჭრით იქნას დაძლეული თეორიული აზროვნების ჩამორჩენა, დოგმატიზმი და მედავითნეობა. საზოგადოებათმცოდნეები, მათ შორის ისტორიულ-პარტიული მეცნიერების წარმომადგენლები წლების განმავლობაში დაკანონებულ, ავტორიტარულ დებულებათა კომენტატორებისა და პოპულარიზატორების როლით იფარგლებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა მართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრია თეთრი ფურცელი; ხელახალ განხილვასა და შემოქმედებითს გააზრებას მოითხოვს ჩვენი საზოგადოების განვითარების ზოგიერთი ეტაპი. თავისთავად ცხადია, რომ ეს მეთოდოლოგიური შენიშვნა საქართველოს კომპარტიის ისტორიასაც ეხება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტს გადაწყვეტილი აქვს საფუძვლიანად გადაამუშაოს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები. ჩვენს ისტორიაში საკმაო რაოდენობითაა თეთრი ფურცლები, გადასაწყვეტი პრობლემები. ვფიქრობთ, ჩავატაროთ რამოდენიმე დისკუსია, რომლებიც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და განმტკიცების საკითხებს შეეხება. რამდენად სასარგებლო და ეფექტურია თავისუფალი განხილვისა და საპირისპირო შეხედულებების თამამად გამოთქმის გზა, ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენს ინსტიტუტში ახლო წარსულში ჩატარებულმა დისკუსიამ საქართველოში მარქსიზმის გავრცელების ზოგიერთ საკითხზე, რაც ფუნდამენტური მონოგრაფიის შექმნითა და გამოცემით დაგვირგვინდა.

გარდაქმნა და დემოკრატიზაცია საზოგადოებათმცოდნეობის განვითარებაში წარმოუდგენელია შეუზღუდავი დისკუსიების აზროვნებისა და ძიების სრული თავისუფლების გარეშე.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სულიერი ცხოვრების დემოკრატიზაცია სრულებითაც არ ნიშნავს იდეურ-პოლიტიკურ პლურალიზმს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ დამთმობლობასა და მასთან მშვიდობიან თანაარსებობას. ასეთი თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ლენინიზმის პრინციპებსა და

ჩვენი პარტიის ალმზრდელობითი მუშაობის ტრადიციებს. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, კომუნისტური მრწამსი ვერ დათმობს თავის მონოპოლიას. შემთხვევით როდი აღნიშნა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა, რომ დემოკრატიზმის პროცესს სოციალური დემაგოგებისა და მოლაყბეების გარდა შეიძლება მიეტმასნონ სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტებიც.

სავსებით სამართლიანი იყო შენიშვნა იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ისტორია იწერება ჯერ კიდევ მშრალად, უემოციოდ, ამიტომაც არ ჰყავს მას მასობრივი მკითხველი. ჩვენს ინსტიტუტს გადაწყვეტილი აქვს საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების გამოცემის მომზადებისას მოიზიდოს მწერლები და პუბლიცისტები იმ მიზნით, რომ მეცნიერულ სიღრმესა და სიზუსტეს შევუხამოთ თხრობის მიმზიდველობა და ხატოვანება. საზოგადოებრივი მეცნიერებისა და მწერლობის ასეთი თანამშრ[illegible]-ოდ ნაყოფიერი იქნება. [illegible] ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში კომკავშირის XX ყრილობაზე.

გაივლის კიდევ მრავალი წელი და თუ კაცობრიობას გადარჩენა და პროგრესის გზაზე ახალ, უსაფრთხო და ბედნიერ მიჯნაზე გასვლა უწერია, კიდევ უფრო მკაფიოდ და რელიეფურად გამოიკვეთება ოქტომბრის რევოლუციის სიდიადე და უკვდავება. ჩვენი შთამომავლობა კიდევ უფრო დიდ პატივს მიაგებს მათ, ვინც პირველად აღიმაღლა ხმა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ვინც შეეწირა მშრომელი ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას.

დევი სტურუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

## ვუსმენ ორატორებს

საჯაროობაზე, გარდაქმნაზე
ასჯერ გარდაქმნილი ქადაგებს,
ისვრის ტრიბუნიდან მატრაბაზი
ჩემი მისამართით ქამანდებს.

— დიახ, მართალია! — ემოწმება
ძმა და თანაშემწე პაწია,
ვისაც არავისი ემორცხვება,
რადგან არაკაცის კაცია.

ვუსმენ ორატორებს ყურადღებით
და თუ ანათემას გადავრჩი,
დავით კაკაბაძის სურათივით
ველარ ჩამალპობენ სარდაფში.

## თერგისპირელი ობლები

მამას მოელის ორი პატარა,
ორი პაწია ღმერთი მეომრის,
მათ გასაჭირში ბრძოლით გატანა
ჯერ არ იციან ერთიმეორის.
არ დარჩენიათ სხვა არჩევანი,
საფლავის ახლო ერთად იცდიან —
მათი იმედი და მარჩენალი
როდის ამოვა დედამიწიდან?..
ორი ყვავილის მამა დამარხა
ყაყაჩოსფერმა ნაჭრილობარმა,
როსღა ამოვა?.. აქვე ამალამ
რომ გააგრძელონ დაჭერობანა...
რაა საწუთრო — განა იციან
უწლოვანობით თანასწორებმა,
სამაგიეროდ კარგად იწვნია
ადრე წასულმა — რაა ცხოვრება.
შემოძარცვია კაბა გოგონას,
ბიჭს დაფლეთია ძველი შარვალი,
შერიგებიან ამაყ ობლობას
სიშიშვლე, ცრემლზე ძნელდასამალი.
რა ეშველებათ, ბრძოლით გატანა
თუ ვერ ისწავლეს ერთიმეორის?
მიწას ჩასცქერის ორი პატარა,
ორი პაწია ღმერთი მეომრის.
მიწაც რა მწარე, რა უტკბესია,
სადაც დაუხნავს ომს ყამირები,
ცხელი ტყვიები დაუთესია
და ამოსულან ეს ყვავილები.

## პიონერები სტოვებდნენ ბანაკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები უკრავდნენ საყვირს
ძველი ბანაკის აყრა-აშლისას;
უდარდელობა პატარა ხალხის
მიმანიშნებდა რაღაც საშიშარს.
პიონერები სტოვებდნენ კარვებს
დაუზარებლად და უზრუნველად,
ეგონათ — ძმობა ბანაკის გარეთ
გაგრძელდებოდა დაუსრულებლად.
მეც მახარებდა უწინ უთვალავ
ტოლთან ლაშქრობა, დაბანაკება,
ბოლოს ვერც ერთი განწირულთაგან
ვერ დავიხსენით ამხანაგებმა.
პიონერები აქრობდნენ კოცონს
და ქარს მიჰქონდა ხმა ყრიამულის,
ხვალიდან მარტო და უსიცოცხლო
კარვებს სიცივე ტანში დაუვლის.
პიონერები სიმღერით წავლენ,
აემგზავრებათ დარდი მშობლისა,
როგორც მეისრის ალამი მწვანე,
წაჰყვებათ ჩემი „გზა მშვიდობისა“.
გამიათდება სადარდებელი,
დავედევნები დღეებს სანუკვარს,
ვერც ერთ სადგურთან მატარებელი
მათი საყვირის ხმით ვერ დაუკრავს.
შემოდგომისას შევრჩები ქარში
შრიალა ქვიშხეთს, სადაც ზარებმა
დიდი მწერლისთვის დარეკეს მარში
სულ სხვა ბანაკში გასამგზავრებლად.
მას არ უხმობდა სპილენძის მილით
ხმა — პიონერულ ჰანგად დაძრული,
და არც მალავდა დამცინავ ღიმილს
მელოტით ქოჩორგადახანძრული.
არ დამრჩენია სხვა მოგონება...
ვიცი, ძმებივით, ისიც განქარდა.
ასე ელმავლის ჩამოქროლებამ
გამიცამტვერა ფიქრი ბაქანთან.
და ბოლოს, როცა დადგება რთვლობა,
გაჩნდება სულ სხვა სითბო, ფერები,
მყუდრო სავანეს დავტოვებ ობლად,
როგორც თეთრ კარვებს — პიონერები.

## აპასიონატა

I

უკრავს ზეხმოვანი ალზევებით
რიგი ლიტავრების, დაფდაფების
და მათ, დარეკილი ზარებივით,
ვიოლენჩელოთი გადაებმის
ცისკენ ალმავალი ზარ-ზეიმით
აპასიონატა დაბადების.

ყრმა ჯერ პირველყოფილ, უმარტივეს
ბგერებს ეფერება — საყვარელი...
სიზმრებს „ნანინათი“ უნამდვილებს
ნელი მიმორწევა საქანელის,
ზეზე წამოფრენას უადვილებს
კრინი-ჩასაბერი საკრავების.

ბალღი ყმაწვილდება, ქლერენ
ვიოლინოები გაბმით,
დილა, სალამურის მერე,
მოდის ფლეიტების ბანგით.

ლხინი დაფდაფებმაც გაახურეს,
როგორც ჰობოებმა, ყამილებმა,
გრილი კლავიშები გაზაფხულის
ბგერებს აფეთქებენ ყვავილებად,
გენი — გენიოსად ჩასახულის —
ხმათა არტახებში ყალიბდება.

როკავს ანგელოზთა წყება,
ფერხულს კლარნეტებით უვლის,
არფებს ორღანოთი ჰყვება
ჰიმნი შემოქმედი სულის.

ცეკვით წამოსული საკოცნელად
წყარო ლურჯტონება ფაგოტების
ყმაწვილს დაარწყულებს, გაოცდება
შუბლზე დაძარღვული საგოდებლით,
რომლის ნაკადებად გადმოქცევას
უკვე აპირებენ აკორდები.

II

მაგრამ ახლოვდება განსაცდელის
ხმები კორნეტებით, ვალტორნებით:
— ყველა, სათითაოდ წასასვლელნი —
შავეთს წაშავდებით მარტოები;
თქვენი საწუთროა გასახსნელი
კვანძი ურთულესი განტოლების.

გუგუნს ჰობოისას ცვლიდა
მოთქმა ციმბალების სიმთა,
ურვა მოქუფრული ციდან
მწუხრის ტონალობით წვიმდა.

წმინდა ჩქერებივით გადმოხეთქილ
ხმებში სიხარულიც დახვავდება:
— დიად ასპარეზზე გამოხვედით
მედგარ მედროვეთა გასახედნად! —
ზღვა ხალხს ახარებდა ამბოხებულ
ხმათა დირიჟორი ახალბედა.

უკვდავს უბრწყინავდა ხიბლად
სულის წიაღიდან ეშხი,
როგორც წუთისოფლის ხიდან
თმებში ჩაცვენილი ლეშხი.

წლების ჩამორეკვა, წამებივით,
ძალუძს უსაშველო გატაცებას,
როცა სიყმაწვილის წამლეკველი
ურჩი სიჭაბუკე დაკაცდება,
დგება შუახანი მწვალებელი —
სულ სხვა სიცოცხლეში გასაქცევად

შემდეგ შემოდგომა მოდის —
ტალღებს აგრიალებს თუ ქარს?
არა, ლაბრადორის ლოდის
ლანდი როიალზე უკრავს.

III

მპყრობელს ბუმბერაზი სახეების,
ღმერთს და კომპოზიტორს აყრუებდა
ქუჩის ძაღლებივით საყვირების
ავისმაუწყებლად აყმუვლება
და არ ატოვებდა დალვინების
ჟამი უმოქმედო მაყურებლად.

მისთვის ულმობლამო ფერიც
იყო აელერება წამთა,
რადგან თითოეულ ბგერის
ძლევამოსილება სწამდა.
ღვთიურ საგალობლით მოულხენებს
იგი სიმღერისკენ გადმოხიზნავს,
რისხვით მეფისტოფელს მოუღერებს
ლირას, უკუნიდან გამოხსნისას,
და ხის საკრავებით მიუმღერებს
სამანს უხილავი სამოთხისას.

ქნარით აცოცდება ვაზი
კლდეზე, უხსენებლის ნაცვლად,
წლობით გაღვივდება აზრი
სიბრძნის მუსიკალურ მარცვლად.

ოღონდ ატეხილი ზარ-განგაში
ველარ ჩააჩუმეს ორკესტრებმა:
— თუ რამ სასწაული გადაგარჩენთ,
შვება ვერასოდეს მოგესწრებათ,
რახან მეორდებით ჟამთასვლაში,
თქვენი სივაგლახეც ორკეცდება.
მარტო სიძულვილი შეგიძლიათ,
რადგან უძლურება გაბოროტებთ!
სული ბახუსისთვის შეგიწირავთ —
ვისი მოციქულნიც გპატრონობენ,
დღემდე სამოსელი შეგიცვლიათ,
ადამიანებო, მარტოოდენ.

IV

ქუხდა მეამბოხე სამყაროსებრ
ჰანგი ჩასაბერი საკრავების
და ცის გარინდებულ კაბადონზე
ეჟვნებმოწკრიალე ნაკვალევით
მთვარე მიუძღვოდა ალბატროსებს
ხმათა ნაპრალებში ლამპარივით.

თალხი რიბირაბო დაღლილ
მამლებს აყივლებდა რიდით,
ღამეს მიარღვევდა ხალხი
ჯანყის გასისხლული რიტმით.

ზღვაებრ აზავთებულ ენერგიას
ბოლო აკორდების აბორგებით
უნდა სიმაგრენი შეენგრია
სულის დამბორკველი დამდოვრების
და რაც უმაღლესი ბგერებია —
სიღრმე გამოსცემდა ტრამბონების.

მიაგრიალებდა მთა-ბარს
ძლევის ძალმოსილი მარში,
მიაშრიალებდა ფაფარს
ბრძენი, თმებჭაღარა ბავშვი.

ხმები იმსხვრეოდა ბუკ-ნაღარის,
ჰქდნენ ორკესტრები — ზეხმოვნები;
შედგა შემოქმედი შუბლმაღალი:
— ადამიანებო, გეთხოვებით! —

აწმყოს შემოდგომის შუაღამით:
ემშვიდობებოდა ბეთჰოვენს

ბოლოს, გატეხილი საკუბოედ,
თავად უკვდავებაც გააწბილეს —
სულის სიახლისთვის დაღუპული
ღმერთი გაუტოლეს გარდაცვლილებს,
მაგრამ გრაალამდე ზარგუგუნით
იგი გრიგალებმა გააცილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა დონჯაშვილი

# გონჯაურა

## რომანი

* * *

მიდის ზემდეგი. უკვირს, ამდენი ხანი ფრონტზეა და აქამდე თურმე არც საფრთხე, არც ნამდვილი სიძნელე შეხვედრია და არც შიში განუცდია. როგორ იარა და როგორ მივიდა დავალებულ „პაემანზე“, ეგებ ოდესმე გაახსენდეს, ახლა კი, იმ ბოროტ და გაუვალ გზაზე მხოლოდ ორიენტირები ახსოვს. ერთხელ უკვე განცდილი ჭანჭრობის ფიზიკური შეგრძნება ზარავს და შიში ეუფლება, გზის აცდენას მტრის ასეულთან შეხვედრა ურჩევნია. მერე ისევ სძლევს შიშს. ხომ გაუვალია აქ ადამიანს და რუკაზე აღუნიშნია ეს ორიენტირები, მაშ გავლა შესაძლებელი ყოფილა!

და მიდის ზემდეგი, თვალით, ხელით, სმენით, ყნოსვით, ალღოთი ეძებს ადამიანის ნაკვალევს, ეძებს ორიენტირს. ისინი შუქურასავით გაუნათებენ ხოლმე ბნელეთს. გასცდება იმ კეთილ შუქურას და ისევ ეძებს მიწაზე ფეხისმოსაკიდებელ გოჯს. ო, რა ძნელია ამ ერთი გოჯი მიწის ძებნა. სად არის მიწა, ლალანა ხავსურით, მანანით, საფლობი ნაირბალახოვანით ვერაგულად შენიღბულ ჭანჭრობებში, მაცდურად ამწვანებულ, უკვლოდ მშთანთქავ ტბორებს შორის?!

გასცდება ორიენტირს და ისევ ლაქაშის ან ლერწმის შამბები, ყოლოს, მაჯაღვერის, გრაკლის, მოცხარის დახლმული ბუჩქები, ისევ ორიენტირი და მერე ისევ ძაფივით დახლართული მანეულით, ისლით, წნორნარით მოდებული ჯუჯა ფიჭვნარი, შიგადაშიგ არეული ქარქვეტით, ტყისცოცხით, ისევ გველ-ბაყაყების, ჭოტების, ღამურების ბოროტი სამყარო...

მიდის ზემდეგი. ღმერთმა იცის, როგორღა მიდის. ღონე დაელია. შხამიანი ჰაერი მკერდს უგლეჯს. საფეთქლებზე სისხლის ძარღვები ასკდება. სახეს, კისერს, ხელებს კოღოები უღრღნიან, თვალებში, ცხვირ-პირში უცვივიან, მაგრამ ხედავს ორიენტირს და შორიდანვე ულიმის: „შენ ხომ იმიტომა ხარ, რომ მე დამეხმარო. შენ თუ დამეხმარები, რატომ ვერ ვივლი? უნდა ვიარო, უნდა მივაღწიო დანიშნულ ადგილს .აუცილებლად უნდა მივაღწიო...“

და მიდის. ფიქრიც აღარ ძალუძს. ხავერდივით დაფენილი ნაირბალახოვანი სულ უფრო დაჟინებით იწვევს, ნეტარებას პირდება, და მუხლები ლამის ეურჩონ, ლამის მიჰყვნენ ანდამატივით მიმზიდველ ცდუნებას...

მიდის, დამძიმებული, დასიებული ქუთუთოები წარამარა ულობავენ თვა-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს. და არა სჯერა, რომ ნამდვილად [illegible] ჭანჭრობ [illegible] დაზნექილ ტოტებით ერთმანეთთან შეწნულ სამ იფანს და შავი ხის განშტოებაზე ამოჭრილ მტრედს...

მაგრამ ირგვლივ რომ არავინა ჩანს?! ძე-ხორციელის ნასახი არსაით არის. მხოლოდ კოლო-მუმლის ზმუილი და ქვეწარმავალთა ფაჩუნი ისმის. ვინ იცის, ამ სატიალოში რამდენია დახამებული იფანი? და ვინ იცის, რამდენ ხეზე ამოჭრა მტრედი ვინმე ვერაგის ხელმა? ნუთუ ასე უსარგებლოდ ჩაკვდება გონჯაური ამ ბოროტსა და ბნელ სამყაროში?

და სიფრთხილე გადაავიწყდა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, შეშფოთებით დაიძახა პაროლის პირველი კითხვა:

— პეი-ი, რომელი ხარ, ხმა გამე, დღეს რა რიცხვია?

— ბიძაშენის მამულში ხო არ გგონია თავი, რა გაყვირებს? — შეუტია ვიღაც უჩინარმა.

„მოვსულვარ...“ — ველარ მოასწრო გახარება ზემდეგმა, ვერც ფიქრი დაასრულა, როგორღაც უხერხულად დაიგვერდა და იფნის ძირთან დაეგდო.

...უსიამო ჟრუანტელმა გაალვიძა. ტანისამოსი ნამიანი ჰქონდა. სუნთქვა უჭირდა. ჭრილობები ვაგლახად უკვნესოდნენ. გაჭირვებით აახილა თვალები. გვერდით თავისი ჩექმები დაინახა, გარეცხილი და გაწმენდილი. ხეზე მისი ავტომატი და ჩანთა ეკიდა. მერე ბიჭი დაინახა. პინკა, ქონდრისკაცი, მოჩვენება კი არა, ნამდვილი, ცამეტიოდე წლის ბიჭი, თეთრწითური და ყვითელთვალება. დახვრეწილი კეპი კეფაზე ჰქონდა მიგდებული. თავთით ეჯდა და კონად შეკრული იფნის ტოტებით კოღოებს უგერიებდა.

—აა, გაიღვიძეთ? — წამოხტა ბიჭი. თამამი ჩანდა, ცოტა მოთავხედოც კი. კეპი შეისწორა, თითებით შეამოწმა ზედ დამაგრებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი, და ნემსის წვერებივით მჩხვლეტავი გუგებით მიაჩერდა. — აქ მობრძანებისას თქვენ რაღაცა ჰკითხეთ, რის გაგება გსურდათ?

— მინდოდა გამეგო, [illegible]?“

— „გაიხსენეთ საყვარელო თარილი!“

— კეთილი, გავიხსენებ, მაგრამ თუ მეტყვი „როდის გათენდება?“

— „როცა ბულბული სტვენით დაიღლება!“

— შენ ყველაფერი გცოდნია! მაშ ეგებ ისიც მითხრა, „სიკეთე როდის იზეიმებს?“

— როდის და, როცა „სიბოროტე დაისჯება!“

— ყოჩაღ შენ! მაშ, მოიტა ხელი,— რატომღაც გამხიარულდა ზემდეგი და თავიც უკეთ იგრძნო.

— თქვენი ძახილი რომ გავიგონე, მე ჩემი ტოლი მეგონეთ, — მოიბოდიშა ბიჭმა, მაგრამ იმავ წამს სახეზე საყვედური დაეწერა: — აქ დაძინება არ შეიძლებოდა, ჭანჭრობის შხამი ღამით მიწას ეგება, ახრჩობს ადამიანს, დავილალე თქვენი ნჯღრევით!

— მაპატიე, ძმიკო, მეც ცოტა დაღლილი ვიყავი და უცებ დამეძინა.

— „ცოტა დაღლილიო“, — ჩაიფხუკუნა ბიჭმა.

— რა ახალგაზრდა მეკავშირე ჰყოლია თქვენს რაზმს?!

— დიახ, სწორედ ჩემისთანაა საჭირო! მე ხეზეც ციყვივით ავხტები, მიწაშიც თხუნელასავით ჩავძვრები, ჭაობზე ყანჩად ვიქცევი, ბარდებში ხვლიკივით გავსრიალდები...

— მოიცა, მოიცა, ნუ აზვიადებ!

— რას ვაზვიადებ, ეს ხომ გართობასავითაა! მე ნამდვილ საქმეებსაც მანდობენ, იმაზე სიტყვასაც ვერავინ დამაცდევინებს.

— კარგი, ნუ ჯავრობ, მითხარი, შენი რაზმი შორს არის?

— სხვისთვის შორსაა, მე კი ხელით მივალ ,რა გადავცე?

— რიცხვები: 18, 7, 22, 00.

— აა, მივხვდი: 18 ივლისი, საღამოს ათი საათი ნოლ-ნოლ წუთი, ესე იგი, ხვალ საღამოს! არის გადავცე, ამხანა-

გო... სამხრეებზე ნიშნები რომ არ გიქეთიათ, არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, იქნებ თქვენ კაპიტანი ხართ?

— არა.

— მაიორი?

— არა.

— მაშ თქვენ... — ბიჭი სარგადაყლაპულივით გაიჭიმა.

— გენერლობას ცოტაღა მაკლია, უკვე ზემდეგი ვარ.

— ზემდეგი-ი... არა უშავს. რა, ეგეც ზორბაა! მე ყველაზე უფრო ზემდეგები მიყვარს, ღმერთმანი!

— ძალიან სასიამოვნოა. ეხლა შენ მითხარი, რა გქვია, ვისი ხარ, სადაური ხარ?

— შინაურობაში ლიოშკას მეძახოდნენ, ალექსეი ბოგდანოვიჩი ბოგუჩაროვი ვარ. სადაურიც ვიყავი, იქ ქვა ქვაზე აღარ დარჩა. ვისიც ვიყავი, აღარა ვარ, აღარ არიან...

— ეგ დაღვრემილობა კი არ გიხდება, ალექსეი ბოგდანოვიჩ, მოდი ცოტა წავისაუზმოთ და საქმეს მივხედოთ, ჰა, რას იტყვი?

— კარგი წინადადებაა, და საერთოდ, თქვენ...

ბიჭმა სათქმელი აღარ დაამთავრა, ზემდეგის მუხლს გამეტებით დაჰკრა ხელი და ახტა, ცხვირსახოცში გამოკრული საგზალი ჩამოიღო ხიდან.

— ეგ შეინახე, ჩემი ჩანთა გახსენი, — უთხრა ზემდეგმა.

— არა, თქვენ ჩანთას ხელს ნუ ვახლებთ, — დინჯად და სერიოზულად თქვა ბიჭმა.

— რათა? — ეწყინა ზემდეგს. ეწყინა, რომ ამ პატარა ბიჭმა თავშენახულობა დასწამა.

— იმიტომ რომ... აქედან რომ წახვალთ, თქვენ ბევრ დამწვარ-დანგრეულ სოფელს გაივლით, დამშეულ ბავშვებს შეხვდებით...

ზემდეგმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და მოგვიანებით უთხრა:

— ჰო, კარგი, შენი ბოხჩა გახსენი.

ბიჭი დაფაცურდა.

— ეს ღორის ქონი ჩვენმა რაზმელებმა დაამარილეს, ჭამით ვერ გაძღებით, კაცი, ზორბაა, არა?

— რაც მართალია მართალია, ზორბაა.

— ეს ორცხობილაც ჩვენი ქალების ნახელავია. თუ კბილები მაგარი გაქვთ, ლამაზად ჩააკნატუნებთ.

— სწორედ საჩემოა. აბა, ალექსეი ბოგდანოვიჩ, ამას თუ მიირთმევთ? — ნეჩაევის მოცემული მოკოლადი გაუწოდა ზემდეგმა.

ეს ცდუნება კი ვერ დაძლია ბიჭმა, ფილა ულაპარაკოდ ჩამოართვა, სიამოვნებისაგან მილულული თვალებით მოსუნა და ისევ აუშვა ენა:

— გგონიათ გამიკვირდება? ჩვენ რაზმში, რა გინდა თვალო და გულო, ყველაფერი გვაქვს. იჯექი არხეინად და თუნდა ჩიტის რძე მოითხოვე, არა გჯერათ? ჩიტის რძე მიქარვაა და მეტი არაფერი, რა კაცების საქმეა? აი ტკბილი კვერი და გოგლიმოგლი მესმის! ირგვლივ ბათქა-ბუთქია, ფრიცები დარწიან, შენ კი ფაფუკ ლოგინში გაშოტილხარ და გოგლიმოგლს მიირთმევ. ზორბაა, არა, ამხანაგო ზემდეგო?

— რა თქმა უნდა, ზორბაა...

— გატყობთ, არა გჯერათ! თქვენ ალბათ მე ცრუპენტელა და მკვეხარა გგონივართ.

— სცდები, ამხანაგო მეკავშირე, მე თავიდანვე დავრწმუნდი, რომ შენ ყოჩაღი ხარ, ნამდვილი ვაჟკაცი.

— თქვენ უფრო ნამდვილი ყოჩაღი ხართ! ჩვენმა რაზმელებმა თქვეს, ამ გზით ეშმაკიც ვერ მოაღწევს ჩვენამდეო. მე ისე, ყოველ შემთხვევისათვის გამომგზავნეს.

— ილოცხლონ შენმა რაზმელებმა შენი აქ გამოგზავნისათვის!

— მართლა გიხარიათ? — გაუბრწყინდა ბიჭს სახე.

— აბა შენისთანა ბიჭს სხვაგან სად შევხვდებოდი?

ბიჭს სახეზე ალი მოედო, ჭორფლი ნაპერწკლებივით გაულვივდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჩანდა, ეუხერხულებოდა.

ზემდეგი წამოდგა,

— ეხლა კი, ალექსეი, ჩვენი გაყრის დროა. ბარემ გეთქვა, რის თქმაც გინდოდა.

ბიჭი, ჩვეულებრივი პატარა ბიჭი იდგა და დაგლეჯილი ჩექმის წვერით მიწას სჩიჩქნიდა. ძლივს გაბედა:

— მინდოდა მეთხოვნა... ამხანაგო ზემდეგო, თუ თქვენ გინდათ, სახსოვრად დამიტოვეთ რამე!

ზემდეგმა ჯიბეები მოიჩხრიკა, გადმოიბრუნა, ქირის ოფლში გაევლო კაცი, ვერაფერი აღმოაჩინა. ბოლოს, უბიდან თხელი პაკეტი ამოიღო.

ბიჭმა სწრაფად წაატანა ხელი პაკეტს და გახსნა. გრიუზათმიანი ბიჭუნას ფოტოსურათი იყო.

— oო, თქვენი შვილი! როგორა გგავთ! საოცრადა გგავთ! — დაიძახა და თავი ასწია, ზემდეგს დააკვირდა, მერე ისევ სურათს დახედა: — ეს არაფერია, თქვენსავით ლამაზი რომ არ არის. მამაჩემიც ლამაზი იყო. მე კი არა ვარ ისეთი... თქვენი შვილი ჯერ პატარაა, გაიზრდება და იქნებ მაშინ გახდეს თქვენისთანა.

ბიჭმა ახლა წალმა-უკუღმა დაატრიალა სურათი და ხატულას ხელით წარწერილს მიაგნო:

— სანდრა ალექსეევიჩ რჩეულიშვილი! აა, მაშ თქვენც ალექსეი ყოფილხართ?! ეს კი მართლაც ზორბაა! ალექსეი... კარგი სახელია არა? აქ მისამართიც სწერია, უცებვე გიპოვნით! ომი გათავდება და მაშინვე მოგძებნით. ამხანაგო ზემდეგო, შეიძლება მოგძებნოთ?

— ომის დამთავრებას რაღა-ლა უნდა უცადო, შენ შენი ვალი ჭარბად მოგიხდია. ეს დავალებაც შეასრულე და წადი ირმისში. ამ ბიჭის ძმა იქნები, მე რომ ჩამოვალ, ორნი დამხვდებით.

— ოჰ, ეგ ძალიან ზორბა იქნებოდა, ისევ მეყოლებოდა ძმა, ერთად დაგხვდებოდით... მაგრამ ცოტა უნდა მოვითმინო. მე ძალიან ვჭირდები ჩვენ რაზმს, და... მე ბოლომდე უნდა ვდიო ფაშისტებს...

ზემდეგს ლაპარაკი არ შეეძლო. შუბლზე აკოცა და სწრაფად განშორდა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენი ჭორ-ბოროტის გადამტანი კაცი უჩვეულოს რაღას უნდა შეეპყრო, და, მაგრამ შეეყარა. დარბეულ-გაცამტვერებული სოფლებისა და ქალაქების სათვალავი დიდი ხანია დაეკარგა, მაგრამ ამ ნასოფლარის დანახვამ შეაძრწუნა. ეგებ იმიტომ, რომ უდაბნოსავით უნაყოფო და უკაცრიელი, უპატრონო მომაკვდავივით იყო მიგდებული და ზენიტს მიღწეულ მცხუნვარე მზეს ჩრდილიც კი წაერთმია მისთვის. ან ეგებ იმიტომ, რომ გიგანტური ნგრევით დაობლებული ლიომკას სახე, შურისმაძიებელი ბავშვის დაუმთავრებელი კვნესა სდევდა თან...

სადღაცა შორს რაღაცა ბოლავდა. ცხელ, უმოძრაო ჰაერში ბოლო თალხი სუდარასავით ეფინებოდა მიწას. ნასახლარებზე საფლავის ქვებივით იდგნენ შავად აწოწილი საკვამურები. აქა-იქ შერჩენილ ბოძებს დასეული ყვავ-ყორნების მაძღარი ჩხავილი ლურსმანივით ეჭედებოდა მკვდარ სიჩუმეს, და ბოძებზე ჩამოკიდებული ადამიანები ამოცარიელებული თვალის ბუდეებით იყურებოდნენ წართმეულ სამყაროში.

ნელა მიდიოდა ზემდეგი. ფეხს ფრთხილად აბიჯებდა. ეგონა, მისი სიმძიმე ტკივილს უმწვავებდა წამების ჯვარზე გაკრულ მიწას. ფეხაკრეფით მიდიოდა, თითქოს ადამიანთა ბოროტებაზე გამოტანილ განაჩენს უსმენდა. მიდიოდა, ხშირ-ხშირად ისვენებდა. ფიქრი რომ შესძლებოდა, ინანებდა ამ „იოლი" გზით წამოსვლას, ინანებდა, რომ ისევ იმ ბნელეთით არ ირჩია დაბრუნება.

მაგრამ არაფერს არა ფიქრობდა. ჩამონგრეულ კედელთან იდგა და რაღაცას უსმენდა. გვიან მიხვდა, რომ ადამიანის ხმას უსმენდა. ქალის სუსტი და ალერსიანი ხმა ესმოდა. უფრო გვიან სიტყვებიც გაარჩია, და ბოლოს იმ სიტყვების მნიშვნელობას მიხვდა.

— არ გინდა, მტრედო, ეს არ იჭმევა, ჩემო პატარავ. ეს აი აქ, მიწაში ჩავდოთ .ზევიდანაც მიწა დავაყაროთ.

ცოტა მოითმინე, სულ ცოტაც და ერთის ნაცვლად, ოცი გექნება, ოცი დიდი, ლოყაწითელი ვაშლი! მომეცი, მტრედო, ამაში სიკვდილის დამალული. შენ ხომ იცი, ფრიცმა ხმ ვაშლებში სიკვდილი დამალა. არა სჭამო, ჩიტო. მომეცი, აი აქ ჩავდოთ და მიწა დავაყაროთ...

კედლის გადაღმა ზემდეგმა ორნი დაინახა.

ქალი ტარმოტეხილი ბარით ულონოდ სჩიჩქნიდა მიწას. ბავშვი თავისი ხალათის კალთაში ჩალაგებულ ვაშლებს დაჰყურებდა, თითოს იღებდა და პირთან მიჰქონდა. ქალი მას მიწიან ხელს თავზე უსვამდა, ალერსიანი ძალდატანებით ართმევდა ვაშლს, ორმოში სდებდა და ზედ დაყრილ მიწას ფეხით სტკეპნიდა. ქალის და ბავშვის ჩამომჭკნარ სხეულს, ჩანაოჭებულ სახეს ასაკი არ გააჩნდა...

უცნაური წამი წამოეწია ზემდეგს. ომის არაადამიანური ბოროტება მიწის იმ ერთ ადგილს დაატყდა უცებ. ქვეყნიერების წალეკვით დამუქრებული შხამიანი ნიაღვარი იმ მოწამლულმა ვაშლებმა ჩაიტია. მილიონების ტანჯვამ ამ ასაკწართმეული ბავშვის და ქალის სახე მიიღო... და ჯვარცმული მიწა, ბავშვი და ქალი, საკვამურები, ნანგრევები, ყორნებდასეული ბოძები — ყველაფერი ერთმანეთს შეერია, აინთო, ცეცხლოვანი ბორბალივით დატრიალდა, ცას აასკდა, მერე ისევ მიწას დაეხეთქა. უთვალავმა ნაპერწკლებმა თვალები ამოუწვა ზემდეგს...

წუთები გარბოდნენ. ნელა უბრუნდებოდა გული საგულეს და ჩინი თვალებს. სიბრალულის ტკივილით დაგლეჯილი სხეული უთრთოდა. არა გრძნობდა, რომ ღრმადჩავარდნილი თვალებიდან ჩაშავებულ ლოყებზე ცრემლი ელვენთებოდა.

— არ გინდა, შვილიკო, შიგ სიკვდილია ჩამალული. ხომ ნახე, ნიკოლკამ არ დაუჯერა დედიკოს და მოკვდა. ცოტაც მოითმინე, მალე ჩვენებიც მოვლენ და შენ გექნება ოცი წითელი ვაშლი...

ქალის ოდნავ გასაგონი ხმა შეუბის წვერივით ლადრავდა ზემდეგის სმენას/ მან ჩანთა მიწაზე დააგდო, [illegible] იქვე დადო და დედა-შვილს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დანახვაზე ქალმა ხმადაბლა შეჰკივლა. მანამდე ულონომ, ბარი ლონივრად მოიღერა და ბავშვს აეფარა. ბავშვმა კალთას ხელი უშვა და მკლავებით დედის წელი შემოსალტა.

— მე მტერი არა ვარ, — თქვა ზემდეგმა. განრისხებული სახე ნათქვამს არ უდასტურებდა, მაგრამ მან ეს არ იცოდა, ხვეწნით იმეორებდა: — დამიჯერეთ, მტერი არა ვარ, არა, არა...

ქალმა მძიმედ დაუშვა ბარი.

— ჩვენი ყოფილა, სერიოჟა, — წაიჩურჩულა და უასაკო სახეზე თვალები ლურჯად აუკამკამდა.

— მაშ მამა სადაა? — შუბლქვემოდან უნდობლად გამოხედა ბავშვმა.

— მამაც მოვა, — უთხრა ზემდეგმა და არ იცრუა. სჯეროდა, რომ მოვიდოდა. უნდა მოსულიყო. არ შეიძლებოდა არ მოსულიყო. ამ ბავშვის და ამ ქალის ტანჯვას ერთი მისხალიც ვეღარ მიემატებოდა. — მოვა მამა, — თქვა ისევ, დასწვდა ბავშვს და ფრთხილად აიყვანა. მკლავზე გადაიწვინა, ბანჯგვლიანი ლოყა მის დამჭკნარ ლოყას მიადო :— სანდრო, ჩემო სანდრო...

— მე სერგეი ვარ, — ჩუმად შეუსწორა ბავშვმა. მოცისფრო ქსელით დასერილი სიფრიფანა ქუთუთოები ჩამოაფარა მშიერ, ამოღამებულ თვალებს, — სერიოჟა ვარ...

— სერგეი... სერიოჟა ხარ...

ბიჭს ღიმილის იერმა დაჰკრა. ლონიერ მკლავებზე რწევა ეამა. თვალდახუჭული მიეკრა მამის მსგავს კაცის განიერ მკერდს.

— აი ჩვენი ნასახლარი, დაბრძანდი, — თქვა ქალმა და ჩამონგრეული კედლის ძირში, ლია ცისქვეშ დაგებულ ფიცრებზე მიუთითა ზემდეგს.

ღამეა. მთვარიანი ღამეა.

სერიოჟას სძინავს. სოფლის აუზედობაზე თხრობით დაღლილ მარიას შვილის ფერხთით ჩაეძინა.

ზემდეგი წამოდგა და ნელა მიჰყვა

აოხრებულ ქუჩას. მთვარე აუფერუ-ლებდა დასაკარგავში აწეულ ცას და სადაც დასალიერი უნდა ყოფილიყო, იქაც სიცარიელეში იკარგებოდა თვალი. აქეთ-იქით გაფანტული ნანგრევების უსახო ჩრდილები დამფრთხალ ნადირებს ჰგავდნენ და უმოძრაო ჰაერში ბოლო ჩამონგრეული სვეტებივით იდ-გა აქა-იქ. სიჩუმეს დროდადრო არტილერიის შორეული ზალპი არღვევდა და მაშინ ცეცხლი, მიწიდან ავარდნილი ელვასავით ჰკვეთდა სივრცეს.

„ნეტა ვიცოდე, სად არის ჩვენი ბატალიონი...“ — ამოიოხრა ზემდეგმა. ბოღმით აღვსილი სული სხეულს უმძიმებდა. სიარული გაუჭირდა, ფეხზე დგომაც უჭირდა და გამობრუნდა, ისევ მარიას სახლის ნანგრევებთან ჩამოჯდა ქვაზე, ჩექმები დაიძრო და შიშველა ფეხისგულები მიწას დაანდო.

„ხედავთ, ხალხო, რა ბოროტება დაატყდა მშვიდობიან მიწას? — უხმოდ გამოელაპარაკა თავის თავს და მთელ სამყაროს. მაგრამ ბოროტისმქნელნი მისაგებელს ვერ წაუვლენ, ვერა!.. მარია, თუ ჩემ სიტყვას რამე ფასი აქვს, მე გაძლევ სიტყვას, რომ აი ისინი, ვისი ნაკვალევიც ეხლა შენ თვალწინ ბოლავს, ვერსად დაემალებიან განკითხვის საათს, მისწვდებათ მათ ნეჩაევის რისხვა, მისწვდებათ ლიომკა ბოგუჩაროვის რისხვაც, პარტიზანების აუცდენელი მახვილიც. ჰო, მარია, დამიჯერე, ისინი ვერ წაუვლენ მისაგებელს...“

ზემდეგი ჩაყუჩდა, მალე ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ ბურანში რაღაცა სიამე იგრძნო, ისეთი სიამე, რომ უმალვე გამოფხიზლდა, გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა.

არაფერი არ შეცვლილიყო. ისევ ანათებდა მთვარე. ისევ დაკარგული იყო ცაც და დასალიერიც. ისევ მშვიდად ეძინა სეროოგას და ძილში კვნესოდა შვილთან მიყუჟული მარია. მაშ ის რა იყო? საიდან იყო ის შვება და ის სიამე?

გაკვირვებული წამოდგა, ნაბიჯი გადადგა. კიდევ გადადგა ნაბიჯი. კიდევ ერთი. კიდევ. კიდევ... და ვინმეს რომ დაენახა მთვარით გაშუქებული კაცი, თითქოს რაღაცას დაყურადებული და გალიმებული რომ ადგამდა მიწას შიშველ ფეხისგულებს, უთუოდ გიჟი ეგონებოდა. ვინ მიხვდებოდა, რომ უხილავი ძარღვებით დედამიწა უბრუნებდა მისგან ანაბრებულ სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს, ჯანღონეს, რაც ამ კაცს დაუზოგავად ჩაელია მისთვის, ვინ მიხვდებოდა, რომ მიწის შენახული მზე ავსებდა მას...

ის აღარ იყო დაღლილი. აღარც საკუთარი სხეულის სიმძიმეს გრძნობდა. აუჩქარებლად ინაცვლიდა ფეხს, მთელ გულისყურს ატანდა ყოველ ნაბიჯს. დადიოდა, ჯერ ბოლომდე შეუცნობელ განზრახვას მიჰყვებოდა. და იმ განზრახვამ მარიას სახლის ნანგრევებთან დააბრუნა, თვალით მოაზომინა საძირკველი, ჩამონგრეული კედლები, დაანახვა გამოსაყენებელი მასალა.

„ექვსი დღე დამრჩა დასვენებისა. ჩემია ეს ექვსი დღე, ჩემი!“ — თქვა გუნებაში და სურვილს დაჰყვა, ხელენი ნებაზე მიუშვა, საშენებლად ვარგისი აგურების გადარჩევას შეუდგა.

თან ბარათი ეწერებოდა გულში:

„ხატულა, ჩემო ხატულა, იხარე და იდღეგრძელე. ირმისელები ამაყობენ შენი ქალობით, შენი დედობით, შენი ვაჟკაცობით. განა არ ვიცი? ენძელაც პატარა და ნაზია, მაგრამ დიდ ზამთარსა სძლევს და გაზაფხულს მოიყვანს ხოლმე. იხარე ჩემო ხატულა. მე შენთან ისევ ის სათხოვარი მაქვს: დღენიადაგ უნერგავდე სანდრას და სანდრასტოლა გოგო-ბიჭებს ვაზის სიყვარულს, მშობლიური მიწის სიყვარულს, აამაყებდე მისი მშვენიერებით, ნიჭით, სულის სიმდიდრით...“

ბარათი იწერებოდა, ხელები განაგრძობდნენ საშენებლად ვარგისი მასალის გადარჩევას.

* * *

იაბლონკასთან მცირე დასვენებაზე დამდგარ პოლკს კონტრდაზვერვის მაიორი მედვედევი წამოეწია. პოლკის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ლიაშენკომ იგი

თავის კარავში მიიწვია დასასვენებლად, თვითონ კი ქვეგანაყოფების დასათვალიერებლად წავიდა.

მედვედევმა წაძინება დააპირა, მაგრამ მოახსენეს, იაბლონკას მცხოვრები გთხოვთ მიიღებსო, სოფელში დეზერტირი აღმოუჩენიათო.

მოხუცს რომ მოუსმინა, მედვედევი მაშინვე ჩაჯდა ლიაშენკოს „ვილისში“, ორი ჯარისკაციც გაიყოლა და იაბლონკას მიაშურა.

მან შორიდანვე დაინახა „ახალი“ სახლი. დამწვარ-დანგრეულ სოფელში ის ერთადერთი იყო. ახალი აშენებული იყო. „შეხეთ ერთი, მამალიც კი ასკუპია სახურავზე. ჯადოსნური ძალით ხომ არ გაჩნდებოდა აქ ეს მამლიანი სახლი?! ფაშისტები გუშინ-გუშინწინ გააძევეს აქედან, გამოდის, რომ მშენებლობა ფაშისტების ბატონობისას დაწყებულა. და გამოდის, რომ ჩემთან მოსული მოხუცი ძალზე მიამიტი ყოფილა. ამის ამშენებელი ის ვიღაცა უბრალო დეზერტირი კი არაა... — იძლიერებდა ეჭვებს მაიორი მედვედევი.

იმ დღეებში მშობლიურ იაბლონკაში დაბრუნებული ადრე ლტოლვილი სოფლელები შორიდან ცნობისმოყვარეობით გაჰყურებდნენ გზას. ბავშვები კი ჟრიამულით გამოქანდნენ სახლთან გაჩერებულ მანქანისაკენ. აქა-იქ ნანგრევებში მოფუსფუსე ქალებმაც საქმეს თავი მიანებეს და დანელებული ნაბიჯით მიუახლოვდნენ მანქანას.

ზემდეგმა დაინახა, ქუდი და ქამარი ხელთ რომ არა ჰქონდა, ტანისამოსი შემოიბერტყა და კიბესთან დადგა.

მანქანიდან მაიორი გადმოხტა, სრულიად ჩვეულებრივი მაიორი. თავით ფეხამდე გაკრიალებული, ხმელ-ხმელი, სამკერდე ნიშნებით შემკული კაცი. სახეც ჩვეულებრივი, საკმაოდ ლამაზი ჰქონდა, ოღონდ სალესავი ქვასავით ბრტყელი და უგრძნობელი შუბლი არ უხდებოდა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ოფიცერი იყო, მაგრამ მანქანიდან რომ გადმოხტა, რევოლვერზე წაივლო ხელი და აშკარა უნდობლობით მიიხედ-მოიხედა. ალბათ ამის ბრალი იყო, რომ მისკენ წამოსული დიდი და[illegible] პატარა უცებ ჩაჩუმებული შეჩ[illegible]გილს.

— ვინ ხარ შენ? — უხეშად ჰკითხა მან კიბესთან მდგომ უქუდო და უქამრო კაცს.

— ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი.

— სამხრეები გადაგიყრია და აღარც წესდება გახსოვს? — უყვირა მაიორმა.

„მოგხვდა, ზემდეგო? ყველა კი არ გაპატიებს უდისციპლინობას, ყველა ოლეგ ნეჩაევი ხომ არ გგონია?!“ — უთხრა თავის თავს ზემდეგმა და ვერ შენიშნა, რომ ნეჩაევის გახსენებაზე, გაეღიმა.

„უყურეთ, იღიმება კიდევაც! — აღშფოთდა გუნებაში მედვედევი, — ეტყობა, მაგარი ზურგის იმედი აქვს, და ეტყობა, ძნელად გასატეხი არამზადაა!“ — შემიძეხი ოთახში! — ბრძანა მან.

ალექსის ეჩოთირა მისი უტიფარი მიმართვა, მაგრამ კარგად ხედავდა, ამ კაცისაგან უარესიც იყო მოსალოდნელი და უხერხული მდგომარეობიდან რომ ეხსნა თავისი თავიც და მაიორიც, სწრაფად აიარა კიბე.

მაიორი ფეხდაფეხ მიჰყვა, უნდობლად შეათვალიერა თითქმის ცარიელი ოთახი და ზემდეგის პირისპირ ისე ახლო დადგა, რომ ორივემ იგრძნო ერთმანეთის სუნთქვა.

— საბუთები მაჩვენე! — უბრძანა მაიორმა.

„რა საბუთები უნდა ვაჩვენო? ერთი საველე წიგნაკია და ისიც ნეჩაევმა დაიტოვა“, — გაივლო გულში ზემდეგმა და, ვიდრე ის ხმას ამოიღებდა, ისევ მაიორმა უყვირა.

— გადაყარე, ცხადია! აბა ერთი მითხარი, სად და როდის დაამთავრე ომი?

„აი თურმე რა მოსაჩვენებია ამ დამთხვეულს!“ — გაიფიქრა ზემდეგმა, ნაბიჯით უკან დაიხია და კბილები ისე დააჭირა ერთმანეთს, რომ ქვედა ყბა თეთრ ზოლად დააჩნდა.

— ხმა ამოიღე, სად მსახურობდი? რომელ ნაწილში?

— ვმსახურობ მაიორ ნეჩაევის ბა-

ტალიონში, ამხანაგო მაიორო, — დინჯად მიუგო ზემდეგმა და ვერ მიხვდა, უცებ რამ გააგიჟა მაიორი.

— ნეჩაევის? — მოსხლეტილი ზამბარასავით შეხტა იგი, — „ეს ჯაშუში დალუპავს ნეჩაევის ოპერაციას!“ — გაუელვა თავში და შეშფოთებამ მაჯისცემა აუჩქარა. — შენ იცი, ახლა სად არის ნეჩაევის ბატალიონი?

„მე კი მივაგნებ და შენ თავში ქვა გიხლია“, — გაივლო გულში ზემდეგმა.

— რას გაჩუმებულხარ? გეკითხებიან, იცი, სად არის ახლა ის ბატალიონი?

— მე მოვძებნი ჩვენებს, ამხანაგო მაიორო.

— ვის „ჩვენებს“, ვის? როგორ ბედავ შენ „ჩვენები“ უწოდო იმათ, ვინც სამშობლოსათვის თავს სწირავს, როგორ ბედავ? — ხმა აეჭრა მაიორს, აზრები ტამ-ფანდურივით აუხმაურდნენ თავში.

„შლეგიანია, უხეშია, მაგრამ ამაში კი მართალია. ისინი იბრძვიან და მე აქ დასვენება მოვიწყე. ეხლავე მოვტრიალდები და წავალ, მაგრამ ეს გადარეული არ გამიშვებს, საბუთებით. უნდა მოვითმინო, დაანთხევს თავის სიბილწეს და ცოტა დამშვიდდება, მაშინ ზოგ რამეს ავუხსნი და თავს დამანებებს“, — გადაწყვიტა გულში ზემდეგმა, მაგრამ...

— მუნჯობანას თამაში გადაწყვიტე? — აყვირდა ისევ მაიორი, — არაფერია, ეგ გაცვეთილი ოინბაზობა არ გამოგადგება, ამოგადგმევინებ ენას, ყველაფერს იტყვი, დაფქვავ, აქ როგორ გაჩნდი, საიდან, რა დაგავალეს იმ ნაძირლებმა „შენიანებმა“, როგორ უკავშირდები მათ, ვინ გეხმარება, ყველაფერს დაგაფქვევინებ!

ეს კი მეტისმეტი იყო! თავზარდაცემულმა ზემდეგმა უნებურად წაიწია მაიორზე, მაგრამ მყისვე დაუჭირა სადავე თავის გრძნობებს და ისე გაიჭიმა, თითქოს გაქვავდაო.

მედვედევმა ხელი წაატანა რევოლვერს. ახლა ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კარგად დაგეშილ, საშიშ ჯაშუშს წააწყდა და მზად იყო ადგილზევე გაექრო იგი, მაგრამ ისიც იაზრა, რომ ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა. ამ ჯაშუშის [illegible] საშუალებას მისცემდა ნეჩაევის მებრძოლი ბატალიონისათვის აეცილებინა საშინელი საფრთხე. ამისათვის ჯეროვანი დაკითხვა იყო საჭირო. აქ კი არა, ამდენი ხალხის თვალწინ. ის სასწრაფოდ უნდა წაეყვანა აქედან... და ამიტომ ჩქარობდა მაიორი, ცხარობდა, ასპიტდებოდა, კითხვებს ზედიზედ აყრიდა და პასუხს არ უცდიდა. ის ვერ ხედავდა თავის თავს, ვეღარ გრძნობდა, რომ მისი შეუსაბამო ამჩატება აბათილებდა მისი შეკითხვების სიმწვავეს და ამშვიდებდა ზემდეგს.

„რა უბედურებამ შემყარა ამ ცერცეტს? როგორ დავაღწიო თავი? ეგებ მაცალოს შტაბში მისვლა. იქ გაიგოს, რაც საჭიროა, სულერთია ამ დამთხვეულს მე ვერაფერს შევასმენ...“ — ფიქრობდა, ალექსი გამოსავალს ეძებდა, ცდილობდა ღელვა არ დასტყობოდა.

„ო, რა კარგად გაწვრთნილ არამზადას შევხვდი! — გულზე სკდებოდა მედვედევი. — ისე დგას, თითქოს ლალატისათვის ჯილდოს მიართმევენო. დაგაქფვევინებ ყველაფერს! ხუთიოდე წუთსაც დავკარგავ, ეგებ აქაც სასარგებლო რამ შევიტყო“, — გადაწყვიტა და ზემდეგს ოთახში დარჩენა უბრძანა, კარზე თან მოყვანილი ჯარისკაცები დაუყენა ყარაულად და თვითონ კიბე ჩაიარა, შორიახლო მდუმარედ მდგომ ქალებს მიმართა:

— რომელია თქვენში ამ სახლის პატრონი?

— პატრონები აქ არ არიან.

„ალბათ ამათი მოტყუება, მოსყიდვა ან დაშინება მოასწრო იმ არამზადამ“, — გაიფიქრა მედვედევმა და მკაცრად იყვირა:

— როგორ თუ არ არიან! — მაშ ეს სახლი უპატრონოა?

— კაცი პარტიზანებშია, დიასახლისი მეზობელ სოფელში წავიდა, — უხალისოდ უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— არც ნათესავია, არც მეზობელი?

— იმათი აი, ეს ბავშვია...

— ესა? ბიჭუნა. მოდი ჩემთან. თქვენ კი, მოქალაქენო, მიხედეთ თქვენს საქმეს, თუ დამჭირდებით, დაგიძახებთ.

მედვედევმა ბავშვი მერხზე დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და გამოკითხვა დაუწყო.

სერიოჟა იჯდა, ჩხირებივით გაწვრილებულ ფეხებს ჰაერში აქანქარებდა, ერთიანად დამაბულს, შეჭმუხნული შუბლი ოფლმა დაუნამა. ის ცდილობდა ყველაფერი თანმიმდევრულად გაეხსენებოდა, ჩქარა ეამბნა ყველაფერი, რომ უცნობი ბრაზიანი კაცი მალე წასულიყო მათი სოფლიდან.

— ძია ალექსი მოვიდა. ჩანთით გემრიელი საჭმელი მოგვიტანა, შეეშალა და მე სანდრა დამიძახა, მერე ტახტი გამიკეთა, ზედ დამაწვინა, თითონ ლუმელის კეთება დაიწყო. თანაც როგაჩოვების სახლის ნანგრევებში გზა გათხარა, დედამ იმათი სარდაფიდან წიწიბურას და ქერის ბურღული მოიტანა და მე ფაფა გამიკეთა...

სერიოჟამ ნეკი ჩაკეცა, ცოტა იფიქრა და მერე განაგრძო:

— დედამ ახალ ლუმელზე წყალი გააცხელა და მაბანავა, ქვიშით მხეხავდა, მე კი არ ვიტირე, ძია ალექსის ეგონებოდა, მტირალა ბიჭი ვარ და მე არა ვარ მტირალა. მერე ძია ალექსი კედლებს აშენებდა, დედა აგურებს აწვდიდა და კედლები ჩქარ-ჩქარა იზრდებოდა, მე ტახტზე ვიწექი, ვიცინოდი და მერე დამეძინა...

სერიოჟამ ახლა უსახელო თითი ჩაკეცა, დაისვენა და კვლავ განაგრძო:

— დედამ გამაღვიძა, ჩქარა ნახე, ჩვენმა სახლმა სახურავი დაიხურაო და მე რო ვნახე სახურავი, სიხარულით ვხტოდი და მერე ვთქვი, რო წინათ ჩვენ სახურავზე ლამაზი ყიყლიყო იჯდა და კუდს აქეთ-იქით იქნევდა. ძია ალექსიმ მითხრა, ის ყიყლიყო მალე ისევ მოფრინდებაო, და მერე ეს მერხი გააკეთა, მე ზედ დამსვა და მიამბო, აქედან ძალიან-ძალიან შორს ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობსო და იმასაც სწორედ ასეთი მერხი აქვსო, თავის მამასთან ერთად ჯდება მერხზე და მზის ამოსვლას უცდისო. ძალიან კარგი ზღაპარი იყო და მე როცა [illegible] ბიჭი მოვიდა ჩემთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოჟამ შუა თითიც ჩაკეცა და ამბის მოყოლა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ „ბრაზიანმა კაცმა" მკაცრად უთხრა:

— ზღაპრები შენ ტოლ-ამხანაგებს უამბე, მე ის მითხარი, მერე რას აკეთებდა შენი ძია ალექსი.

სერიოჟამ თავისი სამი ჩაკეცილი თითი მაგრად ჩაიჭირა მეორე ხელით და აჩქარებით განაგრძო:

— დილით რო გამეღვიძა, ჩვენ ფანჯარაში მზე იყო და კარიც ლამაზად ჭრიალებდა და ყველაზე ძალიან ის გამიხარდა, რო ღამე ყიყლიყო მოფრინდა ჩვენ სახურავზე, მერე კიდე როგაჩოვების ბაბუა ლუკიანე მოვიდა, ჩვენი სახლი დაიარა და დედაჩემს ცუდი სიტყვა უთხრა ძია ალექსიზე...

— რა სიტყვა უთხრა, არ გახსოვს?

— მახსოვს... — ჩუმად მიუგო სერიოჟამ და ცრემლი დაუგორდა ლოყაზე.—ეგ დეზერტირი აქ საიდან გაჩნდაო...

— დედამ რა უთხრა?

— შენ ავი კაცი ხარ და იმიტო ეჯავრები მთელ სოფელსო, იმიტო ბრაზობ რო მე ოთახი ამიშენაო და მე რო შენი დამალული წიწიბურა და ქერის ბურღული ავიღე ცოტა და სერიოჟასთვის ფაფა გავაკეთეო და შენ ყველაზე ცუდი ლაპარაკი გიყვარსო...

— მერე, მერე? — დააჩქარა მაიორმა.

— ლუკიანე გაბრაზებული წავიდა, ყვიროდა და თავის სარდაფს ნანგრევები ისევ მიაყარა და მე ძია ალექსის ვუთხარი, რო ლუკიანე ავი ბებრუხანაა და იმას სახლი არ გაუკეთოს და ძია ალექსიმ თქვა, სხვა სახლს ვეღარ გავაკეთებ, დრო აღარა მაქ, უნდა წავიდეო...

— სად უნდა წავიდეო?

— არ ვიცი...

— კიდევ რა გითხრა შენმა ძია ალექსიმ?

— შენ უფროსებზე არ უნდა თქვა

ეროვნული

ავი ბებრუხანაო, ძია ალექსიმ ხო არ იცოდა, რომ უფროსები ყველანიც ლუკიანეზე ავი ბებრუხანას იძახიან და მერე ამ დროს სუყველანი ჩვენი სოფლელები მოვიდნენ, ფაშისტებს რო ემალებოდნენ და ვასიუკიც, ნატაშკაც, გლებაც, სხვა ჩემი ტოლებიც მოცვივდნენ და სუყველანი ჩვენ სახლში მოვიდნენ, სინჯავდნენ და ძია ალექსის ხელს ართმევდნენ და მერე ქალებმა ჩვენ ბუხარზე სადილი გააკეთეს და როცა ისადილეს, ყველანი უფროსები თავის დანგრეულ სახლში წავიდნენ, რო ემუშავათ და ბავშვები კი ჩვენსა დარჩნენ და მერე ყველამ ერთად დავიძინეთ ჩვენ სახლში...

სერიოგამ საჩვენებელი თითიც ჩაკეცა და გაჩუმდა, თავი ჩაღუნა.

მედვედევმა თითით აუწია ნიკაპი და დაჟინებით ჩაჰკითხა:

— სად უნდა წავიდეო, დედაშენს არ უთხრა ძია ალექსიმ?

— არა...

— შეხეთ, ეს ლეკვიც როგორ გაუწრთვნია იმ ნაძირალას! — წაიბურდღუნა მედვედევმა და თითი შარვლის ტოტზე გაიწმინდა. — ჰო, თქვი, მერე რა მოხდა?

— დილას რო გავიღვიძე, დედა შინ არ იყო და ძია ალექსიმ თქვა, დედა მალე მოვაო, საჩუქარს მოგიტანსო და ჩვენ კი მანამდე მიწა დავბაროთო და მამაშენი რო დაბრუნდება, ვაშლის ხეებს დავგირგავსო, თქვენ სოფელს ხო იაბლონკა ჰქვიაო და სუყველამაც ვაშლის ხე უნდა დარგასო და ჩემი ამხანაგებიც და ყველანიც ვბარავდით და მერე ნატაშამ დაიყვირა, ვილისი მოდისო და ჩვენ სუყველანი გზისკენ გამოვიქეცით და...

სერიოგა ცრემლებს ველარ იკავებდა. ოთხი თითი მაგრად ჰქონდა ჩაკეცილი, მეხუთეს კი — კეცავდა და ისევ შლიდა, ეს მეხუთე დღე მას დამთავრებულად არ მიაჩნდა. ოდნავ გასაგონად განაგრძო:

— და თქვენ მოხვედით, დედაჩემი კი არ მოვიდა. რატო არ მოვიდა დედაჩემი? სად არი, აბა სად არი, დედაჩემი?

— თუთიყუშივით ნუ [illegible] არიო. სად არი და, ალბათ, ძია ალექსიმ გაგზავნა „საქმეზე“, დიდი ბიჭი ხარ, უნდა გესმოდეს!

სერიოგა ატირდა. ის ხომ ცდილობდა ყველაფერი ეთქვა, რაც იცოდა, ცდილობდა, რომ ეს კაცი არ გაჯავრებულიყო, მაგრამ ის ჯავრობდა. სერიოგამ არ იცოდა, რომ ის გაუგებარი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ მისი სათვალავი სწორი იყო, მაგრამ მედვედევი არ იჯერებდა, ატირებულ სერიოგას ოთხი თითი ისევ მაგრად ჰქონდა ჩაკეცილი, მეხუთეს კი კეცავდა და ისევ შლიდა:

— სად არი? აბა სად არი დედაჩემი? — იმეორებდა და ლაპალუპით წამოსულ ცრემლებს სახელოთი იმშრალებდა.

— მორჩი ტირილს! — მკაცრად უთხრა მედვედევმა და წამოდგა. გადაწყვიტა, დროს დაკარგვა აღარ ღირსო, და შეტრიალდა, ყარაულებისთვის უნდა ებრძანებინა, ტუსაღი გამოიყვანეთო, მაგრამ სად იყო და სად არა, სახლს მანქანა მოადგა.

მედვედევმა მოსული რომ იცნო, გულში მაგრად შეუკურთხა და თავაზიანად შეეგება საჭესთან მჯდომ პოლკოვნიკ ლიაშენკოს:

— მაპატიეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე იძულებული ვიყავი მესარგებლა თქვენი მანქანით, დრო აღარ იყო თქვენგან ნებართვის მიღების, სასწრაფო საქმე გამოხტა, დაყოვნება არ შეიძლებოდა.

— მე მანქანა კი არ მაინტერესებდა, პოლკი დაიძრა და თქვენ რომ არ გამოჩნდით, შევფიქრიანდი...

— ამხანაგო პოლკოვნიკო! — იჭექა ამ დროს ოთახიდან ვიღაცას ხმამ და ლიაშენკომ სიტყვა ველარ დაამთავრა, გადმოხტა მანქანიდან და წამში დასძლია სამსაფეხურიანი კიბე. ორი ყარაულის გადაჯვარედინებული ავტომატების მიღმა საოცარი კაცი დაინახა. ჯარისკაცს გიმნასტიურა ეცვა, უქამრო,

უქუდო, ურიალო იყო. შეკავებული რისხვისაგან გაფითრებული სახის ნაკვთები ქვისაგან გამოთლილივით ჰქონდა, კიდეს მომდგარი თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები სცვიოდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა პოლკოვნიკმა და იგრძნო, თავისდღეში ვერ დაივიწყებდა ამ კაცის სახეს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ გთხოვთ უბრძანოთ მაიორს, ბავშვს თავი დაანებოს, ნუ აწვალებს!

ლიამშენკომ ძლივს მოსწყვიტა მზერა იმ უცნაურ კაცს და შემოტრიალდა. მოსვლისას არ შეუნიშნავს ის, რაც ახლა უსიამოდ მოხვდა თვალში: შუბლშეკრული, მდუმარედ მდგომი ქალების ჯგუფი, მათ კალთებს ამოფარებული ბავშვები, მაიორის აჭარხლება, და ბოლოს მერხზე ჩამომჯდარი ბიჭი...

მან კიბე ჩამოიარა და მერხთან მივიდა. შიშისაგან თვალებგაფართოებული ბავშვის დანაოჭებულ სახეს ნაცრისფერი ედო და სიგამხდრისაგან გაწვრილებულ კისერზე აჩქარებით უფეთქავდნენ მოცისფრო ძარღვები. პოლკოვნიკმა ჯერ არაფერი იცოდა, მაგრამ ოთახის ზღურბლზე დანახული კაცის რისხვა უცებვე და მთლიანად გაიზიარა.

— ბიჭი, გაიქეცი ამხანაგებთან, წადი, ითამაშე, — უთხრა მან სერიოგას და ბავშვს თვალი ვერ გაუსწორა.

სერიოგა ადგა. ზურგუკულმა ნელა წავიდა სოფლელებისაკენ. წინ იყურებოდა, ოთახისაკენ, რომელშიც ძია ალექსი ეგულებოდა.

— გამაგებინეთ, რა მოხდა? — ახლა მაიორს შეეკითხა ლიამშენკო.

— ზოგიერთი მომენტის გარკვევა მინდოდა, მეტი არაფერი, — უარესად აუწითლდა სახე მედვედევს.

ისინი ჯერ მშვიდად და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მერე თანდათან გაცხარდნენ, და ხმას აუწიეს.

— რასაც თქვენ ამბობთ, მაიორო, მაგას ჯერ დადგენა სჭირდება. საიდანა გაქვთ ეგ ცნობები?

— ამ სოფლის მცხოვრებლებმა მომახსენეს.

— მაგ ცნობებს დაზუსტებ[illegible] დება-მეთქი.

— ის არც მალავს, რომ დეზერტირია, საბუთებიც გადაუყრია...

— კარგით ერთი! ჯარისკაცს რა საბუთები უნდა ჰქონოდა? თვითონ გითხრათ, გადავყარეო?

— წინასწარი დაკითხვიდან გამოირკვა და საქმის ვითარებაც ადასტურებს.

— თქვენი დასკვნები ნაჩქარევი რომ გამოდგეს?

— რაც თქვენ ნაჩქარევად მიგაჩნიათ, ეგ ოპერატიულობა გახლავთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ეგ ჩვენი მუშაობის სპეციფიკაა!

— მე მაგ სპეციფიკაში ვერ ვერკვევი, თუ ნამდვილად ასეა, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაგას შტაბში გაარკვევენ, დაუშვებელია, რომ თქვენ ერთპიროვნულად აწარმოოთ დაკითხვა!

— იღბლიანი ჰყოფილხარ, ძმაო, — წასჩურჩულა ზემდეგს ერთმა ყარაულმა.

— ჩვენი პოლკოვნიკი დინჯი და სამართლიანი კაცია, — დაუმატა მეორემ.

რით დამთავრდებოდა მისთვის ეს ამბავი, პოლკოვნიკი რომ არ შესწრებოდა — ამაზე ფიქრს ალექსიმ წაუყრუა. გულზე ცოტა რომ მოეშვა, განცდილმა დაძაბულობამ მაშინ მოჰკვეთა მუხლი. ტახტზე დაეშვა და სახე ხელებში ჩამალა .არც გაუგია პოლკოვნიკმა ყარაულები რომ მოხსნა და ოთახში შემოვიდა.

— მაინც რამ გამოიწვია ეს ამბავი? — მოესმა მას შეკითხვა და სწრაფად წამოდგა ზეზე.

— მაპატიეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე ყველაფრის ახსნა არ შემიძლია. ნაბრძანები მქონდა, დავალების შესრულების შემდეგ დივიზიის შტაბში დავმეცადა. ამ სოფელში გზამ მომიყვანა.

— კეთილი, არაფერს შეგეკითხებით, მხოლოდ მითხარით, ეს სახლი მართლა ხუთ დღეში ააშენეთ?

სასაცილო იყო: ზემდეგი ბავშვივით გაწითლდა.

— არა, მთვარიანი ღამეები იყო, დღესავით ნათელი. საძირკველი მზად იყო და კედლების აღდგენა რა დიდი საქმე იყო?!

— ჰოო... რა დიდი საქმე იყო... — გაბმით გაიმეორა პოლკოვნიკმა და კვლავ იგრძნო, რომ ვერასოდეს დაივიწყებდა ახლა სიხარულით განათებულ ამ კაცის სახეს. — კეთილი, — განაგრძო მან მცირე დუმილის შემდეგ, — მაგრამ რაკი მდგომარეობა ასე დაიხლართა, საჭიროა ამ გაუგებრობის გარკვევა, არა?

— რა თქმა უნდა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— მაიორის ეჭვს ჰქონდა საფუძველი არა? როგორ გგონიათ, ამხანაგო ზემდეგო?

— შეიძლება... მე დავაშავე, ამგვარი შეხვედრა რომ ვერ გავითვალისწინე, მაგრამ... ცუდია, როცა ძალაუფლება ალკოჰოლივით უბრუებს კაცს ტვინს.

— მართალი ხართ, მაგრამ ამგვარი სიმართლის აღიარებას არ გირჩევ. არა ღირს... — შეგონებით, თითქმის თხოვნით უთხრა ლიაშენკომ. — წავიდეთ!

ზემდეგმა სწრაფად მოირგო თავისი პილოტური და ქამარი, განჯინიდან ავტომატი და ცარიელი ზურგჩანთა აიღო და პოლკოვნიკს მიჰყვა. გარეთ თვალით მოძებნა სერიოგა, თავს ძალა დაატანა და მხიარულად დაუძახა:

— მშვიდობით, სერიოგა! საცაა დედა მოვა, მოკითხვა გადაეცი, მე სამსახურში მივალ, მშვიდობით!

ლიაშენკო საჭეს მიუჯდა და ზემდეგიც თავის მანქანაში მიიწვია.

აპრიალებული ჩალასავით ჩამქრალი მედვედევი მეორე მანქანაში ჯდებოდა, შურდულივით გამოქანებული სერიოგა რომ მიეჭრა, სიმბილით და აღელვებით გულამოვარდნილმა მიაძახა:

— ცუდო! ცუდო! ბოროტო! შავო სალამანდრავ!...

— შავი სალამანდრაც არსებობს? — ვითომ გაიღიმა ყბამოღრეცილმა მედვედევმა და მანქანის კარი მიიჯახუნა.

ლიაშენკოს ნერვიულობისაგან ცალი წარბი აუთამაშდა. მან სწრაფად გაზი ჩართო და მანქანა მტვრის კორიანტელში გაუჩინარდა.

სერიოგას ყვირილი ისტერიულ ტირილში გადავიდა. ბავშვი გალურჯდა, გადაფითრდა. შეშფოთებული ქალები ვიშვიშით და ალერსით ეხვეოდნენ, ცდილობდნენ მის დამშვიდებას და აურზაურში ვერ შენიშნეს შინ მომავალი მარია.

მარიამ სახლთან თავმოყრილი მეზობლები რომ დაინახა და მერე შვილის ტირილიც გაიგონა, ზურგზე მოკიდებული ტომარა დააგდო, აკეცილ წინსაფარს ხელი აუშვა, მიწაზე დაგორებულ ვაშლებს გადმოევლო, ქალები მიყარ-მოყარა და შვილი აიტაცა.

— სერგეი, სერიოგა, გამომხედე, შვილიკო, მე ვარ, დედაშენი ვარ, გამომხედე, მტრედო!

ბავშვს დედის ხმა ჩაესმა, ტირილი თანდათან დაანელა, სუნთქვაც ნელნელა დაუმშვიდდა, ხელ-ფეხის კანკალიც შეუწყდა. ფერწასულმა მარიამ მეზობლები შეათვალიერა და წყრომით იკითხა:

— რას გაჩუმებულხართ, რა იყო, რა მოხდა?

— არაფერიც არ მოხდა, ზემდეგს გაეტირა...

— ზემდეგს? წავიდა ზემდეგი? თითონ გამგზავნა და აღარ დამიცადა? ეს როგორ? სად წავიდა?

— არაფერი ვიცით, მარია, წაიყვანეს, მანქანით წაიყვანეს! ჯერ მაიორი მოვიდა, მერე პოლკოვნიკი! ერთად წავიდნენ!

— რა ბატებივით ჰყაყანებთ, ვერ გამაგებინებთ, რა მოხდა?

— დაწყნარდი, ქალო, აბა რა ვიცით, რა მოხდა? მაიორი მოვიდა, ჩვენ არაფერი გვკითხა, ეშმაკმა იცის, საიდან მოეჩვენა, აქ დეზერტირიაო და...

მარიამ აღარ დაამთავრებინა ქალს სიტყვა, ბავშვი მეზობელს გადაუწვინა კალთაში, მერხიდან წამოიჭრა, ჯგუფად მდგომი სოფლელები შეათვალიერა და თავჩაქინდრული ლუკაანე როგაჩოვი

დაინახა. მარია წამს ენაწართმეულივით იდგა, მერე მიწაზე გაშლილი ვაშლები წამოკრიფა და მთელი ძალ-ღონით დაუშინა ლუკიანეს.

— აჰა, საზიზღარო! გველო! ბილწო! შენ მოჩმახე! შეგშურდა ჩემი ჭერი! დაგენანა შენი დაჭიანებული წიწიბურა! ვითომ შენც კაცი ხარ! ქეციანო ქოფაკო! აჰა შენ, აჰა!..

თავპირდაზეგვილი ბერიკაცი ძლივს გააცილეს გასპიტებულ ქალს, მარიამ ლუკიანეს გზას მიაფურთხა და არაქათგამოლეული დაეშვა მერხზე, მოთქმით შესტირა მეზობლებს:

— თავი მომჭრა მაგ ქოფაკმა, ვაი სირცხვილო, რაღა ვქნა, ქალებო, რას იფიქრებს ის ღვთისნიერი კაცი ჩვენზე? ხვალ მივდივარო, და შემეხვეწა, ოცი ლოყაწითელი ვაშლი მიშოვეო... ოთხი დღეღამე მუხლი არ ჩაუხრია ისე მუშაობდა, გეგონება, რაც ფაშისტმა უსახლკარო ბავშვი დატოვა, ეს ჭერი ყველას უნდა გასწვდესო! გვარიც არ ვიცი, სად მოვიკითხო, როგორ ვიკითხო, ზემდეგი ვარ, ალექსეი მქვიანო, მეტი არა ვიცი რა!.. ვაი შენ, ჩემო თავო, ამ ვაშლებით სერიოჟას გახარება უნდოდა, არ გაიხაროს ლუკიანე ქოფაკმა! ის კაცი რას იფიქრებს ჩვენზე, რას? ვაი სირცხვილო...

* * *

ბატალიონისა და პარტიზანთა რაზმის მარწუხებში მომწყვდეული მტრისეული მოტომექანიზებული პოლკის ლიკვიდაცია დასასრულს უახლოვდებოდა, ნეჩაევის სათვალთან ნაღმი რომ გასკდა. იოლად გადარჩა ბატალიონის მეთაური, კონტუზია და კუნთების ზედაპირული ჭრილობები აღმოაჩნდა. განთავისუფლებული ბრესტის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა და ფიზიკურ ტკივილებზე მეტად მწარე ფიქრი სტანჯავდა: ზემდეგი დივიზიის შტაბში არ მისულა, იქ არაფერი იციან მის შესახებო... გუშინ ნეჩაევს თავი ისე უბრუოდა, რომ ხეირიანად ვერ ერკვეოდა დივიზიის მეთაურის ნათქვამში. ახლა აგონდებოდა: — უმნიშვნელო დანაკარგის ფასადო... გილოცავთ წარმატებასო... ბრწყინვალედ შესრულებული ოპერაციაო..."

„უმნიშვნელო დანაკარგის" ფასად მიღებულ წარმატებას მილოცავდა... მართლაც საჭიროა ხანდახან ექიმებს დაუჯერო — მშვიდად და გაუნძრევლად იწვე, თორემ ბალიში გავარვარებულ ნაკვერჩხლებად იქცევა, მწვავე ტკივილი თვალს გიბნელებს და გონებასაც... ნუთუ ალექსიც „უმნიშვნელო დანაკარგში" ჩაირიცხა?.. იმ გაუვალ გზას გააღწია, მეკავშირეს შეხვდა, მერე რაღა დაემართა? „უმნიშვნელო დანაკარგი..." ასეა, ამხანაგო ნეჩაევ, მტრის მოსასპობად მეგობარიც არ დაინდო — ეს არის სამამულო ომი. ყურს ლახვარივით რაღად ხვდება ეს „უმნიშვნელო დანაკარგი"? ეს ხომ ომის ერთ-ერთი პირობითობაა, აქამდე ვერ მიეჩვიე? ვერა, ვერ მივეჩვიე. შესაძლებელია ალექსი დაიღუპა, მეც დავიღუპეო, მაგრამ მე არ მინდა, ამას „უმნიშვნელო დანაკარგი" ერქვას. იმიტო რომ, ასე არ არის, ეგ სწორე არ არის. ადამიანთან ერთად იღუპება მთელი სამყარო, მას რომ თან მოაქვს თავისი დაბადებით, დიახ, მთელი სამყარო, იმაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ცაზე ლამაზ ვარსკვლავებად რომ გვეჩვენებიან... სულელი ხარ, ოლეგ ნეჩაევ, შენ გნებავს, რომ ცივილიზებულმა ხალხმა შეიგნოს, რომ ადამიანის ნაძალადევი სიკვდილი, სამყაროს კატასტროფაზე დიდია და არ შეიძლება მას „უმნიშვნელო დანაკარგი" ერქვას... პირველთავად მომეჩვენა, რომ უშნოა და ძალზე ღრმად ჩამჯდარი თვალები აქვს. მერე მივხვდი. ღრმად ჩამჯდარი კი არა, ჩასაფრებული თვალები აქვს. სიბოროტეს, უსვინდისობას რომ დაინახავენ, უცებვე ანთებული გამოხტებიან საფრიდან. და ძალზე ლამაზია... ომისში წერილის მიწერა დამევალა? არაფერიც. მე არა მჯერა, რომ ის ცუდი მეგობარია, რომ ომისში წერილს მიმაწერინებს... მერე რა, შტაბში რომ არ მისულა? თავის დასვენებას ადამიანი

ისე იყენებს, როგორც მოეპრიანება. ჩვენ კი აქ გლოვა გავმართეთ... სამხრეებიც მოვახსნევინე, საველე წიგნაკიც ჩამოვართვი, ამ ოროტრიალში მიწას ვინ მიაყრიდა უცნობ, უსახელო კაცს?.. ნეტა ვიცოდე, რით შეაყვარა თავი იმ ლიოშკა ბოგუჩაროვს? პარტიზანები ჩიოდნენ, ყურები გამოგვიჭედაო ზემდეგზე ლაპარაკით, ომი რომ გათავდება, ირმისში წავალო ჰო, ლიოშკა, წავალთ ირმისში, რა თქმა უნდა, წავალთ. წავალთ?..“

დერეფანში ატეხილმა ხმაურმა გააწყვეტინა ფიქრი. არავის ნახვა არ უნდოდა, საბანი წაიხურა და თავი მოიმძინარა.

პალატის კარი ყურთამდე გაიღო. ამ გონჯაურას ომმა მართლაც ვერ შეაჩვია სამხედრო წესს! რის დისციპლინა, რა სუბორდინაცია, დისტანცია, ექიმების გაფრთხილება — ჯანდაბას, ჯანდაბას ყველაფერი! თავნება ზემდეგმა პალატაში შეალაჯა, საწოლთან გაჩნდა, დაიხარა და თავის ტოპოჩა ხელებში მოიქცია საბნის ზემოთ დარჩენილი, ნეჩაევის ფერმკრთალი, ნაიარევი ხელები...

არც ზემდეგს და არც ნეჩაევს არ გაუგია, როდის და ვინ მიხურა პალატის კარი.

ოფიცრები ქუჩაში რომ გავიდნენ, პოლკოვნიკი ლიაშენკო მაშინ მიუბრუნდა მედვედევს:

— ახლა რას იტყვით ამხანაგო მაიორო?

— ასეც ხდება ხოლმე.

— თქვენ უკმაყოფილო ჩანხართ.

— დიახ. მე მაგ ზემდეგს მაინც დავადებდი სასჯელს.

— მაინც? რისთვის?

— თუნდაც, წესდების სრული იგნორირებისათვის.

— თუ იმისათვის, რომ გაგემართლებინათ თქვენი უნდობლობა ადამიანისადმი?

— არა, მე უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია დანაშაულის დასჯა, ვიდრე დამნაშავესთან ნაუცბადევი დამეგობრება!

მედვედევის თავხედურმა გაკილვამ წონასწორობიდან გამოიყვანა მთელი ამ ამბით ისედაც აღშფოთებული ლიაშენკო.

— ეს ალბათ გემოვნებას გააჩნია, მაიორო, თქვენ კეთილშობილება გაკლიათ, მაგაშია საქმე, ეგ აუნაზღაურებელი დეფექტია, გესმით?

— მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო! — მხედრულად გაიჭიმა მედვედევი და მერე უტიფრად დაუმატა: — მიიღეთ უმცროსის რჩევაც, ამხანაგო პოლკოვნიკო: სხვა დროს მილოცვას ნუ აჩქარდებით, ჯილდოზე წარდგენა არ ნიშნავს მის მიღებას. დარწმუნებული ვარ, თქვენი ზემდეგი ჯილდოს ვერ მიეწევა. მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ!

მან მოხდენილად მიიტანა ხელი საფეთქელთან და მკვეთრი მხედრული ნაბიჯით გაეცალა ლიაშენკოს.

* * *

...კვლავ სათვალავ დაკარგულ დღეღამეებს შეუმჩნევლად შეეპარა ახალი — 1945 წელი.

ნეჩაევის ბატალიონისთვის არა ჰქონდა მნიშვნელობა — როგორ შეხვდებოდნენ ახალ წელს.

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ოდერთან იყვნენ. და ზემდეგისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, სახელდახელოდ შეკრული ტივებით როგორ გაალწევდა მისი ასეული (მან შესცვალა დაჭრილი ასმეთაური) იმ განიერსა და ღრმას, მტრისეულს, მტრისეული ცეცხლით აღმუვლებულ მდინარეს...

...მერე არა ჰქონდა მნიშვნელობა იანვარ-თებერვლის გაძალიანებულ სუსხს, თოვლ-ყინვას, ნემსებივით მჩხვლეტავ გადაუღებელ წვიმას, ნესტიან, გამჭოლ ქარს; არც იმას, რომ მიტაცებულ უცხო მიწაზე წლობით გამაგრებულ ფაშისტებთან ბრძოლა სულ უფრო მძაფრი და სისხლისმღვრელი ხდებოდა, რომ გაავთრებულ ხელჩართულ ბრძოლებში დახოცილთა გორების დაძლევა უხდებოდათ.

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ უკან

დარჩა ოდერი და ახლოვდებოდა მშვიდობისათვის მებრძოლ მილიონთა ოცნების შესრულება, ახლოვდებოდა იმ საერთო ოცნებას შერთული — თვითეულის საკუთარი ნატვრის შესრულება. და ზემდეგისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მალე ოლეგ ნეჩაევთან ერთად წავიდოდა ირმისში...

...მერე თითქოს სამყაროს აპოკალიფსური დასასრული დაიწყო, მაგრამ მართლა ასეც რომ ყოფილიყო, არც ამას ექნებოდა მნიშვნელობა.

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ზმანება იყო თუ სინამდვილე, რაც სამისდღემშიოდ აღიბეჭდა თვითეული მომსწრესა და მონაწილის მეხსიერებაში: ღამეში უცებ აელვარდა უთვალავი მზე, ცამ დაიგრგვინა, დედამიწა აბორგდა და მტრის განლაგება აზვირთებულ ცეცხლოვან ზღვაში ჩაიძირა. თვალი ვერ უძლებდა ელვარებას, ყურს აღარაფერი ესმოდა, მიწა ფეხქვეშ მიდიმოდიოდა...

დაიწყო ბერლინის შტურმი...

...არც გაზაფხულის დაგვიანებას ჰქონდა მნიშვნელობა.

ბრძოლა იყო რკინაბეტონის და კლდოვან მაღალ ნაპირებში ჩასმულ შპრეესთან, იქ, სადაც მტერს დედაქალაქის დასაცავად მთელი თავისი საბრძოლო მარაგი და ჰიტლერს ფანატიკურად დამორჩილებული ძალები მოეზღვავებინა. ვინ შეამჩნევდა იმ ჯოჯოხეთურ ცეცხლში გახვეული გაზაფხულის წვევას?!

ბატალიონის მებრძოლთა ალქმა ისე იყო გამახვილებული, თითქოს მათი სხეულის თვითეული ნაკვთი აღჭურვილიყო ცნობიერებით. იმ საოცარ შერკინებაში გაცხრილულ ყველა სხვა ვნებებიდან ადამიანებს დარჩათ მხოლოდ წინსწრაფვის სურვილი. წინსწრაფვის იმ გიჟურ აზარტში გონებას მთლიანად დაეთრგუნა ინსტინქტები და რეფლექსები, მხოლოდ გონიერება უნდა ყოფილიყო ყველა გრძნობათა მძღოლი, სხვანაირად — სასწაულებრივი გმირობაც ურგები თავისწაგება იქნებოდა. ეს ყოველ მებრძოლს ესმოდა. ეს ზემდეგსაც ესმოდა, მაგრამ რაღაც წამს ,ალბათ როცა აღქმის ტევადობა საზღვარს სცილდებოდა, მისი გონება ერთბაშად ეთიშებოდა გარემოს, კარგავდა რეალობის შეგრძნების უნარს, სხეული უწონადო ნაწილაკივით ერთვოდა პირველქმნილ ქაოსად ქცეულ სამყაროს და გაშეშებულივით რჩებოდა მოძრაობის რაღაც წერტილში. ეს მხოლოდ ერთი წამი იქნებოდა, უმოქმედობის მეორე წამს ავბედი არ შეარჩენდა და მოახლოვებული კატასტროფის მიჯნაზე, გონების ტყვეობიდან აწყვეტილი ინსტინქტი უყვიროდა: „ჰეი, გონჯაურავ, რა ღმერთი გიწყრება?!“ და შეყვირება მარადისობაში კარგავდა იმ ავად დადარაჯებულ წამს, რეალობას დაბრუნებული სხეული განაგრძობდა გონებით შეკვეთილ მოქმედებას...

...სძლიეს შპრეეც. ზემდეგმა ბუდის კიდეებს მომდგარი თვალებით გადათვალა გაღმა ნაპირზე ფეხმოკიდებული ასეული. შუბლი შეეკრა. გული ჩაეწურა, ვერ მიხვდა, ეწყინა, რა ახარხარებდა ყოველ მესამე ამხანაგის დამკარგავ, თავით-ფეხამდე გალუმპულ, შეცივებულ, გამჭვარტლულ, დენთისა და შლამის სუნით გაჟღენთილ ბიჭებს.

— უყურე, ასმეთაურო, იქით უყურე! — ჩაშავებულ ბანდში გახვეული ხელით აჩვენა სიცილისაგან აცრემლებულმა ტროფიმ ველიჩკომ.

და ზემდეგსაც აუტყდა სიცილი. ისევ დაილოცოს ომის შემთხვევითობა! ამხელად ის გადამეტებით დაძაბული ნერვების მკურნალი გამხდარიყო: სისხლით შეფერილ შპრეეს ზვირთებზე დაგებულ ფიცარს მშვიდად მოქანავე პატეფონი მოჰქონდა და ვიღაცა თამამის ხელით ჩართული ფირფიტიდან გადამწვარ ჰაერში ღვრებოდა ტკბილი ტენორის სიყვარულში ჩამწვრის ღაღადისი... უთუოდ, კონტრასტი იყო სასაცილო, სიკვდილის ცხარე სამკალში იდგნენ ბიჭები და ხარხარებდნენ...

დასძლიეს ქალაქს შემოვლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხიც. გვამთა სიმრავლისაგან წყალს რომ ველარ იტევდა კალაპოტში. მოიერიშე გუნდებად დაყოფილი ბატალიონი, ბერლინის გარეუბნიდან ცენტრისაკენ წავიდა. თითქოს სიკვდილიც მტერივით იყო უკვე დამარცხებული, თითქოს მას ველარ მიუწვდებოდა ცელი გამარჯვებულ მეომრებამდე, და ის მაინც, მტერთან ერთად ჯერ კიდევ ჩასაფრებული იყო უკანასკნელ ციტადელამდე დარჩენილი მანძილის ყოველ გოჯზე, ყოველ მოედანზე, ქუჩაზე, ხეივანში, ბაღში, სადარბაზოებში, ფანჯრებში, სარდაფში, სახურავზე, მეტროს ჩასავლელ-ამოსასვლელში, ყოველ ძეგლთან ,შადრევანთან, ყვავილის ბუჩქთან...

და აპრილი იწურებოდა.

ნეჩაევის ერთი მოიერიშე გუნდი ალექსანდრეპლაცს მიმდებარე ბარიკადებით ჩახერგილ ქუჩას მიაწყდა.

მესანგრემ შერჩეულ ადგილზე დაუდო ხერგს ნაღმი, ზემდეგმა კი ასაფეთქებელი სითხით სავსე ბოთლი მოიმარჯვა და თანამებრძოლებს გამოხედა:

— ბიჭებო, ხედავთ, თავდება!

მერე უცებ ნეჩაევს შეასწრო თვალი და მეორედ, უფრო ხმამაღლა, მხოლოდ მას გამოსძახა:

— ამხანაგო მეთაურო, თავდება!

და ნეჩაევმა, წლების სადარ იმ ერთ წამს ზემდეგის სახეზე დაინახა, მის ხმაში იგრძნო, რომ ის შეძახილი — მოზეიმე სულის ძახილი იყო, ძახილი კაცისა, რომელმაც სასიკვდილო ხიფათისაგან იხსნა თავისი ნათელი და მშვენიერი სამყარო, სამყარო, რომელშიც მან სამუდამოდ შეიზიარა ისიც, ოლეგ ნეჩაევი. მას მწვავე სურვილი დაებადა, გაეგო, ნამდვილად [illegible] იყო თუ არა.

— ზემდეგო, ეს წყეული [illegible]მე, მერე გავიხსენოთ! — დაუყვირა და განზე გამდგარ მებრძოლებს შეუერთდა.

ზემდეგმა ბოთლი ნაღმს დაახალა. რამდენიმე ადგილას გარღვეულ ხერგში ბიჭები კისრისტეხით მიჰყვნენ ერთმანეთს და ნეჩაევიც გაატარეს.

ზემდეგი მოკუზული მირბოდა ახორკლილ მოედანზე. ოციოდე ნაბიჯი რომ გაირბინა, შეჩერდა. იმ ღრიანცელში, ბგერათა ჯოჯოხეთურ ალრევაში ყური გაუჩხაპნა ავტომატის გამოცალკევებულმა გასროლამ. მოიხედა. ბიჭები მხრებში შესდგომოდნენ მეთაურს და ფრთხილად მიჰყავდათ უკანვე, ბარიკადისაკენ.

— ვნახავ, სად მოხვდა ტყვია, — ხმამაღლა თქვა ზემდეგმა და თითქოს ირგვლივ ალარაფერი ხდებოდა, წელში გასწორდა, გატრიალდა, ფეხათრევით დაბრუნდა ბარიკადასთან.

ნეჩაევი მიწაზე გაშლილ მაზარაზე დაეწვინათ. არსად ჭრილობა არ უჩანდა. იწვა, თითქოს დაღლილ კაცს ძილმა უსწროო, და თითქოს ახლავე, საჩქაროდ უნდა გაეღვიძებინა, ზემდეგმა დაიჩოქა, ფრთხილად შეახო მაჯაზე ხელი.

— ამხანაგო მეთაურო, — დაუძახა ჩუმად, მშვიდად, და პასუხი რომ არ მიიღო, უფრო თამამად მოუჭირა მაჯაზე ხელი, უფრო ხმამაღლა დაუძახა: — ოლეგ სტეპანოვიჩ!

პასუხი არ იყო.

ბარიკადების მიღმა ბრძოლა გრძელდებოდა...

## ნაწილი მეორე

### თავი პირველი

კვირაა. დღე ისეთია, ზაფხულის დამლევს რომ იცის ხოლმე — სიცხედანელებული, ოდნავ სევდაშეპარული.

ირმისხევის გაღმა ბაზრობაა. სატვირთო მანქანებით, ურმებით, ცხენებით, ფეხით მიმავალ-მომავალი ხალხი ირევა შარაზე: ჩაყუჩულ ირმისხევზე უშნოდ გაწელილ, მოფამფალებულ,

ალაგ-ალაგ ჩამტვრეულ ხიდს ყველანი ერიდებიან, ფონს ირჩევენ.

ხევს გამოსული დაღლილი მგზავრები ირმისს გვერდს ვერ უქცევენ. გზის პირას ომამდე დარგული ცაცხვები დაზრდილან და შორამდე აფრქვევენ სურნელებას. ტირიფის დახრილი ტოტები ირმისხევისკენ გაქცეულ ნაკადულს დაშრიალებენ.

ადამიანები წყალსა და ჩრდილს ეტანებიან. სიმწრით სავსენი, ცრემლშეუშრობელი ლაპარაკობენ ფრონტზე დაღუპულ თავისიანებზე, ომიანობის ზარალზე, კარზე მომდგარი შემოდგომის ჭაპანწყვეტაზე. მაგრამ ტირილჩივილით გულს რომ მოიოხებენ, ნაკადულის ალერსიანი ჩუხჩუხი და ტირიფის დამამშვიდებელი შრიალი მაინც აღწევს მათ გულს. ადამიანებს თანდათან ეცვლებათ კილო. ახლა ისინი ლაპარაკობენ სიყვარულზე, ლოცავენ მშვიდობას, მომავალი სიკეთით ანუგეშებენ ერთმანეთს...

შუადღისას ერთმა დათალხულმა დედაკაცმა მხარზე შემოდებული ბოხჩით გადმოიარა ირმისხევი და რაღაცა თქვა. ნათქვამმა მის ირგვლივ მყისვე შეყარა ხალხი. მგლოვიარესა და დაღლილს გული გაუწყალა მათმა ეჭვიანმა შეკითხვებმა და ჯავრიანად დაახეთქა ბოღჩა მიწას:

— ვიჰ, გეთაყვათ! მაშ ალექსი შემეშველებოდა?! სამძიმარიც მითხრა ჩემ დაღუპულ ქმარ-შვილზე, სცოდნიყო ჩემი უბედურება, ხატულას მიეწერა...

დედაკაცმა შავი თავშლის ბოლოებით ჩამოიწმინდა ღვარად წამოსული ცრემლი, ხელი დაავლო თავის ბოღჩას და გზა განაგრძო.

ახმაურდა ირმისი. ხმა სახლიდან სახლში დაგორდა, ეზოდან ეზოში, ქუჩიდან ქუჩაში და ბოლოს შორეულ ქოხს მიატანა. იმ ხმამ ხატულას მუხლი მოჰკვეთა. მან თითქოს ბურანში გაიგონა ხევისკენ გაქროლილი სანდრას ძახილი:

— მამი-ი!..

ხევგალმა სატვირთო მანქანა გამოჩნდა. ძარიდან გზაზე დემობილიზებული გადმოხტა და თავდაღმართზე დაეშვა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. სოფელი შეხვდა, როგორც ხვდებოდა შინ მშვიდობით დაბრუნებულ ყოველ ჯარისკაცს. მაგრამ ეს კაცი, კოლმეურნეობის ომამდელი თავმჯდომარე, ირმისელებისათვის მშვიდობიანი ცხოვრების სახსოვარით იყო, და მისი დაბრუნება მშვიდობის დამკვიდრების ყველაზე ხელსახები, თვალსაჩინო და დამაჯერებელი დასტური იყო.

ეს დემობილიზებულიც ისე დაბრუნდა, როგორც ბრუნდებოდა ყველა ხანგრძლივი და მძიმე ლაშქრობიდან შინ გამარჯვებით მოსული ჯარისკაცი. და ალბათ სხვასაც ასე ემართებოდა: მშვიდობის ახლებურმა, ახალი ძალით შეგრძნებამ უცნაურად გააბრუა. მას ხან ეგონა, რომ ის ოთხი წელი ერთი ღამის გაგრძელებული სიზმარი იყო, ცხადად კი ერთი დღითაც არ გაჰყრია აქაურობას, ხან ეგონა, რომ ცხადი იყო ის ცისა და მიწის ნგრევა, სიზმარი კი ეს არის — შორეული მთების ტეხილი ხაზი, თეთრი ალავერდი, ირმისხევი, სანდრა პაპას ქოხი, ხატულას ხელით ზედ მერცხლის ბუდესავით მიშენებული სანდრიკას ოთახი, და სიზმარია ბიჭი სანდრაც. „ბიჭო, საითა ხარ, როგორა ხარ?“ — უნდოდა ეყვირა, როგორც უყვიროდა ხოლმე გული იქ, ყურწამლებ გრგვინვაში, მაგრამ უცებვე იგრძნობდა, რომ ბიჭი კალთაში უზის. შავი წამწამებით გაწყობილი ლეგათვალება ბიჭი მის მკერდთან სუნთქავს და უმშვიდებს ყელთან მობჯენილ აზავთებულ სულს... უყურებს ხატულას და არა სჯერა, რომ ენძელასავით ნაზი და უძლეველი, შუბლზემოთ ატალღებულ თმებში მზის თბილი სხივი რომ ჩახლართვია, ნამდვილად ზის მის გვერდით.

ჰო, ის ოთხი წელი იყო ერთი ხანგრძლივი სიზმარი, თორემ ოთხ წელიწადს რა გააძლებინებდა ამათგან შორს?!

ვერ იქნა, კაცმა თავი ვერ დაიმარ-

ტოხელა, რომ თვითონვე გაეფანტა ეს უცნაური ბურუსი. წამსვლელ-მომსვლელი არ ილეოდა. მის სადღეგრძელებლად მოსულებთან სამადლობელო ჯამს სცლიდა და უზომოდ დაღლილს სინამდვილის აღქმა უძნელდებოდა. თან თავის თავს აყვედრიდა, ნებივრობდა ნამეტანი გაგიგრძელდათ...

თურმე, სულ ერთი კვირის დაბრუნებული იყო, ილო ლაფიაშვილმა და ნასყიდა ჯაფარაშვილმა საქმეზე სიტყვა რომ შეაპარეს, გეგონება აიაზმის წყალი აპკურესო.

ქვეყანასთან ვალმოხდილი ამ ორ ბერიკაცს ალექსიმ ომამდე აღებინა ხელი მუშაობაზე, მაგრამ ომმა მოუშალა მათ დასვენება. უვაჟკაცოდ დარჩენილმა სოფელმა ერთიორად მძიმე საპალნე აჰკიდა მათ.

ამ დილას, ალექსისთან მოსვლამდე, ისინი რამაზ მელითაურს დაარხნენ. ჭარბად თავაზიანი სალამის, მოკითხვის და ბოდიშების შემდეგ, ილომ ხელისგული ჩამოუსვა თავის სახრეს და თქვა:

— რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შვილო რამზა, შენი კეთილი გულიც გაიხარებდა, მადლობა ღმერთს, ჩვენი პატრონი, ქომაგი და გულშემატკივარი სალსალამათი დაგვიბრუნდა. ეხლა შენც შენი გზა ნახე.

— ჰო, რამზავ, ეგრე გერჩიოს, შენ შენთვის, ჩვენ ჩვენთვის — დაუმატა ნასყიდამ.

ენამზიან თუშს სიტყვა ყელში გაეჩხირა. დახე, დაასწრეს ირმისელებმა, ამაოდ დაურჩა გამოსათხოვარი სიტყვის მომზადება!.. მან იცოდა, რომ ირმისელები სძრახავდნენ მის უსაქმურობას და რჩეულიშვილის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ არა სწყენდა. კოლმეურნეობა და მისი საქმიანობა არ ეცხობოდა მის სულსა და გულს. ბრძანება რაიონის მეცხოველეობის ხელმძღვანელად მისი დანიშვნის შესახებ დაწერილი იყო და იგი ირმისელებზე არანაკლები მოუთმენლობით ელოდა რჩეულიშვილს. ერთი სული ჰქონდა, სანამ ხალხით გაჭედილ დარბაზში გახსნიდა კრებას, მიულოცავდა ირმისელებს საყვარელი თავმჯდომარის დაბრუნებას და გულაჩუყებული გამოეთხოვებოდა მათ... ეს მოხუცები კი [illegible]ობდნენ „გადადგომას“, თითქოს ლანგრით მორთმეული საჩუქრის მიღებასა სთხოვენო. აი, დიპლომატია, მესმის!

— დრო რაღაზე დავკარგოთ, რამზავ, დღესვე მოვრჩეთ ამ საქმეს, — დაარღვია დუმილი ილომ და ისევ ჩამოუსვა ხელი თავის სახრეს.

— არხეინად წახვალ, რამზავ, ჩვენ შენ არას შეგედავებით, — დაუმატა ნასყიდამ.

რამაზს კინაღამ სიცილი წასკდა. „არას შეგედავებითო!?“ ვითომ რაო, ზედმეტი კაპიკი დაეყვედრება თუ მიაქვს აქედან რამე? თუ სადავო აქვთ, სარდიონ მაღალაშვილს შეედავონ, იმას სჭირდება ერთთავად ზურგის ზურგამდე გამაგრება. მელითაური თუნდ ხმამაღლაც აღიარებს, რომ კოლმეურნეობა არ არის მისი საქმე. მხოლოდ ის ენანება, რომ დაასწრეს ირმისელებმა!

თითქოს ძვირფას ნამსხვრევებს აკოწიწებსო, მან გამოსათხოვარი სათქმელიდან თითო-ოროლა სიტყვა ამოკრიფა და თქვა:

— ჩემო ძვირფასებო, განა მე არ ვიცი, რომ თქვენ თქვენს წიაღში შობილი და გაზრდილი შვილი გირჩევნიათ?

ილომ ჯაგარივით ყალყზე მდგომ თეთრ ულვაშებზე ხელი გადაისვა, გაჭირვებით ჩამოიშორა სახიდან ღიმილი და ნასყიდას გადახედა. ნასყიდამ ცალი თვალი მოჭუტა. ასე ჰქონდათ დათქმული: ახლა მეორე ამოცანა უნდა გადაეჭრათ — ალექსისათვის აეცილებინათ მელითაურთან შეხვედრა.

— ჩვენ შენ არც მოხსენებასა გთხოვთ, არც ანგარიშს, — დაიწყო ისევ ილომ — კრებაზე მოსვლით რაღას შევაწუხოთ? ერთიც ვნახოთ, ვინმე მეტითქვიამ დაუფიქრებლად წამოროშოს ავი რამ სიტყვა...

— შენმა სიცოცხლემ, რამზავ, ეგრე გერჩიოს, თორე ხო იცი, აუგმა სიტყვამ ხანდროს საქმედ იცის ქცევა, — დააყოლა ნასყიდამ.

— ირმისში შენ არა მოგყოლია რა, აქედან ძნელად წასაღებიც არა გექნება რა, თორე არ დაგზარდებოდით, შეგეშველებოდით... ჰოდა, თუ მოიწადინებ, დღესვე შეგეძლება წასვლა, — ძალზე თავაზიანად მოაბა სათქმელს ბოლო ილომ.

— კეთილად გატაროს უფალმა-ღმერთმა, ლხინი და კაი ცხოვრება არ მოგიშალოს ზეციერმა გამჩენმა! — დაშაქრა ილოს ბოლოსიტყვა ნასყიდამ, და „დიპლომატები" ბოდიშებით, კეთილი სურვილებით გამოემშვიდობნენ „გადაყენებულ" თავმჯდომარეს.

„ვერ უყურებთ ირმისელებს, მუქარაც ისეთი თავაზიანი სცოდნიათ, კაცს ეამება", — სიცილით კვდებოდა მელითაური და გაქუცულ ჩემოდანში ალაგებდა ხელბარგს. მაგრამ თანდათან გუნება შეეცვალა. მალე ჩემოდანი ერთ კუთხეში ისროლა, წინდები და პერანგი — მეორეში.

ჭირსაც წაუღია ირმისიც და მისი დიპლომატები! წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი, მას ხატულა უნდა, ხატულა! ოთხი წელიწადი მის გვერდით იყო, მაგრამ გეგონება სალი კლდე ჰყოფდა მათ. ის ტანწვრილი და ნაზი, ის დახატული ხატულა ზამთარს და ზაფხულს, დღეს და ღამეს ასწორებდა. ვენახში, მინდორში, მთაში, ტყეში საქმეს ისე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა, რომ მისი ქების ხმა, ჰაუ, სადამდე წავიდა! რამაზმა კი ერთხელაც ვერ მოახერხა მასთან პირისპირ დარჩენა, მართლაც დიპლომატების საბუდარია ეს ერმისი, თუ რა ჯანდაბაა?! ხატულა ისეთი ტაქტით და ისე ბუნებრივად არიდებდა თავს, რომ არც ამას ხდიდა ხალხის სალაპარაკოდ...

მელითაური მონუსხული დაეშვა ტახტზე. კაცმა ოცდაათ წელს გადააბიჯა და საკუთარ გულში ჩახედვის უნარი კი არ გააჩნდა თურმე!...

...ადრე დაობლებული რამაზი თუშეთიდან თბილისში ჩამოიყვანეს. პროფესორი ბიძის უშვილო ოჯახში იზრდებოდა. „ობლობამ არ დაჩაგროს ბავშვიო", — ერთთავად ესმოდა უფროსების წუწუნი, და ბუნებით კეთილი, ალღოიანი ბავშვი [illegible] ცდილობდა გაექარვებინა ბიძა-ბიცოლას წუხილი, მხიარული — სიმხიარულეს ეტანებოდა, ცელქი და მოუსვენარი — დაუსჯელად ცელქობდა, გულდაუდებელი — ახალ-ახალი წადილის შესრულებას ეჩვეოდა. სწავლაზეც დიდად არავინ აწუხებდა — არ გადაიღალოსო, მით უმეტეს, რომ ნიჭიერი ბავშვი ადვილად ითვისებდა იმას, რაც თვითონ მოსწონდა. ასე ისწავლა ცოტა ფრანგული და გერმანული, ცოტა როიალზე დაკვრა, ცოტა ხატვა და ცეკვა. ლექსებსაც კი სწერდა, ლიტაცებაში მოჰყავდა ირგვლივმყოფნი. ჰოდა, ასეთი გაიზარდა: მხიარული, ენამოსწრებული, თამამი, სასიამოვნო გარეგნობის, მუდამ გემოვნებით ჩაცმულ-დახურული, მიუხედავად თავისი ზერე-ქვერე ცოდნისა, სკოლაში იოლად აღწევდა პირველობას, და მერე ასევე იოლად მოიპოვა საუკეთესო სტუდენტის სახელი მომავალ იურისტებს შორის. გულხელგაშლილი — ამხანაგებისათვის ზედნაცვამს გაიხდიდა, მაგრამ მეგობრობის გახანგრძლივებას არ დასდევდა. გოგონებთანაც ასეთი იყო — დიდხანს ვერავის ემონებოდა, მჯობთა მჯობნი არ ილეოდნენ...

...და ერთ ღამეს ეს ყველაფერი გათავდა. სათნო და პატიოსანი, მშობლიური მიწის და ხალხის ტრფიალი, უკვე ხანშიშესული პროფესორი მელითაური სახლიდან წაიყვანეს, „ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატეაო", და ბიცოლაც ხელს გააყოლეს.

ბევრი იარა რამაზმა ბიძა-ბიცოლას წამყვანი ყრუდ დახურული შავი მანქანის კვალდაკვალ, ბევრი დღე აღამა, გამწარებული და სასოწარკვეთილი ხალხით გაჭედილ „ჩეკას" კომენდატურაში. იარა ვიდრე დარწმუნდებოდა, რომ ვერც თვითონ და იმ აწიოკებული მილეთიდან ვერცერთი სხვა ველარასოდეს ვერ მიაგნებდა, სახლიდან თუ პირდაპირ სამსახურიდან, „შავი მანქანით" წაყვანილი თავისიანის შავბნელ გზას

და ადგილსამყოფელს. კომენდატურის ვიწრო, გისოსებიან საკნებთან თხოვნით ან კითხვით მიმწვდომთათვის, ერთნაირად აკვალთულ და ერთნაირი უსულგულობით ერთმანეთს სოცრად დამსგავსებულ მორიგეებს მზად ჰქონდათ ერთი, სტერეოტიპული პასუხი: „წაყვანილია ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატე“.

ამასობაში, რამაზის შინ არყოფნის დროს მელითაურების ბინაში ჩასახლებულმა უცნობებმა, რამაზს ტუჩამრეზით გადმოუგდეს ლამაზ ჩარჩოდან ამოგლეჯილი ბიძა-ბიცოლას პორტრეტი, იგი წიგნების ასაღებადაც არ შეუშვეს შინ, კარი ცხვირწინ მოუჯახუნეს.

„მაპატიეთ ძვირფასებო, ჩემი თავქარიანობით თუ გაწყენინებდით ხოლმე...“ — უთხრა რამაზმა პორტრეტიდან მოღიმარე ცოლ-ქმარს. პორტრეტი დიდი იყო, თან ვერ ატარებდა, და დალაშებისას მტკვარს გაატანა. უცებ ყველას მიერ გასხვისებული და უარყოფილი, თუშეთში წავიდა, ცხვარში...

ნებიერი ახალგაზრდის ჩვევებზე მან მალე და ადვილად აიღო ხელი, ახალ ყოფასაც მალე შეეთვისა. მოსწონდა საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს შორის მძიმე გადასვლები, ღია ცისქვეშ ღამეების თევა, მწყემსებთან საუბარი, ჰკვიან და ერთგულ ბოლვერებთან მეგობრობა, არც ხანმოკლე სატრფიალო შეხვედრებს გაურბოდა.

ერთხელ, ცხვრის გადასარეკ ტრასაზე, დარიანის რაიკომის პირველ მდივანს, გულვარდაშვილს შეხვდა. თავის შესაქცევად, რამაზმა ექსპრომტად ქებათა-ქება უძღვნა ჩია და გაბლენძილ კაცს, მერე ჰამლეტის მონოლოგი წაუკითხა, მერე ფრანგული ანეგდოტი უამბო და სამუდამოდ მოინადირა მისი გული. მდივანმა დარიანის საშუალო სკოლის დირექტორობა შესთავაზა. რამაზმა ცივი უარი სტკიცა. მას არც დალაგებული ცხოვრება იზიდავდა, არც კარიერა, არც პასუხისმგებლობა.

კასპიისპირა ზამთრის საძოვრებზე, ერთ მოხაბეზრებლად გაჭიანურებულ ღამეს, მის ცხოვრებას შემთხვევით ჩაეკერა უცხო, აზმახი და ამოლოხრა დედაკაცი. მეორე დღეს [illegible] ამ მოხერხებულად აქ[illegible] მელითაურის კანონიერ მეუღლედ.

გორს რომ მოვიდა, კინაღამ გაგიჟდა რამაზი, არ იცოდა სით გაჰქცეოდა მოულოდნელად დადგმულ უღელს, როგორ გაჰქცეოდა იმ უნამუსო დედაკაცს. მაგრამ ისევ შემთხვევამ იხსნა. არყით გამობრუჟულ „ცოლს“ ვიღაც მაჯლაჯუნა მწყემსთან შეასწრო. გახარებულმა რამაზმა ქალი უხვად გაამზითვა და სამუდამო დავიწყებას მისცა. არც ერთ ანკეტაშიც კი არ უხსენებია, ცოლი თუ ჰყავდა ოდესმე...

ასე ცხოვრობდა მელითაური. არც დროის მსვლელობას, არც ირგვლივ მომხდარ მღელვარე ამბებს ამჩნევდა, გულგონებასთან ახლო არაფერს იკარებდა. ასე აჯახირებდა თავის წუთისოფელს, ომი რომ დაიწყო.

ომი თუ დიდხანს გაგრძელდებოდა, ან მტერი დიდად ანგარიშგასაწევი იყო — ვერ წარმოედგინა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სასტიკად სცდებოდა და ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა.

გულვარდაშვილმა ეს რომ გაიგო, ფრონტზე წასასვლელი ყველა გზა დაუხშო, და თავისი ფარული, უკეთური ზრახვით, ირმისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაზე დაითანხმა.

ირმისში ჩასვლისას რამაზს ის შორეული, სურნელოვანი გაზაფხული და ის, გზად ნაპოვნი სიხარული მოაგონდა. მაშინვე განეწყო სასიამოვნო თავგადასავლის განცდისათვის. მოუთმენლად ელოდა ხატულასთან შეხვედრას და, ვითომ მოულოდნელი შეხვედრისათვის ემზადებოდა. მაგრამ ყოველთვის ხალხით შემოხვეულ აგრონომს მართლა შემთხვევით, და მართლაც მოულოდნელად შეხვდა. რამაზმა ვერ მოატრიალა თავისი მოქარგული ენა, არ იცოდა, იმ ქალის დანახვის პირველივე წუთს რამ აგრძნობინა, რომ მათ შუა დაუძლეველი კლდე ჩამდგარიყო. თავი ინუგეშა, ეს მოულოდნელობისაგან დამემართაო, მაგრამ მერეც, როცა კი საქმე მოითხოვდა აგრონომთან შეხვედ-

რას, ასევე ემართებოდა, ის თანდათან მკვეთრად გრძნობდა მათ შორის ალმართულ ზღუდეს.

მოიწყინა რამაზმა. სოფელში საქმიანობის დიდი სურვილი თავიდანვე არა ჰქონდა, და მალე მთლად აიცრუა გული. ხედავდა, რომ უვაჟკაცოდ დარჩენილ ირმისში ქალები, მოზარდები და მოხუცები უიმისოდაც უძლვებოდნენ კარგად დალაგებულ მეურნეობას და მადლობელიც იყვნენ, რომ მათ უკითხავად მოვლენილი თავმჯდომარე მათ საქმიანობაში არ ერეოდა. ის დროდადრო კრებას იწვევდა და სჯეროდა, რომ მისი მგზნებარე მოწოდების შედეგად იგზავნებოდა ფრონტზე თვითმფრინავი, ტანკი, სურსათი, საჩუქრები. მომეტებულ დროს კი დარიანში ატარებდა, გულვარდიშვილთან და მის შინაკაცებთან ომის მსვლელობაზე ულიმღამო კამათში ჰკლავდა დროს.

ერთხელ ირმისის საბავშვო ბაღის ბავშვებს წააწყდა, სასეირნოდ გამოეყვანათ, რამაზი აედევნა მათ, თვითონაც გაერთო, ბავშვებიც მოალხინა და მომვლელებიც. მერე ბავშვებმა თვალხუჭუნას თამაში გამართეს და „ძია რამაზსაც“ თვალები აუხვიეს. რამაზი მოიქანცა მათ უკან რბენით, და ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ბიჭი დაიჭირა, თვალებზე აკრული ხილაბანდი მოიძრო და სიცილით ჰკითხა ბიჭს:

— ვისი ხარ, ბალღო!

— ალექსი რჩეულიშვილის სანდრო ვარ! — ამაყად მიუგო ლეგათვალება ბიჭმა.

რაღაც შეუცნობელმა შეაკრთო მელითაური. თვალები აეწვა, პირი და ყელი ამოუშრო. საქმე მოიმიზეზა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. მის მერე საბავშვო ბაღს აღარ გაჰკარებია. ხშირად მთელი დღე უსმელ-უჭმელი იწვა, იმ შორეულ გაზაფხულს და იმ სიხარულს იგონებდა. ვერ ამჩნევდა, ვერა გრძნობდა, რომ თავის სიცოცხლეში არაფერს ისე ფაქიზად არ მოჰქცევია, როგორც იმ მოგონებას...

ჰო, არ იცნობდა თავის თავს მელითაური. თავკუნება, ურწმუნო, უზრუნველი, ყოველგვარი ძალდატანების მოძულე, ის საკუთარ გულშიც [illegible] ბოდა, საკუთარ ფიქრთა [illegible] ერიდებოდა. ახლაც ასე იყო. მოწუსხული იჯდა ტახტზე და ფიქრობდა, მაგრამ ერთმანეთში არეულ-დარეულ ფიქრებს ბოლომდე არ მიჰყვებოდა. ამიტომ ვერ გაეგო, რომ საქმეს ჯიჭურ შერკინებული სათუთი ქალისადმი გულწმინდა თაყვანისცემა აყრევინებდა ფარ-ხმალს; ვერ გაეგო, რომ თვითონ, ომის ხიფათისაგან დაჯავშნულს, ომში წასული ვაჟკაცის რიდი ჰბორკავდა; არ უნდოდა ბოლომდე ჩასწვდომოდა — ერთხელ ნანახი ბიჭის თვალები რად სდევნიდნენ დღე და ღამ, რათ უფორიაქებდნენ სულს, რათ აწყევლინებდა საბავშვო ბაღში მისვლის საათს და შემთხვევას, რომელმაც ლეგათვალებიან ბიჭს შეახვედრა. არ უნდოდა გამოტეხილიყო, რომ სირცხვილით სწვავდა ახლახან მიღებული „გადაყენება“.

შუბლშეკრული, გულდახშული იჯდა და ვერ გაეგო, ერთბაშად ასეთი აუტანელი სიმძიმით რათ დააწვა მხრებზე, თითქოსდა იოლად გატარებული ცხოვრება. დარიანში წასვლა ესიკვდილებოდა. გულვარდიშვილთან და მის შინაკაცებთან შეხვედრა ზარავდა. ზარავდა ფიქრი უშინაარსო მომავალზე...

და ისევ შორს, იალალებისაკენ მიუწევდა გული...

## თავი მეორე

მას შემდეგ ბევრჯერ ჩაიქუხა მთაში დამდნარი თოვლით აზვირთებულმა ირმისხევმა.

ქვეყანა ჩქარობდა ომის ნაკვალევის ამოფხვრას. ჩქარობდნენ ირმისელებიც. აივნებზე გამოკიდულ სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმულ სახეებს — ომში დაღუპულთა სურათებს — მზე, წვიმა, ქარი აუფერულებდა. იცოდნენ ირმისელებმა, რომ შინმოუსვლელთა ხსოვნა სურათებს კი არა, შთამომავლობას უნდა შეენახა, მათ უკვდავსაყოფად მომავალ თაობებს უნდა ეხარა. რა ვუყოთ თუ იმ მოუწელებელმა დარდმა

ხელი ააკანკალოს, ხან ჭვალივით გაჰკრას გულს, ხან ცრემლი ადინოს თვალს, ნუგეშის სიტყვამ თავისი ძალა შრომას გადაულოცა, და შრომობენ ირმისელები ყველგან, ყველა საქმეში, ყოველ ახალ წამოწყებაში მხარში უდგანან თავის თავმჯდომარეს.

დრო კი გარბის, მშვიდობის მეექვსე წლისთავია. მეექვსე მაისობაა უკვე.

ფერდობის ქიმზე მზვერავივით მდგომ ნამეხარ მუხას მიჰყრდნობია ალექსი. მას ადათ-წესად ექცა ყოველ ჯერა მაისს, სისხამ დილას აქ ამოსვლა. აქედან შორამდე ისინჯება მაისიდან მაისამდე ხორცშესხმული ნაოცნებარი, ირმისელების ერთსულოვნებით შექმნილი, აშენებული.

„ოლეგ, ძმაო, ხედავ როგორი მაისობაა ირგვლივ? სანამ ცოცხალი ვიქნები, მე არ დავილევი შენთვის ძეგლების აგებით. მე რომ აღარ ვიქნები, ამ საქმეს ჩემი შვილი მიჰყვება, შვილიშვილი, შვილთაშვილი... დღეს ჩვენი დღეობაა. შენ აქა ხარ, ჩემთან, და არ მინდა, რომ მოუსვენარი ფიქრი სწამლავდეს დღევანდელ დღეს, არ შევაგჩივლებ იმას, რაზეც ფიქრი არ მინდა დღევანდელ დღეს...“

მაგრამ სწორედ ის ფიქრები ესეოდენ ტრაზანებივით და ალექსი ხის ძირში, ქვაზე დაეშვა, თავი ხელებით შემოიალტა. ისევ ნეჩაევს გამოელაპარაკა:

„უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით! ეს ხომ კარგი, კეთილი ლოზუნგია. ბევრი პურის მოყვანა ვის არ გაუხარდება?! მაგრამ ვაი რომ, ზოგი უჯიშო კაცი უმწარებს ხალხს ამ სიხარულს. უნამუსოდ ამახინჯებს ამ მოწოდების აზრსა და მიზანს. არაფრის გაგონება არ უნდა. გონივრულ სიტყვას არ იკარებს. გულვარდიშვილს არც ვაზი უნდა, არც ტყე არც ადამიანი. საკუთარი წარმატება უნდა, ქება და ჯილდო უნდა, სხვა არაფერი. იმიტომ ყვირის, ვაზი ამოვძირკვოთ, ტყე გავკაფოთ, ყველგან პური უნდა ვთესოთო. რამზადა შინაკაცებიც მოუმრავლდენენ. ვისაც მაგისი სიბეცე და გონების სიჩლუნგე ხელს აძლევს, მხარს უჭერს და ამებს. ძნელია ამ ნამუსგარეცხილებთან ბრძოლა. ვერსაით ვერ მივაწვდინეთ. ჩვენ წერილებს — „მესამე ტრამებლად“ ამასვე უგზავნიან, და ეს ყვირის, ინტრიგანები ხელს მიშლიანო! და უფრო აჩქარებს თავისი განზრახვის შესრულებას... ხედავ, ოლეგ, როგორი საფრთხე დაემუქრა ჩვენს ვენახებს?..“

მკერდის მარცხენა არეში ატეხილმა ტკივილმა გაუწყვიტა ფიქრი. ერთბაშად თითქოს დაითალხა ყველაფერი, რაც ახლახან ისე ახარებდა მის თვალგულს. წასვლა დააპირა, მაგრამ შენიშნა ნატაძრიდან ვაჟა კვერენჯაძე მოჰყვებოდა ფერდობს — ნატაძრის კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე. ვაჟა კვერენჯაძე. ნელა უახლოვდებოდა მუხას, ომში ნატყვიარი ფეხი უშლიდა სიარულს. ალექსის თვალწინ უცებ გაბო ნაცვლიშვილის სახე გაუკრთა — შორეთიდან მომავალი, უზომოდ დაღლილი მგზავრის სახე. „ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდაო ,მხარმკლავზე თაბაშირი ედო, მაგრამ იმავ დღეს ცოლ-შვილიანად აიყარა ნატაძრიდანო, არ ვიცით, საით წავიდნენო..“

ვაჟამ საცხრამაისო წაუმღერა ყურთან, რაზე ოცნებობ? — ჰკითხა მერე და ხარხარით ჩამოართვა ხელი. კარგი სიცილი იცის ვაჟამ, გინდა არ გინდა, აგიყოლიებს!

მუხის ძირში ჩამოსხდნენ.

—ალექსი, შე ჩემი ცოდვით სავსევ, რას მერჩოდი, ამ ცეცხლში და ხათაბალაში რად ჩამაგდე? იალაღებზე ვნებივრობდი, სუფთა ჰაერით ვსუნთქავდი, არხეინად ვიყავი!

— გულარხეინებს ხალხი სიყვარულით არ ანებივრებს.

— „გულარხეინებს!“... გუშინ სხვა რომ ვერაფერი გავაწყე, ჯიბოზე ვიყარე ჯავრი, ვითომ ხუმრობით, ისე ვუთაქე, კინაღამ გადაყირავდა. გულვარდიშვილის საამებლად მაინც გაილრიჭა, კაი მარჯვენა გქონიაო!

— ჯიბოსთანებს სახეშიც რომ მიაფურთხო, იტყვის, ცის ნამიაო...

— არ იკითხავ, რის ჯავრს ვიყრიდი? კისერი მოსტეხდეს გულვარდიშვილს, იმ

გულღვარძლიან ბაიყუშს! გაწმენდილ ნაკვეთზე ვაზის ჩაყრა ამიკრძალა, პური დათესეო!..

— შენც პური დათესე, საკუთარი პურია საჭირო, არ გესმის?

— გამიდის — მოვატყუე ნატაძრელები? ნაკვეთი გაწმინდეს, ნერგებიც მომმარაგეს და ეხლა ვუთხრა, პური უნდა დათესოთ-მეთქი? ეს მეტისმეტი პეიტრობით მოსდით თორემ რუსეთის პური მთელ ქვეყანას ეყოფა და ჩვენ დაგვეყვედრება? ჩვენ ხომ არ ვეუბნებით მეზობლებს, საკუთარი ჩაი, ციტრუსები, ღვინო, მარგანეცი, მარმარილო იქონიეთო?

— ტანჭრელი კოვზების ძებნა ნუ გინდა, ვაჟა, გეუბნებიან და გაუგონე, ალბათ ასეა საჭირო, — მშვიდად უთხრა ალექსიმ.

— ყველაზე მეტად მე შენი სიმშვიდე მაკვირვებს, იცი?! ლამის ტვინი ამერიოს. ადამიანო, უწინ ქართველები რვა მილიონი ვიყავით და ჩვენი პური გვყოფნიდა, ხალხი არც ვაზსა სჩაგრავდა, არც ტყეს ატიალებდა! ეხლა პურის მოყვანა რად გაგვიხადეს პრობლემად, რად, რად?

— რა გაცხარებს, ვაჟიკუნავ, ბევრი პურის მოყვანა ურიგო საქმეა?—ისევ მშვიდად და შეგონებით უთხრა ალექსიმ. არ უნდოდა, რომ ახალგაზრდაკაცს ოდნავ მაინც დანელებოდა გატაცება, რომლითაც ის მოეკიდა თავისთვის ახალსა და ძნელ საქმეს — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას. არ უნდოდა, რომ რაიონის „მესვეურთა“ საზიანო ლონისძიებებს, უკეთურობას დალი დაესვა ვაჟას რწმენაზე. და თავის თავსაც იმშვიდებდა, არა თმობდა იმედს, რომ პურის დამზადების ირგვლივ მათ რაიონში ატეხილი არაჯანსაღი ფართი-ფურთი მალე დაცხრებოდა. — რა ურიგოა, ვაჟა, შენც ჯერჯერობით ბევრი და ხარისხიანი პური ჩააბარე. რა მოსაზრებაც უნდა ჰქონდეს გულვარდიშვილს, ის შენ საზიანოს არაფერს დაგავალებს...

— იმ აშმორებულ გულვარდს მე თავის კაცად მივაჩნივარ, იმიტომ მიწყობს ხელს და მეფერება? ფუი, სინსილა კი გაწყდა მაგისი! ვაჟამ და უცებ დასუსხულივით წამოვარდა. ქვევით, ნარიყალზე ახალშენ ვენახში წითელ კაბას მოჰკრა თვალი. შეეცადა თავი დინჯად დაეჭირა, მაგრამ კუპრივით შავი თვალების ალევარებას ვერ ფარავდა.

— ალექსი, უყურე, ხედავ, ვენახს ყაყაჩო მოსდებია!

ალექსიმ ვაჟაზე ადრე დაინახა მეაბრეშუმეების მერგოლეური მაკა, და ჩაეცინა.

— აბა ვნახავ, გზა სწორედ იქითა მაქვს! — აბნეულად წაილაპარაკა ვაჟამ, ალექსის ხელი დაუქნია და ფერდობს სრიალ-სრიალით ჩაჰყვა ვენახისაკენ.

„ნატყვიარი ფეხიც აღარ გიშლის სირბილს, — ისევ ჩაეცინა ალექსის, — კარგი ხარ, ვაჟავ, კარგი, და ეგ „ყაყაჩოც“ მშვენიერია. კეთილად გატაროთ ღმერთმა...“

ამასობაში მზე შუბის ტარზე ავარდნილიყო. ალექსი ისევ დაატყვევა ირგვლივ გაშლილმა სურათმა. ამ მაისობას ერთდროულად აეფეთქებინა ადრე და გვიან ასაფეთქებელი კვირტი.

თეთრად გადაპენტილი ვაზი უბადლო სურნელს აფრქვევდა. ჯერ არ დაეყარა ყვავილი ნუშს, ჭერამს, ტყემალს და უკვე აყვავებულიყო ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი, შვინდი. ტბასავით ლივლივებდა დამუხლული ჯეჯილი. სათიბიდან ჭრელი ყვავილები იჭყიტებოდნენ. ტოროლა ცას შეჰხაროდა. სადღაც შაშვი ჭახჭახებდა. გაღმა ტყიანში წლებს ითვლიდა გუგული. „გიოს“ ეძახდა მოლაღური.

თეთრ-ვარდისფრად ჰყვაოდა ირმისა და მთელი თვალუწვდენელი ველი. მზე დაჰნათოდა თეთრ ალავერდს, და სიყვარული კელაპტარივით სწვავდა ალექსის გულს...

— მამი-ი!.. — მოულოდნელად გაჩნდა მუხასთან სირბილისაგან გულამოვარდნილი ბიჭი, — გეგონა, ვერ გიპოვნიდი?

— ყოჩაღ შენ! მაშ ნუ ხტიხარ, და-

დექი და მიიხედ-მოიხედე. რასაც დაინახავ, დაიხსომე. ისე დაიხსომე, რომ არასდროს არ დაგავიწყდეს. რაც უნდა შორს იყო შენი მშობლიური მიწიდან, მაინც ხედავდე მას, გესმის? — უთხრა ალექსიმ და ჩუმად დაუმატა: — ბრძენი იყო ჩვენი სანდრო-პაპა...

სანდრო კარგა ხანს ათვალიერებდა თვალწინ გაშლილ არემარეს და მერე რატომღაც გულამომჯდარმა იკითხა:

— მამი, მე რატო შენ არ დაგემსგავსე, ჰა?

—რა კაცი ხარ! ზოგი შვილი დედასა ჰგავს, ზოგი მამას.

— ჰოდა, მე მინდა შენა გგავდე და შენსავით სიმღერა ვიცოდე.

— ეგ რაღამ მოგაჩვენა, შე ყურუმსალო?! მე სიმღერისა რა ვიცი?

— ჰო, დიახ, ყველას უმალავ, მე კი ვიცი, ჩუმჩუმად მღერი ხოლმე, აი ისე, წელანდელივით. მე ყურს გიგდებდი. მასწავლე რა!

ალექსიმ ბიჭი აიტაცა და მკლავებზე გადაწვენილი გააქან-გამოაქანა:

— ნუ ხარ ჯიუტი, თორემ ეხლავე იმძისხევში გადაგაგდებ!

— გადამაგდე, მე მაინც მენდომება, რო შენ გგავდე და შენსავით სიმღერა ვიცოდე!

— კერპო, ჯიუტო, თავისნათქვამავ!— ალექსიმ ბიჭი მიწაზე გადმოახტუნა და სიცილით დაუმატა: — კერკეტი ხარ, კერკეტი!

— კერ-კეტი, კერ-კეტი! — ცალფეხზე დატრიალდა სანდრა, მერე ხელებით თვალები მოიჩრდილა და შარაზე გამოჩენილ „მოსკვიჩს“ დააკვირდა. — ძია ნიკო მოვიდა! არჩიკოც მოუყვანია, ვაშაა! — დაიყვირა და შურდულივით გაქანდა ფერდობთან გაჩერებულ მანქანისაკენ.

„მოსკვიჩიდან“ გადმომხტარი სანდრას თანატოლი ბიჭიც სირბილით გამოქანდა ფერდობისაკენ. შეხვდნენ ერთმანეთს თუ არა, არჩიკომ ხის ფარი და ხმალი გაუწოდა მეგობარს:

— აჰა, დაიჭი, ხმალში გიწვევ!

სანდრომაც ფარი მოიმარჯვა და ჰაერში ხმლის ტრიალით ეკვეთა „მოწინააღმდეგეს“.

ერთმანეთის ნახვით ბავშვებზე არანაკლებ გახარებული ალექსი და ნიკო ხელიშვილი მუხის ქვეშ ლოდზე დასხდნენ და დინჯი, გულგანდობილი საუბარი გააბეს.

ბავშვებმა ერთი თალის გული იჯერეს ფარიკაობით და ჭიდაობით. ხალათები დაესრისათ და შემოეხიათ, ღილები დააწყდათ, გადაყვლეფილი მუხლის კვერები და იდაყვები ეწვოდათ, მაგრამ უზომოდ კმაყოფილი წამოგორდნენ ბალახზე, ცისა და ბარის, ნამდვილი და მოგონილი ამბების გაცვლა-გამოცვლით გაერთნენ.

უფროსების საუბარი კი თანდათან გამწვავდა. რაწამს სიტყვა მთავარ სატკივარს შეეხო, ალექსიმ უცებ დაკარგა ის სიმშვიდე, ახლახან ვაჟას რომ აკვირვებდა.

— პურის გამო კახეთში ვაზი შევიწროვდესო, ეგ უგუნურების მოწადინებაა! — თქვა აღშფოთებით.

— მერედა, განა გაიგებ, სად იწყება ეგ უგუნურება?

— დავუშვათ, საერთო სახელმწიფო გეგმების შემდგენელნი ჩვენგან შორს არიან და არ იცნობენ, ამოდენა ქვეყნის ყველა კუთხეს ვერ მიწვდა მათი თვალი, ანგარიშში ვერ გაუწიეს ყველა კუთხის თავისებურებას, ბუნებრივ პირობებს, გამოცდილებას, ტრადიციებს, მაგრამ მაგისთვის არა ჰყავს ყველა რესპუბლიკას თავისი ხელმძღვანელი?! იმათ არ ევალებათ გააგებინონ, დაარწმუნონ ის შორსმყოფი გეგმისშემდგენელნი, რით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკა სახელმწიფოს?

— შენ ვაზი გიყვარს, ჩემო ალექსი, კახელ კაცს ოდითვე მოსდევს ეგ სიყვარული, მაგრამ... ყველა ხომ არ არი მოვალე უყვარდეს შენი სიყვარული, ამაყობდეს შენი სიამაყით, შენი სატკივარი აიტკიოს?

— ყველა არა, მაგრამ ხელმძღვანელმა უნდა გაიზიაროს ხალხის სიყვარულიც, სიამაყეც და ტკივილიც, მაშ რი-

ეროვნული

სი ხელმძღვანელია?

— ეჰ, ჩემო ალექსი... — სევდამ უცნაურად დაღარა ნიკოს გაბადრული სახე. — ადამიანი შეიძლება გონებით ეთანხმებოდეს შენს მართალ აზრს, მაგრამ თუ ვაჟკაცობა აკლია, ის საქმის ქომაგი ვერ იქნება.

— მაშ რად ეჭიდება ისეთ საქმეს, რის შნოც ღმერთს მისთვის არ მიუცია?

— ადამიანში შენ უპირველესად სიკეთეს ხედავ, და მიკვირს, ეგრე სასტიკად რომ ჰკიცხავ იმათ, ვინც გმირად არ დაბადებულა.

— გმირი ნუ იქნება, მაგრამ მითხარი, რა ვიფიქრო ისეთ კაცზე, რომელიც საერთო საქმის ზიანს გაუჩუმდება?

— გაუჩუმდება... — მწარედ ჩაიცინა ნიკომ და ხმადაბლა განაგრძო, — ცხოვრების სუსხი არც შენ დაგკლებია, მაგრამ მე ბევრად უფროსი ვარ შენზე [illegible] მეტის მომსწრე ვარ... — ჩემი თაობის თვალწინ ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რის ახსნაც ვერ შეგვძლებია, გაუგებარი გვრჩებოდა. გაუგებარი კი ყოველთვის იწვევს ეჭვს, დაძაბულობას, ბოლოს შიშსაც... და შიში განა აკეთილშობილებს ადამიანს?

— ნიკო, რად გინდა მაგაზე ლაპარაკი? ჰო, ბევრი სიძნელე იყო, ძალზე ძნელი იყო, მაგრამ მაინც მოვაღწიეთ დღევანდელ დღეს. შენ გიყვარს დღევანდელი დღე, ხვალინდელ დღეზე ზრუნვა გიყვარს და გჯერა, დადგება უფრო კეთილი ხვალინდელი დღე, გუშინდელი რისთვისღა ვღეჭოთ, რისთვის?

ნიკომ მიიხედ-მოიხედა, ალექსისთან უფრო ახლოს მიიწია და თავისი სათქმელი განაგრძო:

— ყველანი ვცდილობთ წავუყრუოთ იმ „გუშინდელ დღეს“, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენ ეს დარდი და ბოლმა არ შემოგვაწვებოდა, სიმართლის ხმამაღლა თქმას არ გადაეჩვეოდა ხალხი...

— მაპატიე, ნიკო, ასე მგონია, შენ ძალიძალად აკოწიწებ გუშინდელსა და დღევანდელ დღეს, — დაღლილი ხმით შეაწყვეტინა ალექსიმ. ადამიანთა გაუგებარ განსჯაზე ფიქრებს [illegible] რომ აწვალებდნენ. ახლა [illegible] თითქოს რიდაცით დაკავშირებულნი მოუზღვავდნენ. ის დღე მოაგონდა, ირმისში ჩამოსული ვიღაცა უცნობი კაცი დიტო ხირსელის მტრობაზე და ღალატზე რომ ლაპარაკობდა; ის ღამე მოაგონდა, ირმისელებმა რომ უთხრეს, დღეიდან ჩვენი თავმჯდომარე ხარო; თავით ფეხამდე ფქვილით შეთეთრებული მეწისქვილე მოაგონდა — ისე მოკვდა ტიტიკო, რომ ვერ გაიგო, იყო თუ არ იყო ხირსელთან მეგობრობაში მოტყუებული; ნაჩაევის ნათქვამი მოაგონდა, — „ვერ გამიგია, მედვედევებისთანა ტიპებს რა ჰბადებს ჩვენს დროშიო“. ამ დილით უკვე მეორედ დაინახა გაბო ნაცვლიშვილის სახე, „ცოლშვილიანად გადაიკარგაო“... რამ აიძულა ის კაცი გადაკარგულიყო? რაზე თქვა ნიკომ, შიში არ აკეთილშობილებს ადამიანსო, ვინა ჰყავდა მხედველობაში?...

ნიკოს ეუცნაურა ალექსის გახანგრძლივებული დუმილი. გადახედა მეგობარს და განცვიფრდა, უცებ ისეთი გამოცვლილი ეჩვენა. გაზაფხულის მზემოკიდებულ სახეზე გაფითრება ლაქებად აჩნდა, მარცხენა საფეთქელთან ნაიარევის ირგვლივ წვრილი მოცისფრო ძარღვები ამოქემსილიყო. ანთებული თვალები ბუდის კიდეს მოსდგომოდნენ.

იგრძნო ნიკომ, რომ ფიქრების ჯაჭვმა მიუვალ ულრანში შეითრია ალექსი და ფრთხილად დაუსვა მხარზე ხელი:

— რა გემართება, რა იყო, მე ახალი გითხარ რამე?

— ახალი არაფერი, ძველ ჭირს ვახლებ...

— ეს ძველი ჭირი თავათ ახლობს. მაგის გამოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა იცის: სჯობია მყუდრო კაბინეტში წიგნები იკითხო ვიდრე რომელიმე მნიშვნელოვან საკითხზე საკუთარი აზრი იქონიო და ის აზრი დაიცვა...

— არ მინდა, ნიკო, შენ თვითონ ხომ სთქვი, მე ადამიანებში კარგის დანახვა მინდა, რადად მიშლი? არ მინდა! —

თქვა ალექსიმ. თითქოს შეეხვეწა, დამინდეო.

მაგრამ ნიკომ არც ის დაინდო, არც თავისი თავი.

— გიშლი კი არა, ალსარებასავით გეუბნები, ეს საათი აღარ მობრუნდება, გული ველარ გაუძლებს. მომისმინე: იმ დაწყევლილ 1937 წელს თბილისში ვიყავი, სოფლის მოწინავე მშრომელთა აქტივის შეკრებაზე. ეშმაკურ-ქაჯურად მომიწია „სათვალებიან ურჩხულთან“ პირისპირ შეხვედრა. იმისი გამოხედვა რომ მაგონდება, ეხლაც ჟრუანტელი მივლის. მეგონა, არა, მეგონა კი არა, ვიგრძენი, ძალზე მწვავედ ვიგრძენი თითქოს შხამიანი ნესტარი დამასო-მეთქი... ჰოდა, მეც და ჩემისთანა ათასმა ხელები დავიწყვიტეთ იმის სიტყვაზე ტაშის დაკვრით, ვისაც კი ენა უჭრიდა, ქებით ცასზევით ასწია... ასე იყო — სიტყვების კორიანტელით, ტაშის გრიალით ვიყუჩებდით, ვჩქმალავდით შიშს...

ნიკომ სული მოითქვა და განაგრძო:

— იმან რომ მოსკოვს გადაინაცვლა და აქ, თავის ადგილზე ეს პატიოსანი, ნასწავლი, განათლებული კაცი დატოვა, არ გეგონოს, რომ ეტყოდა, „შენ იცი და აქაურობამო“. ა — არა! ალბათ აგრძნობინა, საქართველოს განმგებელი ისევ მე ვიქნებიო, და იმ თავის შხამიან ნესტარს დაასობდა. და მორჩა! ამან ჩემზე და შენზე უკეთ იცის, რამდენი ალალმართალი კაცი შეიწირა იმ ღვთისპირის მკაწრავმა, ჰოდა, დანაშაული რომ არა გაქვს რა, მაგრამ ერთთავად კი დასჯისა გეშინია, სვინდისს მაინცდამაინც რჯულამდე აღარ ჩაყვები, მით უმეტეს, თუ კაცს ხელმძღვანელი გქვია, მაგრამ მორჩილების მეტი არაფერი მოგეთხოვება. ჭკვიანია და ჭკუით იქცევა, იმიტომ შეარქვა მისმა მწყალობელმა „ნაცადი ბოლშევიკი“, — ჩვენც კაჭკაჭებივით რომ ვიმეორებთ... ეხლა ნაბრძანები აქვს, საქართველო საკუთარი პურით უნდა უზრუნველყოო. და შეასრულებს, თუნდაც იცოდეს, რომ საზიანოა, მაინც ეცდება, მალე და კარგად შეასრულოს...

ნიკომ ისევ მოითქვა სული და ისევ განაგრძო:

ეროვნული

— ი, ჩემში შენ [illegible] ხედავ და იმიტომ გიყვარვარ, არა? ჰო, წესიერი, პატიოსანი კაცი ვარ, არც ვაუკაცობა მაკლია, მაგრამ... გულპილწი გულვარდიშვილისაც მეშინია, ტაშსაც ვუკრავ, ხან მის სულელურ აზრსაც ვუჭერ მხარს...

— შენ მაგას ხალხის სიკეთეზე ზრუნვა გაიძულებს... — დანანებით, უხალისოდ თქვა ალექსიმ.

— მერედა, განა ეგ მინელებს სიმწარეს? ჰო, რომ იცოდე, რამდენჯერ შემბრალებია და შემძულებია ჩემი თავი, მაგრამ სხვა რა ჩარაა? მომაძრობს გულღვარძლი და მუხიანს თავის შინაკაცებს მიუგდებს დასატაცად. გაუჭირდება თუ რა? დაჩხაპნის პატარა ქაღალდს, ცილს რამეს დამწამებს, მე გამაშავებს და თავის მხარდამჭერებს აამებს...

— ოჰ, ნიკო! — უჩვეულო თავშეუკავებლობით შეაწყვეტინა სიტყვა ალექსიმ. — ისე ლაპარაკობ, გეგონება, წუნკალი ადამიანების იქით გზა და სამართალი არ არსებობსო, გეგონება დაგვიწყებია, რომ ჩვენ ქვეყანას ხალხის სიკეთისათვის ფიქრზე და ზრუნვაზე გადაგებული თავკაცი ჰყავს! შიშმა ხომ არ გაიძულა დარიანის რაიონში პირველი არტელის ჩამოყალიბება?!

—ჰო, დიახ, მეშინოდა მამაშენისთანა მშრომელი გლეხები არ აეყარათ სოფლიდან!

ალექსი წამით დააბნია ნიკოს ნათქვამმა, მაგრამ თავი გაიქნია, ყელს მომდგარ სიმწარეს მოერია და ისევ კითხვები დააყარა ნიკოს:

— შიშისაგან გახდა თქვენი კოლმეურნეობა მილიონერი? შიშით მიაკუთვნეთ თქვენს მეურნეობას სტალინის სახელი? შიშისთვის შეგაქო და დაგაჯილდოვა იმ კაცმა, თუ გულით, სიყვარულით აშენებული მეურნეობისათვის, ჰა?... თქვი ,მითხარი!

— რა ვიცი, ჩვენ იმის მზესა ვფიცულობთ და ირგვლივ კი გაუგებარი რაღაცეები ხდება...

— ძმობას გეფიცები, ნიკო, სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ ისინი გამასრულინა, ვინც არსაქნელ საქმეებს სჩადის, ვინც ჩრდილს აყენებს იმის სახელს... — ხმადაბლა თქვა ალექსიმ და ბალახზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო. სახე ძალზე დაღლილი, ნაცრისფერი გაუხდა, ბუდეში ღრმად შეკუჭული ჩამქრალი თვალებით ცის კიდის რომელიღაც წერტილს მიაჩერდა.

ნიკოს გული ჩაეწურა. მკერდზე დაადო ხელისგული:

— იცი, რას გეტყვი? სათქმელი თუ არსათქმელი ვთქვით და კმარა. გამარჯვების დღეს მე იმისათვის კი არ მოვძებნე, რომ ვისხდეთ და გული ვიდარდოთ. დამშვიდდი და ყური მიგდე. კარგად იცი, ჩვენი გულვარდი ეცდება ამ ლოზუნგს თავისთვის, რაც შეიძლება მეტი გამორჩეს.

— კისერი უტეხია! ადამიანების სულს, რწმენას არ უფრთხილდება და ვაზი რაა?

— ვაზი უნდა დავიცვათ. მაგისთანა არამზადები მოვლენ და წავლენ, მოვლები კი ჩვენ მოგვკითხავენ, ვაზს რა უყავითო.

— ჰოო... — უგრძნობელი ხმით თქვა ალექსიმ, არც განძრეულა.

— წელს საყანე ფართობს ერთიორად გავზრდითო.

— ერთი-ათჯერ გაზარდონ...

— არ, ამ ნარიყალზე ვაზი ჯერ არ მომაგრებულა, სამირკვავი გუთანი ზედ იორღასავით გააჭენებს.

— გააჭენოს, რა მენაღვლება...

— ვაზის ამოძირკვაზე შენ დაგაყენებენ, გეტყვიან. მეტი წილი ირმისელებისაო.

—მეც დავდგები...

— ოჰო-ო, რა სანახავი იქნება! მერე ალარც ნიშანგამოღებული ვაზი გაგიწევს წინააღმდეგობას.

— ჰოდა, საქმე გაადვილდება...

— დავიჯერო, ქართულ გუთანს შენ ჩაადენინებ ამ სიბოროტეს?

— ეხლა შენ მომისმინე, ნიკო, — წამოიწია ალექსი, — ომის დაწყებისას საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი გვაკლდა, გვშიოდა, გვცი[...]ოდა, [...] ვიხევდით, მაგრამ ჩვენი [...] მთავარსარდლის სიტყვა [...] „მალე ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაულიო“ და ასრულდა კიდეც. იდღესასწაულა ყველამ, ვინც ამ დღესასწაულზე ოცნებობდა, ვინც იმ სიტყვის შესრულებას სწირავდა სისხლსა და სიცოცხლეს. ქეციანი გულვარდიშვილები კი იმ დღესასწაულის ნასუფრალით სკდებიან, ხეთქონ, იმანი ჩააყოლონ, აისრულონ თავისი ნამცეცა გულის წადილი...

— ჰოო? სამირკვავი გუთანი გაატარონ შენს ძვლებზე? ყელზე დაადგებით, ბიჭო! ადე, ალექი, ლაპარაკს გავაყევით და გვიგვიანდება, ადე, კეჟერაზე მივდივართ!

— კეჟერაზე რა დამრჩენია?

— ადე, დროს ნულარ ვკარგავთ, ნაკვეთები უნდა ავირჩიოთ!

— კეჟერაზე სასიარულოდ ჩვენ არც ტრანსპორტი გვეყოფა, არც დრო, არც მუშახელი, — ცივად თქვა ალექსიმ და არც განძრეულა.

—კეჟერაზე ნაკვეთები გვერდიგვერდ ავიღოთ, ემტეესთან ხელშეკრულება დავდოთ. ტრანსპორტი მე მაქვს და გვეყოფა. მუშაობაზე ასე შევთანხმდეთ: ვიდრე შენი ხალხი ვენახებს აუვა, მეხიანელები საყანეს მოამზადებენ, მერე ირმისელები რომ მოიცლიან, მეხიანელებს შრომადღეებს შრომითვე აუნაზღაურებენ. ურიგო სიტყვაა?

— კეჟერას ვინ დაგვანებებს? — წამოვარდა ზეზე ალექსი.

— თითონ გულვარდიშვილი! არა გჯერა? სიხარულით დაგვანებებს. იფიქრებს, ვერ მოერევიან და ორივე „საყვარელი“ თავმჯდომარე თავისი ნებით გაებმება მახეშიო! მე და ჩემმა ღმერთმა, სწორედ ეგრე იფიქრებს, არ იცი, იმისი თხელი ჭკუის ამბავი?!

— ნიკო, ეგ კარგი საქმე შენმა გულმა გიკარნახა, მაგრამ მეხიანელები დათანხმდებიან?

— კეჟერაც იმათ მიკარნახეს და [...] გეგმაც! ირმისელები კი არ ვიცი, რას იტყვიან.

— ულეველი დღე და სიხარული მოეცეს ნიკო ხელაშვილსო!

— ძალზე მიყვარს, როცა მლოცავენ.

— არ მოგაბეზრდა?

— მე კაი კაცო, სიკეთე ვის მობეზრებია?

ლაპარაკით ჩაჰყვნენ ფერდობს. ნიკო ძლივს უსწორებდა ნაბიჯს თავქვე სწრაფად წასულ ალექსის.

სანდრო და ირაკლი უკვე მანქანაში მოკალათებულიყვნენ. ერთს ყვრიმალი ჰქონდა ჩალურჯებული, მეორეს — ქვედა ყბა.

— რა ბევრი გვალოდინეთ! ვიგვიანებთ კეჟერაზე! — ერთხმად იყვირეს ბიჭებმა.

— კუდიანებო, ვინ გითხრათ, კეჟერაზე მივდივართო? — გაიცინა ალექსიმ.

— მამაჩემმა უთხრა დეიდა ხატულას და მე გავიგონე! — დაიტრაბახა ირაკლიმ.

— თქვენისთანა მიგლეჯილ-მოგლეჯილ მეომრებს კეჟერაზე არ მიუშვებენ! — ვითომ დაიმკაცრა ხმა ნიკომ.

— დედაჩემი ხელით დაგვიკერებს ლილებს! — გამოაცხადა სანდრომ.

— როდისღა? დეიდა ხატულაც მოდის, კეჟერას ჯერ პირველად აგრონომმა უნდა დახედოსო! დაავიწყდა, რომ ეს ორივენიც აგრონომები არიან! — ჩაიფხუკუნა ირაკლიმ.

— დაავიწყდა კი არა! დედაჩემს ყამირი გააგონე და ასი აგრონომიც რომ იყოს, ყველას გაასწრებს! — ამაყად გამოესარჩლა დედას სანდრო.

## თავი მესამე

საუცხოო შემოდგომა დადგა. გულუხვ ქირნახულს გრძნეულთა საწირავივით მიმოეფანტა ირგვლივ სიმწიფის მსუყე ფერები. ველ-მინდვრები, ბაღვენახები, მთაც და ბარიც უკუაფრქვევდა მუშა-ხელის მადლსა და ნაჯაფარს.

მარნებში მაჭარი დუღს. მოხარატებული აივნების ბოძებზე ხახვის და ნივრის გალა. ჯაგნები და აკიდოები ჰკიდია. ბოძებს შორის [illegible]ვით გამოფენილი ჩურჩხ[illegible]ული შრება. სხვენი [illegible] გაჭედილი საზამთრო დაბინავებული მარაგით. ტილ-ტილობით რთველისა ჰკრეფს საშემოდგომო ბოსტნეული. ხელახლად აჭრელებული სათიბი აქა-იქ შავად ბზინავს ანეული. დამტკბარ ჰაერში ზუზუნით იძვრიან ძილშეპარული ფუტკრები. მოლილისფრო ბურში ხეები მშვიდად აწნავენ ყვითელ-წითელ-ლურჯფოთლოვან ტოტებს.

გვიანობამდე ხმაურობს ოთახი. დღეობა, დაბადება, ნიშნობა, ქორწილი, ნათლობა — ყველაფრისათვის ახლა მოიცალა ხალხმა. წკრიალა ჰანგებით, ხმაშეწყობილი სიმღერებით, სიცილ-კისკისით გაჭედილია ქუჩები, შუკები, ეზოები, სახლები.

ალექსი ხშირ ბინდისას წამოვიდა მეფრინველეობის ფერმის მშენებლობიდან ამაღამ ვაჟას ქორწილია. ვაჟას და „იმ ყაყაჩოს“ ჯვრისწერაა ამაღამ.

ალექსიმ გახედა ფერად-ფერადი ფანრებით განათებულ ნატამარს და სიცილი ძლივს შეიკავა: ნეფე-პატარძალს ქვეყნის ძმობილი, დობილი, მეგობარი, ამხანაგი, მოყვარე და ნათესავი აღმოაჩნდა. მოდის და მოდის ხალხი ქორწილში. გული უსკდებათ ნატამრალებს: სტუმარი ღვთისაა, მაგრამ რა გვეშველება, თავი არ მოგვეჭრასო!

„უსაშველო რა გჭირთ, ნატამრელებო?—ეღიმება ალექსის. — ნეფე-დედოფალი გიბედნიეროთ და დაე, წლისწორს ნათლობაზე ორი ამდენი ხალხი გეწვიოთ. იმისელებიც თქვენი სტუმრების მასპინძლები არ არიან?“ — ეღიმება ალექსის. ჩქარობს. უნდა მოასწროს შინ მისვლა, სანდროს ტკბილი ძილი უსურვოს. რა მეჯვარეა, ქორწილში თუ დაიგვიანა? ჩრდილ-ჩრდილ მიდის და უხარია, რომ ხმაურობს ოთახი. ამხიარულონ. ლხინი არიან. პირნათლად გამოვიდნენ სახელმწიფოსთან, რაიონთან, კოლექტივთან პური, ღვინო, ხილი, ბოსტნეული, მატყლი, ერბო, ყველი, აბრეშუმი — ყველაფრის ანგარიში

განწორებულია, ახლა მუხრანელებს უხვიან ვალს, კაკერაზე პურს თესენ.

ჩქარობს ალექსი შინისკენ, შემხვდურებს ერიდება, მაგრამ გეგონება, მაცნე მოუძღვისო — გასცდება ერთ სახლს და ახლა მეორე სახლთან ეგებება მასპინძელი:

— ალექსი, ერთი წუთით შემოიხედე ჩვენთანაც!

„ჩვენთანაცო“ ისე ამბობს, თითქოს ეუბნება, „თუ კაი კაცი ხარ, მეზობლებში ნუ გამომარჩევო...“

აი დოდაანთ უბანიც. აქ დაბადებული და გაზრდილი, შვიდი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცი აღარ დაბრუნდა ომიდან. იმიტომ დაარქვეს ამ ქუჩას „დოდაშვილების ქუჩა“.

— ალექსი, აგრემც შემოგევლება ჩემი თავი, ერთი შემოგვხედე ქვრივობლებს! — სთხოვს ჭიშკართან დადარაჯებული დოდაანთ ნატალია, ხანშიშესული, ჭკვიანთვალება, ქალთა მეხილე ბრიგადის ბრიგადირი.

დოდაანთ ნატალიის თხოვნა რად სჭირდება, როდის იყო ალექსი გვერდს უქცევდა ფრონტიდან არდაბრუნებული მეგობრის ოჯახს?!

— თონე გაგიხურებიათ, პურის სუნი ბნიდავს აქაურობას!

— ამ არგასამვებმა ბიჭებმა აღარ დამაყენეს, — ვითომ ჯავრობს ნატალია, — ახალი ფქვილის ნაზუქები დაგვიკარო. აბა გასინჯე, როგორათმე მოგეწონება.

— დღეს ვეება ტომარა ფქვილი მოათრიეს წისქვილიდან, — გამობოდიშა თავისი ტყუპი ბიჭი მოხდენილმა, შავთვალწარბა ოლინკამ, ეგებ არც ქვრივმა — ომში დაკარგული ელიზბარის ცოლმა.

— ძია ალექსი, ეს ჩემი ნაზუქია, სანდროს წაუღეთ რა! — ეტმასნება ლოყაწითელა, პატარა ნატო და ჯიბეში უჩურთავს ცხელ ნამცხვარს. ის მთელი ოჯახის ნებიერაა, მთელი უბნისაც — ომში მიმავალი ელიზბარი არ შესწრებია ამ კოკანდარას დაბადებას...

ალექსიმ გემო გაუსინჯა ნატალიის მორთმეულ ნაზუქს და მოწონებით გაულიმა. ნატალიასაც ქება კი არა, ეს უნდოდა, მისი გაღიმება. მთელი [illegible]ხით აცილებენ ჭიშკრამდე.

— ალექსი! ალექსი! — ეძახიან ქუჩაზე გამოსულს, სთხოვენ, „ერთი წუთითო“. ყველას უნდა ჩაიზიაროს, უნაწილოს სიხარული, სითბო, სინათლე და სიკეთე, რაც ამ კაცის გულმა და გონებამ შეატანინათ ოჯახში.

ალექსი ჩრდილს აღარ ენდობა, ბინდში ოდნავ საჩენი ბილიკით იმოკლებს გზას შინისკენ, მაგრამ ეს რაღაა? პირი ხომ არ შეუკრავთ იმდისელებს, განზრახ ხომ არ უგვიანებენ მეჯვარეს ქორწილში მისვლას?

ბილიკი „შეკრულია“.

— შენ არ იძახდი, დალის დიპლომატის ჯოხებს უგავს ფეხებიო? დალი ისეთი ყარაჩია, იმდისხევიც ვერ გაჰბანსო? დალის თვალები ნამიანი ბალახიაო? არ იძახდი? — უწყრება ვალაცას ოზბეთელაანთ გოგო.

— ვიძახდი, ჰო, ვიძახდი, მერე რა? — ჩაიბუხუნა ბიჭმა და ალექსიმ მაღნაზი იცნო, ტრაქტორის საბმურის მიმბმელი ბიჭი, მთელ დღეს შაშვივით რომ სტვენს.

— ჭირი შენა და დარდუბალა! ეხლა სიყვარულზე ლაპარაკს მიბედავ?

— მამწონს ეგ ყველაფერი და იმიტომ ვიძახდი, სხვანაირად როგო მეთქვა, ვინც რა ჭრელ-ჭრელა სიტყვებით გაამოს, ტყუილია, ჩემსავით არავის დაეხატები!

— „დაეხატები“! — გამოაჯავრა გოგომ და, ჩანს, სიხარული ველარ დაფარა, გადაიკისკისა.

„ჩემთვის დახატული ხატულა კი დილითვე გააქანეს ნატაძრალებმა“, — ჩაეცინა ალექსის და ბილიკი მიატოვა, გამობრუნდა. სხვა გზა არა აქვს. მშენებლობას უნდა ჩაუაროს შეუმჩნევლად. თავისი მაინც გაიტანეს იმდისელებმა, სანდრო-პაპისეული ქოხის გვერდით აუგეს თავმჯდომარეს სახლი. მუხრანელი კალატოზები მუშაობენ. ნიკოს დაუშინებია, „ახალწლისთვის რჩეულიშვილის სახლი მზად რომ არ იყოს, მუხრანში აღარ მოგიშვებთო“.

კარგია, ოზბეთელიაანთ მეზობლად იცხოვრებენ. ეჰ, მაგათაც რა ბიჭი დაეღუპათ ომში?! თუმცა... ელიზბარისა არ იყოს, დაღუპვის უწყება არც ამათ მიუღიათ...

როგორც იქნა, გამოჩნდა ნაძვიც და განათებული სარკმელიც.

სანდრო ალბათ წევს და ვერ იძინებს, მამას ელოდება, თან ჯავარიაანთ ლიზას ამღერებს. ხატულა აბრაზებს ხოლმე ლიზას, „შინაბერაო“...

ალექსი ნაძვთან მისული არც იყო, ქოხის კარი რომ გაიღო და გარეთ სანდრო გამოსრიალდა. გაოცებულ მამას მივარდა:

— სადა ხარ აქამდე, მამი, არ იცი, როგორ გიცდიდი! — აღელვებისაგან სულს ძლივს იბრუნებს ბიჭი. — წამო ჩქარა, ბიძაჩემი მოვიდა!

— ვინ ბიძაშენი?

— შენი ძმა არ იცი, ძია ლევანი? რაღას დადექი, წამოდი! ფაშისტების ბანაკებზე ისეთი რაღაცეები გვიამბო, რო ლიზა მოკვდა ტირილით.

— დიდი ხანია?

— მთელი საღამო ტირის და ტირის, ეგრე აქვს თვალები დასიებული!

— ლევანი, დიდი ხანია ლევანი მოვიდა?

— ჯერ მზე არც იყო ჩასული.

— კარგი, სანდრო, წადი, მე ეხლავე მოვალ.

— რაღას დადექი, წამო რა! ნატაძრელებიც წარამარა გკითხულობენ, არ გესმის, მამი?

— მესმის, შვილო, შენ წადი, გაართე, მეც მოვალ, წადი, ძალიანა გთხოვ.

— მეცა გთხოვ, მალე მოდი! — უთხრა სანდრომ და უხალისოდ გატრიალდა.

ალექსი ნაძვს მიეყრდნო, ხელისგულით დაიზილა მკერდის მარცხენა მხარე. არ შეიძლება იცინოს. სიცილმა ატკინა გული. არა, ცუდი შვილი რომ იყავი, იმან გატკინა გული. მერე რა, მამამ ომისში დაბრუნება რომ არ ინდომა? შენ უნდა გცოდნოდა მამის ხასიათი. ურმისოდ ვერა სძლებდა, მაგრამ არ დაბრუნდა. მერე რა, ქალაქში რომ მიაკითხე და არ მიგიღო? „ცეროდენამ უარი თქვა ჩემს [illegible] და ეხლა ჰგონია, მაგის სამოწყალოდ გამიხდა საქმეო“. სიკვდილის პირს რომ დაგიბარა? ისიც ხასიათის გამო იყო — დაგიბარა და შუბლი კი არ გაგიხსნა. ხმა აღარ ჰქონდა, ჩურჩულით გითხრა, „მოხვედი, გონჯაურა?“ ისე გითხრა, რომ შენ მაშინღა მიუხვდი მის სიყვარულს. ლევანი და მარინეც იქ იყვნენ, მაგრამ მარტო შენ გიყურებდა, შენ უნდოდი. და შენ ცუდი შვილი იყავი, გვიან მიუხვდი... მაგრამ არც შენა ხარ ჩემთან მართალი, მამაჩემო. სანამ ცოცხალი მეგულებოდი, შენი პირველად ნათქვამი, დამცინავი, „გონჯაურა“ მტანჯავდა. აღარ იყავი და, სიკვდილისპირს სიმწრით თქმული „გონჯაურა“ დამრჩა შენგან სახსოვრად. ძალიან დავისაჯე. მთელი სიცოცხლე მაკლდი. სულიმწარედ მინდოდა შენს შვილებში მაინც მეპოვნა შენი ნასახი, მაგრამ არც ძმას ვუნდოდი, არც დას. არ ვიცი, რატომ არ ვუნდოდი... ეხლა კი ლევანი ჩამოსულა, არც მინდა ვიცოდე, აქამდე რატომ არ ვუნდოდი. დ... ლოცოს აქ მოსვლისათვის. ჩანს, სიხარულსაც სცოდნია გულის ატკიება. მაგრამ ეხლა ტკივილის დროა?...

ალექსი სახლისაკენ გაეშურა.

— ლევან! — შესძახა კარიდანვე.

ბუხართან მდგომ ახალგაზრდას სახეზე ალმა აჰკრა. უხერხულად დაიწია უკან, ზურგით ბუხართან დადგა და დამცინავი პრანჭვა-გრეხით უთხრა:

— ბოდიში მომიხდია ამ თქვენ სასახლეში შემოჭრისათვის!

ძმისკენ გაწეული ხელები დაუცვივდა ალექსის. ოთახი შეათვალიერა. მაგიდაზე ხელუხლებლად დარჩენილიყო ვახშამი. მხოლოდ ღვინის ბოთლი იდგა ცარიელი. ლიზა თაროს ქვეშ მეკუჭულიყო და ჭრელი ყელსახვევი აეფარებინა სახეზე. სანდრო უმოძრაოდ იჯდა ტახტზე და შეშფოთებული შეჰყურებდა ხან მამას, ხან ბიძას.

ალექსიმ ისევ ძმას შეხედა. ლევანს წელანდელი სიწითლე გადასწმენდოდა და მის შეშუპებულ სახეს ახლა მკვეთ-

რი სიყვითლე დაჰკრავდა. ყველაფერი არაბუნებრივი იყო მასში. არაბუნებრივად მოხრილიყო წელში, არაბუნებრივი იყო მისი დამცინავი ღიმილიც, კილოც, და მხოლოდ თვალები... ალექსის არასდროს არ ენახა ისეთი თვალები. შიგ ტბასავით დაგუბებული სევდა ისე ლაპლაპებდა, თითქოს ველარ იტევს და ეს-ესაა გადმოიღვრებაო.

ალექსი მძიმედ დაეშვა სკამზე.

— გაკვეთილები მოამზადე? — ჩუმად ჰკითხა ბიჭს.

— ხვალ ხო კვირაა..

— წადი დაწექი, გვიან არის.

— ძია ლევანი? ძია ლევანი სად დაწვება? — ჩიტივით შეფრთხიალდა სანდრო, ბუხართან მიირბინა, ორივე ხელით ლევანს ხელები დაუჭირა და ხვეწნით ჰკითხა: — დილაზე რომ გავიღვიძებ, ხო დამხვდები?

— არ ვიცი... — დაიბნია ბავშვის კითხვამ ლევანი და უცებ არაბუნებრივი არ დარჩა მასში არაფერი. — არ ვიცი, სანდრო, შენ დაიძინე, — უთხრა დაბნეულადვე და გაუღიმა. თვალები კი ისევ ისეთი ჰქონდა, თითქოს ვერც ღიმილი, ვერც სიხარული ვერ დასძლევდა შიგ დაგუბებულ სევდას.

— ლიზა, შენ გახარებას, მიხედე ბიჭს, — სთხოვა ალექსიმ ქალს და თავი მაგიდაზე დაყრდნობილ ხელებს დაანდო.

სანდრო და ლიზა უსიტყვოდ გავიდნენ პატარა ოთახში. ლიზამ კარი მიიხურა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს იმ კარის არც აქეთ და არც იქით არავინ იყო. მერე ალექსიმ დაარღვია სიჩუმე.

— დაჯექი, ლევან, სათქმელი არაფერი გაქვს?

— არა.

— რად მიჯავრდები?

— გიჯავრდები? — გაბმით ჩაიკითხა ლევანმა და ისევ არაბუნებრივად დაეპრანჭა სახე. — სულაც არა. აქეთობას ვჯავრობდი, მერე კი გადამიარა. ვხედავ, კაცი თავის თავისთვისაც არ ვარგებულა, სხვას რა იმედი უნდა ჰქონდეს მისი.

— შენ სიტყვასიტყვით იმეორებ ზოგიერთების აზრს ჩემზე. [illegible] ვიცი, რაც აწუხებთ, მაგრამ შენ? [illegible] უნდა გამემართლებინა?

ლევანმა კითხვაზე არ უპასუხა, თავისი განაგრძო:

— თავმჯდომარედ შენ არ ვარგებულხარ, გემდურის რაიონის ხელმძღვანელობა. რა მეოჯახეც ხარ, თითონ ვხედავ ,თუმცა რა ვიცი, ეგებ ცოლ-შვილი ამ ქოხში იმისთვის დაგიმწყვდევია, ნათესავებმა არ შემაწუხონო.

— წესიერ სახლში უკეთ მოგასვენებდი, მაგრამ ამ ქოხშიც უთენებიათ კეთილ ადამიანებს, განა ეგ არი მთავარი?

— სასახლე რომ დამხვედროდა, არც შემოვიდოდი!

— გულს რად ივებ, ბიჭო, რა დაგიშავე?

— დამიშავე, დიახ, შენცა და შენისთანა „გმირებმაც"!

ლევანმა დაცლილი ბოთლიდან ორიოდე წვეთი ღვინო ჩამოწურა და ტუჩები გაისველა. მერე ისევ ბუხართან დადგა ,ხელები ცერებით დაიკიდა ქამარზე და ღვარძლიანად დაილაპარაკა:

— ჯერ იმაზე მქონდა სიცოცხლე გამწარებული, შავსიელის შვილი ხარო, სხვაზე კარგადაც ვსწავლობდი, კარგადაც ვმუშაობდი, მაგრამ თუ ჩემთვის სიკეთე გამოჩნდებოდა სადმე, მაშინვე ვინმე გამომიხტებოდა, შავსიელიაო. ბოლოს დაადგინეს, რომ არც შავსიელი ვიყავი, არც თეთრსიელი, და ჯარშიც გამიწვიეს. ის იყო ომიც დაიწყო...

ლევანი სიტყვებს ჩქარ-ჩქარა ისროდა, თითქოს ეშინოდა, ლაპარაკი არ ამიკრძალონო. ხმაში ღვარძლი ერია, აუტანლად სევდიანი თვალები კი მოუნაცვლებლად ჰქონდა ერთ წერტილს მიპყრობილი.

— დათვივით მივამტვრევდი. ვიძახდი, ამის პატრონიც არ იყოს, ან გავიმარჯვებთ და ყველანი გავთანასწორდებით, ან ჩამაძაღლებენ და ამ ჯახირს დავეღწევი-მეთქი...

— რომელ ნაწილში იყავი?

— მესანგრეთა ბატალიონში. წინ-წინ ჩვენ მივძვრებოდით. მაქებდნენ. მაჯი-

ლოდებოდნენ. მაგრამ უბედურება რა იქნებოდა, ამორჩეულ ადამიანს ლხინი თუ არ გაეცალა?! ერთი ხელისგულისოდენა მინდორს ვნაღმავდით. ზედ სევასტოპოლთან იყო, და მინდვრიან-ნაღმებიანად აგვაფეთქეს რჯულძაღლებმა. რაღა გონს მოსასვლელი ვიყავი, ტყვეობაში მოვედი გონს... აქეთ-იქით გვათრიეს, გვათრიეს, და ბოლოს ბუხენვალდში ჩაგვყარეს...

განთავისუფლებული „სიკვდილის ბანაკებში" ნახული სურათების მოგონებამ შეზარა ალექსი. „ის საწამებელი აუტანია და მერე რაღამ გააშწარა ასე, რამ?" გაიფიქრა მწველი თანაგრძნობით.

— ბევრჯერ ვკვდებოდი, მაგრამ ამხანაგები მიბრუნებდნენ სიცოცხლეს.. — განაგრძობდა ლევანი, — ბოლოს ჩვენებმა გვიხსნეს. განა მატარებლით, ფრთებით მოვქროდი სამშობლოსაკენ, თურმე რა გაჩქარებს, შე ოხერო? თუ იცოდით, რომ ტყვეობაში ნამყოფს შინ არ მიესვლებოდა, იქვე რატომ არ ჩაგვაძაღლეთ, ჰა? გმირებო! თავი ისახელეთ, ხალხი ტყვეობიდან ვიხსენითო! თქვენ თავი ისახელეთ, და ჩვენ? მე? სიკვდილამდე დაბადების დღე უნდა ვიწყევლო?

— რას ამბობ, ლევან, რა სისულელეს ამბობ. გესმის? ტყვედნამყოფი აქაც არიან, არავინ რას ერჩით, დანარჩენებივით ცხოვრობენ და მუშაობენ. თენგიზი, შენი ბავშობის მეგობარი, თენგო ლალიაშვილიც ტყვედ იყო და აბა ინახულე, ერთი საუკეთესო ბრიგადირია.

— მე მარინესთან მეჩქარებოდა, გავბედნიერებ ჩემს დას, ცოცხალს დამინახავს-მეთქი... — ლევანი ჩაჩუმდა, ეტყობოდა, ყველაზე მეტად ამის გახსენება და თქმა უმძიმდა. ზათრანისფერი დაედო.

— რაო? — დაჟინებით ჩაეკითხა ალექსი. უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა.

— ჩემმა სიძემ... ტყვეობაში ნამყოფს, ჩემს ოჯახში ვერ მივიღებო და გირჩევ ნურც სხვაგან გამხელ, ტყვედ რომ იყავიო...

ალექსიმ სკამი მიიტანა ბუხართან. ძმას მხრებზე ხელები [illegible] დასვა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ კარი შეგშლია,აქ არ მისულხარ. სადაც უნდა მისულიყავი.

— შენ გგონია მარინეს ქმარმა მარტო თავისი სახლიდან დამითხოვა? ის ხომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკია, „ნომენკლატურული?!" იმის რჩევის მერე ვისღა გავკარებოდი? რისთვის გავკარებოდი? „რჩევა-დარიგების" მისაღებად?

— შენ მამისა არც ჰკუა დაგყოლია, არც ნების სიმტკიცე. ის სიძეკაცი უეზროდ, უმიზეზოდ გაფრთხილებია თავის „ნომენკლატურას", ალბათ, იმიტომ რომ, მაგის იქით არაფერი გააჩნია. და შენ კი, შენ? რეგვენმა სიტყვამ ეგრე უნდა გაგაბოროტოს? მერე რა ჰქენი, სადღა წახვედი?

— ყარაიაში დავდექი მავ მუშად. კარგი ბიჭები იყვნენ, დღესაც იმათთან ვიქნებოდი. მაგრამ ბრიგადირი უნამუსოდ ითვისებდა ჩვენ ნამუშევარს და ვერ მოვითმინე. ერთი წვრილშვილი მუშა გვყავდა. იმის გულისთვის ვეჩხუბე და იცი, რა მითხრა? „შენ რა გელაპარაკება, ჯაშუში რომ არა ყოფილიყავი, ფაშისტები ტყვეობიდან ცოცხალს არ გამოგიშვებდნენო". გესმის? ქურდმა, ნაძირალამ მითხრა... კინაღამ შემომაკვდა, ძლივს გამაგდებინეს ხელიდან. ციხესაც ამაცდინეს, მატარებელში ჩამსვეს, წადიო. ჰოდა, მაშინ ვიფიქრე, მოდი ერთხელაც შევხედავ იმ მხარეს, სადაც „საამური ცხოვრებისათვის" დავიბადე და მერე რაც იქნება იქნებამეთქი...

— რამდენი არამზადა დადის ქვეყანაზე, იმათ კერძად გახდომა რა ბედენაა?

— იმ არამზადას ნებადართული აქვს ისე მოიქცეს, დიახ! ომი არ უგემია, მაგრამ იცის, ნაბრძანები იყო მტერს ცოცხალი არ დანებდეთო.

— ძალიან გაგბოროტებია გული, ლევან, ომის დასაწყისი არ გახსოვს? ფაშისტური არმიის უძლეველობა მთელ მსოფლიოს სჯეროდა, რა იქნე-

ბოლოს, ეს ჩვენ ჯარისკაცებიც რომ დაუჯერებიხა? რაც უნდა გმირი იყოს, ადამიანი ადამიანია. ეგებ გადაჭრებაც ვერ მოასწროს, ისე დაყაროს იარაღი „უძლეველი" მტრის წინაშე...

— მე ეგეთი ჯარისკაცი არ შემხვედრია! მე რომ მე ვიყავი, ჩემ ქვეყანაში ხმა და უფლებაწართმეული, ასი სიცოცხლე რომ მქონოდა, ასივეს ჩვენ გამარჯვებას შევალევდი. არ ენდობოდნენ თავის ხალხს?

— განა არ იცი, ტყვეობაში ზოგი ვერ უძლებდა ტანჯვა-წამებას და მტრის დავალებით ბრუნდებოდა?

— მერედა, შეიძლება თითო ლაჩრისა და მოღალატის გულისათვის ათასი ერთგული გასწირო? საქმეც ეგ არის, თურმე შეიძლება...

— ნუთუ შენმა ტანჯვამ მთლად დაგივსო თვალები? ნუთუ მთელ სიცოცხლეში მხოლოდ შენი გაჭირვება დაინახე? სხვაც არა იყოს რა, შენ ჯავრი გიყრია, ის ერთი ქურდი და ნაძირალა მაინც დაგინჯია, მე... მე ეგეც ვერ მოვახერხე...

ახლა ლევანი დააკვირდა ძმას და დამცინავმა ღიმილმა უარესად დაუპრანჭა სახე.

— ვერც მოახერხებ.

— ეგრე უმწეო გგონივარ? — ჩუმად ჰკითხა ალექსიმ.

— არა, იმიტომ რომ, თქვენ აზრადაც არ მოგივათ არამზადის დასჯა! თქვენ ყველანი ერთმანეთთან შეთქმულებივით, დაყრუებას, დაბრმავებას, დამუნჯებას ირჩევთ. რაც თავი მახსოვს, სულ ეგრეა. მე ალბათ ჩემმა ტანჯვაწვალებამ ამიხილა თვალები და ენაც ამილაპარაკა. მე უცებვე დავინახე დარიანში ის, რაც შენ არ გინდა დაინახო. მახსოვს... ბავშვობაში მამა ლოყაზე ხელს რომ მომითათუნებდა, მეგონა, ფოცხი გადამატარეს-მეთქი, მუშაობისაგან ისე ჰქონდა ხელი დაკორძებული. თუ მამაჩემს თავისი შრომისმოყვარეობის გარდა, ქვეყანასთან სხვა ბრალიც მიუძღოდა, მე ერთიათასად მოვიხადე სასჯელი. არა? შენზე ამბობენ, მართა-

ლი კაციით. თქვი, [illegible] მიჩვეული?

— მაგაზე ნულარ [illegible] ბორიოტებ, ლევან, იქნებ [illegible] ალალი კაცი იყო, აკი უთხრეს, დაბრუნდიო...

— აა, უთხრეს! ჯერ გეგმა შეასრულეს! კოლექტივიზაცია ჩავატარეთ და რაც გვევალა, იმაზე მეტი განვაკულაკეთო! მერე თქვეს: უკაცრავად, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისაგან თავბრუდაგვეხვია და ცოტა შეგვეშალა. შეგიძლიათ დაბრუნდეთო. მამაჩემი ძალიან სწორედ მოიქცა, რომ არ დაბრუნდა, ყველას გული სპილენძისა ხო არ არის, მოიკალოს და ისევ აპრიალდეს?!

— რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია, რაც იყო, წყალმა წაიღო.

— და ხალხმა იმ წყალს გააყოლა თავისი სიტყვა, სიმართლე, ვაჟკაცობა?

— ახალი საქმე იყო, უცნობი, უჩვეული. ხალხი ერთბაშად ვერ გაერკვია, ნუ დაადანაშაულებ, ნუ ემდური, ნუ...

— ის ხალხი, შენ რომ გინდა ეგაგ შენი ტკივილით დაიცვა ჩემგან, მე შენზე მეტად მყვარებია, მე არ ვაკადრებ „ვერ გაერკვიაო". ეგ ტყუილია. მაშინ თუ ვერ გაერკვია, მერე? როცა ერთ ძმას მტრად და მოღალატედ აცხადებდნენ და მეორეს ტაში უნდა დაეკრა, მაშინაც ვერ ერკვეოდნენ:

— რაღ გინდა, ბიჭო, რისთვის ინახავ გულში მაგ ბალღამს? — თხოვნით უთხრა ალექსიმ.

— სულაც არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, დასავიწყებელი წამალი ვერ ვიპოვნე.

— ცუდად გიძებნია, აი, აქ იცხოვრებ, ხალხში იცხოვრებ და...

— ჰოოო, — დაცინვით გააწყვეტინა ლევანმა, — ეგებ მართლაც იოლი იყოს შეთქმულად ბრმა-ყრუ ხალხში ყოფნა, მე დარიანშივე გავმხიარულდი!

— დარიანში რას უნდა გაემხიარულებინე?

— მაშ სასაცილო არ არის? რაც მამაჩემისთანა ორმოც გლეხს ერთად ალებულს გაჩნდა, ის ერთ თქვენ გულვარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღიშვილს წვრილმან სახარჯოდ, კბილის ქირილ არ ესმოდა!

— მაგას მაინც მიმხვდარიხარ, მაგრამ ეგ სასიკეთოა?

— ძალიან! ეს თურმე ყველასა სცოდნია და ძველი ამბავი სწორედ ამან გამახსენა. ეხლაც „ვერ ერკვევა" ხალხი და იმიტომ არი გაჩუმებული?

— იქნებ არ არიან გაჩუმებული... — მოგვიანებით თქვა ალექსიმ.

— ოო, ვითომ ბედავთ ხმის ამოღებას? ტყუილია. შენც იცი, ეგ თავის მოტყუებაა. შენ გიყვარს ხალხი და საკუთარ თავსაც არ გინდა გაუმხილო მათი გაჩუმების ნამდვილი მიზეზი. მეც მიყვარს ჩემი ხალხი და იმიტომ მინდა ვთქვა მიზეზი: „ვერ გაერკვია" კი არა, მაშინაც და ეხლაც შიში ჰკრავს ადამიანს!

ალექსის უცებ ნაცრისფერი დაედო. ცხრა მისის ღილის ნიკო ხელაშვილთან საუბარი მოაგონდა. პირი, ხახა ამოუშრა, როგორც მაშინ, გამშრალი ენა ძლივს მოატრიალა:

— დავუშვათ, არ ეშინია, რა უნდა ქნას ადამიანმა, რა? — ჰკითხა და წამოდგა, წყალს წაეტანა, მაგრამ კოკურას ხელი უშვა და შემკრთალი შემოტრიალდა.

ლევანი იცინოდა. ტუჩებზე ხელები აეფარებინა და უცნაურად იცინოდა. მხოლოდ ხმით იცინოდა და სახის კუნთები აწყობილიყვნენ სიცილად, თვალებში კი ისევ სევდა ულივლივებდა.

— ალექსი! — დაიძახეს გარედან.

ალექსის კარისკენ არც გაუხედია, ძმასთან მივიდა, ხელები აართვა ტუჩებიდან და ლონივრად დაუწია ძირს.

— რა იყო, რა გემართება? რამ გადაგრია?

— სიხარულმა! ჩემი ბედი, გაჩუმებული რომ ხარ. თორემ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძმა არ მეყოლებოდა, ვისლა შევეკედლებოდი?

— დამშვიდდი! — აუწია ხმას ალექსიმ.

— არ გესმის, რა ბედნიერებაა, გაჩუმებული რომ ხართ? ღმერთმა ნუ ქნას, ხმა ამოიღოთ. მაშინ ხომ მიზეზი ექნებათ. მთლად, ერთი ხელის მოსმით მთელი ქართველობა აყარ[illegible]ვილოდნენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალექსი! — კართან მოდგა ძახილი და ხმაური. — ჰეი, მეჯვარევ, სად დაგვეკარგე? მართალია, ლევანი ჩამოვიდაო?

— შენ ავადა ხარ, ლევან, — კინალამ მაჯები დაულეწა ალექსიმ ძმას. — დაისვენებ, დამშვიდდები, ადამიანებში მოტრიალდები და ნახავ, როგორა სცდები! — უთხრა და ხელი უშვა, კარისკენ წავიდა.

ოთახში ხმაურით შემოლაგდნენ ვაჟას გამოგზავნილები, შეძახილებით შემოეხვივნენ ლევანს, ყველაზე წინ მას თენგო ლალიაშვილი მივარდა.

— მოგაგონდით, შე სახეძაღლო? მოგაგონდით, შე გაგარეულებულო?! დაგვიწყდით, შე უჯიგრო? — გადაეხვია აცრემლებული.

— რაებს იძახი, კაცო, იმისი და იმისხევი დავიწყდებოდა? — გულაჩუყებული ეხვეოდნენ ლევანს სხვებიც, ზოგნი კი ალექსის ულოცავდნენ ძმის ჩამოსვლას.

მოსულებს კითხვები და შეძახილები ალარ ელეოდათ და ბოლოს ერთმა ხანდაზმულმა ნატამრელმა იყვირა:

— ხალხო, ნეფე-დედოფალი ხო არ დაგავიწყდათ, ჰაა? აბა, მეჯვარევ, გაგვიძეხი, წავიდეთ, დანარჩენი სათქმელი იქა ვთქვათ!

ლევანი უარზე იყო, ქორწილში წასვლის არც თავი ჰქონდა, არც სურვილი. იყო გაწევ-გამოწევა, დავა, კამათი. თენგო ეჩხუბებოდა, სხვები ეხვეწებოდნენ და ვერ ითანხმებდნენ.

ამ აურზაურში ხატულა შემოიჭრა ოთახში.

— მართალი ყოფილა! — დაიძახა, ხალხი მისწიმოსწია და ბუხართან მიიჭრინა, ლევანს ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე გადაეხვია და აკოცა, მერე ოდნავ უკან დაიხია და ბეჯითად შეათვალიერა.

— დაღლილი ჩანხარ, ეტყობა, შორი გზა გქონია... — თქვა თითქოს თავისთვის და ისევ მოუახლოვდა, მხრებზე

ხელი მოხვია: — ძალიან დაღლილი ხარ? — ჰკითხა მოფერებით.

— ძალიან... ხატო... — თავისით მიაგნო ლევანმა ძმისცოლის შინაურულად შემოკლებულ სახელს.

— სულერთია, მაინც არ დაგაყენებენ, ნეფე თითონ მორბოდა, მე დავპირდი, თუ მართლა ჩამოსულა, მოვიყვან-მეთქი. ალექსი, ასეთი რამ გაგონილა? ღამის ატირდეს დედოფალი, მეჯვარე დაგვეკარგათ. აბა, წავედით!

— მეთაყრობდა სიხარულისაგან აღელვებული ხატული.

თენგომ ახლა კი ულაპარაკოდ გამოსდო ლევანს მკლავი და გაიყვანა. დანარჩენებიც გალაგდნენ ოთახიდან.

— არა გძინავს? — გაუკვირდა სანდროსთან შესულ ხატულას.

— ეხლა დავიძინებ, ძია ლევანის დარდი აღარა მაქვს.

— ერთი ამ მაიმუნს უყურეთ! ძია ლევანს შენი სადარდებელი რა სჭირს?

— შენ არაფერი არ იცი, მე კი ყველაფერი მესმოდა!

— არამკითხე მოამბე ნუ ხარ, ეხლავე დაიძინე!

— ჯერ პირობა მომე, რომ ძია ლევანს იქ მოიყვან. რას იცინი? ლიზას უნდა რო თავის სახლში წაიყვანოს, და რათ უნდა წაიყვანოს? ლიზას პაპა ნასყიდა ჰყავს და ეყოფა, ჩემი ძია მე თითონა მჭირდება!

— რა ენა ენაზე გამოიბი, შე ეშმაკის ფეხო, დაიძინე!

— პირობა მომე და მაშინვე დავიძინებ, თუნდა ჩემ საწოლს მივცემ და მე ტახტზე დავწვები.

— ძია ლევანი ამ შენ საწოლში ჩაეკარგება და ველარ მოვძებნით! არხეინად იყავი, ლამაზად დავაძინებთ, ლამე მშვიდობისა!

ხატულამ თავის თავს გაუღიმა სარკეში და სანდროს ოთახიდან გამოვიდა.

— იმოდენა სახლი მიგდია ცარიელი... — ეუბნებოდა ლიზიკო ალექსის და უმოწყალოდ ჭმუჭნიდა თავის ჭრელ ყელსახვევს.

— პაპა ნასყიდა რა იქნა? — გაუკვირდა ალექსის.

— ჩივილით ამიკლო, ამ გამოყრუებულ სახლში ველარა ვძლებო, თალიკოსთან გამექცა, ბაღლებს, [illegible] დავაყოლებო... თქვენ კი ეგრე [illegible] ხართ, თქვენი ძმა იფიქრებს, იგრევ ქალაქში წავალო და ცოდოა, იქ ვინ მოუვლის, მარტოხელაა, ავადმყოფი... მე სახლი ცარიელი მიგდია, ისხოვროს, თანაც მივხედავ, ვინც რა უნდა თქვას. მოვუვლი, მოვამჯობინებ... პაპაც გაიხარებს...

— ესეც თქვენი „შინაბერა!“ — გადაიხარხარა ხატულამ.

ალექსისაც ეცინებოდა, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობდა, ხმას ვერ იღებდა. ისევ ხატულამ იხსნა, ლიზა მაგრად ჩაკოცნა და უთხრა:

— ამაღამ ლევანი ნატაძრელების სტუმარია და ხვალ ვნახოთ!

ალექსიმ შვებით ამოისუნთქა, თავისი დაბამბული ჯუბაჩა ცოლს მხრებზე მიახურა და ორივენი გაეკიდნენ წასულებს.

## თავი მეოთხე

ალექსი მიზეზს არ ილევდა, რაიონულ თათბირებს რომ არ დასწრებოდა. დარიანში დამკვიდრებული მაამებლობა და ფარისევლობა, ტყუილისა და ბაქიობის კორიანტელში სავალალო სინამდვილის მიჩქმალვა, რაიონის პარტიული ხელმძღვანელის ულაზათო ადმინისტრირება და მისი შინაკაცების თავგასულობა სავსებით გამორიცხავდა საქმიანი ლაპარაკის, პრინციპული კამათის საშუალებას, და საქმის ჭეშმარიტად გულშემატკივარნი ალექსისავით ერიდებოდნენ გულვარდიშვილის უნიათო, არაფრისმაქნის თათბირებს.

მაგრამ იმ დღეს ალექსი საგანგებოდ დაიბარეს დარიანში.

„ახლა რა შარს მომდებს ჩვენი „გულის ვარდი?“ კეთერა დავძლიეთ, პირველი კვალი გავიტანეთ, პური დაითესა. მიჰყვეს და დანარჩენი ფართობი სხვა მეურნეობებს დაუნაწილოს, მეტი რა უნდა? რეალური საფუძველი ექნება



ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ტრაბახს". — შიგადაშიგ ეცინებოდა კიდეც თათბირზე მიმავალ ალექსის.

გულვარდიშვილი იმ დღეს არც აპირებდა კეჟერაზე ლაპარაკს. ის დარწმუნებული იყო, რომ ორი კოლმეურნეობა თავს ვერ გაართმევდა საკუთარი ინიციატივით წამოწყებულ საქმეს, მაგრამ რაკი გაართვეს — კარგია! კეჟერას მაშინ აახმაურებს, როცა უფროსებს რაიონის მიღწევებზე უპატაკებს. კეჟერას ათვისებას მაშინ კი ჩასთვლის რაიონის ხელმძღვანელობის დიდ მონაპოვრად...

მდივანი აუჩქარებლად უახლოვდებოდა თავის მოხსენების დასასრულს:

— ჩვენმა რაიონმა ღირსეულად უნდა შეასრულოს ლენინ-სტალინის პარტიის ეს ისტორიული გადაწყვეტილება, ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით, რათა მალე მივიყვანოთ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო კომუნიზმის დიდ კარიბჭესთან, ჩვენი მამა და მასწავლებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ყველა დროის გენიოსთა უდიდესი გენიოსის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის წინამძღოლობით!..

ტაში ეცოტავა. უკვე გაღიზიანებულმა მოსვა წყალი და ხმა დაიმკაცრა:

— მაგრამ ეს დიდი ამოცანა ჯერაც არა აქვს შეგნებული ზოგიერთ ჩვენ ამხანაგს. ზოგს ჰგონია, რომ კეჟერა აღმოაჩინეს! კეჟერა საუკუნეებით იდო თავის ადგილზე და არავითარ აღმოჩენას არ საჭიროებდა. ეს ჩვენ რეზერვში გვქონდა. ჯერჯერობით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა ტექნიკის, საწვავის, მუშახელის დაბანდება ყამირის გატეხაზე, მაგრამ რაკი ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა მოიწადინეს, ჩვენც აღარ ვეწინააღმდეგეთ, ნებაც მივეცით და ხელიც შევუწყეთ ახალი ნაკვეთების ათვისებაში. ძირითადში კი ჩვენ განზრახული გვქონდა კეჟერას მოშველიება მაშინ, როცა მთლიანად გამოვიყენებდით კულტურულად დამუშავებულ მიწებს. ამრიგად, ჩვენს გეგმებში მცირე [illegible]ცვლება მოხდა დროის [illegible]ეორებ — დროის მიხ[illegible]ადაც არ ნიშნავს, რომ აქამდე კეჟერას მივწვდით. კულტურული მიწები შეიძლება სხვადასხვა სურვილის მიხედვით იყოს გამოყენებული. არა, ასეთი თვითნებობის უფლებას პარტია არავის აძლევს! იქნება ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, „მე ვარ და ჩემი მეურნეობა, მიწაც ჩემია და როგორც მომესურვილება, ისე გამოვიყენებო". ნურას უკაცრავად! ჩვენ ერთსულოვნად უნდა დავირაზმოთ ამ ისტორიული ამოცანის გადასაჭრელად. ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება, ყველგან პური დავთესოთ. იქაც, სადაც ფართობი სხვა კულტურებსა აქვს დაკავებული, იქაც პური უნდა იყოს!

— არ იქნება! — შეარხია ალექსის ხმამ დარდიანად მიყუჩებული დარბაზი.

— არ, გესმით? ეს ერთი იმათთაგანის ხმაა, ვინც შეეცდება შეაფერხოს ჩვენი მშობლიური პარტიის დავალების შესრულება!

ამგვარი მკრეხელობით აღშფოთებულმა მაამებლებმა ბორჯომის წყალი მოიშველიეს. ორატორმა დარბაზი შეათვალიერა, იგრძნო — დიდი უმრავლესობა არ იზიარებდა მის გულისწყრომას და უფრო მეტად გაღიზიანებულმა განაგრძო:

— დიდი დარაზმულობა, დიდი ბრძოლა და თავდადება დაგვჭირდება, მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდება ამ სანუკვარი მიზნის შესრულებისას. ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ, მათ ყველაზე მეტი ესმით და პატრიოტული საქმისათვის ბრძოლა მარტო მათ ეხერხებათ. ეს იდეურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობის შედეგი გახლავთ. დიახ, მათ არ იციან, რომ არ არსებობს ისეთი სიძნელე, რომელსაც ბოლშევიკები ვერ დასძლევენ! ავიწყდებათ, რომ ჩვენი პარტიის გზა — მუდამ ძლევამოსილი გამარჯვების გზაა. აი, ამხანაგ რჩეულიშვილს კი თავი ისე უჭირავს, თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქის ბრძოლა მარტო მაგან იცის. ომი მარტო მაგან მოიგო. და სხვები გულხელდაკრეფილი ისხდნენ, ჯერ ეგეც საკითხავია, თითონ როგორ იბრძოდა!

ალექსის უჩვეულოდ გაუჭირდა თავის შეკავება. დარბაზში ყრუდ ახმაურდა. ვაჟა კვერენჯაძე ადგილიდან წამოიჭრა, მაგრამ ნიკო ხელაშვილის მკაცრ გამოხედვას დაემორჩილა, ვითომ სწყუროდა, წყალი დალია და ხმაამოუღებლად დაჯდა.

— ამხანაგებო! — გაულიმა დარბაზს გულვარდიშვილმა. — მე ვიცოდი, რომ ფრონტზე ნამყოფ კაცზე ძვირის თქმა თქვენს კეთილშობილურ რეაქციას გამოიწვევდა. მეტსაც გეტყვით, მე მახარებს ეგ თქვენი კეთილშობილება, მაგრამ... მაგრამ ბოლშევიკური პრინციპულობა გვაიძულებს ვიყოთ მართალნი და მწარე სათქმელს არ დავერიდოთ. თქვენ მშვენივრად იცით, როგორ გულისხმიერებით ვეპყრობით ჩვენ ფრონტზე ნამყოფ ადამიანებს, ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს, როგორ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ, დავაწინაუროთ ისინი ყოველ უბანზე. აიღეთ თუნდაც ვაჟა კვერენჯაძე. ჩვენ რისკზეც კი წავედით, როცა ეს ახალგაზრდა კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დავაწინაურეთ. დიდი რისკი იყო, რომ გაბო ნაცვლიშვილის უხეირობით ჩავარდნილი მეურნეობის ფეხზე დაყენება ვანდეთ. მაგრამ არ შევცდით. რისკი გაგვიმართლდა. მარქსისტული იდეებით გამსჭვალული ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ მხარში ედგა თავის საყვარელ პარტიას და კვლავაც გაამართლებს ჩვენს ნდობასა და იმედებს! და თუ ჩვენ უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს ზოგიერთი ამხანაგის საქმიანობაში ეჭვი შევიტანოთ — ამის საბაბი და საფუძველიც გვაქვს!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გარედან ფანჯრის მინას ლამურა შეეხეთქა და ვიღაცამ ნერვიულად, ხმამაღლა შეუკურთხა.

ალექსი თითქოს მშვიდად იჯდა, მხოლოდ ტუჩები თანდათან ისე მაგრად ეკვროდა, რომ ჩანდა, უჭირდა ყელთან მობჯენილი გრძნობების შეკავება.

მცირე პაუზის შემდეგ გულვარდიშვილმა თითი საფეთქელთან მიიტანა და აუჩქარებლად განაგრძო:

— ამხანაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ირმისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუდამ კრიჭაში ედგა რაიონის ხელმძღვანელობას, ყოველი საკითხის გადაწყვეტისას მეტისმეტ უდისციპლინობას და თავგუნებობას იჩენდა, ჩვენ მაინც ვაფასებდით მას საქმიანად კარგი მუშაობისათვის და მის აუტანელ თვითნებობას არა ვხდიდით ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად. მით უმეტეს, ფრონტიდან დაბრუნებულს ვხათრობდით, პატივს ვცემდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ ფრონტი, ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნა მას ბევრ საძრახის თვისებებს მოაშლევინებდა და ამის გამო უყოყმანოდ დავაბრუნეთ იმამდელ პოსტზე...

— ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი თავმჯდომარე! — დაიძახეს დარბაზიდან.

— დიახ, ჩვენ ანგარიში გავუწიეთ ირმისელების თხოვნას, და რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც მოგახსენებთ, რომ ანგარიში გავუწიეთ აგრეთვე პატივცემულ რამაზ ონისიმოვიჩ მელითაურის რეკომენდაციას...

დარბაზში მყოფნი შეაძრწუნა ქარაგმულად თქმულის სისაძაგლემ და იმ დაძაბულ წამებში ყველამ ერთი კაცივით იგრძნო, რომ აღშფოთების სულ უმნიშვნელო გამოხატვაც მნიშვნელობას მისცემდა თქმულს, და აამებდა მთქმელს. ისინი ნირშეუცვლელად უსმენდნენ მდივანს და ვერავითარი მისი ულაზათო სიტყვა ვერ გააკვირვებდა მათ.

„მადლობა ღმერთს, მელითაური აქ არ არის", — შვებით გაივლო გულში ორატორმა, მჭიდროდ ნაწერი ფურცელი ასწია მაღლა და ვითომც ეძნელებოდა თქმა, მაგრამ იძულებული იყო ეთქვა:

— რჩეულიშვილს კი თურმე იქაც გამოუჩენია უდისციპლინობა და ჯარ-

შიც ჩვენსავით ხომ არ მოუთმენდნენ?!

ვერავინ, ვერც თვითონ ორატორი ვერ დაადასტურებდა, რომ ალექსიმ გაიგონა წელანდელი ქარაგმული. ის გაუნძრევლად იჯდა და შესცქეროდა ქაღალდს, რომელზეც წითელი ფანქრით გახაზული ზოლები მოჩანდა.

— თურმე ერთ-ერთი საბრძოლო ეპიზოდის შემდეგ, — განაგრძო მდივანმა, — რჩეულიშვილი უმაღლეს ჯილდოზე წარუდგენიათ, მაგრამ რჩეულიშვილის ალმაშფოთებელ უდისციპლინობას კონტრდაზვერვის მაიორის პროტესტი გამოუწვევია და მის დროულ ჩარევას ამ საქმეში მოსალოდნელი შეცდომისაგან უხსნია მეთაურები.

„ოლეგ, გესმის, ოლეგ? გესმის, რა ხდება?“ — გასძახა გულში მეგობარს გაუნძრევლად მჯდომმა ალექსიმ.

დარბაზი სდუმდა. ისე სდუმდა, რომ ზომიერების გრძნობას მთლად მოკლებული ორატორიც კი მიხვდა, გადავაჭარბეო, და აჩქარებით განაგრძო:

— მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენი დღევანდელი თათბირის დღის წესრიგში რჩეულიშვილის ასავალ-დასავლის ძიება არ შედის, ეს ისე, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ მოგახსენეთ, რომ თქვენც იცოდეთ, რას წარმოადგენს სინამდვილეში ზოგიერთი ადამიანი, და როგორ გვახრჩობს თავისი, ვითომდა დიდი დამსახურებით!

— ბოდვაა ეგ ყველაფერი! — ხმამაღლა მოკვეთა ალექსიმ.

— ამხანაგო რჩეულიშვილო, სადა გგონიათ თქვენი თავი? — მკაცრად შუბლშეკრული წამოხტა კრების თავმჯდომარე ჯიბო ჭიმიაშვილი.

— ჰოდა, რეებსა ჰკადრებთ ამ გულწმინდა, ცამდე ალალ-მართალ კაცს? — წამოდგა და ადგილიდან დაიძახა ნატალია დოდაშვილმა, წელანდელ აღშფოთებასაც გზა მისცა: — თუ დაგვიძახეთ, ანგარიშიც უნდა გაგვიწიოთ. თქვენი სათქმელი მოვისმინეთ, ეხლა ალექსიმა თქვას!

— თქვას ალექსიმ! — აჰყვნენ ნატალიას იმდისელები.

— მიეცით სიტყვა რჩეულიშვილს!

— დაიძახეს მუხიანელებმა, კირიანელებმა, თავლაურელებმა და სხვა კოლმეურნეობებიდან მოწვეულებმაც.

— მიეცით სიტყვა! — დაჟინებით მოითხოვა დარბაზმა.

— ბრძანეთ, ამხანაგო ალექსი, თუკი გაქვს რამე სათქმელი, ყურადღებით მოგისმენთ, — ღიმილით მიმართა ალექსის გულვარდიშვილმა.

ალექსი ადგა, ადგილიდანვე მიუბრუნდა დარბაზს და დაილაპარაკა. იმვიათად თუ ენახა ვინმეს იგი ისეთი, როგორიც იმ წუთებში იყო, როგორიც უნახავს გაბო ნაცვლიშვილს, ნიკო ხელაშვილს, ოლეგ ნეჩაევს, პოლკოვნიკ ლიაშენკოს. ბუდის კიდეებს მომდგარი თვალთა ელვარება, სახის დამკვეთრებული ნაკვთები და მთრთოლვარე ხმა ისეთ შინაგან რისხვას ამხელდნენ, რომ დარბაზმა სუნთქვა შეიკრა.

— ვიყო, როგორიც ვარ, მდივანმა მართალი ბრძანა, აქ ჩემი ასავალდასავლის გამოძიების დრო და ადგილი არ არის. მე ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმაზე, რისთვისაც დღეს ჩვენ შეგვკრიბეს. ხალხო, ნუთუ ისეთი გიჟი გეგულებათ ვინმე, თავისი სიკეთე რომ არ უნდოდეს, ბევრი პურის მოყვანა რომ არ უხაროდეს? ან მე ისეთს რას გეტყვით, რაც თქვენ ჩემზე უკეთ არ იცოდეთ? მე იმათ მოვაგონებ, ვინც არ იციან, არ გაუგონიათ, ან დაჰვიწყებიათ, რამდენი ძალა და ენერგია, რამდენი შრომა, რა საკვირველია ნიჭი და უნარი შეუღლევია ჩვენ ხალხს ვაზის მოშენებისათვის. ქართველებმა ძველთაგანვე იცოდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ვაზს თავის ერის ეკონომიური ძლიერებისათვის, იცოდნენ, რომ ქართული ღვინო საგარეო ვაჭრობის ძვირფასი საგანი იყო. ეხლა ჩვენ მემკვიდრეობით მიღებული ჯიშების გაახალგაზრდავებაზე, გაჯანსაღებაზე უნდა გვეზრუნა, შამპანური და საკონიაკე ჯიშების დანერგვაზე, ვენახების გაფართოებაზე უნდა გვეფიქრა...

— პურით უზრუნველყოფის წინააღმდეგი ხარ? — შეაწყვეტინა მდივანმა.

— პურის შესახებ ჩემი აზრი მე უკვე მოვახსენე დარბაზს.

— ის ზოგადი ფრაზებია. მე კონკრეტულად გეკითხები: „უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით" — შენ ამის წინააღმდეგი ხარ?

— ამ ერთი მუჭა ქართველ ხალხს განა რამდენი პური სჭირდება? ჩვენ კეყერა ავითვისოთ, მეზობელ რაიონებმა შირაქს მოუარონ და პური თავპირსაყრელად გვეყოფა. ან განა რუსეთი პურს გვამადლის და გვაყვედრის? თუ სხვისთვისაც გვჭირდება პური, ჩვენ სახელმწიფოში ცოტაა თვალუწვდენელი ტრამალები? მილიონობით ჰექტრებია, სადაც პურზე პურის მოყვანა შეიძლება...

მდივანი ტრიბუნიდან გადმოვიდა, სცენის ნაპირს მიუახლოვდა.

— რჩეულიშვილო, შენ ძალიან გიყვარს სახელმწიფოს დიდ საქმეებში ჩარევა, მაგრამ საბედნიეროდ, იმ საქმეებს თავისი მომვლელი ჰყავს, ჩვენ კი იმის განაღდებაზე უნდა ვიზრუნოთ, რაც ჩვენ გვევალება. ჩვენ, დარიანის რაიონს! ამისათვის კი კეყერა არ არის საკმარისი, ყველგან პური უნდა დაითესოს, ყველგან, გესმის?

— კახეთში ვაზის ნაცვლად პურის მოყვანა — მტრის გასაცინი საქმეა!

მდივანი კიდევ უფრო მიუახლოვდა სცენის ნაპირს, დაიხარა, თვალი თვალში გაუყარა ალექსის და დამარცვლულად ჰკითხა:

— შენ არ იცი, ვის ეკუთვნის ეს ლოზუნგი?

— თქვენ ამახინჯებთ მაგ კარგ ლოზუნგს. კახეთში ვაზი პურს ვანაცვალოთ — ეგ აზრი საქმეში ჩახედულ კაცს არ დაებადებოდა.

— რაო, რა სთქვი? — ისარნაკრავივით გადაზნიქა წელი მდივანმა. — საქმეში ჩაუხედავიო? კიდევ ბრძანე, ბრძანე, განაგრძე!

— საუკუნეების მანძილზეც ასე იყო: მტერი, რომელიც კი შემოგვივარდებოდა, უპირველესად ვაზისა და ტყის გაკაფვა-ამოგდებას ბრძანებდა. ასე აკეთებდა თემურ-ლენგიც, შაჰ-აბასიც...

— მე გიკრძალავ სიტყვას, გესმის?

— ხმა აეჭრა, ენა წაუბორძიკდა [stamp] ფითრებულ გულვარდიშვილს [stamp] სასტიკ პასუხს აგებ მაგისთანა ლაპარაკებისათვის! სიტყვას გიკრძალავ, გესმის?

ალექსის ოდესღაც ჭანჭრობში განცდილი ის ამაზრზენი გრძნობა დაეუფლა. არც იქ, არც აქ უკან დასახევი გზა არ იყო. იქ სასწაულმა გადაარჩინა, აქ...

— მე სათქმელი ვთქვი და გავათავე. ცოცხალი თავით, ერთი ვაზის ამოძირკვასაც არავის დავანებებ.

— გიკრძალავ-მეთქი სიტყვას, არ გესმის? — დაიწივლა გულვარდიშვილმა.

ალექსი არც ერთი სიტყვის დამატებას აღარც აპირებდა. მხრჩოლავი ხავსურა ტანს უწვავდა, ამის ატანა აღარ შეეძლო. თავჩაღუნული, სწრაფად წავიდა გასასვლელისაკენ.

— ემაგ სიტყვაში გენაცვალე, ლექსო!

— ჩვენც შენთან გვიგულე, ძმაო!

— ჩვენ შენთანა ვართ, ალექსი! — დაადევნეს შეძახილები დარბაზში ფეხზე წამომდგარმა თათბირის მონაწილეებმა.

— ვინ, ვინ ბედავს? — წიოდა მდივანი.

სკდებოდა ზარი ჯიბო ქიმიაშვილის ხელში.

ხმაურობდა დარბაზი.

გარეთ წყვდიადი იყო. ქარს დაეწყვიტა მავთულები. დარბაზიდან გამოსვლისას, წყვდიადი შავბნელი კედელივით ელობებოდა თვალს. ქარი აღლარუნებდა მიწაზე დაყრილ მავთულებს. ჰყინავდა.

ალექსიმ ფეხის წვერით მოაფათურა ქვის განიერი კიბისთავი და ნელა წამოჰყვა საფეხურებს. ბრმა-ყრუსავით ჩადიოდა. შავბნელი კედლის გარღვევა სხეულს სტკენდა. საფეთქლებს ჩაქუჩებით უმტვრევდნენ. ყურებში ძველი წისქვილის სარეკელას გაჰქონდა რაკარუკი: იქ-აქ! იქ-აქ! იქ — უკვლოდ მშთანთქავი ჭანჭრობი, აქ — განათე-

ბული დარბაზი. იქ — სასწაული, აქ — ჩემი ხალხი. ტიტიკო, ადამიანი არა ხარ? დაიჯე სარეკელა. ყურები მეტკინა...

მის ზურგსუკან მუქის ვიწრო ზოლი დაეცა კიბეს. მუქის ზოლმა წყვდიადს ხაზი გაუსვა და გაქრა. დარბაზიდან ვილაცა გამოვიდა. კიბეზე წამოეწია ალექსის. ბეჭებზე და მხრებზე შემოავლო მკლავები.

— ხატულა... — გაუხარდა ალექსის. გალეული ჯუბაჩის ქვეშ, მკერდზე მიიკრა მისი ხელები.

კიბის ბოლო საფეხურზე ჩამოსხდნენ.

სიბნელეში ვილაცამ ვილაცას გასძახა. მერე ჯიბის ფანარი აინთო, ჩაქრა, ისევ აინთო. მოედნის შორეული ელექტრობოძი დაილანდა. კაცი წრიაპების ჩხარაჩხურით აირიდა ბოძზე. ქარი აგლეჯდა მაზარის კალთას. მერე კაცი ძირს იდგა. ტროლდადრო ფანრით ამუქებდა ბოძს.

— მალე გაანათებენ. — თქვა ხატულამ.

— ნეტა რამ ჩააქრო?

— ქარია.

— გცივა?

— არა.

— გაკანკალებს.

— უმწეო და მშიშარა ვართ...

მოედანზე და ქუჩის გასწვრივ ნათურები აციმციმდნენ. იციმციმეს, იციმციმეს და ისევ ჩაქრნენ.

— მალე გაანათებენ, — თქვა ხატულამ.

— გულადია ჩვენი აგრონომიო?!

— ომი იყო, მე ვცდილობდი შენსავით ვყოფილიყავი...

მოედანზე და ქუჩის გასწვრივ ნათურებმა უფრო მეტს ხანს იციმციმეს და ისევ ჩაქრნენ.

— ომი იყო. ეხლა უმწეო და მშიშარა ვარ.

— რა გაშინებს, ხატო?!

— შენ ალარსად არ უნდა წახვიდე.

— სად უნდა წავიდე?

— ჩემთან უნდა იყო. არ მინდა „გულადი აგრონომობა“. მინდა ჩვეულებრივი ქალი ვიყო.

— შენ არა ხარ ჩვეულებრივი.

— უსათუოდ უნდა [illegible] ბოღმა დაგახრჩობდა...

ქარი ალექსის ჯუბაჩის კალთას ეკვეთა. ვერ წაგლიჯა და დაჭიმულ მავთულებს ეცა ზმუილით.

— შენ კარგად ილაპარაკე. — თქვა ხატულამ.

— ნუ ჰკანკალებ.

— უსათუოდ უნდა გეთქვა.

— ხატო მყავს და სანდრო მყავს, სხვა რაც იქნება იქნება.

— სანდრო და მე... ეს ცოტაა შენთვის.

— ეგ ყველაფერია ჩემთვის... სხვა რაღა მინდა?

მოედანი განათდა. ქუჩაც განათდა. იმ ქუჩის იქით კი ისევ ბნელოდა. დაჭიმულ მავთულებში ქარი გაასპიტებული წიოდა. ბოძიდან წრიაპების ჩხარაჩხურით და გინებით კაცი ჩამოვიდა. ქარი აგლეჯდა მაზარის კალთებს. მერე მიწაზე გაშლილი იარაღი ხის ყუთში ჩაალაგა და ყუთი განიერი თასმით მხარზე გადაიკიდა. ორივემ რაიკომის შენობას გამოხედა.

— ეგ ღამის ყვავები გათენებამდე ითათბირებენ. — თქვა ერთმა.

— რა ეჩქარებათ. ხვალაც ამ თვისაა. — გაიცინა მეორემ.

— ეჰ, რამდენი ელექტრონი იწვება ტყუილუბრალოდ?!

— შენ ელექტრონი გენანება და, ემაგ თათბირებისაგან გულვარდის ტვინი საჯდომში გაჰპარვიათ!

— ხმა ჩაიწყვიტე, ჯო, ემანდ ხათაბალას არ გადამკიდო! — გაუწყრა მას ამხანაგი.

ლაპარაკით ჩაიარეს.

მოედნის ცალპირზე დაყენებულ მანქანებში ხატულამ იომისის „მოსკვიჩი“ მოძებნა.

— გაიყინებოდა, — თქვა ალექსიმ.

— არა, წელან თბილი შალი მოვახურე.

— ჭკვიანი ხარ. გულადი აგრონომიც და კარგი შოფერიც, — გაულიმა ალექსიმ.

ხატულამ მანქანა გზაზე გამოიყვანა.

გაიარეს შუქიანი ქუჩები, მერე ბნელი. მერე ტალახიანი გათავდა. შარაზე გავიდნენ.

— მე და სანდრო — ცოტაა შენთვის. ვაზიც გვჭირდება, ხალხიც, ოცნებაც, სიხარულიც... — თქვა ხატულამ.

— სანამ თქვენა ხართ, ვაზიც იქნება, და სიხარულიც...

— ჩვენ რომ აღარ ვიქნებით?

— სხვა ალექსი იქნება, სხვა ხატო და სანდრო ეყოლება...

— კარგად სთქვი ყველაფერი. უსათუოდ უნდა გეთქვა.

— არ იციან, ჩვენი მიწა გაშრება, ვაზი რომ ააგლიჯო...

მანქანის ფარებმა გზაზე გამოსული შველი დააბნიეს. დაფეთებული მიხტოდა შუქის ზოლში. ხატულამ ფარები ჩააქრო. შველმა თავს უშველა, გაიქცა.

— სანდროას ცალფეხზე უყვარს ხტომა, — თქვა ალექსიმ.

— დაილოცოს ლევანის ჩამოსვლის საათი. ლიზა ეხლა ორივეს უმღერის იავნანას.

— ორივეს ერთნაირად უყვარს ლიზას იავნანა.

ირმისხევი მშვიდად ფშვინავდა. ხიდმა ფარების შუქზე ორნამენტების პრიალით გაისრიალა მანქანის ბორბლებქვეშ.

ირმისელებსაც სძინავდათ.

— იზრდება ჩვენი ირმისი, — თქვა ალექსიმ.

— ჩვენი სახლიც გაიზარდა, სახურავილა აკლია.

— ლამაზი გამოდის.

— სანდრო ამბობს, სანდრო-პაპას ქოხი უფრო ლამაზიაო.

— სანდრო-პაპას ქოხში ისევ მეზვერე იცხოვრებს.

ტოტებგადაფარჩხული ნაძვი გამოჩნდა. მანქანიდან გადმოვიდნენ

„ხმელი ყინვაა“, — გაიფიქრა ალექსიმ.

„გათოშილი მოვედი პირველად ამ ნაძვთან“, — მოაგონდა ხატოს.

„ხატო რომ მოვიდა, იმ ღამეს თოვლი ათეთრებდა აქაურობას“. — გაიფიქრა ალექსიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამ კერამ მომილო და გა[illegible] გაჰყვა თავის მოგონებას ხატულა.

„იმ დღეს ვეება ჯირკი მოვათრიე შინ, მთელი ღამე მღეროდა ცეცხლი ბუხარში“, — ხედავდა იმ სურათს ალექსი.

— ალექსი, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, გინდა? — ჩუმად ჩაიცინა ხატულამ. — შენ არ გეხსომება, მე რომ მოვედი, იმ ღამეს ბუხარში ვეება ჯირკი იწვოდა. მე იმ ჯირკიდან ნაკვერჩხალი შევინახე და ჩავუთქვი. იცი, რა ჩავუთქვი?

„ჩემისთანა ბედნიერი კაცი მეორე არ იქნება ქვეყანაზე“. — გაიფიქრა ალექსიმ. მკერდის მარცხენა მხარეს ხანჯლის წვერივით დაესო ტკივილი.

— თუ ამ ნაკვერჩხალს შევინახავ, ბედნიერი ვიქნები-მეთქი. — ისევ ჩუმი სიცილით განაგრძობდა ხატულა.

ის აუწერელი ტკივილი მკერდიდან ბეჭს ეხეთქა, სუნთქვა შეუკრა, დაამუნჯა კაცი.

— მერე ომში რომ წახვედი, ჩავუთქვი: თუ ამ ნაკვერჩხალს შევინახავ, შინ მშვიდობით დაბრუნდება-მეთქი...

ქმრის ალერსიანი ხელი უცებ მოდუნდა ხატულას მაჯაზე.

— უყურე საკვირველს, ბუხარში ეხლაც ის ცეცხლი ანთია! — იცინოდა ხატულა. ცერებზე აიწია, ალექსის დახუჭულ თვალებს შეხედა, ხელი შუბლზე დაადო და ჩასჩურჩულა: — ლექსო...

„ალბათ ასე კვდება ბედნიერი ადამიანი, — გაუელვა ფიქრმა ალექსის. — ჩემისთანა ბედნიერი სხვა არ იქნება ქვეყანაზე. არასდროს არ მითქვამს ხმამაღლა. ეხლა ვეტყვი“...

ლაპარაკი ისევ არ შეეძლო. ხმა არა ჰქონდა, ხატულა ტუჩების მოძრაობაზე მიუხვდა სათქმელს. და უცებვე მიხვდა, რატომ არ იღებდა ხმას ალექსი. შეშინებულმა დაიყვირა:

— ალექსი!

იქნებ საოცარმა დაყვირებამ, იქნებ ნაძვში გახლართული ქარის ზმუკუნმა,

ან იქნებ ქოხის ზღურბლზე გამოსული ლევანის გამოხმიანებამ დააფრთხო ტაივილი. უეცრად აჩენილი, უეცრადვე გაქრა. სრულიად გაქრა, თითქოს ბეჭიდან დასაძვრენს მიაგნოო. ალექსიმ სული მოითქვა.

— მართლაც მშიშარა ჰყოფილხარ, ხატო... — უთხრა ჩუმად. სისუსტესთან ერთად უხერხულობაც იგრძნო, თითქოს მოატყუა სიკვდილმა, მოატყუა, რომ სიყვარულზე ელაპარაკებოდა.

— ქირსაც წაუღია ყველაფერი! — ცრემლები ჩაეღვარა ხმაში ხატულას. — შენ თავს შეაკლავ და ვაზიც ოხრად დარჩება!

— სანდროას ჩემზე ძალიან უყვარს ვაზი, არ შეგიმჩნევია? — გაუღიმა ალექსიმ.

## თავი მეხუთე

...ჩვეულებრივი დილა გათენდა. ცისფერ კაბადონს ცხრათვალა მზე დაეკიდა, ყინვით შეკრულ მიწას ვერ ათბობდა, თვალისმომჭრელად ელვარებდა მხოლოდ.

კარზე მომდგარი ახალწლის დასახვედრად ფაციფუცში მიილია ის დღე.

მოსაღამოვდა. ლურჯად ჩამწკრივებულ ცაზე აციმციმებული ვარსკვლავები გუნდ-გუნდად შემოუსხდნენ ირმის ნახტომს.

დაღამდა. ხეებმა ხალიჩები დაფინეს მიწაზე.

ძველი და ახალი წლის მესაზღვროსავით უვლის ირმისს ალექსი. ქუჩებში არავინაა. ჰაერში აცეკვებული საკვამურებიდან ასული ბოლი. თბილა იმ სახლებში. სინათლეა იმ სახლებში. საახალწლო მზადებაა. რა ჯავრი და ბოლმა გაუტოლდება ამ სიხარულს? მიდის სრულად ვალმოხდილი ძველი წელი. მოდის იმედებით კალთასავსე ახალი, ორმოცდამეთერთმეტე წელი. ვის რას დააკლებენ გულღვარძლიანი არსებანი? აფსუსია, მიწას სტკეპნიან. მაინც მოელება ბოლო მათ თვითნებობას. მისწვდება ხალხის ხმა, სადაც სა[illegible]. მოილიან დარიანის [illegible] გაასწორებენ გამრუდებულს. ყველაფერს ასწორებენ. ამასაც გაასწორებენ...

აი ნაძვიც და განათებული სარკმელიც. საკვამური ნაპერწკლებით სუნთქავს. აუუ, საიდან წამოლებული ცეცხლის მთამომავალი არიან ეს ნაპერწკლები! ახალ სახლში შეიტანს ხატულა ამ ცეცხლს. ახალი წელი დალოცავს მათ ახალ ჭერს. ახალ სახლში აინთება სანდროს ნაძვი!..

— ჰეი, ძმაკაცო, არა გძინავს? — ვითომ უკვირს შინ შესულ ალექსის, ვითომ არ იცის, რომ „ძმაკაცი“ არ დაიძინებს, ვიდრე მამა ტკბილ ძილს არ უსურვებს.

— რა ჩემი ბრალია, პაწაწკინა გოგოებმა გამიჭირეს საქმე! — ვითომ თავს იმართლებს სანდრო. — დოდაანთ ნატუკას დათუნიას ბიჭებმა თათები დააგლიჯეს და ნატუკას ღრიალმა მთელი ირმისი აიკლო! ძლივს დავაჩუმე, დავპირდი, გაგიკეთებ-მეთქი, ჰოდა, ვაკეთე, ვაკეთე და ვერ გავაკეთე, დედამაც ვერ გააკეთა!...

— უშნო დასტაქრები ჰყოფილხართ ორივენი! — იცინის ალექსი და დათუნიას მკურნალობას იწყებს. კარგა ხანს უნდება ამ სათუთ საქმეს, და ბოლოს თეთრი ხავერდის დათუნია სრულიად ჯანსაღი გამოდის „საავადმყოფოდან“.

გახარებული სანდრო ცალ ფეხზე ხტის და ბზრიალასავით ტრიალებს. ალექსი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაზე ვერცერთი ბიჭი ისე ვერ იტრიალებს ცალ ფეხზე!

მერე სანდროს თავის ოთახში მიჰყავება მამა. ჩაცუცქული სინჯავენ იატაკზე დახვავებულ ნაძვის მოსართავს და საჩუქრებს. სანდრო ღელავს. 31 დეკემბერს მასთან მთელი კლასი მოვა. აჩიკო ხელაშვილიც ჩამოვა მუხიანიდან. ახალ სახლში აანთებენ ნაძვის ხეს. ყველა მიიღებს საჩუქარს. სანდრო ღელავს, ვაითუ, ყველას არ ეყოს!

— ადამიანო, რამდენი ხართ კლასში? ოცდათორმეტი? მაშ რა გაღელვებს, აქ იმდენია, მთელ ასეულს ეყოფა! —

ამშვიდებს მამა სანდროს, — ნეტა ვიცოდე, ეს მელია-კუდიგრძელია ვის შეხვდება. სანდრო, შეიძლება, ეს მელია მე ვაჩუქო დოდაანთ ნატუკას? ჰოო? მადლობთ.

— შენ ხო არ დაგავიწყდა, მე რასაც დამპირდი?

— პირობის დავიწყება შეიძლება? კევრაზე პურის ალება რომ დაიწყება, შენც შენი კომბაინით გამოხვალ.

— ნამდვილი იქნება?

— აბა როგორი? ზოგიერთი ნაწილები უკვე შევუკვეთე, შენი კომბაინი ნამდვილზე ძნელი გასაკეთებელია.

— აა, წამოგცდა! ჩემი კომბაინი მაშ ნამდვილი არ იქნება?

— დაიცა, კაცო, არ წამაქციო! ნამდვილი იქნება-მეთქი, მხოლოდ სტანდარტული და სერიული კი არა, როგორსაც ქარხანა აკეთებს, სხვანაირი, სხვა ყალიბისა იქნება, არ გესმის?

—ჰოო, თავიდან ეგრე გასაგებად უნდა გეთქვა! — სანდრო ისევ ხტის და ბზრიალასავით ტრიალებს ცალ ფეხზე.

— აბა, გეყოფათ! — დაუცაცხანა ქმარსა და შვილს ხატულამ, — რა ამბავია, თერთმეტი ხდება, ზოგს ძილი დაუგვიანდა, ზოგს საქმე! მე ვის ვეუბნები? სანდრო, ალექსი, მორჩით-მეთქი!

* * *

და გული არავის უგრძნობდა, რომ მიმავალი 1951 წლის იმ ხალისიან დღეს, იმ სასიხარულო ფუსფუსში შემოღამებას საოცარი ამბავი მოჰყვებოდა.

საღამოს რვა საათზე დარიანის რაიონის ოპერრწმუნებულმა რაფიელ ბრეგაძემ გულვარდიშვილის კაბინეტის კარი შეიკეტა, დაბარებულნი ბეჯითად შეათვალიერა და მდივანს უთხრა:

— ილარიონიჩ, გახსენით თათბირი, ოღონდ მოკლედ!

იმ ორის მეტმა ჯერ არავინ იცოდა, რისთვის იყვნენ დაბარებული, მაგრამ ხედავდნენ, რომ მდივნის კაბინეტში ახლა ბრეგაძე უფროსობდა და პროკოფი გულვარდიშვილი აშკარა მზაობით ემორჩილებოდა მას.

— ამხანაგებო, დღეს ჩვენ აქ მოგიწვიეთ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირები, რომ გაუწყოთ ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი: — დაზეპირებულივით დაიწყო გულვარდიშვილმა, — ზემდგომი ორგანოების მითითებით, ამ ისტორიულ ღამეს ხდება ჩვენი რესპუბლიკის გაწმენდა სოციალისტური საზოგადოების ყოველგვარ ხორცმეტისაგან, კომუნიზმის მშენებლობის ხელისშემშლელ პირებისაგან, ლენინ-სტალინის დიდი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან, აგრეთვე ფაშისტებთან ტყვედნამყოფი, კაპიტალისტურ სამყაროში მცხოვრებ ნათესავებთან საეჭვო ურთიერთობის მქონე, და საერთოდ, ყველა საეჭვო ელემენტებისაგან. ეს საგანგებო ღონისძიება ტარდება ჩვენს რაიონშიც და ამ ისტორიულ, დიდად საპატიო საქმეში მონაწილეობისათვის მოგიწვიეთ თქვენ, რაიონის ყველაზე მოწინავე, მაღალი იდეური შეგნების მქონე, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი ამხანაგები. ეხლა კი ინფორმაციისათვის სიტყვა ეძლევა ამხანაგ რაფიელ ბრეგაძეს.

ბრეგაძემ პირდაპირ საქმეზე დაიწყო ლაპარაკი:

— ჩვენ, ამხანაგ პროკოფთან ერთად, აქ დამსწრე ამხანაგებიდან შევადგინეთ ცალკე ჯგუფები, რომელთაც ევალებათ აღნიშნული ღონისძიების ოპერატიული განხორციელება. ვინაიდან სიებში მოხსენებული პირები ოჯახებით სტოვებენ აქაურობას და ნება ეძლევათ თან წაიღონ თავისთვის საჭირო საოჯახო ნივთები, ყოველ ჯგუფს დასახმარებლად ეძლევა ორი სალდათი და სატვირთო მანქანა. უნდა იმოქმედოთ სწრაფად და უხმაუროდ. უნდა მოერიდოთ დანარჩენ მოსახლეობას. უნდა იყოს დაცული სრული სიმშვიდე, რათა არ დაირღვეს დანარჩენი მშრომელების ძილი და მოსვენება. გასაგებია? ოპერაცია უნდა დასრულდეს ორ საათში. ზუსტად თორმეტისათვის მანქანები უნდა იყვნენ გურჯაანისკენ გადასახვევ-

თან, საიდანაც ჩვენი კოლონა წავა სადგურისაკენ. შეკითხვები არის?

— სად მიდიან? — დაარღვია ვიღაცამ სამარისებური სიჩუმე.

— ეგ ჩვენ არ გვეხება! — მოსჭრა ბრეგაძემ — ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია. ეხლა კონკრეტულად გეტყვით, რომელი ჯგუფი საით მიდის და სიასაც ჩაგაბარებთ. ილარიონიჩ, შევუდგეთ საქმეს.

„სად ვარ? რა ხდება? მე აქ რა მინდა?“ — თავი სიზმარში ეგონა, ვაჟა კვერენჩაძეს. რაც ესმოდა, რასაც ხედავდა — კოშმარი ეგონა, ვერ დაეჯერებინა, რომ ეს სინამდვილეში ხდებოდა, რომ თვითონაც იყო ამ კოშმარის მონაწილე, რომ ცხადად ესმოდა გულვარდიშვილის სიტყვები:

— ჩემო ვაჟა, შენ მუხიანში მიდიხარ, შენთან გარაყანიძე წამოვა, ხო იცი, ვასილი ენერგიული კაცია, კარგად დაგეხმარება, ხელით მოიყვანეთ. წარმატებას გისურვებ, ძვირფასო! — სია შეაჩეჩა გაოგნებულ ვაჟას და სარდიონ მალალაშვილისაკენ წავიდა.

„ეხლავე თავში ვახლი ამ სიას! — გადადგა ნაბიჯი ვაჟამ, მაგრამ უცებვე გონს მოეგო: არა, უნდა წავიდე. უსათუოდ უნდა წავიდე. გარაყანიძის მარტო გაშვება არ შეიძლება. გაახელებს ხალხს, პროვოკაციას მოაწყობს. უბედურებას დაატრიალებს. მე უნდა წავიდე. ჰო, მუხიანში. ნიკოსთან მე უნდა წავიდე. უნდა წავიდე!“ — უბრძანებდა თავის თავს და ადგილიდან ვერ იძროდა.

— რაღას უყურებ, სარდიონ? — ეუბნებოდა მალალაშვილს მღივანი, — მოჰკიდე ხელი შენს მეწყვილეს და გზას ბარაქა დააყარეთ!

— გზას ბარაქა! ავად არი ის კაცი, ვერ უყურებ? გზაში ეგაც მე გამიხდება მოსავლელი, — ჩაიბურტყუნა მალალაშვილმა.

— მოსავლელი კი არა! შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს. ნამეტანი მაღალი მატერიებით უჩურთავს ტვინს მოწაფეებს და რეალური ცხოვრების დანახვა მოუხდება, გაავგრილებს, მოარჩენს! — გაამხნევა მღივანმა და ახლა მის მეწყვილეს, საშუალო სკ[illegible] [illegible] მასწავლებელს, [illegible]მლაძეს მიმართა: — რა დაგემართა, ავად ხარ?

— შაკიკი მკლავს, — თითქოს ხავსს ჩაეჭიდაო მუმლაძე.

— არაფერია, კირიანი აქვეა, სარდიონმა კარგად იცის იქაური ასავალ-დასავალი, არ გაგიჭირდება. რას ვიზამთ, ამხანაგო ვახტანგ, ჩვენ ყველანი საქმეს უნდა შევეწიროთ! აბა, გზა მშვიდობისა!..

— წავიდეთ! — უთხრა მალალაშვილმა მუმლაძეს.

კარისკენ წასულ მასწავლებელს ზურგიც კი უცახცახებდა.

ვაჟა ძლივს მოერია სურვილს ეყვირა: ტუჩს კბილები დააჭირა და მიიხედ-მოიხედა. ახლახან ხალხმრავალი კაბინეტი თითქმის დაცარიელებული იყო. „წასულან ჩემსავით „ნდობით აღჭურვილი პირები“. ალბათ ჩემსავით უჭირთ, მაგრამ ჩემსავით იციან, უნდა წავიდნენ, თუ არ უნდათ, რომ სოფელი ავკაცთა სათარეშო გახდეს...“ — გაიფიქრა, ნატყვიარი ფეხის თრევით წავიდა გასასვლელისაკენ, და კართან მისული, უცებ გავარდა გარეთ.

— აბა, ეხლა კი ჩვენც წავედით! — უთხრა ბრეგაძემ ჭიმიაშვილს, მაგიდაზე მუშტი დაჰკრა და წამოდგა. — ილარიონიჩ, კარგად მეყოლე, ამ დავალებას რომ მოვრჩებით, გინახულებ!

* * *

სანდრას სძინავს. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. მაგიდაზე ანაბეჭდებია გაშლილი. წაკითხული და ჩასწორებული სტატია „საკონიაკე ვაზის ჯიშების გამორჩევა-მოვლა“ საჩქაროდ უნდა დაუბრუნდეს თბილისის სტამბას. ფინჯნებში დასხმულ მაგარ ჩაის ორთქლი ასდის.

— მალე ჩვენი კონიაკი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვა, — თქვა ალექსიმ და წამოდგა, დაღლილი წელი და ხელ-ფეხი გაავარჯიშა.

— საოცარი... ვარ წყავი არხი რომ მოეშველები-

ნათ, იცოცხლე, მაგას მალე მივაღწევ-დით!

— ჰოო, ჩვენი გულვარდი სულ მა-გისთანა სიკეთეზე ზრუნავს!

— ჩვენს ოცნებაში მაინც ნუ შემო-ვუშვებთ საძაგელ ტიპებს! — გაიცინა ხატულამ. — იაბლონსკელი სერიოგა მა-გასაც „შავ სალამანდრად“ მონათლავ-და ალბათ...

— ნამდვილად, — დაუდასტურა ალექსიმ და ანაბეჭდებზე — გადაპენ-ტილ ვაშლის ხეხილებში ჩაფლულ იაბლონსკას დააკვირდა, პატარა სახლის სახურავზე დასკუპებული ბოლოქანქა-რა ყიყლიყოც დაინახა...

— ოი, ალექსი, გესმის? მანქანა გა-ჩერდა სახლთან, სტუმრები გვეწვი-ნენ!

ალექსიმ საკინძე შეიკრა და კარი გა-მოაღო. მობრძანდითო, — ვერ მოასწ-რო ეთქვა, ოთახში რაფიელ ბრეგაძე და ჯიბო ჰიმიაშვილი შემოვიდნენ. კა-რთან თოფიანი ჯარისკაცი დააყენეს.

ალექსიმ უკან დაიხია.

— რა მოხდა? — უცებ ჩახლეჩილი ხმით იკითხა მიტკალივით გათეთრე-ბულმა ხატულამ.

— გაეცანით ამას, — ცივი, ქედმაღ-ლური თავაზით თქვა ბრეგაძემ და ქა-ღალდი გაუწოდა ალექსის.

ხატულამ ქმართან ერთად წაიკითხა „მოწერილობა“, მას დართული ჰქონდა მჭიდროდ ჩამოწერილი რაღაცა სია. წა-კითხულის მნიშვნელობას მხოლოდ მა-შინ მიხვდა, როცა მთელი არსებით იგ-რძნო ალექსის მძაფრი გულისცემა, იგ-რძნო როგორ ცდილობდა იგი მორჯო-და, დაეფარა, არ გაემხილა თავისი აზ-ვირთება, და მიეშველა, გრილი ხელი დაადო ხელზე, რომელზეც ძარღვები ისე ამობურცულიყვნენ, თითქოს ეს-ესაა დასკდებიანო.

ჯიბომ ჯიბის მოზრდილი საათი და-დო მაგიდაზე.

— ოცდაათი წუთი გაქვთ, მოემზა-დეთ, რაც გინდათ, შეგიძლიათ წაიღოთ თან, გარეთ მანქანა დგას, — დააყოლა თან.

ბრეგაძე მაგიდიდან წამოკრეფილ ანაბეჭდებს დაუდევრად სტენიდა თა-ვის პორტფელში.

ეროვნული

ჯარისკაცი სარგადაყლაპულივით იდ-გა კართან.

— დროს ნუ კარგავთ, მოემზადეთ! — ბრძანა ბრეგაძემ და ახლა, თარო-ებზე დალაგებული წიგნების ქექვას შეუდგა.

უძრავად მდგომი ცოლ-ქმარი მაგი-დაზე დადებულ საათს დასჩერებოდა, ორივეს ეჩვენებოდა, რომ საათის სიმ-ძიმეს მაგიდა ჩაეზნიქა და წამის მაჩ-ვენებელი ისარი ცეცხლებიანივით ძიგძიგებდა.

„ნეტა სად შეინახავდა ლიზა სანდ-რას თბილ წინდებს“, — გაიფიქრა უცებ ხატულამ და ამაზე ფიქრს თავი ველარ დააღწია, ნელა მოშორდა ალექ-სის და ტახტზე ჩამოჯდა.

ალექსიმ თვალი მოსწყვიტა საათის ისარს და ხატულასთან მივიდა.

— მოვემზადოთ, — უთხრა ხმადაბ-ლა და დამნაშავესავით დახარა მის წი-ნაშე თავი.

— წინდები? — გათეთრებული ტუ-ჩებით ჰკითხა ხატულამ და გაფართო-ებული, გამშრალი თვალებით მიაშტერ-და ბრეგაძეს.

„კი ჩაიწვებოდა მელითაური“, — გაიელო გუნებაში ბრეგაძემ. თვალი აარიდა ხატულას, და სანდრას ოთახი-საკენ გაემართა.

ალექსი განიერი ნაბიჯით დაეწია.

— ბავშვს არ შეეშინდეს, — უთხრა მშვიდად და თვითონ შეუძლვა, მიეხმა-რა სათამაშოების, ნაძვის მოსართავე-ბის ჩხრეკას.

შუაკარში ჩამდგარი ჯიბო კისერწაგ-რძელებული უყურებდა მათ.

— მოემზადეთ, — ჩუმად უთხრა ხა-ტულას, შემოსავსლეში მდგომმა ჯა-რისკაცმა.

— რისთვის?

— ყველგან ზამთარია, სათბილობ-ლები იქნება საჭირო.

— აჰ, სათბილობლები? — გაიცინა ხატულამ.

და ისეთი უადგილო იყო ეს გაცინება, ისეთი შეუფერებელი იყო ქალის გამ-

შრალ, უცებ ამოლამებულ თვალებთან, რომ ჯარისკაცმა კონდახით იატაკზე დაბჯენილი თოფს დააყრდნო თავი, მაგრამ მყისვე სმენაზე გაიჭიმა: ჯიბიდან გამოიხედა, მოტრიალდა და მაგიდაზე დადებული საათი აიღო.

— ამხანაგო რაფიელ, ათი წუთიღა დარჩა, — უთხრა „ნადავლით" გამოსულ ბრეგაძეს.

თეთრი ხავერდის დათუნიას გაფატრული მუცლიდან იატაკზე ნახერხი იპნეოდა.

— მოქალაქე რჩეულიშვილო, აი რა: — დათუნია დააგდო იატაკზე და ფეხებგაჩაჩხული, ზურგით დადგა ბუხართან ბრეგაძე. — მიუხედავად თქვენი დიდი დანაშაულისა პარტიის, ხელისუფლების, მთავრობის წინაშე, თქვენს მიმართ ფრიად რბილი და ჰუმანური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. იმედია, თქვენ ამას სათანადოდ დააფასებთ და ეცდებით შემდგომი საქმიანობით გამოისყიდოთ თქვენი დანაშაული: თქვენ შეგიძლიათ ცოლ-შვილი აქ დატოვოთ!

— არა! — დაიყვირა ხატულამ.

— ჩუმად! — უბრძანა ცოლს ალექსიმ ,როგორც ზემდეგი უბრძანებდა თავის ოცეულს. — ვისარგებლოთ „ჰუმანურობით", შენ დარჩები!... — და მერე სრულიად უმეტყველო სახით, ხმით, სავსებით მშვიდად, შეუცნობლად შეურაცხმყოფელი გულგრილობით ჰკითხა ბრეგაძეს: — მე არ გამაცნობთ ჩემს დანაშაულს?

— როგორ არა! — ველარ მოითმინა ჩაურევლობა უფროსების გაჭირვების ტალკვესმა ჯიბო ჭიმიაშვილმა: — ჩვენი სოციალისტური საზოგადოება უნდა გაიწმინდოს კომუნიზმის მშენებლობის ყველა ხელისშემშლელ ელემენტებისაგან, ჩვენი დიადი ლენინ-სტალინის პარტიისა და...

— კმარა! — შეაწყვეტინა ბრეგაძემ აშკარა უადგილო ყბედობა ჯიბოს და ალექსის მიმართა: — თქვენს დანაშაულს სათანადო ინსტანციაში გაეცნობით...

ალექსიმ იატაკზე დაგდებული ჩანთა აიღო. პირსახოცი. საპონი. კბილის ჯაგრისი. ერთი ხელი სა[illegible] მეტხიროს მოიფიქრებს გონება [illegible]ების ჟამს? რა იცის. რა დასჭირდება გზაზე, რომლის არც სიგრძე იცის, არც დასასრული...

ჩანთა დახურა და, თითქოს მათ გარდა ოთახში არავინ იყო, გახევებულ ხატულას ბავშვივით მოჰკიდა ხელი, სანდროსთან შეიყვანა.

გულგადაღეღილ ბიჭს მშვიდად ეძინა.

ალექსიმ ზემდეგად ველარ ივარგა. ხმასაც ველარ დაეუფლა.

— გონს მოდი, ხატო, რამ წაგართვინა? ყველაფერი გაირკვევა. შენ აქა რჩები. სანდროს გაუფრთხილდი. ცრემლს ნუ ანახვებ. გულს ნუ გაუბოროტებ. ამას გთხოვ. ჩემო ხატო, გთხოვ, გავალებ...

ხატულას გაუსაძლისად მისი თვალების, მისი ხმის ატანა.

— გაიღვიძებს და რა ვუთხრა? — ჰკითხა თავდახრილმა.

— გათენება გიკარნახებს. გონიერი ბიჭია, ზოგს თითონაც მიხვდება... — შეისვენა და მერე ჩასჩურჩულა: — დილითვე ნახე ნიკო ხელაშვილი, რომლისაც ურჩიოს ნატაძარი შეიერთონ, მაშინ ვაჟას დატოვებენ თავმჯდომარედ. ნუ სტირი, ხატო, ისევ ჩაუთქვი ნაკვერჩხალს და მალე დავბრუნდები, მალე გნახავთ, მალე, ხატო...

ალექსიმ ჩანთა აიღო და გასასვლელისაკენ წავიდა.

— ლოგინი? — ჰკითხა ჯარისკაცმა.

— ძმობილო, სად გინახავს სალაშქროდ მიმავალი ჯარისკაცი ლოგინს დაათრევდა თან?! — უთხრა ალექსიმ და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

— მეზობლებს ნუ მოუშლით დასვენებას, ამალამ ნუ შეაწუხებთ, — თავაზიანი ურცხვობით გააფრთხილა ბრეგაძემ ხატულა.

...მანქანის ხმაური მიდიოდა, მიდიოდა, მიდიოდა, მისწყდა... გზა, სახლები, ხეები, ცა, ყველაფერი შთანთქა წყვდიადმა. მხოლოდ წყვდიადი იყო — დაცლილი, ცარიელი წყვდიადი. სხვა არაფერი. და უცებ იმ შავ არაფერში, იქ

სადაც ნაძვი უნდა მდგარიყო, ვეებერთელა ურჩხული აღიმართა. ბანჯგვლიან სახეზე ცალი თვალი უბრიალებდა. მკლავებგაშლილი ნელა წამოვიდა ქონისკენ.

ხატულის სისხლის ნაცვლად ყინულმა დაუარა ძარღვებში. „არ შეგიშვებ, ამ კარს იქით ჩემი შვილია, სანდრაა იქ!" — დაიყვირა უხმოდ და მოახლოებულ ურჩხულს ხვადის ბრჭყალებადქცეული, სახსრებჩარკინებული ხელები შეაგება...

ურჩხულს თვალი აუკიაფდა, მოსწყდა, წყვდიადი გაარღვია და გაქრა. მის ნაკვალევზე დაინახა ხატულამ: საიდანაც ურჩხული წამოვიდა, იქ ნაძვი იდგა, ვეება, კეთილი მეგობარი, ალექსის და ხატულის ერთადერთი მაყარი. სანდრას აკვნის უნაცვლებელი დარაჯი.

— აი სანდრა! — თქვა ხატულამ, შინ რომ შევიდა, და უაზროდ დააშტერდა მძინარე ბიჭს. მოეჩვენა, რომ საწოლიდან რბილი და მსუბუქი ტალღები ილვრებოდნენ, გაუკვირდა, რომ პატარა საწოლიდან ტალღები ულევნელად ილვრებოდნენ და მისკენ მოისწრაფოდნენ, ეხვეოდნენ, ელამუნებოდნენ, თითების, მაჯების, მხრების ტეხვას უამებდნენ. და იმ მსუბუქმა რბილმა ტალღებმა არაფრის გარკვევა აღარ აცალეს, ჩაიხვიეს, ჩაიძირეს და ფრთხილად დაარწიეს...

* * *

მელითაურს სახლის პატრონი გაფრთხილებული ჰყავდა, თუნდ შინ ვიყო, ვინც უნდა მიკითხოს, უთხარი, შინ არ არის და არ ვიცი, სად არის-თქო. მშვიდი და მოკრძალებული მოხუცი დემეტრე აქამდე პირნათლად ასრულებდა თვალ-გულთან მისული, კეთილი და ხელგაშლილი მდგმურის დავალებას, იმ დილამებისას კი, ჩანს, ალელვებისაგან გააადნიერებული შეიჭრა მის ოთახში.

— დღეს მთელი დღე შინ რამ დაგსვა? ბარე ათჯერ გიკითხეს რაიკომიდან, რატო არ გაიხედავ, არ გაიგებ, რა ხდება?

— ვითომ რა უნდა ხდებოდეს ამ ჩვენ სატახტო ქალაქში? — ჩაიცინა მელითაურმა და წიგნი გადადო, მოხუცის უჩვეულო ქცევით გაკვირვებ[illegible] შეიმჩნია. — მაინც რა, ძმ[illegible] რა ხდება?

— რაღაც ჯანდაბის ჯგუფები დაუგზავნიათ სოფლებში, ჩვენ პარპაშა რაზბონიკებს ხალხის აყრა დაუპირებიათო... — თვალები ცრემლით ევსებოდა მოხუცს.

— დაიცა, დაიცა! — თქვა რამაზმა. მოაგონდა: იმ დღეებში მდივანი არავის ღებულობდა, კაბინეტში ოპერრწმუნებულთან ჩაკეტილი რაღაცას „ჩხირკედელაობდნენ", გუშინ კი ნასვამმა სარდიონ მალალაშვილმა წაუბუტბუტა, ხვალ მდივანი თავისი სანდო ხალხს საიდუმლო თათბირზე დაგვპატიჟებსო... დღეს სწორედ ამიტომ განმარტოვდა, გულვარდიშვილის დანახვა და მის შემაწუხებელ თათბირზე დასწრება ეზარებოდა, აა...

— ძია დემეტრე, დამშვიდდი, ტყუილი იქნება... — ნაღვლიანი მოფერებით მოუთათუნა მხარზე ხელი მოხუცს და სწრაფად გავიდა სახლიდან.

მან ჩვეულებრივად ყურთამდე შეაღო გულვარდიშვილის კაბინეტის კარი.

— სად დაჰქრიხარ, ეშმაკიც ვერ მიაგნებს ხოლმე შენს გზა-კვალს! — რაღაცნაირი მხიარული საყვედურით შეეგება მდივანი.

— ქვემოთ ჰალებში ვიყავი სანადიროდ, — იცრუა მელითაურმა.

— უჩემოდ რომ გაიპარები ხოლმე, გგონია, ხეირი დაგეყრება? — აი, ძალზე საინტერესო სიტუაციას გასცდი!

— უშენოდ როცა მივდივარ, ყოველთვის ხელცარიელი ვბრუნდები! — დროს იგებდა, თავს იმშვიდებდა მელითაური. — ჰო, მაინც რა იყო, რას გავცდი?

— რაფიელ ბრეგაძეს უნდოდა დამსწრეთ წაეყვანე.

— რაფოს ამალაში ყოფნაა „საინტერესო სიტუაცია?"

— კაცო, შენ ნუ ხარ დიდ-პატარის აბუჩად ამგდები.

— რა ვქნა, ცუდადა ვარ გაზრდილი. სად მამაჩემთან მიდიოდა?

— რჩეულიშვილთან წავიდა.

— ვინ რჩეულიშვილთან? — შეეკრა შუბლი მელითაურს

— სხვა ვინ იქნებოდა, გონჯაურასთან!

— გონჯაურასთან?... — წყალს მის-წვდა რამაზი. მაგრამ გავსებული ჭიქა დაავიწყდა. ხმადაბლა თქვა: — არ მოასვენე ის ადამიანი, მაინც გამოსდე ხრიკი?

— ეხლა კარგად მოისვენებს და ჩვენც მოგვასვენებს!

„უნამუსო, ლორო პროკოფინა!“ — უნდოდა ეყვირა რამაზს და ისევ ხმადაბლა ჰკითხა:

— ეგ როგორა?

— როგორადა, ჭალებში კი არ უნდა გექრიალა, აქ უნდა ჰყოფილიყავი, გეცოდინებოდა, როგორა?! როგორადა, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებაა, ჩემო კარგო, რესპუბლიკა უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი ხორცმეტებისაგან, ნდობაგატეხილი პირებისაგან. ჰოდა, მაგისთანები ჩვენ რაიონშიც ბლომად არიან!

„უნამუსო, ლორო პროკოფინავ, ეს დღეები რაფოსთან ჩაკეტილი ამაზე თათბირობდი? იმიტომ დამხვდი კარგ გუნებაზე? ბრეგაძეს მეტი რა მოეთხოვება, ეს მაგისი ხელობაა, მაგრამ შენ?... ღმერთო, მომეც მოთმენა!...“

— სით უკრავთ თავს? — ჰკითხა, სული რომ მოითქვა.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, რა ვიცი?

რა თქმა უნდა, იცოდა, და რამაზს უნდა გაეგო ის, რაც გულვარდიშვილმა იცოდა. განსჯის დაუხარჯავი უნარი მოიშველია, და რამდენადაც შესძლო, აღუშფოთველად ჰკითხა:

— მარტო თითონ ხორცმეტები თუ... ოჯახები? — ჰკითხა და პასუხის მოლოდინში წამი უსასრულო ეჩვენა, თვალები აეწვა, ყურებში წივილი აუტყდა. სული კბილითლა ეჭირა გულვარდიშვილის ქირქილი რომ გაიგონა.

— შორიდან ნუ უვლი, ვიცი სადაც უკაკუნებ! დანარჩენები კი ოჯახებით მიემგზავრებიან, ხოლოთ გონჯაურა...

გონჯაურამ თუნდა მთელ [illegible] ოკეანეზე გააშენოს [illegible] აგრონომი კი ჩვენ აქა[illegible]მადლობა თქვი, ბრეგაძე ძლივს დავიყოლიე!

რამაზი ბეწვის ხიდზე გამოვლილივით, ღონეგამოლეული მიესვენა სკამის საზურგეს. გაოფლილი საყელო შეიხსნა და თვალები დახუჭა. „ჩამოსახრჩობი ხარ, ლორო-პროკოფინა, მაგრამ თოკი აფსუსია შენთვის. ბოსელში ხარ დასამწყვდევი, პირუტყვი ხარ, ბოსელშია შენი ადგილსამყოფელი. ამ კაბინეტში რა გინდა? ვინ განდო? ვინ?..“

— ეხლა იმ ოჯახის პატრონობა შენ მოგიწევს... — ისევ ჩაესმა რამაზს გულვარდიშვილის ჩაქირქილება და ყელს მომდგარი ბოღვერისებური ღრენა უხიაკ ხორხოცად აქცია. მეტი კი ველარ შესძლო, წამოდგა.

— სხვა „ხორცმეტი“ ბევრი აღმოჩინეთ? — ჰკითხა ხმაწასულმა.

— ეგ სტატისტიკა ბრეგაძეს მოჰკითხე! რა მოგდის, ყმაწვილო, ეშხით მთვრალო, ფერი არ გადევს?

— იმ ტიალ ჭალებში კოლოებმა დამხრეს, მაციებს.

— ქინაქინს მოგცემ, გინდა? — მზრუნველობით შეეკითხა მდივანი.

— შინა მაქვს, მივალ და დავლევ.

— არაყიც დააყოლე და ჩაწექი, ოფლი იდინე! მე კი აქ უნდა ვიჯდე ყველას მონა-მორჩილი, უნდა ვიცადო, ვიდრე მაცნობებენ, რომ რაიონში ყველაეფრმა მშვიდად და მშვიდობიანად ჩაიარა. მე არც ავად ყოფნის უფლება მაქვს, არც ნადირობისა, არც დასვენებისა... — გულვარდიშვილმა ველარ განაგრძო თავის მოუსვენარ მოღვაწეობაზე წუწუნი, შეამჩნია, რომ კარისკენ წასულ, მელითაურს მუხლები ეკეცებოდა. — დაიცა, ვინმეს გამოგაყოლებ!

ზიზღი, უმწეობა, სასოწარკვეთილება ჰკვეთდა მუხლს მელითაურს, აღარ შეეძლო საძულველი ხმის გაგონება, ღონე მოიკრიბა და სწრაფად გავიდა გარეთ.

შინ მისული რამაზი ისე ცუდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობდა თავს, ეგონა, ყოველი ნერვი სათითაოდ აწყდებოდა. ოთახში თითქოს ვილაცა იყო და ჩასჩიჩინებდა: „ირმისში უნდა წახვიდე. ეგებ მოგატყუა იმ არაკაცმა, უნდა ნახო, დარწმუნდე, რომ სანდრო და ხატულაც არ გაუყენეს იმ უცნობელ გზას. ნუ აყოვნებ, გათენდება თუ გისწრებს, ვინლა არ იცნობს შენ ტრედიანას? იჩქარე, წადი!“

იმდენი უჩიჩინა იმ ვილაცამ, რომ რამაზი ტახტიდან წამოიჭრა, მხრებზე ნაბადი მოიგდო, თავ-პირი ყაბალახით შეიბურდნა, წუთში შეკაზმულ ტრედიანას მოახტა, ხელუკარებას გამეტებით გადაუჭირა მათრახი და ირმისისაკენ გააჭროლა.

„თუ მომატყუა იმ არაკაცმა, რა ვქნა? — გაუელვებდა ხოლმე თავში, და ამ აზრით გაგიჟებული, ტრედიანასაც აგიჟებდა. დამთხვეულებივით მიჰქროდნენ. სად ცხენი იყო, სად მხედარი — ღლეც გაჭირდებოდა გარჩევა. ცხენის ზურგს გაკრული რამაზის სახეს უმოწყალოდ სეროავდა ქროლვით აყრილი ფაფარი, მაგრამ მისი ტუჩები ვერ შორდებოდნენ ტრედიანას კეფაზე მიტკეცილ ყურს: — ჩქარა ვნახოთ, ტრედიანავ! და თუ ბედმა გვიმტყუნა, თუ მოგვატყუა იმ არაკაცმა, თუ დავიგვიანეთ, მაშინ გადავვარდეთ სადმე, სადმე შორს, მთებში მოვიტეხოთ კისერი, ავი ფიქრი არავინ ჰკადროს იმ ხატულას, იმ სანდროს, ჩქარა, ჩქარა!..“

ირმისხევს რომ გადაათვრინდნენ, ცხენი ნარიყალზე დატოვა და თვითონ სოფლისკენ გაიქცა. ქურდივით ღობე-ღობე აკრული მირბოდა მიყრუებული ქუჩებით და სიბნელეში უხმოდ, ხელებით იგერიებდა აქეთ-იქიდან ღრენით და ყეფით გამოვარდნილ ძაღლებს. კაცის ჭაჭანი და შუქის წერტილი არსად იყო. „ჩანს „ოპერაცია“ სწრაფად და უხმაუროდ ჩაუტარებიათ. ღმერთო, თუ ხარ სადმე, რამ დაგაყრუა და რამ დაგთხარა თვალები?!“

ნაძვს რომ მიაღწია, მის დაკლაკნილ ფესვზე დაეცა და ქოხს დააკვირდა. დახურული დარაბიდან გამოპარული შუქის ზოლი წინდის ჩხირივით ეგდო მიწაზე. საკვამური მქრქალად ბოლავდა.

„იქ არიან? სინათლე [illegible]? რატომ არ ჩააქრეს? ელდამ დაავიწყათ? იქნებ სიჩქარეში დარჩათ ანთებული?..“

ფანჯარასთან მისულს, თვალწინ დარაბა აეფარა. ყური მიუგდო, მაგრამ საკუთარი გულისცემის მეტი ვერაფერი გაიგონა. სიფრთხილემ კინაღამ უღალატა და კარი რომ არ შეელეწა, ხელი ჯიბეში ჩამალა. სახლს დაუარა და ავაზის მახვილი თვალით გაარჩია მიშენებული ოთახის კედელში, ჭერთან ახლო დატანებული სარკმელი.

ღობესთან მილაგებულ აგურებს და კუნძებს მიაგნო, კედელთან მიათრია, ერთმანეთზე დაალაგა, ზედ შედგა და ხელებით მოჩრდილული სახე მინას აკრა. წინა ოთახიდან გამოსულ შუქზე თანდათან გაარჩია: კედელთან პატარა საწოლი დგას... დაისვენა და მერე ცერებზე აიწია. კუნთები, სახსრები დაჭიმა, მთელი სხეული აზიდა, და როგორც იქნა, დაინახა: საწოლში ბავშვს სძინავს, საწოლთან დაგებულ ხალიჩაზე ქალი წევს... ხატულა!...

დალეწილი, მოდუნებული იჯდა კუნძზე და გრძელ გზას უჩვევი მისი ფიქრი უსასრულო გზას მოჰყვებოდა. გზა ამ ქოხიდან ძალიან შორს, ჯერ კიდევ ბავშვის გონების თვალსაწიერს შერჩენილ, თუშებით სავსე მამისეული სახლიდან, შენაქოში იწყებოდა და უსაშველოდ გრძელდებოდა იმიტომ, რომ ყოველ გზაჯვარედინიდან ისევ ამ ქოხს, სარკმლიდან დანახულ სურათს ებჯინებოდა, ლამობდა ჩაწვდომოდა ძალას, რომელმაც ეს ქალი — დედა, საკუთარ ჭერქვეშ თავგანწირულ მცველად მიაგდო მძინარე შვილის საწოლთან...

ღამე გაბაცდა. ფიქრის გზა კი ისევ დახლართული, გაუვალი იყო. როდემდე შეიძლებოდა სხვის სახლში ქურდულად მისული კაცის ჯდომა სალოცავადქცეულ სარკმლის ძირას?

აგურებისა და კუნძების ადგილზე მილაგებამაც წაართვა დრო და თით-

რად ინათა, მელითაურმა გაქაფული ტრედიანს ალვირი ძილდამფრთხალ დემეტრეს რომ შეაჩეჩა.

— მე შინ არა ვარ! — უთხრა მოხუცს და თავის ოთახში შეიკეტა, ნაბდიან-ყაბალახიან-ჩექმებიანად მიეგდო ტახტზე...

...ხატულა უცებვე გამოეგო ისე უცებ დაუფლებულ ძილს. გათენდა? სანდრა იღიმის. აჰ, საათს ციებცხელება სჭირს. რას ულიმის სანდრა? გარეთ ჯერ ისევ ღამეა. „მეზობლებს ნუ შეაწუხებთო!"

აწეწილ-ანგრეულ ოთახში მუცელგაფატრული დათუნია მოხვდა თვალში. ყუთით ნახერხი გამოიღო, ბუხართან დაჯდა და თავი არ აუწევია, სანამ „დაჭრილს" უკანასკნელი ნაკერი არ დაადო.

„აქი დასტაქრად არ ვარგებულხართო?!" — გაუღიმა ქმარს და წამოდგა, დარაბა გამოაღო.

გათენებულა! გაგიჟდი, ხატულა, გართობის დროა? აქამდე არ უნდა გაგეგო, საით წაიყვანეს ის კაცი? ღამე არ შეაწუხე მეზობლები, მაგრამ გათავდა ღამე, ეხლა შეიძლება ჰკითხო. ვის ჰკითხო? რა ჰკითხო? საით წაიყვანეს?... ვინ მეტყვის? რა იციან? საით გაიტაცეს? ლევანს შევატყობინებ. წამომყვება. ხელად დავბრუნდები. მოვასწრებ ვიდრე სანდრას სძინავს, ვიდრე ძილში ულიმის მამას...

გარეთ ჰყინავს. ყველაფერს ჭირხლი მოსდებია. ჭირხლმოდებული სიჩუმეა. ალექსის უყვარს ასეთი გათენება. იმ ჯუბაჩის ამარა სად წავიდა? სანდრას ეუბნებოდა: „უყურე, გათენებისას მთები ბროლისა ხდებიანო". ეს პატარა მაიმუნიც აჰყვება ხოლმე: „დედი, უყურე, ბროლის მთებზე მზის მზვერავები გამოჩნდნენო!..." ნაბადი მაინც წაელო. გუშინ ამ მერხზე ისხდნენ და სანდრას ეუბნებოდა: „ხედავ, მზე როგორი სიცილით ამოდის? იცი რა აცინებს? ადამიანები ერთმანეთის სამტროდ ათასნაირ იარაღს იგონებენ, მე კი გაჩენის დღიდან შუბოსნების ლეგიონებს ვგზავნი მიწაზე, ხალხს გული გაუთბონ და გაუხარონო"... საით წაიყვანეს? ოჰ, როგორ [illegible] მთები. ცასაც ცეცხლი ეკიდ[illegible] ცა-ში! ალექსი, ხომ არ გძინავს, ხედავ ამ გათენებას? იომისელლებო, რამ დაგაძინათ, ვერა ხედავთ, იწვის ცა?... იქნებ ისინიც „მეზობლებს არ აწუხებენ?!" მაგრამ გათავდა ღამე, გაიღვიძეთ, მითხარით, სად წაიყვანეს ალექსი! ვისა ვკითხო?...

ვიღაცის მოთქმამ დააფრთხო სიჩუმე. იმ ხმამ ხატულას მეხსიერებაში ჩარჩენილ ბრეგაძის ფუნჩულა ხელს და წვრილად ჩამოწერილ სიას მიაგნო. სია აყვირდა, მათრახივით დაჰკრა ხატულას.

და ხატულა გაიქცა.

მირბოდა, არსაით იხედებოდა. არც შაშვის სტვენა გაუგონია. ოზმეთელაანთ დაცარიელებული სახლის კარის კლიტეს ადებდა ტრაქტორის მიმბმელი ბიჭი მალხაზი. „სადაც უნდა დამიმალოთ, სულერთია მოვძებნი..." — დარდიანი შაშვივით სტვენს და სტვენს ბიჭი.

ხატულა კი მირბის.

მოთქმას უახლოვდება. მის დანახვაზე, მოთქმაც ძლიერდება. მოთქმა ძალზე ძლიერდება დოდაანთ უბანში. ნატალიას გამოყრუებულ, უპატრონოდ დაგდებული სახლ-კარის დანახვაზე ხატულას თითქოს გულისბუდე დაუცარიელდა, და გული რომ აღარ უშლიდა, გონებამ სძლია აზრთა დამქანცავ არეულობას. ყველაფერმა მკვეთრი, რეალური სახე და მნიშვნელობა მიიღო: დოდაანთ ნატალიას მიმართ „ჰუ-მა-ნურო-ბა" არ გამოუჩენიათ. არა ჩანს სანდრას მეგობარი, ის პატარა, საყვარელი ნატო-ნათუკა...

არავის რას ეკითხება, ეშინია თვითონ მას არა ჰკითხონ, შენ რაღად დაგინდესო...

და ისევ მირბის ხატულა. ჯაფარაანთკენ მირბის. რძალ-მაზლი უნდა წამოიყვანოს. სანდრა მარტოა!... ამათ კი არხეინათ სძინავთ. ჭიშკარიც ღია დაუგდიათ. ბაღჩაში გოჭები დანავარდობენ. საქათმეში დამშეული ქათმების

კრიახია. მთელი ირმისი ფეხზეა, ამათ კი სძინავთ, გაგონილა?...

— თავს რად იტყუებ, ხატულა? — თქვა ხმამაღლა და კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. — ლევან, ძმაო, ცუდი მასპინძლები გამოვდექით, ჯერ სიხარულს არც კი შესჩვევიხარ და... ჩემო „შინაბეროვ", სანდრას იავნანავ, ასე ხანმოკლე იყო შენი ბედნიერება?.. თუმცა რა სისულელეს ვამბობ, თქვენ ძალზე ბედნიერები ხართ, თქვენ ერთადა ხართ, ერთად! მე კი ალექსიმ მიბრძანა „დარჩიო", „სანდრას გაუფრთხილდიო", „გული არ გაუბოროტოო", ამსიმძიმე დავალება მე როგორ ვზიდო?... ოჰ, ხატულა, შენ მართლა გაგიჟდი, ბიჭი მარტო დატოვე, გაიღვიძებს ცარიელ, აყროლდაყრილ სახლში, შეეშინდება. დაგავიწყდა რისთვის მოხვედი? ვილას ვკითხო, სად წაიყვანეს ალექსი? ვაჟას ეცოდინება! ჰო, ჰო, ვაჟას უსათუოდ ეცოდინება. ფერდობით ხელათ ჩავირბენ ნატაძარში!...

წამოდგა. კლიტედადებულ კარს გახედა და ახლა-ღა შენიშნა აივანზე მიჩენილი ბოხჩა. აიღო და გახსნა. სათბილობლები! ბოხჩა შეუკრავთ და წაღება დავიწყებიათ... ლევანი ძალზე მცივანაა, ღმერთო, ნუ გამაგიჟებ!...

და ჯაფარაანთ ეზოდან გამოსული, ისევ გაიქცა. ფერდობისაკენ გადასახვევთან მაკა და ვაჟას უმცროსი ძმა ალე დახვდნენ, გეგონება, მას უცდიდნენო. ალემ რაღაცა ჩამოართვა და ხატულამ მის ხელში დაინახა ჯაფარაანთ აივნიდან წამოღებული ბოხჩა. გაეცინა. ასეთი ბოხჩით მაკას ქორწილში საჩუქრები მიიტანა. შექეიფიანებული ალექსი კი თავისთვის ღიღინებდა: „ყაყაჩო აყვავებულა, ვარდი გაშლილა, მიამა".

ხატულამ ისევ გაიცინა და მერე უცებ იკითხა: — ვაჟა შინ არი?

— ეხლახან დაბრუნდა, ჩვენ შენთან მოვდიოდით.

— მაშ ალექსიც დაბრუნდებოდა, წავიდეთ ჩქარა!

— დაიცა, ხატულა, ნუ გარბიხარ, ალექსი შინ არ იქნება! — ტირის მაკა.

— ვაჟა ხო დაბრუნდა, ალექსიც დაბრუნდებოდა!

— ნუ გარბიხარ-მეთ[illegible] გაუცილებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ გაუცილებია? სად?

— გურჯაანიდან გაუცილებიათ ეშელონი... ალექსი იქ შემთხვევით დაუნახია...

— ოჰ, ღმერთო, ჩემო, რა უთავბოლოდ ლაპარაკობ, მაკა! გამიშვი, ვაჟას ვკითხავ.

— დაიცა, ხატულა, დაიცა-მეთქი, სად გარბიხარ, ვაჟა ახლა ვერაფერსაც ვერ გეტყვის! გაუცილებია და მერე ისე დამთვრალა, უგონო, უგრძნობელი მოიყვანეს ბიჭებმა. იმათ გვითხრეს, ეშელონი თბილისში გაისტუმრესო. ხმა ამოიღე, თქვი რამე, რამ გაგაშეშა? ხატო!

— დამაცა, მომაფიქრებინე... ვაჟა იქ როგორ გაჩნდა? გურჯაანში რა უნდოდა? როდის წავიდა?

— ეხლა შენ არ გამაგიჟო, არაფერი გაგიგია? წუხელ ორ საათში დახვეტეს ხალხი მთელი რაიონიდან. ვაჟას მუხიანელები ჩაუყვანია გურჯაანში, ალექსის ამბავი არა სცოდნია, იქ შემთხვევით...

— დაიცა, დაიცა! — გააწყვეტინა ხატულამ, ერთხანს უძრავად იდგა, მერე თითქოს სიზმარს გამოეგოო, იკითხა: — რა სთქვი? ვაჟას მუხიანელები ჩაუყვანიაო?

— ჰო... — უფრო მწარედ ატირდა მაკა.

— რაღა გატირებს? ირმისელები რაფიელ ბრეგაძემ და ჯიბო ჭიმიაშვილმა ჩაიყვანეს, მუხიანელები — ვაჟა კვერენჯაძემ...

— შენ გაგიჟდი? — ორივე მაჯაში ჩააფრინდა მაკა.

— გა-ა-ცი-ლა!...

ხატულამ ხელები გამოსტაცა მაკას, ჰაერში გაასავსავა, უცებ მოსწყდა ადგილს და გაიქცა, თითქოს უცნაური ფრინველი აფრინდაო, გააპო ჰაერი და გაუჩინარდა.

— ვაჟაც მაგიტომ მიეძალებოდა ღვინოს, — თქვა ალემ. მეათეკლასე-

ლმა ბიჭმა ბებრული ტეხვა იგრძნო ძვალ-რბილში.

— შენც გაგიჟდი? "მაგიტომ" რაღაა? გამოფხიზლდება ვაჟა და თითონ მივა ხატულასთან, ყველაფერს აუხსნის!

— თუ ეგრეა, მა რაღა გატირებს?

— რა იფიქრა ვაჟაზე, ეგ როგორ იფიქრა?

— აბა შენა ჰყოფილიყავი! გაფიქრებინებენ და იფიქრებ. ლამის ადამიანები მგლად აქციონ, ისეთს ასწავლიან... რო...

— რა სისულელეს ამბობ? მეორედ აღარ გაბედო მაგის თქმა! ვინ რას ასწავლის? მალე ჩვენი ხმა მისწვდება, და ვინც მასწავლებელია, ის მოიკვლის ამ არამზადებს, ჰო, ჰო, ნახავ! ნახავ, რა დღე დაადგებათ!

— მისწვდება... — ალემ არ იცოდა, საით წაეღო ხელშიშერჩენილი ბოხჩა.

იდგნენ და არ იცოდნენ საით წასულიყვნენ.

ხატულა კი მართლაც უცნაური, დაჭრილი ფრინველივით მიფრთხიალებდა შინისაკენ.

„როგორ დავტოვე ბიჭი მარტო, რა ღმერთი გამიწყრა, მარტო რად დავტოვე? ჩვენ კარს საკეტი არა აქვს. დაკეტილი კარი შველის ადამიანს? „გული არ გაუბოროტოო“. გაიღვიძებს სანდრა და მკითხავს. რა ვუთხრა, რა? ამდენი სიბოროტე მე როგორ გავუკეთილო? „სანდრას გაუფრთხილდიო“, მე კი ღვთის ანაბარა დავაგდე...“

— სანდრა! — დაიყვირა კარიდან და გიჟივით შევარდა შინ.

ბუხართან ნიკო ხელაშვილი იჯდა.

სანდრა და აჩიკო წიგნებს ალაგებდნენ თაროზე..

…იმ დღეს სოფელში უსამძიმრო გლოვა იყო.

იმ დღეს სკოლა დაკეტილი იყო, დირექტორი პლატონ შიშნიაშვილი და მისი ფრანგი ცოლი, ხატვის მასწავლებელი ლინა არ ჩანდნენ.

იმ დღეს ხალხმა შეიტყო, ეშელონები ნავთლუღში იკრიბებიანო.

იმ დღეს ირმისელებმა სატვირთო მანქანაზე დაახვავეს საახალწლოდ დამზადებული ხორაგეული [illegible] ბიჭებმა მანქანა ნავთლუღ[illegible] გააქანეს.

იმ დღეს ნიკო ხელაშვილმა ირმისელები და ნატაძრელები მოინახულა.

იმ ღამეს სანდრას ესიზმრებოდა, რომ ეშელონს მიჰქონდა ლამაზად მორთული, ანთებული ნაძვის ხე და მამა კომბაინით ეძებდა სანდრას. სანდრას უნდოდა ეყვირა: „მე აქა ვარ, მამი!“ მაგრამ ხმას ვერ აწვდიდა მამას, ხელებს უქნევდა, წვალობდა, ტრიალებდა ლოგინში.

ის ღამე ხატულამ, ნიკო ხელაშვილმა, ვაჟა კვერენჩხაძემ სანდრა-პაპისეულ ბუხართან ათენეს...

...და მეორე დღეს ვაჟა დარიანში წავიდა.

## თავი მეექვსე

ვაჟა არ იყო დარწმუნებული, რომ გულვარდიშვილთან საუბარი წარმატებით დასრულდებოდა, წარმატებისთვის მას უჩვეულო და ძალზე საჩოთირო ილეთები უნდა გამოეყენებინა და ეშინოდა — საამისო უნარი და ნებისყოფა არ ეყოფოდა, დავალებულ საქმეს წაახდენდა.

— აა, მობრძანდი, ყმაწვილო, გუშინ გელოდებოდი და დღეს მობრძანდი? — ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ შეხვდა მდივანი.

— მაპატიეთ, პროკოფი ილარიონიჩ, გურჯაანელებმა დამლუპეს, ისე დამათვრეს, დღესაც ვერა ვარ გონზე მოსული! — გამეტებით შემოიკრა თავში ხელი ვაჟამ.

— ვიცი, ჰო, ვიცი, ყმაწვილო! — მოლბა გულვარდიშვილი, ნამეტანი შეწუხებული ჩანდა ვაჟა.

— ვცით? საიდან?

— ჩიტმა ჩამიჭიკჭიკა!

— ოჰ, ენატანია ჩიტუნები!... სიტყვას გაძლევთ, ეს აღარ განმეორდება!

— მჯერა, ჩემო ვაჟა, ვიცი, შენ სასმელებს არ ეტანები.

— არ ვეტანები იმიტომ რომ, თქვენ ეს არ მოგწონთ!

— რაც კომუნისტის სახეს არ უხდება, არ მომეწონება, არ იცი?

საკმაოდ რომ დანაყეს წყალი, გულვარდიშვილმა გული რომ იჯერა საკუთარი ოხუნჯობით, ვაჟამ მორცხვად დახარა თავი:

— მე საქმეზე მოვედი, პროკოფი ილარიონიჩ, თხოვნით...

— დასვენება გინდა მთხოვო?

— პირიქით! მეც თქვენსავით არ მიყვარს გადადებული საქმე, თქვენი სტილი დამჩემდა: მიყვარს ოპერატიულობა, კონკრეტულობა, მაღალიდეურობა. ეს თქვენი სკოლაა, თქვენი სტილი!

— ჩემი კი არა, — მდივანმა მოპირდაპირე კედელზე დაკიდულ სათვალებიანი კაცის პორტრეტზე მიუთითა, — ეს საქართველოს საამაყო შვილის სტილია და სკოლა!

— ამიტომ თქვენიც არის! — წამოიძახა ვაჟამ და შეეშინდა, ხომ არ ვაჭარბებ, ასეთი აშკარა და უხეში მლიქვნელობა შეურაცხყოფად არ მიიღოსო. ცოტა არ იყოს, გაუბედავად განაგრძო: — ვოცნებობ, ოდნავ მაინც დაგემსგავსოთ. მივაღწევ ამას ოდესმე?

გულვარდიშვილი სკამზე შესწორდა, გამელოტებულ თავზე ხელი გადაისვა და თითი შუბლთან მიივიწყა. შესაბამისი გრძნობით თქვა:

— მე სწორედ მაგას ვაფასებ შენში, ვაჟა, ვაფასებ, რომ შენ არ კმაყოფილდები შენი წარმატებებით, ზოგიერთებივით არ ყოყოჩობ მიღწევებით. ამიტომ იზრდები დღითი-დღე, განუხრელად მიდიხარ აღმავლობისაკენ. ჩვენც ამიტომ გიწყობთ ხელს წინსვლაში.

ვაჟა თავჩაღუნული იჯდა. შეიძლება ითქვას, ხელით მოათრია საჭირო ჟამი, მაგრამ ისე გაუჭირდა თვალთმაქცობა, რომ... ვაჟამ ხელოშვილის მკაცრი და ნატულის გამამხნევებელი გამოხედვა მოიშველია, თავი ასწია და ყოყმანით თქვა: —

— ეხლა, როცა ის რჩეულიშვილი მოვიშორეთ, მე მგონია, მიზანშეწონილი იქნებოდა ნატაძრის და ირმისის გაერთიანება...

— ყოჩაღ შენ! მე ეგ აზრი ბევრჯერ მომსვლია, მაგრამ შენ გიფრთხილდებოდი, ის გონჯაურა არ ეროვნული
ბიბლიოთეკა
მეთქი!

— ეხლა ეგ მიზეზი მოიხსნა... — ენაძლივს მოატრიალა, თვალები დახარა ვაჟამ.

— გუშინ სწორედ მაგისთვის გიბარებდი! რაღას გავაჭიანუროთ? დაე, ირმისელებმა საახალწლოდ საჩუქარი მიიღონ! ხვალვე ჩავატაროთ გაერთიანებული კრება, ბევრი ლაილაი არ დაგვჭირდება.

— თქვენ ნუ ინებებთ მხარდაჭერას, თქვენი აზრი — საერთო აზრი იქნება! თან მეფიქრება, ვაითუ, ასეთ დიდ საქმეს ვერ გავუძლვე, არ გაგიმართლოთ იმედი...

— ნუ გეშინია, ჩემო ვაჟა, საყრდენად მე მიგულე, განა არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, ბოლშევიკებმა რომ ვერ დასძლიონ?!

ახლა კი დარწმუნდა ვაჟა, რომ ამ კაცთან აშკარა, ცინიზმამდე მისული მლიქვნელობაა საჭირო. ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და ალებული გეზი განაგრძო.

— რაკი თქვენი სახით მე ბედნიერივარსკვლავი მინათებს, ერთ აზრსაც მოგახსენებთ, ეგებ მოგეწონოთ.

— დარწმუნებული ვარ, მომეწონება, შენ უჭკუოს არაფერს იტყვი.

— თქვენ იანვრიდან აპირებთ ზვრების ამოძირკვას...

— ჰო, უეჭველად დავიწყებთ, აუცილებლად!

— მე კი ვფიქრობ, ჯერჯერობით ვენახებს ხელს ნუ ვახლებთ.

— რატომ? — აჭიმა წარბები გულვარდიშვილმა.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მე ზოგიერთებივით არა ვარ ვაზზე გაგიჟებული. ჩემი ნება რომ იყოს, ვენახების ადგილს მთლად საძოვრებად ვაქცევდი, მაგრამ სჯობია ვადროვოთ ხალხს. დაე, ვაზის შენარჩუნების იმედით, კეჟერას მიაწვნენ.

— მაგ იმედით, ტყეებსაც ხელათ გაჩეხავენ! — გაიცინა გულვარდიშვილმა.

ვაჟამ ხმაურით დასწია სკამი. გა-

გიუდა ეს რჯულძაღლი, გასაჩეხი ტყე სადღაა კახეთში? ისევ დასჭირდა ნიკოს და ხატულას მოშველიება.

— ძვირფასო ილარიონიჩ, ჯერ კექერა და ეგ მერე იყოს!

— მაგაში კი ვერ დაგეთანხმები, ვითომ რათა — მერე?

— ტყე რას მოგვცემს, ეგ წვეთია ზღვაში, კექერამ კი პირველივე წელს საქვეყნოდ გაგითქვათ სახელი! და თუ ჩვენ მთელ ჩვენს ყურადღებას ისევ კექერას მივაპყრობთ, დარწმუნებული ვარ, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მოგენიჭებათ!

— განა მე მაგაზე ვზრუნავ?

— საქმეც ეგ არის, თქვენ არა ზრუნავთ, მე კი ეს აზრი აღარ მასვენებს! მე უკვე ვხედავ, რომ კექერას საშუალებით თქვენ დაამშვენებთ მთელი ჩვენი ქვეყნის გმირთა სახელოვან გალერეას, თქვენ საქვეყნოდ გაუთქვამთ სახელს ჩვენს რაიონს!

გულვარდიშვილს სიამისაგან გული მუცელში ჩაეპარა.

— გმადლობთ, ჩემო ვაჟა! — თქვა გრძნობამორეულმა მდივანმა, — მაგრამ ხანდახან შენც უნდა გამიგონებდე. ტყე რა დასანანია? დღეს გაიჩეხება, ხვალ ისევ გაიზრდება!

— მართალსა ბრძანებთ, ხვალ ისევ გაიზრდება! მე ტყე კი არა თქვენი დრო, ენერგია, თქვენი ნიჭი და უნარი მენანება, მე თქვენ ნერვებს ვუფრთხილდები?

— რას იზამ, ჩემო ვაჟა, ჩვენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავსატეხადა ვართ გაჩენილი! საკუთარი პურის უზრუნველსაყოფად თავიც არ უნდა დავზოგოთ...

— დიახ, როცა საქმე მოითხოვს, უნდა შევეწიროთ, მაგრამ...

— დაიცა-დაიცა, ვაჟბატონო, შენ მუხნარებს ხომ არ იცავ?

— ღმერთო კი მომკალი, მუხნარებს რა ჩემი დაცვა სჭირდება, მათი დაცვა — ჩვენი მთავრობის ბრძანებაა, რესპუბლიკის მთავარი მეტყევის ნებადაურთველად თურმე ერთი ხეც ვერ მოიჭრება! — მთელი თავისი შთაგონებით იცრუა ვაჟამ, გაუხარდა გულვარდიშვილს გუნება რომ გაუფუჭდა, და ექსპრესიით განაგრძო: — „[illegible] არ ღირს“! ტყე, ვაზი — [illegible], ჩვენ დიდი მასშტაბებით, მაღალი კატეგორიებით უნდა ვიაზროვნოთ! ამ ასპექტში მხოლოდ კექერა უზრუნველჰყოფს რესპუბლიკაში თქვენს პირველობას, კექერა შეიტანს ისტორიაში თქვენი მოღვაწეობის წლებს. თქვენი ძეგლი! — ეს არის დარიანის მშრომელების უპირველესი ამოცანა!

ამ აღფრთოვანებული შეძახილით დაემშვიდობა ვაჟა მდივანს და კაბინეტიდან გამოსული, პირდაპირ აბანოსაკენ გაეშურა.

„აი თურმე რა შესძლებია ადამიანს! — თავის თავზე და მთელ ქვეყანაზე ალრენილი, უმოწყალოდ იჩეხავდა კანს შხაპისქვეშ შემდგარი, — „თქვენი სახით ბედნიერი ვარსკვლავი მინათებს“, „მასშტაბები“, „მაღალი კატეგორიები“, ენა როგორ არ მოგტყდა ვაჟა კვერენჯაძე? ხომ ჩაგახედა ცხოვრებამ ბნელი სულის ჯურღმულებში? ხომ გამოგცადა ტყუილში, ფლიდობაში, თვალთმაქცობაში, არამზადობაში? მოგილოცავ, გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარე, ნიჭიერი ტაკიმასხარა ჰყოფილხარ! ახლა მაინც მიხვდი, შტერო, იდიოტო, რამ მოამრავლა დარიანში არამზადები, რად ემტერება თვითგანდიდების მანიით შეპყრობილი კრეტინი იმათ, ვინც არ თვალთმაქცობს და საკუთარი მხრებით ზიდავს რაიონის სიძნელეებს?.. არა, შენ მაინცდამაინც დიდად ნუ მოიწონებ თავს შენი აქტიორული ნიჭით. შენ უხეშად ასრულებდი დაკისრებულ როლს და ნაღდად ჩაფლავდებოდი, პარტნიორი ჭკუასუსტი, თვალდავსილი, გულღვარძლიანი კაცუნა რომ არ გყოლოდა. იმას უნდა უმადლოდე, ტვინი რომ არ ეყო, პირველსავე წუთს პანღურით არ გამოგაგდო კაბინეტიდან. ხალხო-ო, ადამიანებო, შემიბრალეთ, მითანაგრძნეთ. გაიგეთ რა ასატანი ავიტანე!...“

მებანოვეს უკვირდა, ისე რამ გაატურტლიანა ვაჟა კვერენჯაძე, რომ ვერ იქნა, ვერ დაიბანა, შხაპი აღარ გაანთავისუფლაო...

* * *

სითბოზე გაძუნწებული მზე უშურველად აელვარებს ქვეყანას. ბროლის ჰაერს სხივები ალიანდაგებენ. ოქრომქედით ნაქსოვსა ჰგავს დათოვლილი მთების ქარგა. ბრჭყვიალებს ყინვის ქერცლით მოფენილი მიწა. ალმასივით მოკამკამე ქობას მიარხევს ჩადინჯებული ირმისხევი. ირმისის თავზე ცა კი არა, ოქსინო გადაჭიმულა.

თვალისმომჭრელი სილამაზეა, ირმისელებს კი სისხლს უყინავს სამყაროს ცივი იალ-ციალი.

— ბიჭო, არ იცი, რამ დახუთა ჰაერი, ჰა? — ეკითხება სახლის დირეს მიმჯდარი, ცხვრის ტყაპუჭში გახვეული, თავზე ხილაბანდწაკრული ილო წელში მოღუნულ ნასყიდას.

ნასყიდა წლების სიმრავლემ კი არა, სინდისის ქენჯნამ მოღუნა წელში: ლიზას და ლევანის ირმისიდან აყრა რომ გაიგო... სიხარულმა აიტანა! ჰო, ჰო, გაუხარდა ბერიკაცს, გეგონება, ფრჩხილში ჩაიხედაო, დროზე გაეცალა თავის კარ-მიდამოს, თორემ სიძე-შვილიშვილთან ერთად უკრავდნენ თავს, და ვინ იცის, სადაური ტურები დახრავდნენ მის ბებერ ძვლებს. მაგრამ სიხარულსაც სცოდნია სიცოცხლის გამწარება. ამისათვის შეაბერდა ცას ნასყიდა, რომ უკუღმართ სიხარულს ნაწვიმარი ირმისხევივით აემღვრია მისი სინდისი? ეგებ გამოუტყდეს ილოს? ეგებ დაამშვიდოს მეგობარმა, უთხრას: მაგას უნდა მოადნობინო თავი, მეც შენსავით გამიხარდებოდაო?! არა, სხვამ ვინც უნდა გაიგოს, ილოს კი ვერ გაუმხელს, ილოს მოუკვდეს ნასყიდას თავი, ლიბრმა დაუბნელა ორსავ თვალი, თორემ თითონაც დაინახავდა, როგორ დატანჯა ნასყიდა იმ ეშმაკისეულმა სიხარულმა. არა დააცალოთ რა მამიჩემის სალოცავმა, არ დააცალეს გონჯაურას, დაპირებული იყო, იანვარში ილოს ქალაქს წაიყვანენ, ოპერაციას გაუკეთებენ, სინათლეს დაუბრუნებენო...

— ბიჭო, შენ გეკითხები, არ გეყურება? ჰაერი რამ დახუთა-მეთქი, ჰა? — ისევ ეკითხება ილო.

— ეშმაკმა და ქაჯმა, მე რა შავი ქვა ვიცი! — იხვრის გულს ატანს დაძმარებული ნასყიდა. — სიბერემ [illegible]თა ალბათ.

— ისე შენ რა გითხრა!

სიჩუმეში მხოლოდ კრიალოსანის დამარცვლა ისმის. ილომ გადათვალ-გადმოთვალა ქარვა და თქვა:

— ერთი პირუტყვი ყოფილა, ფუთობით რკინას ინელებსო...

— სხვა რაღა იყო! დაიწყე? სიტყვას რას მიგორებ, რა გინდა ჩემგან? — ჯავრობს ნასყიდა, სულ დაცინვა და ქარაგმული ეჩვენება.

— მართალი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, — განაგრძობს ილო. — რაც ადამიანი დარდს ინელებს, რკინა-ფოლადის გადახარშვა იმასთან მიქარვაა. აგრე დახუთულ ჰაერსაც, ადამიანის მეტი, ვერა სულდგმული ვერ აიტანს.

— ენის ქავილი აგიტყდა? აი ჯანდაბაში გადაგქაჯავენ და ჰაერს მაშინ გაიგებ!

—რა ურიგოა?! კაი ხალხს დროდადრო იქით მიერეკებიანო, მეც იმათში ჩავითვლებოდი.

— კაი ხალხში შენ მაინც ვერ ჩაითვლებოდი, და სამგზავროდ კი გაემზადე. ხმა გავარდნილა, ილო ლაფიაშვილი გონჯაურას კაციაო.

— შე ენამადლიანო, აქამდე რატო არ გამახარე, სიმართლის მთქმელი კიდევა ყოფილა ქვეყანაზეო?!

— დაგწყევლოს ღმერთმა, დღეს რა წერას აუტანიხარ!

— მაგის მთქმელი დამანახვა, შუბლზე ვაკოცებდი, — ინატრა ილომ.

— ერთს მაგრა რო შაგანჯღრევენ, „თქვი, გონჯაურა რა სალალატო საქმეს გავალებდაო“, შუბლზე კი არა, მე ვიცი სადაც აკოცებდი!

— თუნდ შემანჯღრიონ, თუნდ ამკუწონ, მე რაღა დრო დამრჩენია, ყელამდე მომდგარ სულს, ამოსვლისას ხო არ გავიმრუდებ, — მშვიდად დამარცვლა ილომ ქარვა.

მის სიტყვებში ნასყიდას აშკარა ორლესული მოეჩვენა და ამ დღეში ჩავარდნისათვის არ იცოდა, ჯავრი ვისზე ეყარა.

— გველს შორიდანვე ხედავ — ჭრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, კაცი სულში ჩაგიძვრება და მაინც ვერ გაიგებ, ჭრელია თუ ბნელი...

— ვიზე იძახი ემაგას? — შეუწითლდა მუშტისოდენად მილეული სახე ილოს. — რას გაიტრუნე, ვიზე იძახიმეთქი?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია თავჩაქინდრულმა ნასყიდამ. — ის კაცი სვინდისნამუსის სასწორი გვეგონა, იმის სიტყვა ჩვენთვის კანონიც იყო და განაჩენიც. შიგნით რა იყო, საიდან უნდა გვცოდნოდა?

თქვა და გაუკვირდა — ილოს ბასუხმა დაუგვიანა. თავი ასწია, ილო წამომდგარიყო, ლიბრგადაკრული თვალებით მას მისჩერებოდა.

— ერთიც ვნახოთ, გკითხოს ვინმემ, მართლა მაგრე ეტყვი?

— ნეტა რა გაწიწმატებს? მა ხო არ ვეტყვი, ეს ცამდე მართალია. მტყუანები თქვენა ხართ, თქვენ ძაღლი-მამაძაღლებო-მეთქი?!

ილო თვალხილულივით მიუხტა ნასყიდას:

— რატო ვერ ეტყვი? ნამუსი შიშს მიჰყიდე? ვაი შენ ჩემო თავო, ოთხმოცი წელიწადია ნასყიდა ჯაფარაშვილს შეჰყურებ და ვერ გიცვნია თურმე ყველაზე ჭრელი ეგა ყოფილა!... არა გაცოდინა რა გამჩენმა, ვითომ არ იცი, ის კაცი რაზე გამოგვაცალეს ხელიდანა!

— ე ბერიკაცო, ცერცვივით რასა ხტუნავ? — სირცხვილისაგან ალმოდებული წამოხტა ნასყიდაც. — ყრუ ხო არა ხარ, ვერ გაიგე, რაღაცა ქალალდი მოსულა, იმაში წერებულა, რაც დაუშავებიათ...

— ასი ქალალდიც რო მოსულიყო, შენ არ უნდა გაბრიყვებულიყავი! როფიელა და ჯიბო გულღვარძლიანები მარტო დარიაში რო იყვნენ, ქვეყანას რა გაუჭირდებოდა?!

შეშინებულმა ნასყიდამ მიიხედ-მოიხედა.

— სუუ, ადამიანო, ამ კედლებსაც ყური აქვთ, გაგიჟდი? შენი თქმით იგრე გამოდის, ჩვენ ჭკვიანები ვართო და ზევ-ზევითა თავკაცები შეცდომაში ხართო! არაფრის გაგება

— მე ყველაფრის გაგება მაქვს, შენ შენი იკითხე! ჭრელისა და ბნელის დასანახი თვალები თვალხილულებსა გვქონდა, დავსილი!

— რატო ენას არ ჩაიგდებ, ჩემი რა ჯავრი გჭირს, ჰა? ის ერთი გოგო ხო გადამიგდეს დასაკარგავში, ეს ერთი-ღა დამრჩენია და გინდა ესეც მართალ სიტყვას ვანაცვალო? მე არცრა სიტყვა მსმენია შენი, არცა რის გაგონება მინდა, აგრემც მალე მოვმკვდარიყავ! ალარ დამაცალი ეს ჩემი ნათლიარი მიწა დამეყაროს გულზე?

ილო დათუთქა ნასყიდას ვაებამ, მაგრამ საკამათოში დათმობას არ იყვნენ ჩვეულნი.

— ყოჩაღ ბერიკაცო, ალიხანაანთ ქვრივს აჯობებ მოთქმაში! ოზბეთელაანთ ივანიკა ფიცრებზე დაწვენილი წაიყვანესო და ერთიც არ წაუჩივლიათ, შენ რამ აგაწუწუნა? ლიზა კი არა, შენ უნდა წაეყვანე, მე სულძაღლო, შენა!

— მოიფხანე გული? ეხლა მე მიგდე ყური: ეგეთი გულადი ბიჭი მაშინ სადა ბრძანდებოდი, ორივ ძმა რო გამოგაცალეს, ჰა? ხმაჩაწყვეტილი იჯექი, სარდაფიდან არ ამოდიოდი. თვალში არ მოვხვდე, მეც არ მიმაყოლონო. მაშინ ის დარჩეული ხალხი პირწმინდად გააქრეს, ეხლა საჩივლელი რა გვაქ, ხმა გამოვიდა, სხვაგან დაასახლებენო, მალე ამბავი მოგივათო. მე ავჯანყდე? სამართალი მე დავიდგინო? რაც ეხლა შენ მე მაკადრე, ჩემ სამარესთან რო დადგები, მაშინ მოგაგონდეს!... — ნასყიდამ წასვლა დააპირა. მაგრამ ბრმა მეგობრის მიმჭკნარ ლოყაზე დაგორებულმა ცრემლმა ახლა მას მოუკლა გული. როგორც გუშინ, გუშინწინ, იმისწინ — ახლაც ვერ წავიდოდა დამდურებული. მხრებზე მოხვია ილოს ხელი, დასვა და დაუყვავა:

— ერთმანეთს მაინც ნუ გავამწარებთ, ბიჭო. გვეუბნებიან, ბრმები ხართო, და ჩვენც თვალებს ვითხრით, მა რა ვქნათ? ხო ხედავ გმირობას გვალვა დაუდგა...

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ოდიშარია

# შუალამის ხე

შარშან სოხუმის ბოტანიკურ
ბაღს შეემატა იდუმალი
ქვეყნის მცენარე — შუალამის ხე.

ის ბინდისფერმა კაცებმა დარგეს
შუალამისას.

შუალამის ხესთან ფირფიტა
ციმციმებს თეთრი,
ლურჯი წარწერით — „შუალამის ხე“,
ოღონდ ესაა, თვით ხეს
ვერავინ ხედავს, რადგანაც
ვერ ეტევა ის მზის ჩარჩოში,
ხოლო ღამით კი, ბოტანიკური
დაკეტილია.

ლაპარაკობენ, რომ უცხო მიწის
ნაკადულების დაკლაკნილი
ხმები ირევა მის გარშემო
და მის უხილავ სიმწვანეში
ყელყელაობს
ამომშრალ ზღვათა
ცხენთევზების უტეხი რემა.
გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ
წრიალებს მასთან უჩინარი ზარის
წრეები —
თვალები ღამის,
ნაღვლიანი და ცრემლმორეული.

ბოტანიკური ბაღის უწყინარ
დღესასწაულს
შეენივთა უცნობი სევდა.

შუალამის ხის ხილვას ვცდილობ
მთელი წელია,
მაგრამ ამაოდ...
არც ხმები მესმის
მის რტოებში ჩაბუდებული
მე, რომელსაც ხშირად მინახავს
ხის აყვავების მოლოდინში
თვით აყვავებულ მებაღეს მხრებზე
ჩიტები როგორ ასხდებოდნენ,
ის კი არადა,
წივილიცა და ფრთების დგაფუნიც
გამიგონია თოლიას კვერცხში.

მან მხოლოდ ერთხელ გაიელვა
ჩემს სიზმრებში შუალამისას,
გაიმეორა საყვარელი სახის ნაკვთები,
ვერცხლის ძაფებით დაბურდა ზეცა...
ძლივს მოვასწარი მეხილა მისი
აქაფებული ვარსკვლავები
თუ ვით ლაღობდნენ
და ტრიალებდნენ მის გარშემო,
როგორც წისქვილის დოლაბში ოქროს
მარცვლები ყანის...

მას შემდეგ სიტყვას
დავძრავ თუ არა ამის შესახებ,
ქრება მაშინვე სიზმრისეული
შთაბეჭდილება.

ვფიქრობ, ოდესღაც, უხსოვარ ჟამში,
ეს ჯადოსნური ხე ხარობდა
ყოველ მიწაზე,
მაგრამ ენათა გამრავლებულმა,
მოგუგუნე ხანძრებმა აღარ

დაინდეს და გადააგვარეს;
ამიტომაც ემალება კაცს
ხიზანი ღამის.
ვფიქრობ, მან ვისაც მისი ხილვა სურს,
ჯერ მდუმარება უნდა ისწავლოს.

ერთ მშვენიერ დღეს, ვიცი, იგი
წარმომიდგება მთელი თავის
დიდებულებით,
დამიურვებს უცხო სიჩუმით,
აყვავილდება ჩემს სუნთქვისაგან
ერთად და მყისვე
მექცევა ცრემლად.

ეს, ალბათ, იმ წელს მოხდება, როცა
უკანასკნელად ვიმოგზაურებ
მე შენს თვალებში.

## ციკლიდან „თამაშობანი“

## მიმოქცევა

არის კიდევ ერთი თამაში —
„მიმოქცევა“ ჰქვია სახელად,
ზღვა თამაშობს ხშირად ამ თამაშს,
ქარიც თამაშობს,
მიწაც და ცეცხლიც — ყამგამოშვებით,
მეც უნდა ვცადო ერთხელ, ვილაღო,
გავერთო უნდა პატარა ბიჭის ალფრთოვანებით.

დავიწყებ და არასოდეს არ დავამთავრებ —
ამოვკვნესდები დედაჩემის ხმით სოხუმიდან,
და წავალ მერე, დავტოვებ ქალაქს,
ამოვყლორტდები ყველა ხიდან და
ამოვანათებ წყაროდ ყველა კონტინენტიდან,
ყველა ზღვიდან ამოვფრინდები
უცხო ფრინველად,
შევუერთდები ყველა ქარიშხალს,
ამოვლაშქრდები ქვიშრობებიდან
სილის მარცვლებად გამრავლებული,
ავბობოქრდები მწვანე წვიმებად,
დავესხმები თავს გვალვიან მიწას,
მსოფლიოო გემებს მოვაყენებ ჩემს ნავსაყუდარს,
რომ კიდევ ერთხელ ავაგუგუნო
შენთვის ზღვისფერი საგალობლები,
გამოვუცხადებ ომს გრამატიკას
და ერთდროულად ვისაუბრებ ყველა ენაზე,
ავუჯანყდები ისტორიას,
წარსულის ფსკერზე ვიხეტიალებ —
ძველთუძველეს საქართველოში,
რომ კიდევ ერთხელ გავიგო — ვინ ვარ,
მოვივლი ყველა სახელმწიფოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამივე ჟამს მოვინახულებ,
ყველა ქალაქში ერთხელ მაინც დავიბადები,
შლეგიც ვიქნები და გენიოსიც,
აწლეულთა ლაბირინთებში
გზააბნეულ ყველა ქალბატონს,
რომელიც შენ ოდნავ მაინც გგავს,
შევიყვარებ და თვალებზე ვეამბორები,
შემდეგ კი მათი მზერის სხივით
გავანათებ მძიმე ღამეებს,
გულში ჩავიკრავ ყველა ბავშვს, ყოველ
ჩვილთან ერთად განვმეორდები,
ყოველ ღმერთში ავკანკალდები,
ყველა ველ-მინდვრებს გავაგრძელებ
ზენაარი მუსიკის შუქით,
ვიცოცხლებ ვაზშიც და ლოტოსშიც,
გამოვყონავ გაზეთებიდან
ათას ცნობასთან,
ტელე-რადიოპროგრამებთან ერთად და მერე
აყვავებული ლიმონების ბაღის სურნელით
გამოვაფხიზლებ ჩაფიქრებულ ზღვას,
ორიოდ წამში გადავუქროლებ
ყველა პლანეტას და შემდეგ ისევ
მაინც სოხუმს დავუბრუნდები,
ერთ ფეხს პლაჟზე დავადგამ ფრთხილად,
მეორეს კი — სასაფლაოზე,
ყავის ფინჯნებში ავირეკლები
უნათლეს შარად,
გულთმისნების გასახარებლად,
და ზღვის ვარსკვლავის კარნახით დავწერ
ლექსს — „მიმოქცევა“,
და შემდეგ ისევ —
ამოვკვნესდები დედაჩემის ხმით
სოხუმიდან და წავალ მერე, დავტოვებ ქალაქს,
ამოვყლორტდები ყველა ხიდან და
ამოვანათებ წყაროდ ყველა კონტინენტიდან...

მაგრამ ადრეა,
ჯერ ადრეა,
ეს ყოველივე სხვა დროს მოხდება,
ან იქნებ მალე, ძალიან მალე,
კარგად არც ვუწყი...
და ვზივარ ახლა ხმაგაკმენდილი
დადუმებულ ყავახანაში,
რომელიც ჩემთან ერთად მოელის
ამ თამაშის დაწყების ნიშანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

# იყო ერთი დედაბერი

მოთხრობა

I

მთელი ჩემი დღე და მოსწრება ზაფხულობით მუდამ სოფელ-სოფელ დავეხეტებოდი ფოლკლორული მასალების ჩასაწერად. ვის არ შევხვედრივარ, როგორი მთქმელი და მთხრობელი არ მინახავს, რა არ მომისმენია! პოდა, რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ ვინმე ან რამე გამაკვირვებდა. წელს რომ ქორთუბანში ერთი მთქმელი გავიცანი, ნამდვილად გამოცა. ოთხმოც წელიწადს გადაბიჯებული დედაბერი იყო. ისეთი აგებულებისა ჩანდა, ახალგაზრდობაში ტანადი და თვალადი უნდა ყოფილიყო. ხანგრძლივ ჭირთა თმენასა და სიბერეს დაედნო, დაებეჩავებინა. ყელ-კისერი მოხრილ მხრებში ჩაკარგოდა, უკბილო ყბები ერთმანეთს ისე დაახლოებოდა, ლაპარაკისას ნიკაპი კინალამ ცხვირს ებჯინებოდა. დამჭკნარ, დალარულ სახეზე პერანგის ღილებივით პატარა თვალები მოუჩანდა, ჩაღრმავებული ფოსოებიდან უსიცოცხლოდ რომ იყურებოდნენ.

ქორთუბანი ზემო იმერეთის მთიანი სოფელია, ბერისას ესაზღვრება. სანამ ქორთუბანში ავიდოდი, იმ დედაბრის ავან-ჩავანი ბერისლებისგან უკვე ვიცოდი.

## ზოგი რამ ბერისლებმა რაც მიამბეს

ა)

...ძველი ამბები თუ გაინტერესებს, ქორთუბანში ადი შვილო, თებრო იკითხე, ტეფნაძე. დარდმოჭარბებული მოხუცია, გულს ვაგლახად არ გაგიხსნის, მარა თუ ძროხებზე ჩამოუგდებ სიტყვას, ლაპარაკის სადერდელი აეშლება და ყველაფერს გიამბობს.

ბ)

...თებრო ტეფნაძის მდგომარეობა ყველას გვაკვირვებს. დღეს რა ჭამა, შეიძლება ვერ გაიხსენოს, ხოლო რაც კი ოდესმე ძროხები ჰყოლია, ყველას თანმიმდევრობით ჩამოგითვლის. რა ფერის იყო, როგორი იყო, რამდენს იწველიდა, ხბო რამდენი გაზარდა... თვითეულს რა ბედი ეწია ბოლოს... ძროხაზე რომ ლაპარაკობს, იმ დროს ისიც აგონდება, რაც თავს გადახდენია. ისე კი კრინტს ვერ დააძვრევინებ. ელაპარაკე აგერ ამ ხეს, ისეა ისიც...

გ)

...აქ საყოლებლით გვიდგია სული, ნახირი ყველას გვიყვარს, მარა თებრო ნამეტანი იყო. ძროხას ახლობელი ადამიანივით უვლიდა. ბოლო წლებში საძინებელი ოთახი მიატოვა და ბოსელში, ძროხასთან ათევდა ღამეს. მისი ნებიერი ფშვინვა გულზე მალამოსავით მხვდება და სიამიანად ვიძინებო. რამდენჯერ წავდგომივარ თავს, ძროხას რომ ემუსაიფებოდა. თებრო, ვის ელაპარაკები-მეთქი, ვკითხე ერთხელ. განა დაირცხვინა? ვის ველაპარაკები და ჩემს „დეედოსო". ესღა შემომრჩა ერთგული და ჭირთა გამზიარებელიო. უგუნებობას რომ შემატყობს, მეფერება, მეალერსება: ხელებიდან, რომ დამიწყებს, სულ თავამდე გამსლაქავს ხოლმეო, მიპასუხა, ძროხას კისერზე ხელი მოხვია და თვალებში აკოცა.

დ)

...თებროს ამ ბოლო ხანებში ერთი უცნაურობა სჭირს: ზოგჯერ გონება ეფანტება, თითქოს ამ ქვეყნისა აღარა ესმის რა.

ე)

...თებროს უცნაურობა სულაც არაა გასაკვირი. მე ის მაოცებს, დღემდე სული რომ მოიტანა და მზიგულზე დაბორჯალობს. ბედდამწვარი ქალია საცოდავი, არასდროს გაუხარია... ჯერ იყო და ქმარი დაელუპა ომის წინა წლებში. დაღუპვა არის, აპა, რა, რაღა შინმოუსვლელი და რაღა დაღუპული!.. ორი გოგო და ერთი ბიჭი შინ მოუკვდა, ხოლო ომში ორი ვაჟკაცი დეეკარგა. ერთადერთი ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა შერჩა — დინარა. ხაშურში გათხოვდა. ხშირად მოდის ხოლმე და დედას პატრონობს.

2

ქორთუბანში ბერისელი მასწავლებელი გამყვა. იღბლად, დინარა შინ დამხვდა, ხაშურიდან იმ დილით მოსულიყო. სახლი მიელაგ-მოელაგებინა, ახლა ეზოს ჰგვიდა. თებრო კი კაკლის ჩრდილში იჯდა და ხელჯოხზე იდაყვდაყრდნობილი ჰიშკრისკენ იმზირებოდა. ვიფიქრე ჩვენ გვიყურებს-მეთქი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. თავზე ისე დავადექით, არც გაუგია. დინარამ მასწავლებელი იცნო, ცოცხი მიაგდო და გახარებულმა შესძახა:

— კერიას ნახშირი, შაქრო! როგორ მოხდა, რომ გაგვიხსენე და გვეწვიე?!

— სტუმარი მოგიყვანეთ. — უთხრა შაქრომ. მე დინარას ხელი ჩამოვართვი და თებროსკენაც დავიხარე, მაგრამ იმ ხამბარში არ იყო, არცკი შენძრეულა. დავიბენი, გაწვდილი ხელი ჯიბისკენ წავიღე. დინარამ შემამჩნია და მომიბოდიშა:

— სტუმრის მოსვლა დედაჩემისთვის ნამდვილი აღდგომა იყო. გახარებული დაფაცურდებოდა თვალს ვერ შეასწრებდი, ხაჭაპურებს ისე სწრაფად ჩააპიწკინებდა, ვარიას შეწვავდა, სუფრას ახალი დაკრეფილი მწვანილით შეახალისებდა... ახლა კი ზის თავისთვის, ვითომც არაფერი!

— რომ ველარც მიცნო?! — გაიკვირვა შაქრომ.

— მაგის მულამი მე ვიცი, ხელად მოვიყვან ცნობაზე. — უპასუხა დინარამ, სკამები რომ მოგვიტანა და დავსხედით.

— დედა, შაქროს ხო იცნობ შენ? — ჰკითხა და თანაც მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა.

— აპა, შაქრო?

— გახსოვს, ექვანა რომ დაგეკარგა?

— რავა არ მახსოვს. მე ქალო! ვერ გავუგე, თურმე აეტეხილიყო და ბერისლების ნახირს გაჰყოლოდა.

— მერედა, ის ატეხილი ძროხა ვინ გაპოვნინა?

— შაქრომ მაპოვნინა, ლეშუას ბიჭმა. გაზარდოს და გაახაროს ღმერთმა, რავარც მაშინ მე გამახარა.

დინარამ გაუცინა:

— დედა, ესაა შაქრო. შეხედე, გაზრდილია უკვე!

ის არც უსმენდა, თავისას განაგრძობდა:

— შაქრო კაი ბიჭია. მომეხმარა, მიეხმაროს ღმერთი, ექვანა ნახირიდან გამომასხლეტინა და, გზაში არ გაექცესო, ეზომდე მომყვაფსუს, რა ძროხა იყო! ოყა ყველს დილით ვიყვანდი, ოყას — საღამოს. რავა შევველეოდი, მარა მიხაკომ არ დამიყენა, არ დააყენოს ღმერთმა და მიწამ პირი უყოს ადრე და მალე!..

— დედა, მიხაკო ვინაა, გაა[illegible]

— ვინაა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— ექვანა რატომ არ დაგიყენა?

— ორი ძროხის ყოლა არ შეიძლებაო.

— მეორე ძროხაც გყავდა?

— მყავდა, აპა, არა!... კოხტა! მართლაც კოხტა იყო. იტყოდი, ნეტაი თვალი მომცა და ასე მაყურებინაო. ექვანა მაინც დამენანა. ჩონთოელმა კაცმა იყიდა. გული ისევ ჩვენკენ მოუწევდა, პატრონს გამოეპარებოდა ხოლმე. ბარე სამჯერ თუ ოთხჯერ გვესტუმრა. ეს ერთი ხანია, აღარ ჩანს. ალბათ, გადავავიწყდით.

— მიხაკო უკვე ათი წელიწადია, რაც გარდაიცვალა. ხოლო ექვანასი ძვალიც აღარსად ეგდება, მის შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა. დედას კი ერთიც ცოცხალი ჰგონია და მეორეც. — წამჩურჩულა დინარამ ნაღვლიანად.

მე ჩემი მოვალეობა გამახსენდა, რვეული გავშალე და ფანქარი მოვიმარჯვე.

— რა უფრო გაინტერესებთ? — მკითხა დინარამ.

— ყველაფერი საინტერესოა, რის ჩაწერასაც მოვახერხებ.

დინარა თებროს მიუბრუნდა:

— დედა, შენს ხელში სულ რამდენმა ძროხამ გაიარა?

— რამდენმა?

— ხო, აქ რაც გამოთხოვდი, რამდენი ძროხა გამოიცვალე? სტუმარს აინტერესებს.

თებრომ დაყოვნებით დაიწყო ჩამოთვლა. თითები რომ აღარ ეყო, ისევ თავიდან დაუბრუნდა, ირემა, ვარდია, ყვავილა, თაფლა, მარცვალა, ექვანა, კოხტა, ლამაზა, ნუკრია, წაბლა, ობოლა, ხატულა, ფერდელა, ნოთია.

ჩამოთვლა რომ დაამთავრა, ეზოს შუაგულს მიაპყრო მზერა და გაირინდა. სულ მალე სახეზე ღიმილმა გადაჰკრა და თვალებიც თითქოს გამოუცოცხლდა. როდის-როდის ამოილაპარაკა:

— ჩემი კოჩინეები აგერ არ მოსულან! კაი საძოვარზე ყოფილან, დასკდომაზე აქვთ მუცლები. ექვანა, ჰკუიანად! ნუ ხარ ცელქი და ქორცუტა. ო, დეედო, ოო!..

მივხვდით, თებრო უკვე ჩვენთან აღარ იყო.

— ასეა, რაც კი ოდესმეც ძროხები ჰყოლია, ერთად დაუდგებიან ხოლმე თვალწინ. მათ რომ უყურებს, ვგრძნობ უხარია და რაღაც უჩვეულო ნეტარებაშია.

* * *

ქორთუბანში ერთი კვირა დავრჩი. თებროსთან ყოველთვის დილით მივდიოდი. დინარამ მირჩია ასე: ახალი გამოძინებული უკეთეს გუნებაზეა და გულისყურიც უფრო გამახვილებული აქვსო.

პირველ დღეს ვცადე, საუბარი ისე ამეწ-

ყო, ძროხა არ მეხსენებინა. არაფერი გამომივიდა. მერე კვლავ დინარას მეთოდით გავედი ფონს.

თებრო ერთხელვე რომ ალაპარაკდებოდა, მერე დაზეპირებულივით გააგრძელებდა შეუფერხებლად. სათქმელს სანამ მთლიანად არ ჩამოფქვავდა, აღარ გაჩერდებოდა. თუ შევაწყვეტინებდი და რამეს ვკითხავდი, იბნეოდა, ამბის გაგრძელება უჭირდა. არადა, ჩემთვის სრულიად უცნობ ადამიანებზე ისე ლაპარაკობდა, მათ ვინაობას სულაც არ მაცნობდა. ამიტომ სხვა გზა არ მქონდა, ზოგ რამეს ვეკითხებოდი. მის ნაუბარს ზუსტად აღვნუსხავდი. ჩანაწერს იმ დღესვე გადავათეთრებდი ხოლმე. დამატებითი ცნობებისათვის ხან დინარას ვაწუხებდი, ხან კიდევ მის თანასოფლელებს: ხალამპრე მუკათარიძეს, სალომე მაჭარაშვილს, პელაგია სისვაძეს...

შეკრებილი მასალა მუშტრის თვალით რომ წავიკითხე, ნაჩქარევად ჩაწერილი ზოგი წინადადება ჭკუაში არ დამიჯდა და შევასწორე, ზოგი კუთხური სიტყვა და გამოთქმაც შევცვალე. სხვა მხრივ კი ჩანაწერს სრულიად ხელშეუხებლად გთავაზობთ.

3

— ირემა ჩემი მზითევი იყო, მშობლებმა მიფეშქაშეს. კიდევ კაი, რომ მაჩუქეს, თვარა რა გვეშველებოდა? მისხრიკულ ოჯახში გამოვთხოვდი. ერთი გაქუცული ძაღლის მეტი, ეზოში არა დაუდიოდათ რა. მასაც სულ მალე ცოფი შეეყარა და მოკლეს. იცი, რა ჭკუიანი და ალერსიანი ცუგრია იყო? სულ კალთაზე მახტებოდა, მეფერებოდა. უხაროდა, კაი პატარძალი რომ მოუვედი. ისე, ნეტაი, დედამთილსა და მამამთილს ვყვარებოდი. თვალში ვეეკლებოდი, ორივეს. მათ გომბიოებს რომ ვჯობდი, მიტომ. ქებით არ ვიტყვი, მარა სადაც მე დავდგებოდი, იქ მათ გამოსაჩენი პირი აღარ ჰქონდათ.

თებრო ჩაფიქრდა.

— სად შევჩერდი? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ირემაზე ლაპარაკობდით.

— ხო, ირემა კოხტა და ლამაზი დეკეული იყო. ამ სოფლის ჰაერი მოესარგისა, კიდევ უფრო გალამაზდა, თანაც გასუქდა, კვერცხივით დამრგვალდა. აქაური ჰაერი, ნეტაი, მე მომხდომოდა ისე. რაფერ მომიხდებოდა, არეულ და დაულაგებელ ჯალაბში მოვხვდი. პავლეს ხუთი დაი ჰყავდა. ორი ჩემ მოყვანამდე გაეთხოვებინათ. მზითვად ერთისთვის ძროხა გაეყოლებინათ, მეორისთვის — იმ ძროხის ნაშენობა. ხოდა, დამხვდნენ თითივით გატლეკილები. კიდევ კაი, გამოყრუებული და გამოკეტილი ბოსელი ჩემმა ირემამ დაამშვენა. თუმცა ბოსელში ზოგჯერ მე და ჩემი კაციც ვათევდით ღამეს. აპა, რა გვექნა: გრძელურ, ფარლალალა სახლში ფიცრების მთლიანი ლოგინი გვქონდა გაწყობილი და ყველანი ერთმანეთის მიყოლებით ვწვებოდით. სხვების არ ვიცი და, მე სირცხვილით ვიწვოდი, პაწია გაფაჩუნებაზეც ელეთმელეთი მომდიოდა. პავლე კი წამდაუწუმ მებუზღუნებოდა: თონე სანამ ცხელია, მანამ უნდა ჩავაკრათო. ჩვენც ჩავაკარით... წლის თავზე ბიჭი შეგვეძინა, თედო დავარქვით. იმ კვირაში ირემამაც მოიმშობიარა. მასაც „ბიჭი" ეყოლა.

ნეტაი, ბალღი იზრდებოდეს ისე ადვილად, ხბო რომ იზრდება. მეორე დღეს უკვე ეზოში კუნტრუშებდა საყვარლად. ჩემმა თედომ კი მეთორმეტე თვეში აიდგა ფეხი. მაშინაც ძლივს ბაჯბაჯებდა. კიდევ რამდენიმე კვირა დასჭირდა, ხბოსავით რომ აკვინტრუშებულიყო.

ირემა კაი ძროხა გამოდგა. ბევრს არ იწველიდა, მარა რძე ჰქონდა ნამეტანი ლალიანი. არც თუ ისე დიდი ქოთნიდან, იმხელა ყველი ამოდიოდა, ბადრი მთვარე გეგონებოდათ. ეს პირველ ხბოზე... მეორე და მესამე ხბოებზე წველას კიდევ უფრო მოუმატა. დეკეული არ უჩნდებოდა და გული ამაზე გვენაკლულებოდა. სულ მოზვერი და მოზვერი! დეკეული რომ გვყოლოდა, გავზრდიდით, და ვაფურებდით. ორ ძროხას ეხუმრები შენ? მოზვრები კიდევ ვერაფერ საქმეში ვერ გამოვიყენეთ. მამამთილი გაზრდასა და დახარებას არ აცლიდა, წამოიჩიტებოდა თუ არა, ან დაკლავდა ხოლმე, ან გაყიდდა.

შევხედოთ და, ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდა დეკეულიც. ის უკვე მეხუთე ხბო იყო. ვარდის კოკორი ხო გინახავს, ზუსტად ისეთი ჩანდა. ჩვენც ავდექით და ვარდია დავარქვით. მიხაროდა, ბალღივით შევსციცინებდი. მერე რა, სულ მალე ეს სიხარულიც ჩამმწარდა. იმ ხანებში მესამე მული გამითხოვდა, ადგენ და ირემა მზითვად გააყოლეს.

— მერედა, შენ არაფერი თქვი?

— მამამთილს რას შევკადრებდი! ტირილიც ვერ გავბედე აშკარად, ჩემს გულში ვიცრემლებოდი.

— პავლე მაინც როგორ დასთანხმდა?

— არც ის დათანხმდა, მარა რა ექნა? ბევრიც რომ ეყვირა, მამასთან ვერას გახდებოდა: კერპი და კემუხტი იყო, რასაც დაიჩემებდა, მერე ველარ გადაათქმევინებდი.

— რა ერქვა?

— ირემა. ხბოს — ვარდია.

— მამამთილზე გეკითხები.

— ირემა. ჩემი კაი ირემა. — ჩაილაპარაკა თებრომ და მზერა ჰიშკრისკენ გადაიტანა, — წამართვეს... ე, მიყავთ! ვაიმე, რაღა მეშველება! პავლე, სადა ხარ, კაცო!

უხმოდ წამოვდექი, დედაბერი თავის წარსულს შევატოვე.

* * *

— ვარდია ჩემი შოთას ხნისა იყო. ნეტაი, იმ დღეს, პავლე ახალმოლოგინებულს რომ მეხუმრებოდა: ბედნიერი მშობლები ვართ, ბიჭი და გოგო ერთად შეგვეძინაო.

— რამდენი შვილი გყავდა? — ვკითხე.

— ექვსი, — თებრომ ხელის თითებზე დაიწყო ჩამოთვლა, — თედო, კოტე, შოთა, გაიანე, თინა, დინარა. შოთა და გაიანე ერთ წელიწადში გამიჩნდნენ. წამოწეული შვილის გაზრდა ძნელიაო, ამბობენ. ძნელი სულაც არაა, პირობები თუ გიწყობს ხელს. მე პირობები სად მქონდა!.. ის დრო იყო, კოლექტივობა რომ ყალიბდებოდა. პავლემ გადაწყვიტა: კოლექტივში უნდა შევიდეო. მამამთილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რის კოლექტივი, რა კოლექტივი, ძალიან კარგად ვარ, ჩემთვის დამაყენეთო. იდავეს, იჩხუბეს, ლამის მოსაკლავად გაიმეტეს ერთმანეთი. მამამთილი იყო ურჯულო, თვარა ჩემს ქმარს საწყალი გული ჰქონდა, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა. ერთად აღარ გვეცხოვრებოდა, გამოვეყავით. ნამშრალებიდან ბოსელი შეგვახვედრეს. ეგ იყო და ეგ! ავდექით და ის ბოსელი შევლესეთ, გავტიხრეთ, გავალამაზეთ. აქეთ ჩვენ ვცხოვრობდით, იქით კი ვარდიას მივუჩინეთ ბინა.

პავლე მაიმედებდა: კოლმეურნეობაში მთელი მიწები ჩვენს ხელში იქნება, ვიმუშავებ, ჭირნახულს ბლომად მოვიწევ და ოჯახს წყაროსთვალივით წამოვიყვანო. ეჰ, იმედი იმედად დარჩა, შვილო! არ მოეწყო საქმე ისე, ჩვენ რომ გვინდოდა. პავლეს თავმჯდომარესთან მოუვიდა ჩხუნკალი. ის ამოსაგდები ჩაგვექინა: ვარდია არტელში უნდა შემოიყვანოთო. ზოგი ხარ-ურმით შემოდის, ზოგი — ნამშრალით, ზოგი კიდევ — ვენახებითა და ბაღებით, თქვენ კი ცარიელ-ტარიელები რომ მოდიხართ, აქ ალა-ალაობა ნუკი გგონიათო. ჰმ, ვარდია უნდა შემოიყვანოთო! მერედა, ჩვენი ბალღები სად წაგვეყვანა? ბალღისა პერანგის ღილიც კი ჭამსო, ნათქვამია. ასეცაა! ამ წუთში სუფრას რომ გაშლიდი და დავაპურებდი, მეორე წუთში ისევ შემომღნაოდნენ: გვშიაო. ძროხით გვედგა სული. მე დედა კი მერქვა, მარა ჩემ შვილებს დედობას ვარდია უწევდა. რაფერ შევლეოდით?! თავმჯდომარე რაკილა შეჯდა ჯორზე, არ იქნა და აღარ ჩამოხტა. ჩემი კაცი რომ დარწმუნდა ამ უჯიათთან ვერაფერს გავაწყობო, ხელი ჩაიქნია: თქვენი არტელი თქვენ გქონდეთ, მე ჩემ გზას მოვნახავო. კიდეც მონახა: ჭიათურას მიაშურა და შავი ქვის მაღაროებში დაიწყო მუშაობა. კვირა საღამოს რომ წავიდოდა, მეორე კვირამდე ვეღარ ამოდიოდა. ამწმენდად მუშაობდა. ვაგონებს ტვირთავდა. შავი ქვის ჭუჭყში ჩურჩხელასავით ამოევლებოდა ხოლმე, ბალღები კბილებითღა ცნობდნენ. ესაოდა, შენმა ქმარმა კოლექტივს ზურგი შეაქციაო, ხელ-ფეხი შემიკრეს, ვარდია საძოვარზე აღარ გამატარებინეს. რა უნდა მექნა, ძროხას შიმშილით ხომ არ მოვკლავდი? დავდიოდი შარაგზის პირებზე ჩემი ბალღებიანა, ბალახბულახს ხელით ვგლეჯდით და ბაგაზე დაბმულ ძროხას ვაჭმევდით.

ერთხელ ვიფიქრე, იქნებ ბავშვები შეიცოდონ და არაფერი უთხრან-მეთქი, ავუშვი ვარდია და საძოვარზე გავადენინე. უთხრეს კი არა, რომ დაიფრინეს, სულ ანგელოზები დაუფრთხეს, იმათ მოუკვდეს დედა! ძროხა წაართვეს, წაიყვანეს და კოლმეურნეობის თავლაში გამოკეტეს. გავიქეცი მეველესთან გულამოვარდნილი. ახლოსაც არ გამიკარა. მივედი თავმჯდომარესთან. ჯარიმა გადაიხადე ათი მანეთი და გაგატანო. ათი მანეთისთვის ჩემი კაცი ორ კვირას მაღაროში იყო გამომწყვდეული და ლაფართქის ტარით მუხლის თავებს იტყავებდა. რაფერ გადამეხადა? მთელი დღე თავლას ვუტრიალებდი გარშემო, ვარდიას ბღავილი გულზე ეკლად მესობოდა, მარა ვერაფერს ვშველიდი. არც მეორე დღეს გამომატანეს. გაბოროტებულმა ესღა ვიღონე, ბალახი მოვგლიჯე, გავავსე ტომარა და წავუღე. ტყუილად გავისარჯე. თავმჯდომარემ ის ბალახი აიღო და თავის ცხენს დაუყარა, მე კი ღრეჭით მითხრა: „პერადაჩის“ გადაცემის დრო ჯერ არ დამდგარა, იმ შაბათს მობრძანდით, თუ არ შეწუხდებითო. იმას შეუწუხდეს გული ადრე და მალე!.. მომდევნო დღე კვირა იყო. მოვიდა პავლე. რაღას ვიზამდი, ვუამბე ჩემი გასაჭირი. ახტა და დახტა, ეს რავა გაგვიბედესო. ბევრი ვეხვეწე, ამ გულმოსულობაზე ნუ წახვალ-მეთქი, მარა არ დამიჯერა. მე სასიკვდილეც ვერ წავყევი, ბაღანა ვერავის დავუტოვე. წავყოლოდი, კაი იყო, იქნებ გადავრჩენილიყავით შარსა და შარამათს. თავმჯდომარე პავლესაც მაღლებზე დახვედრია. რაკილა კერძოობა ირჩიე, კეთილი ინებე და ცოლშვილი შენს ეზოში დაატიე, კოლმეურნეობის ფართობებში ფეხი არ შემოადგაო. ჯერ ძროხა გამატანე, კერძოობასა და კოლექტივობაზე მერე ვილაპარაკოთო. არ გაგატანო, ჯიბრზე დამდგარა ის შეჩვენებული. არ გამატან და ძალით წავიყვანო, დაქადნებია ჩემი კაცი, მერე დაუკრავს ფეხი და გაქცეულა თავლისაკენ, კარებს შევამტვრევ და ნაწამებ ვარდიას ვუშველიო. კარები კი შეუმტვრევია, მარა ძროხის გამოყვანა ვეღარ მოუხერხებია, მეველე წამოსწრებია და წინ გადასდგომია. შეხელდახელებულან. ხან ერთი ყოფილა ქვეშ, ხან — მეორე. კარგად რომ დაუბუბნავთ ერთმანეთი, მერეღა გაუშველებიათ. პირველად მეველეს დაურტყამს, მარა მაინც ჩემი ქმარი დაადანაშაულეს. შინ მოსვლა და ოჯახთან დამშვიდობებაც არ აცალეს, იქვე დააპატიმრეს. პავლე დაიჭირესო, მეხივით დამეცა ეს ამბავი, კინა-

ღამ გონება დავკარგე. უბედურებას ზედ უბედურება დამერთო: ზაფრამ და ელდამ ისე გამთანგა, ძუძუებში რძე გამიშრა. გაიანე ორი თვის მისრულდებოდა. ჩავუდებდი ძუძუს პირში, მოპლოყნიდა, მოპლოყნიდა, რძეს რომ ვერ იპოვიდა, იწივლებდა, იტირებდა, დაიღლებოდა, დოსდებოდა, თავს საწყალობლად გადააგდებდა და როდის-როდის ჩაეძინებოდა. ამ დარა-დარაზე კიდევ ცეცხლზე ნავთი დამესხა, უძუძურობით მიკანკული ბალღი გამიცივდა და ორ კვირაში ხელიდან გამომეცალა.

რატომღაც ვფიქრობდი: თებროს რაც ენაზე მოადგება, იმას ლაპარაკობს ისე, ჰაიჰარად, სულაც არ განიცდის-მეთქი. აქამდე, მგონი, მართლაც ასე იყო. ახლა კი, ბალღის ავადმყოფობა რომ გაიხსენა, თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა, თვალები რაღაც უცნაურად აახამხამა, წარბები ლამის ცხვირზე დაიბჯინა და მოთქმასავით გააბა:

— ვაიმეე, მოკვდა ჩემი გაიანე, რალა მეშველება! ი კაცი მაინც არ დეეჭირათ, რაღა ვქნაა!..

— რა იყო, დედა, რა მოგივიდა?! — მოირბინა დინარამ, ხელი მოხვია, მერე თვალებს ცხვირსახოცით ამოუმშრალა.

— მოკვდა ჩემი გაიანე, აღარ არი!..

— არა, დედა! — ნაძალადევად გაუცინა დინარამ, — გაიანე ხო მოძვში გაათხოვე, დაგავიწყდა? ხაშურიდან რომ მოვდიოდი გუშინწინ, გამოვუარე და ვნახე. მშვენივრადაა. შემოგითვალა: დედაჩემო, კარგად იყავი და მალე გნახავო.

— გნახავო? — თითქოს ამოასლოკინაო, ისე იკითხა თებრომ.

— ხო, გნახავო. ოღონდ კარგად დამხვდიო.

თებროს აღარაფერი უთქვამს. ერთხანს გაყუჩებული იჯდა, მერე მძიმედ ამოიოხრა და თავი ჩაქინდრა.

— ძილი მოერია, წავიყვან, მოვასვენებ. — მითხრა დინარამ და მხარზე ხელი მოჰკიდა, ნელ-ნელა წამოაყენა.

* * *

მეორე დღეს, დანიშნულ დროს, კვლავ თებროს მივაშურე. გზაჯვარედინს როგორც კი გავსცდებოდი, მისი ეზო უკვე წიგნივით გადაეშლებოდა ხოლმე თვალწინ. დედაბერი ყოველთვის მუხის ძირას იჯდა, იფიქრებდი ქვისგანაა ნაქანდაკევიო. ახლა ველარ დავინახე. გული სინანულით შემეკუმშა: ვაითუ გუშინდელმა აღელვებამ იმოქმედა და შეუძლოდ გახდა-მეთქი. დინარა ჩვეულებრივ შუბლგახსნილი რომ შემომეგება, მაშინღა დავმშვიდდი.

* * *

დინარა სანამ დედას გარეთ გამოიყვანდა, ეზოში გავიარ-გამოვიარე. ჩემი ყურადღება ველურმა ყვავილებმა მიიპყრეს, ღობის პირებს ბოლომდე რომ მიუყვებოდნენ და იქაურობას ალამაზებდნენ. რამდენიმე მათგანი მოვწყვიტე, პატარა თაიგული შევკარი და თებროს ხელდამშვენებული შევეგებე. მან თაიგული ჩამომართვა, გულგრილად დახედა და თითქოს ისე, სხვათა შორის, თქვა: „კაი ყვავილები“. რომ დაჯდა და ჩვენც წინ დავუსხედით, თაიგულს კიდევ დახედა და მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: „ყვავილები, ყვავილი, ყვავილა...“

— ძროხა გაგახსენდა? — გაუცინა დინარამ.

— ხო, შვილო, ჩემ ძროხას ერქვა ყვავილა. ნეტაი იმ დღეს, ის რომ დეიბადა! სწორედ იმ კვირაში დამიბრუნდა ჩემი კაცი ციხიდან. ისე იყო გამხდარი, ცხვირში სინათლე გასდიოდა. კიდე კაი, მეწველი ძროხა დახვდა. ხან შრატის ფაფას ვუდუღებდი, ხან — ხაჭოს ვუმზადებდი, ზოგჯერ რძესაც ვასმევდი, მაწონსაც ვუყენებდი და ქე მოიდგა სული ნელ-ნელაობით. ჩვენც გვეშველა. ისევ მაღაროებში დაიწყო მუშაობა. ყოველი კვირის თავზე ბუხანკა პურებით დაზურგული მოდიოდა. ჩვენს ლოლორა ბალნებსაც მეტი რა უნდოდათ: ქიჩნიდნენ და ქიჩნიდნენ შავად დატკუცულ ფურნის პურს. ამასობაში ყვავილაც წამოიზარდა. მან რომ თავი დეიცვა და ღლეში ჩადგა, გავიყვანეთ ვარდია ბაზარზე და გავყიდეთ. მისი ნაფასურით ბოსელს ორი თვალი ქვიტკირის ქოხი მივადგით.

თებრო გაჩუმდა. ერთხანს სდუმდა, მერე იკითხა:

— სად შევჩერდი?

— ბოსელს რომ ორი თვალი ქვიტკირის ქოხი მიადგით, — შევახსენე.

— ხო, მივადგით... მივადგით... — სამჯერ გაიმეორა მან და ისევ გაჩუმდა. ეტყობოდა, საუბრის გაწყვეტილი ძაფი ველარ აღადგინა.

— დედა, ყვავილამ თავი რომ დაიცვა და ღლეში ჩადგა, მერე როგორ წავიდა საქმეები? — ჰკითხა დინარამ.

— კაათ წევიდა, შვილო! — გამოცოცხლდა თებრო, — ყვავილას დეკეული ეყოლა. ის კუდიანი სულ თაფლისფრად ბზინავდა. თვალებიც თაფლისფერი ჰქონდა. თაფლა დავარქვით. სულ მალე მეც გოგო შემეძინა — თინიკო. გადიოდა დრო, დღე დღეს ცვლიდა, ღამე ღამეს.... იზრდებოდა თაფლა, იფურჩქნებოდა ჩემი გოგოც: დღისა კვირისას ჰგავდნენ, კვირისა — თვისას...

— როგორ ზღაპარივით ჰყვება! — გადავუჩურჩულე დინარას.

— დედაჩემის თავგადასავალი უცხო ყურს მართლაც ზღაპრად ეჩვენება. თუმცა იმის მეათედსაც ვერ ამბობს, რაც თავს გადახდენია. ბევრი რამ მეც მახსოვს, მაგრამ მოყოლა არ შემიძლია, მაშინვე ტირილი ამივარდება. ნერვები მაქვს დასუსტებული, — ჩურჩულითვე მიპასუხა დინარამ.

ჩურჩულმა შეუშალა ხელი, თუ რა იყო, თებრო გაჩუმდა, საუბრის ძაფი კვლავ გაუწყდა.

— თაფლიც კაი ძროხა დადგა, ხო დედა? — ისევ გამოაფხიზლა დინარამ.

— კი, შვილო, ნამეტანი კაი დადგა. ისეთი მჭამელი იყო, მოხრიოკებულ ველზე რომ გეგდენა, ფერდს მაინც ამოილებდა. ახლა წველას აღარ იტყვი?! ვედროს მოყრონჭამდა ხოლმე.

— კარგი მიტომ იყო, კარგად რომ უვლიდი. — შეაქო დინარამ.

—იმე! უვლიდი, აპა!.. მისით სული გვედგა და რავა არ მოვუვლიდი?! შრატით და ხაჭოთი ბავშვებს ვასაზრდოებდი, ყველს კი მთელ წელიწადს ვაგროვებდი. ყველის მაზანდა ზამთარში ერთი-ორად იზრდებოდა. ჩვენც სწორედ ზამთარში ვყიდდით. ბაზარში ურმით გაგვქონდა.

— ის როგორ იყო, წათხი ნაჭარხლევ ქვევრში რომ ჩააყენე და შიგ ყველი დააგროვე? — შეახსენა დინარამ.

— ხო, მოვტყუვდით მაშინ მე და ჩემი კაცი. ნაჭარხლევი ქვევრი სულ ბექენ-ბექენ ყველებით გავავსეთ, მერე დავგოზეთ და მივიწყეთ. თებერვალში, ყველის ფასმა რომ აიწია, მოვხადეთ ქვევრი და რას ვხედავთ: ყველი სულ წითლად არაა შეღებილი?! შემოგვეყარა გულს, ვიღა იყიდდა?! ჩვენც ავდექით და სახარჯოდ გადავდეთ. ილოცხლე, ბავშვებმა გაიხარეს, ყოველ დღე ყველის ჭამით ღარი დაისვეს.

— დედა, თაფლამ რომ გაგაჯავრა და თავბედი გაწყევლინა, ის როგორ იყო?

— არა, შვილო, არ გავუჯავრებივარ. ის, რაც მოხდა, ჩემი უგერგილობით მოხდა, ჩემი ბრალი იყო.

— თქვი, რა მოხდა, სტუმარს აინტერესებს.

— რა მოხდა და... იმ დროს გახურებული კოლექტივობა იყო. ჩვენ კი ისევ კერძოობას ვჩემობდით. ვარდია რომ არ შევიყვანეთ, კოლწევრად არ მიგვიღეს. თავდაპირველად რომ უარი გვითხრეს, მერე ჩემი კაცი გაეინიანდა. კისერში თოკი რომ ჩამაბან, არტელში მაინც აღარ შევალო. არ შეხვალო და... ადგენ, ჩვენს ბარობაზე რაც ყანა-ვენახი იყო, მთლიანად ჩამოგვართვეს, სამანი ზედ ეზო-ყურესთან ჩაგვიგდეს. პავლე საგონებელში ჩავარდა: სიმინდი თუ არ დავთესე და წლიური სარჩო არ მოვიყვანე, ქიათურიდან კვირაობით მოტანილი პურით ფონს ვერ გავალ, ბაღნები შიმშილით დამეხოცებიანო. გავიდ-გამოვიდა, გაიკითხ-გამოიკითხა და ჭალოვანში ერთი კაცი აღმოაჩინა, საყანე მიწას სანახევროდ რომ იძლეოდა. აიღო ის ნაკვეთი, სიმინდი და ლობიო დათესა. მაღაროებიდან მოსვლისთანავე თოხს გაიდებდა მხარზე და ჭალოვანში მიდიოდა სიმინდის სათოხნად. მე სადილს მივუტანდი ხოლმე, თანაც ძროხა საბ[illegible] მი-ყავდა. იქ კაი საძოვრებია.

ერთხელ მივდივარ, მხარზე ხე[illegible] დევს, თანაც ძროხის რქებზე [illegible] კი კალათის სახელურთან მიჭირავს. კორტიზი შეუჯდა, თუ რა იყო, თაფლამ უცებ თავი გაიქნია, თოკი დაიჭიმა, ხელკალათი მხრიდან გადმომივარდა, ციცაბოზე დამიგორდა და შიგ რაც მელაგა, ყველაფერი ძირულაში ჩამიცვივდა. წეიღო წყალმა ჩემი პავლეს სადილი. კლდიდან რო გედევიხედე, ხელკალათიც კი ალარსად ჩანდა. რაღა უნდა მექნა მე სასიკვდილეს: სანამ შინ მივბრუნდებოდი და სადილს ისევ შევახაზირებდი, ქე დაღამდებოდა. არადა, ვიცოდი, რომ კაცს უკვე შიოდა, თვალი გზისკენ ეჭირა, როდის გამოვჩნდებოდი. ფიქრმა და საწუხარმა მუხლებში მომასავა. რომ არ წავქცეულიყავი, ჩავჯექი და დავიწყე ტირილი. თაფლა ფეხს არ იცვლიდა, თავს მედგა კაი ჭირისუფალივით. მგონი, ისიც ტიროდა... ამ ყოფაში რომ ვიყავი, ფეხის ხმა შემომესმა. მივიხედე და შავთავსაფრიანი ქალი დავინახე. მკლავზე ისეთი ხელკალათი წამოეცვა, მე რომ წყალმა წამართვა. მოვიდა, მომესალმა და მერე მკითხა: რა იყო, რა გაგჭირვებიაო. ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. მაგაზე დარდობო, გამიცინა. სიკვდილს არაფერი მოეხერხება, თვარა სხვას ყველაფერს ეშველებაო. მერე შემახსენა: დღეს რომ ივანობაა, ხომ იციო? ვიცი-მეთქი. ცხონებულ მამაჩემს საკურთხი გავუკეთე, სანოვაგის ნაწილი აგერ კალათში მილაგია, ძმისთვის მიმაქვს, ზემოთ ცხოვრობს, სერზე. ძმა შინაც მესტუმრება, ეს პურმარილი კი შენთვის მიჩუქნია, ქმარს წაუღეო, მითხრა, ხელკალათი წამოიძრო და წინ დამიდგა. გავიხარე, მარა რა გავიხარე! ჩემმა კაცმაც გაიხარა. ასეთი მეფური სადილი კარგა ხანია არ მიგემნიაო.

— ეს ამბავიც ზღაპარს ჰგავს. — წავჩურჩულე დინარას. შევატყვე, არ ესიამოვნა, ამრეზილად გადმომხედა.

## ნაწყვეტები თებროს ნაამბობიდან

ა)

...ძროხა ხბოს რომ მოიგებდა, ჩემი ბავშვები ცას ეწეოდნენ ხოლმე სიხარულით. მოხდა ისე, ყვავილას ერთხელ უკუდო ხბო ეყოლა. მთლად უკუდო კი არ იყო, მარა მის კუდს კუდობაც არ ეთქმოდა, ერთი ციდა თუ იქნებოდა. თედოს კუდალა ხბო შეეცოდა. შევატყვე, ცრემლი მოადგა, მარა თავი შეიკავა, არ უტირია. კოტე კი აზლუქუნდა: ზაფხულის თაკარა სიცხეში ბუზები რომ დაეხვევა, უკუდოდ როგორღა მოიგერიებსო.

კაი, ბიჭო, ნუ ტირი, ბუზებს ჩვენ მოვუგერიებთო, უთხრა თედომ. მართლაც თხმელის

ტოტს დაიჭერდნენ ხელში და რიგრიგობით უგერიებდნენ ხოლმე, სანამ პავლეძ ის მახინჯი ხბო ერთ ჩვენებურ სალოხს არ მიჰყიდა.

ბ)

...კოტე შარაგზაზე ძროხას მომიდენიდა, თანაც ყველსა და მჭადს შეეძლეოდა. წინ პელაგია შემოგვხვდა.

— ბიჭო, ყველი და მჭადი ძალიან გიყვარს? — ჰკითხა მან:

— მიყვარს.

— ჭამე, შვილო, ჭამე! ყველი და მჭადი ყველას კი არა აქვს, შენ ღმერთმა გამოგიგზავნა.

— მე რომ გამომიგზავნა. უკეთესი თვითონ რაღა დაიტოვა?! — უპასუხა კოტემ.

გ)

ხბოს რომ მოიგებდა, ძროხას ფეხებში წყალს შეუსხამდი ხოლმე და დავლოცავდი:

— რავარც ქორთუბნის წყარო გადმოქუხს, ღმერთმა ძუძუებიდან რძე ასე გადმოგვიდინოს!..

ერთხელ თურმე ჩემი თედუშა მისმენდა და გაკვირვებით მკითხა:

— ქორთუბნის წყაროსავით რომ გადმოგვიდინოს, მერედა, იმდენ რძეს რა ვუყოთ, სად წავიღებთ?

— ღელეს და ზურიკოს ვაჭმევთ, მათ ხო ძროხა არა ჰყავთ! — მეზობლის ობოლი ბავშვები გაიხსენა კოტემ.

დ)

...ახალი წლის საღამო იყო. მე ჰურჭლეულობას ვრეცხავდი. კოტე კერიასთან იჯდა და გაკვეთილს იზეპირებდა.

— ცეცხლი მიგვინელდა, შეუბერე, ბიჭო! — ვუთხარი მე.

— ვერა, ვერ შევუბერავ. — მიპასუხა ჯიუტად.

კოტესგან უარს თქმას არ ვიყავი ჩვეული და გამიკვირდა:

— რატომ არ შეუბერავ?

— ბებიამ თქვა: ახალ წელიწადს არ უნდა შეუბერო ბუხარში, თვარა ხბო გაიბერება და მოკვდებაო.

ე)

...ერთ ზამთარში კოტე გამიცივდა და ავად გამიხდა. ძალიან მძიმედ იყო, დიდი შიში გვაჭამა. პავლემ პირჯვარი გადაიწერა და ღმერთს შესთხოვა: ოღონდ ბალანა გადამირჩინე და აგერ ტუჩზე რძეშეუმშრალი ბოჩოლა რომ მყავს, გამოგიყვან სამების ეკლესიაზე და შემოგწირავო. უფალმა მართლაც მოგვხედა, დაილოცოს მისი სახელი. ბოვშმა სულ მალე მოიკეთა და ფეხზე დადგა. პავლეს კი ეშმაკი შეუჩნდა, თუ რა იყო, პირობა არ შეასრულა. ქვეყნად რაც ძროხა და ბოჩოლაა, ყველა ღვთისაა და ჩვენი კინკილა ხბო რაღად უნდაო, თქვა სიცილით. რამდენი [illegible] დამიჯერა... ეს ამბავი დღემდე [illegible] მაქვს გულში. ბიჭები ომში იქნებ იმიტომ დემეკარგენ, ღვთის სიტყვა რომ გავტეხეთ.

ვ)

...ჩვენი თაფლა ერთ წელიწადს ბერწად დარჩა. იმ ხანებში პავლესთან ფინაგენტი მოვიდა და უთხრა: ასი მანეთის ობლიგაციაზე უნდა მოაწერო ხელიო. ამდენზე ვერ მოვაწეროო. მოაწერე, აგერ სულ მალე ობლიგაციები გათამაშდება და ას მანეთზე მეტსაც მოიგებო. ძროხაც არ იგებს ჩემი და ობლიგაცია რავა მოიგებსო?! — უპასუხა პავლემ.

ეს რა თქვაო, გაბრაზდენ. მერე რამდენჯერმე დაიბარეს... რა მოხდა, გაიმასხრა კაცმა. ხუმრობა არ შეიძლება?

ზ)

...კოტე გაწუწკებული მყავდა. რავარც კი ყველის ამოყვანას შევუდგებოდი, რძეს გავწურავდი და ქვევით ჩავუკიდებდი, მოვიდოდა, მომიჯდებოდა გვერდით და ყველის ჭიპს მთხოვდა. ენაცვალოს დედა, თონთლო ყველი უყვარდა, შოშიასავით მიღებდა პირს წამდაუწუმ. ზოგჯერ დავუცაცხანებდი ხოლმე, მარა მაინც არ მეშვებოდა. მერე ეს ამბავი ომში გაიხსენა. მწერდა: ნეტაი, იმ დროს, კერიასთან რომ გეჯექი და ყველის ჭიპს მაყლაპებდიო. ახლა ტყვიამფრქვევს ვუზივარ, მტერს ნიშანში ვიღებ და შიშით ჭიპზე ვხეთქავო.

თ)

...საყოლღებელი თედოსაც ძალიან უყვარდა. ომიდან ბარათს ისე არ გამოგზავნიდა, ძროხისა და მისი ნაშენობის მოკითხვა და ნახვის ნატვრა რო არ ჩაეწერა. რომელიღაც სოფელში გათითქინებული, რუსული ძროხები ენახა. დიდის ამბით მწერდა: ჩემოდნებივით ჯიქნები ჰკიდიათ, თურმე ოც-ოც ლიტრას იწველიანო. ომი რო დამთავრდება და წამოვალ, ერთ აქაურ კარგ ძროხას უეჭველად წამოგიყვან, ჩემო დედაო.

4

იმ დღეს დინარამ მითხრა: ხვალ დილით, უთენია, ხაშურში მივდივარ, დედაჩემთან კი მეზობლის გოგოს ვტოვებ და ის მიმიხედავსო. შენ ამით ხელი არ შეგეშლება, მობრძანდი და ესაუბრეო. მეტი არაფერი უთქვამს. მერე კი, ხაშურიდან რომ დაბრუნდა, თავში ხელი შემოირტყა: წასვლისას მთავარი სათქმელი დამავიწყდაო. თურმე უნდოდა გავეფრთხილებინე: დედაჩემს რომელ ძროხაზეც გინდა, იმაზე ელაპარაკე, ოღონდ მარცვალა არამც და არამც არ უხსენოო. მე კი, ეშმაკმა მაცდუნა, თუ რა

იყო, მოსვლისთანავე სწორედ მარცვალაზე ჩამოვუგდე სიტყვა.

* * *

— ამბობენ, მარცვალაც კარგი ძროხა იყოო. — ვთქვი ვითომ ისე, სხვათაშორის და თებროს ახალგამოძინებულ თვალებს თვალი გავუსწორე.

— მარცვალა? — გაიმეორა ჩურჩულით და აზრს თითქოს გვიანღა ჩახვდაო, ხმას აუწია: — რომელი კაიო, საუკეთესო იყო, შვილო! მე ჩამეცინა, დინარას ნათქვამი გამახსენდა: „დედაჩემისთვის ცუდი ძროხა არ არსებობს, ოუგს ძროხაზე ისევე ვერ წამოაცდენინებ, როგორც ღვთისმშობელზე. ოდესღაც ერთ ჩვენს ძროხას ფეხი მოსტყდა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ჩემი ძროხა კოჭლიაო, დედა მაინც არ ამბობდა. ერთი ფეხი დაუმოკლდა სულ ცოტაზეო, ეტყოდა ხოლმე, თუ ვინმე ძროხის კოჭლობაზე სიტყვას ჩამოუგდებდა“.

— მარცვალა პატარა ძროხა იყო, ალბათ? — ვკითხე თებროს.

— არა, შვილო, პატარა კი არა, დიდი, ზორბა ტანისა იყო, ბოსლისკენ რომ მივდენიდი, განზე წასული თეძოები კარებში ძლივს შექონდა.

— აბა, მარცვალა რატომ ერქვა? — არ ვეშვებოდი მე.

— მთლად შავი იყო, მხოლოდ მარცხენა ბეჭთან ჰქონდა სიმინდის მარცვლისხელა თეთრი ხალი. მარცვალა ამიტომ დავარქვით.

— რამდენი ხბო გაზარდა?

— მარცვალამ? შვილი, — მიპასუხა და გაყუჩდა. ერთხანს ჩაფიქრებული იყო, მერე მძიმე-მძიმედ ამოთქვა: — მარცვალა მეორე ხბოზე რომ იყო, მაშინ დამესხა ცეცხლზე წყალი: პავლე დაიჭირეს. ეს უკვე მეორედ... ნაშუაღამევს წაიყვანეს. რავარც იქნა და არ იქნა, გავათენე ის ღამე. ისე გაუთენდეს ყოველი დილა, ვინც ჩემი ოჯახი დააქცია და მოაკალოვა. შვილო, შენთან ბოდიში და, დინარაზე ვიყავი ფეხმძიმედ. დღე-დღეზე ველოდი... ხოდა, სად უნდა წავსულიყავი, ვისთვის მიმეკითხა? სხვა რო არა იყოს რა, დღეში ჩამდგარი ქალის გარე-გარე სიარული ვინ გაიგონა? თუმცა სირცხვილი და მორიდება სადღა მახსოვდა, ჩემსავე კანში ვიწვოდი და ვიხარშებოდი. დავტოვე ბოვშვები, ძროხა, სახლ-კარი და წავედი. მივდივარ და მივდივარ, სად მივდივარ, მეც არ ვიცი.

— ისევ ზღაპრივით ჰყვება. — გავიფიქრე მე და სმენად ვიქეცი.

— ანკი რა უნდა მცოდნოდა, ხამი და გამოუსვლელი ვიყავი, რაიონს იქით ფეხი არასდროს გამედგა.

— ჯერ რაიონში რატომ არ იკითხე, იქნებ აქვე გაეცათ პასუხი და ეშველათ რამე?

— კი, შვილო, ჯერ აქ დავფათურდი, მივდექ-მოვდექი, მარა თითქოს ხოლერა მჭირვებოდეს, ყველამ ამიბზუა ტუჩი და ახლოს არ გამიკარა. ამ საქმის არაფერი ვიცოდი, ზოგი ამას მეუბნებოდა, ხოლო ზოგი კიდევ შემუქრებოდა: თუ ენას არ გააჩერებ და ჰკუიანად არ იქნები, ავადსახსენებელი ქმრის გზას გაგიყენებთო. ხოდა, სხვა რაღა უნდა მეღონა, მივაშურე დედაქალაქს. ვიფიქრე მოკლეზე მოვჭრი-მეთქი და აი, ამ მთის ბილიკს გავყევი, ჩვენი ორშარის იქით რომ იწყება. გავიარე გორაძირი, საკანაფურა, ორცაცხვა, მოძვი, ბახიოთი, საირხე... საჩხერის სადგურზე რომ მივედი, პატარა, კუკუშკა მატარებელი უკვე წასასვლელად ქოთქოთებდა, ორთქლმავალი კვამლით ბურავდა იქაურობას. ვაგონები ხალხით იყო გაჭედილი. ყმაწვილები საფეხურებზეც ეკიდენ ჩურჩხელებივით. გაახაროთ ღმერთმა, ასასვლელი გამითავისუფლეს, მერე კუთხეში დასაჯდომი ადგილიც გამომინახეს. მატარებელი რომ დაიძრა, ხალხის ტალღა მომაწვა. შენთან ბოდიში და, მუცელზე ხელი დავიფარე, ნაყოფი არ გამიჭყლიტონ-მეთქი. მისი გული კი აღარ მქონდა, მარა ღვთის გაჩენილი იყო და მაინც მეცოდებოდა. რაღაც ბედად, ერთი ჭოხმაკა ბერიკაცი გამომიჩნდა. ის რომ არა, დალუპულად იყო საქმე. ორივე ხელი მატარებლის კედელს მიაბჯინა და ისე მოხერხებულად ამეფარა, ხალხის მოწოლას თითქოს სულაც აღარ ვგრძნობდი. იმხელა გზაზე ფეხებგაბაჯიჯგებული დგომა რაფერ შესძლო, ახლაც მიკვირს. ჩემმა საცოდაობამ შეაძლებინა, ალბათ. აცხონოს ღმერთმა, თუ მკვდარია. მკვდარი იქნება, აპა, რა, აქამდე რას მოატანდა ბერიკაცი! მის შემდეგ მე დავბერდი და დავგლახდი.

— სადაური იყო ის ბერიკაცი? — ვკითხე მე.

— ზესტაფონელი. შორაპანში ჩამოვიდა. მერე შინისკენ გზას ფეხით გაუყვა. გამომშვიდობებისას დამაიმედა: ნუ გეშინია, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება, დრო მოვა, კატას თაგვების ცოდვას მოჰკითხავენო.

თებრო გაჩუმდა და მიიხედ-მოიხედა:

— ი გოგო რეიქნა, ნეტა? ფატი!

— ბატონო!

სამზადიდან გამოვიდა თოთხმეტიოდე წლის სუსტი, ლეცაცა გოგო.

— წყალი დამალევინე, შენს გაზრდას!

ფატიმ დოქი გამოარბენინა, ჭიქა გაუვსო და მიაწოდა.

— წყალი უმცროსისაა, ჯერ თქვენ მიირთვით. — მითხრა მე.

— უფროსისა ღვინოა, ხომ? — გავუცინე, წყალზე კი უარი ვუთხარი, არ მწყურია-მეთქი.

მან წყალი დაიაზებით დალია, ტუჩები თავსაფრის ყურით მოიწმინდა, შემდეგ ხმას ისე დაუწია, იფიქრებდი რაღაც საიდუმლოს განდობა სწადიაო:

— იქნებ არც დამიჯეროთ... ღვინის გემო დამავიწყდა. ორმოცდაათი წელიწადია, წვეთი არ დამილევია. ქათმის ხორცზეც კბილი არ დამიდგამს. ერთიც და მეორეც ჩემ კაცს უყვარდა ნამეტანი. ღვინოს ჰინჰილაში ჩაისხამდა, გადაარაკრაკებდა, მერე ულვაშებზე ხელს გადაისვამდა და შემოსძახებდა: „ვაზის ჭირიმე, ვაზისა, ღვთისაგან კურთხეულისა"... თუ სუფრას ქათმის ხორციც უმშვენებდა, ისე მოილხენდა, გეგონებოდა ოქროს საბადო მიუგნია და სიხარულით აღარ იცის, რა ჰქნასო...

თითქოს ძილი მოერიაო, თებრომ უცებ თავი ჩაჰკიდა. გავისუსე. მინდოდა წაეთვლიმა. შეწყვეტილ ამბავს მერე უფრო გულისყურიანად გამიგრძელებს-მეთქი, გავივლე გულში. სულ მალე შეიშმუშნა და მარჯვენა ხელით შუბლის სრესას მოჰყვა. ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა და ვერ გაეხსენებია.

მე რვეულის ფურცვლა დავიწყე, თანაც ზოგიერთ სიტყვას ვასწორებდი. ცოტა ხნის შემდეგ, თებრომ თავი ასწია და შემომაცქერდა. ხელში რვეული და ფანქარი თითქოს ახლაღა შემამჩნია პირველად .გაკვირვებით მკითხა:

— იწერავ?

— ჰო, ვიწერ, თებრო დიდედა.

— რას იწერავ?

— ყველაფერს, რასაც მეუბნები.

— რა ჩაწერე, წამიკითხე, აპა!

— მარცვალა მეორე ხბოზე რომ იყო, ამაზე შევჩერდით.

— ხო, ჩემი კაცი მაშინ დაიჭირეს. ამბის გასაგებად ქალაქში წაველი. ვიარე და ვიარე, ვიარე და ვიარე...

— შორაპანში რომ ჩახვედი, ეს უკვე მიამბე. მერე რა მოხდა.

— შორაპანში დიდი მატარებლები დაგვხვდნენ. მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ... ზოგი იქით, ზოგი აქეთ. მოვარდებოდნენ, ცოტა ხანს შეიჭოჭინებდნენ, მერე ისევ დაიძვრებოდნენ და გიგინ-გიგინით მირახრახებდნენ... ერთზე ვერ ავედი, ვერც მეორეზე. ღმერთი სამობითაა... მესამეზე შემომეშველენ და ავათრიე ტანი რავარც იქნა. დილით ,მზემ რომ ამოაჭყიტა, უკვე თბილისში ვიყავი. მივიხედ-მოვიხედე და გავვოცდი: რამ თოვა და რამ წვიმა იმდენი ხალხი! მარა რათ გინდა: ვერავის იცნობ და ვერავინ გიცნობს. მიდიან და მოდიან თავისთვის, „გამარჯობასაც" არ გეუბნებიან. ვისაც შევბედე და ჩემი გასაჭირი ვუამბე, თითქოს წინასწარ შეთანხმებული ყოფილიყვნენ, ყველამ ერთი და იგივე მითხრა: ღვთის განაჩენს, აპა, რა შემოევლება, ისევ ის გიჯობს, ჩუმად იყო, წახვიდე შინ და ოჯახს მიხედო, ბოვშვებს უპატრონოო.

ჰმ, ადვილია თქმა, ჩუმად იყავიო! ჩუმად რა გამაჩერებდა?. კითხვა-კითხვით, რავარც იქნა, მივაღწიე იმ შენობას, შიგ ერთი დიდი კაცი რომ იჯდა. კი მივაღწიე, მარა კარებში რომ არ მიშვებენ?! ვაი შენს თებროს, რაღას იზამ ახლა? მოფარებული კუთხე მოვძებნე და დავიწყე ტირილი. ისე მოვთქვამდი, ჩემი ტირილით ქვაც კი იწვოდა. ტირილით გული რომ მომეოხებინა, ესეც არ მაცალეს. ნუ ზლუქუნებ, ხალხი გროვდებაო, მიყვირეს და იქაურობას გამაშორეს.

— დიდედა, ვერ მოგვასმენინებ, როგორ ტიროდი? აგერ მაგნიტოფონს ჩავრთავ და ჩავიწერ. ჩვენთვის ეს ყველაზე საინტერესოა, — ვთხოვე მე.

მოთქმა-გოდების უძველესი ჟანრის ნიმუშებს ყოველი ექსპედიციის მუშაობისას, მართლაც, გაფაციცებით ვეძიებდით ხოლმე, თუმცა ჩაწერას იშვიათად ვახერხებდით.

— რა გითხრა, შვილო, მაშინ ისე გაბოროტებული ვიყავი, მეორე დღესაც არ მახსოვდა, რავა ვიქცეოდი, რას მოვთქვამდი, რას ვყვიროდი. ესლა მაგონდება, ხელებს ვირტყამდი აი, ასე...

თებრომ ორივე ხელი წაიშინა თავში და რაღაც შემაზრზენი ხმით გაიძახა:

— პავლე, ჩემო საწყალო პავლე, სადა ხარ ახლა, რატომ ვერ მხედავ, რა დღეში ვარ!..

დავიბენი, ასეთ რამეს არ ველოდი. გონს მალე მოვეგე და ხელზე ხელი წავატანე:

— კაი ,დიდედა, ნუ ტირი! არ მინდა ამის ჩაწერა. მაგნიტოფონი გამოვთიშე აგერ უკვე.

ტირილსაც არ მანებებთ, თქვე ყაჩაღებოო, მიყვირა, თავისი ხელი წამართვა, ლოყები ჩამოიპოტნა, ხმასაც აუწია.

გავვოცდი: ვერაფრით წარმოვიდგენდი, ამდენი ძალა თუ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი.

ხმაურზე ფატიმაც მოირბინა, მუხლებთან მიუცუცქდა და შეევედრა:

— რა მოგივიდა, ბებია, ნუ ტირი, რა?!

ბებიას აღარაფერი ესმოდა. წინ თითქოს მიცვალებული უსვენიაო, გულმდუღარედ მოსთქვამდა:

— ეს ბალნები რომ შემომატოვე, რას ფიქრობ, პავლე, მე გავზრდი ამათ?!

...მოხდა, რისიც მეშინოდა: თებროს ყვირილი ჯერ ხავილად ექცა, მერე ხმა თანდათან ჩაუწყდა, უცებ ხელებიც ჩამოყარა, თავი უკან გადაუვარდა, თვალის კაკლები გამოაჩინა და მუხაზე მიყრდნობილი გვერდზე გადაიხარა. ის იყო უნდა წაქცეულიყო, სწრაფად ჩავიჩოქე და გულშეღონებული მკერდზე მივისვენე.

— თებრო ბებია კვდება, ვაიმეე!.. — იწივლა ფატიმ და ცეცხლშემონთებულივით იწყო ეზოში უაზრო სირბილი.

— წყალი მოიტა! — ვუყვირე მე. დოქი მომირბენინა. თებროს სახე დავუზილე წყლით, მერე ხელოვნურადაც ვასუნთქებინე. მოიბრუნა სული როგორც იქნა, ჯერ ოდნავ მოფეთქავდა? მოფერიანდა, მერე თვალიც გაახილა. ამასობაში მეზობლებიც გამოჩნდნენ. ხალამპრე მუკათა-

რიძეს, სალომე მაჭარაშვილს, პელაგია სისვაძეს სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედოთ, ხელჯოხზე დაყრდნობილები ძლივს მოხუსხუსდნენ, ფეხები უკან რჩებოდათ.

თებრო ავიყვანე და დერეფანში ლოგინზე წამოვაწვინე. ფატიმ საიდანღაც ვალერიანის წვეთები მომირბენინა. ვასუნთქებინეთ. დედაბერმა თანდათან მოიხედა, სათითაოდ შეგვათვალიერა. მომეჩვენა, თუ ასე იყო, არ ვიცი, ჩემზე შეაჩერა მზერა უფრო მეტხანს. თითქოს კიდეც ჩაეღიმა. ,

— ხომ არაფერი გინდა? — ჩაჰკითხა პელაგიამ.

არაო, თებრომ თავი ოდნავ შეანძრია. სულ მალე თვალი მილულა და ჩაეძინა. ფეხაკრეფით გამოვედით და ეზოში დავსხედით.

— ამ გამოყოლა ჯვარსწერილად იყო, ასე უცებ რა მოუვიდა, რამ დაზაფრა ეს უბედური! — თავი გადაიქნია ხალამპრემ სინანულით.

— კაია, რომ დაიძინა, ნერვები დაუწყნარდება, — თქვა პელაგიამ.

— თუ ძინავს, კი... — ეჭვი გამოთქვა სალომემ.

...მე დანა კრიჭას არ მიხსნიდა, დედაბერი მეცოდებოდა. თანაც სინდისი მქეჯნიდა: „მე რომ არ შევჩენოდი, გინდა თუ არა იტირეო, ავად სულაც არ გახდებოდა. მე ვარ დამნაშავე“.

უგუნებობა რომ შემატყვეს, ენა ტკბილად მომიქციეს: გახურებული ალოა, ვერ ვიცლით, ასეთ ძვირფას სტუმარს ყურადღებას ვერ გაქცევთ და არ დაგვძრახოთო...

ისაუბრეთ და მეც ახლავე მოვალო, გვითხრა ხალამპრემ და წამოდგა, ეზოდან გაცუხცუხდა. მალე დაბრუნდა, ხელში კალათი ეჭირა, რომელშიც ნაქუჩდაცობილ დოქს ყელი მოუჩანდა. აპა, დაფაცურდით, ქალებო, ამ კაი კაცთან პური გამატეხინეთ და მერე, რომ მოვკვდები, თუგინდ სულაც ნუ მიტირებთ, მაინც არ დაგემდურებითო, უთხრა დიასახლისებს. სუფრა ეზოში გაშალეს, ქვის მაგიდაზე. თამადობა ხალამპრემ ითავა. თითო ჭიქა რომ გადავკარით, მოვგუნებდით, ლაპარაკის სალერღელი აგვეშალა. თამადას რა სადღეგრძელოც არ უნდა ეთქვა, ბოლოს თებროზე მაინც ჩამოაგდებდა სიტყვას. მას არც ქალები ჩამორჩებოდნენ, ეპიზოდს ეპიზოდი მოსდევდა. მეც ეს მინდოდა. რვეული და ფანქარი მოვიმარჯვე.

## ხალამპრემ გაიხსენა:

აგერ იმ მთას რომ ვუყურებთ, იქ ერთი დიდი ხევია, ფართო ფერდობებით, საძოვარსაბალახოებით. ციცაბო კლდეები და ქარაფებიც ბევრია. ერთგან მჟავე წყარო ამოჩუხჩუხებს. წყალია, მარა რა წყალი: მომაკვდავმა რომ დალიოს, მოსულიერდება და ფეხზე დადგება. ოღონდ ცუდი ესაა: მიუდგომელია, ჯერ მისვლა ჭირს იმ წყაროსთან, მერე — მიბრუნ-მობრუნება. ძალიან ვიწრო [illegible] აქვს. პაპაჩემისგან გამიგონია, იქ წინათ ჯიხვები ჩამოდიოდნენ თურმე. ახლა ჯიხვები აღარაა, მარა ნახირში ჯიხვივით მარდი პირუტყვი თუ გამოერია, ისია ახერხებს მჟავე წყლის დალევას. სხვები კი იქით იშვიათად იხედებიან.

ეს ამბავი ომამდე მოხდა. შემოდგომის ერთ საღამოს ძროხა დაეკარგა თებროს. სოფლის მთელი ჯოგი დროულად დაბრუნდა შინ, მხოლოდ ის ერთი არა და არ გამოჩნდა. გადაირია თებრო. ჩემი ოჯახის მარჩენალს ხიფათი და უბედურება რომ შეემთხვეს, დავიღუპები და ის იქნებაო. ბიჭებიც რომ არ ჰყავდა შინ? თედოს და კოტეს საფქვავი წაუღიათ წისქვილში იმ საღამოს. მე კი ნათესავები მესტუმრნენ ქალაქიდან და აფორიაქებულ ქალს ყურადღება ვეღარ მივაქციე. თავი არც სხვა მეზობლებს შეუწუხებიათ. ხოდა, ამდგარა ეს ჩვენი თებრო და ძროხის საძებნელად მარტოდ-მარტო წასულა, დინარა კი რომელიღაც მეზობლისთვის დაუტოვებია.

— ჩემთან დატოვა, — დაემოწმა პელაგია.

— ხო, დატოვა და წავიდა. დილით თედო და კოტე წისქვილიდან რომ დაბრუნებულან და სახლი გამოკეტილი დახვედრიათ, პირკატა სცემიათ. ეს რომ გავიგეთ, ჩვენც შევშინდით და შევფიქრიანდით. ოღონდ ქალი გვეპოვა და ძროხას სულაც აღარ ვწუხდით. ახლო-მახლო ყველა ტყე და ხეობა მივიარ-მოვიარეთ, მარა რა დაგიკარგავს, რას ეძებ! ნათქვამი კაცს არ გაუკვირდება და, ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექით. აღარც თებრო, აღარც მისი ძროხა ცოცხალი აღარ გვეგონა. იმედი სულ მთლად გადაგვეწურა, გორაძირელმა კაცმა რომ შემოგვჩივლა: წუხელ, ნაშუაღამევს მგლების ყმუილმა არ დამაძინაო. ის კაცი სწორედ იმ მთის ძირას ცხოვრობდა, მჟავე წყლით რომაა განთქმული. ჩვენც სხვა რა გზა გვქონდა, იმ მთას მივაშურეთ. ხევს გულის კანკალით ვუახლოვდებოდით. გვეგონა მგლების ნამსუნაგევს და ნათარეშევს აწ ახლა წავაწყდებით, აწ ახლაო. ამ ყოფაში რომ ვართ, თედომ ხელი გაშალა და გახარებულმა შესძახა:

— აგერ დედა! ძროხაც!..

თედოს ხელს თვალი გავადევნეთ და გავვოცდით: თებრო და მისი ძროხა მჟავე წყაროსთან ისე ჩანდნენ, იფიქრებდით, კლდეზე მიუჯაჭვავთ და ოდნავი საძრაობაც არა აქვთო.

სულ მალე ყველაფერი გაირკვა. თებრო ძროხის ძებნაში სოფელს კარგა მანძილით გაშორებია. მერე მჟავე წყარო გაახსენდა თურმე. უფიქრია: მარცვალა მოუსვენარია, თანაც მსუნაგი და წუწკია, მჟავე წყლისკენ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება სულმა წასძლია და ახლა, ვინ იცის, იქნებ კლდეშია მომწყვდეულიო.

წასულა იმ ხევისკენ. კიდევ კაი, ფარანი ჰქონია, თვარა იმ ყიამეთში გზას ვერ გაიგნებდა. სულ მალე კლდიდან ძროხის ბლავილი გაუგონია. სიხარულმა ისე დამაბნია, ალარც მახსოვს კლდეზე რაფერ გავბობღდი და ჩემს მარცვალასთან რაფერ ამოვჩნდიო, გვითხრა თებრომ. გულისხმაში რომ ჩავარდნილა, ვითარებაც აუწონ-დაუწონია. იმ წკვარამ ღამეში ძროხის გამოყვანას რომ ცდილიყო, პირუტყვი ხევში გადაეჩეხებოდა და თვითონაც თან გადაყვებოდა, ალბათ. ესლა ულონებია: მიხუტებია ძროხას, ფეხზე დგომელად გავათენებო. ვინ აცალა!.. მგლების ყმუილი ჯერ შორიდან გაუგონია, მერე ეს შემზარავი ხმა თანდათან მოახლოებულა. რა დასამალია და, ჩავლილმა საფრთხემ ჩვენც დაგვზაფრა, კლდის გარშემო მგლების ნაჯარგალევსა და ნაფეხურებს რომ დავყურებდით. ბედად, კლდის კიდეში ვეება ხმელი წიფელი გდებულა. იქვე ქარის მიტანილი ფოთლები და ჩალაბულაც ყოფილა. თებროს უმარჯვია, ცეცხლის დანთება მოუხერხებია. ნადირი სწორედ ცეცხლით დაუფრთხია. გათენებულა და კიდეც წამოუწვიმავს. სველ მიწაზე ფეხი მომიცურდებაო, უფიქრია და გამოსვლა აღარც უცდია. იდგა და ადამიანის გამოჩენას ელოდა. კიდეც გამოვჩნდი. ქანჩახიდან თოკი გადავუგდეთ და რავარც იქნა, სამშვიდობოზე გამოვიყვანეთ. მზემ რომ მიაშუქა და მიწა გადააშრო, ძროხასაც ვუშველეთ.

**სალომემ გააგრძელა:**

ეს ამბავიც ომამდე მოხდა. ჩვენი თებრო, რაიონს იქით ფეხი რომ არასდროს გაედგა, გაგვეპარა ერთ დღეს, გაჰყვა მატარებელს და დილით უთენია თბილისში ამოჰყო თავი. ქმარი დაუჭირეს და იმიზა წევიდა, უნდა ვიხსნაო. წინა დღეებში შევხვდი. ტიროდა, თანაც იმუქრებოდა: გველის ხვრელში გავლა რომ დამჭირდეს, გევივლი და ჩემი საცოდავი პავლეს გულზე ფეხს არავის დავაბიჯებინებო. თბილისში თუ წევიდოდა, მაინც არ მეგონა. მისი მოგზაურობა რავა შეიძლებოდა! ბოდიში, შვილო, შენთან და... ორსულად იყო, მუცელი ცხვირზე ეკიდა.

— ძროხა მაინც როგორ დატოვა? — გავიკვირვე მე.

— ძროხას კიდევ რა უჭირდა, ბოშვები იყვნენ ცოდვა. შვილებს მუდამ კრუხივით იყო გადაფაფრული, თვალიდან არ იშორებდა. იმ დღეს კი დატოვა და წევიდა. ალბათ, ჭკუაზე აღარ იყო, თვარა რავა წევიდოდა. მეტის-მეტმა დარდმა იცის ასე, შეიძლება გონებიდან გადაგიყვანოს. ასეთ დღეში ერთხელ მეც ვიყავი... ბარემ გეტყვით, რავარც იყო...

— ჯერ თებროს ამბავი დოუმთავრე [illegible] კაცს! — უთხრა ხალამპრემ.

— კი, ბატონო!.. ის [illegible] წავიდა თებრო თბილისში. კი წევიდა, მარა ჩამოსვლას ნამეტანი დოუგვიანდა. მისი დედამთილი და მამამთილი გადარევაზე იყვნენ. დღე ერთი იყო და ათჯერ მაინც მოიმწუხრებდნენ ხოლმე: შვილის დარდმა მოგვკლა და ახლა რძალიც დავკარგეთ, რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ, ვის მივაკითხოთო.

საკანათურელმა კაცმა გვიშველა, უშველოს ღმერთმა. მოვიდა და გამოგვიყვანა სადარდებლიდან. თებრო ჩვენთანაა, კეთილად მოილოგინა, ისეთი გოგო ჰყავს, ავ თვალს არ დაენახვებაო.

თბილისიდან შინ მატარებლით რომ ბრუნდებოდა, თებრო საჩხერეში ჩამოსულა და გზას ფეხით გამოჰყოლია. ახლა ავტოები რომ დაჰქრიან აღმა-დაღმა წამდაუწუმ, ასე კი არ იყო მაშინ. დღეები ისე გავიდოდა, ჩვენს შარაგზაზე მანქანას ვერ ლაინახავდით. თებროს კაამალა მანძილი მშვიდობიანად გამოუვლია. საკანათურას რომ მოახლოებულა, მუცელი ასტკივებია. ერთხანს მაინც უვლია, იქნებ მოსახლეებამდე მივაღწიოო. ვერ მიუღწევია, მუხლმოდრეკილი ტყის პირას ჩამჯდარა. მეტყევეს უნახავს, ურემზე დაუსვამს და შინ მიუყვანია. მერე კი მის ცოლს უპატრონებია, გაახაროს ღმერთმა!

სალომემ შემომცინა:

— დინარაა სწორედ ის ქალი, მაშინ რომ დაიბადა. რაკი ტყის მცველის ოჯახში გაჩნდა, ბავშვობაში ტყიურას ვეძახდით. ზოგჯერ ახლაც წამცდება ხოლმე.

**კელაგიამ დაუმატა:**

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, რომ იტყვიან, სწორედ ასე მოუვიდა თებროს. შინ რომ დაბრუნდა ახალი მოლოგინებული, ჩვენს უბანში წითელა ბატონები ბრძანდებოდნენ. თურმე მის შვილებს ტანში ედგათ უკვე. ის კი სულაც არ ფრთხილობდა, ქმარზე ტიროდა და მოსთქვამდა. ხოდა, ბატონები გოუნაწყენდნენ, ბოვშვებს ხელი მაგრად მოჰკიდეს. წითლად რომ გამოფინა და მიხვდა საქმე რავარც იყო, მერე კი გამოფხიზლდა, მარა რაღა დროს: სიცხით გათანგულ ბოვშებს თვალის გახელა უჭირდათ. თედო და კოტე უკვე წამოყვინჩილებულები იყვნენ და ავადმყოფობას ასე თუ ისე უძალიანდებოდნენ. შოთა და თინა კი ბატონებმა ადვილად დეიბრიყვეს. საქმე იმანაც წაახდინა, ორივე და-ძმა მამას იყვნენ შემკვლელებულნი. ხოდა, ინატრეს: მამა მოგვიყვანეთო. მამას საიდან მიუყვანდნენ? ერთხელვე რომ დაიჟინეს, ვეღარ გადაათქმევინეს. სულ „მამა" და „მამა"! მამის ნატვრაში დალიეს სული საცოდავებმა.

მიცვალებულები მამამთილის სახლში გადაასვენეს. თებრო ქალ-ვაჟს იქ გლოვობდა უფროსი ბიჭების მალულად, მოთქმა-ტირილით გულს იოხებდა, მერე თედოსა და კოტესთან გაღიმებული შედიოდა, ბატონებს ებოდიშებოდა, უმღეროდა, უცეკვავდა... როგორც იქნა, გადაარჩინა ის ბიჭები, თუმცა ომში მაინც დაეკარგნენ

* * *

ვსაუბრობდით. თანაც მე და ხალამპრე ღვინოს ვაკურკურებდით ჭინჭილით. ქალებს თვალყური თებროსკენ ეჭირათ. გუნებიერად ძინავსო, უხაროდათ. რაკილა მშვიდად ძინავს, ჩანს, წელანდელმა ნერვიულობამ გაუარა და მომჯობინებული გაიღვიძებს-მეთქი, ვფიქრობდი და ერთი სული მქონდა, თვალს როდის გაახელდა, მაგრამ გაღვიძებას რატომღაც აგვიანებდა. რომ ჩაეძინა, დაბალი სადილობა იყო. მზე უკვე საშუადღეოზე წამოიმართა და გაღვიძებას კიდევ არ აპირებდა. ქალები კი ისევ და ისევ ფრთხილობდნენ, დერეფანში ფეხაკრეფით შედიოდნენ და გამოდიოდნენ, გუნებიერი ძილი არ დავურღვიოთო. ეჭვი ისევ ხალამპრემ გამოთქვა:

— ეს ჩვენი თებრო რას შვრება. გაღვიძებას აღარ აპირებს?

— ნეტავი, კიდევ დიდხანს იძინებდნენ. ძილში გამოკეთდება, — ადრე თქმული გაიმეორა პელაგიამ.

— მაგის ძილი მე რაღაც არ მომწონს, — მხრები აიჩეჩა სალომემ. — ღონემიხდილივითაა, სუნთქვაც თითქოს უჩერდება ზოგჯერ. სახე კიდევ მთლად მიტკლისფერი გაუხდა.

ხალამპრე უხმოდ წამოდგა და დერეფნისკენ წაცუხცუხდა. მეც მივყევი. თითქოს ჩვენს შესვლას ელოდაო, თებრომ ქუთუთოები ოდნავ შეარხია, წარბები მოჭმუხნა და სრულიად გარკვევით ამოილაპარაკა:

— გაჩერდი, კლდეზე არ გადამაგდო, ო დედო, ოო!..

— ის ღამე ესიზმრება, მჟავე წყაროსთან რომ გაათენა, მარცვალას ფერდზე მიხუტებულმა, — ჩამჩურჩულა ხალამპრემ და მერე დარწმუნებით თქვა: — ახლა მალე გაიღვიძებს.

ვერა, ვეღარ გაიღვიძა თებრომ. აღარც არაფერი უთქვამს. ოღონდ ეს იყო, დინარა რომ მოვიდა და აქვითინებულმა კოცნა დაუწყო, ყელის ძარღვი შეუთრთოლდა და მძიმედ ამოიხვნეშა. ეს იყო მისი უკანასკნელი ამოოხვრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მირიან მირნელი

* * *

ო, როდის იყო:
დილის ცვარჩაფენილ მტილში
მარწყვსა კრეფდა
წითელთავსაფრიანი ფეხშიშველა ლამაზი გოგო
და ხელკალათის ჭუჭრუტანებიდან
ისე იჭყიტებოდნენ პაწია მეწამული მზეები,
თითქოს შოშიის მშიერი პირდაფჩენილი ბარტყები
წიოდნენ და წიოკობდნენ ბუდეში...
. . . . . . . . . . .
მუსიკის გაკვეთილივით მახსოვს.

* * *

მიიკლაკნებოდა,
მიწკრიალ-
მირაკრაკებდა
მდინარე
ლაღად,
ამაყად
მიხვეულ-მოხვეული,
მიკიბულ-მოკიბული,
მიფხოჭნილ-მოფხოჭნილი
გზებით
და...
ჯვარს ვეცვ მე
ჩემი პირდაპირობით,
დედაო ღვთისავ!

* * *

ეზოში,
მშვილდივით გაბაწრულ თოკზე
ფრფინავდა, ფრიალებდა და
ფარფატებდა —
ჭიაკოკონიდან ამოვარდნილი
ნიავივით —

ბავშვის ლამაზი წითელი კოფთა.

წვიმის მოლოდინში
ქუხდა, ჭექდა და ელავდა ცა:
უფრო ელავდა,
ძოწსა და ყაყაჩოს ანთებდა,
ვიდრე ქუხდა და ჭექდა —
არ ჩამოხსნეს სანამ
წვიმის მოლოდინში
ბავშვის ლამაზი წითელი კოფთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მოვკვდები
და...
მთელი სოფელი
არც მაშინ გამაცილებს
უკანასკნელ გზაზე:
ერთი-ორი კაცი
ან ქეიფს შერჩება სადმე
გადაუხდელ ვალივით,
ან ტაშ-ფანდურს
გაწყვეტილი სიმივით:
იმათ მაინც გამორჩებათ
ჩემი სიკვდილი,
ვითარცა სარქალს ცხოვარი
სათვალავში —
სხვისი ფარიდან რომ შემოეხეტა.

* * *

ვნახე:
მარწყვი უდაბნოში
(ოაზისში)
მარწყვზე მეტი იყო,
გარნა გველიც
მარწყვიანში
გველზე მეტი იყო
და —
თაფლმწთოლვარეს რომ ველოდი —
მემწარა ქვეყანა.

* * *

მღერის ბავშვი —
პატარა მენახირე —
და ტყეებში და ბალახებში ილვრება
ცხრა მირონის ნაკადული
ცხრა რიონის წკრიალ-წკრიალით,
გარნა რად მგონია:
კიდევ უფრო მოკლეზე გვატარებდი —
სულ რომ ასეთი იყო, წუთისოფელო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილოვან ნარიმანიძე

## მიძინების ღამის სერენადა

დარეკავს ზარი, დაგიძახებენ,
ჩქარი ხომალდი გააპობს ნისლებს, —
შენც განემზადე, ვით იზრახებენ,
რომ ბრიყვთა გულებს აამო იქნებ...
რადგან იმ ძნელი განსაცდელისთვის,
დღეს აქ არავინ არ შეგიცოდებს,
ნაცნობ და უცნობ შეხვედრებისთვის,
შენც მიაშურებ მზეების შორეთს.
სული სავსეა ძლიერებით და იმედებით,
შორს არის შიში, ცრემლი, გოდება,
არც მღელვარება გადამფრენი თეთრი გედების,
როდესაც გჯერა, მოსახდენი მაინც მოხდება!
ამ ბობოქარი წუთისოფლით გარინდებული,
უსასრულობის ჟამი სწრაფად მიექანება,
სად ჟინი ჰკივის განრისხებული,
და დროის ვნება გაყიდული,
        დნება ცრემლებად.
შემოიჭრება ცის ხომალდი,
        სულ ერთი წამით,
შესდგება, თან რომ წაიყოლოს მგზავრი მრავალი,
მიწას ბლავილით მოასკდება, ვით შლეგი ქარი,
ძახილი ბნელი შორეთისა, სულის მზარავი.
მაშ განემზადე,
        გულის კარი გაუღე სტუმარს,
მას არ აფიქრებს, თუკი სადმე განრისხდებიან,
როცა სრულქმნილი არსებანი მარადის სდუმან —
და ოკეანის ღრმა ზვირთებში შთაინთქმებიან.
ერთგულებისთვის ერთგულება გწამდეს ბოლომდე,
რამდენი მოსწყდა ცის კამარას,
        ლურჯფერებიანს,
კაცზე არ დაგწყდეს გული, რადგან,
        მასაც, როგორც შენ,
გულწრფელი გრძნობით არავინ არ მოფერებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ განემზადე,
მზეს შეხედე ხალისიანად.
ხომალდის ხმები შემოიჭრა
მყუდრო კარავში,
მწვერვალთა იქით ამოენთო იგი მთლიანად,
რომ გადაგკარგოს ზღვების იქით,
ცის სამალავში...
ბევრი ძვირფასი მეგობრები ლანდად ჩნდებიან. —
მათი სახება იბინდება მოგონებებში,
გუშინ არ იყო, გვიყვებოდნენ
ამბებს ვნებიანს,
გუშინ არ იყო,
ქინით კლავდნენ დღეებს ვნებებში.
ყველას შეხვდები, ყველას ნახავ
და გაკვირდები,
სად იყვნენ დღემდე, რომ ალარსად ალარ ხვდებოდი,
ო, მეგობრებო, რა იქნება ძველი დიდებით,
კვლავ მოვილხინოთ,
როცა გულით ვხალისდებოდით.
გამოიქროლებს შავი მერანი,
რომ გაგიტაცოს, როგორც ცა ელვას, —
მის სრბოლას მისწვდეს, ქვეყნად ვერავინ,
სულ სხვა ეშხი აქვს მიმქროლავ მერანს.
ხომ ისმენ გუგუნს, — მრავალჟამიერს,
მღერიან, ეს ხმა სივრცეებს იპყრობს,
მწვერვალებს სწვდება, ცის დასალიერს,
მოიცავს, ჟამი რომ განაცვიფროს...
ბევრი იშრომე, ყამირს ხნავდი, სიკეთე სთესე,
ახლა მიგელის შორი ზესკნელი,
გასწი იმედით,
გულს ტკივილი ნუ აგიკვნესებს,
თუმცა ღამის გზა იქნება ძნელი.
შეენაცვლება მეხთა რიდეს წვიმა და ქარი,
ქარიშხლის გრგვინვა, ყინვა და თოვლი,
მნათობთა ბრწყინვა — მთვარეული სხივი ნარნარი,
ქროლვა შორეულ ნისლეულში მზის დასთა შორის...
ტკივილი, ცრემლი, სიხარული, შავი უფსკრული,
უსასრულობა გარინდებულ დღეთა უბეში,
დაეშვებიან ღამეები, როგორც რუსხმული,
ამაო არის გოდება და ცრემლით ნუგეში.
ჩასაფრებულა ბედისწერა, ვით ლეოპარდი,
ნუ დაობ ბედთან,
მოსახდენი მაინც მოხდება,
ვარსკვლავებს მოჰყვა,
შემოიჭრა ღამის ხომალდი,
უფრო და უფრო გიახლოვდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლატონ ბებია

# ჭარი

მტრის ჯარისკაცს ტყვე მიჰყავდა
          და ტყვეს ბეჩავს უგრძნო გულმა.
რაც ელოდა —
          რომ უწია უსათუო აღსასრულმა.
ბედისწერამ აფთარივით რომ უყელა,
          კარგად ხედავს
და ტყვე ფიქრობს:
          „ჩემს მწარე ხვედრს თუ გაიგებს
                    ვინმე ნეტავ?..“
და სულს შუქი ენატრება,
          სულს სწყურია ლაღად ქროლა,
უცქერს, ცქერით ველარ ძღება —
          ველზე მოლი მწვანედ ბოლავს.
სუნთქავს, ფილტვი ველარ ძღება,
          ამო ქრუოლა ტანში უვლის,
მტრის ბადრაგს კი დასახვრეტად
          მიჰყავს იგი — განწირული.
მინდვრის კიდეს მიაღწიეს
          და შეჩერდა როცა ორთავ, —
დახვრეტილი მეგობრების გვამის სუნმა შეაშფოთა.
ხმა უგულო გამცილებლის ამაზრზენად არის მშვიდი:
— აბა, თხარე აქ სამარე
          საკუთარი, მიდი, მიდი!
და ბრჯღალებით ჩაეხლართა
          ტარს ბარისას, საჟენიანს, —
ეჰა, ღმერთო, რა ხანია
          იგი ხელში არ სჭერია!
ფიცხლად დაჰკრა ბარი მიწას
          და... სურნელი ეცა მიწის,
დაავიწყდა გლეხს ყოველი,
          მოსდებია ალხი, იწვის!..
თითქოს საფლავს, თავის საფლავს,
          შავ სამარეს კი არ სჭრიდა, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაშლს ურგავდა შთამომავალთ...
და სდიოდა ოფლი წმიდა.
თხრიდა მიწას, როგორც ადრე, —
შეუცნობი სიხარულით
და ცრემლები უმდუღრავდა ღაწვებს,
დარდით დაღარულებს.
მთვარე — უფლის სანათური,
ღამის კარავს დაეკიდა,
არ აცილებს თვალს ბადრაგი,
ტყვეც განაგრძობს საქმეს მშვიდად.
თხრის გულდაგულ. გაზინზლულა,
შავ მიწაში ამოსვრილა...
არა, ჟამის შეყოვნება
ტყვეს აზრადაც არ მოსვლია.
თითქოს საფლავს, თავის საფლავს,
შავ სამარეს კი არ ჭრიდა, —
ვაშლს ურგავდა შთამომავალთ
და სდიოდა ოფლი წმიდა.
თითქოს სიკვდილს იქვე, გვერდით
არ სჭეროდეს ცელი ხელში,
ბარი ისე ჩაებღუჯა, ტრიალებდა იმგვარ ეშხით.
საფლავს თხრიდა, მაგრამ ისე
გატაცებით თხრიდა, თხრიდა,
რომ ბადრაგის სულში ნელ-ნელ
გაკრთა რაღაც შუქი წმიდა
და... ჰაერში გაისროლა,
ცის გახია თალი ტყვიამ.
ტყვე შეცბა, ტყვე სახტად დარჩა,
დაავიწყდა ტყვეს, რომ... ტყვეა!

თარგმნა **ბივი ზერაიამ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პერ ლაგერკვისტი

# ს ი ბ ი ლ ა

მოთხრობა

მთის ფერდობზე, რომლის ძირას დელფო გადაჭიმულიყო, განმარტოებულ ქოხში გონებასუსტ ვაჟიშვილთან ერთად დედაბერი ცხოვრობდა. ქოხი სულ პატარა იყო, უკანა კედლის მაგივრობას უწევდა ჩამოთლილი მთის ფერდი, საიდანაც გამუდმებით ნესტი ჟონავდა. ეს უბადრუკი ქოხმახი, ოდესღაც მწყემსებს რომ აუშენებიათ, შიშველ ფერდობს ობლად აკვროდა და ქალაქსა და ტაძრის წმინდა მიწას მაღლიდან დაჰყურებდა. დედაბერი ქოხიდან იშვიათად გადიოდა, ვაჟიშვილი — არასოდეს. იგი ბინდბუნდში იჯდა და რაღაც თავისას ულიმოდა. ასე იჯდა და მთელი ცხოვრება ასე ილიმებოდა. ახლა მას ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა და გაბურძგნულ თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა. სახე სულ არ გამოსცვლოდა. ისეთივე დარჩენოდა, როგორიც მთელი ცხოვრება ჰქონდა. — ქოსა იყო, შეღინღლული, ახალშობილის პირველქმნილ, გლუვ ნაკვთებში უცნაური ღიმილი ჩაჰკვდომოდა. დედაბერს კი პირქუში და დანაოჭებული პირისახე ისე ჩაშავებოდა, თითქოს ცეცხლს შეუტრუსავსო, ოღონდ მის მზერაში გამოსჭვიოდა ადამიანი, რომელსაც უფლის ხილვა შეეძლო.

ისინი ქვეყნისაგან მოწყვეტილნი ცხოვრობდნენ; მათთან არავინ მიდიოდა, ახლოსაც კი არ ეკარებოდნენ. რამდენიმე თხა ჰყავდათ, თანაც დედაბერი მთაში ფესვებსა და ბალახებს აგროვებდა და ამით იკვებებოდნენ, სხვათა დახმარების იმედი არც ჰქონდათ, რადგან მათი ცნობა არავის უნდოდა.

ქოხს შესასვლელი ხეობისკენ ჰქონდა მიქცეული. დედაბერი ხშირად იჯდა ზღურბლზე, ნიშის ბინდბუნდში და დიდი ხნის წინ მისგან მიტოვებულ ქვეყანას ჩასცქეროდა. ყველაფერი თითქოს ხელისგულზე ედო: ქალაქი, სადაც თავისი საზრუნავით გართული ხალხი სახლებს შორის დაძრწოდა; წმინდა გზა, სადაც პილიგრიმები ტაძრის მოედნისაკენ საზეიმოდ მიაბიჯებდნენ; საკურთხეველი უფლის სავანის წინ, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ — ეს ყველაფერი კარგად ნაცნობი იყო მისთვის. ხანდახან კი, დილით, ალიონზე ხდებოდა სწორედ ის, რაც დედაბრისთვის ყველაზე ახლობელი იყო და ყველაზე უკეთ იცოდა. ტაძრის მოედანი ჯერ ცარიელია, მას მსახური ბიჭუნა ხვეტავს და ტაძრის შესასვლელს უფლის წმინდა ჭალიდან მოტანილი ხასხასა დაფნის რტოებით ამკობს. მთელი ხეობა აღმოსავლეთის მთების მიღმა ახლად ამოსული მზის ნათელი შუქითაა მოფენილი. წმინდა გზას, ორი ქურუმის თანხლებით ნელა მიუყვება მთის ნაპრალიდან გადმოდენილ წყაროში ახლად განბანილი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ტაძარს მოწიწებით შესცქერის. მას პატარძლის, მდიდარი პატარძლის სამოსი აცვია. მსახური ბიჭუნა ქალს ტაძრის კართან ეგებება, წმინდა წყალს აპკურებს და ისიც განწმენდილი შედის ღვთის სავანეში, რათა უფლის ძლიერი სულით აღივსოს.

უხსოვარი დროიდან ასე იყო, ახლაც ასე გრძელდებოდა. დედაბერი ქოხის ზღურბლზე იჯდა და ყველაფერს ბებერი თვალებით უმზერდა. მის ზურგს უკან კი, სიბნელეში, ჭაღარათმიანი ვაჟიშვილი, ახალშობილის სახეზე ღინღლი რომ წამოზრდოდა, იჯდა და ილიმებოდა.

ერთხელ, საღამოხანს, სწორედ მზის ჩასვლის წინ, მთის ბილიკზე, რომელიც ქალაქიდან ამოდიოდა, კაცი გამოჩნდა. უცნაური აქ არაფერი იყო, ხალხი ხანდახან მიეშურებოდა მთის საძოვრებზე, სადაც მათ ნახირს მწყემსავდნენ. ბილიკი ქვემოთ, ქოხისაგან საკმაოდ მოშორებით მიემართებოდა. ამჯერად კი ისეთი უცნაური რამ მოხდა, დედაბერი განცვიფრებული დარჩა. კაცმა უცებ გადაუხვია გზას და დაქანებულ ფერდობზე ამობობღდა. მსგა-

ვსი რამ არასდროს მომხდარა, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ბილიკისთვის გადაეხვია და მისი კოხისკენ აელო გეზი. აბა, აქ ვინ უნდა მოსულიყო. ადამიანი ძლივს მობობღავდა ქვიან და შვავიან ფერდობზე, იქნებ არც კი იცნობდა აქაურ ადგილებს. თავის ბუდეში შეყუყული დედაბერი კაცს ბებერ თვალებს არ აშორებდა.

ადამიანი სულ ახლოს მოვიდა და დედაბერმა მისი სახეც გაარჩია. იგი არ იცნობდა კაცს, თუმცა ის ხომ აღარავის იცნობდა, არავის იმათთაგან, ვინც ახლა ცოცხლობდა. კაცი საკმაოდ ტანმაღალი გახლდათ, ხშირი, გრძელი, მხუბუქი წვერი ადგილობრივი წესისამებრ არ ჰქონდა შეკრეჭილი. ფერმკრთალი, სისხლისაგან დაწრეტილი ლოყები ჰქონდა, სულ ახალგაზრდა კაცი იყო, ალბათ შუახნისაც არ იქნებოდა და აღმართის დაძლევა მაინც აშკარად უჭირდა.

კაცი მიუახლოვდა და მიესალმა, ოღონდ არა ისე, როგორც ამ მხარეში იყო მიღებული. შემდეგ ქოხის გვერდით, ქვის მერხზე დაეშვა, მძიმედ დაილაპარაკა და სიტყვის შერჩევა აშკარად გაუჭირდა. დედაბერი დარწმუნდა, რომ იგი შორიდან მოსული, უცხოელი იყო. მის მძიმე გამოხედვასა და თვალთა გამომეტყველებაში რაღაც უცხო გამოსჭვიოდა. ახალგაზრდა კაცს ბებერი თვალები ჰქონდა, თუმცა ეს შეიძლება თვისტომთა ზიარი კი არა, პირადად მისი გამომეტყველება ყოფილიყო.

იგი დელფოში ჩამოვიდა, რათა ორაკულისთვის ძალზე მნიშვნელოვანი შეკითხვა მიეცა, მაგრამ დაითხოვეს, ორაკულისთვის შეკითხვის უფლება არ მისცეს, ტაძრის სიღრმეში მდებარე დარბაზში, სადაც მავედრებელნი იყრიან თავს, არ შეუშვეს. შენი შეკითხვა უპასუხოაო, ასე აუხსნეს. ვერც ერთი ორაკული პასუხს ვერ გასცემსო.

გულდამძიმებულმა დასტოვა ტაძრის მოედანი და მთელი დღე ქალაქში იხეტიალა. დროდადრო ფიქრობდა დელფოს დავტოვებო, რადგან აღარაფერს ელოდა და სულ ერთი იყო, საით გასწევდა, მაგრამ როგორღაც, ქალაქის ულარიბესი უბნის ერთ ბინძურ შესახვევში ბრმა მათხოვარს გადაეყარა. ეს გადალრძუებული ბებერი კუთხეში იჯდა, აკანკალებული ხელი წინ გაეწვდინა და მოწყალებას იმედით ელოდა.

ამ შესახვევში ალბათ ყველა ერთნაირად ღატაკი ცხოვრობდა და უცნაური იყო მათხოვრის დანახვა. თავად მიამბო, ადრე ტაძრის მოედანსა და წმინდა გზასთან ვთხოულობდი მოწყალებას, ახლა კი იქ მისასვლელად ჯანი აღარ მყოფნისო. ასე გაიბა საუბარი და მეც ვუამბე ჩემი საზრუნავი, ჩემი ხანგრძლივი და ამაო ყარიბობის ამბავი. ისიც ვუამბე, თუ როგორ დამწყდა გული, როცა გავიგე ორაკული ჩემს შეკითხვას ვერ უპასუხებდა. მან თანაგრძნობით, თანადგომით მომისმინა. თუმცა უცნაურად მოეჩვენა დელფოს ორაკულ[illegible] პასუხის გაცემა რად არ შეუძლ[illegible]ბა ძალიან თავსატეხი შეკითხვები გაქვს", მითხრა ბოლოს.

მათხოვარი ცოტა ხანს დაფიქრდა და დაამატა, მგონი არსებობს ერთი ადამიანი, რომელიც დაგეხმარება და ნებისმიერ, თუნდაც ურთულეს კითხვაზე გიპასუხებსო. შემდეგ მიამბო: მაღლა მთებში დელფოს ორაკულის ბებერი ქადაგი ქალი, ძველი პითია ცხოვრობს, რომელიც ყველამ შეაჩვენა და შეიძულა, რადგან ღვთის წინაშე მოვალეობას უღალატა ტაძრის, ღმერთისა და ყოველივე წმინდას წინაშე უღალატა თავის მოვალეობას და მაინც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული უდიდესი სიბილა იყო. დელფოს ორაკულის ვერც ერთი ქადაგი მას ვერ შეედრებოდა, ასე არც ერთი არ უყვარდა უფალს, ასე არც ერთი არ იყო ღვთით ატანილი; ფართოდ განხმული ბაგეებით წარმოთქვამდა წინასწარმეტყველებას და ვერავინ უძლებდა მის დანახვას, როცა თავის უფალს ნებდებოდა. ქალის პირიდან უზენაესის ძლიერი სუნთქვა ამოსკდებოდა და ამბობენ მისი სიტყვები აბობოქრებული ცეცხლივით მძვინვარე იყოო. აი, ასე უყვარდა იგი უფალს. მრავალი წლის მანძილზე უზენაესი მხოლოდ ამ ქალის მეშვეობით ქადაგებდა და სხვა არავინ სურდაო.

შემდეგ ღვთისა და ხალხის წინაშე ქალმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა და თავიც დაიღუპა. ქვებითა და მარგილებით შეიარაღებულმა, გახელებულმა ბრბომ იგი გააძევა ქალაქიდან და შეაჩვენა ხალხმაც და ცხადია, ღმერთმაც, რომელსაც უღალატა. „პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ეს ამბავი მოხდა, — თქვა მოხუცმა. — თუმცა დღეს მის ამბავს აღარავინ ყვება და მის სახელსაც აღარავინ ახსენებს, მაინც ამბობენ ჯერ კიდევ ცოცხალია და გაძევებული მთებში ცხოვრობსო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება, რადგან მასავით ვინც დაუახლოვდება ღვთაებას, იმისთვის სიკვდილი იოლი საქმე არ უნდა იყოს. ამ ქალში ალბათ, დღემდე იმალება განსაკუთრებული ძალა. უზენაესი აღარ მიატოვებს, ვისაც ერთხელ ჩაუსახლებს თავის სულს და თუნდაც შეჩვენების სახით მასში კვლავ დაიბუდებს.

„წადი, მოძებნე, ის გაგცემს პასუხს შენს შეკითხვებზე, თუმც შეიძლება თავზარი დაგცეს მისმა სიტყვებმა".

მათხოვარმა აკანკალებული ხელი მაღლა, ამ მთისკენ გამოიშვირა და თუმცა ბრმა იყო, მაინც სწორად მიჩვენა მიმართულება.

ის კი, ვისაც კაცი სიტყვით მიმართავდა, ისევე უძრავად დარჩა, როგორც მთელი თხრობის მანძილზე იჯდა. სახეზე ნაკვთიც არ შერხევია, სულის ფარული მოძრაობა არაფრით გაუცია. კაცი კი, განცვიფრებული, დაჟინებუ-

ლი ყურადღებით ჩასცქეროდა ჩაშავებულ, დანაოჭებულ პირისახეს, თითქოს სურდა წაეკითხა უძველესი წიგნი, რომელიც ერთი შეხედვით მკაფიოდ იყო ნაწერი და მაინც ასე რთული წასაკითხი აღმოჩნდა. უძველესი ენით იყო იგი ნაწერი, ენით, რომელსაც დღეს აღარავინ ხმარობდა.

დედაბერი დიდხანს იჯდა ასე თავის თავში ჩაძირული, არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა და დუმდა.

— რა უნდა გეკითხა ორაკულისთვის? — ისე წარმოსთქვა ბოლოს, თითქოს ფიქრებისგან გამოერკვაო.

— ჩემი ხვედრის გაგება მსურდა, — უპასუხა კაცმა.

— ხვედრის?

— ჰო, ჩემი ხვედრის, როგორ ცხოვრებას გავლევ ან წინ რა მომელის.

— ამას ხომ თითქმის ყველა კითხულობს, ყველას მხოლოდ ეს აინტერესებს. შენი ხვედრი რილათია ასე აღსანიშნავი? იქნებ განსაკუთრებული მოხდა რამე?

—ჰო,მოხდა.

და მან უამბო რა უჩვეულო ამბავი გარდახდა თავს. უამბო ის შემთხვევა, რომელიც ასე ღრმად შეიჭრა მის მეხსიერებაში და სხვა აღარაფრისთვის დატოვა ადგილი, შემთხვევა, რომელიც თავს არასოდეს ანებებდა და რომელმაც აიძულა ჯერ დელფოში, შემდეგ კი აქ, ამ მთაზე ამოსულიყო, რათა პასუხი ეპოვნა და სულის რაღაც მშვიდობა მაინც მოეპოვებინა.

— ახალგაზრდა ცოლსა და პატარა ვაჟიშვილთან ერთად ბედნიერად ვცხოვრობდი ქალაქში, სადაც გავჩნდი და სიცოცხლის ბოლომდე ვაპირებდი დარჩენას, — დაიწყო კაცმა. — შემოსავლიანი საქმე და მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული სახლი მქონდა. თუმცა მდიდარი არ გახლდით, არც გაჭირვება მაწუხებდა, მომავალს თვალს მშვიდად ვუსწორებდი და უშფოთველად ვცხოვრობდი. ერთი შეხედვით ყოველივე კარგად მიდიოდა.

ერთხელაც ჩემი სახლის კართან ვიდექი და დავინახე: — უცხო კაცი მოჩანჩალებდა, ზურგით კი თავისი ჯვარი მოჰქონდა. ეს არც გასაოცარი იყო, არც უჩვეულო; ჯარისკაცები ხშირად ჩაატარებდნენ ხოლმე ჩემი სახლის წინ განკიცხულებს, რომელთაც ჯვარზე გაკვრა ჰქონდათ მისჯილი. სასჯელის აღსასრულებელი ადგილისაკენ მიმავალი გზა ჩვენს ქუჩაზე გადიოდა. რაიმე განსაკუთრებული ან თვალში საცემი არც ადამიანს ეტყობოდა. იგი ფერმკრთალი, სუსტი და ღონემიხდილი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ ერთი წამით შეჩერდა და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ჩემი სახლის კედელს მიეყრდნო. არ მომეწონა, ვიფიქრე, ეს უბედური კაცი, სიკვდილმისჯილი ნეტავ აქ რას დამდგარა, ჩემს სახლს უბედურება არ დაუკვებოს-მეთქი და ასეც ვუთხარი, წადი შენი გზით, არ მინდა აქ რომ იდგე-მეთქი.

კაცი ჩემკენ შემობრუნდა და როცა კი მისი პირისახე ვიხილე, მივხვდი, ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო. მასში ჭეშმარიტად რაღაც განსაკუთრებული იმალებოდა, თუმცა ვერ აგიხსნით ასე რად მომეჩვენა. მისი სახის ნაკვთებში ბოროტება არ ბუდობდა და ვფიქრობ, ჩვეულებრივ, ალბათ, მოკრძალებითა და მორჩილებით იყო აღსავსე, მაგრამ იმ წუთას მისი სახე ამგვარი როდი გახლდათ — ისეთი მბრძანებლური და საზარელი იყო, არასოდეს დამავიწყდება. „რადგან შენი სახლის კედელზე თავიც არ მიმაყრდნობინე, შენი ბედკრული სული ვერასოდეს ეზიარება ნეტარებასო", — მომაძახა.

მისმა სიტყვებმა გამაოგნა, გულზე მომხვდა და თავი რაღაც ცუდად ვიგრძენი. ჯარისკაცებმა კი მხოლოდ გადაიხარხარეს და რადგან მისი შეჩერება თავადაც არ მოეწონათ, ერთი შეუძახეს და წინ გაიგდეს, მაგრამ, სანამ თავის ჯვრიანად გზას გაუდგებოდა, კვლავ მომიბრუნდა და მრისხანედ მითხრა: „რადგან ამაზე უარი მითხარ, ჩემზე საზარელი სასჯელი მოგელის. შენ არასოდეს მოკვდები, ამ ქვეყანაზე უკუნითი უკუნისამდე იხეტიალებ და ვერასოდეს მოიპოვებ სულის მშვიდობას".

შემდეგ კვლავ წამოიკიდა ჯვარი და ქუჩას გაუუყვა, სანამ ქალაქის ალაყაფს არ მიეფარა.

მე კი კვლავ ვიდექი და სულში უცნაური გრძნობა ჩამისახლდა, თითქოს რაღაც დამემართა, რაღაც ისეთი, ჯერ რომ ვერ გავერკვევოდი და ვერც ჩემს თავს, ვერც სხვებს ავუხსნიდი. მაგრამ ასე კი იყო. მეზობლებმა კაცის სიტყვები გაიგონეს, ისიც იხილეს, რომ გონებადაფანტული ადგილიდან ველარ ვიძროდი და მითხრეს, ნეტავ რას ნაღვლობ, ვიღაც ჯვარს გასაკრავი ბოროტმოქმედის სიტყვებს რა მნიშვნელობას ანიჭებ, განა არ იცი, რომ ასეთებს შეჩვენება და მუქარა უყვართ, ყველაზე და ყოველზე გაბოროტებულნი არიან, რადგან სიცოცხლეს ეთხოვებიან, მათ ხომ ყველაფრის დაროშვა შეუძლიათ, განა ამას მნიშვნელობა უნდა მიანიჭოო.

ცხადია, მესმოდა, რომ მართლები იყვნენ. ცოტა დავწყნარდი, როცა დავინახე, ამ ამბავს როგორ უყურებდნენ, მეხუმრებოდნენ და მხოლოდ მხრებს იჩეჩავდნენ. მეც გავმხიარულდი, მეზობლებს გავესაუბრე, ჩემს საქმეებს მივუბრუნდი და შევეცადე, ამაზე აღარ მეფიქრა.

და მაინც, მომხდარი ამბის მთლად დავიწყება ვერ შევძელი. როგორ არ ვებრძოდი, ხანდახან მოგონება თვალწინ წამოტივტივდებოდა. დრო გადიოდა, ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა. ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. მაგრამ მისი სიტყვები ჩემში დარჩა, შინაგანად მეხმიანებოდა; ვილაც ისევ და ისევ მიმეორებდა — ვინ

მიმეორებდა? იქნებ თავად ვუმეორებდი ჩემს თავს? არ ვიცი, მაგრამ მესმოდა, ნათლად და გასაგებად მესმოდა. ვერც ის გამეგო, რად ვიხსენებდი, ხომ ვიცოდი, რომ ეს არაფერს, სრულიად არაფერს ნიშნავდა, რომ ეს სიტყვა მხოლოდ წამოცდა ჩემთვის უცნობ ბოროტმოქმედს, რომელსაც ჩემი სახლის კედელზე თავის მიყრდნობის უფლება არ მივეცი. სულ ეს იყო და ამისთვის მნიშვნელობის მინიჭება სიბრიყვე გახლდათ. მაშ, რად ვერ ვივიწყებდი?

მტკიცედ მწამდა, ხვალ ნაღდად აღარ მემახსოვრება-მეთქი. მაგრამ დილით ისეთი გრძნობით გამეღვიძა, თითქოს რაღაც დამემართა. ძილბურანში შინაგანმა ხმამ კვლავ გამიმეორა მისი სიტყვები და ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, შემახსენა განაჩენი, რომელიც გამომიტანა — ვინ გამომიტანა?

საწოლიდან წამოვდექი, კვლავ ჩემს თავს დავემგვანე და ჩვეულებისამებრ მუშაობას შევუდექი, მაგრამ უხალისოდ ვმუშაობდი, მე, რომელიც მუდამ ხალისიანი შრომით გამოვირჩეოდი. ამჯერად ერთ ადგილზე მშვიდად ვერ გავჩერდი, საქმე მივატოვე და სახლში უაზროდ დავეხეტებოდი. გული ვერაფერს დავუდე. ეს მეუცხოვებოდა, ადრე სხვანაირი ვიყავი.

დღითი დღე ასე გრძელდებოდა; შესამჩნევად გამოვიცვალე, ჩემს თავს ველარ ვცნობდი.

არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, სანამ ჩემამდე ამ უცნაურმა ხმამ მოაღწია: ის, ვინც ჩვენი ქუჩის გავლით ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს, ღმერთის შვილი იყოო. ხმამაღლა ამას არავინ ამბობდა, მაგრამ ქალაქში ხალხი ჩურჩულებდა და ამ ამბავს ერთმანეთს საიდუმლოდ უმხელდა. ისინი, ვისაც ეს დანამდვილებით უნდა სცოდნოდა, ესე იგი, ვინც ირწმუნა მისი, როგორც ჩანს იმალებოდნენ და საჯარო დასტურს ვერ ბედავდნენ, მაშინ ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ. ალბათ, ცოტანიც იყვნენ. ქალაქის უმეტესობამ ცხადია, ეს ჭორი არ დაიჯერა და გულუბრყვილო გამოგონებად ჩათვალა, ხოლო მისმა მსაჯულებმა მკრეხელობად გამოაცხადეს.

უფლის ვაჟიშვილი... სადაური ვაჟიშვილია, ტყუილია ალბათ, ვარწმუნებდი ჩემს თავს. სასაცილოა. სისულელეა. უფლის ვაჟიშვილი? შემდეგ გამოკვლევა დავიწყე, საიდან წამოვიდა და ვინ ავრცელებდა ამ ხმებს. ცხადია, ისინი ავრცელებდნენ, ვინც მისი ირწმუნეს, სწორედ ისინი, ახლა რომ იმალებოდნენ. ერთხმად ამტკიცებდნენ სასწაული მოხდაო, თანაც არაერთი სასწაული, რაც ადასტურებს, რომ ეს ჭეშმარიტებააო. ისიც ხომ სასწაულია თავად რომ ვირწმუნეთ და უბრალოდ ვ ი ც ი თ, გულით ვგრძნობთ, რომ ღმერთის შვილიაო. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სასწაული მათთვის სწორედ ეს იყო. მაგრამ თავად ხალხი დიდ ნდობას არ იმსახურებდა და მისი სიტყვებისათვის ყურის მიგდება არ ღირდა.

მეზობლებს სიტყვა ჩამოვუგდე: — თქვენ რას ფიქრობთ ამ ხმებზე, თითქოს ის ბოროტმოქმედი — თუ კიდევ გახსოვთ, აი, ის, წინ რომ ჩაგვიარა თავისი ჯვრითურთ, — თითქოს ის ღმერთის შვილი იყოს-მეთქი. ამ ამბისთვის მეზობლებსაც მოეკრათ ყური, მაგრამ სისულელედ და უაზრობად თვლიდნენ.

— მგონი, ბევრს სჯერა, — ვამბობდი მე.

პასუხად მხრებს ისე იჩეჩავდნენ, ვითომ ქვეყანაზე სულელების მეტი რა არისო.

— შენ რა, კიდევ მის სიტყვებზე ფიქრობ? — სიცილით შემეკითხა ერთი მეზობელი.

— ცხადია, არა, — ვუპასუხე და მეც გავიცინე. — ჭკუა ხომ არ დამიკარგავს, საქმე არაფერი მაქვს ამაზე ვიფიქრო.

ვითომ სიმართლე ვუთხარი? ვითომ აღარ ვფიქრობდი? თქმით ყველაფერი შეიძლებოდა მეთქვა, მაგრამ ასე რად შევიცვალე, სულით დავეცი, ხალისი დავკარგე, ყოველივე ასე უაზრობად რად მეჩვენებოდა? ასე რად მოხდა? ჩემშიც და ირგვლივაც ყოველივე ცარიელი და ნაღვლიანი რად იყო? ადრე ხომ ამგვარი გრძნობა არასოდეს განმიცდია. მაინც რა შეიცვალა ჩემში? ასეთი რად გავხდი?

მახსოვს ერთხელ სასეირნოდ წავედით და ქალაქის კარიბჭის მიღმა აღმოვჩნდი. ჩემთვის კარგად ნაცნობ, მადლიან ადგილებს, ვაზითა თუ ყანებით, ზეთისხილისა და ლეღვის ხეებით მოფენილ მხარეს მივაშურე, მაგრამ გაკვირვებული დავრჩი რა უფერული და უსიხარულო მეჩვენა გარემო წინათ მუდამ რომ ახალისებდა ჩემს მზერას. ჩახჩახა დღე იდგა, მე კი მეგონა უკვე მოსაღამოვდა-მეთქი და რა ვიხილე ეს უფერული და უდაბური ადგილები, შეუცნობელმა სევდამ დამრია ხელი. ეს რას ნიშნავდა? რა დამემართა?

ნუთუ ჩემი სამყარო ასეთი გახდა, სამყარო, რომელშიც ამიერიდან უნდა მეცხოვრა?

ჯერ კიდევ მახსოვს უკან, ქალაქში, ჩემს სახლში რა დამძიმებული ფეხებით ვბრუნდებოდი.

ცოლისათვის მაშინ ჯერ კიდევ არაფერი მქონდა ნათქვამი, არ მსურდა მეთქვა. მაგრამ ქალი, ვფიქრობ, თავადაც ხვდებოდა, რომ რაღაც მემართებოდა. ანკი როგორ ვერ მიხვდებოდა?

ბოლოს და ბოლოს ჩემს საიდუმლოებასთან განმარტოვება ველარ ავიტანე, მეტი ველარ გავძელი. ცოლთან წავედი იმ ოთახში, სადაც ჩვეულებრივ ამ დროს ატარებდა, რათა ყოველივე მეამბნა.

იგი ჩალის ჭილოფზე იწვა, ბავშვს ეთამაშებოდა და ისე გამოვიდა, თითქოს მათ თამაშს ხელი შევუშალე. შეძლებისდაგვარად ავუხსენი ცოლს, რაღაც უკეთური მჭირს, ალბათ შეჩვენებამ მიწია-მეთქი.

ქალმა პასუხად გაიცინა, კვლავ ბავშვს მიუბრუნდა, ზურგზე გადაწვა, პაწია მაღლა აიტაცა და ახალგაზრდული, წკრიალა ხმით გადაიკისკისა.

— ალბათ, ასეა, — მიპასუხა მან. — რამდენი ხანია აღარ გიკოცნია.

გაღიმება ვცადე. ვიდექი, მათ შევცქეროდი და ვიცოდი, რომ მშვენიერ სურათს ვხედავდი, რომ ორივე მხურვალედ მიყვარდა, მაგრამ მათაც, ისევე როგორც ყოველთვის, რასაც ირგვლივ ვხედავდი, ნაცრისფერი ფერფლი ფარავდა.

და უცებ, უცხოდ ვიგრძენი თავი, უცხოდ, რომელმაც მათ ცხოვრებაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

განვშორდი თუ არა, გავიგონე, რომ თამაში კვლავ გააგრძელეს.

სულ ცოტა ხნის წინათ თავადაც ასეთი ვიყავი. სიცოცხლე, არსებობა მიხაროდა. ყოველ ცისმარე დღეს ვხარობდი. ეს ცხოვრება ჩემთვის ძვირფასი იყო.

ყოველ ცისმარე დღეს? რა უცნაურია, მან ხომ მითხრა მუდამ იცოცხლებ, არასოდეს მოკვდებიო. განა უცნაური არ არის? მაშ რილათო ვარ უკმაყოფილო? მეც ხომ ის მსურდა, რომ სიკვდილი აუცილებელი არ ყოფილიყო, რომ არასოდეს მოვმკვდარიყავი? მაშ რად არ მიხაროდა? თავს ბედნიერად რად არ ვგრძნობდი?

„უკუნითი უკუნისამდე... და ვერასოდეს მოიპოვებ სულის მშვიდობას..."

ადრე არასოდეს დავფიქრებულვარ, ახლა კი, ვგონებ, ვიხილე რა იყო მარადისობა. უკვე ვხვდებოდი, რომ ცხოვრებას სწორედ ის წამართმევდა, თავად წყევლა, გარდაცვალება სწორედ ის იყო, ჩემს სულს ნეტარებას სწორედ ის არ მიანიჭებდა.

მარადისობა... ცხოვრებასთან რა საერთო აქვს, ვფიქრობდი, ეს ხომ ცხოვრების საპირისპირო, რაღაც უსასრულო, უკიდეგანო, სიკვდილის სამეფოა, სადაც ცოცხალ არსებას შეხედვაც ზარავს. იქ ცხოვრება მომისაჯეს? ჩემთვის გაამზადეს? „უკუნითი უკუნისამდე..." აი, ჩემი სასიკვდილო, ყველაზე უსასტიკესი განაჩენი, რაც კი შეიძლება გამოიგონო. „ეს ღმერთი ცხოვრების ყველა სიხარულს წამართმევს", — ჩემთვის ვჩურჩულებდი მე.

მაშინ პირველად წარმოვიდგინე არსებობა მომავალში რომ მელოდა და მისი უაზრობაც პირველად შევიგრძენი. საზარელი წყევლის ძალმოსილება პირველად ვირწმუნე, დავიჯერე, რომ ეს საეჭვო ღმერთი თავისას მიაღწევდა და ჩემს სულსაც ყოველივე მისი მოსჯილის განცდა ნამდვილად ეწერა. მისი წინასწარმეტყველება ჭეშმარიტად აღსრულდებოდა.

და აღსრულდა კიდეც. ჩემი დამღუპველი გარდასახვა უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მის წინაშე უძლური გახლდით. რა უნდა მექნა, ან რა შემეძლო? როგორ ჩავრეულიყავი, წინააღმდეგობა როგორ გამეწია იმისთვის, რაც მემართებოდა? ეს ხომ არ მემორჩილებოდა. უძლური გახლდით. მაშ რა მექნა, თუკი საშველის მთხოვნელი ბედკრული სული თავად ვიყავი, თუ ეს დამღუპველი, გარდაუვალი გარდასახვა, უსაშველო სევდით რომ მავსებდა, თავად ვიყავი.

და აი, ერთხელ, სასოწარკვეთილმა, რაღაც ისეთი ჩავიდინე... რაღაც ისეთი, მხოლოდ რომ გაალრმავა ჩემი უბედურება და ბედკრულობა. გარეთ დღე იდგა; განუშორებელი ფიქრებით სავსე ლოგინში უსაქმოდ ვიწექი, სული კი, რომელიც მე აღარ მეკუთვნოდა, სევდას მოეცვა. უცებ მძაფრი სიძულვილით შემძულდა ჩემი ხვედრი და ეს ავისმოსურნე ღმერთი. მაშ რად ვემორჩილებოდი? ამ სიგიჟეს ქედს რად ვუხრიდი? ამ წამლეკავ ძალას ასე რომ დამიმორჩილა, რად არ ალვუდგებოდი, რად არ ვყვიროდი: „არ მსურს, არ მინდა, სიცოცხლე, სიცოცხლე მსურს, მეც სხვებივით მინდა ვიცხოვრო, ძველებურად მინდა ვიცხოვრო, ისეთი მინდა ვიყო, როგორიც სხვები არიან, სიცოცხლე მინდა!"

როგორც კი ეს წარმოვთქვი — მე ეს ხმამაღლა წარმოვთქვი, თუმცა ჩემთვის ვლაპარაკობდი — შეჩვენება თითქოს ძველი სამოსივით ჩამომშორდა და ისეთი შვება, ისეთი თავისუფლება ვიგრძენი, როგორიც ბოლო დროს აღარ მიგრძვნია. მაშინ სარეცელიდან წამოვდექი და იმ ოთახისაკენ გავწიე, სადაც ცოლ-შვილი მეგულებოდა. წუთით შევდექი, მათ ჟღურტულს ყური მივუგდე და მათი თამაშით დავტკბი, შემდეგ მივუახლოვდი, ბავშვი ფრთხილად ჩამოვაშორე და ცოლს ვაკოცე. მან კისერზე შემომხვია ხელები, რბილი, შიშველი ხელები და ჩვენი ოთახისაკენ გავემართეთ. ტანთ გავიხადეთ თუ არა, ქალი ჩემს საწოლზე წამოწვა, სწორედ იმ საწოლზე, ცოტა ხნის წინ გაწამებული რომ ვიწექი, ნაცნობი, თბილი ღიმილით გამიღიმა და ჩემს მიახლოებას დაელოდა. ყოველივე ისე იყო, როგორც უწინ, როცა ერთმანეთი გვიყვარდა და მეც ასე მეგონა, გავიმარჯვე, კვლავ ბედნიერი ვარ-მეთქი.

მაგრამ, ძახეთ, არაფერი შემეძლო. ცოლი ნაზად მეალერსებოდა, უფრო ნაზად ვიდრე ოდესმე, მე ვგრძნობდი ამას, ჩვენ ხომ ასე დიდხანს არ ვყოფილვართ ერთად, მაგრამ სურვილი არა და არ ჩნდებოდა. ქალი თავისი ცეცხლით ცდილობდა ჩემს ანთებას, მაგრამ ამ ცეცხლში მხოლოდ თავად იწვოდა, მე კი ცივმა ოფლმა დამასხა და არაფერი შემეძლო. სახეზე ვგრძნობდი მის მძიმე სუნთქვას, ჩემი ნდომით დამძიმებულ სუნთქვას, მაგრამ არაფრისთვის ვვარგოდი.

ბოლოს და ბოლოს ქვითინი წამსკდა. მის

მშვენიერ, გახურებულ ხელებს სასოწარკვეთილი ვეხვეოდი და ვქვითინებდი.

ცოლმა თმაზე და ლოყებზე დამისვა ხელი. შემდეგ ორივე ხელი თავზე მომკიდა და დიდხანს მიყურა. ჩაციებული, გამომცდელი მზერით მაცქეროდა, ასე, დიდიხანია, აღარ შემოუხედავს.

— თვალები დაგიბერდა, — მითხრა მან.

ამ დღის შემდეგ ჩემი უბედურება გასრულდა, თითქოს უძირო ჭაში ჩავეშვი, რადგან ესეც კი წამართვეს. თუმცა რა იყო გასაოცარი? განა სიცოცხლის უზენაესი ბედნიერება და ნეტარება ეს არ არის? და რა გასაკვირია, რომ წამართვეს, ველარასოდეს შევიგრძნობდი, ველარ დავიბრუნებდი, მე, რომელსაც მარადიული ნეტარება აღმიკვეთეს და მარადიულ ბედრკულობას მაზიარეს.

ამის შემდეგ, ჩემი გარდასახვა, ვგონებ, ყველამ შეამჩნია. ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა. გამირბოდნენ, თავს მარიდებდნენ. ის კი, ვინც იძულებული იყო დამლაპარაკებოდა ან შემოეხედა, რაღაც უცნაურად მიმზერდა, მეზობლები სიტყვაძუნწები გახდნენ, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ უბედურება მეწვია; მიხვდნენ რომ ეს დაკავშირებული იყო იმ ადამიანთან, რომელიც ჯვარზე გასაკრავად მიმყავდათ და რომელსაც ჩემს სახლზე თავის მიყრდნობის საშუალება არ მივეცი. მეზობლები ამ თემაზე არასოდეს მესაუბრებოდნენ და როგორც აღვნიშნე, თავს მარიდებდნენ, მაგრამ ჩემი გარდასახვა აშკარად შენიშნეს, ჩუმად თვალს მადევნებდნენ, ჩურჩულებდნენ და ცხადია, ჩემი ცოლივით, თვალები დაგიბერდაო, მხოლოდ თანაგრძნობის გამო არ მეუბნებოდნენ.

ჩემი ცოლი უფრო და უფრო გაუბედავი ხდებოდა, თითქოს რაღაც აფრთხობდა, ვფიქრობ ჩემი თვალები აშინებდა. და ვინ იცის, ჩემი სიტყვებიც ახსოვდა, შეჩვენებამ მიწიამეთქი, რომ ვუთხარი. არ ვიცი, ჩვენ არასოდეს გვისაუბრია, არც ამ თემაზე და არც იმ ამბავზე, ჩვენს შორის რომ მოხდა.

როგორც ჩანს, ჩემს თვალებში ჩახედვა აღარ სურს-მეთქი, ჩემთვის ვიმეორებდი.

ჩემი სახეცვლილება მას ალბათ, ჩემზე ნაკლებ როდი სტანჯავდა. არ ვიცი, ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის აზრი არასოდეს გაგვიზიარებია, არ ვიცოდით, მეორე რას ფიქრობდა. ჩვენი მზერა კი, იმ შემთხვევის შემდეგ, ახლა რომ გიამბეთ, ერთმანეთს აღარ შეხვედრია.

უნდა მოგახსენოთ, ჩემთვის მუდამ სულ ერთი იყო, იგი რას ფიქრობდა. ჩემი ცოლი ხომ ნამდვილი ბალღი გახლდათ და მასთან საუბარში აბა რა ხეირი ეყარა. მაგრამ ადრე ამაზე რატომღაც არ დავფიქრებულვარ, უბრალოდ ვტკბებოდი მისი ბალღური ტიტინით. ახლა კი ხმას სულ აღარ ვცემდი, რადგან ვხვდებოდი, მასთან მსჯელობა უაზრობა იყო და ჩემთვის წამებად გადაიქცა მისი აქ ყოფნა, აზრი, რომ სადღაც აქ, ახლოს, ჩემს სახლში გახლდათ. მისი ხმისა და სიცილის გაგონება მტანჯავდა. მაგრამ ქალი ახლა იშვიათად იცინოდა და დროის უმეტეს ნაწილს ბავშვთან ატარებდა. ისინი ალბათ, კვლავ ერთად თამაშობდნენ, მაგრამ უფრო ჩუმად, მათი ხმა თითქმის არ მესმოდა. საერთოდ, ჩვენს სახლში ყოველივე ძალზე შეიცვალა.

მას შემდეგ, რაც ველარ დავეუფლე, ქალზე უნებურად დავიბოლმე და სამაგიეროს გადახდა მინდოდა. და აი, ახლა შურს ვიძიებდი. ზედ აღარ ვუყურებდი, აღარც მას ვამჩნევდი, აღარც ბავშვს და ისე ვიქცეოდი, თითქოს საერთოდ არ არსებობდნენ. შვილი განსაკუთრებით არასოდეს მყვარებია — ან იქნებ მიყვარდა კიდეც? ყოველ შემთხვევაში მეჩვენებოდა, ცოლი ბევრს ელოლიავება და ალბათ, ამიტომ თავადაც ბალღივით იქცევა-მეთქი. ბავშვთან ამ ფარულმა მტრობამ ახლა, როცა ცოლს სამუდამოდ დავშორდი, ახალი ძალით იფეთქა. ცოლს, მგონი, ეს ყველაზე მეტად სტანჯავდა — ჩვენი უთანხმოების გამო ხომ ბავშვიც წვალობდა — და მეც ხშირად ვამჩნევდი, რომ ქალს ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

ამას ყოველთვის ვამჩნევდი, თუმცა ვცდილობდი ზედ არ შემეხედა.

უბედურება არ აკეთილშობილებს ადამიანს. მე თუ ვიტანჯებოდი, სხვა რად არ უნდა დატანჯულიყო!

სხვათა შორის უხეში ან ავი სიტყვა მისთვის არასოდეს მითქვამს, ამას ბრალად ვერ დამდებდა. საერთოდ არ ველაპარაკებოდი. ვცდილობდი დამეთრგუნა, არ გამომემჟღავნებინა ის სისასტიკე, რაც ჩემში ღვივდებოდა და მაინც, ვფიქრობ, ქალი ხვდებოდა რა მჭიროდა, შეუძლებელია, არ მიმხვდარიყო. ღვარძლი ისევე, როგორც სიყვარული, უსიტყვოდაც იჩენს თავს.

ჩვენი სახლი თითქოს ჩაკვდა, ისეთი მდუმარე და უფერული გახდა, ცოლი დათრგუნვილი, დაბეჩავებული დადიოდა, შვილი, ჩემს დანახვაზე, დამალვას ლამობდა.

ცხადია, ამას ბედნიერება არ მოუტანია ჩემთვის. პირიქით, ჩემი სული უფრო მშფოთვარე, უფრო ბედკრული გახდა. ხანგრძლივად ვიდექი და ცარიელი თვალებით წინ ვიყურებოდი ან ფანჯარიდან სივრცეს გავცქეროდი, თუმცა ვერაფერს ვხედავდი, იმასაც ვერ აღვიქვამდი, სად ვიყავი, თითქოს ჩემს თავშივე ჩაკეტილი პატიმარი გახლდით. ანდა უმიზნოდ დავეხეტებოდი ქალაქის კარიბჭის მიღმა ნაცრისფერ, უხალისო მიდამოებში, სადაც ხეებსა და ყანებს ფერფლი ფარავდა. თავადაც არ ვიცი, ასე რამდენ ხანს გაგრძელდა.

და აი, ერთ დღეს ცოლ-შვილი გაქრა. ჩემდა

გასაოცრად კედლებს ვაწყდებოდი, ვიმედოვნებდი მოვძებნი-მეთქი და როცა, ვინ იცის მერამდენედ, შევირბინე იმ ოთახში, სადაც ჩვეულებრივ თამაშობდნენ და მათი სიცილის ხმები ისმოდა — თუმცა უკანასკნელ ხანს აღარ ისმოდა — როცა კვლავ შევედი და ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ წავიდნენ და არასოდეს დაბრუნდებოდნენ, მიწაზე კვნესით დავემხე. როცა მათი ჩალის ქილოფზე დავწექი, სწორედ იმ ქილოფზე, ოდესღაც ქალი გულაღმა რომ იწვა, შიშველი ხელებით შვილს აბურთავებდა და იცინოდა, თითქოს გული დანით გამეპო და სისხლისაგან დავიწრიტე. არ ვიცი, რამდენი ხანი ვეგდე. უცებ ჩემში რაღაც ბგერები ახმიანდა; რაღაც ხმა უფრო და უფრო მკვეთრად გაისმა. უნებურად წამოვიწიე, წამოვჯექი და მზერა სივრცეს მივაშტერე. ისევ და ისევ სულ უფრო ხმამაღლა მესმოდა ის, რაც ჩემში ხმიანობდა, რაც მაშინ მითხრა, ჩემთვის წარმოთქმული საზარელი განაჩენის სიტყვები მესმოდა. ამ ხმებმა თავისი ჟღერადობით ამავსო. ჩემს სულში, როგორც მიტოვებულ სახლში, სიცარიელეს დაესადგურებინა და ცარიელ კედლებში ავბედითად ისმოდა მრისხანე სიტყვები, რაც ჩემს ხვედრს, ჩემს მომავალს წინასწარ სახავდა. ეს შეჩვენება ჩემს სულში ხმაურიანი ექოთი შემოიჭრა.

იმავე საღამოს ჩუმად დავტოვე მშობლიური ქალაქი და წყვდიადში ჩავიკარგე, რათა დროთა მიღმა ყარიბობა დამეწყო. ერთ ეულ ღამეს შევუდექი ჩემი მარადიული მარტოობის გზას.

მას შემდეგ ქვეყნად დავეხეტები, არც დასვენება ვიცი, არც სიმშვიდე. დავეხეტები და მახავით ვერ მიპოვნია ადგილი, სადაც შეიძლება თავი მივაყრდნო, დავეხეტები ამ ფერფლით დაფარულ ქვეყანაზე, ჩემს სამყაროში, რომელსაც რუხი ნაცრის ფენა ფარავს. ყოველგვარი ადამიანური უბედურება, სიბოროტე და ტანჯვა ვიხილე. შევიცანი, რომ ეს ქვეყანა ჩემსავით გაბოროტებული და უსულგულოა, რომ მისთვის ისევე უცხოა სიყვარული, როგორც ჩემთვის, ვისაც აქ მარადიული ცხოვრება მომისაჯეს. შევიცანი, რომ ეს ქვეყანა სწორედ აბორგებული, ღვთით შეჩვენებული კაცის სამყაროა, კაცისა, რომლის ბედკრული სული ვერასოდეს ეზიარება ნეტარებას.

დროდადრო მხვდებოდა ხალხი, ვინც იწამა მისი, მე ასეთი ცხოვრება რომ მომისაჯა. უფრო და უფრო ხშირად ვხვდები ასეთ ხალხს, რადგან მისმა მოძღვრებამ, როგორც ჩანს, ფართოდ მოიკიდა ფეხი. ეს ხალხი თითქოს ბედნიერია, თუმცა ვერ გეტყვი, გულუბრყვილობაა ამის მიზეზი თუ რაიმე სხვა, ან იქნებ რწმენაც იყოს, თავად ცხადია, რწმენაო, ამბობენ. იქნებ მართლაც ასეა. მათთვის, როგორც ჩანს, ლოცვა-კურთხევად იქცა ის ღმერთი, მე საშინელ შეჩვენებას რომ მაზიარა, და ისინიც კვლავ ამტკიცებენ კეთილია და სიყვარულითაა აღსავსეო, თავად სიყვარულად გადაიქცევა მათთვის, ვინც იწამებს და მისი ერთგული გახდებაო. რას იზამ, იყოს ასეც იყოს. ამასთან მე რა ხელი მაქვს? ჩემთვის ის ბოროტი ძალაა, ძალა, რომელმაც თავის კლანჭებში მომიქცია, არასოდეს გამიშვებს და არც სიმშვიდეს მომანიჭებს.

ამ ხალხს წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ის ღმერთია; რომ ადამიანი, რომელიც ჯვარზე გასაკრავად ჩემი სახლის წინ ჩაატარეს ნამდვილად უფლის შვილია. ამბობენ ეს მრავალი ნიშნით დადასტურდაო. იგი მკვდრეთით აღსდგა, ზეცაში ამაღლდა, ცაში ღრუბლით აიყვანესო, ბევრ სხვასაც ამბობენ. მაგრამ ყოველივე ამასთან მე რა ხელი მაქვს? მათი რწმენა, მოძღვრება, ნიშანი თუ სასწაული მე არ მეხება.

ჩემი ნიშანი სულის მარადიული მშვიდობა იქნება.

ცხადია, ტყუილად ავუკრძალე ჩემი სახლის კედელზე თავის მიყრდნობა. მაგრამ ჩემთვის იგი ღმერთი კი არა, მრავალთა შორის ერთი ბოროტმოქმედი იყო, რომელიც ზურგზე ჯვარწამოკიდებული მიდიოდა და რომელსაც ყველა თავს არიდებდა. თანაგრძნობა? მოყვასის სიყვარული? ჰო, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე არც ისე გულკეთილი კაცი ვარ და არც თავი დამიდია ოდესმე. მე ჩვეულებრივი, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ; უმეტესობაც ხომ ასეთია. ეს ამბავი რომ მოხდა, მაშინ ბედნიერი, უზრუნველი და გულქვა ვიყავი და, როცა ცხოვრების სიმძიმეს ვერ გრძნობ, ეს ბუნებრივია. იქნებ ცუდიც გახლდათ, მაგრამ სხვებზე უარესი ხომ არ ვყოფილვარ. მის მოძღვრებას სიყვარულზე ცოტა რამ გავუგე; ალბათ მხოლოდ ის, რომ ასეთი მოძღვრება ჩემთვის არ იქმნება. მაგრამ თავად თუ არის კეთილი და სიყვარულით აღსავსე? მათ, ვინც ირწმუნა მისი, მშვიდობითა და სიმშვიდით აჯილდოვებს და როგორც ამბობენ, ზეცაში მიჰყავს, ვინც არ ირწმუნა მარადიულ ტანჯვას უსჯისო, ამასაც ამბობენ. და თუ ასეა, ზუსტად ჩვენნაირი, ჩვენსავით კეთილი და ბოროტი ყოფილა. ვინც მოგვწონს, მათთვის ჩვენც კეთილები ვართ, დანარჩენებს კი ყოველგვარ სიბოროტეს ვუსურვებთ. ამდენი ძალაუფლება რომ გვქონდეს, იქნებ ჩვენც მივგვესაჯა მარადიული შეჩვენება, თუმცა საეჭვოა. ასეთი ბოროტი მხოლოდ უფალი შეიძლება იყოს.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დროდადრო ვხვდებოდი ასეთ ხალხს, მაგრამ ახლო ნაცნობობა მათთან არასოდეს გამიბამს. ხალხთან დაახლოვება არ შემიძლია. მუდამ უცხო ვარ, მუდამ იბნევიან ჩემს წინაშე, ალბათ რაღაც უჩვეულოს გრძნობენ და ეს აფრთხობთ. ვფიქრობ, ჩემი თვალები აშინებთ. მე შევამ-

ჩნიე, ვინც კი ჩემს თვალებს იხილავს, მზერას მარიდებს. როგორც ჩანს, ეშინიათ ჩაიხედონ ჩემს თვალებში, ამ ამომშრალ ჭაში, ამ სიღრმეში, სადაც სრული სიცარიელე სუფევს. ეს ვის არ შეაშინებს? მე კარგად მესმის, ჩემი რად ეშინიათ.

ჩემი ცოლივით...

ჩემი ცოლივით... ახლა მას ალბათ ახალგაზრდა თვალებიანი მამაკაცები ჰყავს მეთქი, არაერთხელ მიფიქრია ჩემი ეული ყარიბობის ჟამს. ამის გაფიქრებაზე გული მეწურებოდა, ხელისგულით ვიფარავდი თვალებს, თითქოს მათი დამალვა მინდოდა. თუმცა არავინ მიმზერდა და დასამალიც არაფერი მქონდა.

რად არ უნდა ჰყოლოდა მამაკაცები! ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო. როცა მე მქონდა ახალგაზრდა თვალები, მე ვუყვარდი.

თუ არ ვუყვარდი?

ასე ვფიქრობდი, მაგრამ ერთხელაც შორს, უცხო ქვეყანაში ჩემი მშობლიური ქალაქიდან ჩამოსულ კაცს შევხვდი. მან მიამბო, რომ ჩემმა ბედკრულმა და გასაცოდავებულმა ცოლმა, რომელსაც ძველი სილამაზის ნატამალიც აღარ შემორჩა, სიცოცხლე დედისეულ სახლში დაასრულა, ხოლო მის სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე, ჩემი ვაჟიშვილი შავმა ჭირმა იმსხვერპლა.

მაშ აღარ არიან, აღარ არიან ისინი, ასე მხიარულად რომ იცინოდნენ.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ? არ ვიცი. დრო შეუცნობელია, ჩემთვის იგი არ არსებობს. რისთვის აღვნუსხო? მაგრამ ასე მგონია, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა.

ჰო, ყველა მოკვდება, წავლენ ტომები და თაობები, თავიანთი ტანჯვითა და ბოროტებით, ყოველივეთი, რაც ერთმანეთის საწამებლად და სატანჯველად ემსახურება. მე კი არასოდეს მოვკვდები. სანამ არსებობენ ეს უმეტესწილად ბოროტი არსებები, მათსავით ბოროტი მეც ვიარსებებ, მათი ხვედრი ჩემი ხვედრია. ამიტომაც მსურს ჩემი ხვედრის გაგება, მომავალში ჩახედვაც ამიტომა მსურს, თუმცა მაკრთობს და მაშინებს. მაშ შემოხსენი რიდე და ჩამახედე, რა საზარელიც არ უნდა იყოს!

კაცი გაჩუმდა.

ბინდი კარგა ხანია დაეშვა. ის, ვისაც კაცი სიტყვით მიმართავდა, არაფერს ამბობდა და კაციც თითქოს სულ მარტო დარჩა.

— მეც შენსავით ვიხილე ღმერთი, — მცირე დუმილის შემდეგ დასძინა კაცმა. — ცხოვრების გზაზე გადავეყარე და ამ შეხვედრამ ჩემი სული შიშის ზარით აავსო.

დედაბერი იჯდა და სქელი ბინდი ფარავდა, მაგრამ კაცმა გაიგონა, რომ მან ჩუმად, თითქმის უხმოდ ჩაილაპარაკა:

— უფლის ხილვა სიხარულს არ მოგანიჭებს.

დედაბერი წამოდგა და სამოსში შემცივნულივით გაეხვია. მზის ჩასვლის შემდეგ მართლაც აგრილდა და კაციც კანკალმა აიტანა. დედაბერმა ქოხში შეიპატიჟა. ისიც წამოდგა, მოიხარა და გაძვრა შესასვლელ ნიშში, რომელსაც კარი არ ება. ასეთი პატარა საცხოვრებელი კაცს ჯერ არ ენახა. ყოველ წუთს თავს ხრიდა, ხელით კი ნებისმიერ კედელს წვდებოდა. ერთი კედლის მაგივრობას ქოხს ნაჟური წვეთებისაგან ნესტიანი ჩამოთლილი მთის ფერდი უწევდა.

დედაბერმა ცეცხლი დაანთო. ცოტა ფიჩხსა და ხის ფესვებს, იატაკზე გროვად რომ ეყარა, ალი მოედო. კერიის მაგივრობას მიწაში ღრმად ჩამჯდარი ქვა სწევდა. ბოლი კი იმ ნახვრეტში გადიოდა, რომელიც სახურავისა და კლდის შეერთების ადგილას გაეკეთებინათ.

ცეცხლი კარგად გაჩაღდა და კაცმა ეს უჩვეულო საცხოვრებელი შეათვალიერა. შემდეგ განცვიფრებულმა აღმოაჩინა, რომ მარტონი არ იყვნენ. ნახევრად ბნელ კუთხეში წელში მოხრილი, ჭაღარათმიანი კაცუნა იჯდა... კაცი ვერ გაერკვა ეს ბავშვი იყო თუ მამაკაცი, ვერც იმას მიხვდა, საერთოდ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს გაურკვევლობა რაღაც საშიში იდუმალების განცდას იწვევდა, კაცს ვერ გაეგო რატომ, მაგრამ სწორედ ასეთ განცდას იწვევდა. კაცუნას ბავშვის სახე ჰქონდა, სახეზე კი შეჰყინვოდა ღიმილი, რომელიც ბინდში იდუმალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. იქნებ იმიტომ ჰგავდა იდუმალს, რომ ღიმილისათვის არავითარი აშკარა მიზეზი არ ჰქონოდა, ან იმიტომ, რომ ეს ღიმილი არც კეთილი იყო, არც ბოროტი და მის უცვლელ მუდმივობაში სრული გულგრილობა ისახებოდა, თუმცა ოდნავ წამოწეულ კისერზე წამოსკუპებული ჭაღარა თავი კაცუნას მათკენ მოექცია და თვალებითაც მათ მიშტერებოდა. ირგვლივ ყოველივე უჩვეულო და უცნაური იყო. კაცის გონებაში რაღაც ბუნდოვანმა მოგონებამ გაიელვა — რის შესახებ? ამ ღიმილმა ხომ არ გააღვიძა მოგონება? არა, კაცმა თავადაც არ იცოდა, ეს საიდან გაჩნდა და ვერც ბოლომდე გაეხსენებინა. მაგრამ ეს ჭაღარათმიანი ბავშვი, რომელიც იქ, ბინდში, წელში მოკუზული იჯდა და უცვლელი ღიმილით იღიმებოდა, რაღაც უკიდურესად უცნაური და საშიშიც კი იყო. კაცი მას თვალს ვერ აშორებდა. რა ერქვა ამ ბავშვს, ან რა საიდუმლოება იმალებოდა ამ პატარა სახლში, რომელიც ადამიანის საცხოვრებელს სულაც არ ჰგავდა?

— ჩემი ვაჟია, — თქვა დედაბერმა. — თამამად ილაპარაკე, არაფერი ესმის. და მაინც, მოსულმა ვერ გაბედა ეთქვა, რაც გონებაში უტრიალებდა, ვერაფერი ჰკითხა ვაჟიშვილზე, რომელიც თავის კუთხეში მჯდარი მათ საუბარს მოუსმენდა, თუმცა ვერაფერს გაიგებდა და ამ თავისი ღიმილით გაიღიმებდა...

ბოლოს და ბოლოს სიჩუმე დედაბერმა დაარღვია და წაიბუტბუტა:

— უცნაური ღმერთი შეგხვედრია. შემდეგ რა მოხდა, აცვეს ჯვარს?

— ჰო.

— უცნაურია, თუ მართლა უფლის ვაჟიშვილი იყო... რისთვის აცვეს ჯვარს?

— თვალდაც ვერ ვხვდები, რისთვის დასჭირდათ. ყური მოვკარი, ხალხი ამბობდა, სამარცხვინოდ გააკრეს ჯვარსო. თითქოს მამას სურდა, რომ დატანჯულიყო. ეს ხომ სრული სიგიჟეა. არა, ვერაფერს გეტყვი, თავადაც არ მესმის.

— სასტიკი ღმერთია.

— სასტიკია, ვერაფერს იტყვი. თუ ხალხის მითქმა-მოთქმას ვირწმუნებთ, ასე ყოფილა. უნდა ეწამოსო! რისთვის დასჭირდა?

— მგონი, მეცნობა ეს ღმერთი, — თავისთვის ჩაიბუტბუტა დედაბერმა. შემდეგ შეჩერდა და ყოყმანით განაგრძო. — ღმერთს რომ შვილი გაუჩინა, იმ ქალზე თუ იცი რამე?

— არა, იმ ქალზე არასოდეს და არაფერი მსმენია. ალბათ, სრულიად ჩვეულებრივი ქალი იყო.

— ჰო, ალბათ. ესე იგი, მის შესახებ არაფერი იცი?

— არა, მხოლოდ იმას ამბობდნენ, როცა შვილი გააჩინა, ღმერთის დედა გახდაო. მაგრამ ეს ხომ ისედაც ნათელია. არა, მის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი, მაგრამ რად მეკითხები?

— უბრალოდ მაინტერესებს, როგორი იყო და როგორ ცხოვრობდა, ღმერთი როგორ ექცეოდა, სანამ უყვარდა, ან შემდეგ, როცა, შეიძლება, აღარც უყვარდა. ერთი სიტყვით, ბედნიერი თუ იყო, თუ უხაროდა, უფალს შვილი რომ შესძინა. ან იქნებ ისიც ჯვარს აცვა?

— არა, არა, ის არ უცვია ჯვარს, ცხადია, არა, ის ხომ ქალი იყო!

— ჰო, ის ხომ ქალი იყო.

დედაბერი ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ იკითხა:

— ის ვაჟიშვილი, მგონი თქვი, სიყვარულის ღმერთი იყოო?

— ალბათ ასეც შეიძლება ვუწოდოთ. იგი მოყვასის სიყვარულს და ადამიანთა შორის სიყვარულს ქადაგებდა. ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთო, ამბობდა. თუ სწორად გავიგე, არსებითი მგონი ეს იყო.

— უცნაური მოძღვრებაა... როგორც ჩანს, განსაკუთრებული ღმერთი ყოფილა.

— შეიძლება განსაკუთრებულიც იყო.

— ასეთ ღმერთზე ჯერ არაფერი მსმენია. არადა, მე თუ არ ვიცნობ ღმერთებს... უკვე მეგონა, ყველა მათგანს ვიცნობ-მეთქი. ალბათ, ბედნიერი ქალი იყო... სამწუხაროა, რომ არაფერი იცი მასზე, ვინც იგი შობა, ვინც ამისთვის აარჩიეს.

— ნეტავ სულ არ გაჩენილიყო. ჩემს ცხოვრებას ბედნიერი გავლევდი. სწორედ ისე, მასთან შეხვედრამდე რომ ვცხოვრობდი.

— ჰო, ჰო, ღმერთთან შეხვედრა სახიფათოა, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ შენი სახლის კედელზე თავი რად არ მიაყრდნობინე? უარი რად უთხარი? ისე დაუნდობლად და სასტიკად მოქცევიხარ, მის წინაშე ალბათ, ბევრი შესცოდე.

— დაუნდობლად! სასტიკად! როგორიც ვარ, ისეთი გახლავართ. არასოდეს მომიკატუნებია თავი, არიქა, სხვანაირი ვარ-მეთქი. მე ისეთივე ვარ, როგორიც ყველაა. ცუდი ამაში რა არის? თავად ღმერთი როგორიღაა? ნუთუ შენს თვალშიც ასე სიყვარულით აღსავსე მოჩანს? ნუთუ მართლა ასე თვლი, ან იქნებ სიყვარულით შენ მოგექცა? მაშ რად შეგაჩვენა...

დედაბრის მკვეთრმა მოძრაობამ კაცს ენა დაუბა. ქალმა ბოლომომწვარი ჯოხი ისე შეუჩხიკინა ცეცხლს, რომ ნაპერწკლები სახურავქვეშ აფართფატდნენ.

კაცმა ცოტა ხანს შეიცადა, შემდეგ კვლავ ამოიღო ხმა:

— უფლის წინაშე შენც ხომ შესცოდე და ჩემსავით შეგაჩვენეს. შენ რაღად შეგაჩვენეს? შენც სამართლიანად მოგექცა? ნუთუ სამართლიანობა მუდამ მის მხარეზეა? ნუთუ ჩვენს მხარეზე არასოდეს იქნება?

კაცი იმედით შესცქეროდა დედაკაცის ბებერ, დაღარულ პირისახეს და ელოდა თავის ნაწამებ სულს გადამიშლის, უბედურების ამბავს მიამბობს და ამით ჩემი საკუთარი ხვედრის გარკვევაში დამეხმარებაო.

მაგრამ დედაბერი მდუმარედ მისჩერებოდა ცეცხლს და მისი სულის ძგერა კაცისთვის ფარული რჩებოდა.

— დელფოს ბრმა მათხოვარმა შენი ამბავი მიამბო, მაგრამ არც ისე ბევრი იცოდა, რომ გამეგო, რა შეგემთხვა. როგორ გახდი ორაკულის ქადაგი? — წუთიერი დუმილის შემდეგ კვლავ ჰკითხა კაცმა, იმ იმედით, იქნებ ეს მაინც მიამბოსო.

— ჩემი მშობლები ღვთისმოსაობით იყვნენ ცნობილნი, — ბოლოს და ბოლოს უპასუხა დედაბერმა. — ალბათ, ამიტომ გავხდი ქადაგი. თანაც ლატაკები ვიყავით.

— ლატაკები? ამის გამო ხომ ვერ გახდებოდი ორაკულის ქადაგი?

— იქნებ ამის გამოც გავხდი, ოღონდ გახსენება არ მეხალისება.

— თქვენ აქ, დელფოში ცხოვრობდით?

— არა, ქალაქში არა, ჩვენ ხეობის სიღრმეში ვცხოვრობდით, გლეხური ოჯახი გვქონდა.

— აი, თურმე რა ყოფილა.

— ახლა რომ დღე იყოს, იმ ადგილს დაინახავდი, არც ისე შორსაა. თუმცა თვალთ დამაკლდა, სახლსაც და მის გვერდით მდგარ ბებერ ზეთისხილის ხესაც აქედან მაინც ვხე-

დავ. მაგრამ ახლა ვინ ცხოვრობს იქ, ეგ აღარ ვიცი.

— ნათესავები არ დაგრჩა?

— ნათესავები? არა, არა მგონია. საიდან უნდა ვიცოდე. ნათესავები? არა, მე ვიზეც გიყვები, ისინი კარგა ხანია დაიხოცნენ...

— არაფერი მოგიყოლია.

— ჰო... არაფერი მომიყოლია, მართლაც...

— როგორც ჩანს, ვიღაც გაგახსენდა?

— ჰო, მშობლები გამახსენდა, დედა და მამა. მაგრამ რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ... წარმოიდგინე, მახსოვრობა ასე შორეული წარსულის მოგონებასაც კი ინახავს...

მამაჩემი მუყაითი მეურნე იყო, მაგრამ სახნავი მიწა ცოტა ჰქონდა და თუმცა თავს აკლავდა, მოსავალსაც ცოტას იწევდა. ყველაფრის გაკეთება ხელით უხდებოდა, მუშა საქონელი არ ჰყავდა. ცხადია, არც ადგილ-მამული იყო ჩვენი საკუთრება, მოსავლის დიდი ნაწილი ტაძარს მიჰქონდა: ამ ხეობის მიწა ტაძრის, ან უფრო სწორად, უფლის სამფლობელოა. ჩვენ ტაძარსა და ღმერთზე ვიყავით დამოკიდებული. როცა ყოველგვარ გადასახადს გადავიხდიდით, თითქმის აღარაფერი გვრჩებოდა, მაგრამ ცოტაც გვყოფნიდა, სილატაკეს მიჩვეულები ვიყავით. ახლა, მას შემდეგ, რაც გამოვცადე, მაშინდელი ცხოვრება სილატაკედ სულ არ მეჩვენება. მახსოვს, ჩვენთან მშვენიერი ზეთისხილის მსხვილი ნაყოფი ხარობდა, განსაკუთრებით კარგად სახლის გვერდზე მდგარი ბებერი ხე ისხამდა. ეს ხე მაშინაც ბებერი იყო და ხშირად საუკეთესო ნაყოფს სწორედ ასეთი ხეები ისხამენ. მას შემდეგ ასეთი ნაყოფი აღარ გამიშინჯავს. ანკი როდის ვჭამდი ზეთისხილს... უხსოვარ დროს.

— ესე იგი იქ გაიზარდე?

— ჰო, ორი ბავშვი დაეღუპათ, მხოლოდ მე გადავრჩი. ასე რომ ბავშვობაში სიყვარული არ დამკლებია. და მაინც, უცნაურია, თავს ეულად ვგრძნობდი. ბავშვები ხანდახან მარტოობას მაშინაც გრძნობენ, როცა სიყვარულით არიან გარემოცულნი, ოღონდ ამას ახლობლები ვერ ხვდებიან. ალბათ, უცნაური ბავშვი ვიყავი, თუმცა თავიდან ეს მაინცდამაინც თვალშისაცემი არ იყო. მე მარტოდმარტო ვატარებდი დროს და თანატოლებთან თითქმის არასოდეს მივდიოდი. თანაც განაპირას, თუმცა სხვა სახლებისგან არც ისე შორს ვცხოვრობდით. ყველაზე მეტად დედისკენ მიმიწევდა გული. მე და დედა ერთმანეთს ნამდვილად ძალიან ვგავდით, ორივე დინჯი და მკაცრი ზნეობით გამოვირჩეოდით და ისე ვსაუბრობდით, თითქოს ტოლები, ცხოვრებით ერთნაირად გამობრძმედილნი გახლდით. სინამდვილეში კი რა ცუდად ვიცნობდით ცხოვრებას მეც და ისიც. დედაჩემს თითქმის არ შეხებია ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივ სიმდაბლეს, სიბოროტეს, უთავბოლო ამაოებას ეძახიან, ყოველივე, რასაც ცხოვრება ჰქვია და რის ცოდნითაც ხალხს ასე უყვარს თავის მოწონება. იგი მხოლოდ მარტივ მოვლენებს სცნობდა. იცოდა, როგორ გაეჩინა, შემდეგ კი დაეკარგა შვილები, როგორ უყვარებოდა ოდესღაც ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ახლა კი მასავით მძიმე შრომით გატეხილი კაცი. სულ ეს იყო, რაც მან იცოდა, მაგრამ განა საკმარისი არ არის? წმინდა და ხესავით უბრალო სული ჰქონდა. ტანმაღალი იყო და თავისი სიმშვიდითა და მშვიდობიანობით მართლაც ხეს მოგაგონებდა. სწორედ იმ მაღალ, ეულად ამოსულ ხეს, რომელიც ხეობის სიღრმეში, ველზე ხარობდა. იგი წმინდა ხედ ითვლებოდა და მამაჩემიც თაყვანს სცემდა. ყოველ დილით, სანამ მუშაობას შეუდგებოდა, მამა ამ ხესთან მიდიოდა. მე და დედა კი ყოველ დღე ლარტაფში, წყაროსთან ჩავდიოდით; ჩვენ ამ წყაროს ვეთაყვანებოდით. ლარტაფში ანკარა წყალი მოჩუხჩუხებდა, მის ირგვლივ კი ლორთქო, მარადმწვანე მცენარეები ხარობდა. ეს წყაროც ჭეშმარიტად წმინდა წყარო იყო. საკმარისია წყალში ჩაგეხედა, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ღვთაებრივ მოვლენასთან გქონდა საქმე. წყაროში ქვიშის ყოველი მარცვალი მოსჩანდა, ერთ ადგილას კი ქვიშა ისე მდორედ ტრიალებდა, თითქოს უფლის უხილავი ხელი აბრუნებდა.

ჩემი მშობლები უფალს თაყვანს სცემდნენ და პატივსაც მიაგებდნენ, მაგრამ მათთვის ღმერთი, წყაროები, ხეები და წმინდა ჭალები იყო და არა ის, ვინც ტაძარში უფლობდა. ზედმეტად დიდი და შორეული გახლდათ ის, ვისაც ნაწყალობევი მიწის გადასახადს რისვაივაგლახით უხდიდნენ. როცა დელფოში ჩადიოდნენ, ეს კი იშვიათად ხდებოდა, ჩვეულებრივ, მიწის ღვთაების გეას სადა ტაძარს მოინახულებდნენ. ეს ტაძარი ხის პატარა სახლი იყო, რომლის უბრალოება მათ მდაბიო ცხოვრებას ასე ეხამებოდა. ჩემმა დედ-მამამ არაფერი იცოდნენ არც ღვთაების უსამანო სიდიადესა და უძირო სიღრმეებზე, არც იმ საშინელ ძალაუფლებაზე, რითაც ის ადამიანის სულს თრგუნავდა. ისევე როგორც, არ შეიძლებოდა სცოდნოდათ ყველა ის ურცხვობა, მისა და მისი ტაძრის ირგვლივ რომ ტრიალებდა.

ისინი თავად უკავშირდებოდნენ ღმერთს და შუამავლები არ სჭირდებოდათ. სახლისაგან მოშორებით, ჭალაში, საკუთარი, პატარა საკურთხეველი გვქონდა, რომელიც მამამ ბელტებისაგან ააგო და სადაც ყოველწლიური დღესასწაულების ჟამს მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებას მსხვერპლს სწირავდა. მაგრამ სალამოობით, დღიური შრომის შემდეგ შინ მობრუნებული მამა, სადაგ დღესაც ხშირად გამოივლიდა იქ და წელიწადის დროის მიხედვით ან მინდვრიდან წამოღებულ რამდენიმე თავთავს ან ხილსა და კენკრას ტოვებ-

და. ჭამის წინ და ჭამის შემდეგაც, რა თქმა უნდა. კერიას მსხვერპლს სწირავდა და მე კარგად მახსოვს, რა მოწიწებით ასრულებდა ამ წესს, რომელსაც მრავალნი ისე დაუფიქრებლად სჩადიან არც მის არსს აცნობიერებენ და არც რაიმე აზრს დებენ. მამა გულჩათხრობილი და ჩუმი კაცი იყო; განსაკუთრებით მისი თვინიერი, მაგრამ ყოველთვის ოდნავ სევდიანი თვალები დამამახსოვრდა და კიდევ დიდი, გაუხეშებული ხელები, რომელსაც ფიჭვის ხის ქერქივით ნებები ჰქონდა; როცა ეს ხელები მეხვეოდა, თავს მშვიდად და უშფოთველად ვგრძნობდი. ასევე მშვიდად და კარგად ვიყავი, როცა სადმე ერთად მივდიოდით და ჩემი პატარა ხელი, მის ფართო ხელისგულში იმალებოდა. მაგრამ ლაპარაკი არ უყვარდა. სიბერეში უფრო მოღუშული და პირქუში გახდა, განსაკუთრებით დედის სიკვდილის შემდეგ შეიცვალა. ცხადია, ჩემმა ამბავმაც გაუჩინა სადარდებელი. მან ისე დიდხანს იცოცხლა, არც ეს ელდა ასცდა. ხშირად მიფიქრია, ნეტავ იმანაც თუ შემაჩვენა-მეთქი?

იგი მარტოდმარტო გარდაიცვალა და იმ წმინდა ხის ქვეშ იპოვნეს, რომელზედაც უკვე გიამბეთ, ოღონდ ვინც იპოვნა, იმან არ იცოდა, რომ ხე, წმინდა ხედ ითვლებოდა და ვერ მიხვდა სასიკვდილოდ სწორედ ამ ხის ქვეშ რად დაწვა. მის სამარეზე სულის მოსახსენიებლად მსხვერპლი არავის შეუწირავს, მაგრამ ვიმედოვნებ, არ განმრისხდა და სული მისი მშვიდად განისვენებს.

ვიზრდებოდი და თანდათან უფრო შესამჩნევი გახდა, რომ სხვა ჩემს ტოლ გოგონებს რაღაცით არ ვგავდი. ზმანებები მქონდა და ხმები მესმოდა, სწორედ იმ დროს, როცა პირველი ნიშნების მიხედვით დაქალებას ვიწყებდი, შემდეგ ზმანებები გაქრა, მაგრამ რაღაც განდეგილობა შემომრჩა, თითქოს ჩემი სული სადღაც შორეთში დაქროდა; უფრო და უფრო ვესწრაფვოდი განმარტოებას და ჩემს გრძნობებს დედასაც აღარ ვუმხელდი. უფრო მძაფრად ვგრძნობდი, რომ მარტო ვიყავი და სხვებისაგან განვსხვავდებოდი. ვერ აგიხსნიდით, კერძოდ რით განვსხვავდებოდი, მაგრამ ეს მტანჯავდა. მუდამ აფორიაქებული ვცხოვრობდი, მშვიდად და მტკიცედ თავი აღარასოდეს მიგრძვნია, თუმცა ყველაფერი მქონდა, რაც ამისთვის საჭირო იყო. თვით ის მშვიდი და საიმედო ცხოვრებაც კი, გარს რომ მეკრა, მაფორიაქებდა და მამძიმებდა. უცნაური იყო, მიხაროდა, რომ ამ ცხოვრებით ვცხოვრობდი, უმისობა არ შემეძლო და მაინც მაწუხებდა. დედ-მამისაგან შეუმჩნევლად მათ სამყაროს უფრო და უფრო განველტვე, თუმცა თავადაც იქ ვცხოვრობდი და სხვაგან ცხოვრებაც არ შემეძლო. სხვა რა სამყარო უნდა მქონოდა? ჩემთვის მხოლოდ მშობლები არსებობდნენ, ისინი უსაზღვროდ მიყვარდა, და მაინც, საკუთარ სახლში თავს უცხოდ ვგრძნობდი. აფორიაქებული სულით დავდიოდი, რასაც ისინი ვერც კი ხვდებოდნენ, და რომც მეთქვა, ვერ გაიგებდნენ. მშობლები ირგვლივ ყველაფრის მიმართ გულუბრყვილო ნდობით იყვნენ აღვსილნი და ღმერთსაც ყველაფერში ხედავდნენ.

ღმერთი? მე თუ მყავს ძველებურად ღმერთი, ვეკითხებოდი ჩემს თავს. მგონი მყავს, მაგრამ სად არის? სადღაც ძალიან, ძალიან შორსაა, მგონი მიმატოვა. იქნებ მე მივატოვე? მაშ ასე აფორიაქებული რადა ვარ, სიმშვიდე რად დავკარგე? თავად ღმერთი ხომ არ არის სიმშვიდე — მშვიდობა და სიმშვიდე? ყოველივე ის, რაც აღარა მაქვს.

შემეძლო კარგა ხანი ყველაფრის მიმართ გულგრილი ვყოფილიყავი და ამავე დროს ჩემს სულს რაღაც, არ ვიცი, რა, მძაფრად ენატრებოდა.

ისეც ხდებოდა, რომ უცებ, მოულოდნელად, უნებურად ცხელი ტალღა შემომაწვებოდა — ბედნიერების, სიხარულის ტალღა, რომელიც სულს ჯერ ნეტარებით ამივსებდა. შემდეგ კი ისე მძაფრად და მწველად შემომაწვებოდა, მაფრთხობდა და მაშინებდა. უკიდეგანო შიშით დათრგუნვილი ხელისგულებს თვალებზე მაგრად ვიფარებდი, ველოდი, სიცხე როდის განელდებოდა და ისევ ჩემს თავს დავიბრუნებდი. ჩემს თავს? ეს რაღას ნიშნავს?

თავად ვინა ვარ?

ამ დროს ჯანმრთელი და ძლიერი სხეული მქონდა და ჩემი მშობლებივით ტანმაღალი გახლდით. გასაოცარი კი აი, რა იყო. სრულქმნილი ჯანმრთელობა და რაღაც განსაკუთრებული სენი, სრულიად ჩვეულებრივი გლეხის გოგო და გარემოსთვის უცხო, მგრძნობიარე არსება ერთმანეთს ერწყმოდა. ამიტომ, ალბათ, ძნელი იყო ჩემი ჭეშმარიტი სახის უცებ შეცნობა.

დროთა განმავლობაში კი გასაგები გახდა, რომ უცნაურად ახირებული ვიყავი. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ ჩვენს ოჯახს ახირებულებს ეძახდნენ. ტაძრის მსახურებსაც ალბათ, ამიტომ გავახსენდი, როცა ახალი პითია დასჭირდათ. აღარ მახსოვს, მაგრამ ვფიქრობ, როცა ეს მოხდა, ოცი წლის ვიყავი. ტაძრის ხელისუფლებმა, როგორც ჩანს გადაწყვიტეს, რომ გამოადგებოდათ სწორედ ასეთი ლატაკი და ახირებული, მდაბიო და გულუბრყვილო გლეხის გოგო, რომლის მშობლები ტაძარზე და ღმერთზე იყვნენ დამოკიდებულნი. ისიც ხელს აძლევდათ, რომ ოჯახი, სადაც გავიზარდე, უფლის ღრმა და გულწრფელი თაყვანისცემით გამოირჩეოდა. ჩემი ოჯახის ამბავი, როგორც ჩანს, ხალხში გაიკითხეს.

დედ-მამა უკიდურესად დაიბნა, როცა ასეთი წინადადება მიიღეს. მსგავსი რამ არასდროს უფიქრიათ. ცხადია, იცოდნენ, რომ ეს დიდი

პატივი იყო, ჰო, ალბათ დიდი პატივი იყო. მათ ხომ იცოდნენ, რომ ამ დიადსა და ყოვლისშემძლე ღმერთს შეუდარებელი სავანე და საუცხოო ტაძარი ჰქონდა, თუმცა თავად იქ იშვიათად შედიოდნენ, ურიცხვი განძეული და უცხო ხალხი აცბუნებდათ და აკრთობდათ, ან კი როგორ შეიძლება უარი უთხრა ასეთ დიდ პირებს, დელფოს ყველაზე წარჩინებულ ხალხს, როცა რაღაცას გთხოვენ? რადგან გთავაზობენ, ესე იგი ასეცაა საჭირო. მაგრამ ეს ყოველივე ცუდად ესმოდათ და აღარ იცოდნენ, რა პასუხი გაეცათ. როგორც ჩანს, უნდა დათანხმებოდნენ. ღმერთს უნდა მინდობოდნენ, უფალს ასე სურსო, უნდა ეფიქრათ. თუმცა ძალიან ეშინოდათ; ჩემი თავი ხომ რაღაც შეუცნობელისა და გაუგებარის ძალაუფლებაში უნდა გადაეცათ.

მაგრამ მე? თავად მე?

ძლიერ ავღელდი და თავზარიც დამეცა, როცა ეს გავიგონე. ღვთის რჩეული? მე ვარ რჩეული? ტაძარში, უფალთან მიხმობენ?

მის იარაღად უნდა გადავიქცე. ხალხს მისი სიტყვები, მისი ჩაგონებული ხილვები ვამცნო? მისი სულით აღვსილმა წმინდა აღფრთოვანებით ვიწინასწარმეტყველო?

? მე ვარ რჩეული?

ეს აზრი თავზარს მცემდა, მაშინებდა, სულს მძიმებდა და თანაც უკიდეგანო ბედნიერებით მავსებდა.

ნუთუ შესაძლებელია? უფალი მიხმობს? მათ ხომ ასე მითხრეს, ასე ფიქრობენ. ღმერთი მიხმობს, ღმერთი, რომელმაც მიმატოვა, რომელიც მივატოვე. ნუთუ შესაძლებელია? ნუთუ თავის მსახურად, თავის წინასწარმეტყველად მე ამირჩია? ნუთუ ქადაგება ჩემი ბაგეებით სურს? ეს გაუგებარი იყო, ეს სასწაული ეხლდათ. ამ სასწაულს ველოდი?

არა, უფალმა არ დამივიწყა, არ მიმატოვა. არც მე მიმიტოვებია, არა, ცხადია არა. იგი მიხმობს და მეც მხოლოდ მისით აღვსილი გულით ვეახლები!

უფალი მიხმობს!

როცა პირველმა მღელვარებამ გადაიარა, ჩემი სიხარულის შეგრძნება დამრჩა. დავდიოდი და დაუსრულებლად ვფიქრობდი, რა საოცრება მელოდა. აი, სად შევიცნობდი მშვიდობას, მის გვერდით კვლავ მოვიპოვებდი სიმშვიდეს.

გადაწყდა, რომ მე და დედა დელფოს ტაძარში ერთად წავიდოდით. ერთ მშვენიერ დილას, ასეც მოვიქეცით. მსახურებს ჩვენი მოსვლის მიზეზი ავუხსენით; მათ ტაძრის მოედანზე ერთ შენობაში მიგვიყვანეს და უზენაესი ქურუმის წინაშე წარგვადგინეს. ეს ხანდაზმული კაცი დელფოს ყველაზე ცნობილი გვარისა იყო, ასეთ ხალხს ჩვენ არასოდეს ვიცნობდით. იგი თბილად შეგვხვდა და მასთან საუბარი ძნელი სულაც არ აღმოჩნდა. ცოტა ჩვენი ცხოვრების შესახებ ვუამბეთ. შემდეგ მე გამომელაპარაკა, ჩემი ბავშვობის და მრავალი სხვა ამბავიც გამომკითხა, თუმცა გაუგებარია, რისთვის სურდა ამის გაგება. ჩემი, ალბათ, გულუბრყვილო პასუხებით თითქოს კმაყოფილი დარჩა. ბოლოს მითხრა ამ ტაძარში დაბუდებული ღმერთი, სინათლის ღმერთია, სხვა ღმერთებზე დიადია, ხოლო მისი ორაკული, მსოფლიოს ყველა ორაკულზე სახელოვანიო. იყო ამ ტაძრის ქადაგი, თანაც ისეთი ქადაგი, რომელსაც თავად ღმერთმა მოუწოდა და აკურთხა, დიდი წყალობა და დიდი პასუხისმგებლობააო. მის წინაშე აღელვებული და ბედნიერი ვიდექი და თვალებით მიწას მივშტერებოდი.

შემდეგ ჩვენი თავი გადასცა მსახურს, რომელმაც მოედნის გავლით ტაძარში შეგვიყვანა და ერთ ქურუმს ჩაგვაბარა.

ტაძარი მანამდე არასოდეს მენახა. დედაჩემს სახეზე შემცბარი გლეხის ქალის დაბნეულობა და გაუბედაობა ეწერა და თითქმის არსად გაუხედავს, მე კი ღვთის სავანის სიმდიდრითა და ფუფუნებით განცვიფრებული ყველაფერს აღფრთოვანებული ვათვალიერებდი. მსგავსი არაფერი მენახა და ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი რამ თუ არსებობდა. იმის შეგრძნებამ, რომ ასე ახლო ვიყავი ღვთაებასთან, მოწიწებითა და სიხარულით ამავსო. დილის მზე ჩახჩახებდა და თავისი სხივებით ტაძარს ავსებდა. ეს ჭეშმარიტად სინათლის ღმერთის ტაძარი იყო, თავად უფლის სავანე, სახლი, სადაც უზენაესი ცხოვრობდა.

ქურუმი, როგორც ჩანს ჩემი აღფრთოვანებით კმაყოფილი დარჩა. და რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მგონი, ისიც მოეწონა, რომ ადრე ტაძარში არასოდეს ვყოფილვარ. იგი მოთმინებით იცდიდა და ჩემს მოწიწებულ ჭვრეტას ხელს არ უშლიდა. შემდეგ ტაძრის სიღრმეში შეგვიყვანა, სადაც კედელში პატარა კარი გამოჩნდა, დედას უბრძანა აქ დარჩი და დაგველოდეო, ჩვენ კი შევედით ნიმცრო დარბაზში, სადაც მისი თქმით იკრიბებოდნენ პილიგრიმები, ესე იგი ხალხი, ვინც ორაკულს შეკითხვით მიმართავდა. დარბაზი გადავჭერით და ვიწრო კიბით დავეშვით ქვემოთ, თითქმის სრულიად ბნელ სადგომში, რომელსაც მხოლოდ ზეთის ორი, მკრთალი პატრუქი ანათებდა. ქვემოთ მძიმე, შმორიანი, სულისშემხუთველი ჰაერი იდგა. ასე მეგონა ახლავე დავიხრჩობი-მეთქი. ფეხქვეშ უსწორმასწორო და გალიპულ იატაკს ვგრძნობდი და მივხვდი, რომ ეს მხოლოდ კლდის ნესტიანი ზედაპირი იყო. ნაპრალის თავზე მაღალი ზედადგარი იდგა. ზედადგარის აქეთ-იქეთ თვალი ორ მაღალ თასს მოვკარი. მკაფიოდ ვერაფერი გავარჩიე. არც კედლები დამინახავს. ეს მიწისქვეშა გამოქვაბულს ჰგავდა, რომელსაც კეთილსურნელებისა და, როგორც ჩანს, კლდის

ნაპრალიდან ამოჭრილი მძიმე, მომგუდავი ანაორთქლის უცნაური ნაზავი და სუსტი, მაგრამ საკმაოდ მძაფრი თხის სუნი ავსებდა. თავზარდაცემული ვიდექი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მძიმედ ვსუნთქავდი და ასე მეგონა საცაა გონებას დავკარგავ-მეთქი.

ქურუმმა, რომელიც სიბნელის მიუხედავად თვალს ფხიზლად მადევნებდა, ამიხსნა, ეს ტაძრის გულია, სადაც უფალი ქადაგებს და ცნობამიხდილ პითიას შთააგონებს, რა წინასწარმეტყველება წარმოსთქვასო, მისი წმინდა სულით შენ სწორედ აქ უნდა აღივსო და ემსახუროო. ვიხრჩობოდი და საპასუხოს ვერაფერს ვამბობდი. მას კი, როგორც ჩანს, მოეწონა ის ზემოქმედება, რაც ჩემს მგრძნობიარე სულზე წმინდა გამოქვაბულმა მოახდინა; შემდეგ გამაფრთხილა, რაც გაიგე და რასაც ალბათ კიდევ გაიგებ, საიდუმლოდ უნდა შეინახოო და უკან გამოვბრუნდით. როგორც ყოველთვის, ძლიერი მღელვარების ჟამს, ხელისგულები მაგრად ავიფარე თვალებზე და ვიწრო კიბეზე მის კვალს გავყევი.

დედა ზემოთ მოუსვენრად გველოდა და როგორც კი დამინახა, შეშფოთებული შემომაცქერდა. ისევ მძიმედ ვსუნთქავდი, მაგრამ ვიმედოვნებდი, დედა ვერ შემამჩნევს-მეთქი. ვეებერთელა, ნათელ, ძველებურად მზით გაჩახჩახებულ ტაძარს ცარიელი მზერა მოვავლე. აქ ყველაფერი ძველბურად ბრწყინავდა, მაგრამ მე აღარ მახარებდა. წამიერად თვალი მოვუხუჭე ჩახჩახა სინათლეს, თითქოს მთლიანად ჩამითრია რაღაცამ, შიგნიდან რომ მავსებდა. მაშინ პირველად, ღვთაების საიდუმლო არსს ფარდა ოდნავ აეხადა.

ტაძრის შესასვლელთან ქურუმმა მოსვლის დღე დამინიშნა და დაგვტოვა. ხელჩაკიდებულნი შინისაკენ ჩუმად გავეშურეთ. დედა შემეკითხა, სად წაგიყვანაო, მაგრამ მე გაურკვევლად ვუპასუხე და ამის შემდეგ სახლამდე მდუმარედ ვიარეთ.

ჩემს ფიქრებთან კვლავ მარტო დავრჩი. ვფიქრობდი, რომ უფალი შეუცნობელი და მიუწვდომელი იყო, რომ მიწისქვეშა გამოქვაბულში ბინადრობდა და მაშინებდა, რომ მაინც მენატრებოდა. დიახ, მენატრებოდა, მაინც მენატრებოდა. თუმცა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა და მისგან დახმარებასაც აღარ ველოდი, თუმცა მხოლოდ მსახურებისათვის მიხმობდა.

მაგრამ მაინცდამაინც მე რად მიხმო? მე რად ამირჩია?

ზემოთ, დღის ჩახჩახა სინათლეშიც უდგას ტაძარი, მშვენიერი, დიდებული ტაძარი. მაგრამ ტაძრის გული იქ არ არისო, ასე მითხრეს. მეც იქ არ ვემსახურები, თავისი სულით იქ არ აღმავსებს; იქ, იგი სხვანაირია. მე არ ვჭირდები, რადგან ჩემი ავსება სინათლით არ სურს. არა, თავის ხილვებს ტაძრის მიწისქვეშეთში ჩამაგონებს, მიწისქვეშეთში ამიტანს.

და მაინც, რაღაც ძალა იქით მეწეოდა. შეშინებული, თავზარდაცემული ვფიქრობდი: რა მომელის-მეთქი, და მაინც, რაღაც იქით დაუოკებლად მეწეოდა! ფიქრი სხვა აღარაფერზე შემეძლო, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მძიმე, გამაბრუებელი სურნელით სავსე მიწისქვეშეთში ჩავიკეტებოდი, ფართოდ გახსნილი ბაგეებით წინასწარმეტყველებას წარმოვთქვამდი, მისი სულით აღვსილი, პირზე დუჟმორეული ველურ, გაუგებარ სიტყვებს ვიყვირებდი და ჩემს უფალს ვემსახურებოდი, დავნებდებოდი!

ასეთი მღელვარებით ველოდი მომავალს. მაგრამ თანდათან მღელვარება დამიცხრა და რაღაც ბურუსითა და გაშტერებით შეიცვალა. მოუსვენრობა თავს აღარ იჩენდა, თუმცა ჩემში მაინც თვლემდა. არ ვიცი, ამ მდგომარეობას ჩემი ახალი მეურვეები ამჩნევდნენ თუ არა, დელფოში ახლა ხშირად დავდიოდი. ახლოვდებოდა დღესასწაული, როცა პითიად პირველად უნდა ვქცეულიყავი. ქურუმები ღვთისმსახურებისათვის მამზადებდნენ და სურდათ მშობლებისაგან მოშორებული მათთან უფრო ხშირად ვყოფილიყავი. ამ საზრუნავისა ცოტა მესმოდა, მათი მოქმედების აზრს კი ხანდახან საერთოდ ვერ ვიგებდი. წლები გავიდა, სანამ მივხვდებოდი: ერთი სისაძაგლე მხოლოდ იმისთვის ჩამიტარეს, რომ ჩემს უბიწოებაში დარწმუნებულიყვნენ. მე მათგან განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობდი და ვინ იცის იქნებ თავად უფალმა მომახვია გაოგნება, რათა დავეფარე და ქურუმების კი არა, მის სამყაროში მეცხოვრა. იქნებ ასეც იყო, თუმცა მე რა შეიძლება ვიცოდე.

გაზაფხულის თვის მეშვიდე დღე, უფლის დღესასწაული ახლოვდებოდა. ორაკულთან ერთად მეც პირველად უნდა შევდგომოდი მსახურებას. მთელ იმედებს ქურუმები ჩემზე ამყარებდნენ, რადგან წინა პითია ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა ისეთ გარემოებაში, რომლის გახმაურებაც არ სურდათ. ამ დღესასწაულზე, რომელიც მრავალი დღე გრძელდებოდა, მრავალ პილიგრიმს ელოდნენ და ქურუმები ღელავდნენ, როგორ მოვერეოდი საქმეს, მე ხომ ჯერ არ მომეშინჯა ძალები, ისურვებდა კი უფალი ჩემი ბაგეებით ქადაგებას, ავიტანდი კი ამ ყოველდღიური, დამაუძლურებელი მსახურების სიმძიმეს. ქურუმები ჩემზე დაულალავად ზრუნავდნენ და მივლიდნენ. ოღონდ თავად მე ნაკლებად ვედარდებოდი. ეს მაშინაც მესმოდა, თუმცა სულ ბავშვი ვიყავი, ხალხს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი და არც მათი ზნის შესახებ ვიცოდი რამე. ისიც მესმოდა, რომ ქურუმები უფლისთვის კი არა უფლის ტაძრისთვის ცხოვრობდნენ და რომ ღმერთი კი არა, მისი ტაძარი, მისი ტაძრის გავლენა უყვარდათ.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ პილიგრიმები, როგორც ყოველთვის, ჭგრომ მოაწყდებოდნენ წლის მთავარ დღესასწაულს, ესე იგი, ტაძარი დიდ შესაწირავს მიიღებდა და თავის სიმდიდრესა და სიძლიერეს უფრო გაზრდიდა. ალბათ, ყველა ფუნდუკი სტუმრებით იქნებოდა სავსე და ქალაქში შემოსავლის თავისი წილი ასე თუ ისე ყველას შეხვდებოდა. ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ბევრს ნიშნავდა ეს დღესასწაულები, რომელსაც ქვეყნის ყველა კუთხიდან აწყდებოდნენ. ქალაქი არსებითად მხოლოდ ამით ინახავდა თავს და ისიც სტუმრების მისაღებად გულმოდგინედ ემზადებოდა.

მაშინ ეს არ მესმოდა, რადგან ცოტა ვიცოდი, სამაგიეროდ შემდგომში კარგად, მგონი ზედმეტად კარგადაც გავერკვიე. კარგად შევიცანი, რა ეკრა გარს ღმერთსა და მის ტაძარს, კარგად გავიგე, რას ნიშნავდა ორაკულის დიდება ამ ხალხისათვის, რომელთა სახლები ტაძრის ირგვლივ წამოჭიმულ მთას მოფუსფუსე ჭიანჭველების ბუდეებივით მიჰკვროდა. ღმერთთან თანაზიარობამ ისინი ჩვეულებრივი მიწის სამუშაოებისაგან გაანთავისუფლა, მათაც ირწმუნეს, განსაკუთრებული ადგილი გვიჭირავსო და უამრავ უცხოელს, მათი არაჩვეულებრივი მთის ქალაქისაკენ რომ მოისწრაფოდნენ, ზემოდან დასცქეროდნენ. სიამაყით აღვსილი მოსახლეობა წმიდათა წმიდა ქალაქად თვლიდა დელფოს, სადაც ყველა მხოლოდ ღმერთით ცხოვრობდა და იკვებებოდა.

ეს ყოველივე, მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი; ცხადია, შეუძლებელი იყო საყოველთაო ფუსფუსი არ შემემჩნია, მაგრამ მასზე არასოდეს დავფიქრებულვარ; იქნებ თავად უფალმა მომახვია ეს გაოგნება, თითქოს ვერაფერს ვხედავდი, არაფერი მესმოდა და გარე სამყარო სულ არ მეხებოდა.

და აი, დადგა დღე, დღე სინათლის ღმერთისა, რომელიც მის საპატივცემულო დღესასწაულს თავად გახსნიდა. დღემდე ნათლად მახსოვს ის დილა. მთის მილმა არასოდეს ამოსულა მზე ისეთი, როგორც ამ დილას იყო, ჩემთვის არ ამოსულა. სამი დღე ვიმარხულე. ჩიტივით მსუბუქი და ფარფატა ვიყავი. კასტალიის წყაროზე განვიბანე; წყალი ანკარა იყო, მე კი სუფთა და განთავისუფლებული ყველაფრისგან, რაც კი უფალს არ ეხებოდა. პატარძლად, მის პატარძლად მორთული ტაძრის მოედნისაკენ მიმავალ გზას ნელა შევუყევი. გზის გაყოლებით და თავად მოედანზეც ხალხის ბრბო იდგა, მაგრამ ვერავის ვამჩნევდი, ვერავის და ვერაფერს ვხედავდი. მე უფლისაკენ მივიჩქაროდი. ტაძრის საფეხურებს ზევით ავუყევი, ერთმა მსახურმა წმინდა წყალი მაპკურა და ასე შევაბიჯე გასხივოსნებულ ტაძარში, უფლის ამ ნათელ სავანეში, სადაც არ მელოდა, სადაც არ ვემსახურებოდი. ტაძარში მივდიოდი და დაჩრილი ქუთუთოების ქვეშ თვალებს ცრემლი მიწვავდა: თვალი დავხუჭე, რათა ეს სიდიადე არ დამენახა. არ [illegible] ჩემი ღმერთისთვის, იმ მსახურებისთვის, რაც დამინიშნა, რისთვისაც ამირჩია. ორი ქურუმის თანხლებით ჩავუარე საკურთხეველს, სადაც უფლის ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო, შემდეგ პილიგრიმების დარბაზი გადავჭერი და ვიწრო, უბადრუკი კიბით ქვემოთ, ორაკულის მიწისქვეშეთში დავეშვი.

იქ ისეთივე ბინდი დამხვდა, როგორც ყოველთვის იყო და ცოტა დრო დამჭირდა, სანამ რამის გარჩევას შევძლებდი. ნაპრალიდან ამოსული მძიმე ანაორთქლი კი მაშინვე ვიგრძენი და უფრო მახრჩობელა და გამაბრუებელი მეჩვენა. ვერაფრით მივხვდი თხის უწინდელზე მძაფრი და ძლიერი სუნი საიდან გაჩნდა. გარდა ამისა, მიწისქვეშეთი ბოლით ისე იყო გაჟღენთილი, თითქოს რაღაცას წვავდნენ. მცირე ხნის შემდეგ სიბნელეში მაყალი შევნიშნე; მაყალზე რაღაც ბჟუტავდა, ერთი გამხმარი კაცი მასზე დახრილიყო და ნაკვერცხალს ძერის ფრთის მსგავსი ფრთით უნიავებდა კაცის ფეხებთან მოყვითალო-მონაცრისფრო გველი გასრიალდა და ბინდში გაქრა. თავზარი დამეცა; გაგონილი მქონდა, წინა პითია, სწორედ ასეთი გველის ნაკბენმა მოჰკლაო, მაგრამ ტყუილი მეგონა, რადგან პირველად აქ არავითარი გველები არ მინახავს. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს მართლაც ასე იყო, რომ გველები აქ მუდამ ცხოვრობდნენ და მათ, როგორც ორაკულის წმინდა ცხოველებს, ღვთაებრივი შეგნებით აღჭურვილ არსებებს პატივს მიაგებდნენ. ისიც გავიგე, რომ მაყალზე უფლის წმინდა ხის, დაფნის ნაჭრებს წვავდნენ. ქადაგს ეს ბოლი უნდა შეესუნთქა, რათა უფლის წმინდა სულით აღვსილიყო.

მაგრამ აი, კაცი წამოდგა, თავისი მაყალი და ფრინველის ფრთა მიატოვა და ისე თბილად შემომხედა, შიშმა, მარწუხებივით რომ მოჭეროდა, ცოტა უკან დაიხია. კაცის გამოფიტულმა და დანაოჭებულმა პირისახემ კეთილი და ალერსიანი ღიმილით გამიღიმა. მაშინ რა ვიცოდი, რომ მთელ ტაძარში იგი ჩემი ერთადერთი მეგობარი, ერთადერთი ნუგეში და საყრდენი გახდებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ბედი გამოქვაბულიდან აფრენილი არწივივით მოულოდნელად გამისწორდებოდა. მაშინ თითქმის გონდაკარგული გახლდით, მისთვის დაკვირვებით არ შემიხედავს და მაინც მივხვდი, რომ სხვებს არ გავდა, რომ კეთილი იყო და ჩემთვისაც სიკეთე სურდა, თუმცა ვალდებული გახლდათ აქ, ორაკულთან მისთვის დაწესებული მსახურება შეესრულებინა. კაცმა დაფნის ცოცხალი ფოთლებით სავსე თასი გამომიწოდა. ეს ფოთლები ახლახან მოეკრიფათ უფლის ჭალაში, რათა მაყალიდან ალე-

ბულ ფერთლთან ერთად მეგემა და უფლის სულით ალვსებულიყავი. ორაკულის მოხუცმა მსახურმა სწორედ მაშინ გამიღიმა, თითქოს, ნუ გეშინიათ, მანიშნა და ამდენი საშინელების შეხედვარე მისმა ღიმილმა დამამშვიდა, მხარში ამომიდგა. ხმის ამოღება, ცხადია არ შეეძლო, წმინდა მიწისქვეშეთში ლაპარაკის უფლება არავის ჰქონდა.

ნაზავს, რომელიც მან მომაწოდა, საზიზლარი გემო ჰქონდა. არ ვიცი, გემომ იმოქმედა თუ მარხულობისაგან ღონემიხდილი ვიყავი, მაგრამ თავი ისე ცუდად ვიგრძენი, კინაღამ ჩავიკეცე. ორაკულის ორი ქურუმი თვალს არ მაშორებდა. ზედადგარი ისე მაღალი იყო თავად ვერ ავძვრებოდი და ქურუმებმა შემსვეს. შემდეგ მაღალ ქვესადგამზე გავარვარებული ნახშირით სავსე მაყალი აღმართეს და ისიც ჩემი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ყოველ ჩასუნთქვაზე გამაბრუებელი ბოლი მავსებდა, ყელში მიღიტინებდა. როგორღაც უცნაურად დამეხვა თავბრუ და ცნობიერება გამიბუნდოვანდა. ყველაზე მეტად ნაპრალიდან ამოსული ანაორთქლი მოქმედებდა; ახლა, როცა ზუსტად მის თავზე ვიჯექი, მხამიანი და გულისამრევი სუნი პირდაპირ მახრჩობდა. შიშის ზარმა ამიტანა, თავში გამიელვა: ვიღაცისგან გამიგონია, რომ ეს ნაპრალი მიწის სიღრმეში, მიცვალებულთა საუფლომდე მიდის. ორაკული ხომ თავის ძალებს სწორედ იქიდან კრეფს, რადგან საბოლოოდ ყველაფერი სწორედ სიკვდილმა იცის. საზარელმა შიშმა მომიცვა. მეშინოდა იმისი, რასაც ქვემოთ ვხედავდი, რასაც შეიძლებოდა წარვეტაცე თუ გონებას დავკარგავდი და ზედგარიდან ჩამოვარდებოდი, შემზარავმა შიშმა ამიტანა მიცვალებულთა საუფლოს, სიკვდილის, სიკვდილის წინაშე... ვგრძნობდი, რომ ვარდებოდი, ვარდებოდი... მაგრამ ღმერთი სადღაა? სადაა ღმერთი? არ მოვიდა! როგორც შემპირდა, თავისი სულით არ აღმავსო! და აი, ვარდები, ვარდები...

გონებადანისლულმა, თითქმის გრძნობადაკარგულმა შევნიშნე, რომ ორაკულის ერთმა ქურუმმა მიწისქვეშეთის სიბნელიდან ვეებერთელა რქებიანი თხა გამოიყვანა და თავზე ვგონებ, წყალი დაასხა. შემდეგ ველარაფერს ვხედავდი და აღარაფერი მესმოდა...

მოულოდნელად ყველაფერი გარდაისახა! ენით უთქმელი სიმსუბუქე და თავისუფლება ვიგრძენი; სიკვდილის განცდა გაქრა. სიცოცხლე, სიცოცხლე და აღუწერელი, ვეებერთელა სიხარული იშვა... მოვიდა! ჰო, ჰო, ის ჩამისახლდა! ვგრძნობდი, ვიცოდი! ის ჩამისახლდა, დამცალა, არარაობად მაქცია და თავისი სულით, ბედნიერებით, აღფრთოვანებითა და ზეიმით ამავსო. ო, რა მშვენიერია, როცა მისი სული, მისი აღფრთოვანება გაგანათლებს, როცა მას დანებდები, მისით ატაცებული მთლიანად, განუყოფლად მიეკუთვნები. როცა მისი აღფრთოვანებით, ბედნიერებით, [illegible] ზეიმით განიმსჭვალები, როცა უფალთან [illegible] ტკბობას გაიზიარებ — რა [illegible] უფრო მშვენიერი!

ეს განსაცვიფრებელი გრძნობა უფრო [illegible] უფრო იზრდებოდა და თუმცა კვლავ სიხარულისმომგვრელი და საზეიმო იყო, ზედმეტად ბობოქარი, ზედმეტად ყოვლისმომცველი აღმოჩნდა და ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა. მან ნათელეთებად მაქცია, ტკივილით ამავსო კივლა, შემზარავად გადამრია. ჩემი სხეული დაიკლაკნა, ტკივილისაგან დაიკრუნჩხა, აქეთ-იქეთ მიასკდა. ყელში რაღაცამ წამიჭირა და ვიფიქრე, დავიხრჩობი-მეთქი. მაგრამ არ დავიხრჩვი; ამის ნაცვლად ყელიდან შემზარავი, მტანჯველი, ჩემთვის სრულიად უცხო ბგერები სისინით ამომსკდა; ტუჩები ჩემი ნების გარეშე ისე ამოძრავდნენ, არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და კივილი, ხმამაღალი კივილი გავიგონე. რას ვამბობდი, არ მესმოდა, ამის გაგება შეუძლებელი იყო. მაგრამ ვკითილი. სიტყვები ჩემი ფართოდ გაღებული პირიდან მოფრინავდნენ, თუმცა მე არ მეკუთვნოდნენ... არა, ეს მე არ ვიყავი, მე აღარ ვიყავი, თავს ველარ ვერეოდი,მას, მხოლოდ მას ვეკუთვნოდი! ო, რა საზარელი, რა საშინელი შეგრძნება იყო!

არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდა ასე, დროის შეცნობის უნარი დავკარგე. არც ის მახსოვს, მიწისქვეშეთიდან როგორ ამოველი, შემდეგ რა მოხდა, ვინ დამეხმარა, ვინ მომიარა. ტაძრის გვერდით, იმ სახლში გამომეღვიძა, სადაც ბოლო დროს ვცხოვრობდი და მხოლოდ აქ გავიგე, რომ დაუძლურებულს ღრმად ჩამძინებოდა. ისიც გავიგე, რომ ქურუმები ძალიან კმაყოფილები იყვნენ; რომ არ ელოდნენ, ისეთი კარგი ქადაგი აღმოვჩნდი. ეს ყოველივე იმ ბებერმა დედაკაცმა მიამბო, ვისთანაც ვცხოვრობდი; შემდეგ დამტოვა, რათა კარგად დამესვენა და ძალაც მომეკრიბა.

პატარძლის, უფლის პატარძლის სამოსში გამოწყობილი საწოლში ვიწექი. ეს ერთადერთი საქორწილო სამოსი იყო, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩავიცვი. მახსოვს, ჩემთვის უჩვეულო, ძვირფას ქსოვილს ხელს ვუსვამდი და თავს ეულად ვგრძნობდი.

ღმერთი? ვინ არის ღმერთი? ახლა სადაა? აქ რად არ არის, აქ, ჩემთან! სად არის ჩემი საქმრო? რად მიმატოვა?

მისი არ მესმოდა, მაგრამ მენატრებოდა. არა, სულ არ მესმოდა, ვინ იყო, არ ვიცოდი. მას შემდეგ, რაც დავნებდი, რაც თავისი სულით, თავისი ნეტარებით, თავისი აღფრთოვანებით ამავსო, ტკივილისაგან ამაკივლა, მისი უფრო ნაკლებად მესმოდა. დიახ, ტანჯვით ამავსო და მაინც მენატრებოდა. მხოლოდ ის მენატრებოდა, უიმისოდ არარაობა, სიცარიელე გახლდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, ჩემთან, აქ რომ მოსულიყო, რომ მიეტოვებინა თავისი ტაძარი, სადაც ახლა მსახურები ალბათ ხოტბას ასხამდნენ, სადაც ეთაყვანებოდა ყველა, ვისაც იგი ბრწყინვალებისა და სიდიადისათვის ტაძარში უყვარდა. ნეტავ აქ მოსულიყო და მომხვეოდა, უბრალოდ მომხვეოდა, როგორც შეყვარებულებს ჩვევიათ, მას შემდეგ, რაც ალერსით გულს მოიჯერებენ. ნეტავ პატარძლის სამოსში გამოწყობილი მარტო არ დავრჩენილიყავი, თითქოს მიმატოვა, თითქოს ჩემმა საყვარელმა მიმატოვა, როცა აღარ ვჭირდებოდი, როცა მოვალეობა შევასრულე, ისე შევასრულე, ჩემით კმაყოფილი დარჩა, როცა სიცხემ, უგონობამ და შეშლილობამ გადაიარა. მხოლოდ მაშინ რად ვუყვარდი? მხოლოდ მაშინ რად მოდიოდა?

ო, როგორ მინდოდა მის მკლავებში ჩუმად დამესვენა; არც გონი დამეკარგა, არც გავხელებულიყავი, მხოლოდ დამესვენა, მშვიდად და ბედნიერად დამესვენა.

არა, უფლით ატანილი არ მინდა ვიყო, სხვებივით მინდა ვუყვარდე, სიმშვიდე და მშვიდობა მსურს, მეტი არაფერი, მხოლოდ სიმშვიდე და მშვიდობა მის უბეში. ან იქნებ სულაც არა მსურს? იქნებ ამისკენ არ ვილტვი?

რაღა თქმა უნდა ეს მენატრება. მეღირსება კი ოდესმე ამისი განცდა? ამისთვის ვარ მოწოდებული? ამისთვის ვჭირდები?

სიმშვიდე, მშვიდობა! ამის იმედი როგორ მქონდა! მის უბეში ამის პოვნის იმედი როგორ მქონდა! ღმერთთან სიმშვიდეს რა უნდა!

არა, უფალი, როგორც ჩანს ისეთი არ იყო, როგორიც წარმომედგინა, როგორიც ასე მხურვალედ მსურდა მეხილა. ალბათ, არც შეეძლო ასეთი ყოფილიყო. მეგონა უშფოთველობა, სიმშვიდე, მოსვენება იქნებოდა. არა, უფალი შფოთვა, ღელვა და ძრწოლა იყო, აი, რა იყო!

ვიწექი და შევცქეროდი, როგორ ეშვებოდა ოთახში ბინდი. მან ისე დიდხანს ჩამძირა ძილში, დღე გასრულდა და საღამო დადგა. ხვალ, სისხამ დილით, როგორც კი მზე ამობრწყინდება, ჩემი საქმრო კვლავ მომეახლება, რათა თავისი სულით, ცხელი სუნთქვით, ნეტარებით ამავსოს და მეც კვლავ დავნებდები.

აი, ასე გავხდი მისი ქადაგი. ჩემი ხანგრძლივი სამსახური ასე დაიწყო.

ხან დედ-მამასთან ვცხოვრობდი, ხანაც იმ სახლში ტაძრის ახლოს, დედაბერთან, რომელიც მომვლელად მომიჩინეს. ხანგრძლივი დღესასწაულების ჟამს, პითიებს მუდამ იგი ემსახურებოდა. ორაკულის სამსახური ისე დამქანცველი იყო, წინასწარმეტყველს მოვლა სჭირდებოდა, რათა კარგად დაესვენა, ღამით გამოეძინა და ძალა მოეკრიბა. დედაბერმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქურუმთა დავალებით ამ საზრუნავს მოახმარა. მან ყველაფერი იცოდა იმ პითიების შესახებ მისი ხანგრძლივი მსახურების ჟამს აქ რომ იყვნენ და მათზე საუბარიც უყვარდა. ქაქანი კი დაუსრულებლად შეეძლო. ქურუმებსაც კარგად იცნობდა. იცოდა, რა ხალხი იყვნენ, ვინ ჭეშმარიტად სცემდა თაყვანს უფალს, ვინ მხოლოდ თავს იკატუნებდა. პირველმა რომ შემიყვანა ტაძარში, ის მხოლოდ თავს იკატუნებსო, მაშინვე მაცნობა., მაგრამ დიდ პატივში ყავთ, რადგან ხაზინადარია და ტაძრისათვის ბევრი გააკეთაო. ახლა მისი ვადა მალე ამოიწურება, რადგან ამ თანამდებობაზე მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე რჩებიანო. ქურუმები დელფოს საუკეთესო გვარების წარმომადგენლები არიან, ხოლო ყველაზე მაღალი თანამდებობის პირნი წარჩინებულ ოჯახებს ეკუთვნიანო. ამაზე ის ხშირად და ფრიად საფუძვლიანად საუბრობდა. როგორც ჩანს, ტაძარი მის თვალში საყოველთაო პატივისცემისა და დიდების ღირსი სწორედ ამის გამო იყო. ამ დიდებას კი მგზნებარედ ემსახურებოდა, ტაძარი და ყოველივე, რაც მას ეხებოდა, მისთვის ძვირფასი გახლდათ, უდავოდ ამაყობდა, რომ თავადაც ტაძრის მსახური იყო. ღმერთს დედაბერი ჩემთან საუბრისას არასოდეს ახსენებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალ თანამდებობის პირებსა და წარჩინებულ წარმოშობას ასე მოწიწებით ეპყრობოდა, კარგი მათზეც კი არაფერი უთქვამს. მოწონებითა და ქებით საერთოდ არავიზე ლაპარაკობდა, სამაგიეროდ ყველა ადამიანურ ნაკლოვანებას უცებ ამჩნევდა. მე, ახალგაზრდასა და გამოუცდელს, ქვეყანაზე დამახინჯებული და ყალბი წარმოდგენა მისი ნაამბობის მიხედვით მექმნებოდა. თავადაც ვგრძნობდი ამას, მაგრამ მის სიტყვებში ბევრი სიმართლეც ერია, რაც მაბნევდა და თავგზას მირევდა. არაერთგზის მიფიქრია, რომ ამ ქალმა, რომელიც მოგვიანებით მძაფრი სიძულვილით შევიძულე, ალბათ, ყველაზე დიდი გავლენა იქონია ადამიანთა შესახებ ჩემი შეხედულებების ჩამოყალიბებაში და დიდი სიმწარე და უსამართლობაც შეიტანა-შეთქი. დედაბერი მძაგდა და დარწმუნებულიც ვიყავი, მისი მსჯელობა მცდარი იყო, მაგრამ გავლენამ მაინც იჩინა თავი. შემდგომ კი, როცა მისი სიმდაბლე ჩემ წინაშე თვალნათლივ გადაიშალა, უფრო დავრწმუნდი, რომ თუმცა მცდარად მსჯელობდა, ადამიანის ბუნება სწორად ესმოდა. აი, ასე ვიძენთ ცოდნას იმათგან, ვისაც არსებითად ყველაზე ნაკლებად ვენდობით, შემდეგ ამ ცოდნას ჭეშმარიტებად მივიჩნევთ და გაუცნობიერებლად ცხოვრებაში სწორედ იმით ვხელმძღვანელობთ, რაც ყველაზე მეტად გვძულს.

დედაბრისგან ხომ მოვისმინე, თავადაც მომიწია ადამიანთა ბოროტება შემეცნო. მაგრამ უკვე რამდენი წელია მარტოდმარტო აქ ვზივარ, განცდილზე ვფიქრობ და ჩემი მწარე

ხვედრის მიუხედავად ხშირად მიკითხავს, ვითომ მართლა ასე ბოროტია ადამიანი, ჩემმა მწარე ხვედრმა და მათმა განაჩენმა ხომ არ შემაცდინა-მეთქი? არ ვიცი, მე ხომ დიდიხანია ადარავინ მინახავს, მაგრამ მარტოობის ჟამს ამაზე ხშირად მიფიქრია.

მაგრამ უმთავრესი, რითიც მის გავლენაში მოვექეცი, ის იყო, რომ მის ნაამბობში ბევრი სიმართლე ერია. მართალი იყო, როცა უვებოდა წმინდა ქალაქის ურცხვობასა და ზნეობის დაცემაზე, განსაკუთრებით დიდი დღესასწაულების ჟამს, როცა დელფოში ყოველი მხრიდან ამდენი მამაკაცი ჩამოდიოდა; ეს მამაკაცები შემთხვევით ქალებს ეძებდნენ და ლატაკი და არა მხოლოდ ლატაკი ქალიშვილები მათ ფუნდუკებში ეხმარებოდნენ. მოხუცის სიტყვით მთელ ქალაქში უმანკო ქალწული არც ისე ბევრი იყო. — ალბათ, ამიტომ აგიყვანეს პითიად, — მოულოდნელად, ახსნა-განმარტების გარეშე დასძინა დედაბერმა, რითიც ფრიად გამაწითლა და დამაბნია. ხოლო სადღესასწაულო დღეების მჩქეფარე ვაჭრობის დროს ვინ იცის, ეს ვიგინდარები და გაიძვერები რას ჩადიოდნენ და შეიძლება ითქვას ტაძრის კალთის ქვეშ რა ბნელ, უპატიურ საქმეებს აგვარებდნენ. ქურუმთა შორისაც კი იყვნენ ნამდვილი გაიძვერები, რომლებიც გარკვეულ საფასურად ორაკულის შემკითხველებს სასურველ პასუხს აძლევდნენ, თუმცა იშვიათად, მაგრამ პითიას წარმოთქმულ სიტყვებშიც მათთვის სასურველ აზრს დებდნენ. ვიღაც შესაწირავ თანხას ითვისებდა, შეწირული ცხოველების ტყავებით ითბობდა ხელს ან რაღაც სხვას აკეთებდა. რა საშუალებებით აღარ ატყუებდა ტაძარს ის, ვისაც იქ შესაფერისი თანამდებობა ეჭირა და დედაბრის აზრით ბევრი და იქნებ უმეტესობაც ამ შესაძლებლობას იყენებდა.

ეს აუტანელი ბილწსიტყვაობა, ეს სიცრუე და არამზადობა, რაზეც დედაბერი მიამბობდა და რის მოწმე თავადაც მრავალგზის ვიყავი, ჩემს სულში ამაღლებულ აზრებსა და უფლის სიყვარულს შობდა. ამ სიბილწით გარშემორტყმული, ასეთი ჭაობიდან ამაღლებული უფალი უფრო მნიშვნელოვანი და სიყვარულის ღირსიც გახლდათ. იგი უფრო და უფრო მჭირდებოდა და არ შემეძლო არ მყვარებოდა. ამ სამყაროში, ამ საზიზღარ ადამიანურ სამყაროში ჩაგდებული ჩემნაირი ადამიანი ხომ ობოლი და დაუცველია.

ამ ბოროტი უბედობისაგან, ყოველივესაგან, რასაც ირგვლივ ვხედავდი, თავშესაფარს უფალთან ვეძებდი. მენატრებოდა ის, ჩემი ღმერთი, რომელსაც დედაბერი არასოდესახსენებდა და მადლიერი ვიყავი. მენატრებოდა მისი სიახლოვე, მისი პირქუში მიწისქვეშეთი, სადაც მკერდში ჩამიკრავდა, ნეტარი ექსტაზით, შმაგი ნეტარებითა და თავისი სულით მავსებდა.

თავისი სულით? მაგრამ მისი სული რაღაა? მხოლოდ სიმაღლე და სიდიადე? მხოლოდ ესაა?

თუ მხოლოდ ეს არის, თუ ყოველივე ასე მარტივია, ტანჯვით რად ვნებდები, ვეწამები, ტკივილისაგან ვყვირი? მაშ რად არ არის მისი სიყვარული თავად სიკეთე, თავად მშვიდობა, მხურვალე ნატვრად რომ გადამქცევია? რად არ მასაჩუქრებს სიმშვიდით, ნანატრი სიმშვიდით, ასე რომ ვეაჯები, სულში დღემუდამ ვემუდარები? ხომ მშვენიერი და ფრთაშემსხმელია. მიასხანე, სასტიკი და საზარელი რაღად არის. ყველაფერს ერთად რად მოუყრია მასში თავი, რად მახრჩობს, თუკი ნეტარებით ამავსებს? რად მტოვებს, მარტო რად მტოვებს, როცა მჭირდება, როცა განსაკუთრებით ახლობელი მგონია?

ვინ არის იგი, ვინ?

მასავით შმაგი და ანთებული მკერდში ვეკვროდი, სანამ გონს დავკარგავდი, სანამ მისი საზარელი დაუოკებლობით არარაობად ვიქცეოდი, ვყვიროდი: ღმერთო, ვინა ხარ, ვინა ხარ? მაგრამ ის არასოდეს მპასუხობდა.

უზენაესი თავისი სულით მავსებდა და დამცილდა, მაგრამ ვინ იყო, არ მეუბნებოდა.

და არც არასოდეს უთქვამს. ახლაც ვზივარ და ეული მასზე ვფიქრობ, ვფიქრობ ვინ არის. კვლავ ვეკითხები, ვეკითხები, მაგრამ პასუხს არ მაძლევს.

ჰო, მიყვარდა, მთელი გულით მიყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულმა ბედნიერება არ მარგუნა. ეს ბედნიერი სიყვარული არ იყო.

ჰო, დედაბერზე გიამბობდი. ჩემთან მუდამ თავაზიანი, ალერსიანი იყო და უზომო ხოტბას მასხამდა. ქურუმები ამბობენ, რომ შენ საუკეთესო ხარ იმ პითიათა შორის, ვინც კი მათ ახსოვთ, ვისაც კი ამ სახლში უცხოვრია. ვერც ერთი პითია შენთან ვერ მოვაო. დედაბერი ყველა ჩემს წინამორბედზე აგდებულად ლაპარაკობდა. მტანჯველი და მძიმე მოსასმენი იყო, როგორ იგდებდა აბუჩად ამ ქალებს, რომელთა მიმართ არ შეიძლებოდა თანაგრძნობა და სიახლოვე არ მეგრძნო. ზოგიერთ მათგანს ხანდახან ქალაქის ქუჩებში ვხვდებოდი, განსაკუთრებით ხშირად ერთ ჩამომხმარ, უცნაური გამომეტყველების მქონე ქალს, რომელიც თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, სახლებშუა ჩუმად მიიპარებოდა და რაღაცას შეუსვენებლივ ბუტბუტებდა. დედაბერი მას გულიანად დასცინოდა. ხითხითით აცხადებდა, გონების უკანასკნელი ნარჩენიც დაუკარგავს, თუკი საერთოდ ქონდა გონება ოდესმეო. მე კი მაფრთხობდა მისი სიტყვები, უნებურად ვფიქრობდი, ვინ იცის, იქნებ ჩემი ბოლოც ეს არის-მეთქი.

კარგა ხანი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რომ დედაბერს ეს ქალები სწორედ იმიტომ ეზიზღებოდა, ორაკულის ქადაგები რომ იყვ-

ნენ. ცხადია, მიზეზი სხვაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ უპირველესი მიზეზი ეს იყო. პითია მის თვალში თავისთავად სიძულვილის ღირსი გახლდათ.

გაოგნებული დავრჩი. ნუთუ შეიძლებოდა ასე ეფიქრა? არადა, საეჭვოც აღარაფერი დარჩა. ცხადია, პირდაპირ არაფერს ამბობდა, მაგრამ მის სიტყვებში ისედაც აშკარად ჩანდა. ვერ აგიწერთ, რა გაოგნებული დავრჩი, როცა მივხვდი, პითიებს როგორ უყურებდა.

ბოლოს და ბოლოს თვალი ამეხილა და სხვაც ბევრი შევამჩნიე; ასე მხოლოდ დედაბერი არ მსჯელობდა. ხალხს ირგვლივ თვალი მივადევნე, ყურადღებით შევხედე, როგორ მექცეოდნენ ან ჩემთან როგორ ეჭირათ თავი და რაც უფრო ყურადღებით დავუკვირდი, მით უფრო ნათელი. გახდა, რომ ვარაუდი, რომელიც დედაბრის სიტყვებმა წამოჭრა სწორი იყო. მე ადამიანთა შორის საყოველთაო სიძულვილი დამემსახურებინა. თავს მარიდებდნენ; ეს ადრეც მქონდა შემჩნეული და მესმოდა კიდეც, რომ მიზეზი რიდი და შიში იყო, იმ ადამიანის წინაშე, ვინც ასე ახლოსაა ღვთაებასთან, ვინც, ყველასთვის ნათელია, სახიფათო შეიძლება გახდეს; შიში უფლით ატანილი ადამიანის წინაშე, ვისი ყვირილიც საიდუმლო მიწისქვეშეთიდან ხანდახან ზემოთ, ტაძარშიც ისმის. თავს რომ მარიდებდნენ, არ მიკვირდა, მაგრამ თურმე დამცინავადაც შემომცქეროდნენ, განკიცხულადაც მთვლიდნენ და ჩემი შემჩნევაც არ სურდათ! მე მუდამ მარტო ვიყავი ან განმარტოებას ვცდილობდი, ბავშვობიდან ასე ვიყავი მიჩვეული, მაგრამ ახლა ხალხს დავუკვირდი და მივხვდი, თურმე არც არავის ს უ რ დ ა ჩემი გაცნობა, ჩემთან ურთიერთობა, მე უნებლიედ დავრჩი მარტო და ნამდვილად ეული გახლდით.

საოცარია, როგორ დამანაღვლიანა და დამთრგუნა ამ აღმოჩენამ. თუმცა ნაცნობებს არ ვეძიებდი და არც ვინმეს ნახვა მსურდა, თუმცა თავადაც თითქოს მარტოობისთვის ვიყავი შექმნილი, ეს აღმოჩენა მაინც მთრგუნავდა. როცა ქუჩაში ჩემს დანახვაზე ყმაწვილები ერთმანეთს მუჯლუგუნს გაჰკრავდნენ და აჩურჩულდებოდნენ, გული ტკივილით მეწურებოდა, თუმცა არ მესმოდა, ასე რად ვიტანჯებოდი.

ნუთუ მათაც ვეჯავრებოდი? არა მგონია, ამაზე დაფიქრებულიყვნენ, უბრალოდ მიაჩნდათ, რომ მე მათ არ ვგავდი.

ეს კი მართალი იყო.მე მათ ნამდვილად არ ვგავდი, არც მათსავით ახალგაზრდა ვიყავი.

ახალგაზრდა? სინამდვილეში არც ბევრით უფროსი გახლდით, მაგრამ ახალგაზრდა? მე ახალგაზრდა?

ისინი ხმას არასოდეს მცემდნენ, საერთოდ არავინ მცემდა ხმას. მხოლოდ მაშინ თუ დამელაპარაკებოდნენ, როცა სხვა გზა არ ჰქონდათ.

თვით ქურუმებიც, თუმცა დაუსრულებლად მაქებდნენ, — და ისინი პირშიც და ზურგსუკანაც დაუსრულებლად მაქებდნენ. — თვით ქურუმები, რომელთაც ჩემი ფასი კარგად ესმოდათ, სამსახურის საქმეების გარდა არაფერზე მელაპარაკებოდნენ. მათთვის მხოლოდ პითია, ტაძრის მსახური გახლდით, სხვაგვარად არ ვარსებობდი. უკეთური სიტყვა არასოდეს წამოსცდენიათ. მაგრამ თავისი მუდმივი შემწყნარებლურ-კეთილი მოპყრობით მაგრძმობინებდნენ, რომ მათსა და ამ უბედურ, ბნელ ქალიშვილს შორის, რომელიც სადღაც ხეობაში, ღატაკ ოჯახში გაიზარდა, ვეებერთელა უფსკრული გაჭიმულიყო. უდავოდ მაფასებდნენ; კარგ პითიას, ვისი ბაგეებითაც ღმერთი აშკარად სიამოვნებით ქადაგებდა და ვისაც თავისი ძლიერი სულით დაუყოვნებლივ ავსებდა, აშკარად უფრთხილდებოდნენ, და თუმცა ჩემგან უდავო სარგებელი ჰქონდათ, თუმცა ღვთის რჩეულად მთვლიდნენ, ისე მიყურებდნენ, როგორც ტაძრის მიწისქვეშეთში გამოყენებულ მსახურს შეეფერება. უბედური, გონდაკარგული, მბოდავი ქალი, რომელიც უფლის ჩახუთულ მიწისქვეშეთში ზედადგარზე იჯდა, მათში მხოლოდ თანაგრძნობანარევ სიძულვილს იწვევდა. ეს იყო და ეს. პითია, ცხადია, უფლის შთაგონებით ქადაგებდა, მაგრამ ამ ქადაგებას ქურუმები განმარტავდნენ. მხოლოდ მათ შეუძლიათ საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის გაურკვეველ, დაბნეულ სიტყვებს აზრი მიანიჭონ. რა საერთო აქვს ამ უბირი დედაკაცის ველურ კივილს იმ ღრმა აზრებთან, სამყაროს უმაღლეს სიბრძნესთან, რომელიც ქურუმებმა ორაკულის პასუხებში ამოიკითხეს, ცნობილ პასუხებთან, რითაც ორაკულმა სიძლიერე და მსოფლიო წარმატება მოიპოვა. ცხადია, პითია უფლით არის ატანილი, ცხადია, ღმერთი პითიას მეშვეობით ქადაგებს, მაგრამ რა აზრს დებს სიტყვებში, რისი თქმა სურს, ეს მხოლოდ ქურუმებმა იციან. ღვთაების იდუმალ არსში შეღწევა და მისი გამჟღავნებაც მხოლოდ ქურუმთა ხვედრია.

რაც მართალია, მართალია, მე არ ვიყავი მათი ბრძნული განსჯის თანაზიარი, ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა, ჩემთვის მიუწვდომელი იყო. არ ვიცოდი, რას ვამბობდი, გონდაკარგული და უფლით ატანილი რას ვყვიროდი; არც ის ვიცოდი, მის სიტყვებს როგორ ხსნიდნენ, როგორ მიუყენებდნენ, მე მხოლოდ უფალს ვნებდებოდი.

ჰო, რას შთამაგონებდა, არ ვიცოდი, მისი სიბრძნის არაფერი მესმოდა, არსებითად მის რაობაზე წარმოდგენაც არ მქონდა და ვინ იყო, ისიც კი ვერ გავიგე. მხოლოდ ვნებდებოდი, მას ჩემს სხეულში ვგრძნობდი, ვეკუთვნოდი. მეტი არაფერი.

მაგრამ ამისთვის უნდა შემიძულონ? უფალს რომ ვნებდები და მისი სულით ვივსები? გაუგებარი იყო, რით გამოვიწვიე ასეთი ღრმა სიძულვილი. არაფერი მესმოდა.

ადრე ღვთის წყალობად ვთვლიდი, რომ უფალმა მომიხმო, ყველაში გამომარჩია, გამომაცხადა თავის რჩეულად, თავის ქურუმად, რომლის ბაგეებითაც ქადაგება სურდა; ხალხის თვალში კი ეს რატომღაც დამამცირებელი იყო. უფლის რჩეულად ყოფნა დამამცირებელი იყო!

ორაკული, როგორც ამბობდნენ, მსოფლიოში ცნობილი გახლდათ, ის კი, ვისაც უფალი თავისი სულით, თავისი ზეშთაგონებით ავსებდა, განკიცხული იყო, მასთან ნაცნობობა სამარცხვინოდ ითვლებოდა და სიტყვის თქმაც არავის სურდა.

ამის გაგება არ შემეძლო.

დედაბერი თავისებურად გულწრფელი იყო და ერთხელ, როგორღაც მითხრა, ქურუმებისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ პითიად გიშოვეს, ახლა ხომ არც ერთ ქალწულს აღარ სურს პითიობა, ყველაზე ლატაკებიც კი აღარ თანხმდებიანო. ჰოდა, მაგრძნობინა, რომ ამას მხოლოდ ჩემი უბედური, გულუბრყვილო, სადღაც ხეობაში მცხოვრები განდეგილი და ალბათ, ცოტა ახირებული მშობლები დაეთანხმებოდნენ.

ძრწოლამ მომიცვა. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რა აღელვებული და დათრგუნული გახლდით და ჩემს გონებაში რა საზარელი, საშიში აზრები იშვა.

ღვთის რჩეული? იქნებ არცა ვარ რჩეული? იქნებ ღვთის კი არა ქურუმთა რჩეული ვარ? იქნებ ქურუმებს სულაც არა სწამთ ღმერთის? იქნებ დედაბერი მართალია და ჩემს უბედურ, ბნელ მშობლებს ეშმაკობით გამოსტყუეს ჩემი თავი, რადგან მეტი ვერავინ აცდუნეს? იქნებ უფალმა სულაც არ მიხმო, არ მომძებნა და გამომარჩია?

მე ვირწმუნე ჩემი რჩეულობა, რადგან ვგრძნობდი, რომ მისი სული განმანათლებდა, მისი სული მავსებდა. მე ასე მწამდა, მაგრამ ასე კი იყო? ჭეშმარიტად ასე იყო? აბა, რა ვიცი. ჭეშმარიტი მხოლოდ ის გახლდათ, რომ მასთან შერწყმას და მის მშვენიერ სიდიადეს ვგრძნობდი, მაგრამ ამის შემდეგ გამეცლებოდა და. უცებ მარტო ვრჩებოდი. უფალი ხომ თითქმის არასოდეს არ იყო ჩემთან. იგი მტოვებდა და მხოლოდ უკიდეგანო სიცარიელე მავსებდა. მენატრებოდა, მას კი ეს არ აწუხებდა. ვეძახდი, ის კი არ მპასუხობდა. შევღაღადებდი, უმაღლესი ხარ და მეც მიყვარხარ! ის კი არ მპასუხობდა, ის არასოდეს არ მპასუხობდა!

ამ დღეში ვიყავი, სანამ კვლავ არ მოვიდოდა, სანამ შმაგი სიმხურვალის, აღფრთოვანების, ნეტარების ქარაშოტად თავს არ დამეცემოდა, მაშინ ბედნიერი, ყველაზე ბედნიერი გახლდით, ერთი წამით ყოველივე ნათდებოდა, ყველაფერი თანხმდებოდა, შემდეგ კვლავ სიცარიელეში ვიძირებოდი, სიცარიელეში, რომელიც ჩემსავით არავინ უწყოდა, ჩემსავით არავინ გრძნობდა. მე ხომ უფალს ვნებდებოდი და სიცოცხლით საზეიმო ტკბობას მასთან ვიზიარებდი.

აი, რა მჭირდა, აი, როგორ მიყვარდა ღმერთი; უზენაესი, რომელიც არც კი ვიცოდი, ვინ იყო.

ღმერთი არ მანიჭებდა სიმშვიდეს, არც რწმენას მანიჭებდა. მის მკლავებში მშვიდად დასვენება არ შემეძლო. მისი მხურვალე აღფრთოვანება შევიცანი, მაგრამ სიმშვიდე, სიწყნარე არასოდეს მოუნიჭებია. ვემუდარებოდი, მაგრამ ამას არ მითმობდა. თუ უფლის რჩეული ვიყავი, რად არ მითმობდა? როგორც ყოველთვის მარტოდმარტო დავდიოდი და ვფიქრობდი. ვისთვის გადამეხსნა გული? ვისთვის გამეზიარებინა ჩემი მღელვარება? ერთადერთი ვისაც ჩემი დახმარება, ვისაც ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა შეეძლო, როგორც არასდროს, ისე შორს იყო ჩემგან. არასოდეს უფალი ასე შორეულად არ მომჩვენებია, როგორც იმ დღეებში. თან მენატრებოდა, თან მეშინოდა, პირველად მეშინოდა იმ დღის, როცა კვლავ პატარძლად მომრთავდნენ და გამოქვაბულში, მიწისქვეშა ტაძარში მასთან პაემანზე წამიყვანდნენ.

პაემნამდე კი დიდი დრო რჩებოდა. დღესასწაულები ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ დღესასწაულის შუალედში ორაკულის ქადაგების დღე დანიშნეს. ხანდახან იქცეოდნენ ასე, თუკი საიდანმე პილიგრიმებს ელოდნენ. ის დიდღაც დადგა; მე კასტალიის ანკარა წყალში განვიბანე, პატარძლის სამოსით მოვირთე, წმინდა გზას გავუყევი. ტაძარი გადავკვეთე და როგორც ყოველთვის, ბნელ კიბეს ჩავუყევი. მიწისქვეშეთში ყველაფერი ჩვეულებრივ დამხვდა. გახელებით ვსუნთქავდი მძიმე ჰაერს, მხრჩოლავი დაფნის ნაკვერჩხლის ბოლს, თხის მძაფრ სიმყრალეს. ზედადგარის ქვეშა ნაპრალიდან ამოსულ გულისამრევ ანაორთქლს, ყოველივეს, რასაც უნდა დავებანგე, გავეხელებინე და მის უბემდე მივეყვანე. შლეგიანივით მენატრებოდა, თვალდახუჭული ვიჯექი, პირში წმინდა ხის ფოთლების გემოს ვგრძნობდი და ველოდი თავისი სულით, ცოცხალი სულით, მტკივნეული სიხარულითა და ნეტარებით როდის ამავსებდა, რათა დავეცალე, ჩემი შიში და ყოყმანი გაექრო და ყველაფერს კვლავ თანხმობით ესუნთქა.

უფალი არ ჩანდა, არ მოდიოდა. ღრმად ვსუნთქავდი, ყოველგვარ სიმყრალეს მძაფრად ვისუნთქავდი, და ვგრძნობდი ახლა დავიხრჩობი, გონებას დავკარგავ-მეთქი. სხვა კი არაფერი ხდებოდა. უფალმა თავისი წმინდა სულით

არ გამანათლა. მისი სიახლოვე ვერ ვიგრძენი.

ქურუმებმა წმინდა თხა გამოიყვანეს და თავზე წყალი აპკურეს. უფლის შთაგონება ამ წამს, სწორედ ამ წამს უნდა მწვეოდა. მაგრამ თხამ მიწისკენ თავი დახარა. როგორღაც უცნაურად ჩაიკიკინა და სიბნელეში წაბაკუნდა. მაშინ ქურუმმა გადაწყვიტა, რომ აღარაფერი გამომივიდოდა და ამით დაასრულა.

თვალებგადმოკარკლული, აკანკალებული ვიჯექი, გამშრალი ბაგეები კივილისთვის მქონდა გაღებული, კივილი კი არ მოდიოდა. შიგნით სიცარიელეს დაესადგურებინა, არაფერი მქონდა, მხოლოდ ჯერაც განუცდელ საშინელ სიცარიელეს დაესადგურებინა. მე კი სიცარიელის განცდას კარგად ვიცნობდი. ირგვლივაც აღარაფერი ჩანდა. ხელი წინ გავიშვირე და იგი თითქოს სრულ სიცარიელეში, უკიდეგანო არაფერში ჩამოეკიდა. მხოლოდ მიცვალებულთა საუფლოდან ამოსული ანაორთქლი დატრიალდა და თავისი გაყინული სუნთქვა შემომაკმია.

ზედადგარიდან ჩამომსვეს, მაგრამ ხელი გამიშვეს თუ არა, წავბარბაცდი და კინაღამ წავიქეცი. ეს მხოლოდ მოხუცმა მსახურმა შეამჩნია, ჩემკენ გამოქანდა და ხელი მტაცა. წირთხლს მივეყრდენი და ვიდექი, სანამ არ გადამიარა თავბრუსხვევამ, ასე ტყუილად რომ მეწვია.

ორაკულის ქურუმი — სწორედ ის, ტაძარში პირველად რომ შემომიყვანა — ჩემით ფრიად უკმაყოფილო დარჩა. ახლა ხომ დარბაზში შეკრებილი, პილიგრიმების მომლოდინე ხალხი ხელცარიელი უნდა დაშლილიყო. მართალია, ამჯერად უბრალო გლეხები შეიყარნენ და ორაკულთან ყოველდღიური საზრუნავი და დარდები მოიტანეს, მაგრამ ტაძრის მსახური მაინც განაწყენებული გახლდათ, რომ ჩემი საქმე ვერ შევასრულე და უფლის შთაგონება ვერ შევისმინე. მკვახედ არაფერი უთქვამს. მაგრამ ეს ისედაც დღესავით ნათელი იყო. ამ ქურუმს, თავად არაფერი სწამდა ღმერთის. მაგრამ გაბრაზდა ღვთიური სულით მე რომ არ ავივსე, მე ხომ ასე მქონდა დაწესებული.

მისი უკმაყოფილება რა იყო ჩემს სასოწარკვეთილებასთან შედარებით. თითქოს უფსკრულში ჩავვარდი. ახლა ვიცოდი, რომ უფალმა მიმატოვა. აღარც ვეჭვობდი და აღარც ვღელავდი, ზუსტად ვიცოდი. აღარ ვსურდი, უარმყო. ოდესმე კი ვსურდი? ვითომ სხვებისაგან გამომარჩია? ვითომ უფლის რჩეული ვიყავი? იქნებ ტყუილად მწამდა, რომ იგი მიხმობდა! ვითომ სურდა თავის იარაღად, რჩეულად, ქადაგად ვექციე?

ქურუმებს რომ სურდათ, ვიცოდი. მათ ჰირდებოდათ ლატაკი, გულუბრყვილო ქალი, რომელსაც აიძულებდნენ ღმერთის მომსახურებოდა. თავად უფალს კი ეს სრულიად არ სურდა. ხოლო როცა ქურუმებმა ქალი თავზე მოახვიეს, უზენაესმა მას ჯერ პატივი აჰყარა, ხოლო შემდეგ უსარგებლო ნივთივით მოისროლა, ასე გამოხატა თავისი სიძულვილი იმ გლეხის გოგოს მიმართ, რომელიც შეატყუეს და დარწმუნებულიც იყვნენ მიიღებდა, თავისი წმინდა სულით გაანათლებდა და ისე ეყვარებოდა, როგორც ქალს უყვარდა... პატივაყრილი და მიტოვებული გახლდით; აი, ამისთვის ვიყავი რჩეული!

უფალმა მიხმო! არ მოვუხმივარ, როგორ ვიფიქრე, როგორ დავუშვი! ეს მე, სევდიანი მარტოობით აღვსილი და მიგდებული თავად ვუხმობდი ღმერთს.

სასოწარკვეთილი ასეთი მწარე, უიმედო ფიქრებით ვტანჯავდი თავს. და რომ არა მხცოვანი მსახური, მისი სიმძიმე ალბათ გამტეხავდა. მსახური მაწყნარებდა, ჭკუას მარიგებდა, ყოველივეს ჩემზე სადად ხედავდა. ხანდახან ასეც ხდებაო, მეუბნებოდა, ეს გარდაუვალია. მე ხომ მრავალწლიანი გამოცდილებით ვიცი, როგორ ემსახურებიან ორაკულს მიწისქვეშეთში. ასეთი რამ ყველა პითიას მოსვლია, საკმაოდ ხშირადაც მოსვლია. შენც შეიძლება ასეთი რამ დაგემართოს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უფალმა თავისი რჩეული მიატოვა, ო, არა, სულაც არ ნიშნავს. ქურუმი ასეთ შემთხვევაში მუდამ ჯავრობს, ის ხომ ორაკულის დიდებაზე ზრუნავს, აბა რას ეტყვი. ალბათ, განაწყენდა, რომ ეს სწორედ მის სამსახურს დაემთხვა. უფალი კი არა, უფალი არ ჯავრობს შენზე. ეს მიზეზი არაა. მიზეზს ვერავინ აგიხსნის, მიზეზი ჯერ ვერავის მოუძებნია. ეს მიწისქვეშეთის საიდუმლოა, რომელსაც უფალი არავის უმხელსო.

იმ დღეს, დილიდანვე ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ისე არ წარიმართა, ისე რა ხდებოდა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ვერ გეტყვი, რატომ, მაგრამ ეს ყოველივე მრავალგზის მინახავს და გუმანით მივხვდი, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო. როგორც კი მიწისქვეშეთში ჩავედი, შენს მოსვლამდე კარგა ხნით ადრე, მაშინვე ვიგრძენი. მოყვითალო-ნაცრისფერო გველები არ ჩანდნენ, თავიანთი საიდუმლო თავშესაფრებიდან არ გამოდიოდნენ. ეს ცუდი ნიშანი იყო, აშკარად ცუდი ნიშანი იყო. ორაკულის წმინდა თხაც, რომელსაც მე ვუვლი, როცა ორაკული არ ქადაგებს, დილიდანვე უცნაურად იქცეოდა. როგორც კი ბაკიდან გამოვიყვანე და მიწისქვეშეთში წაყვანა დავუპირე, ისე გაკერპდა და გაჯიუტდა, თითქოს იქ წასვლა არ უნდოდა. ასე წაეწყო ყველაფერი ერთმანეთს და ვიგრძენი, კარგი არაფერი მოხდება, ალბათ, ორაკული დღეს ხმას არ ამოიღებს-მეთქი.

ცხადია მიზეზი შენ არ იყავი, შენ სულაც არ იყავი. დანაშაული არა მიგიძღვის რა, არ მიგიძღვის. შენ მშვენიერი პითია ხარ, და უფალს უდაოდ ძლიერ უყვარხარ. ზედ ეტ-

ყობა, რომ შენი მეშვეობით სიამოვნებით ქადაგებს, ისე მალე ეშვება შენთან და შენც ისე მალე ვარდები ქადაგებისთვის საჭირო უგონობაში. ხოლო როცა ექსტაზში ხარ, სახეზეც მშვენივრად გეტყობა, რომ უფალი ჩაგისახლდა. ეს არ დაემალება ადამიანს, რომელიც ორაკულს ამდენი წელი ემსახურა.

ასე მაწყნარებდა და თანდათან მეც უფრო ხალად და მშვიდად შევაფასე მომხდარი. მოხუცის სიტყვები და მისი გამხდარი, ნაოჭებით დაღარული სახე მაწყნარებდა. ცხადია, წინასწარ რომ მცოდნოდა, შემდეგი დღესასწაულის ჟამს ყველაფერი კარგად და ჩვეულებრივ ჩაივლიდა, უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი.

დროთა განმავლობაში ვირწმუნე, მიზეზი, ღმერთთან შეხვედრის წინ ჩემი გაუბედაობა, ყოყმანი, ეჭვები და შიში იყო-მეთქი. ალბათ, ეს არ უნდა გქონდეს. სული მღელვარების, მერყეობისა და ეჭვებისაგან უნდა განთავისუფლდეს, სხვაგვარად უფალი მკერდში არ ჩაგიკრავს.

მაგრამ როგორ არ იქნები გაუბედავი და მერყევი, როცა უფალს უახლოვდები.

ჩემი მეგობრისათვის ეს არ მითქვამს, გული არასოდეს გადამიშლია, ალბათ, მხოლოდ განაწყენდება-მეთქი, ვფიქრობდი.

მაშინ ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და სანამ ორაკულს ვემსახურებოდი, სულ მეგობრები ვიყავით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთს ძალიან შევეფერებოდით, ჩემი მეგობარიც სძულდათ. თუმცა თავად, ვგონებ, სულაც არ ნაღვლობდა, არც იცოდა, რომ სძულდათ, მე კი უზომოდ აღშფოთებული გახლდით. ტაძრის არც ერთ მსახურს მასავით შეუმჩნეველი მდგომარეობა არ ეჭირა, მაგრამ თავად ისეთი კმაყოფილი იყო, ძნელი გახლდათ უფრო კმაყოფილი კაცის მოძებნა. იგი ტაძრის იატაკსა და წინა კიბეს ასუფთავებდა, წყალს აპკურებდა, თავისი ცოცხით, ხალხის შემოტანილი ჭუჭყი გაჰქონდა. უფლისათვის სისუფთავეს ქმნიდა, ეს იყო მისი საქმე. ფრიად გულმოდგინედ შრომობდა, ყველგან სასიამოვნო სისუფთავე სუფევდა. დალაგება მისი მთავარი საზრუნავი გახლდათ, თუმცა სხვაც ბევრი რამ ევალებოდა. უფლის წმინდა ქალაში დაფნის ხეებს უვლიდა, ტაძრის შესასვლელში, წმინდა წყლისთვის განკუთვნილ თასებს ავსებდა. ორაკულის გველებს ჩიტის კვერცხებითა და თაგვებით კვებავდა, უფლის საკურთხეველზე შეშა მოჰქონდა და ჩაუქრობელ ცეცხლს განელების საშუალებას არ აძლევდა. ეს ყოველივე მისთვის არავის დაუვალებია, მაგრამ მაინც აკეთებდა. ორაკულის ქადაგების დღეებში მიწისქვეშა ტაძარს უვლიდა და როგორც უკვე გიამბეთ, ქურუმებს ეხმარებოდა. იგი ყველას ემსახურებოდა, მადლობას კი არავინ უხდიდა. ქურუმები ქედმაღლურად დასცქეროდნენ, ყველა უკვიროდა, გარდა უმაღლესი ქურუმებისა, რომლებიც საერთოდ არ [illegible], უბადრუკ, არაფრისმაქნის [illegible], სინამდვილეში კი ყველაფერს მოხერხებულად და კეთილსინდისიერად აკეთებდა და ეშვიც არ მეპარებოდა, უზენაესი ფრიად კმაყოფილი გახლდათ. მას, როგორც არავის, ისე უყვარდა და ეთაყვანებოდა ტაძარს, ძვირფასი განძივით უფრთხილდებოდა, მაგრამ ღმერთიც უყვარდა. ისევე უხმაუროდ, ჩუმად უყვარდა, როგორც თავისი უბრალო საქმიანობა, სამსახური, დამლაგებლის ფაციფუცი, თუმცა ამის დიდი მნიშვნელობა მშვენივრად ესმოდა. მოხუცი მსახური უფლის სავანეს უვლიდა, ღმერთისთვის ხან ერთ ხან მეორე საქმეს აკეთებდა, უზენაესთან მუდამ ახლოს იყო, მაგრამ მათ შორის გაურკვევლობა და რთული შეკითხვები არ წამოჭრილა. მხოლოდ ურთიერთრწმენა და მეგობრობა აკავშირებდათ და არც დიდი მანძილით დაშორებიან ერთმანეთს, ის უბრალო მსახური გახლდათ, ოღონდ უფლის წინაშე დაბნეულობასა და მერყეობას არ განიცდიდა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ახლობელი, უფლის კარგი მეგობარი იყო. იგი ღმერთსაც განსაცვიფრებელი უბრალოებით ექცეოდა, მათი ურთიერთობა ყოველდღიური და ბუნებრივი იყო.

ისე მიხაროდა მისი დანახვა, იმ სიმშვიდის განცდა, მისგან რომ გამოდიოდა და ნაწილი მეც გადმომეცემოდა. მოხუცი მსახური ალბათ ყველაზე ბედნიერი კაცი იყო, ვინც კი მინახავს. მან კარგად იცოდა, რომ მისი საქმიანობა აზრიანი და სასარგებლო იყო და უფალთან მეგობრობდა.

ალბათ არც არის გასაკვირი, რომ მისთვის ცოტას ნიშნავდა ადამიანთა მსგავსი წარმავალი არსებების აზრი, არც მათი დამოკიდებულება აწუხებდა და როგორც უკვე მოგახსენეთ, ცუდსაც ვერაფერს ამჩნევდა. იმდენად მიმნდობი იყო, იჭვნეულობა, ჩვეულებრივი დაკვირვებულობაც კი მისთვის იმდენად უცხო იყო, რომ გული მიჩუყდებოდა და ხანდახან მისი შემხედვარე სიცილს ვერ ვიკავებდი. მუდამ გულითადად ულიმოდა ყველას, იმათაც კი, ვინც მის მეგობრობას მეგობრობით არ პასუხობდა. უბრალო, შეუმჩნეველი შრომით, ყოველდღიური მორჩილებით ცხოვრობდა, თუმცა თავად ეს არ იცოდა. იმდენად მორჩილი იყო, თავისი თვინიერების შეცნობა არ შეეძლო.

ო, რა კარგად მახსოვს, თუმცა ამდენი წელი გავიდა. მახსოვს, ნახშირივით შავი ფეხისგულები ჰქონდა. ტაძრის ზღურბლს, მხოლოდ ფეხშიშველამ შეიძლება გადაბიჯო, ის კი თითქმის სულ იქ იყო. ჭუჭყი, ალბათ, ღრმად ჩაუჯდა და აღარ შორდებოდა. როცა თავისი მარდი ფეხებით აქეთ-იქით დარბოდა, მისი შავი ფეხისგულები მუდამ თვალში გხვდებოდა.

მთელ ტაძარში სიხარულით მხოლოდ მას

ვიხსენებ. აი, ახლაც გავიხსენე და სული გამინათდა. ახლა ალბათ, კარგა ხნის მკვდარია.

მალე დღესასწაულიც მოვიდა და როგორც უკვე მოგახსენეთ, პირველი დღიდანვე ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამას, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, მეგობარს უნდა ვუმადლოდე. წინა საღამოს დიდხანს მესაუბრა, დამამშვიდა, გამამხნევა, დილით კი, როცა ჩემი დრო დადგა და ცხადია, კვლავ დაბნეულობამ მომიცვა, ისე მოახერხა, შიში დამავიწყა. დასალევი ფოთლებით სავსე თასი გამომიწოდა და წყნარად ჩამჩურჩულა, ორაკულის გველები თავისი ნაპრალებიდან უკვე გამოძვრენო. მისი სახის ნაოჭები, ამ დროს, კმაყოფილ ღიმილად იქცა. ამის შემდეგ კი უფალმა გამიტაცა და თავდავიწყებაში შემიტყუა, რაც ნანატრ აღფრთოვანებასა და შეშლილობაში გადაიზარდა. მას შემდეგ, იშვიათი შემთხვევა იყო, უფლის შთაგონებას არ გავენათლებინე, მაგრამ როცა ასეთი რამ ხდებოდა, ყოველთვის იმ პირველივით საზარელი იყო.

ქურუმები უფრო და უფრო კმაყოფილი იყვნენ ჩემით და წლებთან ერთად სახელიც შორს გამივარდა. ბრმა მათხოვარმა ხომ უკვე გიამბო. ამტკიცებდნენ, თითქოს მე საუკეთესო პითია ვიყავი, თუმცა ეს სიმართლეს არ ჰგავდა, თითქოს უფალს ჩემს გარდა ქადაგება არავის ბაგეებით არ სურდა. ეს მითქმა-მოთქმა მას შემდეგ ატყდა, რაც მრავალდღიანი დღესასწაულების ჟამს ჩემი მძიმე მოვალეობის შემსუბუქება მოინდომეს და სხვა ქალი გამოსცადეს. ცდა წარუმატებლად დამთავრდა და მეც იძულებული გავხდი, ეს სიმძიმე შემდგომშიც საკუთარი მხრებით მარტო მეზიდა.

სწორედ ჩემი სახელი იყო მიზეზი, რომ ასე დიდხანს ვიყავი ორაკულის ქადაგი და რამდენიმე წლის შემდეგ ტაძარი არ დავტოვე. ჩვეულებრივ, პითიები ასე იქცეოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ მეტს ვერ უძლებდნენ. ჩემი დაკარგვა კი ენანებოდათ, რადგან სახელოვანი პითიას ყოლა კარგი საქმე იყო. თავადაც არ მინდოდა ტაძრისა და სამსახურის მიტოვება. ორაკულის მიწისქვეშეთმა, ყოველივემ, რაც მასთან იყო დაკავშირებული, ჩემი სული დაიპყრო. იქ აღსრულებული საიდუმლოება, ჩემი გარდასახვა, სიშმაგე, შეშლილობა, ყოვლისა და ყველაფრის სამანის გადალახვა ჩემი არსებობის საფუძველი გახდა, უამისოდ ცხოვრება აღარ შემეძლო.

მე მგონი, მას შემდეგ, რაც სახელი გამივარდა, უფრო პატივისცემით მექცეოდნენ. ყველამ გაიგო, რომ ორაკულს და ესე იგი ქალაქსაც ჩემგან დიდი სარგებელი ჰქონდა და რომ უფლის განსაკუთრებით სასურველი რჩეული გახლდით. მაგრამ, ამის გამო, ხალხი უფრო დამფრთხალი, უფრო შეშინებული შემომცქეროდა, თავს უფრო მეტად მარიდებდა და მეც სრულიად მარტო, თითქმის ყოველგვარი ადამიანურისაგან მოწყვეტილი აღმოვჩნდი. ყველამ იცოდა, რა სახიფათო ურთიერთობა მქონდა ღმერთთან და რა სა[illegible] ღებოდა სახე, როცა უფალი ჩამისახლდებოდა. და ამის გამო წმინდა ქალაქის მცხოვრებლებს შორის მე ყველაზე ეული გახლდით.

მხოლოდ ორაკულის ქადაგი ვიყავი, მეტი არავინ. განა თავადაც ასე არ ვფიქრობდი? ორაკულისაგან განუყოფელი გახლდით, საკუთარი ცხოვრება არ მქონდა, სხვა ცხოვრება არ ვიცოდი, მხოლოდ მასში და მის მიღმა ვარსებობდი. მართლაც, მხოლოდღა პითია ვიყავი და როგორღაც დავკარგე ადამიანობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით.

თითქმის სულ დელფოში ვცხოვრობდი და ტაძრის კმაყოფაზე ვიყავი. ჩემს მშობლებთან, ჩემს სახლში, ხეობაში სულ უფრო და უფრო იშვიათად მივდიოდი. მათთვისაც უცხო გავხდი. ვგრძნობდი, რომ სხვებივით მიფრთხოდნენ. როცა მშობლებს ვესაუბრებოდი, როგორღაც არც კი ვიცოდით, რაზე გველაპარაკა. დელფოში ჩემი ცხოვრების შესახებ, ჯობდა არაფერი გვეთქვა. ეს მათ არ ესმოდათ და მხოლოდ ამაოდ ღელავდნენ, მათი ცხოვრება კი აბა, რა სალაპარაკოა-თქო, ვფიქრობდით მეც და ისინიც; მათი ცხოვრება ძველებურად მიედინებოდა, არაფერი იცვლებოდა, თავადაც მშვენივრად ვიცოდი. თუმცა ვიცოდი კი? იქნებ უკვე აღარ ვიცოდი?

მათი სამყარო ძალიან შორეული გახდა, ზედმეტად დავშორდი. თუმცა ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო და კარგად ნაცნობი იყო. თავად ვგრძნობდი თავს უცხოდ. ადამიანისათვის არაფერია ისე უცხო, როგორც სამუდამოდ მიტოვებული ბავშვობის სამყარო.

ჩემი მშობლები უკვე თვალშისაცემად დაბერებულიყვნენ. ახლა დუნედ მოძრაობდნენ; დედა კი ძალიან ჩამოხმა. როცა გვერდით გაიხედავდა, ბებერი ფრინველივით თავს ატრიალებდა. თვალები ჩაუვარდა, დასასვენებლად ხშირად ჯდებოდა. იჯდა და დუმდა. სათქმელი თითქმის არაფერი გვქონდა.

თავადაც აღარ მეთქმოდა ახალგაზრდა. რამდენი წლის ვიყავი, დედა რომ გარდაიცვალა? მგონი ოცდაათს გვარიანად გახლდით გადაცილებული.

ტაძარში ცნობა მიიღეს, დედა სიკვდილის პირზეაო, ოღონდ მაშინვე არ მითხრეს. სწორედ იმ დროს მიწისქვეშეთისაკენ მივემართებოდი და ეს რომ გამეგო, ჩემს მსახურებას ველარ ჩავატარებდი, უფლის შთაგონებას ვერ შევისმენდი. მე, ცხადია, ჩემი ვალი ჯერ უფლისა და ტაძრის წინაშე უნდა მომეხადა. იმ დღეს განსაკუთრებით ბევრი პილიგრიმი დაგროვდა. ეს საგაზაფხულო დღესასწაულის ბოლო დღე იყო და ორაკულის მსახურება უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. მოხუცმა

მსახურმა, როგორც კი შენიშნა, რომ გონზე მოვედი, ჩურჩულით მამცნო ამბავი, მაგრამ ჯერ კიდევ ბურანში ჩაძირული, დაბანგული გახლდით და თავიდან ვერაფერი გავიგე. ისე მომეჩვენა, თითქოს რაღაც შორეულზე მიამბობდა, რასაც ჩემთან არაფერი ჰქონდა საერთო. შემდეგ მისი სიტყვების აზრს უცებ მივხვდი და აღელვებული იქით, დედისაკენ გავიქეცი.

ჯერ კიდევ დაბანგული ვიყავი. აქოშინებული და გაწითლებული შევვარდი სახლში, სადაც სამარისებური სიჩუმე მეფობდა. ეს სახლი ყოველთვის ჩუმი იყო, მაგრამ ამჯერად სამარისებური სიჩუმე მეფობდა. და ვიგრძენი, რომ ჩემი მისვლით ენით აუწერელი სიმშვიდე დავარღვიე.

საპატარძლო კაბა მეცვა, სწორედ ის კაბა, რომელსაც უფლის პატარძალი ორაკულის მიწისქვეშეთში ვატარებდი. შევამჩნიე, რომ მამამ განცვიფრებით შეხედა კაბას, თუმცა არაფერი უთქვამს.

დედა თვალდახუჭული, ფერმკრთალი, გაცრეცილი იწვა და ერთიხანობა ასე მეგონა, უკვე გარდაიცვალა-მეთქი. როცა გვერდით ჩამოვუჯექი და ავტირდი, მან თვალი გაახილა და ისე შემომხედა, არასოდეს დამავიწყდება. ისეთი შორეთიდან მოდიოდა ეს მზერა, რომ უბრალოდ გაუგებარია, ჩემამდე როგორ მოაღწია. დედა უცხოსავით შემომცქეროდა, თითქოს ვერ გაერკვია მის გვერდით როგორ აღმოვჩნდი. ვინ არის ეს უცხო ქალი, რომ მოვიდა და საწოლზე ჩამოუჯდა? თანაც რა უცნაურადაა მორთული — სამოსი თითქოს ეცნობა, მაგრამ ახლა აღარ აგონდება, ასე რისთვის ირთვებიან.

შემდეგ თითქოს შემნიშნა, მიცნო, მიხვდა, რომ მოვედი. მოგვიანებით გავიგე, თავად უთხოვია მამისთვის ჩემთან ვინმე გამოეგზავნა, რათა სიკვდილის წინ კიდევ ვენახე. მაგრამ როგორ ვიყავი ჩაცმული? რა უცნაურად ვიყავი გამოწყობილი!

გამხდარი ხელი ფრთხილად გამოწია, ჩემს კაბას შეეხო, ქსოვილი მოშინჯა, თუმცა ვერაფერი გაიგო. როგორც ჩანს გადაცმული ვეგონე. არადა, მართლაც ხომ ასე იყო. ქალს, რომელიც მართლა იყო პატარძალი, რომელმაც ქმარს შვილები გაუჩინა და ქმარიც და შვილებიც უყვარდა, ნამდვილად ასე უნდა მოსჩვენებოდა, იგი იწვა, ხელს ჩემს ძვირფას სამოსს უსვამდა და არაფერი ესმოდა. შემდეგ დაღლილმა ტანჯვით დახუჭა თვალები და მისი გამხდარი, ცარიელი ხელი უღონოდ ჩამოეკიდა.

მისი საწოლიდან წამოვდექი, ჩემი ადგილი მამამ დაიკავა, მისი ხელი ხელში ჩაიდო და დედა წყნარად მიიცვალა.

შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი გახლდით; როცა კვდებოდა ცხელებისა და ბანგის ნარჩენი ჯერაც არ გამნელებოდა.

მამამ დიდი, უხეში ხელი სახეზე დაუსვა, იმ სახეზე, რომელსაც ახალგაზრდობისას ალბათ ეფერებოდა. აშკარად გაახსენდა მრავალი ისეთი რამ, რაც ჩემს ცხოვრებაში არ განმეცადა და ვერც განვიცდიდი, რადგან ადამიანური ცხოვრების საკუთრება იყო.

მამამ ვერ შეამჩნია, როგორ გავედი. პატარძლის სამოსი გავიხადე, მოვძებნე ძველისძველი კაბა, რომელიც ჩემი სიყმაწვილის წლებიდან მოყოლებული აქ, მათთან იდო და ჩავიცვი.

როცა დავბრუნდი, მამა კვლავ უძრავად იჯდა, დედას დასცქეროდა და ჩემი შემოსვლა ამჯერადაც ვერ შენიშნა. იგი ხედავდა მხოლოდ დედის დატანჯულ სახეს, რომელიც სიცოცხლეში ხიბლავდა და ახლაც უყვარდა. დედის სახე მისი სულივით სუფთა და უბრალო გახლდათ. ახლა სული გაფრინდა, მაგრამ სახემ მისი მოგონება შემოინახა.

მივუახლოვდი და მის ლამაზ, განათებულ სახეს დავხედე. შემდეგ შევნიშნე, რა ენით უთქმელი სიმშვიდე ეფინა და ქვითინი წამსკდა.

ჩვენ ხომ ოდესღაც ძალიან ვგავდით ერთმანეთს.

კაცმა ხელები გულზე დაუკრიფა და ეს განსაცვიფრებლად თეთრი, თხელი, თითქმის გამჭვირვალე ხელები, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე ამდენი სხვადასხვაგვარი საქმე გააკეთა, ისე თლილი და ჩამოქნილი იყო, თითქოს ყოველივე მიწიერი უკვე წარიშალა და გაქრა.

მკვდარი სხეული ერთად განვბანეთ და ზეთით დავზილეთ. შემდეგ ძველებური წეს-ჩვეულების მიხედვით მამის გაკეთებულ საკაცეზე გადავიყვანეთ და ზეთისხილის რტოებზე დავაწვინეთ, რათა მისი სხეული კვლავ სიცოცხლისთვის შეგვეწირა. მამამ ჩემს დახმარებაზე უარი განაცხადა, გაუხეშებული თითებით მურტის გვირგვინი თავად დაწნა და ღვთაებასთან ზიარების ნიშნად, ქალს თავზე დაამაგრა. იგი წეს-ჩვეულებას თავგამოდებით იცავდა და ჩვენც არაფერი დაგვიწყებია.

ბოლოს ჩავარდნილ მკერდზე რამდენიმე თავთავი დაადო და სახეზე საბურველი გადააფარა, რათა მისი სიმშვიდე არაფერს დაეფრთხო.

მეორე დღეს, უახლოეს ქალაში, უძველეს საკურთხეველთან, სადაც თითქმის ყოველდღე რაიმე შესაწირავი მიჰქონდა, მამამ სამარე გათხარა. ჩვენ ერთად წავიღეთ საკაცე, რომელიც ჩემთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა — დედა ზორბა ქალი იყო — და სამარეში ჩავუშვით.

მიწაში, მშობლიურ წიაღში კვლავ დაბრუნებული, ცოცხალი ფოთლების საფენზე იწვა.

ჩვენც უკანასკნელად შევხედეთ სიმშვიდემოფენილ მის სახეს. შემდეგ მამამ მიწა მიაყარა და ჩვეულების მიხედვით სამარეზე პური დათესა, რათა დედა სიკვდილის კი არა, სიცოცხლის საკუთრება ყოფილიყო.

დროებით მამასთან დავრჩი, რათა პირველხანებში დავხმარებოდი. დიდი დღესასწაული გასული იყო და ასე მოქცევა შემეძლო. მამა ხომ მიჩვეული იყო, რომ სახლში მეურნეობას ქალი უძღვებოდა. მეც მინდოდა თუნდაც დროებით დავრჩენილიყავი ამ სიჩუმესა და სიმშვიდეში, ასე რომ მჭირდებოდა. მომხდარით თავზარდაცემული გახლდით. მახსენდებოდა, როგორ სინჯავდა ჩემს ძვირფას კაბას და ამ კაბაში გამოწყობილი, როგორ ძლივს მიცნო. ისიც მაწუხებდა, რომ ძალიან გვიან მოვედი და ვერ მოვასწარი პატიება მეთხოვა, მისი მსგავსი რომ არ გავხდი, რომ სიკვდილის ჟამს სიჩუმე დავურღვიე, რომ მისი ხელი ჩემი კალთიდან ცარიელი ჩამოეკიდა... ისე მძიმედ ვიყავი შეძრული...

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ადამიანის სახეზე მოფენილი სიმშვიდე, შეიძლება საყვედურად აღიქვა, და მაინც, ზუსტად ასე აღვიქვამდი. ჩემს თავს ვსაყვედურობდი, რომ თავად ვერ შევიცნობდი, თავად ვერ ვგრძნობდი სიმშვიდეს სულში, რომ ასეთი გავხდი, რომ ჩემი სული, ცხოვრება, არსებობა ასეთი გახდა.მას რად არ ვგავარ? ჩემი ცხოვრება, მთელი ქვეყანა მას რად არა ჰგავს? ყოველივე ისე რად არ დარჩა, როგორც ბავშვობაში იყო? ბავშვობაში, როცა ლარტაფში ერთად მივდიოდით წმინდა წყაროსთან, სადაც ანკარა წყალი ჩუხჩუხებდა, ირგვლივ კი ლორთქო, მარადმწვანე მცენარეები ხარობდა, სადაც ქვიშა მდოვრედ ტრიალებდა, თითქოს უფლის უხილავი ხელი მართავდა. რად არ შეგვიძლია ფეხშიშველჩაკიდებულებს, როგორც ოდესღაც, კვლავ იქ წასვლა? რამდენი რამ მინდოდა მეთქვა.

ის აქ იწვა და მელოდა, მე კი არ მოვდიოდი, ძალიან გვიან მოვედი. ზედმეტად გამიტაცა დიდმა დღესასწაულმა, რათა მასზე მეფიქრა, რათა აქ, მათთან მოვსულიყავი და გამეგო, რომ ავად იყო, რომ ეს-ესაა სულს განუტევებდა. ზედმეტად გამიტაცა იმან, რაც დედას არ ესმოდა, რასაც ვერ ავუხსნიდი, რასაც მისი გონება ვერ დაიტევდა. ჩემი სული კი ამან მოიცვა, მის გარეშე სიცოცხლე აღარ შემეძლო.

სიცოცხლე არ შემეძლო? უიმისოდ კი შემეძლო ცხოვრება, რითაც დედა ცხოვრობდა? ნამდვილად შემეძლო?

დიდი დღესასწაული, რომელიც ისე მიტაცებდა, ვერ ვშორდებოდი, სიშმაგე, აღფრთოვანება, შეშლილობა, ეს ყოველივე სწორედ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის სახეზე აღბეჭდილ სიმშვიდეს, მის სულში ჩაბუდებულ სიმშვიდეს!

მე რაღა დამრჩა ან რა დავკარგე? რა ჯობს ჩემი ცხოვრება მის ცხოვრებასთან შედარებით? სწორედ იმ ცხოვრებასთან, რომელიც დედასთან ერთად დავტოვე, მივატოვე.

აქ, სიჩუმეში მასთან უნდა ვმჯდარიყავი, მისი ხელი ხელში უნდა ჩამედო. ჩემი ადგილი აქ იყო.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ დიდი დღესასწაული აქ აღსრულდა, როცა დედა იწვა და კვდებოდა.

მსურდა ცოტა ხნით ამ მშვიდი, საიმედო ცხოვრებით მეცხოვრა, თუნდაც ცოტა ხნით მისი ცხოვრება განმეცადა.

ხშირად ვიჯექი კერიასთან, სწორედ დედის ადგილზე და ვამჩნევდი, რომ ჩვენი ძველი სახლის სურნელი მსიამოვნებდა. უცნაურია, ადრე მათ სანახავად რომ მოვდიოდი, სხვაგვარად იყო. მაშინ ეს სუნი არ მსიამოვნებდა, ალბათ ზედმეტად კარგად მახსოვდა, სიჩუმე და სიმშვიდე კი მხოლოდ მთრგუნავდა. ახლა ეს სიმშვიდე გარს შემომერტყა და ალერსიანად მეხვეოდა. ო, რა სასიამოვნო შეგრძნება იყო.

აი, ასე აღმოვაჩინე ხელმეორედ ბავშვობის სახლი. აღვიქვი ველები, გარსშემოკრული მიწები, სახლის გვერდზე მდგარი ბებერი ზეთისხილის ხე და ქალა, სადაც ბელტებისგან აშენებული საკურთხეველი იდგა და ახლა დედა განისვენებდა. კვლავ დავინახე დაკლაკნილი ბილიკი, ლარტაფისა და წყაროსაკენ რომ მიემართებოდა. ყოველივე ნაცნობი, ისევ ძვირფასი გახდა და ჩემს ირგვლივ ისე ერთგულად შემოიკრიბა, თითქოს არასოდეს განვშორებოდი. ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ ყოველივე ეს სინამდვილე იყო. და დროდადრო სხვაგვარი აზრებიც მაწუხებდა. და მაინც, ნელ-ნელა, ჩვეულებრივ, ნამდვილ ცხოვრებას ვუბრუნდებოდი.

მამა ძველებურად ყანაში მუშაობდა, მე კი, როგორც შემეძლო ოჯახს ვუვლიდი ისე დიდიხანია საოჯახო საქმე აღარ გამეკეთებინა, რომ ყველაფერი დამვიწყებოდა, მაგრამ საკმაოდ ჩქარა შევეჩვიე. ერთად თავს კარგად ვგრძნობდით.

რა უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, დედაზე იშვიათად ვსაუბრობდით, თუმცა განუწყვეტლივ ვფიქრობდით. მამამ მის საფლავზე ქვა დაადო და მსხვერპლს ხშირად სწირავდა. პატარა მსხვერპლს წირავდა, როგორსაც ისინი იყვნენ მიჩვეულნი. ვხედავდი, რომ ცოტახნით ჩერდებოდა საფლავთან, შემდეგ სახლისაკენ გამოემართებოდა და ისეთი არაფრისმთქმელი მზერით იყურებოდა თითქოს ძალიან შორიდან ბრუნდებოდა. ეს მოკრძალებული, სევდიანი მზერა, მის ძლიერ გარეგნობას უცნაურად არ ეხამებოდა. თვალები ბავშვივით ნათელი

ჰქონდა, თუმცა გამომეტყველება ბავშვური სულაც არ იყო. უფრო და უფრო იკეტებოდა თავის თავში, მაგრამ მისი სიპირქუშე სიკეთით ალსავსე გახლდათ.

კარგად მახსოვს, როგორი იყო მამა იმ ბოლო თვეებში, მასთან რომ გავატარე. სალამოობით, სახლში ნელი ნაბიჯით შემოდიოდა, ხოლო როცა ჭამას დაასრულებდა, თავის დაკოჟრილ, ნაჯაფარ, უსაქმობას მიუჩვეველ ხელებს მაგიდაზე დააწყობდა. მათი შემხედვარე, მახსენდებოდა, რა კარგად და მშვიდად ვგრძნობდი თავს ბავშვობაში, როცა ჩემს ხელს თავის ხელისგულში მოიქცევდა. ახლა ეს ხელები ძლიერ გამოიცვალა, სულ მთლად ბებერი და დანაოჭებული გახდა.

დილაობით, ჯერ სათაყვანო, ეულ ხესთან მიდიოდა, შემდეგ ყოველდღიურ საქმიანობას იწყებდა. იგი სისხამ დილას, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე დგებოდა. აქ, მაღალ მთებს შუა მზე გვიან ჩამოიხედავდა, მაგრამ ცა, მის ამოსვლამდე კარგა ხნით ადრე ნათდებოდა.

ცოტა მოგვიანებით მეც გავუყვებოდი ბილიკს ლარტყფის წყაროსაკენ, სწორედ იმ წყაროსაკენ, წმინდა რომ გვეგონა. ვიდექი, წყალს ვუცქეროდი, სული სიმშვიდითა და მოწიწებით მევსებოდა და დაწყნარებული, გახალისებული, თავისებურად ბედნიერი ვბრუნდებოდი.

ასე მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება. გაზაფხული ძალას იკრებდა და ჩვენს ირგვლივაც და ვეებერთელა, ბარაქიან ხეობაშიც ზღაპრული სილამაზე მეფობდა.

ერთ დილას, ჩვეულებრივ, ბილიკს ჩავუყევი და დავინახე კაცი, რომელიც წყაროსაკენ დახრილიყო და პეშვით წყალს სვამდა. მახსოვს, ჯერ კიდევ შორიდანვე თვალში მომხვდა, რომ წყალს რატომღაც მარცხენა ხელით სვამდა. თუმცა ზურგიდან ვხედავდი, მაშინვე მივხვდი, რომ უცხო იყო და ნაბიჯი შევანელე. მაგრამ კაცმა მაინც გაიგონა ჩემი ფეხის ხმა და შემობრუნდა. სულ ახალგაზრდა იყო, ჩემზე ერთი ათი წლით უმცროსი მაინც იქნებოდა, ნათელი, ცოცხალი, მზით დამწვარი სახე ჰქონდა.

კარგად რომ დავაკვირდი, თითქოს მეცნო. თავადაც ნაცნობივით შემომცქეროდა. იგი წამოდგა; მაშინ მივუახლოვდი და მივხვდი, რომ აქაური, ამ ხეობელი იყო და დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში შევხვედროდი. ახლა იგი ოცდახუთი-ოცდაათი წლის, არც ისე მაღალი, მაგრამ ძლიერი, მსხვილძვალა, ჯანმრთელი მამაკაცი გახლდათ, ოლონდ ცალხელა იყო.

თავადაც გავახსენდი, თუმცა ამდენი წელი გავიდა. ჩვენი სახლები ახლო-ახლო იდგა. მისი მშობლებიც ტაძრის პატარა მიწას ამუშავებდნენ და ლატაკები, მგონი ჩვენზე ლატაკები იყვნენ. მრავალშვილიანი ოჯახი ჰქონდათ.

ერთმანეთს გამოვესაუბრეთ. მიამბო, მრავალი წელია სახლში არ ვყოფილვარ, თითქმის ბიჭუნა ჯარისკაცად წავედი, რადგან სახლში ზედმეტად ბევრი მჭამელი გვყავდა, შემდეგ ომში ხელი დავკარგე, ამიტომაც მოვბრუნდიო. ომისთვის აღარ ვვარგივარო, ჩაიცინა, სადარდებელიც არაფერია. ომი დიდად არ მომწონდა, უბრალოდ თავი ხომ უნდა გამეტანაო. მიწაზე მუშაობას არაფერი სჯობს, თუკი მიწა გაქვს. თუმცა არც ამისათვის არის ურიგო ორი ხელი გქონდესო.

შემდეგ ჩემი ცხოვრებით დაინტერესდა. მეც ვუამბე, რომ დედა გარდამეცვალა და ახლა მამის სახლში მე ვდიასახლისობდი.

— შენ რა, გაუთხოვარი ხარ? — შემეკითხა იგი.

— ჰო, — ცოტა შემცბარმა ვუპასუხე.

შემდეგ წყაროზე ვისაუბრეთ. მე ვთქვი, რომ დედამ შემაჩვია და მეც ყოველ დილით მოვდიოდი აქ და რომ ეს წყარო, ნამდვილად წმინდა წყარო იყო. ჰო, ეს მასაც გაეგო, მაგრამ გემრიელი წყალი აქვსო, დაამატა. კასტალიაშიც კი არ არის ასეთი წყალი, იქ სულ ჯგროდ ეხვევა ხალხი, ვერ წაეკარები. ეს წყარო სულ მენატრებოდა, სანამ უცხოეთში ვიყავიო, მითხრა. გუშინ სალამოს დავბრუნდი და დღეს სისხამ დილითვე აქეთ გამოვექანე, რომ წყალი, რაც შეიძლება მალე, გამეშინჯაო.

შემდეგ კვლავ დაიხარა და სმა დაიწყო. — თქოს არა და არ ჰყოფნიდა.

— შენ არ დალევ? — შემეკითხა.

ყოყმანით შევჩერდი, შემდეგ მის გვერდით მუხლებზე დავეშვი და ორივემ პეშვებით სუფთა, ცივი წყალი შევსვით. ცხადია, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მე კი მეჩვენებოდა, რომ რაღაც განსაკუთრებულ წესჩვეულებას ვასრულებდით. როცა წყლის სმა დავასრულეთ, ჩვენი სახეები წყაროში გვერდი-გვერდ აირეკლა და წყალიც მაშინვე დაწყნარდა. არ ვიცი, დაინახა თუ არა, რა მდორედ ტრიალებდა ქვიშა ფსკერის ერთ ალაგას. იქნებ არც დაუნახავს, მაგრამ მაინც თქვა:

— ასეთ მშვენიერ წყალს ვერსად იხილავ, მართლაც რომ წმინდა წყაროა.

წამოვდექით და ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. მას ხეტიალი და მშობლიური ადგილების ნახვა უნდოდა. მაინტერესებს, ყველაფერი მახსოვს თუ არაო, მითხრა. შემდეგ მზით დამწვარ სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა, დამტოვა და წავიდა.

ბილიკით უკან, შინისაკენ წამოვეხეტე. ნელა მივდიოდი და თუმცა ძალიან მინდოდა დამენახა, რომელ მხარეს წავიდა, მაინც არ შევბრუნებულვარ.

ნეტავ თუ იცის, პითია რომ ვარ? როგორც ჩანს, არ უნდა იცოდეს!

მეორე დილით, როგორც ყოველთვის წყაროსთან ჩავედი: კარგა ხანს, იქნებ ჩვეულებრივზე მეტხანს ვიჯექი. ბოლოს და ბოლოს

ისიც მოვიდა და შევამჩნიე. რომ მისი მოსვლა გამიხარდა, თუმცა ეს გრძნობა ნეუცხოვა.

ისევ გამოვესაუბრეთ ერთმანეთს. მან მით-ხრა, გუშინ მდინარესთან რომ გამოქვაბულია. იქ ჩავძვერი და მისი ხელახლა ნახვა ძალიან მესიამოვნაო. როცა გაიგო, გამოქვაბული არა-სოდეს მენახა, ძალიან გაოცდა. აუცილებლად უნდა ნახო, არც ისე შორსაა, თუ ადგილმდე-ბარეობა იცი, არც დაღმართია ძალიან ციცა-ბო, ერთადაც შეგვიძლია იქით გავისეირნოთო. ისე შემომთავაზა, თითქოს რაღაც ჩვეულებრი-ვსა და სრულიად ბუნებრივს ამბობდა.

წყლით გული მოიჯერა. ნაპირზე მოვეწყეთ და უცხო, ჩემთვის სრულიად უცხო მხარეში, თავისი ჯარისკაცული ცხოვრების შესახებ მი-ამბო. რა მშვენიერია, რომ მშობლიურ ქვეყა-ნას დავუბრუნდი, ოღონდ დელფო გულზე დიდად არ მეხატება, ქალაქი კი არა ყალთა-ბანდების ბუდეა და ქალებიც სულ როსკიპე-ბი არიანო.

— არაჩვეულებრივი ტაძარი აქვთ, — ვთქვი მე.

— აქვთ, ცხადია, — მიპასუხა მან.

მეტი აღარაფერი უთქვამს. მაინც ვერ მივ-ხვდი, იცოდა, პითია რომ ვიყავი. თუ არ იცოდა, ან რა მნიშვნელობა ჰქონდა? ასე რად მაწუხებდა?

თუ არ იცოდა, მალე გაიგებდა. სულ ერთი არ იყო?

ვისხედით და ძველი მეგობრებივით ვსაუბ-რობდით, თითქოს მთელი საუკუნის ნაცნო-ბობა გვაკავშირებდა. მაგრამ დროდადრო ერ-თმანეთს შევხედავდით, სიტყვა გვიწყდებოდა და იმ წუთას ნათქვამი გვავიწყდებოდა.

მზე უკვე საკმაოდ მაღლა იდგა მთებზე, როცა ერთმანეთს დავშორდით და შინ დავ-ბრუნდი.

მესამე დილას — მახსოვს დღეებს ვითვლი-დი, თუმცა არა მგონია, ეს გაცნობიერებული მქონდა — მესამე დილას, მამა მინდორში წა-ვიდა თუ არა, მკვირცხლად მოვემზადე და მა-ხსოვს, სანამ ვემზადებოდი საკუთარ გულის-ცემას განცვიფრებული ვუსმენდი. ჩავედი თუ არა ლარტაფში, მაშინვე შევნიშნე, რომ უკვე იქ იყო, იმავე ადგილას იჯდა. სხივმოსილი, ახლადანთებული დილის ჯერ კიდევ მქრქალი შუქი, უკვე მზად იყო, გაჩახჩახებულიყო და ხეობისათვის კაშკაშა მზის სხივები მოეფინა; მე კი ბილიკზე მივაბიჯებდი და თავს არაჩვე-ულებრივად ბედნიერად ვგრძნობდი. ჩემი ნა-ბიჯების ხმა მან შორიდანვე გაიგონა, შემობ-რუნდა, შემდეგ იჯდა და სანამ მივუახლოვდე-ბოდი მიღიმოდა. ხოლო როცა წყაროსკენ და-ვიხარე და წყალს დავეწაფე, ჩემს გვერდით მუხლებზე დაეშვა და თუმცა უკვე შესმული ჰქონდა, მზით გარუჯულ, ფართო, ზემოდან ბალნით დაფარულ ხელში კვლავ წყალი დაი-გროვა. წყალი შევსვით, მუხლებიდან არც კი წამოვმდგარვართ. ერთმანეთს შევხედეთ და უცებ, სიტყვის უთქმელად, თავზე ხელი შემო-მაქდო, მიმიზიდა და მაკოცა. ტუჩები ცივი წყლისგან გვქონდა გაყინული, მაგრამ ხან[illegible]-თან გაგვითბა, უფრო და უფრო გაგვიხურდა და ბოლოს სიმხურვალით აგიზგიზდა. კეფაზე მისი ფართო, ნამიანი ხელისგულის შეხებას ვგრძნობდი: მესმოდა, როგორ ამიჩქარდა სუ-ნთქვა და გულიც ამიძგერდა. ბოლოს და ბო-ლოს ბაგე მომაშორა და თითქოს სადღაც შო-რიდან მისი მშვიდი ხმა გავიგონე:

— თვალებს რატომ ხუჭავ?

არც კი ვიცოდი, თვალები დახუჭული მქო-ნია. მაშინვე გავახილე და დავინახე მისი მო-ღიმარე, გარუჯული სახე, რომელიც კვლავ მო-მიახლოვდა. შემდეგ ველარაფერს ვხედავდი, მხოლოდ ვიგრძენი, როგორ დააწვა ჩემს მომ-ლოდინე, ოდნავ გაღებულ ბაგეს, მისი ძლიერი ტუჩები.

ამის შემდეგ აღარაფერი გვითქვამს, მდუმა-რედ ხელჩაჭიდებულნი ვისხედით. მაშინ პირ-ველად მეჭირა ხელში მისი ერთადერთი ხე-ლი, ძვირფასი, საყვარელი ხელი, რომელიც ასე კარგად მახსოვს.

ფეხზე წამოვდექით და ერთმანეთის გვერ-დიგვერდ დავდექით. ორივე ხშირად და არა-თანაბრად ვსუნთქავდით.

— წამო, მდინარესთან ჩავიდეთ, — ღიმი-ლის გარეშე შემომთავაზა მან. — შენ ხომ იქ არასოდეს ყოფილხარ.

პასუხად მხოლოდ შევხედე და ხელზე ხელი მოვუჭირე. სულაც არ მომჩვენებია უცნაურად, რომ ეს შემომთავაზა და იქ ერთად წავიდო-დით.

მთის ძირს ჩქარი ნაბიჯით ავუყევით. ცოტა ხნის შემდეგ ფერდობი ციცაბოდ დაეშვა. იგი ისეთ ადგილებს ეძებდა, სადაც იოლად გავივ-ლიდი, თუმცა მაინც მიჭირდა. მიუჩვეველი ვიყავი, თანაც გამალებით მივდიოდით. ის მე-ხმარებოდა, ყველაზე ძნელ ჩასასვლელებთან ქვემოთ დგებოდა, ხელს მტაცებდა და მანამ-დე ვეჭირე, სანამ კვლავ არ ვიპოვნიდი მყარ საყრდენს ქვიან ფერდობზე, სადაც ფიჭვის ფესვები ამოჩრილიყო. რაც უფრო ქვემოთ ჩავდიოდით, მით უფრო ციცაბო და გაუვალი ხდებოდა ფერდობი, ქვემოდან უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა მდინარის ხმაური. მდინარე მძლავრად დუღდა და მოჰქუხდა. გა-მოქვაბული დავიწროვდა და ისე დაპატარავ-და, უფსკრულს დაემსგავსა. დღის სინათლე გაილია, გაქრა და ბოლოს მდინარის დამაყ-რუებელი ქუხილით სავსე ბინდად გადაიქცა. მდინარე ფიჭვების მიღმა იყო მიმალული, მა-გრამ მალე უნდა გამოჩენილიყო.

მძიმე ფერდობი ჩათავდა და როგორც კი გახურებულნი გამოქვაბულის ფსკერზე აღმო-ვჩნდით, მდინარე, რომლის სანახავადაც მოვე-დით არც კი გაგვახსენებია. მისკენ არც გაგვი-

ხედავს; მხოლოდ ერთმანეთს ვხედავდით, ჩვენი თავის გარდა ყოველივე დაგვავიწყდა. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, ჩქარა მოვხვედროდით ერთმანეთს ამ ბინდში, სადაც ვერავინ დაგვინახავდა, სადაც ყოველივე საიდუმლოდ დარჩებოდა. ჩვენ მიწაზე დავეცით. თვალდახუჭულმა ვიგრძენი, როგორ შემომახია სამოსი და დამეუფლა.

პირველად შევიცანი სიყვარული, პირველად გავიგე, რა სასწაულით თავისუფლდები მარტოობისაგან, როცა მეორე ადამიანი შეგერწყმება. ერთმანეთს მოვეხვიეთ, შევერთდით და ჩემს ძლიერ სხეულს, ამას შეუცნობლად რომ ნატრობდა და სურდა, მძაფრი, შმაგი სიამოვნების ალი მოედო.

მთელი ამ ხნის მანძილზე ირგვლივ მდინარის ხმაური მესმოდა და ვგრძნობდი ფიჭვის წიწვებისაგან შექმნილი საწოლის სურნელს, საწოლის, რომელსაც ეს კეთილი ხეები, ვინ იცის, რამდენი წელი ფენდნენ და ჩემთვის ამზადებდნენ. ჩემს ცნობიერებაში სიყვარულის განცდას წიწვის სურნელი და მდინარის ხმაურიანი ქუხილი სამუდამოდ შეერწყა.

თვალებს არ ვახელდი, არ მჭირდებოდა, ისედაც ვიცოდი, რომ ჩემი საყვარელი აქ, ჩემთან იყო, რომ ჩემი ბედნიერი, მოდუნებული სხეული მის მკლავებში გალურსულიყო, რომ მის ხელზე, მის ძლიერ, მაგარ ხელზე, ასე მშვიდად და შესანიშნავად ვისვენებდი. მისი თითები, მისი მარცხენა ხელის თითები სახეზე მეფერებოდნენ. ისე უჩვეულო და თანაც სასიხარულო იყო ამის შეგრძნება, მანამდე ხომ არავინ მომფერებია. არც შემდეგ, არასდროს და არავის ხელი არ მოფერებია, გარდა იმისა, გარდა მისი ხელისა.

აი, როგორი ყოფილა ადამიანური ბედნიერება. აი თურმე რას ნიშნავს, იყო ადამიანი. მეც ადამიანივით ბედნიერი ვიყავი, თითქოს ერთი მათგანი გავხდი.

როცა ტრფიალით გული მოვიჯერეთ, მაღლა ამოვედით. დღის სინათლე, მზის სინათლე, დამაბრმავებელი, კაშკაშა მზის ციალი ახლა მთელ ხეობას ეფინებოდა. წყარო ისეთი წყნარი იყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სწორედ აქ დავშორდით ერთმანეთს და მე, ბედნიერი, შინისაკენ გავემართე.

თარგმნა მანანა მიქელაძემ

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარლენ კორალოვი

# გუდაუთა—1. ვეტერანები...

## ლიხნი

როცა კი გუდაუთიდან ჩაის ფაბრიკაში ან დურიფშში წავსულვარ, გზად თვალი მიუზიდია რაიონის სიღრმეში გაშენებულ მოზრდილ სოფელს — ლიხნის, რომელიც ქალაქიდან ხუთიოდე კილომეტრზე მდებარეობს. ცხადია, გამვლელს ყურადღებიდან არ გამორჩებოდა რკინის ჭიშკრიანი გალავნით შემოზღუდული ვრცელი მინდორი ხეივნების მწკრივით, რომლის ცენტრში ვეებერთელა ცაცხვი აღმართულიყო.

აქვე მოჩანდა მშენებარე კლუბი ან თეატრი, კულტურის სახლი, რომლის მასშტაბები არამც და არამც არ მიესადაგებოდა სოფლისას. ძველი შენობის ნანგრევებთან და ცოტა იქით, მარცხნივ აღმართულიყო ეკლესიის მშვენიერი, მაღალი გუმბათი.

უკვე ვიცოდი, რომ ეს მამულები 24-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნოდა, ისიც, რომ კოლმეურნეობას სახელგანთქმული აიბა ედგა სათავეში. ეს ყველაფერი „საბჭოთა აფხაზეთის“ ანაკრები მასალებიდან, სასტუმროს ნომერში წიგნების გაზზრდილი წყებიდან და ძირითადად კი სხვადასხვა შეხვედრებიდან გავიგე, ბევრი მსმენოდა სოფლის ახლანდელ და ადრინდელ ყოფაზე, მაგრამ აიბასთან შეხვედრას მაინც გვერდს ვუვლიდი, რადგან პავლე ხაკეს ძის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავმჯდომარეს საქმე თავზე გადასდიოდა, მის გრაფიკში ფანჯრის გამონახვა იოლი საქმე როდი იყო, უბრალოდ ვერ მოიხელთებდი, თვალსაც ვერ შეაპარებდი. ვიცოდი მხოლოდ რომ პაემანი შედგებოდა და მეც ველოდი, ველოდი უკვე მოუთმენლად. დღეები თვალდახელშუა მეპარებოდა და თბილისობაზე წასვლაც მეჩქარებოდა, მაგრამ როგორ გავფრენილიყავი ისე, რომ რაიონის უმსხვილესი კოლმეურნეობისათვის გვერდი ამევლო და სახელგანთქმული აიბა არ მენახა?

მაგრამ აი, დაჰკრა საათმა. აიბასთან პაემანი შეთანხმებულია: ამჯერად გვერდი აღარ ამიქცევია, ჭიშკრის გავლით პირდაპირ მოედანი გადავკვეთე. საქმიან ეზოში ათობით მანქანა დგას — „ჟიგული“, „ნივა“, ნაცრისფერი და შავი ვოლგები. მეორე სართულს მარმარილოთი მოპირკეთებული, მაგრამ ჯერ კიდევ უმოაჯირო კიბე აუყვება. „ადმინისტრაციულ ნაწილში“ ცალკეული სამუშაოები თითქმის მოემთავრებინათ. მისაღებში თავმოყრილ ხალხს ნაკლებ სადღესასწაულო, ზრუნვით მოცული სახეები აქვთ. აქ, ისევე როგორც საკმაოდ მსხვილ დაწესებულებებში, საქმიანი ცხოვრება მიმდინარეობს. საქმიანმა მდივან მემანქანემ ჩემი მისვლის შესახებ უკვე იცოდა.

ვიდრე გარუჯული, ფეროვანი სახის ყავისფერკოსტუმიანი ჭაღარა კაცი მომსვლელებთან ბოდიშის მოხდით საუბარს მოამთავრებდა (ისინი სამია, სოლიდური, ღირსეული გარეგნობის ადამიანები) — მე ცოტაოდი მოვათვალიერე იქაურობა. ყოველდღიურად სად ნახავ ამგვარ კოლმეურნეებს, ან ასეთ კანტორებსა და კაბინეტებს. ჰაკიბეი კაუეს ძე აიბა აუჩქარებლად ამთავრებს საუბარს და მსუბუქი ღიმილით მიაცილებს კმაყოფილ მომსვლელებს. შემდეგ ეს კითხვით მომლოდინე, დახვეწილი ღიმილი ჩემზე გადმოაქვს.

მე „პირველი ნახვის“ ჩემეული კუსტარული თეორია გამაჩნია. საერთოდ ადამიანები მისადმი ყოველთვის რაღაც სკეპტიკურად ვართ განწყობილნი, პირველი შეხვედრა ეს არასრულ შთაბეჭდილებად მიგვაჩნია, ითხოვს

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 10.

კვლავ და კვლავ შემოწმებას, დადასტურებას. ქვექვეშ ვაყენებთ ერთი ნახვით შეყვარებას, აკი ანდაზაც გვეუბნება: „ერთი ფუთი მარილი უნდა შევჭამოთ“ მაგრამ ისიც გვახსოვს ძლომაზეც რომ უჭამიათ მარილი, მაგრამ უცებ აღმოუჩენიათ, რომ ტყუილი მიძალება გამოსვლიათ, ერთმანეთი ვერ შეუცვნიათ.

ჩემთვის კი წინასწარ შემუშავებული აზრი და დოსიე, ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე „ერთი ნახვა“. ალბათ იმიტომაც, რომ ჩვენი შინაგანი არსება წლიდან წლამდე უფრო და უფრო იშვიათად ვლინდება გარეგნობაში. უნებისყოფო, უძარღვო კაცი დაბლა დაეშვება, ძირს განერთხმევა, ძლიერი ნებისყოფის ადამიანი კი, გაუძლებს ისტორიული ატმოსფეროს დაწოლას, აუცილებლად გამოავლენს საკუთარ „მეს“.

კითხვით მიჩერებულ მზერაში, მსუბუქ ღიმილში სიმყარე და ნებისყოფა იგრძნობოდა. კოლმეურნეობის, მისი ისტორიის უახლოესი გეგმების ირგვლივ გამართულ დიალოგს მიღმა ჩვენს შორის სხვა, ქვეტექსტს მოფარებული, შინაგანი დიალოგი მიმდინარეობდა.

— რა ქარმა გადმოაგდო ეს ნარკვევების კაცი, რა აქვს ნეტავ უზურში? — მარჩიელობდა ალბათ თავმჯდომარე. „რა კაცია სინამდვილეში ეს აიბა, საქვეყნოდ რომ გაუგდია სახელი?“ — ვბჭობდი ჩემთვის და შეკითხვას შეკითხვაზე ვაძლევდი.

ქვეტექსტი გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ ტექსტის აღდგენას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. პირველს კიდევ სხვა შეხვედრები მოჰყვა — გუდაუთაში, სასტუმრო „მოსკოვსა“ და „კერძო“ ბინებში, ზვრებში, ამიტომ დავიწყე პირველი გაცნობით, უფრო მოგვიანებით კი დაგროვილის შთაბეჭდილებებზე გესაუბრებით.

ნახევარი საუკუნის წინ ოცდათხუთმეტი მეურნეობა უძღვებოდა იმ მიწებს, რომელიც ამჟამად ერთს — 24-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. ამ ყრილობის შემდეგ დაიწყეს სუსტი მეურნეობების გამსხვილება. ბუნებრივია, ყველაფერი მაშინვე არ გარდაქმნილა, მაგრამ კურსი დაჟინებით ხორციელდებოდა. გაერთიანებულ კოლმეურნეობას სათავეში ავტორიტეტულ ადამიანებს უყენებდნენ. მაგრამ საქმე კვლავ ძველებურად მიდიოდა. მაშინ იყო, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მრისხანე ფრაზა ისროლა: „აუტკივარი თავი რატომ ავიტკივო, თორემ ლიხნის კოლმეურნეობას დედოფალივით მოვკაზმავდიო“.

დაუდევრად იყო ეს სიტყვები წამოსროლილი, მაგრამ დაქადნებული ერთ დღეს გაახსენეს და იმ მაღალთანამდებობრივ პირს მეტი რა ჩარა ჰქონდა, ჩაუდგა კოლმეურნეობას სათავეში, მაგრამ ვერ გაართვა თავი, პატარძალს ვერ დაამსგავსა. ორ წელში დაეტყო, რა ძალაც ჰქონდა ქაღალდს, თავიდან ეგონა ბრძანება და საქმის შესრულება ერთი იქნებოდა, მაგრამ მალე დარწმუნდა საწინააღმდეგოში, საქმე ადგილიდან არ დაძრულა, მეურნეობა უფრო მეტად მოირღვა, ბოლოს კოლმეურნეებმა განუცხადეს: „თუ ღმერთი გწამს, ნურც საკუთარ თავს გატანჯავ და ჩვენც ნუ გაგვაწვალებო...“

1967 წელს საკოლმეურნეო ვალმა ე. ი. სახელმწიფოს წინაშე დავალიანებამ 1.200.000 მანეთს მიაღწია. 10 თებერვლისათვის კოლმეურნეობას სულ ორი ბულულა თივა გააჩნდა. დანარჩენი საკვები მინდვრებში დარჩა. რა გზას დასდგომოდნენ? გამსხვილება მოუქნელობა, სისულელე, უაზრობა გამოვიდა. მაშასადამე, ისლა დარჩენოდათ, რომ კოლმეურნეობა ისევ დაეწვრილერთეულებინათ. რაიონის ხელმძღვანელობას კოლმეურნეობის გასაჯანსაღებლად ამ ორი წამლის გარდა აფთიაქში სხვა საშუალება არ მოეპოვებოდა. თუმცა იყო კი სხვაც, სუსტი და ოდნავ მბჟუტავი, ნაკლებ სარწმუნო იმედიც, ეს იყო — აიბა.

რატომ მაინცდამაინც აიბა? ამ დუნია ქვეყანაზე განა სხვა კაცი ვერავინ გამოიძებნებოდა? — ვერა. ადგილის კურდღელი, ადგილის მწევარს უნდა დაეჭირა, უცხო ვარიაგის მოხმობა საქმის სრულ, საბოლოო ჩაფლავებას ნიშნავდა. გართულებულ ვითარებას კი მხოლოდ ადგილობრივი კაცი გაართმევდა თავს. რაიონის ხელმძღვანელობას თავისიანებში — ლიხნი — გუდაუთის ფარგლებში არავინ ეგულებოდა ისეთი, ამ მხრივ ჰაკიბეი აიბას რომ ტოლს დაუდებდა.

მთელი ნახევარი წელი ჩასჩიჩინებდნენ აიბას ,მაგრამ ვერა და ვერ დაითანხმეს. დავარდნილი კოლმეურნეობა და მილიონიანი ვალი ისე არ აშინებდა, როგორც სოფლის ერთნახევარი ათასი კომლის ამოქმედება! არანაკლებ დაბრკოლებას წარმოადგენდა მეზობელი გუდაუთაც. თუკი მოაგარაკეები მიყოლებით ყველაფერს ბაზარზე იძენდნენ, ისე, რომ ფასებს დიდად არ დაგიდევენ; კოლმეურნეობამ როგორც არ უნდა აფათუროს საკუთარ ჯიბეში ხელი, კოლწევრთა კუთვნილი თანხის განაღდებისათვის, მანეთს ვინ დაეძებს, კაპიკსაც ვერ იპოვის. მაშ, ვინ სულელი დათანხმდება კოლმეურნეობაში უფასოდ მუშაობაზე? არც ის იყო ნაკლებ სახათაბალო, რომ აიბას საკუთილოდ თუ საზიანოდ თანასოფლელებთან, თავისიან ხალხთან უნდა ჰქონოდა საქმე. როცა ტყის ნახევარი ნათესავებისაა, მეორე ნახევარი — თანშეზრდილებისა და ნაცნობ-მეგობრებისა, მიდი და თავში ქვა იხალე, მოარჯულე ისინი...

ბოლოს აიბა „ზემოთ“ გამოიძახეს. საუბარი ფრონტელებს შორის წარიმართა.

— შენ რა გგონია, მე როგორღა დამნიშ-

ნეს? ერთიც ვცადოთ, ჰაკიბეი, და თუ კოლმეურნეობას ვერ ამოსწევ, დავწვრილერთეულდებით და ეგ იქნება.

— კი, მაგრამ, როგორ გინდა ვალებში ჩაფლული კოლმეურნეობა მოგებისაკენ შემოატრიალო? გულგრილობა შრომითი დაინტერესებით შეცვალო? ქურდობიდან — პატიოსნებას, უქნარობიდან — დისციპლინას მიაღწიო?

ვეჭვობ, ამ კითხვებს მხოლოდ წარსულთან ჰქონდეს ცხოველმყოფელი კავშირი. ოცმა წელმა მათ ისტორიული ხასიათი როდი მიანიჭა. უმიზნოა ახლა მისი ახსნა, თუ რაოდენ თანამედროვე და მწვავეა მათი დასმა დღესაც, როცა ქვეყნის წინაშე დგება ურთულესი ამოცანა — მიაღწიოს მაღალ შრომით შედეგებს, ასევე მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას საქმისადმი დამოკიდებულებაში, მკვეთრად ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო თუ მხატვრულ-შემოქმედებითი ხასიათისა...

შევეცადოთ და ჩავწვდეთ ჰაკიბეი აიბას სტრატეგიას და ტაქტიკას, შეძლებისდაგვარად მივუახლოვდეთ მისი წარმატების სათავეებს. ეს წარმატება იმდენად მნიშვნელოვანია და გნებავთ პრინციპულიც, რომ მართლაც ღირს ამად.

— რწმენადაკარგული ხალხი გადაუდგა კოლმეურნეობას. — იგონებს აიბა — უფრო და უფრო დაიწყეს საზოგადოებრივი მიწების მიტაცება, პირადი მიზნებით გამოყენება. მიიტაცებდნენ, ვთქვათ, სასიმინდე მინდორს და დათესდნენ არც ისე შრომატევად, მაგრამ სარფიან საზამთროს, შემდეგ კი... ბაზრებზე ჰყიდიდნენ.

მნიშვნელობა არა აქვს სტიქიურად თუ შეგნებულად, მაგრამ კერძო მესაკუთრე ეკონომიკურად უტევდა საკოლმეურნეო საფუძვლებს. შეეძლო კი ახალ თავმჯდომარეს ამ მცდელობისათვის თვალი მოეხუჭა? უკან დაეხია, დაეთმო? არა, კომპრომისი და წინააღმდეგობის გაუწევლობა აიბას მარცხს ნიშნავდა, პირად მარცხს ყველას წინაშე — „მაღლითებისაც" და „დაბლითების" წინაშეც. ფარ-ხმალი რომ დაეყარა, საკოლმეურნეო მიწებზე უკანონო პარპაშის ნება რომ მიეცა, საკოლმეურნეო კანონის დამრღვევი პირველი დაინახავდა აიბაში არა მეპატრონეს, არამედ მჩვარს, რომლის ფასი კაპიკია. იმას კი აღარავინ განსჯიდა, სიძნელეებთან ბრძოლას შეუშინდა თუ დამარცხების დამამცირებელ განცდას.

აიბამ კოლმეურნეობის მტრებს კონტრშეტევებით უპასუხა და აიძულა გადაეხნათ კერძონარგავებიანი საზოგადოებრივი სექტორი.

— ჰაკიბეი კაუეს ძევ, როგორ არ გეცოდინებოდათ, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა, მათ შორის თქვენებურსაც, კავკასიურს ,აფხაზური [illegible]ცხით ნაკარნახევს.

— არც უმაგისობა იყო — მიდასტურებს აიბა — მემუქრებოდნენ. და ამ მუქარაში სიცხადე მეტი იყო, ვიდრე ამაო ქადილი.

ერთ დღეს აიბა მილიციაში მივიდა დაპატიმრებულის დასახსნელად. ბევრს ეხვეწა, მაგრამ მილიციის უფროსი არაფრით არ თანხმდებოდა. უმტკიცებდა, გათავისუფლება არაფრით არ შეიძლებაო. „შენ, ჰაკიბეი, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია? თუ შერიგება გადაგიწყვეტია, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შენ იცი შენი საქმისა! მაგრამ, წესრიგის დაცვა უკვე ჩემი მოვალეობაა. თუ კაცს ყელი გამოსჭრეს, მკვდარს რაღა საზრუნავი ექნება მიწის ზევით ვინ დაუტოვებიათ, მკვლელობაზე კი მილიციამ უნდა აგოს პასუხი. მე მომკითხავენ, მე მიმცემენ სამართალში, მეტყვიან: შენ არ იყავი, დაპატიმრებული რომ გაათავისუფლეო? სამუშაოდანაც მე გამაპანღურებენ, შენ კი არა"...

— მაშ არ გაათავისუფლა?

— არა, გამოუშვა. როგორც იქნა დავარწმუნე. ბოლო-ბოლო დამეთანხმა, რომ ლიხნის საქმეში მილიცია ნაკლებ უნდა ჩაერიოს.

— თუ სწორად გაგიგეთ, ნებისმიერ დახმარებას, ვისი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო, თქვენ მაშინ ხელის შეშლად ღებულობდით, არა?

— მაშინ ამგვარი განცხადება არ გამიკეთებია, მაგრამ შეიძლება ასეც იყო.

— მილიციის მხარდაჭერის იმედით ალბათ საკუთარ უძლურებაში დაარწმუნებდით მთელ სოფელს. ცუდი, საშიში პიროვნების, მაგრამ მაინც კოლმეურნის დაპატიმრება იმის ნიშანი იქნებოდა, რომ თავმჯდომარემ მტრული პოზიცია დაიკავა, გარდა იმისა, რომ გაამჟღავნა პირადი შიში.

— მაშინ ყოველგვარ ნდობას უნდა დავმშვიდობებოდი, — მეთანხმება აიბა- — მაგრამ რომელი საქმე დაწყებულა ნდობის გარეშე?

— თქვენ რისკზე წასულხართ, სერიოზულ, გაბედულ რისკზე.

საუბარში ისეთი საკითხებიც წამოიჭრა, ლიხნისა, გუდაუთის და მთელი აფხაზეთის ფარგლებს რომ სცილდება. იგი იმდენადვეა ისტორიული, რამდენადაც თანამედროვე, პოლიტიკურ-სოციალური.

— კაცობრიობის ზურგს უკან ათასწლეულებია. წარსულის გამოცდილება გვეუბნება, რომ ადამიანი შრომობდა შიშისაგან. სულ ერთი იყო, შიმშილი იქნებოდა, მათრახი, სტიქია თუ ორფეხა მტრისაგან მოკვლის ზაფრა. ეს ყოველივე დეტალებია, აქ მთავარი შიშის ფაქტორია. შიში მეზობლობდა სარფთან, ძალადობასთან. თუმცა ბუნების ზემოქმედების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო ზოგჯერ უკან იხევდა. შემდეგ დაიბადა იდეა. ახლა აზრი არა აქვს იმის დაზუსტებას როგორი იყო იგი — რელიგიური, ნაციონალური თუ სოციალური საუკუნეთა მანძილზე თითოეული მათგანი ავლენდა ძალას. მხოლოდ ხან ერთი დაწინაურდებოდა, ხან-მეორე და ხან-მესამე. ძალაუნებურად შიში — გამორჩენა და იდეა ერთმანეთს ეხლართებოდა. სტერილურად, სუფთა სახით არ არსებობდნენ. დღესაც ისინი ერთმანეთს ემტერებიან, მაგრამ ამავე დროს ავსებენ კიდევაც ერთმანეთს. იდეალური შემთხვევაა ის ჰარმონიული შეხამება, როცა შიში შეერწყმის გამორჩენას და ორივე ერთად იდეაზე მუშაობს. მაგრამ, ისევე, როგორც ყოველგვარი იდეალური, ამგვარი შემადგენლობა იმაზე იშვიათად იქმნება, ვიდრე ვისურვებდეთ, და იგი სიმყარესაც მხოლოდ გარკვეულ დრომდე ინარჩუნებს.

ასე და ამგვარად, ჰაკიბეი აიბას არ სურდა კოლმეურნეობა შიშზე აეშენებინა. მართალიც იყო, დამარცხება ემუქრებოდა. რაიმე სარფის გალება კი არ შეეძლო, საკოლმეურნეო სალაროში მას მხოლოდ ვალები დახვდა. არსენალში იყო, რა თქმა უნდა, იდეაც. მაგრამ იდეის რწმენით მისმა წინამორბედებმაც არაერთხელ ისარგებლეს, თუმცა ამაოდ. და ისინი შემთხვევით ან თაღლითი ხალხი კი არ ყოფილა, არამედ ღირსეული, დამსახურებული პიროვნებები.

როგორც არ უნდა ისხმარტალო, მკაცრი ლოგიკის წყალობით მოქცეული წრიდან თავს ვერ დააღწევ. მაგრამ აკი როგორღაც გაარღვია იგი, რეალური წარმატება რაღაცას დაეფუძნა. ამაში აშკარად დარწმუნდა ხალხი, როცა უდავო დამამტკიცებელი საბუთი მიიღეს.

მაინც როგორ დაიბადა ეს წარმატება?

ვათვალიერებ აფხაზეთ-მოსკოვური შეხვედრების დროს გაკეთებულ ჩანაწერებს. ვრწმუნდები, რომ ერთადერთი საყრდენი წერტილი გამაჩნია. აღნიშნული მოჯადოებული წრის გასარღვევად. არა იმდენად ლოგიკური, რამდენადაც ფსიქოლოგიური. ესაა აიბას პიროვნება. მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა მისი წარმატების ამოცანის ამოხსნა, თუკი ფხიზლად შევაფასებთ მას, რაც ოცი წლის წინ ლიხში სასწორის თეფშზე მოვათავსეთ ჰაკიბეი აიბას სახელით.

სახლის მშენებლობას საძირკვლიდან იწყებენ, ადამიანი კი ბავშვობიდან ყალიბდება...

დაიბადა აიბა ეპოქის ქარტეხილების ჟამს, 1917 წლის დამდეგს. მისმა დედამ ყველაზე ბედნიერ წუთებში მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა მეუღლეს. მაგრამ ხიფათს არ ეძინა. შვიდი წელი რომ შეუსრულდა, მაშინ მოუკვდა მამა. უმცროსი დაიკო კვლავ აკვანში იწვა, დედას მარტოხელას მოუწია ექვსი შვილის აღზრდა .ჰაკიბეის სკოლის ზღურბლის გადალახვაზე არც გი უოცნებია. მაგრამ მეზობელი — ოტრბა დაეხმარა. [illegible] ადამიანმა აღმოუჩინა აუნაზღაურებელი შემწეობა — ნატალია ივანეს ასულმა. — ახალი ათონის ინტერნატის მასწავლებელმა ბავშვი თავის ოთახში შეიხიზნა, როცა მომაგრდა, მასწავლებელმა იგი საერთო საცხოვრებელში გადაიყვანა.

ბავშვების ანაბარა დარჩა მთელი საოჯახო მეურნეობა. უფროს ძმასთან ერთად ჩაუდგა კვალში სახნისს ჰაკიბეი. ცხენებს მათი დაიკო მიერეკებოდა.

ჰაკიბეი ყველა საგანს ფრიადზე სწავლობდა, ერთს — რუსულს ვერაფერი მოუხერხა მხოლოდ, ოთხებზე ზევით ვერ აიწია. მაგრამ როცა მის პირველ ცხოვრებისეულ გამოცდას — მძიმე ბავშვობას ვაფასებთ, ანაზღაურებაზე ლაპარაკი ზედმეტია. გამოსაცდელმა ფრიადზე დაიჭირა იგი.

არ ვიცი სად გაიარა სიყრმესა და სიჭაბუკეს შორის ზღვარმა აიბასათვის. მუშაობდა კომუჯრედის მდივნად, შემდეგ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები. მაგრამ ინსტიტუტის დამთავრება აღარ მოუხერხდა, მშობლიურ სოფელში გააგზავნეს სკოლის დირექტორად.

— უდიპლომოდ? — გამიკვირდა — დაუსწრებელზე გადახვედით?

— იმ დროს დაუსწრებელი არ ყოფილა. დიპლომსაც არ ითხოვდნენ. იმ წლებში რის საჭიროებაც იყო, იქ ამწესებდნენ. მითუმეტეს, თუ სწამდათ, რომ კაცი საქმეს თავს ართმევდა...

— არ გეშინოდათ, ხომ ახალგაზრდა იყავით?

— ამჟამად მეჩვენება, რომ მაშინ ყველა ახალგაზრდა იყო.

— დიახ, მაშინ დროებაც ახალგაზრდა იყო, მაგრამ როგორ სწრაფად უახლოვდებოდა იგი ტრაგიკულ მოწიფულობას! 1939 წელს აიბა კიევის საგანგებო სამხედრო ოლქის სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის მსმენელია, რომლის დამთავრება 1941 წელს მოუხდა შემცირებული პროგრამით.

იმ პერიოდიდან მისმა სიყმაწვილემ და ჭაბუკობამ შორეულ წარსულში გადაინაცვლა. რა ნიშნის დაწერა შეიძლება მათში — უკვე აღარ ვიცი. პირველხარისხოვან მნიშვნელობას არც ვანიჭებ ოთხზე ჩააბარა თუ ფრიადზე აიბამ ოცდაათიანი წლების გამოცდები. ორმოციან წლებში მის მხრებს, ისევე როგორც მილიონს სხვას, იმგვარი ვაების გამოცდა ელოდა, რომ მის გვერდით ყველაფერი ფერმკრთალდებოდა. რუსეთს ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე უფრო უმძიმესი განსაცდელი არ შეხვედრია.

ღირს თუ არა დაწვრილებით თხრობა იმაზე, თუ სათადარიგო არმიის ნაწილებმა რო-

გორ აწარმოეს ბრძოლა საზღვარზე, როგორ იხევდნენ უკან, რომელიც შორეულ დნეპრ-გადაღმა დასრულდა. ეს უმნიშვნელო წვრილმანები ცნობილი უნდა იყოს ომის თემაზე შექმნილ ათასობით წიგნიდან და ფილმებიდან. აიბას კვლავ გაახსენდა ის ვერაგი ორმოციანი წლები და ჩაილაპარაკა:

— საწყენია, როცა ხალხს აღარ ესმის, რამდენია გადატანილი.

კვლავ არ ვიცი, როგორ გადმოვცე ეპოქა, როგორ გადმოვცე იქ, დიდ სამამულო ომში დარჩენილი მოვლენები. მხატვრულად და შელამაზებულად? მაგრამ, კერძოდ, რატომ? ბელეტრისტული ფერუმარილი ზედმეტია, მშრალი ანკეტა ბევრად უფრო შთამბეჭდავია.

ვოლხოვის ფრონტი. მენაღმეთა ასეულის 24-ე განყოფილების მსროლელთა ბრიგადის პოლიტხელი. ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი საარტილერიო დივიზიის ათეულის მეთაური.

შემდეგ კარელია-ფინეთის ფრონტი. ტანკსაწინააღმდეგო პოლკის პარტორგანიზაციის მდივანი.

უკრაინის ფრონტი. სატანკო პოლკის მეთაურის მოადგილე. კარპატები... რუმინეთი... უნგრეთი-ბულგარეთი... ვენა, ბრნოს, პრაღის განთავისუფლება. „ჰიტლერ კაპუტ". კაპიტულაცია.

გერმანიაზე გამარჯვებამ აიბას მშვიდობიანი ცხოვრების კარი გაუღო.

ერთხელაც გენერალმა კრავჩენკომ ტელეფონის ყურმილი დადო, და შტაბში მყოფ ოფიცრებს გამოუცხადა: „სამშობლოში მივდივართ!" და როცა „ვაშას" შეძახილი ჩაცხრა, მღელვარებამ იკლო, ჩუმად დაუმატა: „აღმოსავლეთში".

მონღოლეთი... აგვისტო... აუტანელი ხვატი... უწყლობა. პატარა, შემდეგ დიდი ხინგანი... მუკდენი. პორტ-არტური და მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ ბრუნდება აფხაზეთში.

აიბას დემობილიზება არ სურდათ. მაგრამ რვა არმიული წლის შემდეგ, საიდანაც ოთხი ფრონტზე გაატარა, უკვე იმდენად მოღლილი იყო მომთაბარე საბრძოლო-არმიული ცხოვრებით, ისეთი მუდარა ისმოდა მის თავშეკავებულ თხოვნაში, რომ ხელმძღვანელობამ უარი ველარ უთხრა, წააწერეს ბრძანებას აიბას არმიიდან დათხოვნაზე.

გენერლის მუნდირიანმა ბედის აღმსრულებელმა წერტილის დასმით დაასრულა აიბას ცხოვრების პირველი ოცდაათი წელი.

არ მიიღებს აქ აიბა დაკანონებულ ხუთიანს. ჩვენს მიერ არც პლუსი დაეწერება და არც საყოველთაოდ მიღებული შკალას გაეწევა ანგარიში; საქმე იმაშია, რომ ბიოგრაფიული ნარკვევის მწერალს დღეს მორალური უფლება არა აქვს, რომ ნიშანი გამოიყვანოს. დაე, გამკრიახმა და უშეღავათო მკითხველმა სხვათა დაუხმარებლად გამოიტანოს განაჩენი, როგორც ამას საკუთარი დამსახურება, რწმენა და გამოცდილება უკარნახებს. ხოლო ყოვე-ლივე ამის შემდეგ შეაფასოს, ისიც გაითვალოს, თუ რით უნდა დაეწყო თავისი ახალი ცხოვრება აიბას?

სკოლის ყოფილი დირექტორი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა დიდი სამამულო ომის მძიმე გამოცდები — მერხს მიუჯდა. უფრო სწორად — „მიუსვეს" ე. ი. გაგზავნეს სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებელში. კიდევ არ ვიცი რა ბალით შეფასდეს მომდევნო რვაწლედი, მისი ცხოვრებისა. კვლავ თავად განსაჯეთ. თუკი 1955 წლამდე ოთხგზის მოიპოვა წითელი დროშა, ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ოთხგზის ორდენოსან ბრიგადირს არ შეეძლო, რომ ცუდად ემუშავა. უპრიანი არც იქნებოდა, რომ ცოტა სული მოეთქვა, შეესვენა, მოედუნებინა დაძაბულობა. — ადამიანი ხომ მანქანა არ არის, მაგრამ რომც მოინდომოს, არც გამოუვა, არ შეუძლია გულზე ხელის დაკრეფვა...

კოლმეურნეობების განსამტკიცებლად ოცდაათიათასიანი რაზმი შეიკრიბა და ის იყო, აიბა საოლქო კომიტეტში დაიბარეს.

— ერთი სათხოვარი გვაქვს, ორიოდე წელი თავმჯდომარედ უნდა წაიმუშავოთო...

კაცი ბრძანებას როგორ გადაუვა, მაგრამ თხოვნაზე რა უნდა ქნას?

თუმცა აიბამ კარგად უწყოდა, რომ ზოგიერთ თხოვნას ბრძანებაზე მეტი ძალა ჰქონდა. ან რა საკითხავი იყო ემძიმა თუ ემსუბუქა ახალი ტვირთი, როცა რაიონის ყველაზე უარესი მეურნეობა ჩაიბარა, სადაც არც ტრაქტორი იყო და არც მანქანა, და რაც მთავარია, არ არსებობდა ელემენტარული წესრიგი. შრომისუნარიანთა ორი მესამედი ამკობინებდა, რომ სადაც მოხვდებოდა იქ ემუშავა, ოღონდ 24-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობისათვის როგორმე თავი აერიდებინა.

ჰოდა, როცა აიბამ თანასოფლელებს კრებაზე განუცხადა — „ხვალ დილით ფულის ასაღებად მოდითო" — ხარხარი ატყდა: „ამ ჯიბეგაფხეკილებს ფული სად აქვთო?!" დილით კი კარს ატირებული ქალები მოადგნენ.

— ესე იგი თქვენ სარგებლის გაცემით დაიწყეთ, პირველი ნაბიჯისათვის დაინტერესება გამოიყენეთ საყრდენ წერტილად. მაგრამ როცა ფული არ გქონდათ, ავანსი საიდანღა უნდა გაგეცათ?

— თავმჯდომარეობაზე რომ დავთანხმდი, ჩემი პირობაც წავუყენე. დამეთანხმნენ და კრედიტი გამომიყვეს.

აიბას დებიუტში მომდევნო სვლები უკვე თეორიულად იყო დამუშავებული. გაცემული ავანსი უფლებას გაძლევს უკანვე მოითხოვო.

და როგორც ჩანს, ეს მოთხოვნა მკაცრი იყო; აქ ჰაკიბეი აიბა თავის თავსაც არინდობდა. გარდა ამისა, არმიული წრთობა ვერ შეითავსებდა ანარქიას, სიმკაცრე კი ყველას როდი მოსწონდა, ააცში საქმე მილიციამდეც კი მივიდა. განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომლის სახლიკაცი სწორედ ააცში ცხოვრობდა, ერთი თავნება, უჯიათო კაცი იყო. ერთ დღესაც მოვიდა იგი თავის ნათესავთან და ულტიმატუმი წაუყენა: „ეს აიბა როგორმე მოგვაცილე, თორემ შემომაკვდებაო".

ნათესავიც ჯიუტი აღმოჩნდა, გაკერპდა:

— მოკლავ და საკუთარი თავით აგებ პასუხს, ბორბალმა წინ უნდა იტრიალოს, აიბას რამე რომ შეემთხვეს, იცოდე, მოგძებნით და საციხედ გაიხდი საქმესო.

ამის შემდეგ გავიდა თორმეტი წელი და აი 1967 წელს აპრილში ხმა გავარდა: აიბა ლიხნში გადაჰყავთო. ხალხი აღელდა, რაიონის ხელმძღვანელობის ლანძღვას მიჰყვნენ. მაშინ იყო ის ჩვენი ნაცნობი უჯიათი კაცი, რომელიც სხვათაშორის კარგი მშრომელი დადგა და არც პიროვნება გამოდგა უხეირო, ისევ მიადგა თავის სახლიკაცს:

— იცოდეთ, არ გაბედოთ აიბას გათავისუფლება. სოფელი არ უშვებს და ესაათ.

— მომისმინე. — გაუცინია მაშინ ნათესავს — ველარაფერი გამიგია, შენ არ იყავი, რომ იმუქრებოდი, არიქა, უნდა მოვკლაო! ახლა იმუქრები: არ გავუშვებთო! მაინც რა გინდა?

გასაგები იყო, რაც უნდოდა. ააცში ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მოწესრიგდა, სოფელი მოლონიერდა. გარე-გარე სამუშაოს აღარავინ ეძებდა და კაცმა რომ თქვას, კარგი თავმჯდომარე სხვაგან რატომ უნდა გაეშვათ? ხომ შეიძლება ერთი უმაქნისო ვინმე მოსულიყო მის ადგილას!

მაშ ასე, დროა, კვლავ დავაჯამოთ შედეგები. ააციდან ჰაკიბეი მშობლიურ ლიხნში ცარიელი ხელებით როდი მოსულა. სწორედ ნახევარი საუკუნე და ბრძოლით აღებული უძნელესი დაბრკოლებები ჰქონდა უკან მოტოვებული. უკვე დარწმუნებული იყო თავის თავში, თავის ძალებში, გამოიმუშავა ეს რწმენა ყველასთან — ზევითებთანაც და ქვეითებთანაც, ვისთანაც კი ბედი, ლუკმა და ნდობა გაუყვია. დიახ, მან მოიპოვა ის პირადი ავტორიტეტი ,რომელზედაც დიდხანს უნდა იმუშაო, ვიდრე თვით იგი დაიწყებს შენზე მუშაობას. ამჯერად მთელი ეს კაპიტალი: ფრონტული, სამეურნეო, პოლიტიკურ-ზნეობრივი — ანგარიშში იყო ჩასული.

— კარგად გაგირისკიათ, ჰაკიბეი კაუეს ძევ!

— ჰიტლერს მოვუგეთ და საკუთარ სოფელში დამარცხებისა უკვე აღარ მეშინოდა. გამოცდილებაც მქონდა — არ შეიძლება ბრმად გადასვლა შეტევაზე იმ ანგარიშით, რომ დამცხრილავენო.

აიბას კაპიტალს მთელი თავისი მნიშვნელობით ამოსავალი პოზიციით შეეძლო გამოვლენა. ამ პოზიციას მას ავტორიტეტი უმაგრებდა, მაგრამ თვით ბრძოლის შედეგი შერჩეულ ტაქტიკაზე იყო დამოკიდებული. შემდგომ სტრატეგიაზე ბრძოლის მოსაგებად აიბას ზედმიწევნით უნდა შეესწავლა არსებული ძალები, უმოკლესი გზები უნდა გაეყვანა დასახულ მიზნამდე. პრაქტიკულად ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ შეეკრიბა ცნობები არსებული სავარგულების შესახებ. ეს კი დაახლოებით 5000 ჰა მიწის ფართობს შეეხებოდა. აქვე გასარკვევი იყო ისიც, რომელ მიწაზე რომელი კულტურა გაიხარებდა უკეთესად, შესწავლილი იყო ფერმების, ბაღების, მდგომარეობა, პლანტაციების, ბუღალტრული ანგარიშების, კოლმეურნეობის კავშირურთიერთობების საკითხი და ცხადია, ხალხსაც უნდა დაკვირვებოდა: ვის რა შეეძლო, რას საქმიანობდნენ, ვისთან მტერ-მოყვარეობდნენ და ეს, როცა სოფელში ათი და ასი კი არა — 1600 კომლია, 24 ეროვნების 8 ნახევარი ათასი მცხოვრებით! აიბას ისიც უნდა გაეთვალისწინებინა. რომ თავის რეფორმას დიდი ხნით ვერ გაწელავდა. გაჭიანურებული საქმე უკვე დამარცხებას ნიშნავდა. ყოველგვარი ამოცანა დროულ და სწრაფ გადაწყვეტას ითხოვდა.

ყველა, ვისთანაც კი შეხვედრა მქონია, იყო ეს პარტიის რაიკომის მდივანი — მიხეილ მიხეილის ძე ხაგუში, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე — კალისტრატე დავითის ძე ჯენია, ლიხნის დამსახურებული მკვიდრი — ხურა ჩაჩეს ძე ერმოლოვი, ფერმის გამგე — ვლადიმერ მეკტარის ძე გუმბა, თუ წარმოშობით ვოლოგდელი, ამ თხუთმეტი წლის წინ გადმოსახლებული აფხაზეთში, განათლებით ბიბლიოთეკარი, მერგოლური ქალი — ნინა ნიკოლოზის ასული პოდოლსკაია — ავსებდნენ ჰაკიბეი აიბას ხასიათის ცალკეულ შტრიხებს, წარმოდგენას მიქმნიდნენ მისი მუშაობის სტილზე, ამით ავსებდნენ კოლმეურნეობის ისტორიის ფურცლებსაც.

ირიჟრაჟებს თუ არა, ჯერეთ ბინდბუნდში ჰაკიბეი უკვე საკოლმეურნეო მინდვრებშია. საკუთარი თვალით უნდა დარწმუნდეს, როგორ შესრულდა წინა დღის დავალება, რა უნდა დაიგეგმოს სახვალიოდ.

15-20 კილომეტრს გადის ქვეითად — ეს ყოველდღიური ნორმაა, რომ აღარაფერი ვთქვათ მანქანის ბორბლებით გავლილ მანძილზე. ამიტომ მის თვალს არაფერი გამოეპარება, .მოტყუებასაც ვერავინ შეეცდება. მოსაჩვენებლად საქმის მიფუჩეჩება — ძვირად ვინმეს დაჯდომია. ეს ყველამ იცის და დიდი ხანია, არც არავინ ცდილობს, რადგან ყველასათვის ცნობილია წესი — ენდე. მაგრამ შეამოწმე.

პირველმა შემოწმებამ ცხადყო, რომ 290 000 მანეთის ავანსი ისეთ ხალხზე გაუციათ, რომელთაც კოლმეურნეობაში თითი თითზე არ დაუკარებიათ. ადრინდელ ბუღალტერს ანგარიშზე მეტად გადაკვრა უყვარდა და თავს არაფერზე იცხელებდა, წლიური ანგარიშის შედგენაზე თავის მეგობარს მოუხმობდა ხოლმე დასახმარებლად. კოლმეურნეობის აგრონომი დურიფშში ცხოვრობდა, ლიხნში საქმეს დრო და დრო ჩააკითხავდა და ასე, ოთხწლიანი მისვლა-მოსვლით მეურნეობის გაცნობაც ვერ მოასწრო.

მოულოდნელად ისიც გამოვლინდა, რომ კოლმეურნეთა პირად ანგარიშზე რაღაც პირადი თანხა ირიცხებოდა, მაგრამ ისინი იფიცებოდნენ — რა ფულზე და კაპიკებზეა ლაპარაკი ,წარმოდგენა არა გვაქვსო; ბრიგადირი თავისას გაიძახოდა: აიღეს ფული ამ თაღლითებმა და ახლა უარობენო. მაგრამ ვინაიდან არავითარი შეთანხმება არ არსებობდა, არც კანტორული ცნობები ემთხვეოდა შესრულებულ სამუშაოს, ძაღლი პატრონს ველარ ცნობდა და ქურდობისათვის ფართო ასპარეზი იყო შექმნილი.

რა გზას დასდგომოდა თავმჯდომარე, რომ ამ ჭაობიდან ამოსულიყო? როგორ გამოენახა „საყრდენი წერტილი“?

აიბამ უმარტივეს ხერხს მიმართა — ის არ დალოდებია ვინმეს მითითებას შემოეღო თუ არა ბრიგადული იჯარა. არც სიახლით მოუწონებია თავი. დიდი აღმოჩენები გავაკეთე, რაც სამეურნეო ანგარიშს გზას უხსნიდაო. ეს გზა კარგახნის გაკვალული იყო და თაობები დააბიჯებდნენ მასზე. ამ გზას ადგნენ ცნობილი „ერთობა“, „არტელი“ და „მშვიდობა“.

როცა გეგმა შეიმუშავა, აიბამ აქტივს მოუყარა თავი. მოთმინებით ისმენდა, როგორ კამათობდნენ და ანგარიშობდნენ მეჩაიეები საკუთარ ანაზღაურებას ითხოვდნენ, მევენახეებიც ასევე.

— რაკი აგრეა — თქვა აიბამ — დაე, ყოველი უბანი გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. მაშინ შემოსავალსაც დამოუკიდებლად გაუძღვებით.

დაძაბულად წარიმართა საუბარი მე-17 ბრიგადაში.

— თავად როდის გიმუშავიათ უჯამაგიროდ?
— ყვიროდა ძიძარია.

— რაც თავი მახსოვს, ალალ ლუკმას ვჭამდი — უპასუხა აიბამ — თქვენ კი, ძიძარია, რას ითხოვთ კოლმეურნეობიდან, როცა ხუთი წლის განმავლობაში ერთი დღე არ გიმუშავიათ?

ცხარე კამათის შემდეგ მე-17 ბრიგადამ თავისი ავანსი პირადად აიბას ჩააბარა და დაპირდა: შემოდგომამდე მუქთად ვიმუშავებთო. შემოდგომაზე კი, ვნახოთ, ვერ გაგვინაღდებ, ჰაკიბეი ავანსს და ჯარიმა გადაგხდებაო.

მეორე დღეს მეზობელ ბრიგადაში ალაპარაკდნენ:

— რა მოხდა? მეჩვიდმეტე ბრიგადაში მუშაობა დაუწყიათ, ნიჩბებს იღებენ, ვინ ნერგების ჩასაყრელად მიდის, ვინ სახნავად, ვინ ურმებით ნაკელს ეზიდება.

მართლაც დაიწყეს.

იმავე დღეს აიბამ კოლმეურნეობის ბუღალტერს გამოუცხადა — მოფიქრებისათვის ვადა მომიციაო. ბუღალტერმა გადაკრული ლაპარაკი გაუგო. ჩავარდა შავ დღეში. უახლოესი ხარჯებისათვის ჯიბეები ამოიფხიკა. შემდეგ დარჩენილი ვალები რომ გაესტუმრებინა, სახლი გაყიდა და სოფლიდან მოუსვა.

დაუსრულებელი კამათი და ერთმანეთისათვის გადაბრალება რომ აღეკვეთა, ბუღალტერია ბრიგადირებსა და ბრიგადირები თავის წევრებს რომ შეშვებოდნენ, თითოეულ კოლმეურნეზე ანგარიშსწორების წიგნაკი შემოიღო.

ადრე ასე ხდებოდა: ჩაწერდა კოლმეურნე უწყისში, რომ მიიღო ანაზღაურება 25 მანეთი, შემდეგ ხუთიანის გვერდით საიდანღაციდან ნული ჩნდებოდა ან ორიანის წინ ერთიანი ეწერებოდა. დაადგინეს — უწყისისა და ანგარიშსწორების წიგნაკის ციფრები ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა. როგორც კი ეს საქმე მოწესრიგდა, კამათიც მიწყნარდა, გაიფანტა გაურკვევლობის ბურუსი და უკვე წლები მიდის ლიხნში მზიანი ამინდი დგას...

სიხარულის მიზეზი მტკიცედ დამყარებული წესრიგი იყო, მაგრამ აღტაცების გამოხატვა ეუხერხულებოდა, რცხვენოდა, მითუმეტეს რომ მეტად მარტივად მოხდა ყველაფერი. ეს არა რაღაც უმაღლესი მათემატიკა, არამედ ელემენტარული სასკოლო არითმეტიკა, კანტორული კეთილსინდისიერებისა და ერთდროულად დემოკრატიის, სოციალიზმის ანბანი იყო — „თითოეულს შრომის მიხედვით“...

უფრო რთულად წყდებოდა საკომანდო კადრების საკითხი. სამეურნეო ანგარიშმა და ბრიგადულმა იჯარამ დღის წესრიგში დააყენა საშუალო რგოლისაგან გაწმენდის აუცილებლობა. დემოკრატია ვერ იგუებდა ბრიგადირთა თვითნებურ დანიშვნას. ადრინდელ უფროსებს შორის ისეთი უდღეურებიც იყვნენ, საკუთარი გვარის წაჯლაბნას ძლივს რომ ახერხებდნენ და მათ რა განაწესები უნდა შეედგინათ! ახლა „ზემოდან“ დანიშნულების ნაცვლად მოვიდნენ ერთგულების, თავდადების პრინციპით შერჩეულები „ქვემოდან“, სამსახურიდან გადადგა თვრამეტი „ზემოდან“ დანიშნული. მოთხოვნებს „ქვემოდან“ მხოლოდ სამმა უპასუხა. არჩეულთა უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა.

გადაჭარბება არ იქნება, თუ ლიხნში მიმდინარე რეფორმებს რევოლუციურს ვუწოდებთ.

თუმცა ინტელიგენციის მთელი რაზმი აღიძრა მის განსახორციელებლად.

— საიდან მოიყვანეთ ისინი, ბაკიბეი კაუეს ძევ, როგორ მოახერხეთ მათი მობილიზება?

— არავითარი მობილიზება და შტურმოვშჩინა. კარგ სპეციალისტს ადვილად ვერ იშოვი. არც გროვად სადმე დადიან, უნდა გამოჩხრიკო. მისი ძებნა ნადირობასავითაა. გავიგე, მაგალითად, რომ იგორ ლაკობა მალე ამთავრებდა ტიმირიაზევის სასწავლებელს. მივუევი კვალში, ხელიდან არ გავუშვი და ახლა საქმიანი ეკონომისტი გვყავს. ამჟამად არავისა აქვს უფლება შესწორება შეიტანოს განაწესში, იგი დოკუმენტად რჩება. მოგინდება გასაჩივრება და — ინებეთ. ვერც დაამახინჯებ. ადრე ლამის დაკანონებული იყო სამუშაოს მიწერა მეგობრისათვის, ახლობელთათვის. ამჟამად ეს საყოველთაო აღშფოთებას გამოიწვევდა — არავითარი მიწერები!

— გამოგიტყდებით, ცოტა მეძნელება იმის წარმოდგენა, რომ მექანიზმი წუნის გარეშეა დამზადებული და ყველგან და ყველაფერში სამართლიანობა მეფობს. მერწმუნეთ, რომ ამის დაჯერება ცოტა ძნელია!

— მექანიზმი განუწყვეტლივ უნდა არეგულირო თუ არა და მოიშლება. უმაღლეს სამართლიანობამდეც, რა თქმა უნდა, ჯერ შორსაა. პრობლემები როდი მარტივდება. პირიქით, უფრო და უფრო რთულდება.

ფიქრით კვლავ წარსულს ვუბრუნდები, გონების თვალს ვადევნებ 1965 წელს აიბას მიერ უკვე საფუძვლიანად დაშლილი კოლმეურნეობის გაერთიანებისათვის გადადგმულ პირველ ნაბიჯებს და მისი მოქმედება თანამედროვე პუბლიცისტიკის ენაზე გადმომაქვს.

კერძოდ, რა იყო ყურადსაღები მის მოქმედებაში, მას შემდეგ, რაც საკუთარ მხრებზე იტვირთა უზარმაზარი მეურნეობის გაძღოლა, რომელსაც მანამდე ხეირიანად ერთი დღეც არ უმუშავია?

ჯერ ერთი, თავმჯდომარე თხოვნა-ბრძანების შესრულებას გულგრილად როდი მოეკიდა, იმიტომ კი არა, რომ „ძალა აღმართს ხნავს“, არც თევზის მოქნილობა და სიფრთხილე გააჩნდა, რაც უფროსებისადმი მორჩილებას, გზის აქცევა-დათმობას ჩააგონებდა. არა, აიბა საქმეს ჭკუა-გონებით მოეკიდა, თავისი სული შიგ ჩადო.

ყოველ ნაბიჯზე უამრავი დაბრკოლება ელოდა, მაგრამ აიბას ფარ-ხმალი არ დაუყრია, უკან არ დაუხევია, არც ისინი დაუმუნათებია, ვინც ამ მძიმე უღელში შეაბა.

აიბამ ლიხნი მიიჩნია თავის სისხლხორცეულ, ცხოვრებისეულ ამოცანად, პირად მოვალეობად და მისი მიტოვება თავმჯდომარისათვის თავლაფის დასხმა იქნებოდა. აიბა ღრმად იყო დარწმუნებული თავისი იდეის სისწორეში, ვინაიდან მისი პოტენციალი უზარმაზარია და იქ მოკალათებულმა გონებაჩლუნგმა ბიუროკრატებმა, როგორ არ მოინდომეს მისი ჩაყლაპვა, მაგრამ მან მაინც შესძლო გადამწყვეტი და სწრაფი გარდაქმნა — ლამის ოცი წლით ადრე, ვიდრე პრესა და ტელეხედვა ამაზე ხმაურს ატეხავდა.

აიბამ გარდაქმნა ორგანიზაციული მმართველობითი რეფორმით დაიწყო. შემდეგ ტექნიკურზე გადავიდა. უყურადღებოდ არც სოციალურ-ყოფაცხოვრებითი მხარე დაუტოვებია. მას არ სჩვევია სანახევრო ღონისძიებების გატარება. ვთქვათ: მმართველობის ორგანიზაციული რეფორმის გატარება ერთი არასასურველი შემსრულებლის შესაცვლელად სხვა არასასურველი, მაგრამ ძველებურად უხეირო შემსრულებლით. მან, რა თქმა უნდა, გადაახალისა ე. წ. სამეურნეო ორკესტრის შემადგენლობა, მაგრამ, რაც მთავარია, სრულიად სხვა ნოტები შესთავაზა და სხვა მუსიკა მოითხოვა მათგან. ამდენად, განხორციელებული გარდაქმნის ტემპი და რადიკალურობა საშუალებას იძლევა ამ რეფორმას რევოლუციური ვუწოდოთ. მისი ცხოველმყოფელობა განაპირობა იმანაც ,რომ მმართველობითი და ფინანსურ-ეკონომიკურთან ერთად აიბამ გაატარა არანაკლებ რთული სხვა ხასიათის რეფორმაც — კულტურულ-საგანმანათლებლო და ზნეობრივი.

ერთია, როცა კოლმეურნეთა დოვლათი იზრდება, შეძლება მატულობს, მაგრამ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ თითოეულ მანეთს სხვა ფასი დაედო — იგი გამომუშავებითი გახდა. წლიდან-წლამდე აიბა ამაღლებდა მის ღირებულებას, აღადგენდა მშრომელი კაცის ოსტატის დაკარგულ ღირსებას. ეს კი მოლაყბეთა აქციას აუფასურებდა .ამზეურებდა ფუქსიტყვაობას, რომელიც უსაქმურობასა და დემაგოგიას, არც თუ იშვიათად კი ზეაღსვლის საფეხურების უმოკლესი ხერხებით დაძლევას ემსახურება.

მრავალმხრივი გარდაქმნის ჭეშმარიტი დადასტურების მასალები, რომელიც აფხაზეთიდან ჩამოვიტანე და გუდაუთის საქაღალდეში ვინახავ, სწრაფად ძველდება. შედარებით ახალია ის მონაცემები, რომელსაც 1986 წლის 6 ივლისის „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილი აიბას სტატია გვაწვდის სათაურით — „გამოცდილება გვასწავლის“.

მე-11 ხუთწლედის ამოცანები — იტყობინება იგი — კოლმეურნეობის მიერ ოთხ წელიწადში იქნა შესრულებული. დამზადდა 15 ათასი ტონა ჩაი (ფაქტიურად ამ კულტურით შეასრულა სამნახევარ წელიწადში ხუთწლიანი დავალება კოლმეურნეობამ, სადაც ბრიგადული განრიგის წყალობით მეჩაიეთა ცამეტ ბრიგადაში შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა) სახელმწიფოს მიეყიდა 2900 ტონა ყურძენი (გასულ წელს საშუალო მოსავლიანობამ ჰექ-

ტარზე 70 ცენტნერს მიაღწია) ასევე — 2100 ტონა ბოსტნეული (შესაბამისად — 140,7. ცენტნერი ჰექტარზე); 1620 ტონა რძე (თითო ფურიდან 2344 ლ.); 77 ტონა ხორცი.

რას წარმოადგენს „მშრალი ციფრების" ფორმულა? ვისაც კი შესწევს უნარი თუნდაც სულ მცირედი და შორეული წარმოდგენა იქონიოს, დასახელებული ციფრები მშრალად როდი მოეჩვენება. რამდენიმე საათით მაინც უნდა იხეტიალო ლიხნის მიხვეულ-მოხვეულ შარაგზაზე და მიხვდები, რამდენი დრო და ენერგია ეზოგებათ მის მცხოვრებლებს. აიბას დროს ლიხნში გაიხსნა 15 სავაჭრო ობიექტი და კოოპერაციის სამომხმარებლო ცენტრი, რამაც მოსახლეობა პირველადი მოხმარების საგნებისათვის წამდაუწუმ ქალაქში სირბილს აარიდა.

ნუთუ 1700 ათასი მანეთი, რომელიც წყალგაყვანილობის ალქურვილობაზე გაიხარჯა „მშრალი ციფრია"? ამას დაუმატეთ კვლავ საკოლმეურნეო სახსრებით აგებული 4 მედპუნქტი, 250-ადგილიანი საბავშვო კომბინატის მშენებლობა, რომელშიც ბაგა-ბაღი მოთავსდება, სკოლის ორი შენობა 1170 და 500 მოსწავლისათვის; 20 კმ-ზე დაიგო ასფალტი, აშენდა მერძევეობა-მესაქონლეობის კომპლექსი 200 სულზე, ასევე სახბორე, მოზარდეულთა სადგომი, საკვების საამქრო, აქვეა ადმინისტრაცული შენობა. საკვები ბაზის შესაქმნელად ამუშავდა სარწყავი სისტემა, რომელიც 500 ჰექტარს მოიცავს, მოწყობილია ხელოვნური დაწვიმების დანადგარები, რომელიც გვალვიანობის შემთხვევაში 70 ჰა ჩაის პლანტაციას მორწყავს.

მოეწყო ფეხბურთის ორი მოედანი, ასევე იპოდრომი, სპორტული მოედნები, საცხენოსნო-სპორტული კლუბი, გახსნილია 6 ბიბლიოთეკა და ამდენივე სამკითხველო. იყოს ციფრები „მშრალი", მაგრამ შედეგი თვალსაჩინოა: საკოლმეურნეო ახალგაზრდობა ადრე ზღვისპირეთში „ტკბილ" ცხოვრებას რომ ესწრაფვოდა, სოფელს დაუბრუნდა კოლმეურნეობაში მიიღეს და წარმატებითაც შრომობს ასზე მეტი ჭაბუკი, რომელთათვისაც გუშინ სულ თავისუფლად და დამსახურებულადაც შეიძლებოდა სარეველისა და „დეზერტირის" იარლიყის მიკერება.

საგაზეთო სტატიის ძუნწ სტრიქონებს ჩვენი საუბრებიდან შევავსებ. კოლმეურნეობამ არა მარტო წყალგაყვანილობა მოიწყო და 8 ათას მცხოვრებს მიაწოდა სასმელი წყალი, საკუთარი ელექტრომომარაგებაც უზრუნველყო და ისიც „აიბასეული" მეთოდით: ყოველ ბრიგადას თავისი ლიმიტი და მრიცხველი აქვს, სამ ბრიგადაზე — თითო ტრანსფორმატორია გამოყოფილი, მასში გარეშეები ვერ ჩაერთვებიან. ვინც ლიმიტის საზღვრებს გადააჭარბებს, მთლიანად გადაიხდის როგორც საკუთარ ნორმას, ასევე გადამეტხარჯულ ელექტროენერგიის საფასურსაც.

გონივრული და მკაცრი წესია დაწესებული სკოლებისათვისაც. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში კოლმეურნეობა მოსწავლეებს უფასოდ კვებავს. უფასოდ იკვებებიან პატარებიც. მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი უფროს კლასის მოსწავლეებიდან სამი დღის განმავლობაში არ გამოასწორებს მიღებულ ორიანს „ქვაბით უზრუნველყოფას" უნდა გამოეთხოვოს. კოლმეურნეობა მეურვეობს აგრეთვე ათობით სტუდენტსაც. მიაღწია უმაღლესში მიღების შეღავათიან პირობებს მათთვის, თავად უხდის მომატებულ სტიპენდიას ავანსის სახით, მისი გამომუშავება უმაღლესის დამთავრების შემდეგ მოუწევთ!

არსებული მექანიზაციის გამოყენებით და პროდუქციის თვითღირებულების განუხრელი შემცირებით კოლმეურნეობამ ყოველ დაბანდებულ მანეთზე სამი მანეთის მოგებას მიაღწია. ლიხნში საკოლმეურნეო დღიური ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე დურიფშში — საშუალოდ 18 მანეთი. ზაფხულის სეზონზე ტრაქტორისტს ყოველთვიურად 700-800 მანეთის გამომუშავება შეუძლია. საშუალო წლიური შემოსავალი თვეში 500 მანეთს აღწევს.

სტატისტიკური მონაცემები ერთ შტრიხს კიდევ უმატებენ აიბას პორტრეტს, ბევრად უფრო რეალურსა და ცოცხალს, ვიდრე ციფრებისადმი გულგრილი მწერალი შექმნიდა. უპირატესობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მის შექმნაზე თვით აიბას მუშაობა ორი ათეული წლის განმავლობაში — ეს კი უკვე ავტოპორტრეტია!

ალბათ მიამიტობა იქნება იმის გაფიქრება, რომ ამ მის მიერ განხორციელებულ ურთულეს რეფორმებს თავიდან თუნდაც ერთი მხარდამჭერი ჰყოლოდა. ახლა არ ღირს გახსენება, მაგრამ თავმჯდომარის მრავალ წამოწყებას დასაწყისში მრავალი წინააღმდეგობა ხვდებოდა როგორც ქვემოდან. ასევე ზემოდან და გვერდებიდან...

ლამის დაკანონებულია. რომ ამრევები და ჩამოქვეითებულები ყოველთვის პოულობენ თავის მფარველებსა და დასაყრდენ დამცველებს. არ ყოფილა და არ იქნება ნათელ მოღვაწე პიროვნებას მოშურნეები არ გამოუჩნდნენ, ერთბაშად არც გაქრებიან შენიღბული მტრები, ჯიუტი არაკეთილისმსურველები.

ნარკვევში „ინიციატივის ფასი" („ნაშ სოვრემენნიკ". 1985 წ. № 12). ივანე ვასილევი მსჯელობს იმ მიზეზებზე. რომელიც ხელს უწყობს ყოვლად უნებისყოფო. უინიციატივო, მხდალი ხელმძღვანელების ჩამოყალიბებას, მათ „არაფერი არ წამოუწყიათ, არავის არ ეწინააღმდეგებიან, არავისთან და არაფერზე არ კამათობენ". ვასილევთან საუბარში სამეურნეო ინიციატივის საფუძვლების დაქვეითე-

ბის თაობაზე, საოლქო კომიტეტის მდივანს უთქვამს: „რა უნდა ვთქვა, ძვირფასო, რაიონში ოც კანტორას(!) მაინც აქვს უფლება, რომ თავმჯდომარე დასაჯოს“. ვასილევი, იქვე ფრთხილად შენიშნავს: „მე თავად არ დამითვლია...“ ასეთ შემთხვევაში „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“, მაგრამ საოლქო კომიტეტის მდივანს არ გადაუჭარბებია, პირიქით, დააკლო რეალურ ციფრს. დასახელებულ ოცეულში მან, ცხადია, მხოლოდ „რაიონული დაცვა“ ჩათვალა: „საფინანსო ინსპექტორები, ფინანსთა რაიონული განყოფილების გამგე, პროკურორები ,სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეები, ბანკის ადგილობრივი განყოფილების მმართველები, რაიალმასკომის მოადგილენი და ასე შემდეგ. მაგრამ როგორ შეიძლება ანგარიშიდან გამოირიცხოს საოლქო, რესპუბლიკური და საქალაქო ინსტანციები, რომელნიც მოვალენი არიან აკონტროლონ ნებისმიერი რაიონული ორგანიზაციების მოღვაწეობა და მათ შორის — კოლმეურნეობაც? რამ უნდა დაგვავიწყოს, რომ ნებისმიერ, ხაზს ვუსვამ, ნებისმიერ რამეზე განაწყენებულ, ვთქვათ, თანამდებობიდან მოხსნილ, ანდა საქმიანობაში ხელმოცარულ ნებისმიერ გაბოროტებულ უსაქმურსა და ყალთაბანდს როცა დასჯის შიში არსაიდან აქვს და შეუსვენებლივ აგზავნის, საჩივრებსა და ანონიმურ წერილებს, ასეთები ლიხნისა და გუდაუთას არ ჯერდებიან, სოხუმს, თბილისსა და მოსკოვს აჯერებენ და სრულიად ღირსეულ ადამიანებს, ვთქვათ, ამჯერად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ათასგვარ ცილს სწამებენ და მოდის კომისია კომისიაზე ჰორებისა და ცილისწამების შესამოწმებლად, რომ, როგორც იტყვიან, ჭეშმარიტებას „კუდში სტაცონ ხელი“. რამდენჯერაც უნდათ, იმდენჯერ გამოიძახონ ბრალეულნი, გაიმეორონ დაკითხვები, წლობით წაართვან ადამიანებს დრო, ღონე, ხალისი, შრომის უნარი. ცნობილი ამბებია...

ერთი კი მინდა ვთქვა და ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი შეხვედრებისა და საუბრების დროს ჰაკიბეი კაუეს ძეს ერთხელაც არ დაუჩივლია მათზე, ვისაც არაერთგზის უცდია მისთვის სარმის გამოდება. თუმცა, საკმარისად იყვნენ კონტროლიორები და მრჩევლები. დასაწყისში ჭკუას რომ ასწავლიდნენ და მუშაობა ეგრე კი არა, ასე უნდაო — ჩასჩიჩინებდნენ. სხვანაირად არც შეიძლება — ბევრისთვის ეს პატარა უმტვერო საქმე იყო. მოევლინებოდა მორიგი რევიზორი ინსტრუქციებითა და ბრძანებებით გატენილი პორტფელით, სულში კი ბევრად უფრო მსუბუქი ტვირთით და სახელმწიფო ინტერესების დამცველად გამოიდებდა თავს. ვინ დაგიდევდათ შემოწმებული უფრო ჭკვიანი, პატიოსანი და დამსახურებული იყო თუ მისი შემმოწმებელი — ძალთა თანაფარდობა შეუცვლელი რჩებოდა — პირველი ცოდვილი იყო, მეორე — წმინდანი. პირველის იღბალი ბრალდებულის სკამზე კანკალი იყო ,მეორის მისია — დასჯა ან შენდობა, საკუთარი ძალაუფლებისა და უპირატესობის დემონსტრირება. და განა ეს სიხარულის მომგვრელი არაა? იმის შეგნება, რომ სადღაც ვიღაცეები შენზე არიან დამოკიდებულნი, გარდა ამისა, შეგიძლია პირადად შენთვის რაღაც შეღავათი მოითხოვო, პრივილეგია მოიპოვო, რაღაც გამოსძალო — განა სიამოვნებას არ მოგანიჭებს?

ისიც ცნობილია, რომ რაც უფრო მეტად ცოდვილია შესამოწმებელი, მით უფრო ყუათიანი გამორჩენის მოლოდინშია შემმოწმებელი. ორივესათვის კი გამორჩენა მით მეტ აზრს იძენს, რაც მეტია საზოგადოებრივი ზიანი.

საწარმოო ინტერესები რომ დაძლიოს და ფეხზე გაიმართოს, ხელმძღვანელს მოეთხოვება იყოს სრულიად უცოდველი „ვითა ღმერთი ერთი“. ეს პირობა კი იმდენადვეა ფანტასტიკური, რამდენადაც აუცილებელი. ამიტომაა „თეთრი ძვლებით მოფენილი“ ხელჩართული სამეურნეო ბრძოლის თვალუწვდენელი მინდვრები, ამ ბრძოლას უსახელო მსხვერპლად ეწირებოდნენ ცინიკოსებიც და მიამიტებიც, ფრთხილებიც და თავშეუკავებლებიც.

ჰაკიბეი აიბამ ყველა ფრონტზე გაიმარჯვა და ბრძოლაც მოიგო. იგი ფლობდა მეუფერხებლად მოქმედ იარაღს, რომელიც ბევრ სხვას არ გააჩნდა. როცა მეტისმეტად მეუყაითი ჭკუის მასწავლებლები დატუქსვას, ჭკუის დარიგებას, ზემოქმედების მოხდენას შეეცდებოდნენ, აიბა კონფლიქტს თავს არიდებდა, „— კი ბატონო, როგორც გინდათ“ — თანხმდებოდა იგი — ოღონდ ჩაიბარეთ თავმჯდომარის ბეჭედი.

აიბას პირადი თავმოყვარეობა შელახული რომ ჰქონოდა, მისი ნებაყოფლობით თადარიგში გასვლის მსურველები უდაოდ გამოჩნდებოდნენ. ციხე-სიმაგრე როცა მორღვეულია, მოწინააღმდეგეს გული მიეცემა ხოლმე. მაგრამ მის გალავანს მცირედი ნაბზარიც არსად ემჩნეოდა, მეტად კირკიტი კაკალი გამოდგა ლიხნელი თავმჯდომარე — პირი ვერსაიდან აართვეს იმდენად თვალსაჩინო იყო განსხვავება გუშინდელსა და დღევანდელ კოლმეურნეობას შორის. სეზონიდან სეზონამდე დონე ისე აშკარად იზრდებოდა, რომ აღარავის ეთქმოდა არაფერი.

მეტად დიდრონი გამოდგა მოსანელებლად ეს „ნაომარი ძვალი“ — დიდი სამამულო ომის ვეტერანი, რომლის მკერდი ორდენებითა და მედლებითაა დაფარული, პოლიტმუშაკი, მაიორი, მხრებზე თითო ვარსკვლავით და კიდევ რამდენიმეთი... შუბლზე! უნდა დანებდე, თუ გინდა, რომ როგორმე კბილები არ მოიმტვრიო.

შემდეგ და შემდეგ, როცა წარმატების ათწლეულებმაც ჩაიარეს, ჰაკიბეი აიბას სიმაღლე უკვე თვალშეუდგამი შეიქნა. ვფიქრობ, არ არსებობს აიბას ნებისმიერი მტერი, რომელიც თავს არ გამოტყდომოდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ 24-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას სათავეში უდგას კაცი, მიუწვდომელი ყოველგვარი ცილისმწამებლების, შემავიწროვებელთათვის და ეგებ ბევრად უფრო მაღალიც, ვიდრე აფხაზეთის თოვლიანი მთები...

მეშინია და ვეჭვობ, რომ ეს სიტყვები მეტისმეტად ლამაზად და მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ ნათქვამის ჭეშმარიტება არ მეეჭვება.

ჩვენი შეხვედრების გამოთვლილ წუთებში ამ საზრუნავით მოღლილ, გადატვირთულ ადამიანთან ეროვნულ საკითხებზე არასოდეს მისაუბრია. აიბას აფხაზური აქცენტიც კი დაჰკრავს მეტყველებაში. თუმცა ყოველწლიურ „ლიხნაშტას" დღესასწაულზე, დოლზე, მაყურებლებს შორის თუ ტრიბუნაზე ალბათ აფხაზურ ნაციონალურ ტანსაცმელში უფრო ლაღად იგრძნობდა თავს, ვიდრე თავის კაბინეტში, ჩვეულებრივ კოსტიუმში გემოვნებით შეხამებული ჰალსტუხით. სამეურნეო კურსზე მსჯელობა უკვე ზედმეტია, თუ აიბას თვალში ადამიანი საქმიანი ნიშნით ფასდება. მაშასადამე, საკოლმეურნეო პრაქტიკა ყველა ეროვნების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობას ემყარება. ამ შემთხვევაში ინტერნაციონალიზმის უგულებელყოფა, შეარყევდა სამართლიანობის რწმენას, კოლმეურნეობის პოლიტიკურ-ზნეობრივ საფუძველს.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ორჯერ ვიხილე აიბა ყოველგვარ ჯილდოებსა და რეგალიებში, ორჯერვე კრემლიდან დაბრუნებული, ერთი — როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის, მეორედ — პარტიის XXVII ყრილობის დელეგატი. მაგრამ იმ საღამოებში, ყველა თავისი საბრძოლო წარჩინების მიუხედავად, აიბას სამხედრო პირად მაინც ვერ მიიჩნევდით, აფხაზეთის გზავნილს სრულიად სამოქალაქო გარეგნობა ჰქონდა. ამასთან ერთად, იგი ყველაზე ნაკლებ უხდებოდა დედაქალაქის ყოველდღიურ სახტუმროებს, რადგან მასში უცებ შეიცნობდით ღვაწლმოსილ პიროვნებას, რომელიც ყველა სფეროში წინ უსწრებს ცხოვრებას — მიწაზეც, ჰაერშიაც და ცისფერ ზღვებზეც.

აიბას სახეს ვერ მიაკუთვნებთ თანამედროვე ტექნიკურ ხელმძღვანელთა ტიპაჟს. ჩემი წარმოდგენით იგი დღემდე მასწავლებლად რჩება — ძველ მასწავლებლად და სკოლის ახალ დირექტორად. ამის დადასტურებაა, გნებავთ, მისეული მასშტაბური ჩანაფიქრი კულტურის სახლის მშენებლობისა. რაც აიბას სისხლხორცეული პირმშოა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რაიონში ზოგიერთებს საკუთარი შეხედულება გააჩნიათ „ლიხნის სასახლის" მშენებლობაზე, ეჭვიც გამოუთქვამთ: „მაინც რისთვის, რა გამართლება აქვს სოფელში ასეთ გრანდიოზულ მშენებლობას? მსგავსი მასშტაბის შენობა უპრიანი იქნებოდა და სიხარულით დაეპატრონებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო კლუბები, განთქმული თეატრები... მაგრამ რა საჭიროა ეს მასშტაბურობა სოფელში, რა უჯდება იგი კოლმეურნეობას?" — ამგვარი ფიქრები ამეკვიატა მეც, როცა შენობის ამოყვანილი ჩარჩოების შიგნით მივცოცავდი და ამაოდ ვცდილობდი გამერკვია ყველა კუთხე-კუნჭულის დანიშნულება. ბოლოს სხვენის სიბრტყეზე ამოვყავი თავი, რომელიც თავისუფლად გამოდგებოდა სამეჯლისო ცეკვებისათვის.

რაიონში ლიხნის სასახლის ბადალი არაფერი მოიძებნება, ის კი არა, რესპუბლიკაშიც ძნელად თუ სადმე ნახავ ამგვარ შენობას. თუმცა არ ვიქნებით მართლები და დაწვრილმანება გამოგვივა თუ ვიფიქრებთ, რომ აიბამ ეს მშენებლობა თავის გამოჩენისა და სხვათა ჯობნებისათვის ჩაიფიქრა.

მშენებლობის ჩანაფიქრის ჭეშმარიტი მოტივები მოგვიანებით გაიხსნა, როცა ჰაკიბეი კაცის ძე შეეხო პროექტის ისტორიას. აიბამ პროექტის პირველი ვარიანტი უარყო, თუმცა „უარყოფა" ძალიან მკვეთრი სიტყვაა. წუნი დასდო — რომ ვთქვათ, არც ეს იქნება მთლად შესაფერისი. ან კი როგორ მისცემდა თავს უფლებას რომ ავტორიტეტულ არქიტექტორებს შეჯახებოდა. იგი ფრთხილად, მსუბუქად აიძულებდა, რომ მისი სურვილისამებრ შეეტანათ არსებითი შესწორებები. ასევე კორექტურულად უარყო მომდევნო ვარიანტიც. საეჭვოა, რომ მის საქციელს საოლქო კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობაში კმაყოფილება გამოეწვია. ერთხელაც დრო უხელთა და უზარმაზარი ცაცხვის ხის ქვეშ სახალხო თავყრილობაზე დაარწმუნა იმ დროისათვის საოლქო კომიტეტის მდივანი, ამჟამად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან კობახია და რესპუბლიკის სამშენებლო საქმეების თავკაცი არქიპო ლაბახუა, რომ აუცილებელი იყო კლუბის მშენებლობის პროექტის მესამე ვარიანტის შემუშავება. მის განსახორციელებლად საჭირო გახდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგანგებო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ სოფელ ლიხნის ნება მიეცა შეეკვეთა კულტურის სახლის საკუთარი ინდივიდუალური პროექტი. რიგით მესამე პროექტი სამი წლის მანძილზე მუშავდებოდა და ბოლოს, როგორც იქნა, დაიმსახურა თავისი უჯიათი დამკვეთის კმაყოფილება.

ეს შემპარავი წინააღმდეგობებით სავსე ბრძოლის ისტორია (რაიმეს შერბილება აქ

ზედმეტად გვეჩვენება) ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. აიბამ მაინც თავისი გაიტანა, გაიტანა საკუთარი იდეა. შეიძლება ითქვას, რომ — საკუთარი კონცეფციაც რამდენადაც მასში ჩადებული იყო ესთეტიკური, ისტორიულ-კულტურული, სოციალური შინაარსი და ამდენად — ეროვნული მარცვალიც.

როგორც კი არქიტექტორული ჩანაფიქრის კონკრეტული წანამძღვრების გარჩევაზე გადავხვალ, თითქოს ბუნებრივად ჩნდება აზრი იმის შესახებ, რომ სოფელს სასოფლო კლუბი უნდა ჰქონდეს და ქალაქს — საქალაქო. გააჩნია, საკითხს რა კუთხით ვუდგებით. არ არის პარადოქსი, რომ დიდი ქალაქის რომელიმე რაიონში მხოლოდ ერთი უბრალო და მყუდრო კლუბი აკმაყოფილებდეთ. მეორეს კი შეიძლება სულაც არ ესაჭიროებოდეს, თუკი სიახლოვის თვალსაზრისით თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებზე ხელი მიუწვდებათ. მაგრამ მზარდ სოფელს, პირიქით, უსათუოდ სჭირდება მძლავრი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი. ეს ცხოვრებისეული ლოგიკითაა ნაკარნახევი. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სოფელი ლიხნი, რომელიც მომავალში რეგიონის ისტორიულ ბირთვად გვესახება და მწვავედ საჭიროებს ისეთი შენობის არსებობას, რომელიც თავის თავში მომავალ რეგიონს განასახიერებდა, მის არქიტექტურულ სიმბოლოდ მოგვევლინებოდა.

ამ ლოგიკით უადგილო გვეჩვენება მომდევნო კითხვები: რატომ უნდა იყოს სოფელელი გულნაკლული იმ მიზეზით, რომ ქალაქში ვერ ცხოვრობს? რატომ მიიწევს იგი ქალაქად მაშინაც კი, როცა სოფლად აუნაზღაურებელ სიმდიდრეს კარგავს: ცხოვრების ჯანსაღ ნირსა და რიტმს, ბუნებასთან სიახლოვის ბედნიერებას, ჰაერს და ბევრჯერ ქალაქელებზე მეტ ჯამაგირსაც?

— ყველა პარამეტრებით ქალაქის შესაფერისი კულტურის სახლი მოსახლეობას სოფლურ-პროვინციული კომპლექსებისაგან გაათავისუფლებს — მსჯელობს აიბა, — ისინი აღარ წავლენ სოხუმში ლენინგრადის, რიგის, მინსკის თეატრების სპექტაკლებზე დასასწრებლად. ნებისმიერ დასს კეთილმოწყობილ გზებზე სიარული ურჩევნია. ჯერჯერობით ვერც გუდაუთა და ვერც გაგრა ვერ დაიტრაბახებს ამგვარი ხელსაყრელი და თანამედროვე დონეზე აღჭურვილი სცენით.

ჩვენებურებს მხოლოდ ტელევიზორების საშუალებით როდი შეეძლებათ მოსკოვ-ლენინგრად-კიევ-ვლადივოსტოკის ცხოვრების გაცნობა, მშობლიურ სოფელში საკუთარ კლუბში შეხვდებიან ლიხნელი კოლმეურნეები ალიარებულ, ცნობილ მსახიობებს, მიიღებენ საპატიო სტუმრებს.

მ. რეულ-მორეულ, დამტვრეული ავეჯით გამოტენილ შენობაში, უცხოურად რომ „კლუბს" ეძახიან, სოფლელი ქალიშვილი და მისი მეგობარი გოგონა, როგორც წესი, სრულიად უაზროდ, მოწყენილები შემოეხეტებიან; იოტისოდენა პატივისცემაც არ ექნებათ საღამოს შეხვედრების ადგილის მიმართ. მათთვის ის სხვა არაფერია, თუ არა უბრალოდ შემოსარბენი ადგილი, სადაც შეიძლება ათასნაირი სული იყნოსო, კულტურულის გარდა, და დღეს უკვე ყველამ ვიცით, რომ ასეთი ადგილები აღარავის აკმაყოფილებს. აიბამ სწორედ ისეთი კულტურის სახლის აშენება გადაწყვიტა, სადაც კაცს გული გაუწევს, სადაც საღამოობით შეიძლება კონცერტების, ფირფიტების, კასეტების მოსმენა, ვიდეო მაგნიტოფონზე ცნობილი ფილმების სერიალის ნახვა, მოძრავი გამოფენების, ვთქვათ, იმიერკარპატეთის მხატვართა სურათების დათვალიერება, ბიბლიოთეკაში ახალი ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერება, ცეკვა... კულტურის სახლში მოწყობილი შეხვედრები ბევრად საინტერესო, ლამაზი და მყუდრო იქნება, ვიდრე ლიხნელი გოგო-ბიჭების ოჯახებშია მიღებული.

რამდენად ჯანსაღი და პროდუქტიული აღმოჩნდება ეს გაანგარიშება მშობლიური სოფლის ნაციონალური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის? ეგებ ამათ ოცნებად, ილუზიად მოგვევლინოს და ხელთ მხოლოდ ძვირადღირებული პატივმოყვარეობა შემოგვრჩეს?

გაამართლებს თუ სახსრების უაზრო ფლანგვად ჩაითვლება ლიხნის კულტსახლის მშენებლობა, ამას დრო გვიჩვენებს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი თავის საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევდეს.

„უკაცრავად, — აქ შეიძლება შემაშინოს გამოცდილებით დაბრძნილმა მკითხველმა — ლიხნის სახაზო გემი ჯერ სტაპელით უნდა ჩაუშვა, ღია ზღვაში ნავთსაყუდელიდან უნდა გაიყვანო. ვინ იცის, წინ რამდენი რიფი და მეჩეჩი ელოდება დაბრკოლებად!"

ჰაკიბეი აიბას შესანიშნავად წარმოედგინა, რა რიფები და მეჩეჩები, რა წყვეტება და დაბრკოლება შეხვდებოდა არჩეულ გზაზე. ამიტომ მან მოკრძალებით უარყო საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის სამსახური, თუმცა ამ ორგანიზაციას ოსტატობის დონეს ვერ დაუწუნებდი, თვალსაჩინო მიღწევებიც ჰქონდა, მაგრამ რატომ გადაეყარა ორი მილიონი მანეთი ძვირადღირებულ მილებში? რატომ გაერისკა შემდგომი მილიონები? აიბამ არჩევანი შეაჩერა მოსკოვის „კულტსაყოფაცხოვრებო საწარმოო-მშენის" ტრესტზე, რომელმაც თავისთვის 14 სართულიანი პანსიონატი აიშენა, შეეძლო მოემარაგებინა და ეშოვა დეფიციტური სამშენებლო მასალები. თვითონ, ცხადია, ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ზღვისპირეთში მიწის ძვირფასი ნაკვეთი ჰქონოდა.

ნანატრი „ქორწინება“ ცხადად და ილუზიების გარეშე, ანგარიშის მიხედვით შედგა. გაანგარიშება ზუსტი და რეალური იყო, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკით დადასტურებული.

კოლმეურნეობაში რეგულარულად იწვევდნენ სამშენებლო შტაბის თათბირებს, ბარდებოდა ანგარიშები სამუშაოს მიმდინარეობაზე, თავმჯდომარე ფხიზლად ადევნებდა თვალს ყოველი შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

— მოსკოვში ვკითხე, ვადები მგონი მოახლოებულია და როდისღა დაადგება ამ ზრუნვა-გარჯას საშველი-მეთქი.

სცენის ალჭურვილობა და სცენის მოსაპირკეთებელი მასალა მჭირდება. ნაღდ ანგარიშზე კი არ იძლევიან — მოიღუშა აიბა.

არც ზღაპრად გაგონილა და არც კალმით აიწერება, რამდენი მოქნილობა, ძალა და შეუპოვრობა დასჭირდა შტაბს უწყებრივი ბარიერების გადასალახავად, ბიუროკრატიული ხაფანგების დასაძლევად, რომელსაც ბილიკის მთელ სიგრძეზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე უხვედრებდნენ.

— უცნაურია, ნამდვილად უცნაური, — გულწრფელად გავოცდი მე — თქვენ ხომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხართ, პარტიის 27-ე ყრილობის დელეგატი, იმ სახელგანთქმული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც სადღაც ტუნდრაში კი არა, შავი ზღვისპირეთშია და ნუთუ თქვენ, მაკიბეი აიბას ძალა არ შეგწევთ სცენის ალჭურვილობა იშოვოთ?!

მაგრამ ჩვენი ეს საუბარ- უფრო მოგვიანებით შედგა, მაშინ კი ლიხნში სცენის მორთვის საზრუნავიდან ჯერ კიდევ შორს იყვნენ. თავშიც სულ სხვა კითხვები მიტრიალებდა, უფრო ჭკუისდამრიგებლური. ამასთან მატარებლის გრაფიკით განსაზღვრული ვადაც მიიწურა. ჩვეულებისამებრ რჩევისათვის პავლე ხაკეს ძეს მივმართე: „მომიხერხდება თუ არა გამოსათხოვარი საუბარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძესთან? ეს ჩემთვის მეტად სასურველია, მაგრამ აი, რაიკომის მდივანი თუ გამონახავს დროს ჩემთან სასაუბროდ?..“

პავლე ხაკეს ძემ გაარკვია — რაიკომის მდივანი ხვალ მოახერხებს შენთან შეხვედრასო.

— თვითმფრინავზე ხომ არ დამაგვიანდება? ბილეთი უკვე ჯიბეში მიდევს...

დილით ჩემი ნივთები ადრიანად ჩავაწყე. სასტუმროს ანგარიში უკვე გასტუმრებულია. დამრჩა ერთადერთი: ვერაფრით ვერ გადამიწყვეტია როგორ დავემშვიდობო ოზგანს. ეგებ ასე აჯობოს, ეგრეთწოდებული, მაღალსაზოგადოებრივი მანერით და სწრაფი რიტუალით მოვამთავრო — ჩვენი ნაცნობობა მეტად, მეტად სასიამოვნო იყო, ვიმედოვნებ, რომ... და ასე შემდეგ. ან ეგებ დისერტაციის დამცველთა სცენარით ვისარგებლო, ფორმალური სქემის მიხედვით თავმოდრეკით და მადლიერებით ზოგადად განვუცხადო: „თუმცაღა თქვენთან სტუმრობა მოკლე დროით მომიხდა, მაგრამ ბევრი რამ მეტად საინტერესოდ — მესახება. გაქვთ საუკეთესო კოლმეურნეობები, ქარხნები, მოკლედ თქვენი რაიონი ჭეშმარიტად წინსვლის გზას ადგას, გილოცავთ... უფრო დაწვრილებით კი — ჩემს ნარკვევში იხილავთ. ალბათ თვალყურს მიადევნებთ პრესას...“

არ დამბადებია ის აზრი, რომ ყოველგვარი დიპლომატია, რიტუალი, სცენარი უკუმეგდო და ჭეშმარიტ სიმართლეს მივყოლოდი. ალბათ იმიტომ, რომ ეს ჭეშმარიტი სიმართლე მთლიანად არ გამოკვეთილიყო ჩემში, ბუნდოვანი მონახაზების გაზიარება კი ვილას აინტერესებს ცაიტნოტის ეპოქაში? გაზიარების სურვილი უპირველესად პირად დამოკიდებულებას, ნდობას გულისხმობს, საიდან უნდა მოიპოვო იგი?

ერთი სიტყვით, — დილა სალამოზე ბრძენია...

## საუბარი იწყება

ოზგანი დიპლომატიური კორექტულობით შემხვდა. ძუნწი ღიმილით ხაზი გაუსვა თავის განწყობილებას. დამშვიდობება საზეიმო უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

საწერ მაგიდასთან, როცა თავზე არ გაწვიმს და დროც საკმარისი გაქვს მემუარულ ვარიანტებზე საფიქრებლად, ადვილად მოძებნი სადაგ სიტყვას და სათანადო ვითარებას შეუფარდებ. მაგრამ, როცა სათქმელი ითქმება და თანაც საუბარი შინაურ გარემოში არ მიმდინარეობს, ამ დროს უფრო ძნელია დალაგებულად იაზროვნო და ადვილი შესაძლებელია სტიქიურობამ შენს მიერ წინასწარ საგულდაგულოდ დაგეგმილ საუბარს სულ სხვა მიმართულება მისცეს.

უეცრად რატომ მომინდა გამოსამშვიდობებელი რიტუალი დამერღვია, უარი მეთქვა დიპლომატიაზე? არ ვიცი, შესაძლებელია უფრო ალბათ იმიტომ, რომ ჩემი თანამოსაუბრის სერიოზული და დაკვირვებული მზერა ერთგვარად ძაბავდა სიტუაციას და მავალდებულებდა მესაუბრა სერიოზულად და უშუალოდ საქმეზე.

— ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილებას განვიცდიდე კონსტანტინ კონსტანტინეს ძევ. ეს ერთი კვირა კარგად წავიმუშავეთ, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით, თქვენ მიჩვენეთ ყოველივე საუკეთესო, რაც გაგაჩნიათ რაიონში — ორი ქარხანა, სამი კოლმეურნეობა, სამწუხაროდ, სტუმარს, ტრადიციულად, როგორც წესი, ფასადს შევახედებთ ხოლმე. ეს ჩვენში საყოველთაოდ მიღებული ჩვევაა. როცა შინ ვეპატიჟებით, ნუგბარი კერძებით ვაზულუქებთ, ასევე ტრადიციულად დღესასწაულებ-

ზეც საგანგებოდ გამოვეწყობით ხოლმე. თქვენც, ალბათ, იმედოვნებდით, რომ მეც სათანადოდ მოვიხდიდი ხარკს თქვენს წინაშე; ამაღლებული, საზეიმო სიტყვებით დაგემშვიდობებოდით, ნარკვევსაც დამტკბარ-დაშაქრულს გამოვაცხობდი, ჩვენი ჟურნალ-გაზეთებისათვის რომ იყო დამახასიათებელი, ეს რა ვნახეო, აღფრთოვანებულ-აღზევებული რეპორტაჟები შრომით წარმატებებზე, მოწინავეებზე. სიმართლე გითხრათ, მეც ყელში ამომივიდა ეს მოჩვენებითობა. მინდა ჩავწვდე თქვენი რაიონის მთავარ სიძნელეებს, მწარე სიმართლე მინდა ვიცოდე, კონსტანტინ კონსტანტინეს ძევ — აქ შევწყვიტე მონოლოგი და დაველოდე, რას იტყოდა მასპინძელი. მაგრამ ოზგანი თითქოს ვერ ამჩნევდა ამ პაუზას, ხმას არ იღებდა. პავლე ხაკეს ძეც უბრად იჯდა, ამით ისინი მაიძულებდნენ, რომ საუბარი გამეგრძელებინა. მეტი რა გზა მქონდა...

— დიახ, ვერა ვარ კმაყოფილი თუნდაც იმის გამო, რომ ორი ქარხანა და სამი კოლმეურნეობა ეს მთელი რაიონი როდია. თქვენს განკარგულებაშია სანაპიროს ნაწილი, სადაც ყოველ მტკაველ მიწას ათასობით მანეთის უკუგება ძალუძს და გნებავთ ვალუტის სახითაც. მაგრამ, ამისათვის საჭიროა კურორტი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პარალელურად, ერთიან კომპლექსში, თანამედროვე დონეზე ვითარდებოდეს. გამოგიტყდებით, რომ ამ თვალსაზრისით პერსპექტიული განვითარების კონტურები, სამომავლო გეგმები ვერ ვნახე.

კვლავ პაუზა.

საპასუხო რეპლიკის მოლოდინში კონსტანტინ კონსტანტინეს ძე კვლავ ჯიუტად დუმდა. პავლე ხაკეს ძეც მას ბაძავდა. ორივეს შესაშური თავშეკავება ალმოაჩნდა. უკვე მეორე რაუნდს ვაგებდი. ისლა მრჩებოდა, რომ შემეტია:

— კომპლექსის განვითარება მეტწილად აგრომრეწვის მოქნილ მუშაობაზეა დამოკიდებული. ტარკილთან, გოგობერაშვილთან აჭვასთან საუბარში მსურდა გამერკვია, რა როლს თამაშობს მათი კოლმეურნეობების ეკონომიკაში აგროსამრეწველო კომპლექსი. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჩემს შეკითხვას სამივე ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ისმენდა. მათი პასუხიც ნაკლებ საიმედო ჩანდა. თავს არიდებდნენ პირდაპირ ლაპარაკს, არადა ეს აუცილებელი იყო.

კვლავ ხანმოკლე პაუზა. ვატყობდი, რომ მასპინძლები მზად იყვნენ აგროსამრეწველო კომპლექსისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოეხატათ, შეეფასებინათ მისი როლი რაიონის სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ თვითონ ვიჩქარე დამერღვია დუმილი, რათა დაწყებული სვრელი ბოლოში გამეყვანა.

— თქვენი სამი გოლიათი, გოგობერიშვილი და მისი კოლეგები დღემდე, აგრო-სამრეწველოს გარეშე იოლას გადიოდნენ ფონს და ალბათ მომავალშიაც არ გაუჭირდებათ. რა საჭირო იყო კიდევ ერთი კანტორა, დამატებითი ბრძანებები, ქაღალდები, უფროსები. მომიტევეთ გულახდილობისათვის, მაგრამ გუდაუთაში ჩემი ყოფნის მცირე დროის მანძილზე, რაიონის სამეურნეო წარმატებებში პირადად თქვენი და საერთოდაც რაიკომის ღვაწლი ვერ დავინახე. ლოგიკა უბრალოა. თქვენმა შუქურებმა — ჰაკიბეი აიბამაც და დავით გოგობერიშვილმა, ვიდრე თქვენ აგირჩევდნენ რაიკომის მდივნად, მანამდე გამოიყვანეს მოწინავე პოზიციებზე თავიანთი კოლმეურნეობები. თავად განსაჯეთ, განა ადვილია ისეთი ძლიერი მეურნეობების ფონზე თავისით რომ მიაღწიეს დამოუკიდებლობას და საყოველთაო აღიარებას, შეაფასო მდივნებისა და საერთოდ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა ღვაწლი? კრესის მდგომარეობაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, განა ადვილია განსაჯო ხელმძღვანელობის როლი ხელქვეითებისადმი, თუკი ყოველი კითხვა, რომელიც გულახდილობას მოითხოვს, არასათანადო ტაქტით აღიქმება ხოლმე? ვინ მოსთვლის, ხელმძღვანელთა რამდენი თაობა შეიცვალა გუდაუთის ძველი გვარდიის თვალში! სამწუხაროდ ამის გასარკვევად არც მე მცალია, თბილისობაზე მეჩქარება. დიდი მადლობა სტუმარ-მასპინძლობისათვის. მომიტევეთ შეწუხებისათვის.

კონსტანტინ კონსტანტინეს ძემ ახლა კი ინება დუმილის დარღვევა.

— ჩააბარეთ ბილეთი.

— რა ბრძანეთ?

— გადადეთ გამგზავრება. გაჩვენებთ რაიონს.

— როგორც კი კაბინეტიდან გამოვედით და კიბეებს ფეხაჩქარებით დავუყევით, პავლე ხაკეს ძემ ბრაზიანი მოგუდული ხმით წამოიძახა:

— როგორ გაბედეთ, ეს რა სთქვით, პირდაპირ ტყვიასავით გვახალეთ! ახლა თქვენ თვითონ ნახავთ ამას, რაც მოჰყვება!

— შეიძლება ნათქვამი პირდაპირ გამომივიდა, მაგრამ, ხომ სიმართლე იყო...

პავლე ხაკეს ძე არ შემცდარა. ერთი საათის შემდეგ კონსტანტინე ოზგანთან ერთად მივემგზავრებოდი მთებისაკენ მიმავალი გზით. აი, ამ ადგილას მკვეთრად უნდა შევცვალო ჩემი ნარკვევის ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი თავის შინაარსი, თხრობის ტონი და მოვლენათა მხატვრული ასახვის მანერა.

დიალოგი: „მან თქვა, „მე ვკითხე...“ წარსულს ჩაბარდა ე. ი. ამ ფორმას უკვე აღარ მივმართავ; აი, ნახავთ, თუ ასე არ იქნება. მანქანით მგზავრობისას რას არ ეტყვიან ერთ-

მანეთს თანამგზავრები, რაზე არ ჩამოვარდება საუბარი. ყველაფერი თუ ჩაინიშნე და ყურად იღე რა გამოვა აქიდან. მითუმეტეს, რომ მინდვრების, ფერმებისა და პლანტაციების შემოვლისას ორ არც თუ ისე ახალგაზრდა ადამიანს, ამ ლანდშაფტებისა და ველ-მინდვრების შემოქმედთ — პავლე ხაკეს ძესა და კონსტანტინე ორგანს სასაუბროს და სამსჯელოს რა გამოულევდათ. ორივე საკუთარი გამოცდილებიდან, საკუთარი პრაქტიკიდან და მეურნე კაცის დაკვირვებიდან გამომდინარეობდა ამა თუ იმ საკითხის შეფასებისას. ორივეს განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნდა მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი, ოღონდ ერთმანეთს მაინც არსად შორდებოდა მათი თვალთახედვა და მოსაზრებანი, რადგანაც ორივეს საქმის ინტერესი, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სიყვარულის გრძნობა ამოძრავებდა.

ზოგს კი მიაჩნია, რომ ზუსტად უნდა გადმოსცე ნანახი და განცდილი, თქმული და გაგონილი, მაგრამ ეს ამჯერად შეუძლებლად მეჩვენება, რადგანაც საქმისადმი ასეთი მიდგომა უამრავ ქაღალდს წაიღებდა, იმდენს, რომ შეიძლება ნარკვევის გვერდებიც კი ვეღარ დაგვეთვალა.

გუდაუთასთან გაცნობა ჩემთვის კი ამ წუთიდან ხელახლა იწყებოდა. თითქოს მეორე წრეზე მივდიოდი, უფრო ღრმადაც ვეშვებოდი მოვლენათა მორევში, არც მეშინოდა ჩაძირვისა, უფრო საინტერესო იყო ყველაფერი, რადგანაც წამოჭრილი საკითხების არსში ადგილზევე გაცნობიერება მიადვილებდა აქამდე ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელ მოვლენებში გარკვევას. ყოველივე ამისი აღწერა და გადმოცემა, ალბათ, ღირდა კიდევაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამოუგონიათ რეზინივით წელვადი კრებულები, ყველაფერს რომ შიგ დაიტევდა და ასევე ჟურნალ-გაზეთებიც მეტად შეზღუდულნი არიან მოცულობით.

ასე, რომ პროლოგი ნამდვილად უაზროზაა.

ეპილოგი კიდევ მესმის, ეპილოგი, რომელიც, ვინ იცის, იქნება შემდგომი ნარკვევისათვის პროლოგად გამომადგეს. ეს იქნება ვრცელი მოთხრობა — „გუდაუთა — გაგრა“. ხოლო თუ კი მშვიდობა იქნა, იმას მოჰყვება „სოხუმი — ოჩამჩირე — გალი“. დიახ, ეს იქნება ერთი მთლიანი ციკლი საერთო სათაურით — „აფხაზეთის გზებზე“.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან მოყოლებული მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსების — სხვადასხვა გაერთიანებების, კომბინატების, აგროფერმების თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება მთლიანად დამოკიდებული იქნება საბოლოო შედეგებზე, ესე იგი, უკუგებაზე. და მთელი ეს ეკონომიკური რეფორმა ოცდაათი მილიონი ადამიანის ინტერესებს მოიცავს.

სიახლე და, მე ვიტყოდი, ცხოველმყოფელობა ამ რეფორმისა იმაში გამოიხატება, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალის ამაღლება და მისი ინტენსიფიკაცია მთლიანად დამოკიდებული ხდება წარმოებაში თვისებრივად ახალი, მაღალეფექტური და თანამედროვე ეკონომიკური მეთოდებისა და დემოკრატიული საწყისების დანერგვაზე. ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციული საშუალებებით „წინ გაჭრას“, ამ ძველი და მოცვეთილი პრაქტიკით შორს წასვლა ყოვლად წარმოუდგენელი რამეა.

ასე რომ სამეურნეო ანგარიშგების პრინციპი აუცილებელია როგორც „ვერტიკალურად“ ასევე „ჰორიზონტალურადაც“, ამავე დროს ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები შერწყმული უნდა იყოს ადამიანების აღზრდასთან, რწმენის განმტკიცებასთან, პოლიტიკური აზროვნების გაღრმავებასთან. თუმცა, ყველა ამ საკითხებზე, როგორც უკვე ითქვა, საუბარი ჩვენს მომდევნო ნარკვევებში გვექნება. ამჯერად თუ უფრო გუდაუთის „ხელმძღვანელთა კორპუსზე“, ძირითადად ძველი გვარდიის წარმომადგენლებზე ვისაუბრებთ, ისიც, რა თქმა უნდა, ფრაგმენტულად და არა ამომწურავად, ომისა და შრომის ვეტერანებზე გავამახვილეთ ასე თუ ისე ყურადღება, მომავალში მეტი ადგილი უნდა დაეთმოთ დანარჩენებსაც, იმ ადამიანებს, ახალგაზრდებს თუ მოხუცებს, ვინც თავისი ყოველდღიური საქმიანობით, მეცადინეობით ქმნის ქვეყნის დოვლათსა და ბარაქას, გვაწვდის არსობის პურს — მეციტრუსეებს, მევენახეებსა და მეჩაიეებს და არა მარტო იმათ, რა თქმა უნდა იმათაც, ვინც ამ ცხოვრებას ალამაზებს, ამშვენიერებს, მშრომელ ადამიანებს, მთელ ჩვენს საზოგადოებას ახარებს და ახალისებს, სულიერად და მორალურად ამაღლებს შინაგანი საზრდოთი კვებავს მილიონებს, ყველას, დიდსა თუ პატარას. ესენი გახლავან აქაური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, მომღერლები, მოცეკვავეები, მსახობები, მწერლები, ლიტერატორები, სახალხო მთქმელები...

მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა. ახალ რაუნდს ახალი სამზადისი, ახალი ალმაფრენა, განწყობა და შემართება სჭირდება. ერთი სიტყვით, წინ დიდი მარათონია.

გულდადინჯებული საუბარი აფხაზეთზე ხვალ დაიწყება...

თარგმნა მირონ ხერგიანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

# გალაკტიონი და ბლოკი

გავა კიდევ რამდენიმე წელი და ბლოკისადმი უშუალოდ მიძღვნილი ლექსების შემდეგ (ამაზე ქვემოთ), „ასი ლექსის პროლოგის" კვალადაც, „ჯონ რიდის" შესაბამის სტროფებს რომ თავი დავანებოთ, გალაკტიონი, თითქოს და მოულოდნელად 1927 წელსაც გააცოცხლებს ლექსში რევოლუციისა და სამოქალაქო ომისდროინდელ პეტროგრადს:

დღე შემოდგომის ცივი
ვერსად პოულობს ალაგს,
უკანასკნელი სხივი
ემშვიდობება ქალაქს.
კუნძულებიდან ქარი
მოდის უდაბურ დღეთა,
სწუხს ტრამალების ზარი
და ავტოების ბნედა:
ტყვიისმფრქვეველის კაკანს
და კანონადას დღისას,
ბნელ სადგურების ბაქანს
მისდევს წუხილი ტყისა.
მიდის. არა აქვს სახლი
და ბედნიერი ბინა,
რუხი ფარაჯის ახლო,
ჯარისკაცების წინა.
და ყველაფერში, რასაც
დღე უცქეროდა ნდობით,
იხატებოდა მასსა
გამწარებული ომით.

საინტერესო ვარიანტები გვხვდება ხელნაწერთა შავ სტრიქონებში. ჯერ ლექსის დასაწყისივე ასე ჟღერს: „დღე ოქტომბრისა ცივი..." მეოთხე სტროფში „რუხის" ნაცვლად იყო „რუსის ფარაჯის ახლო", ხოლო ბოლო სტროფში ნავარაუდევი იყო შემდეგი ვარიანტები: „წმინდა ქაოსის ნდომით", „წმინდა რუსული ფერი" და „წმინდა ქართული ნდომით". ასე თუ ისე, ლექსში ჩვიდმეტი წლის შემოდგომის (ოქტომბრის) რევოლუციური პეტროგრადია ასახული, ხოლო ვარიანტებში ეს სტიქია კვლავ „წმინდა ქაოსთან" არის გატოლებული, თანაც შეხმიანებული „წმინდა რუსულ ფერთანაც", „წმინდა ქართულ ნდომასთანაც".

იმავე 1927 წლის კიდევ ერთ, უკვე სულ სხვა ხასიათის ლექსში კვლავ იელვებს პეტერბურგის — ამჯერად ერთი მისი ხატის — ზმანება: თითქოს პუშკინისეული ბრინჯაოს მხედარი მოწყდაო კვლავ თავის კვარცხლბეკს და ამჯერად, თავის ცხენთან ერთად ადამიანთა უბედურების შემყურე, — ზევსური სიმაღლიდან ჩვეულებრივ ადამიანად გადაქცეული წარმოსდგა პოეტის წინაშე:

ცხენი მიანგრევს ხიდეებს ჩლიქით,
მაგრამ უეცრად სცქვიტა ყურები,
მისი თვალები აივსენ — იქით
ადამიანურ უბედურებით...
მის თვალწინ გაკრთა მსუბუქი მწკრივი:
ეთამაშება ნაკადებს თევზი,
იყო მხედარი — ჩვეულებრივი —
კაცი — ვით კაცი, და არა ზევსი.

რადგან პუშკინის სახელი ვახსენეთ და პეტერბურგის დამფუძნებელის სახებამაც გაიელვა გალაკტიონის ლექსში, გავუყვეთ კვლავ პეტერბურგის მოტივთა კომპლექსს და ისიც გავიხსენოთ, რომ გალაკტიონის თხზულებათა მეშვიდე ტომში პირველად გამოქვეყნებულ პოეტის არქივში მოძიებულ ლექსებში ეს თემა მეტად მკაფიოდ ჟღერს. ერთი ამ ლექსთაგანი ასე იწყება:

მარქვით, სადაა ნევის ასული, ის ტატიანა
მზის დასადარი?
სადაა ნორჩი პუშკინის სული, ანუ დელვიგი,
მარქვით, სად არი?
ამწვანებული ტყის ბინადარი, ნისლით
მარადის დაუბინდელი,
ძველი ლიცეის ექო სად არი?

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 10.

შემდეგ ამ ლექსში ერთმანეთს მოსდევს დეკაბრისტებისა და ჩაადაევის, კვლავ პუშკინისეული ონეგინისა და ლენსკის გახსენება. მეორე ლექსი კი პირდაპირ ასეა დასათაურებული — „ფიქრი ისევ პეტერბურგია".

ამ გაზაფხულზე (ო, მეც არ ვიცი,
რა საჭიროა წერილის წერა),
კარგი დღეები გატაცებისა ვერ დავივიწყე,
ვერა და ვერა.
ფანჯრიდან ვიღებ ძველი თოვლის ფიფქს
და გახურებულ შუბლს თოვლში ვმალავ;
ფიქრი ისევ პეტერბურგშია და ქიმერები
ნევის, ჰრელთვალავ.
აიშლებიან მრავალნი ქარნი და ედებიან
გულს ნიაღვრად,
თავისთავს თვითონ მე ვეკითხები:
კაცთ ჰყვარებიათ, მაგრამ ამგვარად?

დაახლოებით 1957 წელს, შეიძლება ითქვას ცხოვრების მიწურულს, გალაკტიონი კვლავ აცოცხლებს ლექსში „ისმენდა ნევა ტყვიების ხმაურს" სანუკვარი პეტროგრადის სახებას:

მაგრამ სხვა დღეთა რისხვას და ნგრევას
ვისმენდი, როგორც ისმენდა ნევა
ტყვიების ხმაურს;
ყინვა გამვლელებს სუნთქვას სტაცებდა
და ქარი ხიდზე აბარბაცებდა
დაღლილ მეზღვაურს
და გამარჯვების მზეს მონატრული,
მიმომავალი გზებზე პატრული
აბრისად სჩანდა;
როცა სინათლის გამოჩნდნენ ზოლნი
და პეტერბურგის სახლებზე სმოლნი
გადაილანდა.

მეტად ნიშანდობლივია ლექსის დასასრულთან მიახლოებული სტრიქონები, სადაც მკითხველის წინაშე წარმოსდგება სახე პოეტისა, რომელმაც თითქოს თავის თავს უხმო „მომავლის რკალიდან", რათა ელაღადა, ხმამაღლა ეთქვა მის სულსა და გულში „სიცოცხლის ძალით" ჩანერგილი „ნაგრძნობი სიტყვა":

მაშინ პოეტმა თითქოს უკვდავი
გამოიძახა თავისი თავი
გამოიძახა სიტყვა ნაგრძნობი
მასთან დამარხულ, მასში განგრძობილ
სიცოცხლის ძალით...

ვის გულისხმობს გალაკტიონი ამ რევოლუციური პეტროგრადის გზებზე „მიმომავალი პატრულის" შემყურე, მასთან ერთად „გამარჯვების მზის მონატრულ" პოეტში? იქნებ „თორმეტთა" ავტორს? იქნებ თავისთავს? იქნებ ორივეს ერთად — ანუ საერთოდ რევოლუციის დამსწრე და მისი „სიტყვით" შემგრძნობ და გამომხატველ მგოსანს? ყველა ვარაუდი (და სამივეც ერთად!) დასაშვები და კანონზომიერია.

ამ ლექსს მოსდევს (ან უსწრებს — ორივე ერთუამინდელია) მეორე, უფრო განზოგადებული გახსენება ქალაქისა ნევის ნაპირზე, სადაც თავისებური თანამიმდევრობით არის ნახსენები ისტორიული სამსახეობა ამ ქალაქისა: პეტერბურგი — პეტროგრადი — ლენინგრადი:

...მახსოვს ნევა,
ქარიშხალი,
თეთრი ღამე, ზამთრის ქურქი,
კვლავ მსოფლიო სულის ქალაქს
ეწოდება
პეტერბურგი.
მე ვიგონებ
ცხრაასჩვიდმეტს,
ლენინს...
სმოლნი, ცხადზე ცხადი,
მსოფლიოში
ბურუსი ვლის,
პეტროგრადი,
პეტროგრადი.
დიდება ცას,
დიდება გზას,
სად ბრწყინვალე და დიადი,
ოქტომბერის დიად დროშით
ალიძართა
ლენინგრადი...
ოქტომბრის მზე,
ლენინგრადი.

ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე, იმ „ათი დღის" წიაღ და შემდგომ, რომელთაც „შესძრეს კაცობრიობა", მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთათვის მომავალზე რომანტიკული ოცნება უხშირესად ჰერბერტ უელსისა და ჯეკ ლონდონის უტოპიებს არ სცილდებოდა, მაგრამ გალაკტიონმა, ალექსანდრ ბლოკთან, ვალერი ბრიუსოვთან და ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად უტოპიათა მსხვრევისა და ახალი სინამდვილის დამკვიდრების ჟამს არა „წყვდიადით მოსული რუსეთი" განჭვრიტა, არამედ ამ წყვდიადის გამრღვევი „ჯერ არნახული ცისკრის" გაელვება. ამიტომაა, რომ გალაკტიონი იქვე — 1919 წელსვე — ეწაფება ბრიუსოვის ლექსის „ამხანაგ ინტელიგენტებს" პირველი ნახევრის თავისებურ თარგმან-ვარიაციას (თხზულებათა II ტომში იგი შეტანილია როგორც გალაკტიონის საკუთარი ლექსი):

ჯერ კიდევ გუშინ შენ თავზე იდევ,
როდის ხომალდი აუშვებს აფრებს,
უელსს, ჯეკ ლონდონს, ლეროუს და კიდევ
ვის არ უსმენდი მომხიბვლელ ზღაპრებს?
შენ პეტერბურგის ტრაგიზმის მარში
გიყვარდა, როგორც წარღვნების ბედი
და არ იცოდი ცეცხლში თუ ქარში
დაინგრეოდა შენი რუსეთი.

...გესმის ქუხილი — ათასწლოვანი
სიმაგრეები ჩაინგრა, გაქრა,
თოვლით დაფენილ რუსეთის ველებს
ჯერ არნახულმა ცისკარმა გაჰკრა.

ბრიუსოვის ლექსის მეორე ნაწილი გალაკტიონს არ უთარგმნია. როგორც ვიცით, ეს იყო შერისხვა იმ ინტელიგენტებისა, ვინც ზურგი შეაქცია თავისუფლების მოსაპოვებლად ამდგარ ხალხს (აქ ბრიუსოვმაც თავისებურად გაიმეორა ბლოკის ფილიპიკა „ინტელიგენცია და რევოლუციიდან"):

То, что мелькало во сне далеком,
Воплощено в дыму и гуле...
Что ж вы коситесь неверным оком
В лесу испуганной косули!

Что ж не спешите вы в вихрь событий —
Упиться бурей, грозно-странной?
И что ж в былое с тоской глядите,
Как в некий край обетованный?

Иль вам, фантастам, иль вам, эстетам,
Мечта была мила, как дальность?
И только в книгах, да в лад с поэтом
Любили вы оригинальность?

გალაკტიონმა, როგორც ვთქვით, ბრიუსოვის ლექსის ეს ნაწილი არ თარგმნა, მაგრამ ცოტა გვიან თავისებურად მიმართა მათ, ვინც ვერ შეისმინა „რევოლუციის მუსიკა" და „ვერ შეიფერა მზე" კარს მომდგარი მომავლისა:

ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა,
ვერ შეიფერეს მზე კონებისა...
და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა,
ქვეყანა ბნელი დემონებისა.
მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა,
რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს
და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა,
იქნება ლანდი ლიუციფერის.

აქაც, ლექსებშიც, ლიტერატურულ მანიფესტებშიც გალაკტიონი, ბლოკი, ბრიუსოვი გულისწყრომით, სიმწრითა და ხშირად რისხვით იხსენიებენ (ან პირდაპირ მიმართავენ) მათ, ვინც „ჯერ კიდევ გუშინ" ლექსად თუ ლიტერატურულ სალონებში ოცნებობდა მომავალ „ქარტეხილებზე", მაგრამ ელჭექის პირველ დაქუხებისთანავე „შიშველ ხელმწიფედ" წარმოსდგა ხალხის წინაშე.

ბლოკი წერდა: „ჩვენ გვიყვარდა ეს დისონანსები, ეს ზარი და გრგვინვა, ეს მოულოდნელი გრადაციები... ორკესტრში. მაგრამ თუ ჩვენ ისინი მართლაც გვიყვარდა, და არა მხოლოდ ნასადილევს მოდური თეატრის დარბაზში გულის მოსაფხანად და ნერვების გასალიზიანებლად, — ჩვენ უნდა შევისმინოთ და უნდა გვიყვარდეს ეს ჟღერა ახლაც, როცა იგი მსოფლიო ორკესტრიდან მოისმის; უნდა შევისმინოთ და შევიცნოთ კიდეც, რომ ეს ჟღერა იგივეს გვამცნობს და გვაუწყებს, კვლავ იგივეს. მუსიკა ხომ სათამაშო არაა; ხოლო ის ქინკა თუ გაიძვერა, რომელსაც ეგონა, რომ მუსიკა — სათამაშოა — ახლაც მოიქცეს ისე, როგორც გაიძვერას შეჰფერის: ძრწოდეს, კანკალებდეს, ფეხქვეშ ეგებებოდეს, ვისაც ჯერ არს, მლიქვნელობდეს, დარაჯობდეს თავის დოვლათს" (აქვე აღვნიშნოთ, რომ „მსოფლიო ორკესტრის" ამ ფორმულას გალაკტიონიც გაიზიარებს და ერთი თავისი რევოლუციური პოეტური რკალის ლაიტმოტივადაც აქცევს).

„მთელის არსებით, მთელის გულისყურით, მთელის შეგნებით — უსმინეთ რევოლუციას" — ბლოკის ეს მოწოდება, რომელიც 1918 წლის იანვარში გაისმა, ყურად იღო ძველი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც არ დააბრმავა „დიდმა ცოდვამ — ქედმაღლურმა პოლიტიკანობამ" და რომელიც იმ ისტორიულ ჟამს „დადგა იქ, სადაც ქარიშხალი..." — ხალხის, სამშობლოს, რევოლუციის მხარდამხარ. აი, როდის გახდა განსაკუთრებით თვალსაჩინო ჩვენს მიერ არაერთგზის მინიშნებული სულიერი ნათესაობა ამ ორ, უაღრესად ერთვნულ და თვითმყოფ პოეტს შორის. ორივემ აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია, ორივე გულისყურით უსმენდა ისტორიის მიწისქვეშა ბიძგებს, ხოლო შემდეგ წრფელი სიხარულით მიეგება მის ვულკანურ ამოხეთქვას. სიმბოლისტური სკოლის პოეტებმა, მათ მედიუმიური მახვილგრძნობიერებით მიანიჭეს თავიანთ ლექსებს ახალი ეპოქის მაგნიტური მუხტი — და მათი სტრიქონები უმალ ათრთოლდნენ მოულოდნელი რიტმული მაჯისცემით, მათი პოეტური სახეები წამსვე განათლდნენ, დაკრისტალდნენ, ასახეს თავიანთ ალმასისებრ წახნაგებზე რევოლუციურ გაელვებათა კაშკაში — სროლის ცეცხლი და ლამეულ კოცონთა ციალი. გალაკტიონი ბლოკის მონათესავე იყო სულიერი ლტოლვით, ადრე შეგრძნებული და გააზრებული შინაგანი თვისტომობით, რომელიც იმდენად ღრმა იყო, რომ უფრო შორსაც სწვდებოდა — გალაკტიონი ახლო იყო ბლოკთან იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელი მაიაკოვსკის ენათესავებოდა.

ჩვენ გვახსოვს თვით გალაკტიონის მიერ „ჯონ რიდში" აღნუსხული სინქრონული პარალელი: „თორმეტი, „ალექსანდრ ბლოკის", „რამდენიმე დღე პეტროგრადში" ჩემიო". ამჯერად, უკვე არა სინქრონულ, არამედ თავისებურ ტიპოლოგიურ „სქემიდან" გამომდინარე, ჩვენ ასეთ ტრიადას მოვხაზავდით:

ბლოკის „თორმეტნი“, მაიაკოვსკის „150.000“, გალაკტიონის „ჯონ რიდი“.

მართლაც, დეტალების რაოდენი სიზუსტე და სიმახვილეა „ჯონ რიდში“, სადაც ყოველი სახე გაოცებთ პოეტური კონკრეტულობით და ამავე დროს აღწევს ჭეშმარიტად სიმბოლურ განზოგადოებათა მასშტაბს! დარღვეულია ლექსის წონაზომიერი ჟღერადობა, თეთრი ლექსი ენაცვლება ვერლიბრს, ვერლიბრი — გარითმულს, ყველა მოქალაქეობრივი უფლება ენიჭება ახალ პოეტურ ენას:

დეპეშა!
დეპეშა!
დეპეშა!
რევოლუცია!
ამბავი!
პეტროგრადიდან!
კრემლი იდუმალ
იწყებს მზადებას.
მოსკოვი შფოთავს —
რომ გაუთენებს
საკადრის დღეებს
კაცობრიობას:
და თვითეული
ფიქრობდა მაშინ:
აჰა, საცაა
აიწყვეტს რაში!..

ქართველი პოეტი ხატავს ძველი რუსეთის პერსონიფიცირებულ ტრაგიკულ პორტრეტს, რომელშიც ჩვენ შევიცნობთ იმ „დაძონძილი მათხოვრის“ («нищий оборвиш») ნაკვთებსაც, რომელიც მაიაკოვსკის „ასორმოცდაათ მილიონში“ ვნახეთ. მაგრამ აქაც, გალაკტიონის პოემაში, „დაძონძილი მათხოვარი“ შემობრუნდება აღმსდგარ, ამბოხებულ გოლიათად და შორეულ საქართველოს დესპანი პოეტიც თავისი მოსკოველი თანამოკალმის (და ქუთაისელი ბავშვობის ამხანაგის) მსგავსად „რუსოფილური გრძნობითაც კი „განიმსჭვალება“ ამ „გაქანების შემყურე“ («даже зарусофильствовал от этой шири»):

ნეტავი
იყოს სადმე ასეთი გამბედავი,
როგორც ეს რუსის კაცი,
მეტად მართალი —
წინად კი, თითქო იყო მხდალი
და უბედური.
მაგრამ დასძახეს
მძლავრი და სასტიკი:
ალსდეგ!
რუსეთი დაიძრა,
მომთმენი რუსეთი,
ავადმყოფი, ცოცხალ-მკვდარი
რუსეთი დგება!..

ვფიქრობ, ზედმეტია აქ „თორმეტიდან“ პეტერბურგის ქუჩებში მიმავალი წითელი რაზმის ალწერა. ის კი ნათელია, თუ როგორ გადაახალისა და გაამრავალფეროვნა რევოლუციამ ბლოკისა და გალაკტიონის არა მარტო შინაგანი სამყარო, შინაარსი მათი შემოქმედებისა, არამედ როგორ განაახლა მან თვით მათი სიტყვა, მათი ლექსი და პოეტიკა. ძნელია, ერთის შეხედვით, იცნო „ჯონ რიდში“ ნატიფი „არტისტული ყვავილების“ ავტორი, ისევე, როგორც ძნელი იყო „თორმეტში“ ცნობა ავტორისა წიგნის „მშვენიერ ბანოვანზე“. ნუ გავიგებთ ამას ისე, თითქოს არაა არავითარი კავშირი გალაკტიონისა და ბლოკის ძველ და ახალ ნაწარმოებთა შორის. კავშირი არის და მეტად ღრმაც. მაგრამ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ ხაზგასმით, ათმა დღემ, რომელთაც შესძრეს სამყარო, შესძრეს ბლოკისა და გალაკტიონის პოეტური სამყაროც.

ბლოკი — გალაკტიონი — მაიაკოვსკი..., ერთ თავის წერილში ტიციან ტაბიძე კანონიერად აახლოებს ბლოკსა და ანდრეი ბელის და ასკვნის, რომ „მათ იგრძნეს კაპიტალისტური ქვეყნის დაღუპვა და ორივეს სიხარულის ოხვრა აღმოხდათ გულიდან, როცა ოქტომბრის ქარიშხალმა გადაუარა მოიკას, ასე დაიწერა ოქტომბრის პირველ დღეებში (ზუსტად 1918 წლის 28 იანვარს — გ. მ.) ა. ბლოკის „თორმეტი“ და „სკვითები“ (1918 წლის 30 იანვარს — გ. მ.)“. სხვა შემთხვევაში ტიციან ტაბიძე ბლოკისა და მაიაკოვსკის სიახლოვესაც აღნიშნავს საგანგებოდ: 1917 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში ვბრუნდებოდი, მატარებელში ვკითხულობდი მაქსიმ გორკის გაზეთ „ნოვაია ჟიზნს“, რომელშიც დაბეჭდილი იყო მაიაკოვსკის პოეტური ქრონიკა — „რევოლუცია“. ამ ნაწარმოებში უკვე იყო ალ. ბლოკის „თორმეტნისა“ და „სკვითების“ პათოსი“.

ამასთან ერთად ტიციან ტაბიძე აღნიშნავდა ბლოკის „ტრაგიკულ გაორებას“, რამდენად ზუსტია ეს განსაზღვრა — სხვა საკითხია. ეს გარემოება ღრმა განმარტებას მოითხოვს, რადგან იგი ეხება იშვიათი მთლიანობის პიროვნებას, ჰარმონიის რაინდს და „ჰარმონიის პირმშოს“. მაგრამ ალექსანდრ ბლოკი — მეოცე საუკუნის ჰამლეტია და „შურისგების“ კომპლექსიც ხომ მის პოეზიაში „ჰამლეტურ“ პრიზმაშია გარდატეხილი. მან ხომ თვითონვე აღიარა 1914 წელს:

Я — Гамлет. Холодеет кровь,
Когда плетет коварство сети,
И в сердце первая любовь
Жива — к единственной на свете

Тебя, Офелию мою,
Увел далеко жизни холод,
И гибну, принц, в родном краю
Клинком отравленным заколот.

ფოტოსურათიც კი არის შემონახული, სადაც ბლოკი მოყვარულთა სპექტაკლში ჰამლეტის როლშია აღბეჭდილი... ცხადია, ეს წვრილმანი და შემთხვევითი დამთხვევა იქნებოდა, უფრო მნიშვნელოვან კონტექსტში რომ არ გვიხდებოდეს მისი გააზრება. ესეც დეტალია, მაგრამ ამავე კონტექსტში საგულისხმოა, რომ ბლოკისა და გალაკტიონის ათიანი წლების ლექსებში ხშირად გვხვდება ოფელიას სახებაც. ბლოკის ამ ლექსზე ადრე — 1911 წელს — გალაკტიონმაც იკისრა „ჰამლეტობა“ და „ჰამლეტის ქნარით“ (ლექსიც ასე დაასათაურა) მიმართა ოფელიას:

ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია,
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე,
დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!
მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! — ის ცის უარმყოფელია...
წადი... წადი მონასტერში! მონასტერში ოფელია!..

და შემდეგ მასვე — „მონაზონ ქალს ოფელიას“ — მიმართა მან მეორე ლექსშიც:

გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა
სტიროდე ადამ, სტიროდე ევა.
დასწვით, დასდაგეთ, ოცნების ფერფლი,
ბოროტი სულის მსხვერპლი ხარ, მსხვერპლი!
სევდით იცვალა თრთოლა ციების,
ღმერთი თარეშობს შურისძიების!

ძნელი დასანახი არაა გალაკტიონისა და ბლოკის „ჰამლეტობისა“ და მათი „ოფელიების“, ისევე როგორც ამ ტრაგიკული კოლიზიის გამომწვევი არა პირადი, არამედ სოციალურ-ზნეობრივი სიტუაციის აშკარა სიახლოვე.

ბლოკის (და, რა თქმა უნდა, გალაკტიონის) გაგება, როგორც „ჰამლეტური“ პიროვნებისა, გვაძლევს შესაძლებლობას განსაკუთრებული სიმძაფრით და საგანგებო სიმახვილით აღვიქვათ და განვიცადოთ მისი ლირიკული მონოლოგები — ისინიც, რომელთაგან „სისხლი გვეყინება“ და ისინიც, სადაც „ცოცხლობს ტრფიალი“. და განა „შურისგებისა“ და „თორმეტის“ პათოსი „ჰამლეტური“ მოვლენა არაა? «Боязнь и жажда развязки» — — აი, როგორ დაახასიათებს გვიან ამ განწირულ სულისკვეთებას, „აფეთქებით“ დამუხტულ, გარდატეხის მოლოდინითა და წინათგრძნობით გამსჭვალულ ხანას ბლოკის ცხოვრებასა და პოეზიაში ერთი მისი ღირსეული მემკვიდრეთაგანი, ტიციან ტაბიძის უახლოესი მეგობარი ბორის პასტერნაკი:

Зловещ горизонт и внезапен,
И в кровоподтеках заря,
Как след незаживших царапин
И кровь на ногах косаря.

Нет счета небесным порезам,
Предвестникам бурь и невзгод,
И пахнет водой и железом
И ржавчиной воздух болот...

...Когда над большою столицей
Край неба так ржав и багрян,
С державою что-то случится,
Постигнет страну ураган.

Блок на небе видел разводы
Ему предвещал небосклон
Большую грозу, непогоду,
Великую бурю, циклон.

Блок ждал этой бури и встряски,
Ее огневые штрихи
Боязнью и жаждой развязки
Легли в его жизнь и стихи.

აქ თითქოს არა მარტო ბლოკის, გალაკტიონის ანალოგიურ მოტივთა კომპლექსიცაა ნაგულისხმევი და იგი ადვილად შეიძლება ამოიკითხოს საქმეში ჩახედულმა მკითხველმა. ბლოკისადმი მიძღვნილ ამავე პოეტური ციკლის მეორე ლექსში კი, თავისუფლების „ქარის“ ხსენებისას, პასტერნაკი დასძენს:

Тот ветер повсюду. Он — дома,
В деревьях, в деревне, в дожде,
В поэзии третьего тома,
В «Двенадцати», в смерти, везде.

ამ „ქარმა“, ამ პათოსმა გამოხატა უნახავი ძალით რუსული ინტელიგენციის ყველაზე უანგარო, სინდისიერი და, ამავე დროს, გამჭრიახი, სამშობლოს ბედიღბალთან წილნაყარი ავანგარდის ბედი და სულისკვეთება. ქარიშხლის მოლოდინი და „აფეთქების“ წყურვილი კი მწიფდებოდა ბლოკის სულიერ არსებაში თვით მისივე გენიალური ფორმულის მიხედვით:

ზიზღი მწიფდება ვითარცა რისხვა,
რისხვის მწიფობა კი გახლავთ ჯანყი.

ასეთი თავგანწირული წინსწრაფვა იგრძნობა სწორედ „მესამე ტომის“, პოეზიაში — წრეგადასულ ზიზღად ძრწის იგი „შემზარავ სამყაროში“, „ქვათა მსხვრევას“ გვამცნობს მძლე „იამბებში“, სულის უმაღლეს მწიფობას ავლენს „სამშობლოში“, რისხვად მწიფდება „შურისგებაში“ და ჯანყის ქარიშხლად მძვინ-

ვარებს უკვე „თორმეტთა“ და „სკვითთა“ წიალ.

ამ შემზარავ ქვეყნად კი პოეტი ევედრება თავის ბედის ვარსკვლავს:

Ты, знающая дальней цели
Путеводительный маяк,
Простишь ли мне мои метели,
Мой бред, поэзию и мрак?

Иль может лучше: не прощая,
Будить мои колокола,
Чтобы распутица ночная
От родины не увела?

იგი ხელთ აღაპყრობს ლოცვა-ლალადით თავის მფარველ ღმრთისაკენ, პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ სწორედ მას რომ გადააფარა გრძნეული ფრთები:

В томленьи твоем исступленном
Тоска небывалой весны
Горит мне лучем отдаленным
И тянется песней зурны...

...И в горном закатном пожаре,
В разливах синеющих крыл,
С тобою, с мечтой о Тамаре,
Я, горний, навеки без сил...

და იგი, თავის „შემზარავ სიზმართა მჭვრეტი“, ეძებს სიმწყობრეს „ალვირახსნილ გრძნობათ მორევში“, რათა მოუვასმა „სტრიქონთა ფერმკრთალ ათინათებით ქვეყნის დამდაგველ ხანძარს მიაგნოს“. გაბედითებაც აღარ აყოვნებს და მტკიცე სწრაფვაც —

Идут часы, и дни, и годы,
Хочу стряхнуть какой-то сон,
Взглянуть в лицо людей, природы,
Рассеять сумерки времен.

„იამბებში“ ეს მისწრაფება უკვე თვითშეგნებად ჰქუხს და ლაღადებს:

О, я хочу безумно жить:
Все сущее увековечить,
Безличное — вочеловечить,
Несбывшееся — воплотить!

იგი მიმართავს „ისტორიის თხუნელას“, რომლის ზანტმა და აუჩქარებელმა ზნემ თუ ხასიათმა ხალხის გუშინდელი — ცხრაას ხუთი წლის აზვირთების მომდევნო — მარცხი დაუშვა:

Эй, встань и загорись и жги!
Эй, поднимай свой верный молот,
Чтоб молнией живой расколот
Был мрак, где не видать ни зги!..

Как зерна, злую землю рой
И выходи на свет. И ведай:
За их случайною победой
Роится сумрак гробовой.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჭერჭერობით კი:

В голодной и больной неволе
И день не в день, и год не в год
Когда же всколосится поле,
Вздохнет униженный народ?

ხოლო რამეთუ ეს ოცნება ჭერ არ აუხდა, პოეტი ზიზღით უარყოფს პილატეს რჩევას — დაივიწყოს „შემზარავ სამყაროს“ არსებობა, სილასავით გააწნის გარეწრებს თავის მგოსნურს — „არა, არასდროს არ დავივიწყებთ!“ — და კვლავ იამბად გამოჰკვეთს და გამოსჭედს არჩევანის თავისუფლების მტკიცე ფორმულას:

Да. Так диктует вдохновенье:
Моя свободная мечта
Все льнет туда, где униженье,
Где грязь и мрак, и нищета...
...На непрогладный ужас жизни
Открой скорей, открой глаза,
Пока великая гроза
Все не смела в твоей отчизне, —
Дай гневу правому созреть,
Приготовляй к работе руки...

ბლოკი მზად იყო ასეთი „შრომისათვის“ ამ სიტყვის პირდაპირი და მის მიერვე ნაგულისხმევი ერთადერთი მნიშვნელობით. „თორმეტნი“ და „სკვითები“ ხომ გენიალური პოეტური კონცენტრაციაა სწორედ ამ შრომისა თუ სამუშაოსი („დღეს მე გენიოსი ვარ!“ — ჩაიწერა ბლოკმა დღიურში „თორმეტთა“ დამთავრებისას). ეს ასეა, მაგრამ გადავხედოთ და ჩავწვდეთ ბლოკის თხზულებათა ბოლო ტომებში თავმოყრილ პროზას — მის დღიურებს; უბის წიგნაკებს, მიწერ-მოწერას 1917-1921 წლებით დათარიღებულს: ამ ეპოქის რუსული ლიტერატურა ვერ დაგვიმოწმებს ამის ბადალ ადამიანურ დოკუმენტს, რომელიც თვით ისტორიის ალსარებადა ჟღერს. ბევრი რამ ამ მასალიდან თავის დროზე უცნობი იყო და გვიან გამოქვეყნდა (გარდა ზოგიერთი მოხსენებისა და წერილისა). მაგრამ საქმე არც ამაშია, საოცარი და ნიშანდობლივი სულ სხვაა: მთელი რიგი ბლოკის პუბლიცისტიკის, ჩანაწერებისა და მიმოწერის იდეებისა და დასკვნებისა მეტად მოულოდნელ, ხშირად სინქრონულ პოეტურ განსახიერებას პოულობს გალაკტიონის იმჟამინდელ ლირიკაში. ეჭვსგარეშეა, რომ უფრო გვიანაც, როდესაც თვით საქართველოში შეიქმნა 1917-1920-იანი წლების რუსეთის ანალოგიური ვითარება, გალაკ-

ტონი უკვე შეგნებულადაც ეხმიანებოდა მისთვის ახლობელ და თვისტომ ბლოკისეულ ფორმულებსა და მოტივებს და პოულობდა მათთვის საკუთარ პოეტურ განსახიერებას. ასე აიტაცა მან, როგორც ვთქვით, ბლოკის „მსოფლიო ორკესტრის“ მოტივი და საფუძვლად დაუდო იგი ერთ თავის მნიშვნელოვან რევოლუციურ პოეტურ რკალს. ცნობილ ლექსში კი „ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“, სადაც ცხრაას ჩვიდმეტი წელია სწორედ აღწერილი, იგი მოგვცემს უნებლიე პოეტურ პარაფრაზს ბლოკის თუნდაც ასეთი გაშლილი მეტაფორისა:

„ნაკადი, მიმალული მიწის წიაღში, უჩუმრად რომ მდინარებდა წყვდიადსა შინა — აჰა, კვლავ ჩქეფს და ხმოვანებს, ამ ხმაურში კი ჟღერს ახალი, ჯერ არსმენილი მუსიკა-ჰანგი... როდესაც ა ს ე თ ი ჩანაფიქრები, ადამიანის სულში, ხალხის სულში ოდითგანვე ჩამალულნი, ჰგლეჯენ მათს შემბორკავ ხუნდებს და მჩქეფარე ნაკადებად მიექანებიან, სტეხენ ჯებირებს, შლიან, რეცხავენ ნაპირთა ზედმეტ არტახებს — აი, რას ჰქვია რ ე ვ ო ლ უ ც ი ა... იგი ენათესავება თვით ბუნებას... რევოლუციას, როგორც მრისხანე გრიგალს ან თოვლიან ქარბუქს, მუდამ თანსდევს სიახლე და მოულოდნელობა...“

გალაკტიონის ლექსში კი, რომელიც მაქსიმ გორკის მოგონებას ეძღვნება და უფრო მეტიც — სადაც თვით გორკის თვალითაა აღქმული „რევოლუციური ნაკადის“ სანახაობა („მგზავრი“ — ეს თვით მაქსიმ გორკია), ჯერ ნაჩვენებია თითქოს და უბრალო მგზავრის სურათი, რომელიც ტრამვაის მოლოდინში ბოძს მიყრდნობია. და ეს თითქმის იმპრესიონისტული ჩანახატი უცებ შემობრუნდება ჩვენსკენ სულ სხვა სანახაობით: მგზავრის წინაშე ერთმანეთს ცვლიან დღენი, და რევოლუციის მუსიკის ის მიწისქვეშა გუგუნი, რომელსაც შეისმენდა მხოლოდ პოეტის მახვილი სმენა, გაისმის უკვე როგორც აშკარა, მიწის წიაღიდან ამოხეთქილი, ბორკილაყრილი სიმფონია რევოლუციისა. ნაკადულები ერთ დიდ ნაკადად შეერთდნენ და ამოილვარნენ, რათა ძველი სამყაროსათვის გამოეთხარათ ძირი.

ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი
გათეთრებული თოვლიან მხრებით
და იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი
თავის ქარიშხლით და ამბოხებით...
...თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის
მრავალ მიუვალ გზებით ფარული
ათიათასი ნაკადი გაჩნდა,
მჩქეფი, ანკარა და მოხარული.

აქ არც ისე ადვილი შესამჩნევია (ჩვენ არ მოგვყავს წმინდა პეიზაჟური სტრიქონები), თუ როდის ენიჭება თითქოსდა ჩვეულებრივ ჩანახატს შინაგანი სიმბოლური პულსაცია და როდის იქცევა ზამთრის პეიზაჟი თვით დროის სურათად და სახე-ხატად; იქნებ მაშინ, როდესაც „ასიათას მდინარის გულის შეერთებამ უწია ერთ ნაკადად და „მიწით აღმოსკდათ ხმა მაგიური“?

გზებიც გაიხსნა მაშინ, პიალა!
ჰაიდა, გასწი: მკაცრი, ულევი,
მეწყერად, ღვევად და ხეტიალად
ამოილვარა ნაკადულები:
რა ხანა იყო: რა უკმარობას
ჰქუხდა და გმობდა გაათრებული,
რასაც მიწისქვეშ ჰფარავდა გრძნობას
ასიათასი მდინარის გული.
არა მისტიურ ფერით ფარული,
არა ოცნება და ზეფირები,
არამედ ნაღდი და რეალური
დაჰქონდა ხიდი და ჯებირები...

...ბლოკი კი ასე ანვითარებდა თავის აზრს „რევოლუციის მუსიკის შესახებ: „მხატვრის საქმე და მხატვრის ვალია — დაინახოს ის, რაც ჩანაფიქრშია, შეისმინოს ის მუსიკა, რომლითაც სჭექს „ქარით დაფლეთილ-დაგლეჯილი ჰაერი“. რა არის კი ჩაფიქრებული? ყველაფრის გარდაქმნა. ყველაფრის ისე მოწესრიგება, რომ ყოველივე განახლდეს და გადახალისდეს, რომ ბინძური, ყალბი, ცრუ, მოსაწყენი და გულშემზარავი ცხოვრება ჩვენი — სამართლიანი, ხალასი და ხალისიანი, წმინდა და მშვენიერი გახდეს.. .ვაი მას, ვინც რევოლუციაში მხოლოდ საკუთარ ოცნებათა განაღდებას ეძიებს, რაოდენ მაღალნი და კეთილშობილნიც არ უნდა იყვნენ ეს ოცნებანი... იგი ბევრს გაუცრუებს იქნებ იმედს, ადვილად დაასახიჩრებს თავის ღვართქაფში ღირსეულს, ხოლო. უვნებლად გამორიყავს სამშვიდობოზე ვინმე ულირსს, მაგრამ ეს მისი კერძო გამოვლენაა, რაც ვერ შესცვლის ვერც ნაკადის საერთო გეზს, ვერც იმ მრისხანე და გამაყრუებელ გუგუნს ჩაახშობს. ნაკადს რომ ახლავს; ეს გუგუნი კი მაინც მუდამ — დიადს გვაუწყებს, დიდზე მეტყველებს“.

ამ თავის მართლაც რომ დიალექტიკურ დასკვნა-ფორმულას ბლოკი მხოლოდ რევოლუციას უსადაგებს, რევოლუციური აზვირთების ზენიტს მოარგებს და არ აცხადებს მას ყოველი დროისა და ვითარების საზომად. ამიტომაც 1918 წლის იანვარში ნათქვამ ამ სიტყვების შემდეგ, უკვე 1919 წლის მარტში, მაქსიმ გორკისადმი მიმართულ საიუბილეო მისალმებაში, იგი არა ნაკლები სიბრძნითა და გამჭრიახობით აღნიშნავდა:

„ნება მომეცით ვუსურვო ალექსი მაქსიმეს ძეს ნიჭი და მადლი იმისა, რომ არ განერიდოს მას მკაცრი, მრისხანე და სტიქიური, მაგრამ აგრეთვე მოწყალე და ქველი სული მუსიკისა, რომლის ერთგულიცაა იგი მუდამ, როგორც მხატვარი. ვინაიდან, გოგოლის თქმისა არ

იყოს, თუ კი მუსიკამაც მიგვატოვა. რაღა მოელის მაშინ ქვეყანას? მხოლოდ მუსიკას ძალუძს შეჩერება სისხლისღვრისა, რომელიც მოსაწყენ უხამსობად იქცევა. თუ კი აღარ არს წმიდათა წმიდა ალტყინება და ზეშთაგონებით გადარევა".

ასე მიმართა ბლოკმა გორკის, მაგრამ მანვე იცოდა კარგად, თუ რა ეთქვა თუნდაც ზინაიდა გიპიუსისათვის, რევოლუციის მუსიკა რომ შეაჩვენა და თვით ბლოკიც აღარ დაინდო სიძულვილით დაბრმავებულმა:

Женщина, безумная гордячка!
Мне понятен каждый ваш намек,
Белая весенняя горячка
Всеми гневами звенящих строк!
...Страшно, сладко, неизбежно, надо
Мне — бросаться в многопенный вал,
Вам — зеленоглазою наядой
Петь, плескаться у ирландских скал.
Высоко — над нами — над волнами —
Как заря над черными скалами —
Веет знамя — Интернационал!

ეს ლექსი **1918** წლის ივნისშია დაწერილი, ხოლო იმავე წლის იანვარში (თითქოს და „წმინდა" რუსულ „თორმეტთა" დამთავრებისას) ბლოკს ჩანიშნული ჰქონდა დღიურში: „ვისაც სძულს ინტერნაციონალიზმი, მას არა გაეგება რა ეროვნული ძალისა". რევოლუციის მესამე წლისთავზე — **1920** წლის **24** ოქტომბერს — ბლოკი ლექსითვე მიმართავს თავის ლექსებს:

Неситесь! Буря и тревога
Вам дали легкие крыла...

ხოლო სიცოცხლეში უკანასკნელ პოეტურ სტრიქონებში იგი კვლავ ეღოღიავება საფიცარ სახელს პუშკინისას:

Пушкин! Тайную свободу
Пели мы вослед тебе!
Дай нам руку в непогоду,
Помоги в немой борьбе!

Не твоих ли звуков сладость
Вдохновляла в те года?
Не твоя ли, Пушкин, радость
Окрыляла нас тогда?

„შთაგონებამ" და „აღფრთოვანებამ" უკარნახეს ალექსანდრ ბლოკს თავისუფალი არჩევანი და მტკიცე გადაწყვეტილება, ბრძნული დასკვნა თუ სპეტაკი ოცნება, რომელნიც მართლაც რომ თავგანწირული სულისკვეთებისა და სულიერი თავდადების ნიმუშად და მაგალითად უნდა მოვლენოდნენ იმ საბედისწერო გზაჯვარედინზე რუსეთსა და მსოფლიოს.

პუშკინი... ორმოცდაათიანი წლების მიწურულს გალაკტიონ ტაბიძეც მიაპყრობს კვლავ მას გულთმისნურ მზერას. ერთ მის ამ ბოლოჟამინდელ ლექსში ხდება ფანტასმაგორიული შეხვედრა პუშკინთან, რომელიც მოელანდება მას რომელიღაც კაფეს ფანჯარაში:

კაფეს სახე ადევს ბუჩქის,
საიდანაც ვხედავ მთმენელს,
დიდ პუშკინს, მოკლულ პუშკინს,
პოეტს ბრძენს და შეუცდენელს.
მაგრამ ბუჩქი სხვაროგია,
შერჩეული სხვაგვარ ჰავას,
იქ — პუშკინი ტარიგია,
აქ — ვილაცა ითხოვს ყავას.
აქ ხომ ჩანგი არ იმღერის
არც მიღწევას, არც ლანაკლისს,
იქ — დამბაჩა ბედისწერის,
აქ — ჩხრიალი დანა-ჩანგლის.
ძველი არის ეს ამბავი,
მაგრამ მარად ახალია,
გულგრილობა დასდევს შავი,
რაც კარგი და მაღალია.

ეს თავისებური განშტოებაა გალაკტიონის მუდმივი ფიქრისა პუშკინზე (ცოტა ადრე ხომ მან პუშკინისადმი მიძღვნილი დიდი პოემის წერაც წამოიწყო, თუმცა ბოლომდე ვერ განახორციელა ჩანაფიქრი). პუშკინზე ფიქრი კი ბლოკზე ფიქრსაც ესალბუნებოდა ხშირად გალაკტიონის შეგნებაში. საკუთრივ ბლოკის სახებასა და მოვლინებას გალაკტიონმა მთელი თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე პირდაპირ თუ მოარულად არა ერთი ლექსი და მითუმეტეს სტრიქონი უძღვნა. „ასი ლექსის პროლოგის" გარდა, სადაც ჩვენთვის კარგად ნაცნობ საგულისხმო კონტექსტში ბლოკი „პოეტ-მეფედ" არის აღიარებული, ამავე წლის ლექსში „რუს პოეტს", სადაც ტექსტში ბალმონტის სახელია ნახსენები, ხელნაწერის პირვანდელ ვარიანტში ბლოკის სახელი იკითხებოდა და ლექსიც მთლიანად ასე ჟღერდა:

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი,
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის,
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი
პალადინები ერთი იმედის.
თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი,
დაბინდებული ნისლით და ყინვით,
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი:
შენ — შენი თოვლით, — მე ჩემი ღვინით.
მე მივმართავ ბლოკს, მივმართავ შელლის,
რომ არ გვაშორებს მხოლოდ სართული,
უდაბურება კალუგის ველის
და მწუხარება ჩვენი, ქართული.

ჩემის აზრით, სათანადო სტრიქონში „ბლოკის" „ბალმონტით" შეცვლა არ ცვლის ლექსის საერთო მისამართს, რადგან ამ სტრიქონში ბალმონტი შელლისთან ერთად არის, ასე ვთქვათ, „მოწმედ" დასახელებული და ბლო-

კიც სწორედ ამიტომ არის წაშლილი პირველ საშავო ვარიანტში და შეცვლილი ბალმონტით: „რუს პოეტად" კი, რომლისადმი მიძღვნილია მთლიანად ლექსი, მაინც ბლოკი რჩება. ასეთი ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, საკამათოა, მაგრამ, ვფიქრობ, სავსებით დასაშვებია და ლოგიკურია.

...1921 წლის 7 აგვისტოს, როდესაც შეწყდა გულისცემა ალექსანდრ ბლოკისა, ორი ქართველი პოეტი, თანაბარ მისი მოტრფიალე, თავისებურად გამოეხმაურა ამ მართლაც რომ „ულვთო სიკვდილს". გალაკტიონმა ჯერ თორმეტ სტრიქონად შეაჯერა უსაზღვრო მგლოვიარებაც, ყოვლის განმჭვრეტი სიბრძნის სიმწარეც და ამაყი რწმენაც პოეტის სულის ფენიქსისებრი უკვდავებისა, რწმენა იმისა, რომ „ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება":

ეს ოცნება არის ჰრელი
ფიქრი ბნელი ღამისა,
აღარ არის მენესტრელი,
უნაზესი დამისა.
იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი,
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი.
მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ,
ოცნება თუ გშორდება,
ყოველივე იგი ისევ
ისე განმეორდება.

საგულისხმოა, რომ ბლოკს გალაკტიონმა, მკაფიო ასოციაციის ძალით, ბარათაშვილისებური და თავისივე გალაკტიონური განწირული სულისკვეთების განცდა დაუკავშირა „ყორნების ჩხავილის" ვითარებაში, კვლავ თავისი ავტოპორტრეტული „ნაწვიმარ სილაში ვარდი" მიუსადაგა „თოვლით სილას მინებებულ" მგოსნის ხატსა და საერთო „გენეტიკური კოდიც" გაშიფრა რომანტიკული „ნოვალისის ყვავილის" მინიშნებით, რათა ლექსის დასკვნითს სტრიქონში, პოეტის ბედის განწირულების აღიარების მიწყივ, ბრძნული, ისტორიული წინათგრძნობაც გამოეხატა „ოცნებათა" მარადი აღდგომისა და „განმეორების" ქადაგებით.

ამას მოჰყვა გალაკტიონის ორი ლექსი, რომლებიც პოეტის 1927 წლის ერთტომეულში „ეს ოცნება არის ჰრელის" მომდევნო გვერდებზე იყო მოთავსებული. ერთი ლექსია „ხსოვნას":

მოუწოდეს იმას ძველად
ზარები რომ დარეკოს,
რომ სიმღერა მთა და ველად
გრგვინვით გადაარეკოს.
იგი დაფნის იყო ღირსი,
დიდი ცეცხლით იწოდა,
მაგრამ ყოფნა მაინც მისი
გაქრა უმაისოდა.

ამ ლექსშიც და მის მომდევნო ლექსშიც — „პოეტს" — თითქოს წინასწარ აღიარებულია მოტივი „ახი ლექსის პროლოგიდან", სადაც ბლოკი „ტახტებს" მოშორებულ ემპირეებზე მაღლა არის დაყენებული და „პოეტ-მეფედაა" აღიარებული. „პროლოგი" 1925 წელსაა დაწერილი, მაგრამ უკვე 1922 წლის დასაწყისში, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის" პირველ ნომერში" აქვეყნებს (ე. ი. 1921 წელსვე წერს) გალაკტიონი „სამწუხარო მარტიროლოგს", რომელიც გვიან თითქმის მთლიანად აქვს გამოყენებული „პროლოგში". უკვე აქ მოცემულია ჩვენთვის საინტერესო მოტივი — „გარდაიცვალა მეფე რუსეთის პოეტებისა ალექსანდრ ბლოკი". სხვათა შორის, გალაკტიონის ეს მცირე საჟურნალო მასალა გვიადვილებს ზემოთ ხსენებული ლექსის „პოეტის" (ისევე, როგორც ლექსისა „ხსოვნას") დათარიღებისას. აი, ეს ლექსიც:

ო, შენს გარეშე ვერავის გახდის
ბედი უკვდავად ცეცხლის მინაში,
თავს მოწიწებით ვხრი შენი ტახტის
დაუჭკნობელი დაფნის წინაშე.
დიდება იგი ძლიერი არი,
ამაოება — დროის მგმობელი,
მარადის იგი ხმოვანებს ქნარი
მარადის ცეცხლის საგალობელი.

„ახი ლექსის პროლოგთანაა" დაკავშირებული ზოგიერთი მოტივით „პროლოგზე" გვიან დაწერილი ლექსიც, სადაც „რა საოცარი დასრულდა წლების" ვარიანტად — „საოცარია ეს წელიწადი" გვევლინება (რაც, სხვათა შორის გალაკტიონისავე „სამწუხარო მარტიროლოგს" უფრო უახლოვდება). ამ ლექსში შეჯამებულია ბლოკის პოზიცია 1905 წელსა და 1917 წელს, როდესაც მან თანაბარი სოციალური გამჭრიახობა გამოიჩინა და პოეტურ კალამსაც გაანდო თავისი გულისძგერა და გულისნადები. აი, ეს ლექსიც:

მან მოიტაცა ველები თოვლის
ფეერიული თვალით მნათები,
ხან ნიაღვარი ცხრაას ხუთისა,
ხან პეტროგრადის ბარიკადები.
ყვიროდა ცეცხლი და კანონადა:
შენი მარადი სული რუსული.
კვნესდნენ ველები უკრაინისა
და კრემლი ცეცხლით გადატრუსული.
თუ მართლა წამის წყვდიადში წადი,
თუ მართლა სიკვდილს მიეცი ხელი —
საოცარია ეს წელიწადი,
საოცარია ცხოვრება მთელი!

გალაკტიონის ბლოკისადმი მიძღვნილ ლექსებში მართლაც რომ ცოცხლობდა და ხმოვანებდა იმედი, რომელიც ღირსი იყო ალექსანდრ ბლოკის სახელის, ხსოვნის და უკვდავებისა.

გალაკტიონი პირველი თავისი ლექსით 8 აგვისტოს პირველივე გამოეხმაურა ბლოკს. ტიციან ტაბიძემ კი მეორე დღეს ასე გამოიტირა გამოსათხოვარ წერილში სულისჩამდგმელი ახალი რუსული პოეზიისა და დროის გულთმისანი მესაიდუმლე:

„ეს იყო ყველაზე უფრო მოულოდნელი, უეცარი და უაზრო სიკვდილი, ისევე, როგორც სკრიაბინისა. რუს პოეტებს ჯერჯერობით ვერ მოუნახავთ სიტყვები გარდაცვლილ პოეტზე. მაგრამ ზარი იქნება ალბათ და ზარი ღირსეული... მისი გენია პუშკინის ჰარმონიით შეიცავდა ყველა შესაძლებლობას... პეტერბურგის ნისლი და თოვლის სითეთრე მან ბრწყინვალედ გადმოგვცა ლექსებში და ეს თითქმის სასწაულის ექვივალენტია. ბლოკში იყო მოლოდინი დიდი რევოლუციის... ოქტომბერი ბლოკისთვის სრულიად არ იყო მოულოდნელი. ამიტომ არის, რომ მისი „სკვითები" ახალ მანიფესტს ჰგავს, აქ არის რევოლუციის გამოძახება და ქადილი..."

იმავე ჟამს გლოვითა და მწუხარებით მოცული პაოლო იაშვილი ანდობს თავის გულისნადების გადმოცემას მის მიერვე ნახევრადმოგონილ პოემ ქალს ელენე დარიანს, რომლის სახელითაც შექმნა მან მთელი წყება ლექსებისა. ლექსი კი ასე იყო დასათაურებული — „წერილი ანა ახმატოვას" და იწყებოდა სწორედ „სამძიმარით":

მე მინდა გითხრა სამძიმარი,
    რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩუმი და მძინარი
    მეცა ვარ ბლოკთან.
ჩამოდი ჩემთან, მე მგონია
    ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
    გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და მშვენება
    გიშველის ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
    წასული პრინცი...
...ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
    ლოყებს აგითებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
    თამარის თითებს.

თითქმის სამნახევარი ათეულის წლის შემდეგ სიმონ ჩიქოვანმა უკვე ასე გაიაზრა ბლოკის ფენომენი და ასე გამოხატა მისი სულ ახალ და ახალ თაობათათვის შეუქმფინარება:

„ყოველთვის, როცა ჩვენ ვიხსენებთ ან ვახსენებთ რუსული პოეზიის მშვენებასა და სიამაყეს — ალექსანდრ ბლოკს, ჩვენ გვიპყრობს წმინდა და შეუბღალავი, „ნათელი მწუხარებით" ოდნავ შეფერილი გრძნობა ალტაცებისა. მისი სახე, მისი იერი თითქოს გვეჩატება შორეულ, ქარბუქიან, ქარტეხილიან დღეთა წიაღ და, კვლავ ცოცხლად აღმდგარი, პირისპირ გვიახლოვდება, სულ უფრო ახლოს გვევლინება. ჩვენს გულთა სიღრმეშიც ახალდება მაშინ ბლოკთან ნათესაური [illegible] განცდა და გვაგონდება ბლოკის [illegible] პირველი შეხვედრები, ოდეს ეს ლექსები „მოულოდნელი სიხარულივით" შემოიჭრნენ ჩვენს სულსა და გულში, რათა სამარადჟამოდ დამკვიდრებულიყვნენ იქ, ჩვენს არსებასთან საუკუნოდ შეთვისებულნი. ამ ლექსთა სტრიქონები კი გახდნენ ჩვენი ცხოვრების ერთგული და განუყრელი თანამგზავრები. თან არც არის თითქოს სავალდებულო ბლოკთან სრული შეხმატკბილება. იგი არაფერს არ გაიძულებს და არ გაძალებს. შეგეძლო არ დასთანხმებოდი რაიმეში, მაგრამ არ შეგეძლო არ გყვარებოდა. იგი ძალდაუტანებლად შეგაყვარებდა თავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სტრიქონები გამოკვეთილია უბადლო ოსტატის ჯეშთაგონებული ხელით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი პოეზია უმაღლესი და უნატიფესი გემოვნების ნიშანი და ლასტურია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მელოდიურია და ახალ ბრწყინვალე თავფურცლად გვევლინება რუსული ლიტერატურისა, არამედ იმიტომაც, რომ ამ პოეზიის საფუძველთა საფუძველს შეადგენს თვით სულის მელოდიურობა, სულის მუსიკა, კაცთმოყვარეობის ჰანგი, ადამიანის მომავლის რწმენა, უზენაესი ჰუმანიზმის უკვდავი სულიერი სტიქია".

თავის მემუარულ ნარკვევში მაიაკოვსკიზე სიმონ ჩიქოვანი იგონებდა იმას, თუ როგორ კითხულობდნენ მაიაკოვსკისათვის ახალგაზრდა ქართველი პოეტები მის ლექსებსაც და ბლოკის ლექსებსაც და რომ თვით მაიაკოვსკი ჩაერთო ამ საერთო „ფერხულში" და ბრწყინვალედ წაიკითხა ბლოკის რამდენიმე ლექსი. შემდეგ კი სიმონ ჩიქოვანი დასძენს:

„ბლოკის პოეზიამ გაამდიდრა არა მარტო რუსული ლიტერატურა, მან ღრმა კვალი გაავლო მთელი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურათა ცხოვრებაში. ბლოკის პოეზიამ ყველგან მიაგნო მისთვის სულიერად მონათესავე მგოსანს. ბლოკის სულიერ სამყაროსთან თვისტომობას იმთავითვე გრძნობდნენ ავეტიკ ისააკიანი, პაველ ტიჩინა და მაქსიმ რილსკი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი. გალაკტიონ ტაბიძემ მას ხომ „პოეტი-მეფე" უწოდა. ბლოკის ლექსები გავლენას ახდენდნენ პოეტების მთელს თაობებზე — უშუალოდაც და მრავალრიცხოვან თარგმანთა მეშვეობითაც. ახალგაზრდა პოეტთა ნაწილი კი მივიდა ბლოკთან მაიაკოვსკის დახმარებით, მისი პოეზიის „შუამდგომლობით", რომელიც შინაგანად ეგზომ ახლო იყო ბლოკის პოეზიასთან და გარკვეული მნიშვნელობით მისი საუკეთესო, უძლიერესი თვისებების გაგრძელებასაც წარმოადგენდა".

მეტად საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის უფრო

კერძო ხასიათის შენიშვნები და [illegible] სხვა მის წერილებსა და ნარკვევებში, სადაც გააკვლეულია ბლოკის „გენეტიკური" კავშირი მის წინამორბედებთან (ლერმონტოვი) და „მემკვიდრეებთან" (პასტერნაკი). საქმე ეხება კერძოდ, პასტერნაკის ლექსს „დემონის ხსოვნას":

„...პასტერნაკს ქართული თემა პირველად ლერმონტოვისადმი ლტოლვამ და სიყვარულმა გამოუცხადა.. „დემონის ხსოვნაში"... ჩვენ გვაოცებს ქართული თემის მეტად თავისებური ალქმა და განხორციელება, და ეს თავისებურება, იქნებ უნდა აიხსნას ვრუბელის უხილავი თანდასწრებით. ან იქნებ აქ გამომჟღავნდა სიახლოვე ბლოკის „დემონთან", რომელიც ავლენს აგრეთვე ვრუბელისეულ ხილვა-ჩვენებასთან ნათესაობის ნიშნებს, — პირველად ხომ ბლოკის დემონის ფრთებზე დაეშვა ჩრდილი მისი ვრუბელისეული ორეულისა... ასე თუ ისე ქართულმა თემამ პასტერნაკის პოეზიაში საკმაოდ ადრე იჩინა თავი, ბევრად ადრე, ვიდრე პოეტი უშუალოდ შეხვდებოდა საქართველოს, და ამ თემამ ღრმა ფესვები გაიდგა მისი სულისა და არსების წიაღ".

სხვა შემთხვევაში, სიმონ ჩიქოვანი, აღნიშნავს რა თვისებებს, რომლებიც „ღებულობენ დასაწყისს ლერმონტოვთან. მაგრამ თავისებურად მჟღავნდებიან ჩვენი ეპოქის განსხვავებულ მგოსანთა შემოქმედებაში — დაწყებული უკვე ბლოკით მაიაკოვსკით და პასტერნაკით", ასე ავითარებს ამ თემას:

„საქმე განა მარტო იმაშია, რომ ყოველმა მათგანმა დაწერა თავისი „დემონი", ლერმონტოვის სახე — ხატთან მიმართებით და მისგან გამომდინარე. საქმე პოეტურ წინამორბედთან შინაგან თვისტომობა-ნათესაობაშია. ბლოკიც, რომელიც გვამცნობს თავის „დემონში" «о невероятных виденьях», მაიაკოვსკიც, დემონისა და თამარის სახეების ირონიული გააზრების მიუხედავად რომ გამოგვიტყდება მაინც ასეთსავე ნათესაობაში («мы общей лирики лента»), და „დაო ჩემო, სიცოცხლეო" პასტერნაკისა, რომელიც ლერმონტოვს ეძღვნება და „დემონის ხსოვნით" იწყება, — ყველა ისინი — ყველანი თავისებურად — ენათესავებოდნენ დიდებულ წინაპარს თუ წინამორბედს, რომელმაც თავის დროზე შეხედა ქვეყანას ისე, როგორც ეს გამოთქვა ბლოკმა უკვე თავის 1916 წლის „დემონში":

Да, я возьму тебя с собою
И вознесу тебя туда,
Где кажется земля звездою,
Землею кажется звезда.

И онемев от удивленья,
Ты узришь новые миры —
Невероятные виденья,
Создания моей игры».

აქ, ისე როგორც ჰამლეტის ფენომენთან მიმართებებში, ბლოკი დემონთან აიგივებს თავს (როგორც ვიცით, გალაკტიონმაც „მოიზომა" თავის თავზე ჰამლეტის სახება). ეს ერთადერთი შემთხვევა როდია ბლოკის პოეზიაში, რაც ამჟღავნებს და ქმნის მასში გარკვეულ სახეობრივ-ზნეობრივ კომპლექსს. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენს მიერ სხვა კონტექსტში ერთხელ უკვე დამოწმებული ლექსი (ისიც „დემონად" დასათაურებული). იქ ხომ დემონის მონოლოგი უკვე პირდაპირ ლერმონტოვისეულ საქართველოში იყო გადმოტანილი (რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სიმონ ჩიქოვანის კონცეფციის სიზუსტეს):

В томленьи твоем исступленном
Тоска небывалой весны
Горит мне лучом отдаленным
И тянется песней зурны.

На дымно-лиловые горы
Принес я на луч и на звук
Усталые губы и взоры
И плети изломанных рук.

И в горном закатном пожаре,
В разливах синеющих крыл,
С тобою, с мечтой о Тамаре,
Я, горний, навеки без сил...

და რაც ჩვენთვის საგანგებოდ ყურადსაღებია, ისე, როგორც ჰამლეტის ფენომენის „გათავისებისას", ბლოკთან ერთად, გალაკტიონიც მიმართავს არაერთხელ დემონის სახეხატს, იახლოვებს მას „ჩემს დემონს" უწოდებს, ალიქვამს მას თავის მფარველ ძალად, თავს აფარებს. გავიხსენოთ თუნდაც გალაკტიონის „ცხრაასთვრამეტი":

სასტიკი იყო ჩემი დემონი,
არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,
ანგელოსები უდემონი
ტიროდნენ გზათა მოუვალობას.
და მივვაფრენდა, ლოცვათ მაგიერ,
ფრთიან ქიმერთა გვიანი ჯარი,
ოჰ, ვერასოდეს გვერდს ვერ აგიარ
მე, უდროობის იანიჩარი.
არ გასვენებდა ახალი დარდი
და თრთოლვარებდნენ შენი ბაგენი,
რომ დავებარა ლურჯი შტანდარტი,
რომ ავეემართა სხვა კართაგენი.

როგორც ვხედავთ, აქ „დემონის" სახე ისტორიულად ბევრად უფრო მძაფრ და დრამატულ კოლიზიაშია გამოვლენილი, ვიდრე ბლოკთან, რაც, რა თქმა უნდა, არ ასუსტებს არც მათ „ნათესაურ" კავშირს და არც მათ ლერ-

მონტოვისეულ საწყისებთან შეხმიანების ძა-ლას. აი, კიდევ ერთი შემთხვევაც გალაკტიო-ნის „შეხვედრისა“ „მის“ დემონთან — ეს უკვე 1921 წელს:

მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით
ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი,
სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით
ისევ მეძახის ჩ ე მ ი დ ე მ ო ნ ი.

„ჩემი დემონის“ სახე აქ მით უფრო საგუ-ლისხმოა, რომ ამ ლექსის საშავო ვარიანტს პირველი სტროფიც გააჩნია და იგი ასე იკი-თხება:

იმ შემოდგომამ დადგა კედელი,
არა სიცივემ და სიობლემა,
მან გადაწყვიტა გადუწყვეტელი
ყოფნა არ ყოფნის ჩვენი პრობლემა.

ამ სტროფების გათვალისწინებით კი „ჩემი დემონის“ მოტივი ჰამლეტისეული „ყოფნა-არყოფნის“ მოტივს ეხმიანება და კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში საზოგადოებრივ-სო-ციალურ ჟღერადობასაც იძენს.

ისევე, როგორც „ცხრაას თვრამეტში“, გა-ლაკტიონის ერთ შედარებით გვიანდელ (1925 წლის) ლექსში, სადაც კვლავ რევოლუციური — „ცეცხლის კანკელის“ — სიტუაციაა წარ-მოდგენილი, „დემონი“ კვლავ ისტორიის ლა-ბირინთიდან მომავლის სინათლისაკენ გზის გა-ვნების მონაწილე და მოწმე ხდება:

დაუნდობელად თვალებ-აშკარა
წინ მიდიოდა ცეცხლის კანკელი,
როცა დემონმა აალაშკარა
უდაბურება და ლრიანკელი
ძვირფასი შხამით სავსე ფიალა
მე გამოვცალე ქვეყნად, მეგონა.
სულში გრიგალმა გადიგრიალა,
სამუმს სამუმი გადაეკონა.
ვერ დავუკავე მერანს სადავე,
გულმა ხალისი ველარ დამალა,
მოვიდა გრძნობა და სისადავე!
ისევ დაბრუნდა ჩვენი ამალა!

მე მინდა გავიხსენო კიდევ ორიოდე სტრი-ქონი გალაკტიონისა, სადაც დასტურად სიმონ ჩიქოვანის აზრისა ლერმონტოვ-ბლოკ-ვრუბე-ლის „დემონთა“ ნათესაობისა და ამ აზრის გა-გრძელებად უკვე გალაკტიონის ნიადაგზე, კვლავ ელვარებენ თითქოს უპრეტენზიო იმ-პრესიონისტული ჩანახატის შემდეგ ვრუბე-ლისა და დემონის სახეები:

...ზამთარში ფანჯრის მინებზე
აყვავებული,
ფეერიული ყინვა,
რომელიც ასეთი სიყვარულით
უყვარდა ვრუბელს,
გენიალურ პალიადინს
დემონისა და
ცისფერი გედის.

სხვათა შორის ლერმონტოვის ხსენებისას გალაკტიონის მასთან უმტკიცესი სულიერი და პოეტური კავშირის დასადასტურებლად, ხან-დახან იმის დამოწმებაც კი კმარა, რომ გალა-კტიონი არ გაურბოდა ზოგიერთ ლექსში თა-ვისი სათაყვანო წინამორბედის ცალკეულ სტრიქონ-სახეთა ასე ვთქვათ „უბრჭყალებო“ ციტირებას. მაგალითად, ლერმონტოვის ერთი ცნობილი ლექსის პირველი სტრიქონი в глубокой теснине Дарьяли გალაკტიონს 1911 წ. ერთი ლექსის სათაურად და პირველ სტრი-ქონადაც აქვს აღებული — „დარიალისა ვიწ-რო კლდეებში თერგი მრისხანე, მახსოვს, ცრემლს ღვრიდა“ და ა. შ. ხოლო 1914 წლის ლექსში „ცად აზიდულა ვით მარმარილო“ — მეხუთე სტრიქონად აქვს განმეორებული. უფრო მეტიც: ამავე ლექსის მერვე და ბოლო სტრიქონიც ლერმონტოვის სხვა განთქმული ლექსის («Выхожу один я на дорогу») ბოლო სტრიქონის პირდაპირი თარგმანია: ესაუბრება ვარსკვლავი ვარსკვლავს («И звезда с звездою говорит»). რა თქმა უნდა გალაკ-ტიონს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პოეზიის ყველა მოყვარული იცნობდა ყველასათვის თანაბარ სათაყვანო რუსი პოეტის სტრიქონებს და ამით მან მხოლოდ თავისებურად გამოამ-ჟღავნა და ხაზგასმით, სააშკარაოდ დაადასტუ-რა ლერმონტოვისადმი თავისივე უსაზღვრო სიყვარული.

...გალაკტიონსა და ტიციანს კი კიდევ ერ-თხელ უწიათ ერთდროულმა თანხვედრამ ბლოკის „სასუფეველში“. — 1934 წელს, სა-ბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრი-ლობის ტრიბუნიდან ტიციან ტაბიძემ გაგვახ-სენა იმ დროისათვის არც თუ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ „ბლოკის „თორმეტნი“ და „სკვითები“ დღემდე ციაგე-ბენ ჩვენს წინაშე ლენინური სახკომსაბჭოს დეკრეტებივით“ და რომ „თუ ყრილობაზე ხშირად გაისმის სახელი მაიაკოვსკისა, არანა-კლები უფლება აქვს ამისა ალექსანდრე ბლო-კსო“. ტიციან ტაბიძის სასახელოდ უნდა ით-ქვას, რომ იგივე აზრი მან ჯერ კიდევ 1921 წელს გამოთქვა, მის მიერ გიორგი ლეონი-ძესთან ერთად შედგენილი ანთოლოგიის „რე-ვოლუცია და პოეტები“ წინასიტყვაობაში. ეს ანთოლოგია კი საქართველოში საბჭოთა ხე-ლისუფლების გამარჯვების მეორე დღესვე გა-მოქვეყნდა. ტიციანი წერდა: „ალ. ბლოკმა დასწერა თავისი „თორმეტნი“ და „სკვითები“ — ეს რუსეთის რევოლუციის აპოლოგიაა“. სიტყვამ მოიტანა და ამავე ანთოლოგიაში და-იბეჭდა „სკვითთა“ შალვა აფხაიძისეული თარ-გმანი, მალე კი ეს პოემა ვალერიან გაფრინ-დაშვილმაც თარგმნა.

...გალაკტიონი კი იმ დღეებშივე (როცა ყრილობა მიმდინარეობდა — ის ხომ ყრილობის დელეგატად არ არჩეულა) მოულოდნელად მიემგზავრება მოსკოვიდან ლენინგრადში და იქ თითქოსდა უმიზეზოდ თარგმნის თითქმის „თავისთვის" (რადგან არ აქვეყნებს და ხელნაწერებში ინახავს სათუთად) ბლოკის პოეტურ ანდერძს — „პუშკინის სახლს" გვიან კი ამ თარგმანს, გალაკტიონის თხზულებათა მეშვიდე ტომში აქვეყნებენ როგორც მის საკუთარ ლექსს!). აი, ბლოკის ეს ლექსი — „Пушкинскому Дому" გალაკტიონის მიერ თარგმნილი:

სახელწოდება პუშკინის სახლის
  იქ, სადაც ბრწყინავს აკადემია,
ეს ცნობა, ეს ხმა და მოწოდება
  გულისთვის განცდის ნაკადებია.
იგი რევაა ყინულთა დენის —
  დღესასწაულის მსგავს მდინარეზე,
გახმაურება, როს შორეულ გემს
  ეძახის გემი უწინარესი.
ეს ძველი სფინქსის თვალი და ფიქრი
  იმღვრევა ზვირთთა იდუმალ დენით;
ეს მხედარია, რომელიც მიჰქრის
  და მიჰქრის მარად უძრავი ცხენით.
ეს ჩვენი მწარე არის ვნებები
  იდუმალ ნევის სნეულ ვნებაში,
ოდეს წყვდიად დღეს ვეგებებოდით
ღამეთა თეთრთა ელვარებაში.
რა ალმოსეულ დღეთ სიშორეებს
  გვიშლიდა რხევა ნევის წყალისა,
მაგრამ ვეძახდით არა ამ დღეებს,
  არამედ დღეებს მომავალისას...
...და საიდუმლო თავისუფლებას
  პუშკინ, უმღერდი შენ თავის ქნარით.
მოგვეცი ხელი გასაჭირის დროს,
  ამ მუნჯ ბრძოლაში გვექმენი ფარად.
შენი არ იყო ის ხმა ფარული
  ტკბილის ჰანგებით რომ გვაქანებდა?
შენი არ იყო ის სიხარული,
  იმ ხანად ჩვენ რომ გვაფრთოვანებდა?
აი, რად ისმის ვით მოწოდება,
  რისთვის გულისთვის ნუგეშმცემია
პუშკინის სახლის სახელწოდება,
  იქ, სადაც ბრწყინავს აკადემია.
აი, რად, როცა მზე დამებინდა
  და წყვდიადია ჩემს ფანჯარაში,
თეთრი სენატის თეთრ მოედნიდან
  მსურს პუშკინის სახლს მივცე სალამი.

ეს თარგმანი საბოლოოდ დახვეწილი არაა, მაგრამ აქაც და მის კვალდაკვალ დაწერილ ლექსშიც — „ლენინგრადში" — გალაკტიონი თითქოს სულით და გულით ერწყმის, უერთდება ბლოკის არსებას, რათა მასთან ერთად — ერთსულოვნად და ერთარსად — შეეგებოს პუშკინს, მისგანვე მომლოდინე შემწეობისა და შვებისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რამდენიმე დღე
და რამდენიმე ღამე,
რაც გაოცებულ თვალებს
არ ეკარება რული,
ნევა — შუქების ტყეა,
სფინქსი — ცოცხალი რამე,
თეთრთა ღამეთა რკალებს
დღე ედარება სრული.
ყოველ ნაბიჯზე ვხვდები
აღფრთოვანებულ პუშკინს,
ის ნაპირებზე მიდის,
ახალ სახეებს ხედავს,
სუნთქვა ყოველი ბუჩქის,
ატორტმანება ხიდის
სცდება ბრინჯაოს მხედარს.
იქ, ამ ბრინჯაოს მკერდით,
აკადემიის გულში,
ჩემი სალამო ჰქუხდა,
როგორც მღელვარე ჩანგი.
აკადემია მკერდით
ჩემს ჩანგს იცავდა გუშინ,
აღფრთოვანების დუღდა
დაუვიწყარი ჰანგი...

ის ,რასაც თხოვდა სიკვდილის წინ პუშკინს აკადემიის პუშკინის სახელის შემყურე ბლოკი — „მოგვეც ხელი" და „დაგვიფარეო", გალაკტიონმა „მოირგო" თავის თავზე და ნატვრაც ასრულებულად ჩათვალა, როცა მას პუშკინის სახლში სალამო გაუმართეს, ლექსში კი მან პირდაპირ გაიმეორა საკუთარი თავის მიმართ ახდენილი ბლოკის ვედრების სიტყვები: „აკადემია მკერდით ჩემს ჩანგს იცავდა გუშინო".

ასე შეუერთდნენ კვლავ გალაკტიონის შეგნებასა და ბედში ქალაქი ნევაზე და მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის სახლი, პუშკინი და ბლოკი.

ასე შეისმინა ქართველმა ხალხმაც — გალაკტიონის გულისყურით — ალექსანდრე ბლოკის მიერ ახმიანებული მუსიკა პოეზიისა, მუსიკა სულისა, მუსიკა ისტორიისა და მომავლისა.

ჩვენც კვლავ და კვლავ გალაკტიონის სტრიქონებით შევეგებოთ მუდამდღე ალექსანდრე ბლოკის უკვდავებას:

ო, შენს გარეშე ვერავის გახდის
ბედი უკვდავი ცეცხლის მინაში.
თავს მოწიწებით ვხრი შენი ტახტის
დაუჭკნობელი დაფნის წინაშე.
დიდება იგი ძლიერი არი,
ამაოება — დროის მგმობელი,
მარადის იგი ხმოვანებს ქნარი,
მარადის ცეცხლის საგალობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რუხაია

# ნოჯიხეველი კაცის ამბავი

ხობში ჩასვლისთანავე ერთხმად მირჩიეს ცნობილი მექანიზატორი, 11 შვილის მამა, უკვე 80 წელს მიტანებული კაცი ვალიკო ქედია მენახა.

მახსოვს ჩემი პირველი შეხვედრა მასთან. ჭიშკრიდან გავძახეთ მასპინძელს მე და ჩემმა გამყოლმა. მესამე დაძახებაზე ლაფაროდან დაბალმა, მაგრამ მტკიცედ აღნაგმა კაცმა გამოიხედა, რომელსაც ხელში ნიჩაბი ჩაებღუჯა და უცხო სტუმრები ცნობისმოყვარე მზერით შეგვათვალიერა. შემდეგ უმალ მიიმალა და ხუთიოდე წუთიც არ გასულა, რომ ქვედა სართულის კარი გამოაღო და ჩვენსკენ გამოემართა. მას უკვე მოესწრო ხელების დაბანაც და ახალი, გამოსასვლელი პერანგის ჩაცმაც. მოგვიახლოვდა და პირღიმილიანმა გვითხრა — მობრძანდით, ჩემო ბატონო.

შინ შევყევით. სახელდახელო გაცნობის შემდეგ ჩვენი სტუმრობის მიზანი გავაცანი მასპინძელს და ვთხოვე ცოტა რამ მოეთხრო თავისი ცხოვრებიდან.

— სულ თავიდან დავიწყო? — მეკითხება მასპინძელი და ღუმელში შეშას უმატებს. მერე ადგილზე ჯდება, ფიქრობს... დიდი არაფერი მაქვს მოსაგონარი... რა არის ახლა ოთხმოცი წელი! თითქოს ბევრია შორიდან, ჰმ, მაინც არაფერი არ არის. კაცმა არ უნდა იფიქროს, თუ რატომ ცხოვრობს, რისთვის ან ვისთვის, ამ ქვეყანაზე, თორემ მალე დაბერდება, მოუკაკუნებს კარზე მოხუცებულობა... თუმცა რას ვამბობ, გამოვჩერჩეტდი ეს ოხერი... მაშასადამე, დავიბადე 1906 წლის 9 მარტს ძველი სტილით, ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ ნოჯიხევში. მამაჩემს ფუხულია ერქვა. მაგრამ მღვდელს მისთვის, ეტყობა ნათლობისას, იასონი დაურქმევია. დოკუმენტებში სულ იასონი ეწერა. დედაჩემიც, სალომე ჩიტაია, ნოჯიხეველი იყო. დედას და მამას ძმები არა ჰყოლიათ. თითო-თითო და ჰყავდა ორივეს. ჩემი და ლილი 1908 წელს დაიბადა, ლუბა — 1911, ხოლო შოთა, იგივე შალვა საბუთების მიხედვით, 1914 წელს... მამაჩემი 1916 წელს გარდაიცვალა, დედა — 1918 წელს. დავრჩით ობლები. მშობლებმა დაგვიტოვეს ხუთთვალიანი ოდასახლი, სამზადი სახლი ახალაშენებული, სამთვალიანი. ამ სამზადს სიგრძე 15 არშინი ჰქონდა, სიგანე — 12 არშინი. კოპიტის ხისა იყო... კი, ისლით გახლდათ დახურული. ოდა კი ყავრით. გვედგა მაღალი სასიმინდე, ორი სალორე, აგრეთვე საქათმე და სხვა პატარა ნაგებობანი. დიდი, მდელოიანი ეზო გვქონდა, რომელიც ორ ქცევა ტყეს ესაზღვრებოდა ოდის უკანა მხრიდან. ეზოში, ჩემო ბატონო, ხეხილი გვქონდა სხვადასხვანაირი: ვაშლი, მსხალი, თხილი, ნიგოზი, ადესის ჯიშის ვაზი... მახსოვს მსხლის ჯიშები — ღვაჭითა, ქანური, ღერკუნტაა, უჩა სხული, მაისის ბოლოს შემოდიოდა მაქირე სხული... ახლა ვაშლები... თურქული, ღვაჭითა, საპიჩო, ჭითა და, აგრეთვე, კვეტელე (ეს ტყის ვაშლია)... მამა ადესის ღვინოს აყენებდა. ჰქონდა მარანი თორმეტი ქვევრით. ქვევრი იყო ნახევარკოკიანიდან დაწყებული თვრამეტკოკიანამდე. ალბათ, იცი, რომ კოკაში 24 ლიტრია. ეს მარანი იყო იქ, სადაც დღეს ჩემი ედუარდის ეზოა... კი, აგერ, მეზობლად...

ვალიკო ქედიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 11 შვილი ჰყავს, 4 ქალი და 7 ვაჟი. აქედან ხუთნი —ეოერი, სვეტლანა, როლანდი, ვიტალი და დათო თბილისში ცხოვრობენ და მუშაობენ. ედუარდი და რომანოზი ხობში საქმიანობენ, ტანია ქუთაისშია, ძაფსაქსოვ ფაბრიკაში მუშაობს, ლენა სოხუმში, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატშია, ვალერი ომსკში ცხოვრობდა აქამდე, უკანასკნელ წერილში მშობლებს მოსწერა, მალე ჩამოვდივარ სამშობლოში საცხოვრებლადო; რაც შეეხება ვახტანგს, რომელიც ბელორუსიაში დამკვიდრდა და ასფალტის ქარხნის საამქროს უფროსია, ეძნელება საცხოვრებლის მიტოვება. ცოლი მანდაური ჰყავს, სახლ-კარი დიდებული უდ-

გას, ხელფასი მაღალი აქვს... ჩამოდიო, მამამ მისწერა... განა მე არ მინდა ჩამოსვლაო, უპასუხა წერილითვე, მაგრამ სად ვიშოვი მსგავს სამსახურს, ანდა ასეთ სახლს როგორიც ავაგებო...

— არ ვიცი, შეიძლება მართალია კიდეც, მაგრამ გული არ მიშვება მაინც, აქ მინდა, ჩემს გვერდით იყოს, — დასძინა ბატონმა ვალიკომ.

მრავალი შვილი! არიან თუ არა ისინი მშობლებისთვის სიხარულის, ნუგეშის, იმედის მომცემნი? შეიძლება კი მათი ისე აღზრდა, რომ საზოგადოებისთვის საჭირონი და სასარგებლონი იყვნენ? და საერთოდ, არის კი მიზანშეწონილი მრავალი შვილი ჰყავდეს კაცს, ხომ არ აჯობებდა სამის ყოლა და სამივეს ისე გაზრდა — დაკვალიანება, აუცილებლად ღირსეული წევრები რომ ყოფილიყვნენ თავისი ქვეყნისა?...

— მიფიქრია მე მაგაზე ბევრჯერ, ჩემი გლეხური ჭკუით, არ არის ეგ რთული საქმე, აი, პრობლემას რომ ეძახიან ხოლმე... კაცო, თუკი ბავშვი გაჩნდა, ვინ რა იცის, რა გამოვა მისგან, ხომ მართალია... მაგრამ მაგალითი კი უნდა მისცე! რა არის ახლა ეს მაგალითი? რა და შენი და შენი ცოლის ყოფა-ცხოვრება... კი, დიახ, დედ-მამის ყოფა-ცხოვრება. რასაც ბავშვის თვალი ნახავს მშობლების ქცევაში, ეს სიგნალი გადაეცემა ტვინს და იქ იმკვიდრებს ადგილს... მაგალითად, მე გზაში ვიპოვე თოხი, მოვიტანე შინ და ცოლს ვეუბნები, ქალო, აი, ვიღაცას დავარდნია თოხი, წადი, მეზობლებში გაიკითხე, ნივთს პატრონი მოუძებნე თქო... ამას ისმენს შვილი და, ცხადია, იმახსოვრებს ადვილად: სხვისი ნივთი შინ არ უნდა გააჩერო ,მიუტანე პატრონს! აბა, მე რომ მეთქვა, ვაშა, რა კარგია, თოხი ვიპოვე, გამოგვადგებაო, ჩემი შვილის სულში სულ სხვა ამბები დატრიალდებოდა. თუ რა ამბები, ამას ადვილად მიხვდები, რა თქმა უნდა... ესე იგი, რიგიანი ქცევით შენ, მშობელი, შენს მომავალს — კარგს, კეთილს, პატიოსანს, ფუძეს უყრი... ახლა ისე არ გამიგოთ, ჩემი შვილები მთლად ფილოსოფოსები იყვნენ, აი, გეტყვით ახლავე... 1979 წელია. მეურნეობის ფართობში პენსიონერებს გამოგვიყვეს სამი ჰექტარი მიწა. სიმინდია სამარგლავი. გაგვიკეთეს კულტივაცია, მარა მაინც სამარგლავია საკმაოდ. რომანოზი და დათო წავიყვანე ყანაში. ვმუშაობთ. ვხედავ, დათო სტოვებს აქა-იქ გამოსახშირ სიმინდს... რასა შვრები მეთქი, კაცო? კარგი რა, მამი, განა არ იცი სილოსიც რო საჭიროა... ახლა რომანს გავცქერი და ეს მამაძაღლი თითქმის სულ ჭრის, არა სტოვებს მცენარეს. შემოდგომაზე მოსატეხი არ იქნებაო... მე გაოგნებული ვდგავარ, ეგენი კი სიცილით იხოცებიან, მაგიჟებენ რაღა... კარგი, გავმარგლეთ ყანა. შინ მივედით. მე თოხი მივაყუდე ღობეს. ესენი კი მიდიან, გზას აგრძელებენ. ხაით მეთქი, შვილებო .აი, სალორეს ხომ ხედავ, იქით ტლაპოა, უნდა იქ გადავუსვათ თოხებს... ისევ ანგლობენ მამაძაღლები.

ახლა რა დასკვნას ვაკეთებ აქედან: სხვანაირ ცხოვრებას ხედავენ ახალგაზრდები ეზოს იქეთ. ერთმა ისიც მაკადრა, ჩამორჩენილი აზრები გაქვსო. ცხადია, ხმა არ გავეცი. ყველაზე დიდი პასუხი მშობლისა მისი ცხოვრების წესია. ხოლო რა არის ეს წესი? შრომა გულდადებული, სიმღერიანი, შენ ხარ ჩემი ბატონი, გულიანი, თუ გნებავთ... ზოგი შრომაში ტანჯვას ხედავს... მე ის კაცი მეცოდება, ვინც ფიზიკურად არ შრომობს, რადგან მან არ იცის დიდი საიდუმლო. მაინც რა არის ეს საიდუმლო? მთავარი შრომაში თვითონ შრომაა და არა ნაყოფი, მისგან მოწეული! ის ვინც ნაყოფზე ფიქრობს, შრომა ტანჯვად ესახება, უგემურად ცხოვრობს... არა, ნაყოფი, იცოცხლე, კარგია, მაგრამ ნაყოფსაც მილიონჯერ კარგი გემო ექნება, შენი ოფლისგან თუ მოდის...

მამაჩემი ყოველ შობა დღეს დილით ადრე შემიყვანდა მარანში და ლოცულობდა, პირჯვარს იწერდა, ამოიღებდა ხერკით ღვინოს და დალევდა. მე არ მასმევდა, ჯერ არ შეიძლებაო...

მამა ყოველ წელს დადიოდა ხობის მონასტერში ორი კვირით დასასვენებლად და სალოცავად, მარიობის თვეში, ძველი სტილით 15 მარიობას (აგვისტოს). მარაშინწუა დღეს აქ იმართებოდა დიდი ბაზრობა. წნელისაგან გაკეთებულ კარვებში ათევდა ერი ღამეს. კარვები ხაიათი იყო გადახურული. ბაზრობა ორ კვირას გრძელდებოდა. რას არ იყიდდით აქ: ფართლეულობა, სახელოსნო ნაწარმი, ჩასაცმელ-დასახური... ყველაფერი იშოვებოდა. იყო საქონლით ვაჭრობა, ცხენებით ვაჭრობაც... იყო მარულა, მუშაით-ჯამბაზები; იყო დუქნები გამართული ნაირ-ნაირი და გემრიელი საჭმელებით... ერთხელაც, წამიყვანა მარაშინობაში. იქ ხის ფიცრული შენობა იყო აგებული მოსულთა სადგომად, საბან-ლეიბი შინიდან გვქონდა წალებული, ცხადია. ერთად ვიწექით... უამრავი ერი ირეოდა. მამა კამფეტებს ყიდულობდა ჩემთვის. იყო დოლის ბაგუნი და ცეკვა-თამაში. მიყვარდა ცირკის ყურება, განსაკუთრებით კი კარუსელის ცხენებზე ტრიალი... ეს იყო 1914-15 წლები.

მენშევიკებმა ხობის მონასტრის ბაზრობა ხობში გადმოიტანეს. აქაც კარგი იყო, მუსიკა და სხვა გასართობები, მაგრამ, მგონია, მონასტერთან სხვა ეშხი ჰქონდა.

მამა საშუალო ტანისა გახლდათ, თეთრი ცხენი ჰყავდა. ეცვა ჩოხა-ახალუხი, წელზე ლეკური და სატევარი ერტყა. სატევარი ორი ჰქონდა — საგარეო და საშინაო. მამის საში-

ნაო სატევარი დღესაც ბალიშის ქვეშ მიდევს, მხოლოდ ქარქაში არა აქვს...

— სადაური სიტყვაა ეს „ქარქაში“, ვალიკო ბატონო?

— ჩვენებურია, ქართულია... წინათ ტყავისგან ან ლითონისგან კი არ აკეთებდნენ მას, უბრალო რქა იყო ცხოველისა... სახელიც ხომ მიგვანიშნებს მეგრულად — „რქარქაში“, ნიშნავს „რქისას“... კი, ნამდვილად... ახლა მეორეს გეტყვით. ხობისწყალზე რკინიგზის ხიდს რომ აგებდნენ, მუშებისათვის ბარაკები იყო ბევრი გამართული. მაშინ მუშკომს ვარლამ რუსია თავმჯდომარეობდა. აქ დგამდნენ წარმოდგენებს. ჰოდა, მსახიობებისთვის რუსიამ გვთხოვა ლეკური და სატევარი. ეს იყო 26 თუ 27 წლები. მაშინ დაგვიკარგეს მაგ მსახიობებმა ხმალიც, საგარეო სატევარიც და ვერცხლით გაწყობილი სარტყელიც...

მამამ კარგად იცოდა, მშობლიურის გარდა, უცხოური ენები, კერძოდ, რუსული, თურქული ,ბერძნული... კარგად მაგონდება — საახალწლოდ ყოველთვის დადიოდა ტრაპიზონში და ბლომად მოჰქონდა ფორთოხალი, ზეთისხილი, მანდარინი და სხვა ათასი რამ. კი, ფოთში ჯდებოდა გემზე და მიემგზავრებოდა თურქეთში... მამა ყოველ წელს სამკურნალოდ უწერას მიდიოდა. ჰქონდა მუცლის არეში ტკივილი. როცა სენმა ხელი დარია, მახსოვს, ლოგინში მწოლიარე ბლაოდა, საწყალი, ძროხასავით... გარდაიცვალა 1916 წლის თებერვალში. 53 წლისა... დედა 1918 წლის მარტში გარდაიცვალა. 36 წლისა. დედას დიდი სურვილი ჰქონდა სწავლული შვილები გავეზარდეთ. მე უნდა ვყოფილიყავი მკურნალი, მალარიისა და სხვა სენთაგან კაცის მომრჩენი, შოთა კი — მღვდელი. ხოლო ლილი და ლუბა — მასწავლებლები... საამისო საშუალება მშობლებს საკმაოდ გააჩნდათ — ჰქონიათ სენაკის ბანკში 600 მანეთი! ამით სურდათ ჩვენი სწავლის მოგვარება, მაგრამ, ბედშავებს, არ დასცალდათ...

ჟორდანიას დროს ჩვენ, ობლებს, მეურვედ დაგვინიშნეს პორფილე გერგაია, ხოლო ზედამხედველად კონსტანტინე ქუთელია. ეს იყო 1919 წელი. მეურვე პასუხისმგებელი იყო ზედამხედველის წინაშე, ხოლო ორივე — სასამართლოს (ხობში იყო) წინაშე. ამათ, პორფილეს და კონსტანტინეს, სურდათ ბანკიდან ფულის გამოტანა და ჩვენთვის საჭირო საგნების, ნივთების შეძენა. მაგრამ ბანკში უარი უთხრეს — ნიკოლოზის მოხელეებმა არაფერი დასტოვეს, სალარო ცარიელია, ჩვენ ახალი თანამშრომლები ვართო... ძალზე გაგვიჭირდა 1920-21 წლებში. არ გვქონდა სასმელ-საჭმელი, ტანისამოს-ფეხსაცმელი, ქვეშაგებელი...

მაშინ ჩვენმა მფარველებმა (ძალიან წესიერი კაცები იყვნენ) მთავრობას მიმართეს. მთავრობამ ურჩია თურმე, გაეყიდათ ჩვენი ოდასახლი. ოდისგან აღებული ფულით ჩვენ ორი წელი გვაცხოვრეს... კი, მაშინ სკოლაში დავდიოდი... სხვათა შორის, ის ჩვენი ოდა ამჟამად უდგას აი, აგერ, შოთა თათარაშვილს, შემიძლია გაჩვენოთ...

ღუმელში ცეცხლი გუზგუზებს. ვალიკო ჰქედია და მე დაბალ მაგიდასთან ვსხედვართ. მასპინძელი ღვინოს მისხამს მომცრო ჭიქაში, დალიეო, მაძალებს. ქალბატონი ლოლა, ჩემი მასპინძლის მეუღლე, ათასში ერთხელ შემოიხედავს, ქმარს თვალებში მიაჩერდება, ხომ არაფერი სწადიაო. მერე კი უხმოდ უჩინარდება სქელი ფარდების იქით. გარეთ კი, სოფლის ორღობეში, ბინდ-ბუნდი ჰკეცავს შავიისფერ ნაბადს, ძაღლების ომახიანი ყეფა იძირება ხობისწყლის ჭალებში...

— 1922 წელს დავანებე თავი სწავლას. IX კლასში ვიყავი მაშინ. ამ დროს სამი სული ძროხა გვყავს, ღორები, ქათმები, იხვები... რაც შემეძლო ვუვლიდი ძმასა და დებს. მალე, 1926 წელს, დაიწყეს რკინიგზის გაყვანა. ცხაკაია სოხუმს უნდა დაკავშირებოდა. ვმუშაობდი რკინიგზის მუშად...

— ბატონო ვალიკო, მეურვე და ზედამხედველი რანაირ დახმარებას გიწევდათ ობლებს?..

— ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, რომ მეურვე პორფილე გერგაია მამაჩემის ძმადნაფიცი გახლდათ. ისიც და კოსტა ქუთელიაც პატიოსანი კაცები იყვნენ, გვანუგეშებდნენ, ხშირად ჩვენს გვერდით ტრიალებდნენ, არავინ დაგჩაგროთო. გავიხსენებ პატარა ამბებს. ეს 1919 წლის ამბავია. მოგეხსენებათ, ამ დროს ყველას ჰქონდა თოფი სახლში. ზოგს რამდენიმე. ხოდა, მეზობლის ბავშვთან ერთად წავედი ეზოსუკანა ტყეში. იმ ბიჭს გატენილი საჭურველი მოაქვს. ვიცით, რომ ტყეში უგემრიელესი ჭანური მსხალი დგას, ცას რომ უწვდენს ტოტებს. იქვე, საპირე ვაშლი იწონებს თავს. განა არ შეგვიძლია ავცოცდეთ და მოვწყვიტოთ ნაყოფი, მაგრამ თავს იკლავს ის ბიჭი, უნდა ვესროლო და ისე ჩამოვაგდოო... თან მეუბნება, ახლა თოფი გავარდება, ყურებში თითი დაიცე, თორემ შეგეშინდებაო. ბახ და გავარდა „ვინტოვკა“. ზევით ვიყურები—მსხლებს ყურებიც არ გაუპარტყუნებიათ. ძირს დავიხედე და — არ აგდია მიწაზე ჩემი გულადი მეზობელი?! ერთი სიტყვით, მე შემექნა მოსაბრუნებელი. შიში სჭამა საკმაოდ. ჰო, რა მინდოდა მეთქვა. მეურვეს თოფის ხმა შეესმა თურმე. გულგახეთქილი მოვარდა. საქმეში რომ გაერკვა და ბიჭი სალსალამათად დაიგულა, მე მწვდა და ერთი-ორჯერ სახეში გამიტყაპუნა — რად გაყევი ამ ხელმარცხიანს, რამე რომ დაგმართნოდა, სოფელს რა პასუხს გავცემდიო... იცი, რატომ გვიტაცებდა თოფ-საჭურველი? ახლავე გეტყვით... არც ისე დიდი ხნის წინათ. ნიკოლოზ რუსთა მეფის დროს, სოფელ ბიაში, გლეხ ტარასი იოსევას ბინაში მისულან ყაჩა-

ლები, ნაბდიანები. ცეცხლზე გამთბარან იმ ღამით. დილით კი წასულან. ტარასი, ის ბედშავი, სტრაჟნიკებთან გაქცეულა... ჰო, მაგ აბრაგების გვარებია ქაჯაია და გელენავა. არ გასულა დიდი ხანი, დაუჭერიათ ყაჩაღებს ეს ტარასი. სადგისით ენა გარეთ გამოუყოფინებიათ, ჩემო ბატონო, და ძირში წაუჭრიათ, აწი მაინც არაფერი დაგცდებაო. ახლა სხვა ამბავს გეტყვი: — ჩვენს სოფელში, ლოლუა იყო, აზნაური ერთი. მანაც რაღაც შეცდომა დაუშვა აბრაგებთან. საერთოდ, ეს ლოლუა კეთილშობილი კაცი იყო, ღარიბების მწე და თანამდგომი .შეიძლება, ამიტომაც, ყაჩაღებმა მას მხოლოდ ცალი ულვაში მოპარსეს... ეს, მოგეხსენებათ, კაი კაცისთვის ენის მოჭრაზე ნაკლები შეურაცხყოფა კი არ არის... ხოდა, ვიკლავდით თოფ-საჭურველზე ყმაწვილები თავს! ახლა მეორედ რაზე მცემა პორფილემ, არ იკითხავთ? გადმოვიდა ჩემთან სხვა მეზობლის ბიჭი. თოფის სვირი მოიტანა. „სვირი" ლულაა მეგრულად. მოიტანა და კონდახზე დაამაგრა. მერე პატრონა ამოიღო, რომელსაც ფისტონი გამოვარდნილი ჰქონდა... ჩვენც ზევიდან ვტენიდით პატრონას. მერე სვირში ჩავსვამდით, მივიტანდით ანთებულ ფიჩხს და გავარდებოდა კიდეც ჩვენი „ბერდანი". მეოთხეჯერ რომ უნდა გვესროლა, პატრონა რატომღაც უკან გამოვარდა და შუბლზე მოხვდა მაგ უბედურ ბიჭს. მარკოზ იოსევა იყო ხობში ცნობილი ფერშალი. დახედა და თქვა, ჩქარა ქუთაისს წაიყვანეთო. წაიყვანეს.. ცალი თვალი დარჩა საწყალს. ეს აღდგომა დღეს მოხდა! მაშინ ძალზე გამიბრაზდნენ პორფილეც და კოსტაც, თუმცა დამნაშავე მე არა ვყოფილვარ. შენ რომ მოგხვლოდა, ჩვენ რა უნდა გვექნაო, მაშინ!

— ნათესავთაგანი არავინ დაგრჩენიათ მაშინ, ბატონო ვალიკო...

— კი, ივლიტა მამიდა გვყავდა სოფელ ჭალადიდში. ისიც გვარიანად უბედური ქალი იყო. ცუდ ამბავს მოგიყვებით ახლა. 1920 წელია. მოგვაკითხა მამიდამ მამალი დავკლათო. დაკლა, შეწვა და ერთად ვივახშმეთ. ადრე დავწექით ბავშვები. მამიდა იატაკზე იწვა. დაწოლის წინ თქვა, რაღაც მუცელი მტკივაო. ჩვენ მალე დაგვეძინა. თურმე ლილის არ ეძინა, ამჩნევდა, მამიდა რომ მალ-მალე გადიოდა გარეთ. ეს ის დროა, ნალიაში 30 ფუთამდე დაფშვნილი სიმინდი რომ გვაქვს შენახული... ერთხელაც, ღერღილი ცოტა დარჩაო, ლილიმ პორფილესთან გამაგზავნა. მოვიდა პორფილე, ნახა, რომ ნალიის ბოქლომი დამტვრეულია. გასინჯა სიმინდი, — 5 ფუთი მარცვალია მოპარული! დაუძახეს მეზობლებს... მამიდა გუშინ წავიდაო, მივუგეთ. პორფილემ მოსამართლესთან იჩივლა, ალბათ, მამიდას ნამოქმედარიაო. მამიდამ თავი გამოიდო, არ მომიპარავსო... ნოჯიხევის ეკლესიაში ხატზე გადაგცემო, პორფილე დაემუქრა. პორფილემ მღვდელი მოიყვანა. მოვიდა დიაკონი, რომელსაც ხელთ ხატი ეპყრა. პორფილე ეუბნება ხატს, ვინც სიმინდი მოიპარა, გულზე ბოძალი დაესოსო... ერთი სიტყვით, გადასცა ხატზე. მამიდას ფერ-ფური გადასდის, ადგილზე წაიქცა საწყალი... ერმა ტაში დასცხო — ხატმა იმოქმედაო. ორი დიდი ტომარა, ეტყობა, ვიღაცების დახმარებით, ეზოსუკანა ტყეში დაუმალავს, ბარდებში... ასეთი იყვნენ ჩვენი მფარველები, პატიოსანი და მშრომელი გლეხები. განა მათ კი არ სჭიროდათ სიმინდი, მარცვალი რაა, ერთიც არ მოუკლიათ ჩვენთვის...

მასპინძელი შეშას აგდებს ღუმელში, მერე სკამზე სწორდება, თავჩაქინდრული კარგა ხანს ფიქრობს. ამასობაში, დიასახლისმა შინაურ ფრინველსა თუ საქონელს თავისი ბინა მიუჩინა, ისმის დროდადრო — ნავახშმევი ხბოების კმაყოფილი ბღუილი, ღერღეტების ზარმაცი ყიყინი, რძით დაპურებული ციცების კრუტუნი...

ახლა რომ ვფიქრობ მაგ ამბავზე, მეცოდება მამიდაჩემი, ძალზე ღარიბი გახლდათ, უჭირდა. მშვენივრად იცოდა, ჩვენ რომ არავინ დაგვამშევდა, ამიტომ ჩაიდინა ეს... ეჰ, საწყალი, მას მერე სირცხვილით აღარ მოსულა ჩვენთან... მენშევიკების დროს ჩვენ 18 ქცევა მიწა გვქონდა. ქცევა, მოგეხსენებათ, 4000 კვ. მეტრს მოიცავს. ამ მიწაზე გულდაგულ ვმუშაობდით ბავშვები. მეზობლებიც გვეხმარებოდნენ. ამის მერე გავიდა კარგა ხანი. ჩვენ მიწა ცოტათი ჩამოგვიჭრეს, — უფრო ღარიბებს გადასცეს. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, 1929 წელია, თუ არ ვცდები, დამიძახა ხობის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორმა გიორგი ალასანიამ და წინადადება მომცა, სოფელში გლეხთა ამხანაგობა შემექმნა. იმ დღეებში ბანკმა მიიღო „ფორძონ" ფირმის ტრაქტორი. ამ ტრაქტორს მართავდნენ დათიკო ჯოლოგუა და ვასო ნიკოლაიშვილი. მართალი გითხრა, არ ვიცი საიდან გაჩნდა ჩვენთან ეს „ფორძონი". ზოგი იძახდა ინგლისისააო, ზოგი ამტკიცებდა — ავსტრიულიაო...

— მართალი გითხრათ, არც მე ვიცი, ბატონო ვალიკო, — მივუგე მაშინ ღვაწლმოსილ მექანიზატორს.

ამა წლის იანვრის პირველ რიცხვებში საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გახსნილი იყო ამერიკელი მოქალაქის დოქტორ არმანდ ჰამერის კოლექციის გამოფენა — „ხუთი საუკუნის შედევრები". კოლექცია მოიცავდა ევროპული და ამერიკული ფერწერისა და გრაფიკის 125 ნიმუშს, რომელიც შექმნილია XV-XX საუკუნეებში. ამ გამოფენასთან დაკავშირებით გამომცემლობა „ხელოვნებამ" გამოუშვა კატალოგი, რომლის შესავალ წერილში სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ბელვიუს სამედიცინო ცენტრში მუშაობის დაწყების მოლოდინში

არმანდმა 1921 წელს გადაწყვიტა საველე ჰოსპიტლის შეძენა და რუსეთში გამგზავრება (საიდანაც ემიგრირებული იყო მისი პაპა), რათა ურალში გამძვინვარებული ტიფის ეპიდემიას შებრძოლებოდა. მრავალი სიძნელის გადალახვის შემდეგ მან შუაგულ რუსეთში შეაღწია, სადაც მიხვდა, რომ ადამიანების მთავარი მტერი ტიფი კი არა, შიმშილი იყო. არმანდ ჰამერმა გადაწყვიტა თავისი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილით დამშეულთათვის სურსათის შეძენა. ადგილობრივ საბჭოებთან შეთანხმებით მან შეისყიდა მილიონი ბუშელი (1 ბუშელი — 35 ლიტრია) ამერიკული ხორბალი, რაც, მისივე გაანგარიშებით, საკმარისი იქნებოდა შემდეგი წლის მოსავლის აღებამდე. ჰამერი საბჭოებს შეუთანხმდა იმაზეც, რომ რუსეთში ჩამოსული ხორბლით დატვირთული გემები ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაყიდად ჩაიტანდნენ სხვადასხვა რუსულ საქონელს, რათა რუსეთში სურსათის მარაგი არ გამოლეულიყო.

შეატყო რა ყოველივე ეს, ლენინმა მოინდომა შეხვედროდა ახალგაზრდა ამერიკელს, რომელიც 23 წლის ასაკში ურალის გმირი გახდა. ამ შეხვედრამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ისინი მალე დამეგობრდნენ. ლენინმა ჰამერს რამდენიმე კონცესია შესთავაზა. დაფიქრების შემდეგ ჰამერმა ამოირჩია ორი — პირველი, აზბესტის მოპოვების დარგში და, მეორე, საგარეო ვაჭრობის დარგში. უკანასკნელმა ჰამერის ყოველგვარ ოპტიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა. მალე იგი 37 წამყვანი ამერიკული სამრეწველო კომპანიის ინტერესების წარმომადგენელი და „ფორძონის" მარკის ტრაქტორების პირველი მიმწოდებელიც შეიქნა რუსეთში. ამან კი საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციას".

აი, თურმე როგორ გაჩნდა ჩვენში „ფორძონი".

...ვის არ მივადექი კარზე, ვუხსნიდი, ვბჭობდი, ვამტკიცებდი — ერთი სიტყვით, ჯერ თუმცა 20 კაცი შეგროვდა, ამხანაგობაში შესვლის მოსურნე, მაგრამ მას შემდეგ, როცა გაიგეს, საკუთარი მიწები უნდა გაერთიანდეს, საბოლოოდ 7 კაცი შემოვრჩით პირველ კოლექტიურ გაერთიანებას. სხვები შორიდან გვიყურებდნენ, აცა, რა მოხდებაო. მოხდა კი ის, რომ ალახანიამ მეორე დღესვე ბანკიდან გამოგვიყო: — 4 ერქვანი, 4 კულტივატორი, 4 სათესი მანქანა (ცხენისა), ზიგზაგა ფარცხები... თითოეულს გვიწილადა 5-5 კგ შაქარი, 5-5 ფუთი პურის კაკალი, 5-5 ფუთი სიმინდი, აგრეთვე, კანაფის თესლი, 1 ჰექტარის სათესად საყოფი. დამავიწყდა მეთქვა, რომ ამხანაგობის თავკაცად ივანე ცხადაია ავირჩიეთ, მდივნად კი მე ვიყავი.

ზემოთ მოგახსენეთ, ზუგდიდის რაიონს ვეკუთვნოდით მეთქი. იყო სამი ქვერაიონი — ჭალადიდის, ხიბულის, ხობისა. ცხადია, შუ-[illegible] ბამისად არსებობდა ქვერაიკომები ამ დასახლებულ პუნქტებში. ხობის ქვერაიკომის მდი-[illegible] ვანი მაშინ იყო ბიქტორ შონია, [illegible] მახკომის თავმჯდომარე რაჟდენ გახარია.

ჰო, ამხანაგობას სულ 4 ჰექტარი მიწა გვქონდა! ვასო ნიკოლაიშვილმა მოგვიხნა ეს მიწა. მერე დავფარცხეთ კიდეც. სამი უღელი ხარი გვყავდა 7 კაცს. სიმინდი მწკრივად დავთესეთ. ცხენით და ხარით კულტივაცია გავუკეთეთ. ეს იყო ივნისის პირველ რიცხვებში. ივნისის ბოლოს კი მეორეჯერ ჩავატარეთ კულტივაცია.

ივლისის 25 რიცხვია, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ამ დროს ხობში დამიძახეს. შენ, როგორც ამხანაგობის აქტიურ წევრს, თბილისში გიშვებთ სატრაქტორო კურსებზეო... 1 აგვისტოს გავემგზავრე დედაქალაქში.

გზაში, მატარებელში, გავიცანი ბევრი ახალგაზრდა, ზოგი სამუშაოდ მიდიოდა, ზოგი სასწავლებლად. ზუგდიდელი და ცხაკაიელი ჭაბუკები იყვნენ ძირითადად. თბილისში მიწათმოქმედების კომისარიატს მივაკითხე. იქიდან გამიშვეს ავლაბარში, VI ლეგიონის ყაზარმაში, სადაც შემდეგში ვცხოვრობდი ხოლმე. აქ ჩვენ გვიტარდებოდა თეორიული მეცადინეობა, რომელილაც სკოლის შენობაში. კურსებს ხელმძღვანელობდა პროფესორი კონსტანტინე ამირეჯიბი. დიდუბესა და ვაკეში გავდიოდით პრაქტიკულ მეცადინეობას... მაშინ თბილისში ტრამვაები დადიოდა ძირითადად. ავტობუსები არ იყო. დიდი-დიდი 10-15 სატვირთო მანქანისთვის თუ მომიკრავს თვალი მთელს ქალაქში. ვიკვებებოდით უფასოდ ჯარის კმაყოფაზე. ვიძინებდით ყაზარმაში უფასოდ. VI ლეგიონს მაშინ ხელმძღვანელობდა გიორგი ყურაშვილი, შემდეგში გენერალ-მაიორი. 1930 წლის მარტში შინ გაგვიშვეს — იწყებოდა საგაზაფხულო ხვნა-თესვა. ამირეჯიბმა გამომშვიდობებისას გვითხრა — თქვენ არა მარტო ტრაქტორისტები, არამედ ტრაქტორისტ-ინსტრუქტორები ხართო...

გამანაწილეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში ტრაქტორისტად. აქ დამხვდა „მონარხ" ფირმის, 60 ცხენისძალიანი ტრაქტორი. აგრეთვე 50 ცხენისძალიანი „კლეველანი", იყო აგრეთვე „ჰოლტ" ფირმის ტრაქტორი — ყველა ესენი მუხლუხებიანი მანქანებია. რაც შეეხება ბორბლებიან ტრაქტორებს — დამხვდა „ინტერ" ფირმისა და ჩემი ძველი ნაცნობი „ფორძონ" ტიპის ტრაქტორები. ჩაის ვთესდით ძირითადად. 50-60 სმ სიღრმეზე უნდა დაგვეთესა ეს კულტურა.

30-იან წლებში ვმუშაობდი აჩიგვარში, წალენჯიხაში, მერე ჩვენთან, ხობში. 1932 წელს პარტიის წევრი გავხდი. 1933 წელს, ხობში მანქანა-ტრაქტორთა სადგური (მტს) რომ შეიქმნა, სულ იქ ვმუშაობდი 1968 წლამდე,

სანამ პენსიაში გამაცილებდნენ... მაგრამ შინ რა გამაჩერებდა — 1971 წლიდან ვარ № 10 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ზეინკალი. სამეგრელოს რაიონებში თუ სადმე რამენაირი მანქანა-დანადგარი ანდა სხვა მექანიკურ-ელექტრული აპარატი ჩამოვიდოდა, ათეული წლების მანძილზე მე მეძახოდნენ მის ასამუშავებლად — კარგად ვერკვეოდი სქემა-ნახაზებში...

— ხანდახან ახლაც მეძახიან ხოლმე, — ეშმაკურად თვალებს ჭუტავს ბატონი ვალიკო.

შრომის ვეტერანი, რაიონის პირველი მექანიზატორი ვალიკო ჭედია საქართველოს კპ ხობის რაიკომის წევრია, ქალაქ ხობის საპატიო მოქალაქე, არის რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი. მას არაერთი შემთხვევა გადახდენია თავს, რომელთაგან ზოგიერთს აქვე მოვიტან...

...1948 წელია, „პოლტორკებსა" და „ზის-5" დავტრიალებ მექანიკურ სახელოსნოში. ხობში ვარ. გაშუადღებულია. უცებ ძახილი მესმის ეზოდან. ჰე, ბიჭო, მგონი ხანძარია, შეხე, რამხელა კოცონია... თავი გამოვყავი კარში, გავხედე სივრცეს და ვამბობ, — ალბათ, თივის ზვინს მოუკიდეს მეთქი ბავშვებმა... — არა მგონია თივის ზვინი იყოს, — თქვა ერთ-ერთმა, — ეს ხანძარი, ჩემი აზრით, ნოჯიხევშიაო .ამის თქმა და გულმა რეჩხი მიყო — დავკარი ფეხი, დავეშვი სოფლისკენ, ვინმე მეზობელს არ უჭირდეს მეთქი... ვუახლოვდები სირბილით სოფელს, თან სახელოსნოს მუშებიც მორბიან... უცებ ერთი იძახის, — კაცო, ვალიკო, შენი სახლი ხომ არ იწვისო... მართლაც, მივუახლოვდი ეზოს და იმ კვამლბურუსში თვალებით ძებნა ცოლსა და შვილებს დავუწყე, მაშინ ოთხი შვილი მყავდა... მადლობა ღმერთს, ყველანი სალად იყვნენ, სახლს კი არაფერი ეშველებოდა. დამეწვა სიმინდი, მუხუდო, ლობიო... ერთი სიტყვით, სარჩო-საბადებელი. მეზობლები მაგრა დამეხმარნენ. ცოტა დაზღვევამაც მიშველა. ერთთვალიანი სახლი დავდგი, არა უშავს ისეთი. 1951 წლამდე შიგ ვცხოვრობდით...

...მოგეხსენებათ, სვანები რომ გამრჯენი არიან. წალენჯიხაში რომ ვმუშაობდით, სვანების მიერ მთებზე გაჭრილი გზით ვსარგებლობდით. ერთხელაც, ვისვენებ, მუშაობიდან დაღლილი მოვედი და ფიცრის ნარზე ვარ გაწოლილი. უცებ თავს დამადგა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სხვათაშორის, ცეკას გამოგზავნილი კაცი, გოგიშვილი, წარმოშობით კახელი.

— ვალიკო, შენი ჭირიმე, ეს ოხერი „მონარხ" ტრაქტორი გადავარდნიათ მუშებს მთის გზიდან, გვიშველეო. წავედი შემთხვევის ადგილზე. ექვს ტრაქტორს ამოვაზიდინე „ტროსებით" გადავარდნილი ტრაქტორი. ტექნიკა მაშინ ძალზე ძვირდა... ჰოდა, ხომ დღე-ღამე არ მძინებია, იმდენს ვეცადე, [illegible] დაზიანებული ტრაქტორი მეოთხე დღეს ავაგრიალე... კაცი ყოფილხარ კაცურიო, დირექტორმა. ტუფლი და პიჯაკი მიყიდა გახარებულმა.

...არაერთი ნათელი კაცი მახსოვს დღემდე. მინდა მოვიგონო ბეგლარ წურწუმია. 1919 წელია. ძმებს — ბესა, ანდრონიკე და ბეგლარ წურწუმიებს სახერხი მანქანა აქვთ გამართული ხობისწყალზე. ცოტა ქვემოთ წყლის სატუმბი ედგათ. შიდაწვის ძრავით, მაზუთით მუშაობდა. ერთხელაც მილს „კლაპანი" მოძვრა და მორევში ჩავარდა. ვინ არ ჩაყვინთა, ვერავინ მოძებნა ის ნივთი. უბრალოდ, ფსკერამდე ვერ ჩავიდნენ, ისეთი ღრმა იყო. მე, წრიპამ და გამხდარმა, სულ ბოლოს ვცადე ჩაყვინთვა. ჩავეშვი ძირს პირველად, მეტი არაა ჩემი მტერი, ვერ ჩავედი ფსკერამდე. მეორედ ცოტა შევისვენე, ჩავისუნთქე ღონივრად და წყალს მივეცი თავი. მოვაფათურე ხელები ლამში და „კლაპანს" მივწვდი. მაგრამ ძვრაც ვერ ვუყავი — მძიმე იყო. ამოვყვინთე, შევისუნთქე ჰაერი ხარბად, დავისვენე და ბიჭებს ვუთხარი, ვნახე მეთქი. არაო, იტყუებიო... ჩავყვინთე და დიდი გაჭირვებით დავძარი წყლის ზედაპირისაკენ... მერე მიამბეს ბიჭებმა, თურმე წყლის ზედაპირამდე ამომითრევია „კლაპანი", მეგობრებს სიხარულის ყიჟინით ჩამოურთმევიათ ჩემთვის, მე კი გონი დამიკარგავს. ახლა მე ამოვუთრევივართ ნაპირზე... მაგრამ დამტუქსა ბეგლარმა ამ საქციელისთვის, შენ რომ რაიმე მოგსვლოდა, მამიშენის სულს რა პასუხს გავცემდიო... იგი თურმე მეგობრობდა ადრე მამაჩემთან. ჩვენ, ობლებს მუდამდღე გვაძლევდა ხოლმე ფქვილს, ბაყად ერთ კორთხო სიმინდს იღებდა, რომ ჩემს თავმოყვარეობას გაფრთხილებოდა. ამას მოგვიანებით მივხვდი. დიდი გულის კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს...

...სამუშაოდან დავბრუნდი შინ. ეს ის დროა, ცხრა შვილი რომ მყავს. ზაფხულია. ცოლი მეხვეწება, წაიყვანე ბავშვები მდინარეზე, დაიბანონ — იცურაონო. წავედით ჟრიამულით. გული რომ ვიჯერეთ ხობისწყლის ტალღებთან თამაშით, სოფლის გზას დავადექით. უცებ დავთვალე ბავშვები და ვხედავ, რომ რვაა. ბიჭო, რომელი გვაკლია მეთქი. არიქა აქეთ ვეცით, იქეთ ვეცით — არაა ბავშვი! შინ რომ მოვედი გულგახეთქილი, ჭიშკრიდან დავინახე, პატარა როლანდს, ჭილოფზე წამოგორებულს, არხეინად ეძინა ეზოს მდელოზე, — თურმე ეგ არ წამოგვყოლოდა...

...აპრილის ბოლო დღის საღამოა. ხვალ, 1951 წლის 1 მაისს ზეიმობაში უნდა მივიღო მონაწილეობა. სოფელ ჭალადიდში ვიყავი საქმეზე. ლიანდაგს გამოვყევი ხობისკენ მიმავალს. საკმაოდ ჩქარა მივაბიჯებ შპალებზე.

შორს. ზურგსუკან მატარებელმა დაიკივლა, სატვირთო იყო. ცხადია, უნდა გადავიდე ლიანდაგიდან. არ ვიცი რა დამემართა, მივალ და მივაბიჯებ მოწუსხულივით. მოდის ელმავალი და სულ უფრო ახლოს მესმის მისი ქშუილი. რამდენიმე ათეულ მეტრზე რომ მომიახლოვდა, მატარებელი, მძლავრი კივილი გაისმა კიდევ ერთხელ. უნდა გადავიდე და რასა ვხედავ — ლიანდაგზე კაცია გადაწოლილი. მოვიკრიბე დაღლილმა უკანასკნელი ძალ-ღონე, ძლივს გადავათრიე ლიანდაგიდან, მყის გრიალით რახრახით ჩაგვიარეს ვაგონებმა... შალვა ბუსქანაძე აღმოჩნდა, ტრაქტორისტი, სადღაც დაელია...

...ეს 31 წლის ამბავია, გალის რაიონი რომ შეიქმნა. თაგილონში ვართ. სამ ჰექტარ მიწასა ვხნავთ, ჩაი უნდა დავთესოთ არანაკლებ 50 სმ სიღრმეზე. ვხნავთ კოლმეურნეობის მიწაზე. თურმე ეს მიწა ჩამოურთმევიათ გლეხებისთვის. ჩამოურთმევიათ და სამაგიერო ნაკვეთი სხვაგან გამოუყვიათ... დილაა და ვზივარ ტრაქტორზე, ვამუშავებ მანქანას. პარალელურად სხვა ტრაქტორებიც მუშაობენ. უცებ რამდენიმე ათეული გლეხი გამოჩნდა, ბურჭულებითა და კეტებით აღჭურვილი. ერთი და ორი, ერთი და ორი, დაბკრეს ტრაქტორებს... ჩვენ შევაჩერეთ მანქანები... არ გველოდა კარგი დღე, ისე გვაგინებდნენ და გვთათხავდნენ, კარაბინი რომ გავარდა — თავმჯდომარე მოდენილიყო ცხენით, იმას გაესროლა ჰაერში. გლეხებმა თავი დაგვანებეს, ჰალას შეერივნენ...

— ბატონო ვალიკო, საინტერესოა ეს ამბები თავისთავად, მაგრამ ყველაზე უფრო რა მინდა გკითხო, — ამდენი შვილი, ღმერთმა ყველანი ჯანმრთელად გიმყოფოს, ხომ არ იყო ძნელად მოსავლელი, ანდა გცალოდათ კია ცოლ-ქმარს მათ აღსაზრდელად, ესე იგი, ხომ არ ჯობდა მეთქი ორი-სამი რომ გყოლოდათ....

— კი, ეხლავე გეტყვით... თუმცა სჯობია თავიდან დავიწყო... მიყვარდა მე ლოლამდე ერთი გოგო. ზუგდიდში იყო ეს ამბავი. კოხტა ბიჭი ვიყავი მაშინ. ყოველთვის გარეცხილი და დაუთოებული მეცვა. ამას დაუმატეთ ისა, რომ ყველანი ჩემზე უთითებდნენ ერთმანეთს ,როგორც უპირველეს და სწავლულ მექანიზატორზე, არ ვიტრაბახებ და მოვწონდი გოგოებს. მაგრამ მე ერთი ფერშლის გოგო ჩამივარდა გულში, დღე და ღამე არ მეძინა. ის გოგო ზედაც არ მიყურებდა. ამან უფრო გადამრია. იმდენს ვეცადე, მოვაწონე იმას თავი. როცა დრო მაქვს და როცა გოგოს მშობლები შინ არ არიან, შევუძვრები მაგ ცისფერთვალას ოთახში და ვუკოცნი ხელებს... ერთხელაც დედამისმა მომასწრო. მომასწრო და ღონივრად მითავაზა კიდეც იატაკის ჯოხი ზურგზე... მალე ისინი გადავიდნენ და დავკარგე პირველი სიყვარული... გავიდა კარგა ხანი და აგერ, ნოჯიხეველი მიწათმომწყობი ინჟინრის გოგო შემიყვარდა. შეძლებული ... ხალხია, და ვიცი, ობოლს არავინ გამომატანს ცისკრივით გოგოს... კი, ლოლა იყო... ისე, მათ შინაობაში მიღებული ვარ, მამაც და დედაც გოგოსი დიდ პატივს მცემენ დაუზარელ და მუყაით სპეციალისტს, ვინც წლები ებრძოდა ჭაობებს, ვინც ჩაის პლანტაციები გააშენა ასობით ჰექტარზე... ტრაბახი კი გამომივიდა, მაგრამ ის მინდა გითხრა, რამ გამაბედვინა ასეთი ნაბიჯი... თუმცა რა ნაბიჯი, გოგოს რომ ათასში ერთხელ სიტყვას გადავუგდებ, დალაგებულ პასუხს არ იძლევა. ესე იგი მთლად კარგად ვერა მაქვს საქმე.

ზევით მოგახსენეთ, მეწშევიკების დროს მყავდა მეთქი მეურვედ პორფილე გერგაია. მისი სული აცხონა ღმერთმა. 36 წელია და შემოვიდა ჩემს სახლში. ცოტა ვილაპარაკეთ. ხიჭო, მალე ოცდაათის გახდები, ცოლი არ გინდა მოიყვანოო? გავანდე გულის ხვაშიადი. ჩეეშვდა, არ გამოგყვებაო. ჯანდაბას ჩემი თავი მეთქი, ვთქვი გულში. წავედი ცხაკაიაში. ვიყიდე ,ძეხვი, პური, ორი ბოთლი ჰაჰის არაყი, ყველი, რამე-რუმეები, მოვიტანე შინ და დავაწყე მაგიდაზე. მალე ბუხარში შენი მოწონებული ცეცხლი დავაგუზგუზე — უნდა დაგველია მე და პორფილეს. — არა, მითხრა მან, — ახლა წადი და წინადადება მიეცი იმ გოგოს, თუ წამოგყვა, კარგი, თუ არადა ერთს გემრიელად ხომ ვიპურმარილებთო... მივედი ლოლასას, სუფრას უსხდნენ. ცოტა მეც წავიხემსე, მაგრამ რა ჭამა, გულს დაგა-დუგი გააქვს... მასპინძელს ვიღაცამ დაუძახა და სადღაც წავიდნენ. მე დრო ვიხელთე და გოგოს ვეუბნები, აი, მე ახლა კარში გავალ, დაგელოდები ორღობეში, წამომყვები ცოლად, ხომ კარგი, თუ არა ღმერთმა გაგიმარჯოს-მეთქი... ცოტა ციოდა, თებერვალი იყო, ვხედავ გამოჩნდა თავშალწაკრული გოგო კალანჩხით ხელში... თავი სიზმარში მეგონა, ლამაზი გოგო იყო ძალიან... ჰო, შვილებზე თქვით, არა?

...ახლა როგორ გგონია შენ, შვილების რაოდენობა რაზეა დამოკიდებული? არც სიმდიდრე არაფერ შუაშია, არც სიღარიბე. აქ მთავარია დედა — რამდენსაც გული ეტყვის, იმდენს შობს... ბოდიში, ამას რომ გელაპარაკები, მარა მეპატიება მოხუც კაცს. იგრძნობდა თუ არა ჩემი ცოლი ბავშვს, განა არ შეეძლო მოცილება სხვადასხვა საშუალებებით... იტყოდა, დაიბადოს, ანგელოზია, იქნებ ისეთი კაცია, სამშობლოს წაადგესო, მოცილება დანაშაულია, ღმერთი იწყენსო... რომ ნდომოდა, უცებ მოიშორებდა, ცხადია. დემოგრაფია თქვი, არა? კაცო, რაც უფრო მეტი შვილი გვეყოლება, ხომ უფრო მეტნი ვიქნებით ეს ქართველები, არა? დაკვირვებული ვარ — რაც უფრო გამძლეა კაცი, მით უფრო ნაკლები შვილი ჰყავს... არ ვიცი თბილისში რო-

გორ, მაგრამ ჩვენთან ასეა... ახლა შემეკითხები, ალბათ, რატომ გარბის ქალაქში ახალგაზრდობა, ანდა საერთოდ, რად გადაბარგდებიანო იქით... ჯერ ერთი, გადადის, ძირითადად, ის ვისაც ეკონომიკურად უჭირს. ერთი ჩემი ნაცნობი გადავიდა ფოთში, ქარხანაში დაიწყო მუშაობა. რატომ? იმიტომ რომ უთხრეს, ჩემო ბიძია, იყოლიე ერთი ძროხა, მეტი არაო. თანაც ამ ძროხას ეზოს გარეთ საძოვარი არა აქვს — ყველაფერი მეურნეობას ან კოლმეურნეობას უჭირავს! კი, ახლა მდგომარეობა ცოტათი სწორდება, მაგრამ გვიანაა — გლეხი, ვინც ქარხანაში ხელფასის აღებას მიეჩვია ყოველთვიურად, სოფელში არ მოვა. რატომ? იმიტომ, რომ მას ახსოვს თვე, როცა 50-60 მანეთი შეხვდებოდა ხოლმე ხშირად კოლმეურნეობაში მუშაობისას. გლეხი ქვეყნის, მითუმეტეს ჩვენისთანა ქვეყნის... კი, საქართველოს ვგულისხმობ... საყრდენი იყო და არის მუდამ... მე? არ ვიცი, დავრჩი სოფელში, ვერ შეველიე... იცი, რატომ, შენ ეხლა ახალგაზრდა ხარ, შეიძლება მთლად არ დამიჯერო, მაინც გეტყვი — თუკი კაცი ყოველ დილით ამომავალ მზეს არ შეხედავს, დაცვარულ ბალახს ხელს არ გადაუსობს, კიდევ, თუკი მას სახეზე ქარი არ მიეხლება — იგი ბუნებას მოშორებულია, მიწას მოშორებულია, ესე იგი სიცოცხლეს მოშორებულია... ვიყავი მე თბილისში ერთ შვილთან — ვერ გავძელი ზედიზედ ორი დღე. დილიდანვე მანქანისაგან გაჭუჭყიანებული ჰაერი ტრიალებდა, იმხელა შენობებში მზისა და ცის ახედვისთვის ვერც მოვიცალე, უფრო სწორად, უდღეური მეჩვენა მზეც და ცაც... რამდენი მანქანა დარბის, რამდენი მოქალაქე მიმოდის — არადა, რამდენი სოფელია უპატრონოდ მიგდებული, წადი, შე კერააშენებულო იქ, ჩადგი სახლი, გაიჩინე საქონელი და შინაური ფრინველი, ცოტა ხელი გაანძრიე — გექნება ნატურალური რძე, ყველი, ხორცი... არ გაიხეთქავ მაღაზიის გაყინული ხორცით კუჭ-მუცელს... გემო ჰქონდეს მაინც, ჩალასავითაა. ასე მგონია მე — იმიტომ გაიქცა თავის დროზე ბევრი ქალაქში, რომ მოუჭირეს და შეავიწროვეს სოფლად! თუკი რაიმე შემოსავალი არაა, რა უნდა კაცს სოფელში. ერთ რამესაც ვარ დაკვირვებული — გაგიჟებულია ბევრი ფულის დაგროვებაზე, თითქოს ხვალინდელი დღის იმედი არა აქვსო... კაცო, იმუშავე, მოიპოვე რაიმე, მერე დაისვენე, ცოტა წაიღიღინე, მეზობელთან გადადი, გამხიარულდი... მიუხედავად იმისა, რომ ამ ტელევიზორში, ზოგჯერ კარგი რამეებია, ვთქვათ, ქართული ფილმი, მაინც ეშმაკის მოგონილი მგონია ესა. კაცო, ჩართავ დილიდან შუაღამემდე ამ ეკრანს, უზის ეს შენი მაყურებელი, იძინებს გვიან, დგება ადრე, მასეთი კაცი რაიმეს გააკეთებს? თუ გინდა მოსახლეობას ასიამოვნო, გაუშვი გადაცემა ისეთ რამეზე, პრაქტიკულად რომ წაადგეს — ვთქვათ, ამ ავადმყოფობას ესა და ეს წამალი შველის, ანდა, აგრონომიული წესები შეასწავლე, ეს დარგვაო, ეს დათესვაო, გასხვლაო და ასე შემდეგ... რა ჯანდაბისთვის მინდა, რომ მელაპარაკები ამა და ამ ქვეყანაში ეს ამბავი მოხდაო, იქ ვიღაც ხელმწიფე ჩამოაგდესო, აქ წყალდიდობა არისო, იქ კოსმოსში გაფრინდნენო, რა ვიცი, ათასი რამე, რაც კაცს აბნევს, აჩერჩეტებს და დროს აკარგვინებს იმ დროს, არასდროს რომ უკან არ მობრუნდება. აბა, გამოაცხადოს ვინმემ, ამხანაგებო, იყოლიეთ რამდენიც გნებავთ იმდენი საქონელი, ფრინველი და ყველაფრით ხელს შეგიწყობთ, სახლის აშენებაშიც დაგეხმარებით და სხვაო, ნახავ მაშინ, როგორ დაიცლება გომბეშოსავით გაბერილი ქალაქები, სულს ნიავი მიეცემა... მჯერა მე, არ დარჩება დაუსახლებელი მიწა-წყალი საქართველოში, სოფელი მოღონიერდება, არ დარჩება უცოლოდ და უქმროდ ვინმე, იშვებს ერი... ეეხ, შვილო, მგონი ბევრი სისულელე გესაუბრე, არა, მაგრამ რას ვიზამ, ეს ამ წუთში კი არ მომიფიქრებია, მთელი ცხოვრება ამ საფიქრალს ვუტრიალებ მაგრამ ვინღაა ყურის დამგდები... აგერ, ძლივს დაგიმარტოხელე ერთი ქალაქელი კაცი, იქნებ ვინმეს ისეთს უთხრა ეს საწუხარი, ქვეყნის ბედი რომ ეკითხებოდეს... შეგაწყინე თავი, მარა მაპატიებ ყველაფერს ამ გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს...

დაბოლოს, გვიან ღამით დარჩენა მთხოვა კეთილმა მასპინძელმა და მის კერაზე ღამის გათევა... მაგრამ დიდი მადლობა მოვახსენე, სასტუმროში მაქვს ადგილი, თანაც დილით სხვაგან მიმეჩქარება მეთქი.

კარგა მანძილზე გამოგვაცილა ვალიკო ჭედიამ, მერე გამოგვემშვიდობა და ჭიშკრისაკენ გასწია. ცოტა ხნის მერე უკან მოვიხედე — იგი ჭიშკართან იდგა, შესცქეროდა სავსე, კრიალა კოლხურ მთვარეს, სივრცეს რომ იდუმალებით ქარგავდა, მერე ფრთხილად პირჯვარი გადაიწერა და ეზოში შევიდა.

შორს, ხობისწყლის ჭალებში რომელიღაც ღამის ფრინველი გულისწორს უხმობდა.

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჩხენკელი

*გამოჩენილ ქართველ პოეტს, მთარგმნელს, ესეისტს, თამაზ ჩხენკელს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.*

*„ჟურნალ „მნათობის" კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ღვაწლმოსილ მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს. მკითხველს კი ვთავაზობთ იუბილარის ახალ ლიტერატურულ ნაშრომს.*

## ესეისტური ჩანახატები

### ბატონი გერონტი

გერონტი ქიქოძე პირველად ჩვენს ეზოში დავინახე სრულიად ყმაწვილმა. იგი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი სახლის მეორე სართულზე მცხოვრები გურამიშვილების ოჯახისა. მათი ბინა ისევე, როგორც ჩვენი, ღია აივანზე გამოდიოდა და მე საშუალება მქონდა ეზოდან დამენახა როგორ გამოაცილებდა ხოლმე ბატონ გერონტის ქერათმიანი, ცისფერთვალება ქალი, რომელსაც ხელში განუშორებელი პაპიროსი ეჭირა. როცა ვიკითხე, დედამ მითხრა: ეს — მწერალი გერონტი ქიქოძე არისო. ასე რომ, ჩემდა საბედნიეროდ, პირველი ქართველი მწერალი, რომელიც მე ვიხილე 10 — 12 წლის ასაკში, გერონტი ქიქოძე იყო.

არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ომის დროს, მე უკვე წაკითხული მქონდა მისი ბრწყინვალე თარგმანები და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ეროვნული ენერგიაც". ეს წიგნი ჩემი საკუთრება გახლდათ და მე საშინლად ვამაყობდი ამით, მით უმეტეს, რომ მაშინ არავინ არაფერი იცოდა ამ წიგნის შესახებ (თანატოლებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა,). ამ წიგნმა ბევრი მხრივ განსაზღვრა ჩემი სწრაფვა და მიმართულება.

უფრო გვიან მე შემთხვევა მომეცა, გამეცნო ბატონი გერონტი. სადღესწაულო მაისის თავბრუდამხვევი ამინდი იდგა. და აი, ჩემს ქუჩაზე შევეყარე ბიჭების კამპანიას, რომელთა შორის ერთი-ორი ჩემი ნაცნობიც ერია( ახლა მხოლოდ ჯანდიერი მაგონდება—ლამაზი, ტანადი ჭაბუკი). გადავწყვიტეთ გვექეიფა. მაგრამ სად? ახლახან გაცნობილმა ჩვენზე უფროსმა ბიჭმა მხიარულად შემოგვთავაზა — ბატონ გერონტისთან მივიდეთო. მკრეხელობად მეჩვენა ეს აზრი, მაგრამ დამიყოლიეს: სიჭაბუკით ვიყავით მთვრალნი და არას დაგიდევდით ეთიკეტის დახვეწილობას. სულ მალე, ამ უცნობი ბიჭის წინამძღოლობით გერონტი ქიქოძის ოჯახში აღმოვჩნდით.

მასპინძელმა ხალისიანად მიგვიღო და ცოტა ხანში სუფრაზეც მიგვიწვია. მახსოვს, ყვითლად მოჭიქული დოქებით შემოიტანა დიასახლისმა ღვინო. და აქ ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: შეხედე ტასო, — მიმართა ბატონმა გერონტიმ მეუღლეს, — რა კარგები, რა ლამაზები არიან, მაგრამ როგორი განსხვავებულებიო; თითოეულს სხვებისაგან გამორჩეული, მკვეთრი ინდივიდუალობა ახასიათებსო. და ერთხანს, ჯიშებრივი ერთგვარობის შიგნით, ქართველებისათვის ნიშანდობლივ მრავალსახეობისა და ხასიათობრივ მრავალნიშანდობაზე გვესაუბრებოდა.

მაგრამ ვინ აცალა ლაპარაკი! თამადად დანიშნული ჩვენი წანამძღვარის როშმა უდაბნოს დაამსგავსა ირგვლივ ყველაფერი. ახლა ვხვდები — ლოგორეა სჭირდა (ახალგაზრდებსაც სჭირთ ეს სენი). მხოლოდ მისი ზანზალაკის გაუთავებელი ხმაური ისმოდა სუფრაზე. რიდის გამო თავს ვიკავებდი, მაგრამ როცა მივხვდი, ამას საშველი არ დაადგებოდა (ბატონ გერონტისთან ვიჯექი და სხვის როშს ვისმენდი!), სიტყვა გავაწყვეტინე, — ბატონ გერონტის მოვუსმიმნოთ-მეთქი. ათას რამეს ვეკითხებოდით და სხვათა შორის ესეც ვკითხე: ახალგაზრდობა სულმოუთქმელად მოელის თქვენს ნაწერებს, რატომ იბეჭდებით ასე იშვიათად-მეთქი. და აქ უცნაური რამ მოხდა: გერონტი ქიქოძემ, სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა, სრულიად ჩვეულებრივ ტონით, ისეთით — წუხილს რომ უზიარებენ ხოლმე შინაურებს, და შესაბამისი მიმიკით, რაც დღემდე მახსოვს, წყნარად მოგვიგო: იცით, რა, არ მიბეჭდავენ, ძნელად მიბეჭდავენო. ამან თავზარი დამცა. თუმცა შემდეგ, გამოცდილების კვალო-

ბაზე, ამ ელდამ თანდათანობით დაჰკარგა თავისი ნესტარი...

კიდევ ერთხელ შევხვდი ბატონ გერონტის თავისსავე სახლში. იგი ჩემი რეკომენდატორი იყო (იროდიონ ქავჟარაძესთან და დავით გაჩეჩილაძესთან ერთად) კავშირის წევრად როცა მიღებდნენ. ჯერ ჩემი პირველი წიგნი „ბოძიუ-ი" მივუტანე, შემდეგ კი რეკომენდაციის წასაღებად ვეახლე. ბატონი გერონტი ხალისით მესაუბრებოდა. როგორც ჩანს, ამან გამათამამა და ვთხოვე, თქვენი აზრი მითხარით-მეთქი ჩემს თარგმანზე. და აქაც წარმოუდგენლად მოულოდნელი პასუხი მივიღე. მასპინძელმა ჯერ აიცდინა კითხვები, რომლებიც ჩემი გაუწაფაობის გამო კონკრეტულ პასუხს აიძულებდა, და ძერო რალაცნაირი ბიჭური გულწრფელობით მითხრა: ვერაფერს გეტყვით, პოეზიაში სრულიად არაკომპეტენტური ვარო. ზუსტად ასე თქვა, სწორედ ეს სიტყვა მოიშველია... დღეს ეს პასუხი მისადმი ძალდაუტანებელი თაყვანისცემის თბილ გრძნობას მიღვივებს და ამავე დროს, ერთგვარი ნაღვლიანი ირონიისათვის მაქეზებს იმათ მიმართ, ვინც ყოველთვის „მტკიცედ" არის დარწმუნებული თავისი კომპეტენტურობის შეუვალობაში.

არ ვიცი, იმის გამო, რომ ჩვენი მუსაიფი წრფელი ინტიმურობით იყო განელებული, თუ სხვა რამ მიზეზის გამო, საუბარი შეუმჩნევლად შეეხო ისეთ ამბებს, რაზე ლაპარაკსაც ჩვეულებრივ გაურბიან უცხო ადამიანთან. მე გავჩუმდი. მხოლოდ ბატონი გერონტი განაგრძობდა ლაპარაკს. ჯერ უშუალოდ მე მომმართავდა, მერე თითქოს რალაც ჩვენებებმა გაიტაცა, ჩემდა გასაოცრად აღელდა და კარგახანს ლაპარაკობდა მწარე, დაუჯერებელ, გულის შემალონებელ ამბებსა და გარემოებებზე, რომელთა შესახებ გარკვეული ცოდნა კი მქონდა, მაგრამ მძაფრი უშუალობით არ განვიცდიდი. ბატონი გერონტი წამოდგა, ჩემსკენ დაიძრა — მე ზურგით ვიდექი ფანჯარასთან და კარგად ვხედავდი მის გამომეტყველებას... მეგობარი, რომელიც თავს აფარებს სადარბაზოს, რომ აერიდოს შენთან პირისპირ შეხვედრას, ნაცნობი, რომელიც უმიზეზოდ გაბეზღებს, — დაგუბული ხმით ამბობდა ბატონი გერონტი. არა! ეს წარმოუდგენელია, — პირდაპირ შემხედა და მოწყვეტით თქვა: ტყუილად გიყვებით, თქვენ ვერ გაიგებთ ამას, უბრალოდ — ვერ წარმოიდგენთ!..

ჰკუას ვიზამდი, მაშინვე წამოვსულიყავი, მაგრამ კიდევ უნდა მომხდარიყო ისეთი რამ, რამაც ჩემთვის სამწუხარო ორმაგობით აღბეჭდა ეს შეხვედრა. გამოთხოვებისას ბატონმა გერონტიმ ოთახის კუთხეში მიდგმული კარადიდან გამოიღო რომელიღაც წიგნი, იქვე, მაგიდას მიუჯდა, წიგნზე სამახსოვრო წარწერა გააკეთა და, — მინდა ჩემგან სამახსოვროდ გქონდეთო, — ამ სიტყვებით გამომიწოდა საჩუქარი. ეს იყო „ეროვნული ენერგია".

და აქ მოხდა სრულიად დაუჯერებელი ამბავი (ვაგლახ, ჩემთვისაც დაუჯერებელი!). მე არ ჩამოვართვი გამოწოდებული წიგნი, და იქვე, როგორც მაშინ ვფიქრობდი, ავხსენი ჩემი საქციელი: მე მაქვს ეს წიგნი, ამ წიგნს მე კარგად ვიცნობ, — თავმოთნედ განვაცხადე. — კი მაგრამ, ეს გქონდეთ ჩემგან როგორც სახსოვარი, — ცდილობდა ჩემს გადარჩენას ამ გაუგონარი უტაქტობით შემცბარი გერონტი ქიქოძე. ამ გულმოწყალე თავაზიანობას მე ხეპრული სიჯიუტით ვუპასუხე: მაქვს, ბატონო გერონტი, მაქვს ეს წიგნი!..

მაშინ გავიცნობიერე პირველად მთელი სიცხადით, რომ კაცს მართლა შეიძლება შეუჯდეს ეშმაკი. იმ წუთს, იმ წამსვე ვიცოდი, რომ საშინელ სისულელეს ჩავდიოდი. კიბეზე კი არ გაცხადდა ეს ჩემთვის, ქუჩაში ან სახლში, — არა! იმ წამს, მაშინვე, მაგრამ ეშმაკი უკვე თხრიდა ჩემს გულს... შუბლი დამეცვარა სირცხვილისაგან, ალმური ამივიდა, მაგრამ არ „გავტყდი", ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. ეს „ქვა" მარტო ერთხელ არ დამცემია თავში, რამაც ის მაფიქრებინა, რომ კაცი მუდამ „საკუთარ" შეცდომებს სჩადის, თავის შეცდომებს იმეორებს...

დღემდე თვალწინ მიდგას ის ოდნავ ჩაბნელებული ოთახი, მაისის მზიან დარშიც რომ ლამის სინათლე ენთო, სადაც მშვენიერი ქალბატონი მოწყალე, ნატიფი ღიმილით გვიღიმოდა. და მეორედ მისვლისას, — ბატონი გერონტის უცნაურად დამძიმებული გამომეტყველება, როცა იგი შემზარავ ჩვენებებს იგერიებდა.

დიდ კაცთან თუნდაც ერთი შეხვედრა რაღაცას გვასწავლის.

მგონი, მეც ვისწავლე რაღაც.

1985

# გუთნით გავლებული ურნატი

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ბათუმის სახტუმროსთან შემთხვევით შევხვდი გიორგი ლეონიძეს (ჩემს დირექტორს!). ახალი ლურჯი კოსტუმი ეცვა, სახეზე მზე ჰქონდა მოკიდებული და მის ხალისიან გამომეტყველებას მეტ ენერგიულობას ანიჭებდა: რა მშვენივრად გამოიყურებით, ბატონო გიორგი! — ამის თქმალა მოვახერხე და შევჩერდი. — მართლა?

— ჩემთვის მოულოდნელად გაეხარდა გიორგი ლეონიძეს, თფუ, თფუ, არ დავითარსოო, და მერე ინსტიტუტის ამბები გამომკითხა. გამიკვირდა, ასე რომ ეამა ჩემი სიტყვა.

რამდენიმე დღის შემდეგ გია მარგველაშვილი და მე მიგვიპატიჟა მახინჯაურის ტყეში, სადაც აჭარელ ლეონიძეებს მის საპატივცემლოდ გაეშალათ სუფრა (გ. ლეონიძე ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ლეონიძეთა გვარი წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან არის). სხვებთან ერთად მეც ვადღეგრძელე ბატონი გიორგი: დღეს რომ ხართ, ასე გამყოფოთ ღმერთმა ათი, ოცი, ოცდაათი წელი-მეთქი. გიორგი ლეონიძემ მხიარულად დაიბუხუნა: მეტს ვერ იმეტებ ჩემთვისო, და მერე მთელი სუფრა ამ რეფრენით წაიყვანა: ამ კაცს ენანება ჩემთვის მეტი სიცოცხლეო. ამის თქმაზე სუფრამ აიწყვიტა: ას წელს სიცოცხლისას ხომ უსურვებდნენ და უსურვებდნენ, მერე ორასამდე ავიდნენ (მე, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული შევყურებდი ამ სურათს), ბოლოს, ერთმა ლეონიძეთაგანმა სამასი წლის სიცოცხლეც კი უსურვა, რაც ჩემთვის იმდენად გროტესკულად ჟღერდა, რომ გავიფიქრე: ახლა კი გული მოუვა-მეთქი. არც გაიფიქროთ! გიორგი ლეონიძე დიდად კმაყოფილი ჩანდა ასეთი რიცხვული პროგრესიით...

გიორგი ლეონიძეს სიცოცხლე უყვარდა რაღაცნაირი „ფანატიკური სიხარბით", თუ შეიძლება ასე ითქვას, რელიგიური ექსტაზურობით და მის ლექსებში ეს ვიტალური ძალმოსილება ზოგჯერ მართლაც იმოსავდა მსოფლმხედველობრივ განზომილებას. მის მსოფლაღქმაში „სიცოცხლე" განიცდება როგორც სომატური სისავსე და დაუშრეტელი ხვავრიელობა: „ჩემს ლექსს თვითეულს ეწურება ცხრა ლიტრი ერბო", ან „კახეთის მსუქან თეძოების ვწოვე მტევნები". ეს ხელშესახები პოხიერება გ. ლეონიძის ადრინდელ პოეზიაში ადამური პირველყოფილებით და ერთგვარი „გვაროვნული" არქაულობით ცნაურდება. ასეთსავე მიწიერებიდან იღებს სათავეს მისი შემდგომი ხანის უბრწყინვალესი ლირიკა...

იმავე წელს, ბათუმის სასტუმროსთან ტაქსიდან თვალი მოვკარი მანქანის მაძებარ გიორგი ლეონიძეს. მანქანა დავუთმე. ბატონმა გიორგიმ მხიარულად შემომთავაზა — ბაზარში წამოდიო. ბაზარი არ მიყვარს და გაკვირვებულმა მივუგე, რა მინდა-მეთქი ბაზარში! მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბატონ გიორგისთან ერთად მაინც აღმოვჩნდი ბაზარში: ერთად წაგვიყვანა იქ ფრიდონ ხალვაში, გია მარგველაშვილი, სარგის ცაიშვილი და მე. სიამოვნებით დაიარა დახლები, ერთი დიდი თევზი იყიდა და შემდეგ ზღვისპირა რესტორანში მიგვიწვია.

რესტორნის აივანზე ვისხედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ზღვაური ბერავდა ღამეული უსასრულობიდან.

ზღვის სიკეთეზე ვსაუბრობდით. მაგრამ გიორგი ლეონიძისათვის „ჩვეულებრივი", „სასარგებლო", „ეს ზღვა" არ არსებობდა. მისთვის არსებობდა ის ზღვა, რომელიც საბამ იხილა და განიცადა (უჩვეულო გატაცებით ილაპარაკა ამაზე). იგი შორიდან — წინაპართა თვალით უცქეროდა ჩვენგან სულ მცირე მანძილით დაშორებულ ზღვას. და მე ვიფიქრე, რომ ყველაფერი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ჩვენ განვიცდით მას. საბას ზღვა გიორგი ლეონიძისათვის უფრო რეალური იყო, ვიდრე ის ზღვა, რომელიც აქვე ჩანდა. — ზღვის იოდი აღწევს აქამდე? მოულოდნელად იკითხა ბატონმა გიორგიმ. — რა თქმა უნდა, ღიმილით ვუპასუხეთ. და მაშინ მან ღრმად შეისუნთქა „ზღვის ჰაერი"...

აქვე, ამავე სუფრაზე, ჩემთვის ნათელი გახდა გიორგი ლეონიძის ხასიათის კიდევ ერთი თვისება. ბატონი გიორგი მეტისმეტი პირდაპირობით წაეხუმრა გია მარგველაშვილს ერთი მისთვის დიდად საყვარელი რუსი პოეტის გამო, რამაც ამ უკანასკნელის ფიცხი რეაქცია გამოიწვია. გია აფეთქდა, და ეს აფეთქება დაზღვეული არ იყო ლეონიძის მიმართ საკმაოდ თამამი სიტყვისგებისაგან. სუფრა დაიძაბა. გია „დაუნდობლად მუსრავდა" მოწინააღმდეგეს. „გასცხებს", ვფიქრობდი, „არა, ნამდვილად გასცხებს", და სწორედ მაშინ, როცა გავიფიქრე: „მორჩა, ამას კი ველარ მოითმენს-მეთქი", — ბატონმა გიორგიმ ძმურად გადახვია ხელი გიას და თბილი ღიმილით უთხრა: კარგი, შევრიგდეთო. ეს იყო გულით უხინჯო კაცის ბუნებრივი რეაქცია. ამ დიდ პოეტს ბავშვივით აუმღვრელი, კრიალა გული ჰქონდა.

ერთხელ, სიჭაბუკეში, მეც შევბედე. ინსტიტუტის დერეფანში ბატონი გიორგი გამოჩნდა. რამდენიმე კაცი ვიდექით. დირექტორი რიგრიგობით ართმევდა ხელს თანამშრომლებს. მე ბოლოში ვიდექი და შევამჩნიე, რომ ბატონი გიორგი ხელს კი არ „ართმევდა" მათ, ეპისკოპოსივით უწვდიდა დამხვედურებს, ე. ი. ხელის მოჭერით კი არ ართმევდა ხელს, არამედ მომსალმებელს ხელს „პასიურად" უდებდა ხელში. ჩემმა რიგმა რომ მოაღწია, მეც ასევე „პასიურად" ჩავუდე ხელი დირექტორის გამოწვდილ ხელს. გიორგი ლეონიძემ ერთი კი შემხედა ქორულად: ამ კაცს ჩემი არ ეშინიაო, თქვა და კაბინეტში შევიდა. რა თქმა უნდა, იმის აღნიშვნა, რომ ჩემს „თავგასულობას" არავითარი „რეპრესიები" არ მოჰყოლია, საჭიროც არ არის. არ შეიძლება დიდ კაცს გულნამცეცას ღვრძლიანი გული ჰქონდეს. დაუჭერებელია, ნიჭითცხებულ კაცს ჟანგი უჭამდეს გულს.

ხუმრობაც უყვარდა. ხუმრობით, ინსტიტუტში ყოფნის პირველ წლებში, ტორეადორს მე-

ძახდა: წითელი კუბოკრული პერანგი მეცვა და ალბათ ამიტომ. იტყოდა: ტორეადორს დამიძახეთ, ტორეადორი შემოვიდეს ჩემთანო. როცა ჩემი წიგნი მივართვი წარწერით, სადაც ეწერა: „ჩვენს წინამდგომს" (იგულისხმებოდა: ინსტიტუტის მეთაურს), წარწერას დახედა და მითხრა: წინ — ამდგომს? ე.ი. მე თქვენი წინააღმდეგი ვარ? და ჩაიღიმა.

„უცნაურიც" იყო. ერთხელ „თანმხლები პირებით" ჩვენს განყოფილებაში შემოვიდა, თავისთან მიმიხმო და მკაცრად მითხრა: არ დადიხარ, ეგრე აღარ შეიძლება, დაწერე განცხადება, უნდა გაგათავისუფლო .შენ და გურამ ასათიანმა უფსკრულის პირას მიიყვანეთ ინსტიტუტიო. ზუსტად ასე თქვა — „უფსკრულის პირასო". კუშტად მივუგე, როდის მოგართვათ განცხადება მეთქი, მაგრამ „დირექტორი" აღარ მისმენდა, ახლა სხვებს „აწიოკებდა", როგორც შემდეგ შევიტყვე, ამგვარივე მოჩვენებითი პირგამეხებით. მეორე დღეს თავის დროზე მივედი ინსტიტუტში. კანცელარიაში დირექტორს მოვკარი თვალი და სწრაფად ჩავიარე კართან, მაგრამ შემნიშნა და ხმამაღლა დამიძახა, აქ მოდიო. მივედი. მაშ, დადიხარ? — დავდივარ, ბატონო გიორგი, ეგ არი ზოგჯერ მაგვიანდება-მეთქი. და უცებ, სრულიად მოულოდნელად, სულ სხვა ტონით, შინაურული ხმისდადაბლებით მითხრა: რა გინდა მერე რომ დადიხარ, დაჯექი სახლში და იმუშავეო...

„თანმხლებ პირებთან" მდგარმა, ერთხელ, სასაფლაოზე (არ უკადრისობდა გამოსათხოვარი სიტყვის თქმას უბრალო მოკვდავისათვის) ხელით მანიშნა, აქ მოდიო. როცა მივედი, ახლოს მოიწიო, მანიშნა ისევ. თავი გადმოხარა და პირზეხელაფარებულმა საკმაოდ ხმამაღლა მიჩურჩულა": გშპიონობენ!.. სიცილი ძლივს შევიკავე, რადგან „თანმხლებ პირებს" არ შეეძლებოდა გამოპარვოდათ ეს, და როგორც ჩანს, სწორედ მათ გასაგონად იყო თქმული მაინცდამაინც ეს სიტყვა. რას გულისხმობდა „შპიონობაში"? ალბათ იმას, რომ ზედმეტი რიდის გარეშე გამოვთქვამდი ჩემს შეხედულებას მის პოეზიაზე და სულ არ ვითვალისწინებდი იმას, რომ ჩვენი დირექტორი იყო. დაკრძალვის შემდეგ რესტორანში შევიკრიბეთ ათიოდე კაცი (ჩემი წამოყვანაც ინება). რა თქმა უნდა „თანმხლები პირებიც" აქ იყვნენ. მიცვალებულს ჭიქა წავუქციეთ. შეზარხოშების კვალობაზე ლექსებიცა თქვეს. ვიფიქრე: კაცმა არ იცის, რას ეუბნებიან ჩემზე, როგორ მისხვაფერებენ სიტყვას, იქნებ ისიც ჰგონია, — მისი ლექსი არ ვიცი ზეპირად-მეთქი, და „ყივჩაღის პაემანი" ვთქვი. „ყურგანებიდან გნოლი აფრინდა".. „გაფრინდა!" — უმალ შემისწორა. გულით წავიკითხე და ეამა, რაც იქიდან დავასკვენი, რომ როცა რაღაც საკითხზე (სამწუხაროდ, ახლა აღარ მახსოვს რაზე) ლაპარაკობდა, მტკიცედ მოვუჭერი: ბატონო გიორგი, ეგრე არ არის-მეთქი. მაშ, როგორ არისო, მშვიდად და სავსებით სერიოზულად მკითხა, ჩემზე ხორხოცით ამხედრებული სუფრა დააჩუმა და გულისყურით მომისმინა. ამით ბევრი რამ იყო თქმული.

განსაკუთრებული სხვა შემთხვევა იყო. დირექტორი გიბარებსო, მითხრეს. კაბინეტში შევედი. ფანჯარასთან იდგა, ჩემსკენ ზურგით. მომხედა, — დაჯექიო, და ერთხანს ისევ იქ დარჩა. მერე თვითონაც დაჯდა ჩემს პირდაპირ, დაკვირვებით შემხედა და მცირე პაუზის შემდეგ ჯიქურად მოსჭრა: რატომ არ გიყვართ საქართველო!

ცეცხლი მომეკიდა: მე მეუბნებით ამას? მინდოდა რაღაც საშინელი მეთქვა, მეყვირა, მაგრამ დამასწრო და აღელვებით განავრცო თავისი აზრი: ახალგაზრდობის გულგრილობა ქართული საქმისადმი, საკუთრივ იმისადმი, რაც „ქართულია". მივხვდი, რომ მე აქ არაფერ შუაში ვიყავი, რომ მე მისი გულისტკივილის მოზიარე უნდა ვყოფილიყავი. რაღაცნაირი სიმწარით ლაპარაკობდა. ვუსმენდი და ვფიქრობდი: რა უნდა უტრიალებდეს გულში, რომ მე — მისთვის უცხო კაცს, ასეთ რამეზე მელაპარაკება-მეთქი. ეს საუბარი არ მავიწყდებოდა. საუბარიც არ დაერქმეოდა. უფრო ვიღაცის თუ რაღაცის მიმართ ალსარებას ჰგავდა მოწმის თანდასწრებით. „რატომ არ გიყვართ საქართველო!"... ჭაბუკი გოგლას სიტყვები მახსენდებოდა: ილია ნახევარი საუკუნე მუზარადივით ეხურა თავზე საქართველოსო. ალბათ ვერც მუზარადს ხედავს და ვერც მუზარადის დამხურავს და ეს აზელებს. „რატომ არ გიყვართ საქართველო!"...

გიორგი ლეონიძეს უ ყ ვ ა რ დ ა საქართველო: „გამოვარდები, ხარ თუ აღარა!" — ამ ზღვარზე უყვარდა. ამ ზღვარს ყველა ნამდვილი ქართველი უნდა გრძნობდეს. გიორგი ლეონიძის გულში ეს ზღვარი გუთნის ურნატივით იყო გავლებული.

1985. V. 26

## უშურველი გული

ამასწინათ, „ცისკრის" რედაქციაში, ჩვეულებრივი საუბრისას, ოტია პაჭკორიამ თავისი პორთფელიდან რომელილაც ჟურნალი ამოიღო. ვკითხე, — რა არის-მეთქი. — არაფერი, ორი წლის წინანდელი ჩემი წერილიაო, ჟურნალს თვალი გადაავლო და უცებ სახეზე გაოცება აღებეჭდა: აღმოჩნდა, რომ წერილი შვიდი წლის წინათ გამოექვეყნებინა. ერთხანს ჩაფიქრებული

დასცქეროდა თარიღს, მერე ხმადაბლა თქვა: ახლა კი შევშინდი!..

შემაშინებელია გაყონილი დრო. დრო — რომელიც არ სცნობს შენს მიერ განცდილ ორიენტირებს, რომელიც შენს გარეთ და შენს შიგნით იკუმშება და ფართოვდება, ერთ წერტილში იწრიტება ან უკიდეგანო ჭაობივით იფინება, დრო — რომელიც მეტნაკლები სიდიდისა და სხვადასხვა ელფერის მქონე ნაფლეთებად ალაგებს ცხოვრების კალენდარულად უწყვეტ და მთლიან მდინარებას. ოტია პაჭკორია კარგად იცნობს დროის ამ უცნაურ სახიობას, ფენო, ფდიერი წლებისა და საზეიმო დღეების თვალთმაქცურ ნიღბებს (ამ ნიღბების მთელი კოლექცია აქვს გადანახული მეხსიერებაში). კარგად იცნობს-მეთქი—იმიტომ, რომ იგი ვერ მოატყუეს ამ ნიღბებმა. იგი დუძვრა მათ პირქუშ მაქციერობას, მათ მომაცთუნებელ ფერისცვალებას, ტირილსა და ხარხარს...

„დრო და სახელები" დაარქვა ოტია პაჭკორიამ თავის მეორე წიგნს (1978), რადგან არაფერი ისეთი სისავსით არ გამოხატავს დროს, როგორც რომელიმე პიროვნების, ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა ან თაობის სახელი. „თაობა, როგორცა ჩანს, ყველაზე მცირე და კონკრეტული ქრონოლოგიური ერთეულია. იგი გულისხმობს იმ უცილობელ ფენომენს, როცა გარკვეული პერიოდის ლიტერატურულ პროცესში აშკარავდება რაიმე ახალი მნიშვნელობით აღბეჭდილი რიცხობრივი დაგროვება და ინტენსიფიკაცია. ეს არის ადამიანთა ახალი ფენა, თანაასაკოვანი, ერთნაირი გამოცდილებისა და რეაქციის მქონე ადამიანთა ჯგუფი (ვერლი). ყოველ ადამიანს სწამს რაიმე თავის თაობასთან ერთად, ყოველ თაობას აქვს თავისი ლეგენდა, რომელიც გამოხატავს მის ოცნებასა და ხასიათს, წერს ოტია პაჭკორია, და როცა საქმე ეხება თვითონ მას, ჩვენი თაობის ერთერთ თავკაცს, მე ვერ დამაბრკოლებს ის გარემოება, რომ გუშინ თუ გუშინწინ მანვე მომმართა მოხალოცი სიტყვით.

ხშირად მიფიქრია: კაცი, რომელიც „უკულტურო იგნორაციის" ატმოსფეროში (და ეს არც ისე იშვიათი მოვლენაა) გულდასმით კითხულობს სხვათა ნაწერებს, აანალიზებს მათ და გამოთქვამს თავის პირუთვნელ აზრს, უკვე ამ ფაქტით ადასტურებს თავის პატივისცემას ამა თუ იმ პიროვნებისადმი და, მაშასადამე, საზოგადოებისადმიც. ოტია პაჭკორიას წერილებში უთუოდ ჰვივის მისი უშურველი გული. გადაიკითხეთ მისი მოსაგონარი წერილები ნოდარ ჩხეიძესა და გურამ რჩეულიშვილზე, მისი წერილები თავის კოლეგებზე, თუნდაც ისინი, სადაც იგი ნეგატიურად აფასებს მათი შემოქმედების ზოგიერთ მხარეს, და ნახავთ რა ფაქიზი გულისყურითა და მამაკაცური პირდაპირობით, ხოლო ზოგჯერ თვითირონიითაც კი, ამბობს იგი თავის სათქმელს.

ოტია პაჭკორიას წერილები „მძაფრი, დინამიური სტილით გამოირჩევა. ისინი არაჩვეულებრივი გზნებით არიან დამუხტულნი" (ს. ცაიშვილი) და კონკრეტული მოვლენების, ან მათთან დაკავშირებული ადამიანური ურთიერთობის სითბოს ასხივებენ. ოტია პაჭკორიას აინტერესებს ადამიანები, მათი შემოქმედება და ნამოქმედარიც, რადგან უყვარს ისინი და ქედმაღლურ განმარტოებას მათ შორის ყოფნას ამჯობინებს. მაგრამ იგი, ამავე დროს, მოუწყინარი მკითხველი და ბიბლიოფილი, მრავალმხრივი და ფრიად სერიოზული ცოდნის პატრონიცაა. და კიდევ: იგი იმ მცირეთაგანია (არა მარტო კრიტიკოსთა შორის), ვისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია ნაწერის „ენობრივი ტონუსი", სიტყვის არა მარტო აზრი, არამედ ხმოვანება, ფრაზის ბგერწერა, გამოთქმის სიზუსტე და ექსპრესია, და ყველა ეს თვისება მან სრულად გამოამჟღავნა თავის ორ მოთხრობაშიც.

მისთვის უცხოა ორაზროვანი ბუნდოვანება და შენიღბული გულგრილობა. ოტია პაჭკორია მუდამ იმათ საპირისპიროდ იყო მომართული, ვის გამოც თქმულა: არცა გრილ, არცა ტფილ! იგი ვერ ურიგდება ვერანაირ ცუდმედიდობას — კარიერისტის, ხელოვანის, ინტელექტუალის ვერანაირ თვითკმაყოფილებას, თავმონთეობასა და გაფუყულობას, რომლის წიაღ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნიჭიერების უკმარობას, გულის სიძუნწეს ან კაცური ბუნების „იწროობას" ხედავს... რა თქმა უნდა, ბევრი ჩვენთაგანის მსგავსად, მასაც დაუშვია შეცდომები, მაგრამ არ მორიდებია შეცდომათა აღიარებას, გამოუჩენია გადამეტებული სიფიცხე, რაც სიყვარულით გამოუსყიდია. ოტია პაჭკორია არასოდეს გაქცევია საკუთარი თავის მხილებას, რაკი იცის: სწორი გზა ცხოვრებაში ულმობელი სინდისიერებით აღბეჭდილი თვითანალიზით მოიძიება. ამ „ულმობელობამ" მიიყვანა იგი პროზასთან. თანადროულ პროზას სწორედ „საკუთარი თავის შემეცნების აქტი უდევს საფუძვლად" (ფ. მარტინი). ცნობიერების ასეთი ანალიზისათვის იმთავითვე იყო გამზადებული ოტია პაჭკორია. მე არ ვგულისხმობ მაინცდამაინც სიყმაწვილეს ან ადრეულ სიჭაბუკეს (მოთხრობებს იგი მაშინაც წერდა), არამედ მოვლენათა იმ ერთობლიობას, რომელიც გაიძულებს გარდუვლად მოახდინო არჩევანი, ხოლო მერე საკუთარი ცხოვრების განმსაზღვრელ სტიმულად გადაიაზრო ამ არჩევანის ეთიკური შედეგი... გულსახტიკობაა ამის თქმა, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ ყველაფერი, რაც მას თავს გადახდენია, იმად მოსულა, რომ ჭეშმარიტ მწერლად გამოკვეთილიყო მისი პიროვნება. მან ბევრი იწვალა, იჭვისა და ყოყმანის ბნელი გვირაბებიც გაიარა, სანამ გამოუთქმელის ბურუსიდან სინათლეზე გაიჭრებოდა.

მე საკმაოდ დიდხანს მიცქერია მბუტა-

ვი ნათურებისათვის ოტია პაჭკორიას ბინაში (სადაც მის დაბადების დღეს, ახეც მომხდარა, მხოლოდ სამი დაღვრემილი ადამიანი აღნიშნავდა), რომ არ გამახაროს ამ ჩახჩახა სინათლემ, სინათლემ, რაც მან თავისი ნიჭით, შრომითა და ცოდნით მოიპოვა. ამ სინათლეში ჯერ კიდევ ჩანს გზის ერთი მონაკვეთი, რომლის იქითაც კლდოვანი ბილიკები დაიწყება. და სწორედ აქ, ამ მიჯნასთან ვუდასტურებ დღეს ოტია პაჭკორიას სიჭაბუკეში გამოცდილ ძმობასა და სიყვარულს.

1977

1948 წლის შემოდგომის მშვენიერი დღეა. ქუჩაში მოდის სამი ბიჭი. ერთი ჩაფსკვნილი და ტანდაბალია, სწორი თმა კეფაზე აქვს გადავარცხნილი. დინჯად მოიზლაზნება. მეორეს ათლეტური აღნაგობა აქვს, ფართო ბეჭებს მოუსვენრად მოარხევს, ტალღასავით აყრია ხშირი, წაბლისფერი თმა. მესამეც ქოჩრიანია, გამხდარი. უხარიათ შემოდგომის ოქროსფერი დღე. მთავარი ქუჩიდან ხელმარცხნივ, ქვით მოკირწყლული, მზეზე აპრიალებული ვერის აღმართები ჩანს. ერთ-ერთ აღმართს შეუყვებიან. ოცი წლის ბიჭები არიან. ყმაწვილობას ეს ეს არის დააღწიეს თავი, მაგრამ ყმაწვილური ჯერ კიდევ ძალუმად ჩქეფს მათში. მათ უკვე განიცადეს ან ახლა განიცდიან ქალისადმი პირველ მძლავრ სიყვარულს. პირველი გაღმერთებული ქალისადმი, რომელსაც „აბსოლუტს“ ეძახიან (ეს გამოთქმა მათ მეოთხე მეგობარს ეკუთვნის. ის ახლა არ არის მათთან).

რაზე ლაპარაკობენ? ან რაზე ხარხარებენ? ჩაფსკვნილი და ტანდაბალი არ ხარხარებს, იშვიათად იღიმება მხოლოდ. ფართომხრებიანი და გამხდარი გულიანი მოხარხარენი არიან. შესაძლოა იმას იხსენებენ, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი?

ის მეოთხე, ახლა მათთან რომ არ არის, და გამხდარი სოლოლაკის ერთ ეზოში ცხოვრობენ დაბადებიდანვე. იქ, იმ ეზოში, ფართომხრებიანმა და გამხდარმა ერთმანეთი ამ ოთხი წლის წინათ გაიცნეს მათზე უფროსი გოგოების მეცადინეობით (გოგოებს მოსწონთ „განათლებული“, „მცოდნე“ „,ჭკვიანი“ ბიჭები: ეს ომისდროინდელი გოგობიჭების გემოვნებაა!). და აი, უკვე საუბრობენ, თავს აწონებენ ერთმანეთს. მაგრამ ეს არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, — ეს „ბლეფი“, თუმცა მათ ჯერ კიდევ არ იციან ეს სიტყვა. ფართომხრებიანმა საუბარში ახსენა ბევრი მათი ტოლისათვის უცნობი სიტყვა „ბაროკო“ (იგი უფრო მეტად ევროპული ლიტერატურით და კულტურით არის დაინტერესებული). გამხდარმა მიიღო ეს გამოწვევა და შესთავაზა: აგერ აქ, ამ აივანზე ჩემი მეგობარი ცხოვრობს, გადასარევი ბინა აქვს „როკოკოს“ ავეჯით გაწყობილი (ეს — „ბაროკოს“ჯინაზე). მოდი, იმასთან შევიდეთო. ეს ის ბიჭია, ახლა მათთან რომ არ არის. შედიან დიდ, ნახევრად ჩაბნელებულ, თეჯირით შუაგაყოფილ ოთახში. რაა ღირსშესანიშნავი? კედელზე ჩინელი ქალის შავ ფონზე ამოქარგული სურათი ჰკიდია. წიგნების კარადა და ერთი დიდი, მოჩუქურთმებული ხის საკარცხლული დგას, მახვშის საკვარცხლული (მახვში ციმბირის ტყეებში „მუშაობს“). ფართომხრებიანი შეცბუნებულია: „როკოკოს“ ავეჯი? არაფერი ამის მსგავსი! და ისინი იცინიან. იცინიან ერთმანეთზე და თავის თავზე. ყველაფერი რიგზეა. თექვსმეტი წლისანი არიან... ამას ხომ არ იხსენებენ? არა!

და არც იმას, თუ როგორ გაიცნო გამხდარმა ის მეგობარი, რომელსაც მაინცდამაინც არ უყვარს ხარხარი და საერთოდ, მათზე ბევრად უფრო დინჯია?..

უნივერსიტეტში შესვლისთანავე (1945- წ.) ვიღაცამ წააკითხა მისი ლექსები. ისიც უთხრეს, რომ „სადღაც იქით“ ცხოვრობს, წყლის წისქვილებთან (წისქვილები კარგად ჩანდა „ვორონცოვის“ ხიდიდან). და აი, გამხდარი, რომელსაც მარტო ლექსები აინტერესებს ამ ქვეყნად, რაღაც საქმის გამო ხიდის მოედანზეა, მისთვის სრულიად უცხო უბანში. აქ, აშკარად განსხვავებულ, არაინტელიგენტურ, კუშტ სახეებს ხედავს. და უცებ, მოედანს რომ გასცდა, პირველ თუ მეორე შესახვევთან, წიგნის ფარდულის რაფაზე იდაყვზე თავჩამოყრდნობილი ბიჭი დაინახა. ბიჭს ჰქონდა სერიოზული, ჩაფიქრებული სახე. და ვინ უნდა ყოფილიყო ასეთნაირი გამომეტყველების მქონე ბიჭი თუ არა ის პოეტი, რომლის ლექსებიც ახლახან წააკითხეს და რომელიც თურმე სადღაც აქვე ცხოვრობს? ან და რატომ სწორედ ის არ უნდა ყოფილიყო? და ბარაქალა ყმაწვილურ სითამამეს და თავქარიანობას, იგი ძლევს მორიდებას და ეკითხება სავსებით უცნობ ადამიანს, ბიჭს, რომელსაც პირველად ხედავს: თქვენ ესა და ეს ხომ არ ხართ? და ხომ ვიცით, რომ პასუხი ერთადერთი უნდა ყოფილიყო; მაგრამ ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, უცნობმა ოდნავი გაკვირვებით შეხედა, იდაყვი ჩამოიღო და — კი, მე ვარო, — უთხრა.

იქნებ ამას იხსენებენ ახლა და სჯიან, თუ რა უცნაურია ცხოვრება (ეს თემა უყვართ, რა-

კი ჰგონიათ, რომ უკვე ბევრი იცხოვრეს და ბევრიც განიცადეს)... არა!

მათ ხწყურიათ მოძრაობა და თამაში. ყმაწვილობას ეს ეხ არის დაალწიეს თავი (უხარიათ, რომ „დაალწიეს", რადგან ჯერ არ იციან, რას ნიშნავს ბავშვობის მითოსიდან გამოსვლა), მაგრამ ყმაწვილური ჯერ კიდევ მძლავრად ჩქეფს მათში. ქუჩაში ნაცნობი შემოეყარათ და რაკი ოთხნი გახდნენ, გადაწყვიტეს იქვე, სკოლის ეზოში შესულიყვნენ ბურთის სათამაშოდ. იქ არავინ დახვდათ. ეზოში სრული მყუდროება სუფევდა და ქვითკირის გალავნის გადაღმა — ლვინის ქარხნის შემოგარენიდან ნიავს საამო სურნელება მოჰქონდა.

და შეხედეთ ახლა ამ ოცი წლის „ოყლაყებს". ამ „ვირებს", რომლებიც „ქვა ქვაზე"-ს თამაშობენ და ერთმანეთს ჯორავენ! ზურგზე ამხედრებულები ერთმანეთს მხიარულად უყივიან (იფ. ჰოლომონ!"—იყო ასეთი შეძახილი) გაჯორილები „იმუქრებიან" და „შურისგებისათვის" ემზადებიან...

ერთი თუ ორი კვირის თავზე, ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ის ბიჭი, მხრების რწევით რომ იცოდა სიარული, დაიჭირეს და „გამოძიების" რამდენიმე თვის შემდეგ... 25 წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

მარტო ის არ დაუპატიმრებიათ. კიდევ რამდენიმე ბიჭი დააპატიმრეს ნაცნობ-მეგობართა იმ წრიდან, ყოველდღე თუ არა, დღე გამოშვებით მაინც ერთად რომ იკრიბებოდა უნივერსიტეტის ეზოში, ან რომელიმე მათგანის ბინაზე; და რაკი არავინ იცოდა, რატომ იყვნენ დაპატიმრებულნი, ყველა დანარჩენიც ასეთსავე განჩინებას ელოდა. ქალაქში დაირხა კიდეც ხმა, რომ ის ორიც დააპატიმრეს (საცოდავები, რა ნიჭიერები იყვნენ! — წუხდნენ ზერელედ). ხოლო ის ორი ბორგავდა, და არა მარტო ის ორი, სხვებიც ბორგავდნენ, შეძრწუნებულები ებრძოდნენ სხვადასხვა ჭორს (ზოგს ხომ გამცემლობა ბრალდებოდა!), მოდებულნი იყვნენ კინოს, საკონცერტო დარბაზებს და ქუჩას, ხალხს ენახებოდნენ; აქა ვართ, არ ვართ დაპატიმრებულებიო. მაგრამ რას დააპურებდნენ ჭორით გაუმაძღარ ქალაქს! გამხდარი ერთხელ კულისებშიც კი შევარდა: რატომ აღარ აცხადებთ ჩემს გვარსო (ლექსი ჰქონდა დაწერილი თავისი ტოლი კომპოზიტორის მუსიკაზე, მოდური სიმღერა იყო მაშინ, სამედიცინო ინსტიტუტის ჯაზორკესტრი ასრულებდა). ორკესტრში ნაცნობმა ბიჭებმა სიცილით უთხრეს: როგორ გამოგაცხადოთ, შენ ხომ დაპატიმრებული ხარო... მერე ელდამ გაიარა. მიწყნარდა ყველაფერი. ქალაქი გაიტრუნა: а может быть мальчика и вовсе не было...

ჩვეულებრივ კალაპოტს დაუბრუნდა ყველაფერი. დაუბრუნდა კი? შეიძლებოდა, ამის შემდეგ ჩვეულებრივ კალაპოტს დაბრუნებოდა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, თუნდაც რომ ოცი წლისანი იყვნენ და თავში ათასი ქარ[illegible] ის ქალაქის საპატიმროშია. მა[illegible] ნოწ სადღაც შორს. და ის ორი ოცი წლის ბიჭი, საპირისპიროდ ჯანსაღი აზრისა და მიზანშეწონილებისა, მიდის მეგობრის სანახავად. მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ ამ აქტით ღირსებას შემატებენ თავიანთ სიჭაბუკეს, რაკი მეგობარს ისეთ რასმე გაატანენ საგზლად, რაც მას არამცთუ იქ არ დაელევა, აქაც ჩამოიტანს და ისევ მათ გაუნაწილებს. ამას ყოველთვის უცნაური სიამაყით იხსენებდა ყოფილი „პატიმარი", ამ პატარა, საცოდავ „თავგანწირვას", რომელშიც სამი კაცის გამტანი მეგობრობის დასაბამს ხედავდა.

მაგრამ ახლა რკინის ცხაურს აქეთ დგანან და ელოდებიან მეგობარს. გამოჩნდა. მოდის ბეჭების რწევით. მხნედ არის, მაგრამ თმა გასცვენია. თმა სულ აღარა აქვს, ხშირი წაბლისფერი თმა ტალღებად რომ ეყარა თავზე, აღარა აქვს! მაგრამ „ირიბად აჭრილ" დიდ თვალებში რაღაცნაირი ხისტი სიამაყე უდგას. ოცდაათი წლის შემდეგ დაწერს თავის მოთხრობაში: „მკერდით დაჰქონდა პატარა მიწის ნაშიერის გულის გამხეთქი, აუტანელი სიამაყე!"... რკინის ცხაური აქუცმაცებს პაუზებით დამძიმებულ ლაპარაკს. უფრო ის ლაპარაკობს და მკლავზე მოუჩანს სვირინგი: IWERIA (სწორედ ასე, დაბლ-ვეთი ჰქონდა ამოსვირინგებული). ეს არის მისი დამღა, ჰერალდიკური ნიშანი, რომლითაც უნდა გამოარჩიონ სხვათაგან. ნებაყოფლობითი დამღა. იგი სიკვდილამდე ამგვარ „დამღიანთა" ორდენის წევრი იყო.

შეხვედრის ჟამი იწურება. ვნახავთ ერთმანეთს! — მხნედ ამბობს იგი. ვნახავთ! — უხალისოდ პასუხობენ ესენი. ნახვამდის!

მათ ნახეს ერთმანეთი, და ეს დროის იღბლიანი მაქციერობის საჩუქარი იყო მხოლოდ. 28 წლის ოტია პაჭკორია ჩამოვიდა და მესამე კურსზე განაგრძო სწავლა. აქ მან შეიძინა ძვირფასი მეგობრები, რომელთაც სიკვდილამდე უმეგობრეს მას (მათ შორის ზოგიერთი ცნობილი მწერალი და მეცნიერია). სხვებიც დაიმეგობრა. ამის ნიჭიც ჰქონდა და ხალისიც. არა ერთს დაასხა ხელი: ახალგაზრდა მწერალს თუ არამწერალს. ბევრს ასწავლა ზოგი რამ იმისაგან, რაც მხოლოდ მას ჰქონდა მომადლებული. „ბევრში" აქ ჩვეულებრივი „ცოტა" იგულისხმება. და აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ აზრით, მისი „ცოტა" ნაწერი — ბევრია.

— მაშინვე უნდა დამეწყო წერა, მითხრა ერთხელ სინანულით, როცა დავაყვედრე იმის არგაკეთება, რისი გაკეთებაც მხოლოდ მას შეეძლო. მაგრამ „მაშინ" სხვა გუნებაზე იყო. ჩამოსვლის პირველ ხანებში, ერთ საღამოს, მახსოვს, ლიტერატურაზე რომ ვლაპარაკობდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალიზიანდა და შეიგინა. შესაბამისი სიტყვაც იხმარა: ...вашу литературу!

ევიწროვებოდა მხოლოდ „ლიტერატურა“ იმის ფონზე, რაც ნახა და განიცადა, „ლიტერატურა“ იმ აზრით, როგორც ამ სიტყვას აგორავებდნენ მაშინ, გაალმასებული ჩამოვიდა. ჩამოცილებული ჰქონდა ათასგვარი ცრურწმენების ჩენჩო. მერე დაწერს თავის აშკარად ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში: „პატივმოყვარე პროვინციელთა ოჯახში შედგინეს მისი ცხოვრების პროგრამა“, „იგი კი დედისერთა, რჩეული, ნებიერი ბიჭია, ასე ცუდად მომზადებული ცხოვრებისათვის, ცუდად გაწვრთნილი და ბევრი ნაფერები“.. „წავიდა იქ, სადაც არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ სადაც თავისი მამაკაცობა, მამრული არსი, თავისი სუბსტანცია უნდა მოეპოვებინა“...

ასეც მოხდა. მაგრამ იმან, რაც ნახა და განიცადა, საბოლოოდ განსაზღვრა მისი ცხოვრების გეზი. მისი „25“ გრძელდებოდა სადღაც შიგნით, იქ, სადაც მის დასაძლევად გარკვეული ძაბვა გამოიმუშავა... ჩამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ „ცისკრის“ თანამშრომლების კარიკატურები გამოაქვეყნა გიგლა ფირცხალავამ „ნიანგში“, — ოტიასიც. შემხვდა და მითხრა: ახლა კი მოვისვენეო (აგერ ბატონო, კარიკატურა სხვებთან ერთად, ე.ი. აღარ არის პ ა ტ ი მ ა რ ი!). ასე იყო დაძაბული... რაღაცნაირი სიშმაგით დაიწყო თავისუფალი ცხოვრება, თავდაუზოგავად. ეს იყო მისი ხასიათის მთავარი თვისება — თავდაუზოგავი იყო. ჯანმა დიდხანს არ უმტყუნა. ცოცხალი მზერა და ჯანსაღი, ლამაზი კბილები ბოლომდე შეინარჩუნა, რაც მის ბუნებრივ ჯანმრთელობას მოწმობდა. რატომ ღვინოს არა სვამ? ვკითხე ერთხელ. — არ მათრობს!.. არასოდეს მინახავს გადამთვრალი, ფეხარეული. მერე და მერე თავი იჩინა ერთგვარად მოუხელთებელმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნელადმოქმედმა სტრესმა, რასაც მისი ახლანდელი — გლუვი და თვინიერი, და იმ რვაწლიან პერიოდში გამომუშავებული ბასრი და უტეხი ცხოვრების წესის შეუსაბამობა იწვევდა. კონიაკით ებრძოდა ამას...

ახალ წელს თემო მალლაფერიძესთან ვხვდებით, გომბორში. აქ არიან მისი გვიანი სტუდენტობის „უმცროსი თანატოლები“. მეორე დღეა. ვნადიმობთ. შევნიშე: ოტიამ ფერი დაკარგა, ცოტახანს ასე იჯდა. მერე ადგა და აივანზე გავიდა. გავყევი. ბორგავს. აივანზე მიმოდის. ბეჭზე იკიდებს ხელს. ველარ გავუძელი და ვუთხარი: ხომ იცი, რაა ამის ბოლო!.. პირდაპირ თვალებში შემხედა, მხარზე მომხვია ხელი და მშვიდად მითხრა: так хочу брат! ოცი დღის შემდეგ ინფარქტი დაემართა.

ინფარქტს არ შეუცვლია მისი ზნე და ხასიათი („გულმა თვითონ იცის, როდის უნდა გაჩერდეს“). ოღონდ უფრო გაუმწვავდა წარმავლობის გრძნობა და აიძულა დაეწერა თავისი სამი ბრწყინვალე მოთხრობა. ამ მოთხრობებში პირდაპირ და არაპირდაპირ მთელი მისი ცხოვრებაა დაშიფრული ამოხსნადი და ამოუხსნელი იეროგრაფიებით. ბევრი რამაა მათში თქმული, ნაწინასწარმეტყველბიც კი... იმ ხანებში აუერბახის „მიმესისი“ მაჩუქა ასეთი წარწერით: „თუ კი რამე მარადია, იმის იმედით“. ორ სახელს შუაა მოქცეული ეს წარწერა. თარიღიც უზის: 1976. მისთვის უჩვეულო სკეპსისი ჭვივის ამ სიტყვებში, რომლებიც უთუოდ დაამშვენებდნენ დაცემის ხანის ნატიფ ავგაროზს ან ბეჭდის გემას. „თუ კი რამე მარადია“... მაგრამ რაა მარადი? არაფერი, თუ არ დაიძლია სიკვდილი!.. ამ წიგნში არის ერთი ადგილი, სადაც ავლიანეს სიტყვებია მოყვანილი morior stando (მოვკვდები ფეხზე მდგარი!). ოტია პაჭკორია ფეხზე მდგარი ებრძოდა სიკვდილს, ფეხზე მდგარიც არა, — ყალყზე შემდგარი, ვინაიდან მკერდით დაჰქონდა პატარა მიწის ნაშიერის გულისგამხეთქი, აუტანელი სიამაყე... ბოლოს თავის ტახტზე წაიქცა იმ სურათის ქვეშ, რომელზეც დაფიონის სისხლიან მწუხრში თავგანწირვით მიმქროლი თეთრი ცხენია გამოსახული.

1987

## ფიქრით შეტეხილი სახე

ის იყო პოეტი და სძულდა უზუსტობა...
რილკე

ომის შემდგომ წლებში სოლოლაკის უბანი თავისი მკვიდრად ნაგები სახლებითა და მყუდრო ქუჩებით, აჟურული ჭიშკრებით, მარმარილოს გრილი სადარბაზოებით და ეზოში შესასვლელი ნახევრად ჩაბნელებული ტალანებით ერთგვარი სტაბილურობის განწყობილებას ქმნიდა. აქ არ გაჰყავდათ ახალი მაგისტრალები, არ აშენებდნენ ახალ სახლებს და ამიტომ „ინდუსტრიული გრუხუნიც“ არ ისმოდა. წერეთლის, მაჩაბლის, ლერმონტოვის, საბა-სულხანისა და მიმდებარე ქუჩების მკვიდრი ჭაბუკები, რომლებიც ამ უბნის ქართულ სკოლაში სწავლობდნენ, მოედნიდან ამომავალი მთავარი ქუჩის დასაწყისში სოკო-შადრევანთან

იურიდნენ თავს სალამოობით და ათასგვარ ამბებზე მასლაათობდნენ. უნდა ვთქვა, რომ თემა ამ მასლაათისა ყოველთვის ფეხბურთისა და ე. წ. „სავაჟკაცო საქმეებს“ არ უტრიალებდა. ხანდახან საუბარი დიდ მწერლებს, ფილოსოფოსებსა და პოეტებს გადასწვდებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსი და ევროპელი პოეტების ოთხ ენაზე გახმიანებული ციტატებიც კი ისმოდა (ასეთი კაციც ერია ჩვენს შორის).

ამ სოკო-შადრევანთან ზოგჯერ შედგებოდა ხოლმე ერთი დახვეწილი გარეგნობის ჭაბუკი, რომელსაც არ უყვარდა ხმამაღალი ლაპარაკი და კამათი, მაგრამ უყვარდა თავისი ამხანაგები. იგი ბევრს კითხულობდა, გულმოდგინედ სწავლობდა გერმანულს, თუმცა არცერთი „ბიჭური“ საქმიდან არ ყოფილა გამოთიშული: კარგად თამაშობდა ფეხბურთს და მეგობრებთან ქეიფსაც არ აკლდებოდა. თითქოს არც არაფრით განსხვავდებოდა ინტელიგენტურ ოჯახებში აღზრდილი ამ უბნის სხვა ყმაწვილებისაგან, თუ იმას არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ მას რაღაცნაირი დაჟინებული, ბუროსიანი მზერა და ფიქრით შეტეხილი სახე ჰქონდა. იგი ჩართული იყო და არც იყო ჩართული ამ ყოველდღიურ „ბიჭობაში“. მას ყოველთვის ახლდა ერთგვარი დისტანციის გრძნობა იმისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა. გვიან მივხვდი, მისი გონება დაჟინებით და გამუდმებით იყო მიჯაჭვული რაღაც ღრმა და ძნელად შესამეცნებელზე, იმაზე, რის შესაცნობად ათასი წლის ფიქრიც არ იკმარებდა. ეს ჭაბუკი ზურა კაკაბაძე გახლდათ. ერთი იმათგანი, ვინც ახალ უბანში არ გადასულა საცხოვრებლად, როცა ახალმშენებლობათა ბუმი დაიწყო ჩვენს ქალაქში. მისი მყუდრო, ძველი ბინა მოსწონდა თურმე ცნობილ გერმანელ მწერალს ბიოლს, რომელსაც უთქვამს: თანამედროვე ავეჯით გაწყობილი ახალი ბინები კონფორმისტულ სულს ამჟღავნებს, ძველი ყაიდის ბინებში მეტია „ადამიანურობა“...

ამ „ადამიანურის“ გამომძიებელი და აზრით დამფუძნებელი იყო ზურაბ კაკაბაძე, — ევროპული სტილის ფილოსოფოსი, ფართო დიაპაზონის მოაზროვნე, ადამიანის უმტკივნეულეს პრობლემათა მკვლევარი...

„ადამიანი რაც არის და რა დონეზეცაა უკვე, არასოდეს არ არის საბოლოო მიზანი, რომ ამაზე გაჩერება შეიძლებოდეს. იგი მოწოდებულია დაძლიოს თავისი თავი ყოველ მოცემულ დონეზე, გადალახოს ყოველი მოცემული ზღვარი და წავიდეს უფრო შორს იმისაგან, რაც მის მიერ უკვე მოპოვებული და მიღწეულია“... „თვისებრივი უსასრულობისაკენ განვრცობა შეადგენს ადამიანის სპეციფიკურ, ღრმა არსს“... „შემოქმედებითი აქტივობის გარეშე ადამიანს არ შეუძლია დაძლიოს მოწყენილობა, სიმარტოვე, ამის გარეშე ადამიანის ცხოვრება ჰკარგავს აზრსა და გემოს“... ასე ფიქრობდა ზურაბ კაკაბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის საფლავთან, გამოსათხოვარ სიტყვაში ნიკო ჭავჭავაძემ სათითაოდ ახსენა ზურაბ კაკაბაძის მასწავლებლები, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნეები შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, სერგი დანელია, და აღნიშნა, რომ ზ. კაკაბაძემ მათი საუკეთესო თვისებები შეისისხლხორცა და ჰარმონიულად გააერთიანა თავის პიროვნებაში. და მოგონებამ უმალვე გააცოცხლა მათი ხასიათის ის წახნაგები, რომელთაც ცხადი თუ უხილავი კავშირი ჰქონდათ ზურას პიროვნებასთან...

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ რუს ფილოლოგებს უკითხავდა დასავლეთევროპულ ლიტერატურას. იგი კათედრაზე აპრილ სილენს ჰგავდა. ფანჯრისკენ პირშებრუნებული და სივრცეზე მზერამიბჯენილი რაღაცნაირი უგულვებელმყოფელი ტონით ახასიათებდა ვოლტერს: «Это старческое хихиканье Вольтера, эта катящаяся голова с разумом...

ᲙᲝᲢᲔ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ იდაყვებით დაეყრდნობოდა კათედრას, მარჯვენა ხელში პურის ცომს ზელდა გამუდმებით. ლექციას რა დაამთავრებდა, სათვალეებიდან გამომზირალი გამჭრიახი თვალებით დაგაკვირდებოდა და მშვიდად იკითხავდა: ᲒᲐᲘᲒᲔᲗ?.. ცოტა ხნის შემდეგ რბილი ირონიით, თითქმის ნაღვლიანად დასძენდა: ვერაფერიც ვერ გაიგეთ!..

ᲡᲐᲕᲚᲔ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ პირველად უნივერსიტეტის საპარიკმახეროში ვნახე. სარკესთან მჯდარ ფილოსოფოსს მასსავით სარკესთან მჯადრმა ჩვენმა ლექტორმა უხერხული ღიმილით შესჩივლა — თმა მცვივაო. სავლე წერეთელი ჩემთვის შეუცნობელი გამომეტყველებით მიუბრუნდა კოლეგას და ხმადაბლა ჰკითხა: ჩემო (სახელი), თმა არ გიჩერდება თავზე, თუ თავი არ იჩერებს თმას?..

ᲡᲔᲠᲒᲘ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ მხოლოდ ერთხელ ვნახე ქუჩაში. ვენორი ქვაჩახიასთან ერთად მოსეირნობდა რუსთაველზე — პირხმელი და ამაყი. მას რომაელი პატრიციუსის სახე ჰქონდა...

მათი ნამოწაფარი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ ჩვენი თაობის ინტელექტუალური ლიდერი იყო.

დღეს ადამიანის არსს იმაში ხედავენ, რომ იგი განარჩევს ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲡ იმისაგან, რაც მიზანშეწონილი, სასარგებლო და სასიამოვნოა. ერთი შემთხვევა მაგონდება. ომის დროს გამოვიდა გალაკტიონის ასმანეთიანი „რჩეული“, რომელიც უმალვე დაიტაცეს (მაშინ ეს საკმაოდ უჩვეულო ამბავი იყო). ზურაბ კაკაბაძემ მაშინდელი გაჭირვების კვალობაზე მოზრდილი თანხის ფასად იშოვა ეს წიგნი, რამაც მისი ნაცნობ-მეგობრების განცვიფრებული აღტაცება გამოიწვია. ჩვენს თვალში ეს ფაქტი იმ აზრს განამტკიცებდა, რომ გარემომცველ სინამდვილეზე, თუნდაც ყველაზე დუხჭირზე, შე-

საძლებელი ყოფილა სულიერი უპირატესობის მოპოვება, რომ სახარგებლო და მიზანშეწონილი ყოველთვის ვერ გაიმარჯვებს ღირებულზე. ეს იყო ცოცხალი მაგალითი და ის ბევრს დღემდე ახსოვს.

**არ არსებობს პოეტურ შემოქმედებაზე უფრო რთული საქმიანობა** (ზ. კ.). სიჭაბუკეში ზურაბ კაკაბაძე ჩვენი თაობის ერთ-ერთი აღიარებული პოეტი გახლდათ. იგი ზეპირად წერდა თავის ლექსებს და შემდეგ უცნაური „ბლაჯნია“ ხელით იწერდა ცალხაზიან რვეულში. ეს იყო ძლიერი და მაშინ სრულიად უჩვეულო ლექსები (ეს ლექსები, ჩემი აზრით, ახლაც უჩვეულოა), რომლებიც ჩვენში, მასზე ერთი-ორი წლით უმცროს თანამოკალმეებში აღფრთოვანებასთან ერთად მისდამი მოკრძალების გრძნობასაც აღძრავდა.

რა იყო ამ ლექსებში უჩვეულო? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ მათში ჩანდა ინტელექტუალურად ადრე მომწიფებული კაცის დახვეწილი მსოფლხედვა. ფილოსოფიური ხედვით აღბეჭდილ მის ლექსებში განწყობილებათა ნერვული ვიბრაცია და აზრის ნატიფი ობერტონები ხმიანებს. აღსანიშნავია, რომ მის მერმინდელ ფილოსოფიურ ნაშრომებში გაბნეულ ზოგიერთ აზრს. ხილვასა თუ ინტუაციას სწორედ ამ ლექსებში აქვს დასაბამი. ისინი ამ ლექსებში დაშრევებული გონითი ძალისხმევიდან ამოიზარდენ. მის ნააზრევში გამომჟღავნებული სტილის სანიმუშო სიცხადე და სისადავეც აქედან იღებს დასაბამს.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: ზურაბ კაკაბაძის ლექსებში პირველად გაცნაურდა ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც თვალსაჩინოდ მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა ჩვენს ლიტერატურაში. მაგალითად, „მანდიკორიზმის“ (ო. პაჭკორია) მაშინ ახლადდაწყებული პროცესი პირველად მან დააფიქსირა ერთ თავის მსუსხავ ლექსში („მე შენს თვალებში დამინახავს“). მანვე შექმნა პირველი მწვავე „კაპრიჩო“, რომელშიც მეტაფიზიკური მძულვარებით არის გაშიშვლებული ობივატელის მახინჯი არსი („შენ“). ამ თემას შემდეგ მშვენიერი ესე მიუძღვნა (იხ. „არის მკითხველი“). მანვე „გაბედა ჩვენს თაობაში პირველად ეროტიული თემის მძაფრი შტრიხებით დამუშავება, და ეს იმ დროს, როცა ტრივიალურ დონემდე დაქვეითებული ე.წ. „სატრფიალო ლირიკა“ მხოლოდ ინფანტილურ სიმორცხვეს ამჟღავნებდა.

მის ლექსებში მკვეთრად საჩინოვდება სიღრმისეული, შინაგან პიროვნებისათვის ნიშანდობლივი განწყობილებები, რომლებიც ინტელექტუალიზმის ძლიერი ტვიფარით არის აღბეჭდილი. ეს ინტელექტუალიზმი არა მარტო მისი პიროვნული თვისება იყო, არამედ გაცნობიერებული ტენდენციაც, რაკი შეუძლებლად მიაჩნდა პოეტური ნიჭისა და აზროვნების გათიშვა. ამ ლექსებში მინიმუმამდეა დაყვანილი ემპირიული ქვეყნის ფერადოვნება, სამაგიეროდ ფიქრისმიერი ქვეყანა უჩვეულო და ძლიერი ხილვებით არის გამოსახული. მათში უხვად არის გაბნეული ინტროსპექციული გეზით მომართული პოეტური შთაგონების დახვეწილი სურათები და რბილი ნახევარტონებით შეფერილი განცდები. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ ლექსებს დამკვირვებლის მახვილი თვალი აკლდეს. ეს თვალი ულმობელი თვითანალიზის ქვაზე იყო აღესილი. აღსანიშნავია ისიც, რომ თანადროული ტიპის ვერლიბრი ზურაბ კაკაბაძისათვის პოეტური ექსპრესიის ორგანული ფორმა იყო.

„პოეტური ნიჭი შეუძლებელია აზროვნებისაგან განყენებულად წარმოიდგინოთ. ყოველი დიდი პოეტი თავისებურად, მაგრამ მაინც ღრმად მოაზროვნე ინტელექტის პატრონია“. — ამ სტრიქონებს 19 წლის ზურა წერს ერთი პატარა, ხელნაწერი ალმანახის ფურცლებზე, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობენ დღეს უკვე საზოგადოებისათვის ცნობილი ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის გამოჩენილი პირები. ამავე ალმანახში „დაიბეჭდა“ პირველად ზურას ლექსები (ეს ლექსები მე მომქონდა ალმანახში და მისი წერილიც „საუბარი პოეზიის შესახებ“ ჩემი შეკვეთით დაწერა ზურაბმა). აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა, ახლა მაგონდება:

კარლო ქილარჯიანის გარდაცვალების წლის თავზე ქუთაისში ჩავედით. მეორე დღეს, ნოდარი, ზურაბის უფროსი ძმა, მაგულიანებს: წავიდეთ ხონში, ჩვენი სოფლები ვნახოთო. ვყოყმანობ და ამ დროს, მესმის ზურას ფაქრიანი ხმა: წამო, **მოვიჩხრიკოთ ფესვები!..** და აი, კუხში ვართ. დახვეწილი, სანდომიანი, წყნარი მოხუცის კვადრათი შალამბერიძის ოჯახში. კრიალა, მწვანე ეზო. ლარიბული ოდა. რაღაცნაირი პირველყოფილი მყუდროება. ფაქიზად შემზადებული შეჭამანდი. მერე კაკაბაძეების „ჩაბარებული“ კარმიდამო მოვინახულეთ. მშვენიერი მაგნოლიები გადაეჭრათ, ჭა გაეუქმებინათ, — „მოვიჩხრიკეთ ფესვები“! ამ ფესვებს ყოველთვის მძაფრად გრძნობდა ზურაბ კაკაბაძე.

ანდა: ზურაბთან ვარ სახლში. ნაახალწლევია. შუშაბანდში ვსხედვართ, სადაც კედელზე სასკოლო მსოფლიოს რუკაა გაკრული. რაღაცაზე ვსაუბრობთ, ისეთ რამეზე, რომ ზურა იტყვის: თუ ჩვენც არ გავიხედეთ ევროპისკენ, იმათაც მოწყინდებათ აქეთ გამოხედვაო... და მერე, არ მახსოვს რასთან კავშირში, რუკას შეხედა, ხელის ნელი აქნევით მოხაზა ევროპა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: რა პატარაა, მაგრამ რა არის! ევროპა რომ არ იყოს, სიცოცხლე არ ეღირებოდაო. „ევროპა“ აწვალებდა: ერთხელ ზაფხულში რესტორანში დამპატიჟა, ინტურისტის ბაღში. სიტყვა ვაჟაზე ჩამოვარდა და ზურაბ კაკაბაძემ ის აზრი გა-

მოთქვა, რომ ვაჟას ევროპული განსწავლულობა მეტ ბრწყინვალებას მიანიჭებდაო. შევეპასუხე: ვაჟა მაშინაც იგივე ვაჟა იქნებოდა-მეთქი. კიო, დამეთანხმა, მაგრამ თუნდაც მცირე ელფერით უფრო სრულყოფილიო.

ზურაბ კაკაბაძის ინტელიგენტიზმში ბედნიერად იყო შერწყმული ერთი მხრივ, მოაზროვნე კაცის ზემხედველობა და სიამაყე, ხოლო მეორე მხრივ, სათნო ხასიათი და თავმდაბლობა. მისი ზნეობრივი აღმატებულება, ნიჭი და ცოდნა არვისგან არ მოითხოვდა თაყვანისცემის ხარკს. ზურას ავტორიტეტს სცნობდნენ ისინიც კი, ვისაც სხვისი რჩევის გაზიარება საკუთარი ავტონომიურობის შელახვად მიაჩნია.

გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე მოვინახულე. დიასახლისმა ნათია ამირეჯიბმა ის იყო სუფრა გაგვიშალა, რომ ზურას ძველი მეგობრები ნოდარ გუგუშვილი და ბრონესლავ თევზაძე შემოვიდნენ. ამ უკანასკნელმა (ხშირად რომ უჩიოდა თავის ჯანმრთელობას) მასპინძლის საამებლად თუ გუნებაზე მოსაყვანად ღიმილით მოგვმართა: ვერ გამიგია, რას მეცილება ზურა, ავად ხომ მე ვარო. ზურამ ნატიფი ირონიით მოუჭრა: წავართვი წუწუნის ულუფაო... უბრალო საუბარშიც კი მისი სიტყვა უაღრესად ზუსტი და ამომწურავი იყო.

მისი ირონია ჩვეულებრივ, თბილი ტონით იყო განელებული, თუმცა ზოგჯერ ხავერდის ბუდეში ჩასმულ ორლესულსაც ჰგავდა. ამავე სერობაზე რამდენიმე თავისი ლექსი ვუთხარი ზეპირად. — გახსოვსო, ხალისიანად მკითხა. გამოვცეთ-მეთქი შენი ლექსები. თანახმა იყო.

ზურაბ კაკაბაძის ათიოდე ლექსი ამ ოცდახუთი წლის წინ დაიბეჭდა „მნათობში“, რომელსაც მაშინ სიმონ ჩიქოვანი რედაქტორობდა. მის წიგნში წარმოდგენილი ლექსები 1945—52 წლებშია დაწერილი, მაშინ როცა, გალაკტიონის გარდათქმული სტრიქონი რომ მოვიშველიო, არ ვემდუროდით არყოფილ სინამდვილეს. ამ დროს ზურაბ კაკაბაძე 20—25 წლის ჭაბუკი გახლდათ.

ერთხელ კიდევ გადავათვალიერე მისი უცნაური ხელით დაწერილი, რილკეს გერმანული ეპიგრაფებით დასათაურებული რვეულები, რომლებიც ოცდაათი წლის წინათ მქონდა წაკითხული და მწარე სინანულმა შემიპყრო: ამ ლექსებმა სწორედ მაშინ დაძლიეს მათთვის უსამართლოდ მისჯილი სიმარტოვე, როცა მათზე ნაკლებ იღბლიანმა ავტორმა სამუდამოდ შეაბიჯა მარტოობის უსასრულო სამეფოში.

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისო ჭიჭიაშვილი

# ანატოლ ფრანსი და ოქტომბრის რევოლუცია

ანატოლ ფრანსის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მთელი მისი შემოქმედება ცხადყოფს, რომ იგი მუდამ იყო იმ ძალებთან, რომლებიც კაცობრიობის პროგრესის, თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ.

ანატოლ ფრანსი აღტაცებით გამოეხმაურა რუსეთის 1905 წლისა და 1917 წლის რევოლუციებს, განსაკუთრებით — ოქტომბრის რევოლუციას. პირველი იმპერიალისტური ომის დროს პაციფისტთა რიგებში იდგა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ანატოლ ფრანსი ბევრს მოგზაურობდა, შემოვლილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, იყო ამერიკაში, რუსეთში, მხარს უჭერდა კაცობრიობის ყველა პროგრესულ წამოწყებას. 1896 წელს ანატოლ ფრანსი საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს, 1921 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. ბოლოს, მისმა სოციალისტურმა იდეებმა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიყვანა. გარდაიცვალა 1924 წლის 12 ოქტომბერს.

„მე ისე ვიგრძენი მისი გარდაცვალება, თითქოს ის, უშველებელი სინათლის შქერი, საფრანგეთის შუაგულზე რომ იყო ჩამოშვებული და ზეცის ოთხსავე კიდისაკენ ვიდრე ბნელეთამდე აფრქვევდა სინათლეს, თვალუწვდენელ ეთერისაკენ ავარდა და შეუერთდა მშობელ ელემენტს. და ეს ისეთ წამს, ისეთ საუკუნეში, როცა სისხლისაგან დაცლილ ევროპას და მთელ ქვეყანას ასე სჭიროდა სინათლე, მეტი სინათლე, სიკვდილის წუთებში რომ ინატრა მეორე დიდი ერის გიგანტმა — გოეთემ“ (კონსტანტინე გამსახურდია).

იმ დღიდან, რაც ანატოლ ფრანსი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საკითხებით დაინტერესდა, ყოველთვის მხარს უჭერდა მოწინავე საზოგადოებრივ იდეებს და ტენდენციებს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო არც მისი სოციალისტობა და არც კომუნისტური პარტიის იდეოლოგიასთან მისვლა. მას სწამდა, რომ მომავალი სოციალიზმს ეკუთვნოდა, რომ ადრე თუ გვიან მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებდა სახელმწიფო მართვის ისეთი საიმედო სისტემა და ისეთი საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ყველა მოქალაქეს ბედნიერ მომავალს შეუქმნიდა. აი, რას წერს ანატოლ ფრანსი სოციალიზმის შესახებ: „ჩემი აზრით, სოციალიზმი, რომელიც ჭეშმარიტ მოძღვრებად მიმაჩნია, სამართლიანობისა და სიკეთის შემცველიცაა და ყოველივე მართალი და კარგი ისევე ბუნებრივად მომდინარეობს მისგან, როგორც ვაშლი ვაშლის ხისაგან... უსამართლობასთან ბრძოლა ჩვენთვის, პროლეტარებისათვის, ბრძოლაა იმათთვის, ვისაც მთელი უსამართლობა აწევს მხრებზე. ჩემი აზრით, ყველაფერი, რაც სამართლიანია, სოციალიზმის დასაწყისია და ჟორესის მსგავსად მეც ვფიქრობ, რომ ძალმომრეობისა და სიცრუის დამცველებთან ერთად სიარული სოციალისტური რევოლუციისათვის ზურგის შექცევაა. მე არც ებრაელებს ვცნობ და არც ქრისტიანებს, მე ვცნობ მხოლოდ ადამიანებს და მათ იმის მიხედვით ვასხვავებ, სამართლიანნი არიან თუ უსამართლონი. არ შეიძლება მდიდარი ებრაელი ან მდიდარი ქრისტიანი სამართლიანი იყოს. მაგრამ როცა კანონი სამართლიანი იქნება, ადამიანებიც სამართლიანნი გახდებიან“. ამ რწმენას მწერალი თავის პუბლიცისტურ წერილებში არაერთხელ გამოთქვამს, ამხნევებს პროლეტარიატს, გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს სოციალიზმს და რუსეთში სოციალიზმის გამარჯვება და ახალი საზოგადოებრივი წყობის დამყარება მოჰყავს მაგალითად. ოქტომბრის რევოლუცია, რუსეთ-

ში პროლეტარიატის გამარჯვება და ახალი წესწყობილების დამყარება დიდ საერთაშორისო მოვლენად მიაჩნდა. ამიტომ იცავდა მას ბურჟუაზიულ მთავრობათა და ბურჟუაზიულ იდეოლოგთა თავდასხმებისაგან. ყოველივე ეს განსაკუთრებით იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იგი ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი მწერალი იყო და მის სიტყვებს არა მარტო ფრანგი ხალხი, არამედ მთელი მსოფლიო უსმენდა და უწევდა ანგარიშს.

რუსეთის ბედითა და რუსეთში რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებით ან. ფრანსი ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა, როცა რევოლუციური მოძრაობა ძალას იკრებდა. იგი გუმანით გრძნობდა, რომ რუსეთში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობა მასშტაბურად გაიშლებოდა, დაამხობდა თვითმპყრობელობას, და როცა ხელისუფლებას აიღებდა ხელში, სოციალიზმიც, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში დამყარდებოდა...

თავდაპირველად ან. ფრანსი რუსეთის მწერლობითა და კულტურით დაინტერესდა. უხაროდა ამ დესპოტურ ჩამორჩენილ ქვეყანაში სულიერი ცხოვრების მძლავრმა ნაკადმა რომ იფეთქა. ამიტომ დაეწაფა იგი რუსულ ლიტერატურას, გამოაქვეყნა წერილები ტურგენევზე, ტოლსტოიზე, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს სცემდა და ჰომეროსსაც კი ადარებდა: „ძველ საბერძნეთს დასჭირდა ქალაქი — სახელმწიფოების თანამეგობრობა და საუკუნეთა ჰარმონიული ცვლა, ჰომეროსი რომ წარმოეშვა, რუსეთში ბუნებამ ეს სასწაული იმით მოახდინა, რომ უეცრად შექმნა ტოლსტოი, რომელიც დიდი ხალხის სული და ხმაა, ის წყაროა, საუკუნეების მანძილზე რომ დაარწყულებს ბავშვებს, მოზრდილ ადამიანებს"...

ანატოლ ფრანსს მიმოწერა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გორკისთან, ხმას იმაღლებდა მის დასაცავად, როცა დიდ რუს მწერალს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მეფის მთავრობა დაპატიმრებას უპირებდა. იგი წერდა: „ცივილიზირებული სამყაროს სინდისს არ შეუძლია მშვიდად უყუროს ამ დაკანონებულ ბოროტმოქმედებას. ცარიზმის უთვალავ მსხვერპლთა შორის ერთ-ერთი გორკია, რომელიც ამჟამად პიროვნების ბუნებრივ უფლებას ანსახიერებს: აზროვნების, შემოქმედების, საერთო სიკეთისათვის ხელშეწყობის უფლებას. ყველა ადამიანია ღირსი იმისა, რომ ადამიანად იწოდებოდეს და გორკის სახით უნდა დაიცვან ეს წმიდათაწმიდა უფლებები". რუსეთის მოწინავე ადამიანები და მისი პროლეტარიატი რომ რევოლუციის გზას ადგა და იმპერიაში რომ რევოლუციური გარდაქმნები გარდუვალი იყო, ეს ან. ფრანსმა ჯერ კიდევ 1901 წელს იწინასწარმეტყველა სტატიაში „წერილი რუსეთის თვითმპყრობელობის ანკეტაზე": რადგან დაიწყო, ამიერიდან სულიერი ცხოვრება რუსეთში აღარ შეწყდება, ვერავინ ვერ დაამუხრუჭებს მის გონებრივ და სოციალურ განვითარებას. მისი განთავისუფლების საათმა ჩამოჰკრა... რუსეთის დემოკრატია სისხლით გამოისყიდის თავის თავისუფლებას. თავს ვხრით მის წინაშე მწუხარებით და აღტაცებით".

მაგრამ ან. ფრანსის რუსეთით დაინტერესება განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, როცა რუსეთში 1905 წლის რევოლუცია მოხდა. იგი მხურვალედ მიესალმა რუსეთში რევოლუციის დაწყებას და მიაჩნდა, რომ რუსეთის რევოლუცია არა მარტო თვითმპყრობელურ და ანტიჰუმანურ ტირანიას დაამხობს, არამედ პროლეტარიატსაც დარაზმავს ახალი საზოგადოებრივი წყობის შესაქმნელად და გასამტკიცებლად. ამიტომაც გამოეხმაურა იგი მხურვალედ 1905 წლის რევოლუციას, ამიტომაც გაშალა საფრანგეთში ფართო პროპაგანდისტული მუშაობა მის მხარდასაჭერად. ან. ფრანსის აზრით, რუსეთის რევოლუციის დამარცხება უკან დახევდა მთელ მოძრაობას სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ამიტომაც ებრძოდა თავგამეტებით ფრანგ რეაქციონერებს, ნაციონალისტებს, ამიტომაც ილაშქრებდა იგი ბურჟუაზიული რესპუბლიკის წესწყობილებისა და პროფკავშირების კაპიტალისტებთან შეთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გალაშქრებაა მისი სიტყვა, რომელიც 1905 წლის 27 იანვარს წარმოსთქვა რუსეთის იმპერიის ხალხთა დასაცავად გამართულ მიტინგზე: „მოქალაქენო, ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლუცია განაგრძობს შეტევას და მას ველარაფერი შეაჩერებს. სამწუხაროდ, არაფერი გვაუწყებს იმას, რომ იგი სწრაფად და უსისხლოდ დამთავრდება. სტუდენტი-ახალგაზრდობა პროფესორებთან ერთად შეუერთდა პროლეტარიატს, რათა მასთან ერთად გაიზიარონ ან სიკვდილი ან გამარჯვება. ფეხზე დგებიან მრისხანებით შეძრული, ტანჯული ხალხები, რომლებიც ჯალათის მათრახქვეშ სისხლისაგან იცლებოდნენ. რუსეთის იმპერიის უზარმაზარ უდაბურ სივრცეს აზანზარებს დაჩაგრულთა მკერდიდან ამოხეთქილი ყვირილი... ცარიზმს უკვე მიაყენეს მომაკვდინებელი ჭრილობა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს გათელავს იგი თავის ცოფიანი აგონიის დროს. ამიტომაც ასეთი მწუხარე პატივისცემით და შემაძრწუნებელი შეშფოთებით ვუხდი რუს რევოლუციონერებს პატივისცემისა და ერთგულების ფიცის ხარკს".

ასეთი აღტაცებით, პათოსითა და მოწიწებით ლაპარაკობს ან. ფრანსი რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებზე, პროლეტარიატზე და 1905 წლის რევოლუციაზე. მართალია, 1913 წლამდე ან. ფრანსი რუსეთში არ იყო ნამ-

ყოფი, მაგრამ მის შესახებ ბევრს კითხულობდა. იცოდა, ვინ და როგორ მართავდა ამ უზარმაზარ იმპერიას, როგორი ჩაგვრა, უსამართლობა და ძალადობა იყო გამეფებული მთელ სახელმწიფოში, იცოდა მეფის რუსეთი რომ იმპერიალისტური სახელმწიფო იყო და დაუნდობლად იბრძოდა კოლონიების მოსაპოვებლად. კოლონიალიზმი კი ან. ფრანსს იმპერიალისტური ეპოქის ერთ-ერთ უსაზიზღრეს მოვლენად მიაჩნდა. მწერალმა ისიც იცოდა, რომ რუსეთის ციხეები და კატორღები პოლიტიკური პატიმრებით იყო გაჭედილი, დემოკრატიის მომხრე მოწინავე ადამიანებს მხოლოდ იმისთვის სვამდნენ ციხეებში და ალპობდნენ კატორღებში, რომ თვითმპყრობელური რეჟიმი არ მოსწონდათ და უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ. ამ დროისათვის კიდევ უფრო გახშირდა რუსეთში სიკვდილით დასჯა, გაფიცვებისა და დემონსტრაციების დახვრეტა, ადამიანების პროვოკაციული მიზნით მოკვლა. დიდად აღაშფოთა ან. ფრანსი 1905 წლის 9 იანვრის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ პეტერბურგში. რისხვითა და სიძულვილით იხსენიებს იგი პროვოკატორ გაპონს. სწორედ ამ დახვრეტამ გამოიწვია 1905 წლის რევოლუცია. რუსეთში რევოლუციის დაწყება დიდ საერთაშორისო მოვლენად მიაჩნდა. მწერალს და მისმა დამარცხებამ დიდად დასწყვიტა გული, რადგან იცოდა, რომ რუსეთის რევოლუციის დამარცხებას რეაქციის გააქტიურება მოჰყვებოდა როგორც თვით რუსეთში, ასევე მთელს ევროპაშიც, რასაც 1911 წლის 26 აგვისტოს წერილიც ადასტურებს პოლ-ლუი კუშესადმი...“ მე დავიწყე მიცვალებულთა პარტიის მიმხრობა ...ისინი ბევრნი არიან და ვფიქრობ, რომ სწორ გზაზეც დგანან და რომ ცხოვრება აბსურდია... მე დავიღალე ადამიანთა სისულელეების ცქერით და ყველგან, თქვენ წინაშეც, და მთელ მსოფლიოშიც, წელსაც იმას ამბობენ, რასაც ამბობდნენ 1870 წელს. მესმის იგივე უგუნურება, კიდევ უფრო აბსურდული იგივე სისულელეები და გაოცებული ვარ, როგორ შემეძლო მეფიქრა, რომ კაცობრიობა, რომელიც ორი ათასი წლის განმავლობაში არ შეცვლილა, ორმოც წელიწადში შეიცვლებოდა“. რუსეთში მართლაც დაიწყო უმაგალითო რეპრესიები, დაჭერები, დახვრეტები, ებრაელების დარბევები. მონარქისტები და შავრაზმელები ქუჩებში უსწორდებოდნენ მუშებს, სტუდენტებს, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. რეაქცია მძვინვარებდა, ან. ფრანსი კი მიტინგებზე გამოდიოდა, გმობდა და რისხავდა როგორც თვით მეფეს, ასევე მის დამქაშებსა და რეაქციონერებს. იგი მსოფლიოს ყველა ხალხს მოუწოდებდა, ხმა აღემაღლებინათ რუსეთის რევოლუციონერებისა პროლეტარიატის დასაცავად. 1905 წლის 8 თებერვალს რუსი ხალხის დასაცავად უნივერსიტეტში გამართულ მიტინგზე ანატოლ ფრანსმა განაცხადა: „ფრანგი ხალხი ყველა ხალხის მეგობარია, სულერთია ეს ხალხი ინგლისელებია თუ გერმანელები, რუსები თუ იაპონელები, რევოლუციურ, სოციალისტურ ახალ საფრანგეთს შეუძლია თავის თავის მიმართ გაიმეოროს სოფოკლეს კეთილშობილი გმირი ქალის სიტყვები: „მე იმისთვის ვარ მოწოდებული, რომ გავიზიარო სიყვარული და არა სიძულვილი“. მწერალი ქედს იხრიდა იმ გაბედული და მამაცი ადამიანების წინაშე, ვინც მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში სისხლი დაღვარა. მაგრამ 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ ან. ფრანსს რევოლუციის მომავალი გამარჯვების რწმენა როდი შეულახა. იგი კვლავ დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს, რუსეთში მაინც პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებდა და ხელისუფლებას ხელში აიღებდა. მეფის თვითმპყრობელობას, მის აუტანელ რეჟიმს იგი უკვე განწირულად თვლიდა, სწამდა, რომ მალე კიდევ უფრო ორგანიზებული, უფრო მასშტაბური, უფრო საყოველთაო იქნებოდა ახალი რევოლუცია და იგი არა მარტო მეფის ხელისუფლებას, არამედ რუსეთში ბურჟუაზიის პარპაშსაც მოუღებდა ბოლოს. 1906 წელს ე. სემიონოვის წიგნის — „ფურცლები რუსეთის კონტრრევოლუციის ისტორიიდან“ — წინასიტყვაობაში ან. ფრანსი რუსეთის მომავალ რევოლუციაზე წერდა: „როგორც უნდა დამთავრდეს ეს უმაგალითო და ტრაგიკული მდგომარეობა, ერთი რამ ცხადია, ამიერიდან რუსეთის პროლეტარიატი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ქვეყნისა და მსოფლიოს ბედზე. რუსეთის რევოლუცია, — ეს საყოველთაო რევოლუციაა“.

ან. ფრანსის რწმენა და წინასწარმეტყველება გამართლდა. 1917 წელს რუსეთში მართლაც მოხდა ჯერ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია, შემდეგ კი იმავე წლის ოქტომბერში პროლეტარული რევოლუცია. ან. ფრანსის 1905 წლის პუბლიცისტურ წერილებში, მის გამოსვლებში, მრისხანე მოწოდებებში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციისა და პროლეტარიატის დასაცავად, უკვე იგრძნობა ის წინასწარმეტყველური რწმენა, რომ რუსეთში აუცილებლად გაიმარჯვებს პროლეტარული რევოლუცია და იგი მთელი მსოფლიოს რევოლუციურ მოძრაობაზე მოახდენს გავლენას. ამიტომაც შეეგება ან. ფრანსი დიდი სიხარულით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას. ამიტომაც უჭერდა მხარს ყველა მის ღონისძიებას და, აქტიურად იცავდა როგორც გარეშე, ასევე შინაური მტრებისაგან. იგი აღტაცებული იყო მუშათა კლასის სიმტკიცითა და შეუპოვრობით. სწამდა, რომ რუსეთის პროლეტარული რევოლუცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლად შექმნიდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალ ფორმებსა და ახალ საზოგადოებრივ წყობას, გააუქმებდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, მოსპობდა კერძო საკუთრებას და ქარხნებს მუშებს გადასცემდა. ან. ფრანსი ხედავდა, რომ რუსეთში გაუგონარი სოციალური ძვრები ხდებოდა, ცხოვრებაში რაღაც ახალი, მანამდე არნახული მმართველობის ფორმები იქმნებოდა. მაგრამ ამ ძვრებსა და გარდაქმნებს თავის სიძნელეები ახლდა. რევოლუციას ჯერ კიდევ უჭირდა. მას უამრავი გარეშე და შინაური მტრები ჰყავდა. აუცილებელი იყო მისთვის საყოველთაო მხარდაჭერა. ამიტომ გააქტიურა ან. ფრანსმა პუბლიცისტური მოღვაწეობა. იგი გამოდიოდა ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო და ფრანგ მუშებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც საფრანგეთის მთავრობამ რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა და ოდესის ოკუპაციაში მიაღებინა მონაწილეობა, მოუწოდებდა, რუსი პროლეტარიატისათვის სოლიდარობა გამოეცხადებინათ, გაფიცულიყვნენ საფრანგეთის მთავრობის რუსეთის რევოლუციისადმი მტრული პოლიტიკის გამო. 1919 წელს ან. ფრანსი თავის ამომრჩევლებს მოუწოდებს, დაგმონ ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკა იმის გამო, რომ რუსეთის რევოლუციის სისხლში ჩახშობას ცდილობს.

ან. ფრანსი დიდად აფასებდა რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას, სწამდა, რომ მიუხედავად ბლოკადის, სამოქალაქო ომების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოშლისა, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობისა, ბოლშევიკები საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებდნენ. წერილში — „რუსეთი, სადაც შეუძლებელიც კი ხორციელდება“ ან. ფრანსი მკაცრად გმობდა საფრანგეთის მმართველ წრეებს, ვინც ომის დროს ხელი მოითბო, გამდიდრდა, გათავხედდა და უფრო შეუპოვრად ახორციელებდა მილიტარისტულ და რეაქციულ მიზნებს. დიდი მწერალი ამავე წერილში აკრიტიკებს აგრეთვე მუშათა და სოციალისტურ პარტიებს, მათი ბრძოლის პარლამენტარულ მეთოდებს უნაყოფოს უწოდებს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროლეტარიატს რევოლუციისაკენ მოუწოდებს, ხოლო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება და სოციალისტური იდეების განხორციელება რომ შეიძლება, ამის მაგალითად საბჭოთა რუსეთი მოჰყავს: „ახლა ისევ გაჩნდა მდგომარეობის ერთგვარად გაუმჯობესების იმედი. ადამიანთა გულებში ისევ ანთია ცეცხლი. გაიხედეთ აღმოსავლეთისაკენ. თითქოს რუს ხალხს არ ჰქონდა არავითარი იმედი ცარიზმის უკუნიდან თავდაღწევისა, არ იყო იმედი იმისა, რომ რევოლუცია მოხდებოდა, მით უმეტეს, რომ გაიმარჯვებდა, მაგრამ რუსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც შეუძლებელიც კი ხორციელდება. ამ შეუძლებელს ახლა ბოლშევიკები ახორციელებენ და განახორციელებენ კიდეც“.

ან. ფრანსი ხედავდა, რომ რევოლუციური პროცესები, პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის ბრძოლა უსისხლოდ და უმსხვერპლოდ არ მიმდინარეობდა. პროლეტარულ რევოლუციას მრავალი მტერი ჰყავდა. თვით რუსეთში ესენი იყვნენ — მონარქისტები, შავრაზმელები, ბურჟუები, სოფლის მდიდარი ბოლოლები. რევოლუციის დამხობის დიდი მოსურნენი იყვნენ აგრეთვე ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები და ამისთვის ისინი პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდნენ, მონარქისტებს და ბურჟუაზიას ფულითა და ჯარით ეხმარებოდნენ. ამავე დროს თვით მუშათა და სოციალისტურ პარტიებშიც ხდებოდა განხეთქილებები და ესა თუ ის ფრაქცია ერთმანეთს უპირისპირდებოდა. მხოლოდ ბოლშევიკური პარტია იყო დისციპლინირებული და მტკიცედ მოქმედი. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მთელს რუსეთში დაიწყო მანამდე არნახული სამოქალაქო ომები. ბრძოლები სასტიკი და დაუნდობელი იყო. მთელი რუსეთის შრომისუნარიანი მამაკაცების დიდი ნაწილი ან რევოლუციის დასაცავად იბრძოდა ან მის წინააღმდეგ. ქვეყანაში ჩაკვდა მრეწველობა, მოიშალა სოფლის მეურნეობა, ხალხს გაუჭირდა, დაიწყო შიმშილი და სწორედ მაშინ გაზეთ „ლუმანიტეში“ დაიბეჭდა ფრანგი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლების პროტესტი ბლოკადის წინააღმდეგ. რომელსაც პირველი ან. ფრანსი აწერდა ხელს. 1919 წ. 5 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების VII ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში საფრანგეთის ინტელიგენციის მიერ ბლოკადის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტის შესახებ ვ. ი. ლენინმა თქვა: „ამ განცხადებაში, რომელიც ანატოლ ფრანსის ხელმოწერით იწყება, სადაც არის ფერდინანდ ბიუსონის ხელმოწერა, მე დავითვალე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა 71 გვარი, რომლებსაც მთელი საფრანგეთი იცნობს და რომლებიც აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან რუსეთის საქმეებში ჩარევისა, იმიტომ, რომ ბლოკადა, შიმშილით სიკვდილის გამოყენება, რომლის გამოც იღუპებიან ბავშვები და მოხუცნი, შეუწყნარებელია კულტურისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, რომ ისინი ამას ვერ მოითმენენ. ხოლო ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ოლარი, რომელიც მთლიანად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, ...ის წერილში ამბობს: „მე როგორც ფრანგი, — ბოლშევიკების მტერი ვარ, როგორც ფრანგი — დემოკრატიის მომხრე, სასაცილოა ჩემში ეჭვის შეტანა, მაგრამ როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი იწვევს გერმანიას, მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ბლოკადაში, როცა ვკითხუ-

ლობ, რომ საფრანგეთი ასეთი წინადადებით მიმართავს გერმანიას, სახეზე სირცხვილის სიწითლეს ვგრძნობ. — ეს, შესაძლოა, გრძნობათა უბრალო სიტყვიერი გამოხატვა იყოს ინტელიგენციის წარმომადგენლის მხრივ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს მესამე გამარჯვებაა, რომელიც ჩვენ იმპერიალისტურ საფრანგეთზე თვით მის შიგნით მოვიპოვეთ" (ლენინი).

მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ და მისმა ლიდერმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სამოქალაქო ომებსაც გაუძლო, კაპიტალისტური ქვეყნების ინტერვენციასაც, ბლოკადასაც, შიმშილსაც, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოშლასაც და ყველა იმ ომებიდან და სიძნელეებიდან გამარჯვებული გამოვიდა. სამოქალაქო ომებისა და პარტიის შიგნით განხეთქილებათა დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება და მისი მთავრობა მტკიცე და თავისი მოქმედების სისწორეში დარწმუნებული იყო. კომუნისტთა გმირობამ ფრონტებზე და სახელმწიფო მეურნეობის აღდგენის საქმეში მთელი მსოფლიო განაცვიფრა. 1922 წელს აღინიშნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეხუთე წლისთავი. ამ თარიღს მიესალმა საფრანგეთის კომუნისტური პარტიაც. ზეიმობდნენ ფრანგი მუშები, ზეიმობდა ყველა, ვინც კი საბჭოთა კავშირის მიმართ თანაგრძნობით იყო განწყობილი. ან. ფრანსმა კი ასე მოულოცა საბჭოთა კავშირს დაარსებიდან ხუთი წლისთავი: „ხუთი წლის წინათ საბჭოთა ხელისუფლება დაიბადა სიღარიბეში. რევოლუცია, რომელიც ვერავინ დაამარცხა, ახალი სულის მატარებელი აღმოჩნდა, იგი განადგურებით ემუქრება ყველა იმ უსამართლო და ხალხის მჩაგვრელ მთავრობებს ,მიწებს ერთმანეთში რომ იყოფენ. ძველ მსოფლიოს ტყუილად არ ეშინოდა მისი. მისმა ხელმძღვანელობამ მაშინვე შეიცნო მასში მტერი. მათ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოიყენეს ცილისწამება, სიმდიდრე, ძალა. უნდოდათ მისი მოხრჩობა. მათ წინააღმდეგ აგზავნიდნენ ავაზაკთა ბანდებს. საბჭოთა ხელისუფლებამ... ავაზაკები დაამარცხა. თუ ევროპაში სამართლიანობას კიდევ ჰყავს მეგობრები, მათ მოწიწებით უნდა დახარონ თავი იმ რევოლუციის წინაშე, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველმა სცადა ისეთი სახალხო ხელისუფლება დაემყარებინა, ხალხის ინტერესებისათვის რომ იმოქმედებდა. გაჭირვებაში დაბადებულ, შიმშილსა და ომებში გაზრდილ საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ არ დაუმთავრებია თავისი უზარმაზარი ჩანაფიქრის განხორციელება, ჯერ არ დაუმთავრებია სამართლიანობის მეუფეობა, მაგრამ მას საფუძველი ჩაუყარა"...

რუსეთის პროლეტარულმა რევოლუციამ საფრანგეთის პროლეტარიატსა და მუშურ-სოციალისტურ პარტიებზეც დიდი გავლენა მოახდინა. ისინი თანაუგრძნობდნენ პროტესტებით, გაფიცვებით და პროპაგანდით უხმარებოდნენ, აგიტაციას უწევდნენ ოდესის ოკუპაციაში მონაწილე ფრანგ ჯარისკაცებს, არ ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აჯანყებოდნენ თავიანთ მთავრობას. საბჭოთა კავშირში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაშიც შეიტანა განხეთქილება მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის. პარტიის მემარცხენე ფრთამ 1920 წლის დეკემბერში შექმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია. ამ პარტიაში გაერთიანდა ყველა ის სოციალისტი, რომელთა მიმართაც ან. ფრანსი სიმპათიით იყო განწყობილი და ვის იდეებსა და მოძღვრებასაც იზიარებდა. ან. ფრანსი დღიდან მისი დაარსებისა, მოღვაწეობდა გაზეთ „ლუმანიტეში", რომელიც ჟან ჟორესმა 1904 წელს დააარსა. ეს მოღვაწეობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც გაზეთი კომუნისტური პარტიის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო გახდა. ან. ფრანსი თავისი პუბლიცისტური წერილების დიდ ნაწილს სწორედ კომუნისტური გაზეთის ფურცლებზე ბეჭდავდა.

როცა 1919 წლის გაზაფხულზე ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, ანრი ბარბიუსმა ჩამოაყალიბა პროგრესული ფრანგი მწერლების გაერთიანება „კლარტე", რომელიც მიზნად ისახავდა ომისა, მილიტარიზმისა და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლას, ან. ფრანსმა მაშინვე გამონახა ამ ჯგუფთან საერთო ენა, მხარში ამოუდგა უმცროს თაობას და აქტიურად ჩაერთო ჯგუფის საქმიანობაში. ანრი ბარბიუსთან ერთად ან. ფრანსი ლიტერატურული მანიფესტისა და დეკლარაციის შედგენაშიც მონაწილეობდა. როცა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენზურამ ნება არ დართო „კლარტეს" ლიტერატურული ჯგუფის საორგანიზაციო კომიტეტს, დეკლარაცია გამოექვეყნებინა, ან. ფრანსმა წერილი მისწერა შინაგან საქმეთა მინისტრს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად პროტესტს აცხადებდა მოკავშირეთა საბჭოთა რუსეთში ინტერვენციის წინააღმდეგ და ამხელდა ანტანტის ორპირულ პოლიტიკას: „გამოვხატავთ რა პროტესტს მოკავშირეების რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის გამო, ჩვენ კიდევ ერთხელ ვაყალიბებთ ყველა ხალხის თავისუფლების დიად პრინციპს, — თავიანთი ბედი თავადვე განაგონ, რაც ანტანტის ყველა მთავრობამ აღიარა". ეს დეკლარაცია ან. ფრანსმა ანრი ბარბიუსთან ერთად დაწერა. იგი მთავრობისაგან იმასვე მოითხოვდა, რასაც კომუნისტები მოითხოვდნენ.

ან. ფრანსს კომუნისტურ იდეოლოგიასთან კოლონიური ომებისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაც აახლოებდა. კოლონი-

ალიზმი მწერალს იმპერიალიზმის ყველაზე საზიზღარ, არაადამიანურ, ბარბაროსულ მოვლენად მიაჩნდა და როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ასევე პუბლიცისტურ წერილებში მრისხანედ ილაშქრებდა მის წინააღმდეგ, მკაცრად გმობდა საფრანგეთის და საერთოდ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოს კოლონიურ ომებს და კოლონიალურ პოლიტიკას. კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას ცოტა ჰყავდა ისეთი ერთგული მოკავშირე და დაუღალავი მებრძოლი, როგორიც ან. ფრანსი იყო. 1906 წელს მკაცრად მამხილებელ წერილში — „კოლონიალური ბარბაროსობის წინააღმდეგ" — ან. ფრანსი წერდა: „თეთრ ადამიანებს იმიტომ აქვთ შავკანიანებთან და ყვითელკანიანებთან ურთიერთობა, რომ დაიპყრონ და მოსპონ ისინი. ხალხები, რომელთაც ბარბაროსებს ვეძახით მხოლოდ ჩვენს მიერ ჩადენილი დანაშაულის მიხედვით გვიცნობენ. ცხადია, პირადად ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ აფრიკის უბედურ მიწაზე ჩვენი რესპუბლიკის დროშის სახელით ნაკლებ სისასტიკეს სჩადიან, ვიდრე იმპერიისა და სამეფოს სახელით. მაგრამ ჩვენ, ფრანგებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვამხილოთ ის ბოროტმოქმედება, რასაც საფრანგეთის სახელით სჩადიან. ეს ჩვენი ღირსების საქმეა".

ან. ფრანსს ახლო ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო ფრანგ კომუნისტ მწერლებთან, არამედ პარტიის ლიდერებთანაც. კომუნისტური პარტიის ლიდერები მას დიდ პატივს სცემდნენ, როგორც მწერალს და როგორც მუშათა კლასის, პროლეტარიატის დიდ ქომაგს. დიდად აფასებდნენ მის მუშათა მიტინგებზე გამოსვლებს და პრესაში დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც ძირითადად ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ვალში არც ან. ფრანსი რჩებოდა, იგი დიდად აფასებდა კომუნისტურ პარტიას და მის ლიდერებს, მიმოწერა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჰქონდა მათთან. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ან. ფრანსს სურდა კომუნისტურ პარტიაში დაენახა ისეთი პარტია, რომელიც უფრო აქტიური, მებრძოლი და მტკიცე იქნებოდა კაპიტალისტური სამყაროსა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიდრე ომის შემდგომი პერიოდის სოციალისტური პარტია იყო, რომელსაც იგი ამ დროისათვის სუსტ და არათანმიმდევრულ პარტიად თვლიდა. კომუნისტური პარტიის მიზნებს და იდეოლოგიას ან. ფრანსი იმიტომ იზიარებდა, რომ სურდა პროლეტარიატს ძლიერი, მებრძოლი, ორგანიზებული ავანგარდი ჰყოლოდა, სწორედ ისეთი, რომელიც კაპიტალიზმის დამარცხებას და ახალი სოციალისტური წყობის შექმნას შეძლებდა. ამ მიზნებსა და სურვილებს კი ყველაზე მეტად საფრანგეთის კომუნისტური პარტია პასუხობს. როცა ფრანგმა კომუნისტებმა ხმა აიმაღლეს საფრანგეთისა და ბელგიის მიერ ელზას-ლოტარინგიის ოკუპაციის გამო და საფრანგეთის ინტერვენციის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ან. ფრანსი მაშინვე მხარში ამოუდგა და ხმა აღიმაღლა ინტერვენციის წინააღმდეგ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ლიდერს, მარშელ კაშენს ან. ფრანსი თხოვს, განუმარტოს ფრანგ ხალხს მიშელ კორდეს წიგნში „დომენის ღუმელები" გამოთქმული აზრები პირველ იმპერიალისტურ ომზე; აუხსნას მშრომელ ხალხს, რომ ისინი ფრონტზე იღუპებოდნენ არა სამშობლოსათვის, არამედ კაპიტალისტების — ბანკირების, ქარხნებისა და ბეჭდვითი ორგანოების მეპატრონეების ინტერესებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ან. ფრანსი იზიარებდა კომუნისტური პარტიის აზრს „აღმაშფოთებელი და სკანდალური" პირველი იმპერიალისტური ომის შესახებ, „რომელმაც შეიპყრო ხალხთა გონება და წინააღმდეგობის სურვილი დაბადა" (მ. ბაქრაძე);

ან. ფრანსს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიასთან აახლოებდა აგრეთვე ეროვნულ და რასობრივ საკითხებთან დამოკიდებულებაც. სხვადასხვა ეროვნებათა ურთიერთობისა და რასიულ საკითხს იგი მხატვრულ ნაწარმოებებშიც ეხება, მაგრამ უფრო კონკრეტულად და ცხადად ამ საკითხზე აზრს პუბლიცისტურ წერილებში გამოთქვამს. აქ იგი შეგნებულ, პრინციპულ და მებრძოლ ინტერნაციონალისტად გვევლინება. მწერალი ამქვეყნად ყველა ხალხს, მათ შორის შავკანიანებსაც და ყვითელკანიანებსაც, თანასწორუფლებიანად თვლის და რასიულ უპირატესობათა თეორიებისა და გამოვლინებების წინააღმდეგ იბრძვის. ამასვე მოითხოვს იგი საფრანგეთის პროლეტარიატისა და პროგრესული ინტელიგენციისაგან. ან. ფრანსისათვის ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებელი იყო ეროვნული ჩაგვრა, სხვა ხალხების ბედის მათ დაუკითხავად გადაწყვეტა, გენოციდი. ასევე წინააღმდეგი იყო იგი კონკრეტულ ადამიანთა ურთიერთობაში რასობრივი უპირატესობის გამოვლენისა. მაგრამ მას განსაკუთრებით ის მდგომარეობა აწუხებდა, როცა ნაციონალიზმი და შოვინიზმი სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატს შორის იჩენდა ხოლმე თავს. ამიტომ მოუწოდებდა ან. ფრანსი ფრანგ, გერმანელ და, საერთოდ, ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ინტერნაციონალურობისაკენ. მისი აზრით, ახალი სოციალური წყობის დროს ხალხთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და ნამდვილი ინტერნაციონალიზმი დამყარდება. ან. ფრანსი მართლაც დიდი ინტერნაციონალისტი იყო. „დ. ზ. მანუილსკი, რომელიც 1919 წლის 6 აპრილს ჟორესის ხსოვნის მანიფესტაციის მოწმე იყო, აგვიწერს, როგორი ენთუზიაზმით გამოხატავ-

დნენ ფრანგი მუშები საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულს. გაიძახოდნენ — „ძირს იმპერიალიზმი, გაუმარჯოს რევოლუციურ საფრანგეთს“.ასობით და ათასობით ფრანგი მკერდიდან იგლეჯდა საპატიო ლეგიონის ჯვარს და ჟორესის ქანდაკების ფეხებთან ყრიდა. ამ დროს ძეგლის კვარცხლბეკზე ან. ფრანსის ფიგურა გამოჩნდა. „ნუ გაიძახით გაუმარჯოს რევოლუციურ საფრანგეთს“, — მიმართა მათ ფრანსმა, — „იყვირეთ, გაუმარჯოს რევოლუციურ ინტერნაციონალიზმს!“ და მართლაც ათასობით მკერდიდან ამოხეთქა უძლეველმა შეძახილმა „გაუმარჯოს რევოლუციურ ინტერნაციონალს!“ (ს. ლიხოძიევსკი).

კომუნისტურ პარტიასთან კიდევ ერთი საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა აახლოვებდა ან. ფრანსს. ეს იყო ბრძოლა საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად.

მშვიდობის პრობლემა დღესაც უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია. სიმონა დე ბოვუარი სტატიაში — „მემარჯვენეთა აზრი დღეს“ — წერს: „ბურჟუაზია ზურგს აქცევს რეალობას... მისი ესთეტიზმი, სკეპტიციზმი, რელიგია ადამიანთა წინააღმდეგაა მიმართული... ის უარყოფს მომავალს, ე. ი. სამყაროს მსვლელობას, მოძრაობას... ბურჟუაზიას ეშინია, ამიტომ ცდილობს აბსტრაქტული პრინციპებით შეიარაღდეს. ის ვერ ბედავს თავისი სახელით ლაპარაკს და ამიტომ უნივერსალური პრინციპების სახელით ინიღბება... მას თავის დაღუპვასთან ერთად სურს, მთელი კაცობრიობა ჩაითრიოს დაღუპვის გზისაკენ... ამიტომ ქადაგებს საყოველთაო დაღუპვას. ბურჟუაზია თავის ბედს და მთელი სამყაროს ბედს ერთმანეთში ურევს და ხედავს რა თავის დაღუპვას, მთელი სამყაროს დაღუპვას წინასწარმეტყველებს. მისი იდეალები ისტორიის კატასტროფის ნიცშესეულის ხედვას იმეორებენ“.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა ან. ფრანსის თვალწინ ჩაიარა. ხუთი წლის მანძილზე უამრავი სისხლი დაიღვარა, უზარმაზარი მატერიალური სახსრები დაიხარჯა, მსოფლიო გაღატაკდა და დაიმშა, ბევრი ადამიანი გაბოროტდა და გაშოვინისტდა. ომს კარგი არავისთვის არაფერი მოუტანია, მხოლოდ ერთი მუჭა კაპიტალისტები გამდიდრდნენ და კიდევ უფრო გაბოროტდნენ. გავიხსენოთ ან. ფრანსის ნათქვამი: „ფრანგო პროლეტარებო, ჩვენ ყოველთვის მუქარის ქვეშ ვიქნებით, ვიდრე ჩვენი დემოკრატია სამხედრო წარმოშობისა და მონარქიული შეგნების დაწესებულებებს ინარჩუნებს“. ამიტომ იბრძოდა ან. ფრანსი პროფესიული, კასტური არმიის წინააღმდეგ და სურდა, შექმნილიყო დიდი ეროვნული, დემოკრატიული არმია. ომი, მითუმეტეს, მსოფლიო ომი, ან. ფრანსს უსაშინელეს ბოროტებად მიაჩნდა და მშვიდობისათვის ბრძოლას გადაუდებელ ამოცანად თვლიდა. მის პაციფიზმს, ანტიკოლონიალიზმსა და ინტერნაციონალიზმს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ. ან. ფრანსის ეს ბრძოლა აქტიურად ეხმაურება დღევანდელობას, უკიდურესად დაძაბულ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას.

მართალია, ან. ფრანსი კომუნისტური პარტიის წევრი არ გამხდარა (როცა საფრანგეთის კომუნისტური პარტია შეიქმნა, იგი უკვე ხანდაზმული იყო), მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, მწერალი მთელი არსებით თანაუგრძნობდა, სიტყვით და საქმით ეხმარებოდა როგორც მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას, ისე საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას.

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორი რეცენზია

### სამცხე-ჯავახეთის ხელნაწერები

ჩვენმა მადლიანმა წინაპრებმა დიდი მწიგნობრული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. აუწერელია მნიშვნელობა ხელნაწერებისა, რომელნიც შორეულ წარსულში შეუქმნიათ მწერლობის და, საერთოდ, წიგნის მოღვაწეებს, ეკლესია-მონასტრების მსახურთ თუ საერო-სამოქალაქო საქმეთა მწარმოებლებსა და წარმმართველებს.

ქართულ ხელნაწერთა ფონდების უდიდესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი და შეადგენს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის უმდიდრეს საუნჯეს, რომელშიც განცხადებულია ქართველი ერის ხანგრძლივი კულტურა, შექმნილი საუკუნეთა სიღრმეში. არა ერთი ხელნაწერია ჩვენამდის მოღწეული, რომელიც ყველაზე სახელოვან სიძველთსაცავს დაამშვენებდა.

ქართული ხელნაწერები კარგა ხანია რაც მეცნიერული შესწავლისა და დაკვირვების საგნად ქცეულა. მათში დაუნჯებულია მოწინავე კაცობრიობის გონებრივი ნაღვაწი, მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენი შორეული წინაპრები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი აზროვნებისა და შემოქმედებითი მუშაობის საკაცობრიო პროცესში. უძველეს ავტორთა არა ერთი ისეთი თხზულებაა დაცული ჩვენს სიძველეთსაცავებში, რომელნიც მხოლოდ ქართულად გადარჩენილან...

ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ ილია ჭავჭავაძე მამულიშვილური სიამაყით წერდა, რომ ქართველ მოღვაწეებს განუზრახავთ მუზეუმის დაარსება ძველ საეკლესიო ნივთთა დასაცავად. „ჩვენდა სასიხარულოდ, — წერდა იგი წერილში „საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“, — ეს განზრახვა დღეს უკვე შესრულებულია... დღეს წამოჭიმულია მაღალი შენობა მუზეუმისათვის და წესდებაც საეკლესიო საისტორიო მუზეუმისა უკვე დამტკიცებულია“. ილია ჭავჭავაძეს ამგვარი დაწესებულების დაფუძნება დიდ ეროვნულ მიღწევად მიაჩნდა, რადგან თითოეული ფარატინაც კი, ძველთაგან მოსული, მრავალ რბევასა და ცეცხლში გავლილი, ჩვენი ისტორიისა და ისტორიის მაძიებელთა ხელში მნიშვნელოვან და მრავლისმეტყველ საბუთს წარმოადგენდა. „ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს“ — ასკვნიდა იგი.

ილია ჭავჭავაძისაგან ასე გულუხვად დალოცვილი კულტურული საქმიანობა დღეს გაფართოებულად წარიმართება. ქართული ხელნაწერები თავმოყრილია არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოქმედ მხარეთმცოდნეობის თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში.

ხელნაწერების აღწერას ჩვენში დიდი ისტორია და ტრადიცია აქვს. ბევრ მეცნიერსა და სახელოვან ადამიანს აუწერია ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა ფონდები: მოსე ჯანაშვილს, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილს, ნიკო მარს, ივანე ჯავახიშვილს, დავით კარიჭაშვილს...

1946 წელს გამოვიდა „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ტომი 1, ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით აღწერილი ხელნაწერები. მუზეუმის დირექციის წინასიტყვაობაში ეწერა, რომ „ამ აღწერილობამ უნდა გამოამჟღავნოს ხელნაწერის ყველა არსებითი დამახასიათებელი ნიშანი, გვაჩვენოს ყოველი ხელნაწერის გარეგნული და შინაგანი სახე“. პირველ ტომში შეტანილ აღწერილობათა ავტორები იყვნენ ლ. ქუთათელაძე და ნ. კასრაძე, ხოლო რედაქტორი ილია აბულაძე (დღევანდლამდე გამოცემულია 24 ტომი აღწერილობათა და დამთავრებული ჯერაც არ არის).

ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია დაედო საფუძვლად არა მხოლოდ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობებს, არამედ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობას (მეორე ტომი გამოვიდა 1964 წელს და გაგრძელება აღარ ჩანს), ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობას (ორ ტომად), სსსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღ-

წერილობას (გამოვიდა 1949 წელს მხოლოდ ასი აღწერილობა და შემდეგ შეჩერდა. რედამდიოთ...).

ხსენებული ინსტრუქცია უდევს საფუძვლად „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობას", რომელიც სულ ახლახან გამოსცა „მეცნიერებამ" (შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ელიკო აბულაძემ, მიხეილ ქავთარაძემ და ცაცა ჭანკიევმა ელენე მეტრეველის რედაქტორობით).

მისასალმებელია ეს გამოცემა. იგი გვაცნობს საქართველოს ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის ისტორიულ-კულტურულ წარსულს და, ამასთან, ჰბადებს იმედს, რომ ახალციხის მუზეუმისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ეს გამოცემა გადაიქცევა დასაწყისად საქართველოში არსებული სხვა მუზეუმების ხელნაწერთა აღწერილობებისა. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რომელ მუზეუმში რამდენი და რა ხელნაწერებია დაცული, რას წარმოადგენენ ხელნაწერთა ფონდები, ვისი არქივებია შენახული და რას შეიცავენ (სხვათა შორის, არც ხელნაწერთა ინსტიტუტისა და არც ქუთაისის მუზეუმის არქივებია ჯერ-ჯერობით აღწერილ-დაბეჭდილი).

ახალციხური ხელნაწერების აღწერილობის წინათქმაში ნათქვამია, რომ სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერები კარგა ხანია სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობსო. სრულიად სარწმუნოა ეს განცხადება თუნდაც იმიტომ, რომ ამ მუზეუმის ხელნაწერთა ქრონოლოგია იწყება XI საუკუნიდან და მოდის ჩვენ დრომდე. აქ დაცულია XI საუკუნის ეტრატი ნუსხა-ხუცურით, საგალობლის ფრაგმენტები XII-XIII საუკუნისა, „ვეფხისტყაოსნის" ფრაგმენტი XVI საუკუნისა და სხვ. უფრო მეტია XVIII-XX საუკუნეთა ხელნაწერები. წინათქმა გვამცნობს, რომ მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში ასამდე ერთეულია დაცულიო. მართლაც, აღწერილია 95 ქართული და 19 სომხური ხელნაწერი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქით ამოწურულია ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. გამოცემაში მხოლოდ ძირით[illegible]რილი არ არის „ვინმე მესხის" — ივანე გვარამაძის" შესანიშნავი და უმდიდრესი არქივი („წინათქმა"), აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთის სხვა მოღვაწეთა (ნიკოლოზ ასათიანის, ზაქარია დიდმამიშვილის...) საქმიანობის ამსახველი მასალები. გარდა ამისა, მუზეუმში დაცული ყოფილა „გაურჩეველი საარქივო მასალა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ახალციხის მხარის ისტორიისათვის" (იქვე).

„წინათქმა" ერთ სასიამოვნო ამბავს გვაუწყებს: „ამ აღწერილობით იწყებს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში დაცული ხელნაწერების აღწერილობის პუბლიკაციას"-ო. ღმერთმა ხელი მოუმართოს! იქნებ, მართლაც, ვეღირსოთ სრულიად საქართველოში არსებულ ხელნაწერთა აღწერილობას!

ახალციხურ ხელნაწერებში სხვადასხვა დარგებია წარმოდგენილი: აპოკრიფები, ბიბლიოლოგია, დოგმატიკა, ფილოსოფია, ეთიკა, უკვე დასახელებული ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნისა", სასულიერო პროზა და ლირიკა, საისტორიო მასალები (სხვადასხვა ეკლესიათა დავთრები), ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური და ჰიმნოგრაფიული ხელნაწერები და სხვ.

მუზეუმში რამდენიმე სომხური ხელნაწერიცაა დაცული, უმთავრესად XVIII-XIX საუკუნეებისა. მხოლოდ ერთია XV საუკუნის მოზრდილი ხელნაწერი (361 ფურც.) „კურთხევანი", სომხურ ხელნაწერებში არის „სომხურ-ქართული ლექსიკონი", „მამათა ცხოვრება", „წმიდათა ცხოვრება"...

აღწერილობას ერთვის ქართულ ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, გეოგრაფიულ ადგილთა და პირთა სახელების საძიებელი, დარგობრივი საძიებელი, ასევე სომხურ ხელნაწერთა მიმართაც.

„აღწერილობა" დაბეჭდილია ათას ცალად.

## ფსევდონიმების ლექსიკონი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა და „მეცნიერებამ" გამოსცა (თუ გამოცემას დავარქმევთ როტოპრინტით დაბეჭდვას) სამსახურებრივი სარგებლობისათვის „ფსევდონიმების ლექსიკონი".

ფსევდონიმები გაშიფრულია იოსებ გრიშაშვილის მიერ, რომელსაც წიგნზე მუშაობის სრულიად თავისებური მანერა ჰქონდა შემუშავებული. ეს მანერა კარგად ჩანს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგებში.

პოეტის ბიბლიოთეკაში მოხვედრილი წიგნი, ყველა წაკითხულია მფლობელის მიერ, მაგრამ იგი მხოლოდ წაკითხვით არ კმაყოფილდებოდა. წიგნის კითხვისას მას სხვადასხვა ასოციაციები უჩნდებოდა და ამიტომ ბევრი საინტერესო ცნობა დაუწერია თუ მიუწერია წიგნის ყდაზე, გვერდებზე, ან შენიშვნებით ავსებული ფურცელი ჩაუდვია შიგ, გზადაგზა ფსევდონიმები თუ კრიპტონიმები გაუხსნია, ამათუიმ ავტორის სხვა თხზულებები ჩამოუთვლია, ან სხვა გამოცემები მიუთითებია. ი. გრიშაშვილი ბევრ მწერალს, პოეტს, წიგნის გამომცემელს პირადად იცნობ-

და, თეატრში და სხვადასხვა ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებში მუშაობა მას მშვენიერ და ძვირფას მასალას აძლევდა, თვითონაც მეტად იყო მონდომებული ნაირ-ნაირი მასალის შეგროვებით. ამიტომ მის წიგნსაცავში დაცული წიგნი ძირითადის გარდა, მრავალი ინფორმაციის წყაროა და მათ შორის ფსევდონიმებისა და კრიპტონიმებისაც.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული წიგნების კატალოგის რამდენიმე ტომი უკვე გამოქვეყნებულია და აღნუსხულია ყველა შენიშვნა თუ ცნობა, რაც ი. გრიშაშვილს შეტანილი და აღნიშნული აქვს წიგნში. ჯერ გამოცემული არ არის იქ დაცული ჟურნალებისა და გაზეთების აღწერილობა-კატალოგი, რომელიც, აგრეთვე, შემცველი იქნება მრავალი საინტერესო ცნობისა.

ი. გრიშაშვილმა დიდი მონაწილეობა მიიღო „ქართული წიგნის“ რეპერტუარის პირველი ტომის მომზადებაში და გამოქვეყნებაში („ქართული წიგნის“ პირველი ტომი 1941 წელს გამოსცა სსრკ წიგნის პალატამ). იქ საგანგებოდ აღნიშნულია (გვ. XXXIX): „იოსებ გრიშაშვილმა გადაიკითხა ყველა აღწერილობანი, დაურთო ზოგიერთ მათგანს თავისი შენიშვნები და მითითებანი. მასვე ეკუთვნის მთელი რიგი ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების გახსნა“.

„ქართული წიგნის“ გრიშაშვილისეულ ცალში რამდენიმე საინტერესო მინაწერი გაუკეთებია მფლობელს, მაგ., „ერთაწმინდელის“ გაშიფრვისას იგი წერს: „ბატკუაშვილი, ერთაწმინდელი სეზმან ალექსის ძე (დაბ. 1890 წ.). ამისი ფსევდონიმებია: მაყვალა, ზაირა, ტარსან, დაშნა, ტანკი. ავტორმა მითხრა ეს ზუსტიაო“; „ნამი — ბეგლარ ახოსპირელი. ნამი იყო აგრეთვე ფსევდონიმი პეტრე სურგულაძისა“; „რგანელი — ვიცოდი, მოვიგონებ“; „ლორეშელი მ. — მინადორა ტოროშელიძე (ორჯონიკიძის ქალი). მითხრა შ. დადიანმა და დ. სულიაშვილმა“; „ფანცხავა იაკობ — ფარი. ნიკო ლორთქიფანიძის (საჯარო ბიბლიოთეკის მეცნ. მუშაკი) აზრით, ეს „ფარი“ იაკობ ფანცხავას არ ეკუთვნის. თვით ი. ფანცხავას უთქვამს“ და ა. შ.

ი. გრიშაშვილის მიერ სხვადასხვა წიგნებზე, ნაბეჭდებზე გაკეთებული შენიშვნებიდან, მინაწერებიდან ფსევდონიმ-კრიპტონიმები ამოუწერია, ანბანზე დაულაგებია, შესავალი წერილი დაურთავს და რედაქცია გაუკეთებია იოსებ ლორთქიფანიძეს. წიგნის ანოტაციაში ნათქვამია, რომ „ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით გამოქვეყნებულ ნაწერთა ავტორების დადგენა ფილოლოგიური მეცნიერების უაღრესად რთული და მეტად საპასუხისმგებლო პრობლემათაგანია. მათი მართებული ამოხსნა მრავალი გამოსაკვლევი საკითხის კრიტიკულ შესწავლას მოითხოვს“. სრულიად მართებულადაა ნათქვამი. ხშირად ძნელდება ფსევდონიმის გაშიფვრა, ხშირადაც მრავალ შეცდომასთან აქვს საქმე მკითხველს იმის გამო, რომ ფსევდონიმი მართებულად არ არის გახსნილი. სამწუხაროდ, XIX საუკუნის ქართული პრესის რედაქციათა არქივები არაა სრულად შენახული, არ არსებობს ჰონორარების სიები, სადაც დაბეჭდილ წერილთა ავტორების გვარი არის შეტანილი (XIX საუკუნის რუსული პრესა ამ მხრივ კარგი მასალების მქონეა. ბევრი ავტორი სწორედ ამგვარ სიათა მიხედვით არის დადგენილი. ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ხშირად ჰონორარიც არ გაუციათ. პირიქით, ჟურნალ „ცისკარს“ ავტორები ზოგჯერ მასალასთან ერთად ფულსაც უგზავნიდნენ, ან პროდუქტებს, წერილი დამიბეჭდეთო).

ი. ლორთქიფანიძეს დიდი სამუშაო შეუსრულებია, თუმცა, როგორც თითონ წერს „წინასიტყვაობაში“ მაინც ამოუწურავად ჩაუთვლია ი. გრიშაშვილის მიერ გაშიფრული ფსევდონიმ-კრიპტონიმები. ამისთვისო, წერს იგი, საჭიროა დეტალურად შემოწმდეს საჯარო ბიბლიოთეკისა და სხვა უმნიშვნელოვანესი წიგნადი ფონდები და პერიოდიკა ი. გრიშაშვილის ყველა მინაწერის გამოსავლინებლადო.

რაც გამოვლინებულია და შეტანილია „ფსევდონიმების ლექსიკონში“, ესეც დიდი რამ არის!

რედაქტორი კარგად მოქცეულა, რომ წიგნისათვის დაურთავს ი. გრიშაშვილის თეორიული ხასიათის ნარკვევი „ფსევდონიმებისა და კრიპტოგრამების ამოხსნისათვის“, რომელშიც ბევრი მოსაზრება არის გამოთქმული ფსევდონიმთა მნიშვნელობაზე, მათი გამოყენების მიზეზებსა და მიზნებზე. ი. გრიშაშვილს თავისი მოსაზრებანი ცოცხალი მაგალითებით აქვს დადასტურებული.

არ ვიცი ვისი ბრალია, მაგრამ მსახიობ აწყურელის (გამყრელიძის) სახელი იყო დავით და არა დიმიტრი, როგორც ის მოხსენებულია „ლექსიკონში“. ი. გრიშაშვილი პირადად იცნობდა დავითსაც, მის ძმას ვიქტორსა, დავითის მეუღლეს ტასოს, რომელიც, აგრეთვე მსახიობობდა, იცნობდა დავითის შვილებსაც — ალექსის და ლიზას, რომლებიც მშობლებივით სცენას ემსახურებოდნენ. ხოსიტაშვილის ასული თავის ლექსებს ყოველთვის აწერდა „ბაბილინას“ და არა „ბაბელინეს“. კლდიაშვილი, მსახიობი, იყო ეფროსინე (ეფრო) და არა ეფემია. კრიპტოგრამა „ვ. დ.“ ეკუთვნოდა ვანლერ და არა ვარლამ დაისელს (იგი ჩემი დროის სტუდენტი იყო უნივერსიტეტში). „თ. რ. შ. ე“. უნდა გაშიფრულიყო ასე: „თავადი რევაზ შალვას ძე ერისთავი“ და არა „რევაზ ერისთავი“. უნდა იყოს „მარუთა შუამდინარელი“. „ნოტა ბენე“ იყო ნიკოლოზ ბერძნიშვილი და არა ბერძენიშვილი. „ფრონელი შ.“. იყო ყიფშიძე შ(აქრო) და

არა შაქრო ედილაშვილი. ამის ფსევდონიმი იყო „ედილი“ და ასეცაა შეტანილი ამ წიგნში. „ფრონისპირელი“ — გიორგი გრიგოლის ძე ყიფშიძე გარდაიცვალა 1951 წელს. აკაკი პაპავას ფსევდონიმი იყო „ქერბური“.

მე ვფიქრობ ეს კალმის ლაფსუსებია. ი. გრიშაშვილსაც შეიძლებოდა ერთი ასო ან ნიშანი წასცდენოდა.

სასურველი კი იყო წიგნი [illegible]ქუდენობით დაბეჭდილიყო და, თანაც, სტამბურად. თუმცა, ამ სახითაც მიაგნებს იგი [illegible] მკითხველს.

**სოლომონ ხუციშვილი**

**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.**

**ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. პ/მგ მდივნის — 93-55-13, და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17. 93-55-20.**

გადაეცა ასაწყობად 22. 09. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. XI. 87 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 11130. ტირაჟი 32.000. შეკვ. 2282. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

696/198

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ